

კომუნისტური

ქვეყნის
დაცვის
სამსახური



„წიგნების
მუშაობა“
1974



აღფონს დოდეს ტრილოგია „ტარტარენ ტარასკონელი“ საქვეყნოდ სახელგანთქმული ნაწარმოებია. ქვეშარტი სამხრეთელი, საოცარი მკვეხარა ტარტარენი ბრწყინვალე სატირული სახეა და ძალზე პოპულარულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში.

„ტარტარენ ტარასკონელის“ პირველი წიგნი — „ტარტარენ ტარასკონელის უჩვეულო თავგადასავალი“ თარგმნა ი. მაჭავარიანმა, მეორე და მესამე წიგნი — „ტარტარენი ალბეში“ და „პორტ-ტარასკონი“ კი ნ. ანანიშვილმა.

ფრანგულიდან თარგმნის
ივანე მაჭავარიანმა და ნინო ანანიშვილმა

ბნობნობ
ბნობნობნობ
ყრვეყლი
თავდასადა



-

საფრანგეთში ყველა ცოტათი მოიტარასკონებებს



მეზობელი პირველი

ტარასკონში

I

გარეგანის ბაღი

თხუთმეტ წელიწადზე მეტი იქნება მას. შემდეგ, რაც პირველად ვნახე ტარტარენი და შაინცი ისე მახსოვს ის დღე, თითქოს გუშინ იყო. ან რაღა დამავიწყებს იმ დიდებულ დღეს? სახელოვანი ტარტარენი სწორედ ქალაქის შესასვლელთან ცხოვრობდა, ავინიონის გზაზე, მზარმარცხნივ, მესამე სახლში. კომწია პატარა სახლი ეჭირა, სწორედ ტარასკონულ გემოვნებაზე აგებული: წინ ბაღი, უკან აივანი, ფეთრად შელესილი კედლები; ლურჯი ფარდები და მისაველ კართან მთელი რაზმი პატარა ბიჭებისა, ზოგი კოჭებს რომ თამაშობდა, ზოგს იქვე მზეზე მისძინებოდა.

გარეგანი შეხედულებით სახლი საკვირველს არას წარმოადგენ-

და, სრულიად არაფერს! ვინ იფიქრებდა — გმირის სახლს შევცქე-
რიო?! და შინ რომ შებრძანდებოდით...

სარდაფიდან ბანამდე მთელ სახლს გმირული იერი ჰქონდა, თვით
ბაღსაც კი!

ტარტარენის ბალი! მთელს ევროპაში ვერას ნახავდით იმისთანას!
ერთი ხე არ იდგა, ყვავილი რა არის, ყვავილს ვერ იპოვიდით, რომ
აქაური ყოფილიყო; სულ შორეულ ქვეყნებიდან მოტანილ მცენარე-
ებით იყო აყვავებული ეს ბალი და რა გინდა, სულო და გულო, რომ
იქ არ გენახათ: ეს ბამბაო, ეს ბაობაბიო, ნოპალი, კაქტუსი, ალყი-
რული ლეღვი... ვინ მოთვლის! გეგონებოდათ, შიგ შუაგულაფრიკაში,
ტარასკონიდან ცხრა მთას იქით, გადამაფრინა რაღაც უცნაურმა ძა-
ლამაო. რა თქმა უნდა, ამ მცენარეებს ბუნება ეცვალათ: ბამბა სწო-
რედ სტაფილოს სიმძლვე იყო და ბაობაბი — *Arbos gigantea*, ხე
ვეშაპი — იის მოსაყვანად დამზადებულ თიხის ქოთანში მოთავსე-
ბულიყო. მაგრამ ეგ არაფერი! ტარასკონისათვის ესეც დიდი რამ
იყო და ქალაქში მხოლოდ რჩეულნი თუ ეღირსებოდნენ, ისიც კვი-
რაობით, ბაობაბის ნახვით დამტკბარიყვნენ და ტარტარენის ხელოვ-
ნებით განცვიფრებულიყვნენ!

წარმოიდგინეთ, რა მღელვარებას იგრძნობდა გული, როდესაც
პირველად მეღირა ამ საკვირველ ბალზე გავლა.

მაგრამ გმირის ოთახში რომ შემიყვანეს...

უშველებელ დარბაზს კედლები აღარ უჩანდა! იატაკიდან ჰერამ-
დე იარაღის მეტს ვერაფერს დაინახავდით. რა დროის ან რა ხალხს
იარაღი არ იყო იქ: შაშხანები, თოფები, დაშნები, კორსიკული და
კატალონიური ბებუთები, დამბაჩები, ხანჯლები, ყარაიბული და ტა-
ლის ისრები, თავსამტკრევი, ჰოტენტოტური კომბალი; მექსიკური
ქამანდი... ვინ მოთვლის?

ზედ კიდევ ტარასკონული გახურებული მზე ადგა და ისე ელავ-
და და ბრჭყვიანობდა ფოლადი, რომ ტანში სისხლს გაგიშრობდათ!
კიდევ კარგი, რომ ყველა რიგზე იყო დალაგებული, გაწმენდილი,
გაკრიალებული, ყველა თავის ალაგს იღო, ყველას თავისი სახელი
ეწერა და ისეთი წყობით იყო გამწყობრებული, გეგონებოდათ, აფ-
თიაქში შევედიო. აქა-იქ ამგვარ წარწერას შეხვდებოდით:

მოწამლული ისარის... ხელი არ ახლოთ!

ან არადა:

== გატენილია!.. ფრთხილად!

თქვენი მტერი! ეს გაფრთხილება რომ არ ყოფილიყო, იქ რა შე-
მიყვანდა?!

შუა ალაგას მაგიდა იდგა და ზედ ერთი ბოთლი რომი, თუთუნო-
ნი თათრული ქისა და წიგნები! წიგნებს აევსო აქაურობა! ერთმანეთ-
ში არეულიყო „კაპიტან კუკის მოგზაურობა“, გუსტავ ემარის და
კუპერის რომანები, მოთხრობები ნადირობის შესახებ, სპილოზე,
დათვზე თუ მგელზე, ან კიდეც ბაზიერით ნადირობის შესახებ. მაგი-
დასთან ერთი პატარა კაცი ბრძანდებოდა, ასე ორმოცი ან ორმოც-
დახუთი წლისა, ტანდაბალი, სქელი, ჩამრგვალებული, მწითური,
ფლანელის პერანგის ამარა! მოკლე, მაგრამ სქელი წვერი ჰქონდა,
თვალები ანთებოდა... ერთ ხელში წიგნი ეჭირა, მეორეში — სამი
აღლის სიგრძე ჩიბუხი... რაღაც უცნაური ნადირობის ამბით გართუ-
ლიყო; ქვედა ტუჩი წაეშვირა, თითქოს უხილავ მტერს ურისხდებო,
და მის ბუნებრივ მშვიდ, ესე იგი, ტარასკონულ სახეს რაღაც საში-
ნელი, სისხლით გაუმაძღარი გამომეტყველება მისცემოდა... იგივე
გმირული გამომეტყველება, რაიც მთელ სახლს ეღო.

ეს გახლდათ ტარტარენი, ტარტარენ ტარასკონელი, უშიშარი,
დიდებული, შეუღარებელი ტარტარენ ტარასკონელი.

II

ქალაქი ტარასკონი და ქუღუშ მონადირენი

მაშინ ტარტარენი ის ძლიერი ტარტარენი კი არ იყო, რაც ახლა
ბრძანდება. ახლა მას მთელი სამხრეთი საფრანგეთი იცნობს, ქვე-
ყანაზე გმირობის სახელი აქვს გავარდნილი, მაშინ კი... მაგრამ ტარ-
ტარენი მაშინაც მეფე იყო ტარასკონისა. მოგახსენოთ, როგორ მოი-
პოვა ეს მეფობა:

უნდა იცოდეთ, რომ ტარასკონში ყველა მონადირე გახლავთ,
ყველა — დიდით პატარამდე. ვნებათა დელვაო, რომ იტყვიან — სწო-
რედ ნადირობა აღელვებდა და ახელებდა ტარასკონელებს. მათ
ოდითგანვე გამოუჩენიათ თავი ნადირობით; ზღაპარ-თქმულება მო-
გვითხრობს, ტარასკონელებმა შედგარი ბრძოლა აუტეხეს ქაობებში
დაბუღებულ გველეშაპსაო...

აბა, წარსული ამასა ჰქვიან, აი!

ჰოდა, გათენდება თუ არა კვირა დღე, მთელი ტარასკონი სანადიროდ მიდის! ზურგზე გულა ჰკიდიათ, მხარზე — თოფი და მიდიან არის ერთი ძაღლების წკმუტუნის, შოლტის ტყლაშუნი, ძახილი, უვილ-ხივილი! მშვენიერი სანახავია...

მაგრამ ნადირი კი არსად არის! სრულიად არსად!

ხომ სულელია ნადირი და ისიც კი მიხვდა ტარასკონელთა ხასიათს და, რაკი მიხვდა, კიდევ მოერიდა.

ტარასკონის გარშემო ერთი დღის სავალზე ბელურა ჩიტს ვერსადა ნახავთ, არამც თუ მწყერი შეგხვდეთ, ან იხვი, ან კურდღელი.

ამასთან ისიც უნდა იცოდეთ, რა მშვენიერია, რა მდიდარია ტარასკონის ბუნება თავის მინდვრებითა და გორაკებით. თვალი აყვავებულ მდელოთა ცქერით 'ვიოარ ძღება და ყნოსვა — ყვავილთ სურნელებით. ამ სიმდიდრეს ზედ ერთვის რონის პირს ჩაყოლებული ვენახები, ქარვასავით დამკრახული ყურძნის მარცვლებით, ყოველნაირი ხილი... მაგრამ რას იზამთ... ტარასკონი იქ არის და ყველა ბეწვოსანმა და ბუმბულოსანმა საუკუნოდ აითვალწუნა ეს ქვეყანა. ასე გასინჯეთ, შემოდგომაზე ან გაზაფხულზე ფრინველები რომ შორეულ ქვეყნებისაკენ მიეშურებიან, ტარასკონს გზას აუქცევენ ხოლმე და სამკუთხად გამწყარივებული გარეული იხვები, დაინახვენ თუ არა ტარასკონის საყდრის გუმბათს, ერთ საშინელ ყიყინს მორთავენ: არიქა, ტარასკონი! ფრთხილად, ტარასკონიო! სამი დღის სავალზე უვლიან, ისე დაშინებული არიან საწყლები.

ერთი სიტყვით, ნადირს ველარსადა ნახავთ, წამლადაც რომ გინდოდეთ. ერთადერთი კურდღელიდა გადარჩენილიყო და იქვე ქალაქის ახლოს იმალებოდა. მთელმა ტარასკონმა იცოდა ეს ამბავი და ამ ახირებულ კერაზე კურდღელს „ფეხმარდს“ უწოდებდნენ: იცოდნენ, რომ ბ-ნ ბომპარის მიწაში ჰქონდა მას ბინა; უნდა მოგახსენოთ, ამ გარემოებამ ბ-ნ ბომპარის მამულს ფასი გაუორკეცა, მაგრამ „ფეხმარდს“ კი ვერავინ აჯობა.

ამ ხანად სულ ორ-სამ ტარასკონელს თუ ნახავდით, კურდღელს ისევ ცოცხლად რომ თვლიდნენ და მოსაკლავად დასდევდნენ.

სხვებმა იმედი გადაწყვიტეს და „ფეხმარდის“ ამბავი უფრო ცრუმორწმუნეობად მიაჩნდათ, თუმცა ტარასკონელს ერთობ ძალიან ეჯავრება ყოველი ცრუმორწმუნეობა და, თუ მოასწრო სადმე, მერცხალსაც კი შამფურზე ააგებს.

ვეყო-და, თუკი ნადირი აღარსად იპოვება, მაშ, ყოველ კვირა სა-
ნადიროდ როგორღა მიდიან?

როგორ შემომიტიეთ!

სანადიროდ მიდიან! გავლენ მინდორზე, ქალაქიდან ორი-სამი
ვერსის მანძილზე... ჩრდილს მოძებნიან სადმე და ხუთი-ექვსი მონა-
დირე კაკლის ქვეშ წამოწვება, რამდენიმე — იქით, სადმე ღობის
ძირას, სხვები კიდევ კედელს ამოეფარებიან, ან ზეთისხილის ქალა-
ში შევლენ. წამოწვებიან მხარ-თეძოზე, გახსნიან გულდებს... ეს ცი-
ვად ხორციო, ეს ხახვიო, ეს ძეხვიო, ეს ხმელი თევზიო... ზედაც რო-
ნის წითელი ღვინო, კაცს რომ ამღერებს და აყნაწვილებს. სხედან
და ქეიფობენ!

ნადიმს უკან ნადირობა! წამოდგებიან, ძალღებს უსტვენენ, თო-
ფებს ტენიან და შეუღლებიან ნადირობას, ესე იგი — ყველა ამ მო-
ნადირეთაგანი მოიშვლებს ქუდს, შეისვრის ჰაერში, რაც ძალი და
ლონე აქვს, დაუმიზნებს და — ბუჰ! ზოგი საფანტს მეხუთე ნომერსა
ხმარობს, ზოგი მეექვსეს, ზოგი მეორეს... გააჩნია, როგორა აქვთ
დათქმული.

ვინც უფრო მეტად დახვრეტს თავის ქუდს, მონადირეთა მეფეც
ის არის და უნდა ნახოთ, რა დიდებით და ზეიმით შებრძანდება ზოლ-
მე გამარჯვებული მეფე საღამოზე ქალაქში, უნდა ნახოთ, რა მამა-
ცურ სურათს წარმოადგენს ქუდზე მონადირეთა მეფე, როდესაც
თოფის წვერზე თავის დახვრეტილ ქუდს ათამაშებს, რა ყვილ-
ხივილი ატყდება ზოლმე და ძაღლების ყეფა, — რომ გაიგოთ, ტარა-
სკონელს ნადირობა ასე გავიყებით რად უყვარს.

გვონებ, მეტი იქნება მოგახსენოთ, რამდენად ჰყვავის ტარასკონ-
ში სანადირო ქუდით ვაჭრობა. წარმოიდგინეთ, ბევრ იმისთანა ქონ-
საც შეხვდებით, რომლებიც წინდაწინ დახვრეტილ ქუდებს ჰყდიან...
ვინც სროლა არ იცის, ვითომ იმათვისაო, მაგრამ ბ-ნ ბეზიუკეს
გარდა, აფთიაქარს მოგახსენებთ, დახვრეტილ ქუდებს არაფერს ყიდუ-
ლობს: სირცხვილია!

ქუდზე ნადირობაში ტარტარენს ვერავინ შეედრებოდა. ყოველ
კვირა დილით ახალი ქუდით მიდიოდა სანადიროდ და ყოველ კვირა
საღამოს ქუდის წილ რაღაც მჩვარიღა მოჰქონდა. ბაობაბის პატარა
სახლის სხვენი სავსე იყო სახელოვანი ნადავლით, ესე იგი, დახვრე-
ტილი ქუდებით. ამიტომ იყო, რომ ყველა ტარასკონელს ტარტარენი

მონადირეთა მეფედ მიაჩნდა და, რადგან ტარტარენმა ზედმიწევნით იცოდა ნადირობის საქმე და წესები, რადგან ძირის-ძირამდე შეესწავლა ყოველგვარი ნადირობის წიგნი, — ყველგან ბაზიერთუხუცესად ითვლებოდა და როდესაც კი მონადირეთა შორის შუღლი რამე ატყდებოდა, მაშინვე მას მიმართავდნენ, შენ გავგასამართლო.

კოსტეკალდის მალაზია (იარალით ვაჭრობდა) სამ საათიდან ოთხამდე ყოველდღე სავსე იყო ქუღზე მონადირეებით და შიგ შუაგულ სავარძელში გაჭიმულ ერთ პატარა, სქელ კაცს ნახავდით, სახემოჭმუხვნილს და გარემოებათა დაგვარად ღრმად ჩაფიქრებულს ან გაბრაზებით ტუჩდაშვებულს. მის გარშემო ერთი ორომტრიალი იდგა და ის კი, თავის განუშორებელი ჩიბუხით, აუჩქარებლივ სჯიდა ქუღზე მონადირეთ და სამართალს უჭრიდა. ეს განლდათ ტარტარენი, ნემროდი და თან სოლომონ ბრძენი.

III

ქალაქი ტარასონი

(გაგრძელება)

ნადირობის გარდა ტარასკონს ერთი სხვა უნიცა სჭირდა: რომანსების სიყვარული. რაც აქ რომანსსა მღერთან, რომ მოგახსენოთ, მგონი არც კი დამიჯეროთ. რაც კი სხვაგან სადმე ძველი, უკვე დავიწყებული, ჩაყვითლებული და ჩრჩილნაჭამი გენახოთ რამე, იცოდეთ, ტარასკონში ნახავთ, და ნახავთ ცოცხალს, სრულს სიყმაწვილეში. გარდა ამისა, ყველა ოჯახს თავისი საკუთარი რომანსი აქვს და ქალაქში ეს ყველამ იცის. მაგალითად, ყველამ იცის, რომ

მერთალო ვარსკვლავო, შენ გეტრფი...

აფთიაქარ ბეზიუკეს რომანსია.

მოდი, წავიდეთ უღაბნოს სადმე,

ქონი ავაგოთ, ჩემო მთვარეო!..

მეიარაღე კოსტეკალდისა გახლავთ;

მე რომ უნახავი ვიყო,

ვერვინ დამინახავდო...

ხარჯის ამკრეფისაა.

ამგვარად, ტარასკონში ყველას თავისი რომანსი აქვს. კვირაში ერთხელ ან ორჯერ ერთი-ერთმანეთთან შეიყრებიან და ერთმანეთს ამ რომანსებს უმღერიან. საკვირველი ის არის, რომ მგონი, დასაბამითვე ამ რომანსებს მღერიან და აქამდე არ მოსწყენიათ. მოსწყენიათ კი არა, ფიქრადაც არავის მოუვა, ახალი რამე შეისწავლოს და ის იმღეროს. რომანსები მემკვიდრეობით რჩებათ მამა-პაპიდან და მათი შეცვლა ყველას ცოდვად და წმინდანთა გმობად მიაჩნია. ერთმანეთისაგანაც კი არას სწავლობენ: კოსტეკალდი თავის დღეში არ იმღერებს ბეზიუკეს რომანსს და ბეზიუკე კოსტეკალდისას; იმას კი ნუ იტყვიოთ, იქნებ ერთმანეთის რომანსები არ იცინაო! ამოდენა ხანია სულ ერთი და იგივე ეყურებათ და, რა ვიცი, როგორ ვერ ისწავლიდნენ! ან რად უნდათ? ყველამ თავისი იცის და ყველა კმაყოფილია.

რომანსებშიც, როგორადაც ქუდზე ნადირობაში, პირველი ისევე ტარტარენი იყო. აი, რა იყო მისი უპირატესობა: ტარასკონელ ტარტარენს საკუთარი რომანსი არა ჰქონდა: იგი ყველას მღეროდა.

ყველას!

მაგრამ რა? ძნელად თუ აამღერებდით. ეს უსაქმური კაცის საქმეა, ყმაწვილი კაცის, რომელსაც სისხლი უდღულს და ტრფიალებით ცოცხლობსო, ტარტარენ ტარასკონელს კი დიდი ხანია მოექამნა დღენი სიჭაბუქისა, ბევრი ქალის გული აეტოკებინა, ბევრი გამარჯვება ეგემა... ამოება ამოებათა და სხვა არაფერი! ახლა ტარასკონელ გმირს, ნადირობის აღწერის გარდა, აღარა ანსოვდა რა და ისე გატაცებული იყო თავის წიგნებით, რომ დარბაზობა და სიმღერა აღარც კი აგონდებოდა. ან რა მოსაგონარი იყო? როგორ ეკადრებოდა ტარტარენს ამგვარი დროსტარება? ხანდახან კი, როცა ბეზიუკეს აფთიაქიდან სიმღერის ხმა მოისმოდა, ტარტარენი, ვითომდა უცაბედად მოვიდაო, მოულოდნელად შეაღებდა ხოლმე კარსა და დიდი ხნის ხვეწნის და თხოვნის შემდეგ დასთანხმდებოდა, — ისიც უგულოდ, ცალყბად, „რობერტის ქაჯის“ დუეტი ემღერა. ტარტარენი და ბეზიუკეს მუდღე მღეროდნენ ამ დუეტს... ვისაც ეს დუეტი არ გაუგონია, იმას არა გაუგონია რა! მე კი, თუნდა ასი წელიწადი კიდევ ვიცოცხლო, მაინც ჩემს დღეში არ დამავიწყდება, რა რიგ მიუახლოვდებოდა ხოლმე ტარტარენი პიანინოს, როგორ დაეყრდნობოდა ცალი იდაყვით და ტუჩებს წაიშვერდა. ზედ წამლების

შუშების მწვანე შუქი ადგა და იმისთანა საშინელი ქაჭური გამომეტყველებით გამოიყურებოდა, თითქო მართლაცდა ქაჯი-რობერტი გედგათ თვალწინა. ერთს გადმოხედავდა იქაურობას და ტანში ყველას ჟრუანტელი დაუვლიდა: ყველა გრძნობდა, რომ რაღაც საშინელება უნდა მომხდარიყო. პატარა სიჩუმის შემდეგ მადამ ბეზიუე დაჰკრავდა პიანინოს და დაამლერებდა:

რობერტ, ჩემო საყვარელო,
ჩემო მხსნელო, ჩემო მკვლელო!
განსაცდელში მყოფსა მხედავ,
რად არ გინდა შემობრალო?
შეიწყნარე ჩემი ხვეწნა,
დამიხსენი მე საბრალო!

შემდეგ წასჩურჩულებდა ხოლმე: „ახლა თქვენ, ტარტარენ“. ტარტარენიც ხელგაშვერილი, მუშტის ქნევით, ნესტოების თრთოლით, ფითქო საშინლად იტეჟა და პიანინოს მეზი დაეცაო, დასძახებდა ხოლმე: „არა! არა! არა!“ ამ არას ჩვენი ტარტარენი „ნწ-არა! ნწ-არა! ნწ-არა!“-დ მღეროდა... ამის შემდეგ მადამ ბეზიუე ხელმეორედ შეჰღალადებდა:

შეიწყნარე ჩემი ხვეწნა,
დამიხსენი მე საბრალო!

„ნწ-არა! ნწ-არა! ნწ-არა!“ ღრიალებდა დაჭრილი დათვივით ტარტარენი და ამითი თავდებოდა ქაჯი-რობერტის ღუეტი. დიდი არაფერი იყო, როგორც ხედავთ, მაგრამ ისეთი კილოთი იყო წარმოთქმული ეს „ნწ-არა!“ ისეთი კილოთი, ისეთი ქაჭური გამომეტყველებით, რომ შიშისაგან აფთიაქში შუშებიც კი ზანზარს მორთავდნენ ხოლმე! ამ ღუეტს ტარტარენს ერთ სადამოს ოთხჯერ-ხუთჯერ ათქმევინებდნენ.

მერე შუბლს მოიწმენდა, ქალებს ლამაზად შეჰლიმებდა, კაცებს ეშმაკურად თვალს ჩაუკრავდა და გამარჯვებული გმირი კლუბისკენ გასწევდა. კლუბში რომ შევიდოდა, ვითომ და აქ არაფერი იყო, ისე იტყოდა ხოლმე: „ბეზიუესთან ვიყავ და დამაგვიანეს — ქაჯი-რობერტის ღუეტი ვთქვით მე და მადამ ბეზიუემ“.

კარგი ის იყო, რომ გულწრფელად სჯეროდა, მართლა ღუეტი ვიმღერეო.

ამდენი ნიჭით იყო შემკული ტარტარენი და, რასაკვირველია, რომ დიდი სახელი და გავლენა ჰქონოდა მთელს ტარასკონში?

ეგეც რომ არა, ის კურთხეული, ისე კარგად ექცეოდა დიდსა და პატარას, რომ ყველას გული მოგებულნი ჰქონდა. ამ მხრივ თილისმა იყო, თილისმა!

ტარასკონში ჯარს ტარტარენის მხარე ეჭირა. მეთაური ბრავიდა — სამსახურიდან გამოსული კაპტენარმუსი, იძახდა ხოლმე: „ტარტარენი... ძაან, ძაან ბიჭია, ი მამა-ცხონებული ისა!“ და ძაან-ბიჭობა ხომ ბრავიდასთანა არავის ეცოდინებოდა: რამდენ ბიჭს გაუვლია მის ხელში! ქალაქის გამგეობაც ტარტარენისკენ იყო. თავმჯდომარე ლადავეზს სხდომაზე თუნდ სამჯერ უთქვამს: ტარტარენი... ძაან ხასიათის კაცი არისო!

ხალხიც ტარტარენისკენ იყო. იმისთანა მხარ-ბეჭვი, მამაცური სიარული, ვაჟკაცური შეხედულება და გმირთა გმირის სახელი, — თუმცა, ვინ იცის, სად ან როდის მოიხვეჭა მან ეს გმირობა, — არავის ჰქონდა. ამას ისიც დაუმატეთ, რომ შავი ფულის გაფრთხილება არ იცოდა და აქა-იქ მათხოვარს ურიგებდა: პატარა ბიჭებს ალერსიანად წაუთაქებდა ხოლმე თავში... ასე წაუთაქებას მთელ ქალაქში ვერავინ მოახერხებდა... ერთი სიტყვით, მთელი ქალაქის თვალი იყო და ტარასკონულ ჩორჩო-ბაზარში ხომ ღმერთსავით თაყვანს სცემდნენ. ისე როგორ გამოივლიდა კვირა საღამოს დიდ ქუჩაზე ტარტარენი, — ხელში თოფით, ზედ თავის ქუდის ნაფხრეწებით, — რომ რონის პირს მსხლომ მუშებს ქუდი არ ეშვლიათ გმირის წინაშე! მერე, რაკი ცოტათი გასცილდებოდა, ერთმანეთს თვალს ჩაუკრავდნენ და გაკვირვებით შესძახებდნენ: — აბა, ზორბა ბიჭი ეს არის, აი! ორკეცი კუნთი აქვს მაგ დალოცვილს, მაგასა!

ორკეცი კუნთი!

მარტო ტარასკონში გაიგებთ ამგვარ სიტყვებს და სხვაგან არ-სად!

მაგრამ ამოდენა ნიჭით აღსავსეს, ორკეცი კუნთის პატრონს, ხალხის გმირს და თვით ბრავიდასაგან ძაანბიჭად ცნობილ ტარტარ-

რენს მაინც რაღაცა აკლდა. რაღაცა აკლდა, რომ სრულიად ბედნიერი ყოფილიყო. ტარასკონი სულ მცირე ქალაქია და პატარა ქალაქის ცხოვრება სულს უხუთავდა დიდს და ძლიერ ტარტარენს. ნელ-ნელა მოწყენილობა ეპარებოდა. ან რა უნდა ექნა საწყალს! მის გმირულ ბუნებას, მის ვაჟკაცობას, მის დიდებით და ძლიერებით გატაცებულ სულს სულ სხვა ცხოვრება შეჰფეროდა. მისთვის ბრძოლა იყო საჭირო, განსაცდელი, ამერიკულ ჯერეთ ხელშეუხებელ ტყეებში ნადირობა, უდაბნოში უგზო-უკვლოდ სიარული, საპარის ქვიშა და ქარი, ის კი... კვირაობით თავის ქუდზე ნადირობდა. მისი ძლიერი სული საშინელებას ეძიებდა, როგორც თევზი წყალს; ის კი შეიარაღე კოსტეკალდის მალაზიაში ქუდზე მონადირეთ სამართალს უჭრიდა. როგორც ხედავთ, სასიხარულო არა ჰქონდა-რა... საბრალო გმირი! სხვა უიმისო აქამდე ათჯერ გაემგზავრებოდა იქითკენ, საიდანაც აღარ დაბრუნდებიან ხოლმე. საწყალი გმირი! რა ნელ ცეცხლზე იწვოდა!

იქნებ როგორმე დავივიწყო აქაურობაო, ბაობაბის ბალი გააშენა და შიგსულ აფრიკული მკენარეები დარგო, სახლი იარალის საწყობად გახადა, გული და ტვინი გმირულ რომანების კითხვით გაიტენა და, უკვდავი დონ კიხოტისა არ იყოს, გმირულ ოცნებაში ძებნიდა მყრალი სინამდვილის დავიწყებას, მაგრამ ვაი ამ დავიწყებას! რამდენადაც მეტს ცდილობდა დაეჯაბნა წყურვილი ძღვევამოსილები-სა, იმდენად მეტად უცხოველდებოდა ჟინი გმირობისა და დიდებისა: იმოდენა უხმარად მყოფ იარალის ხილვა რაღაც განუწყვეტელ ბრაზს უღვიძებდა და გულს უმღელვარებდა, თოფი, ხმალი, ხანჯალი, ფარი, ცული, კომბალი, სულ ერთმხრივ დასძახოდნენ: ბრძოლა! მედგარი ბრძოლა! თვით ბალშიც, ბაობაბის ფოთლების შრიალშიც კი იგივე ხმა ისმოდა, იგივე ბრძანება და მუდარება: ბრძოლა! მედგარი ბრძოლა! ახლა გუსტავ ემარი, ფენიმორ კუპერი!...

რამდენჯერ მომხდარა, რომ კარგი სადილის შემდეგ, სიცხით შეწუხებული, რაიმე გმირული რომანით გატაცებული, წამომხტარა, სცემია კედელს, ჩამოუღია ფარი, უძვრია ხმალი და გააფთრებული ლომური გრგვინვით მივარდნია მტერს; რამდენჯერ გადაუსვრია თავისი წიგნი, საჩქაროდ შეუმოსავს საშუალო საუკუნეთა რაინდული მუზარადი და დასძვერებია უხილავ მტერს!

დაავიწყდებოდა ხოლმე საბრალო ტარტარენს, რომ თავისთვის მშვიდად ბრძანდება თავის სახლში, თავზე საღამური ქუდი ხურავს და ფლანელის პერანგის ამარაა! დაავიწყდებოდა ხოლმე ყველაფერი, წაკითხული ნამდვილად ეჩვენებოდა, თავისივე ხმის ძლიერებით უინზე მოვიდოდა, ცულს ან ხმაღს აიღებდა, დაუქნევდა თავის მხდალ მტერს და შესძახებდა:

— მოდით რაღა! მოდით, თუ ბიჭები ხართ! აი ახლა მოდით! მოდითო?! ვინ უნდა მოსულიყო?

ეს თვით ტარტარენმაც არ იცოდა. მოდითო! საბრძოლველად იწვევდა ყველას, რაც კი იბრძვის, რაც კი იკბინება, რაც კი ჩხავის, ღმუის, ღრიალებს. საბრძოლველად იწვევდა სიუხ ტომის ინდიელს, რომელსაც ტყვე, თეთრკანიანი ტყვე ბოძზე მიუბამს, თვითონ კი — მანამ მომშვიდება და მწვადად შევწვავო — გარს უვლის ცეკვით და სიმღერით.

საბრძოლველად იწვევდა მთის დათვს, რომელიც ეს-ეს არის გამძლარა ნადავლით და ჯერ ისევ სისხლიან თათს იქნევს — ხედავთ, რა ძლიერი ვარო!

საბრძოლველად იწვევდა უდაბნოთა თავზე ხელაღებულ მხედარს, ოკეანის მეკობრეს, აბრუცის ავაზაკს. ბრძოლა ენატრებოდა, განსაცდელს ეძებდა, დიდება და სახელოვანი გამარჯვება სწყუროდა.

მაგრამ, რა? რამდენს ეძახდა — მოდით რაღა, თუ ლაჩრები არა ხართო! რამდენს არცხვენდა — ფუ, შეგარცხვინათ, თქვე მხდალებო, თქვენაო! მაინც არავინ მოდიოდა!.. ერთი მიბრძანეთ, ტარასკონში რა ეშმაკი მიიყვანდათ? ტარტარენი კი მაინც იმედს არა კარგავდა: ან დღეს მოვლენ, ან ხვალაო; ელოდა მეტადრე მაშინ, როცა კლუბში მიდიოდა.

V

ტარტარენის კლუბში წასვლა

ისე მედგრად ჯვაროსნები არ შეიჯრადებოდნენ ხოლმე, როდესაც მუსულმანთ ბრძოლას უპირებდნენ, როგორც ტარტარენმა იცოდა, კლუბში წასასვლელად რომ ემზადებოდა. საღამოს, დაჰ-

კრავდა თუ არა ცხრა საათს, ტარტარენიც მზად იყო, თავით-ფეხამდე იარაღში იჯდა.

თვით ბაყბაყ დევსაც შეებრძოლებოდა, თუ შეხვდებოდა სადმე!

მარცხენა ხელზე ფოლადის სათითური ჰქონდა, მარჯვენა ხელში ჯოხი და ჯოხში — ჩამალული დაშნა; მარცხენა ჯიბეში თავსამტკრევი რკინა ედო, მარჯვენაში — რევოლვერი; გულზე, მაუდსა და ფლანელს შუა, — მალაური გულ-ჩაჩქანი. ოღონდ... მოწამლულ ისარს თავის ღღეში არა ხმარობდა! თავის ღღეში! ეს კანონის და სინდისის წინააღმდეგი იარაღი გახლავთო!..

წასვლამდე, სრულიად მომზადებული, ცოტა ხანს ვარჯიშობდა თავის მყუდრო კაბინეტში: კედელს ესროდა, ძარღვებს გაიშლიდა; შემდეგ გასაღებს აიღებდა და წყნარად, აუჩქარებლივ, დინჯად გაივლიდა ბაობაბის ბაღს: სწორედ ინგლისურად, ბატონებო; ინგლისურად! ნამდვილი ვაჟკაცობა ამას ჰქვია! ბაღის ბოლოში რკინის მძიმე კარს რომ მიაღებოდა... უცბად აღებდა და საშინელი ძალით ახეთქებდა ბაღის გაღვანს: იქნება მტერი კარს უკან მემალე-ბაო! ნეტავი მართლა! ისე მოხვდებოდა რკინის კარი, რომ მგონი, დომხალივით აერია მუხთალის ძვალ-რბილი! საუბედუროდ, კარს უკან არავინ იყო! რაკი კარს გააღებდა, ტარტარენი სწრაფად მიიხედ-მოიხედავდა, შემდეგ კარს სწრაფად ჩაკეტავდა და გზას გაუღებოდა.

ავინიონის გზაზე ამ დროს ძალსაც ვედარსად ნახავდით. ყველგან დაკეტილი კარები და ბნელი ფანჯრები შეგხვდებოდათ. აქა-იქ, შორი-შორს ქუჩის ლამპარის მკრთალი სინათლეა ანათებდა ჯოჯოხეთურ სიბნელეს და ნისლით მოცულ რონის კედლებს.

ღამის წყვედიადით შეურყეველი, ძლიერებით აღსავსე ტარტარენი მიდიოდა მშვიდად, წყნარად და ისეთი ძალით ადგამდა ქუსლებიან დალურსმულ წალებს, რომ დედამიწას ზანზარი გაჰქონდა და მათი ბაკაბუკი ერთი დღის სავალზე ისმოდა. თან ბუნიაკიან ჯოხს ათამაშებდა, — ხან წინ გაიქნევედა, ხან უკან, აქეთ-იქით, ან ძირს... ვაი იმის ბრალი, ვისაც ეს ჯოხი მოხვდებოდა: ჯერ რომ ქვებს სულ ნაპერწკლებს აყრევინებდა, ადამიანს რაღას უზამდა?..

იმისთვის სულ ერთი იყო ბულვარი, შარავზა და ვიწრო ქუჩა: შუა ქუჩაზე მიდიოდა ყოველთვის, შუა გზაზე, რადგან, მოგეხსენებათ, სიფრთხილეს თავი არ ასტკივო; მხოლოდ ამ საკვირველ წინ-

დახედულებისა გამო შეეძლო — საფრთხე წინათვე დაენახა და თავიდან აეცდინა ის საშინელი განსაცდელი, რომელიც ტარასკონში ფანჯრებიდან ცვივა ხოლმე, მეტადრე საღამოობით. ის კი არ იფიქროთ, ამოდენა სიფრთხილე მხოლოდ მშინმარამ იცისო? ტარტარენი და შიში? ტარტარენი და სიმხდალე? არა, ბატონო, არა! ტარტარენი... თავს უფრთხილდებოდა.

დასამტკიცებლად იმისა, რომ ტარტარენმა შიში არ იცოდა, თუნდა მარტო ის გაიხსენეთ, რომ კლუბში მოკლე გზით კი არ მიდიოდა, ქალაქზე გაივლიდა ხოლმე, ესე იგი, ერთი-სამად იგრძელებდა მანძილს. ისიც რა გზით? სულ ვიწრო ქუჩებს ირჩევდა, ბნელს, საშინლად დაკლავნილ ქუჩებს, რომელნიც რომის პირას გადაიან. სულ იმის იმედი ჰქონდა საწყალს, თუ დამხვედბა ხადმე მტერი, ამ სიბნელეში დამხვედბაო და სადმე მისახვევში ჩასაფრებული, შიგ ყანყრატოში მწვდებო. ნეტავ გაებედათ!

ბედი არ ჰქონდა ტარტარენს, არა! ერთხელ მაინც შეხვედროდა სადმე თავის მტერს! მთვრალიც კი არავინ შეხვედრია თავის დღეში! ძალლი რა არის, ძალლიც კი არ გამოსდგომია!

ხანდახან კი მოეჩვენებოდა... ახლა კი შევხვდიო! — გაურბენდა ხოლმე გონებაში. არიქა! ფეხის ხმა მოესმოდა, ან ჩუმი ლაპარაკი. ფრთხილად უნდა ვიყო! — ფიქრობდა ტარტარენი. იქვე გამაგრდებოდა, თითქო მიწას მიჰკვრიაო, თან სიბნელეს უკვირდებოდა. ყურს ადევნებდა ქარს, ჰაერს სუნავდა, და, ინდიელებისა არ იყოს, მიწას ყურს ადებდა, გავიგო მტერი საიდან მეპარებო... ფეხის ხმა უფრო და უფრო ახლოვდებოდა, ლაპარაკი უფრო მკაფიოდ ისმოდა... ეკვი აღარ არის! მტერია! აი მოდის! ბრაზმორეული ტარტარენი ძლივსდა სუნთქავდა, თვალებს აბრიალებდა ვეფხვივით... მოიკუმშებოდა, რომ ერთი ნახტომით ქვეშ ამოედო მუხთალი, თან ვაჟაკურად შეეკივლა და შიშისზარი დაეცა მისთვის... და უცბად სიბნელიდან ტარასკონელების ტკბილი საუბარი მოესმოდა:

— ბიკოს! ტარტარენი! ტარტარენს გაუმარჯოს!

აი დასწყევლა!.. აფთიაქარი ბეზიუკე არ ყოფილა თავის სახლობით? კოსტეკალთან ბრძანებულან, თავიანთი რომანსი უმღერიათ და ახლა შინისაკენ მიიჩქაროდნენ.

— გამარჯობათ! გამარჯობათ! — უკბლავლებდა ტარტარენი

ასეთ ღრობს, ამგვარი შეცდომით გაბრაზებული და გააფთრებულე, ჩქარი ნაბიჯით გაუღდებოდა გზას, თან ისეთი ძალით იქნევდა ჯოხს, გეგონებოდათ, ქარიშხალი ამოვარდაო!

კლუბთან რომ მივიდოდა, ცოტა ხანი კიდევ შეჩერდებოდა, — მოდიოდა რაღა, თქვე ლაჩრებო, თქვე ქუდმოხდილნოო! ბოლოს ამოდენა ლოდინით დაქანცული, დარწმუნებული, რომ მტერი ვერ იდებდა და შებმას ვერ უბედავს, დაცინვით, ზიზლით გადახედავდა სიბნელეს და ნაღვლიანად იტყოდა: დღესაც არავინ! არავინ! ჩემს დღეში არავინ....

შევიდოდა კლუბში და ბანქოს თამაშს შეუდგებოდა.

VI

ორი ტარტარენი

მაგრამ როგორ მოხდა, რომ გრძნობათა ღელვის მსურველს, მოგზაურობის მნატურელს, სულითა და გულით ტყე-ღრეში და მთებში ხეტიალის და განსაცდელის მძებნელ ტარტარენს აქნობამდე ტარასკონის მეტი არა ენახა რა?

წარმოიდგინეთ, მართალს მოგახსენებთ. ორმოცდახუთი წლისა იყო ჩვენი გმირი და ქალაქგარეთ ერთი ღამეც არსად გაეთენებინა. ხომ იცით, რა აუცილებელი საჭიროებაა ყველა პროვანსელისთვის მარსელის ნახვა. აბა ის რა კაცია, ვისაც მარსელი არ უნახავს? ტარტარენი კი ჯერ იქაც არა ყოფილიყო. სულ ბევრი-ბევრი, ბოკერი თუ ენახა და, მოგეხსენებათ, ტარასკონიდან ბოკერამდე დიდი არაფერი მანძილია: რონის ხიდს გახვალთ და... ეგეც თქვენი ბოკერი. საუბედუროდ, ამ დაწყველილ ხიდს ხან წყალი წაიღებდა ხოლმე, ხან ქარი ანგრევდა... თვითონ ხიდიც... თვალს ვერ გაუწვდენთ, იმ სიგრძეა!.. ნაფოტებით აგებული ხუხულა გეგონებათ! რონა ხომ ასე ღრმა არსად იქნება!.. ჰოდა!.. საქმეც ეგ არის! ტარასკონელ ტარტარენს ხმელეთი ერჩივნა!

ცოდვა გამჟღავნებული სჯობიაო! ჩვენი გმირის აგებულებაში ორი სრულიად განსხვავებული არსება მოთავსებულიყო. მე ვგრძნობ, რომ ჩემში ორი ადამიანი იმყოფებაო, — უთქვამს, აღარ მახსოვს, რომელ განდევილს. ეს რომ ტარტარენზე ეთქვა, სრულ

ქვეშარიტებას იტყოდა: სული დონ კიხოტისა ედგა, იმასავით რაინ-
დული ვენებათაღლევიტ იყო გატაცებული, იმასავით გმირული იდე-
ალიტ აღსავსე, იმასავით ძლიერებით და რომანტიული ლეღვით გა-
ხეღებული; მაგრამ, საუბედუროდ, დონ კიხოტის აგებუღება არა
ჰქონდა: აკლდა მისი გამხმარი ჩონჩხი, რომლისთვისაც ცხოვრების
მოთხოვნისღებათ ვერა დაეკლოთ რა, შეეძლო მთელი თვე აბჯარ-
ჩაჩქანი არ მოეხსნა და ორი-სამი დღე ერთ მუჰა ბრინჯზე გადაე-
ლო. ტარტარენის აგებუღება სულ სხვა იყო: ქოსმენივით ჩასუჰე-
ბულიყო, დამძიმებულიყო, კარგი სმა-ჰამა უყვარდა, განცხრომა
მოსწონდა, სავსე გახღდათ სურვილით, რომ სიცოცხლით დამტკბა-
რიყო... ღიბი გადმოეღდო და სანჩო პანსას მოკლე ფეხები ძლივსღა
იმაგრებღა მის მუცელს.

დონ კიხოტი და სანჩო პანსა ერთ კაცში მოთავსებუღიყვნენ
ახღა წარმოიდგინეთ, როგორ მორიდებოდნენ ის საწყლები?! ჯო-
ჯონეთი იყო მათი ცხოვრება! რა ბრძოღა ჰქონდათ ხოღმე, რა
შეტაკება! მათი კამათი ხომ... ტარტარენ კიხოტის და ტარტარენ
სანჩოს კამათი... მე სად შემიძღია... გენიოსის კალამი უნდა მქონ-
დეს, რომ მათი ბაასი აღვწერო და უკვდავება მოვიპოვო.

ტარტარენ კიხოტი, გუსტავ ემარის ამბებით გატაცებული, წა-
მოვარდებოდა და — მივდივარო! — შეჰყვირებღა.

ტარტარენ სანჩოს საშინღად ეშინოდა — ნეკრესის ქარები არ
ამეშაღლოსო, და შესძახებღა: მე არ წამოვაღლო!

ტარტარენ კიხოტი აღტაცებული:

— დიდება მოიხვეჰე, ტარტარენ!

ტარტარენ სანჩო ძალიან მშვიდად:

— ფღანელი არ მოიშორო, გაცივდები!

ტარტარენ კიხოტი უფრო და უფრო აღგზნებული:

— რა სჯობს ბასრ ხმაღს და ხანჯაღს! სამღულიან თოღს! შუბს
და აბჯარ-ჩაჩქანს!

ტარტარენ სანჩო უფრო და უფრო მშვიდად:

— რა სჯობს თბიღ ნაქსოვ ჟიღეტს! თბიღ ჰაჰიჰებს!

საღამურ ჰუღს!

ტარტარენ კიხოტი თავდავიწყებული:

— ცული მომეცი, ცული!

ტარტარენ სანჩო, ზარის წკარუნით:

— ჟანეტ! რა ვქნა, ე შოკოლადი რა უყავით?!

სწორედ ამ დროს შემოვიდოდა მოახლე და მოართმევდა საუცხოო შოკოლადს, ცხელს, მადის გამხსნელს, სურნელებით სავსეს და თან დაბრაწულ ქაღებს. პირში ნერწყვი მოსდის ტარტარენ სანჩოს და ისე გულიანად კუჭკუჭებს, რომ ტარტარენ კიხოტის გაბრაზებული ხმა აღარც კი ისმის.

აი, როგორ მოხდა, რომ აქამდე ტარტარენი ტარასკონის იქით არსად ყოფილა.

VII

*მვროპელში შანხაიში. სოვდაგრობა. თათრები. ნუთუ ტარტარენ
ტარასკონელი ფლიდი იყო? მოჩვენება*

ერთხელ კი, ცოტას გაწყდა, კინალამ სამგზავროდ აიბარგა ჩვენი ტარტარენი. მერე რამსიშორედ?

ტარასკონელი გარსიო-კამუხსნი, სამნი ძმანი, დაბინავებულიყვენენ შანხაიში და დიდი ვაჭრობა ჰქონდათ. ტარტარენს მოსწერეს, ოღონდ მოგვიდექ და მთელი საქმის გამგეობას შენ მოგანდობთო. აბა საიმისო საქმე ეგ იყო, აი! სწორედ ისეთ სიცოცხლეს უქაღდა ეს გამგეობა; როგორც ციურ მანანასავით ენატრებოდა: დიდი აღებ-მიცემა! ნოქრები და მოსამსახურენი — რამდენიც გნებავთ! მისვლა-მოსვლა რუსეთთან, სპარსეთთან, აზიურ ოსმალეთთან! ერთი სიტყვით, სოვდაგრობა!

ტარტარენი რომ იტყოდა ხოლმე, სოვდაგრობაო, მართლა იგი უმაღლესთაგან უმაღლეს საქმედ გეჩვენებოდათ.

ეს კიდევ არაფერი! გარსიო-კამუხსების საქმე იმითი იყო კარგი, რომ მათ ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე! თავს დაესხმოდნენ ისე, უცბად, მოულოდნელად! აიშლებოდნენ ნოქრები, მაშინვე კარებს კეტავდნენ; იარაღს ისხამდნენ, ბანზე კონსულის დროშას ამართავდნენ და — ბუჰ! მიდიოდა ფანჯრებიდან ტყვია ტყვიაზე! თათრებს თათრულად უხვდებოდნენ.

რა სიხარულით, რა აღტაცებით მიიღებდა ტარტარენ კიხოტი ამ წინადადებას, თქვენც კარგად მიხვდებით, ჩემი თქმა რაღა საჭიროა! საუბედუროდ, ტარტარენ სანჩო ამ მხრივ ყრუ იყო, სრულიად ყრუ და რადგან ის უფრო ძლიერი იყო და ტარტარენ კი-

ხოტს სჯობნიდა, საქმე ვერ გარიგდა. ქალაქში ბევრი მითქმა-მოთქმა იყო ამ საქმის შესახებ. წავა! არ წავა! დავნაძღვევდეთ, რომ წავა! დავნაძღვევდეთ! რომ არ წავიდეს?.. ტარტარენი არ წავიდა, მაგრამ ამ ამბავმა დიდი სახელი შესძინა. ტარასკონისთვის შანხაიში წასვლა და კინალამ წასვლა ერთი და იგივე გახლავთ. იმდენი ილაპარაკეს ტარტარენის წასვლაზე, იმდენი იყბედეს მის მოგზაურობაზე, რომ ეგონათ, იყო კიდეც და დაბრუნდა კიდეცაო. ეს იყო მიზეზი, რომ სალამოობით კლუბში გარს შემოეხვეოდნენ და ჰკითხავდნენ ხოლმე: როგორ ცხოვრობენ შანხაიში, რა ჩვეულებას ადგანან, რა ადათები აქეთ, ჰაერი როგორი არის, ხაშხაშს ხმარობენ თუ არა, სოვდაგრობა როგორ მიდისო?

ტარტარენმა ყველაფერი იცოდა და ყველასთვის მზადა ჰქონდა პასუხი. დაწვრილებით აუწერდა იქაურ ცხოვრებას, ატყობინებდა შანხაიელების ზნე-ჩვეულებას. ვისაც რა სურდა! ისე, რომ ბოლოს და ბოლოს დარწმუნებით თვითონაც აღარ ახსოვდა — მართლა იყო შანხაიში, თუ არა ყოფილა. ხშირად მეასედ ჰყვებოდა — თათრები დაგვეცნენო და, სრული რწმენით, გუოწრფელად ამბობდა ხოლმე: ჩემს ნოქრებს იარაღი დავუბრვი, კონსულის დროშა ავმართე და ავეტეხეთ სროლა! სროლა და მერე რა სროლა? დიპლომატო გეგზნებოდათ! ფანჯრებიდან ვესროდით, სათოფურებიდან!... ისმენდნენ ტარასკონელები და ტანთ ჟრჟანტელი უვლიდათ...

— მაშ ფლადი ყოფილა თქვენი ტარტარენი! ცრუ?!.

— არა, ტარტარენი ცრუ არ იყო.

— ის ხომ კარგად იცოდა, რომ შანხაი თვალთაც არ ენახა! მაშ რას მიედებ-მოედებოდა. რად ატყუებდა საწყალ ტარასკონელებს?

— ეეჰ! იცოდა, მაშ არ იცოდა! — ოლონდ... ოლონდ ყური და-მიგდეთ. დრო არის შევიგნოთ, რად იძახიან ზემომჩრელები — სამხრელი ცრუ არისო. დრო არის შევთანხმდეთ. სამხრეთში ცრუ არაფერს გახლავთ, გეყურებათ. არაფერს! არც მარსელში, არც ნიმში, არც ტულუზში და არც ტარასკონში. სამხრელი არა ტყუის, არც ცრუობს... ის ტყუევდება! ყოველთვის მართალს არ ამბობს, მაგრამ ყოველთვის დარწმუნებულია, მართალს ვამბობო. მისი სიცრუე სიცრუე კი არ არის, ერთგვარი ოცნება, ერთგვარი მოჩვენება გახლავთ.

დიახ, ოცნება! და თუ გნებავთ კარგად დარწმუნდეთ, რომ მართალს ვამბობ, მიბრძანდით და ნახეთ. ნახეთ ეს განსაცვიფრებელი

ქვეყანა, სადაც მზე ყველაფერსა ცვლის, ყველაფერს უფრო მეტად, ძლიერად წარმოგიდგენთ, ვიდრე ნამდვილად არის. ნახავთ პროვანსის გორაკებს, გოჯის სიმაღლე გორაკებს და იმოდენა მთად მოგეჩვენებათ, რომ მათთან ბრუტ-საბძელი რაღა სახსენებელია. ნახავთ ნიმურ სახლებს. თაროდზედაც დაეტოდა, ჩვენში რომ ყოფილიყო ეს ხუხულა; აქ კი ფარაონის პირამიდაზე უმაღლესად მოგეჩვენებათ, ნახავთ... არა, ბატონო, არა! თუ სამხრეთში ცრუბენტელა არის ვინმე, მარტოდმარტო მზე არის, მზე! უთუოდ უნდა გააზვიადოს, რასაც კი თავის სხივს დაჰკრავს! რას წარმოადგენდა აყვავებული, ბრწყინვალე სპარტა? სულ უბრალო სოფელს. რა იყო განათლების მფენელი ათინა? ერთი მაზრის ოდენი ადგილი ძლივს ეჭირა... მაგრამ გადახედეთ ისტორიას! ისე მობრწყინავენ წარსულიდან, თითქო უშველებელი ქალაქები ყოფილიყვნენ. სულ კი მზის წყალობით!

მაშ რაღად გიკვირთ, რომ მზემ ტარასკონსაც იგივე ძლიერება შესძინა? რად გიკვირთ, რომ სამსახურიდან გამდმდგარ კაპიტან ბრავიდას გმირ ბრავიდას უწოდებენ, თალგამი ბაობაბად მიაჩნიათ და შანხაიში კინაღამ წასულ ტარტარენს შანხაის დამპყრობელ გმირად იცნობენ?

VIII

მიზენის სახეობა. ატლასელი ღოში ტარასკონში.

საშინელ მოქიზაშაშა შეხვედრა

ახლა, რაკი გაიცანით ტარტარენი, რაკი ნახეთ მისი შინაური ყოფა-ცხოვრება და ჩვეულებანი, რაკი ნახეთ იგი უფრო წინათ, ვიდრე დიდება შუბლზე ემთხვეოდა და თავს გმირის გვირგვინით დაუმშვენებდა, რაკი მოიხსენეთ მისი ვაჟკაცური ცხოვრების ამბავი — თუმცა გარემოებანი ხელს არაფერში უწყობდა, — მისი სიხარული და სევდა, მისი ოცნება და იმედი, დროა დავიწყოთ დიდებული ვაჟკაცის გმირულ საქმეთა აღწერა და გავიხსენოთ განსაცვიფრებელი შეხვედრა, რომლის წყალობით ტარტარენმა ასეთი სახელი მოიხვეჭა.

ერთ საღამოს მეიარაღე კოსტეკალდისას გამოჭიმულიყო სავარძელში ტარტარენი და რამდენიმე პირს ახლად შემოდებულ თოფის

ხმარებას უხსნიდა. ამ დროს ერთი ქუღზე მონადირე საშინელი ყვირილით და ყიჟინით შევარდა ოთახში: ხალხო! ლომი! ლომიო! ყველანი გაშრნენ, შეშინდნენ, აირივნენ! ტარტარენი მაშინვე შუბს მივარდა, კოსტეკალდი კარების ჩასაკეტად გაიქცა. მისცივიდნენ მოამბეს; გარს შემოეხვივნენ, გამოკითხვა დაუწყეს და აი, რა უამბო მათ ქუღზე მონადირემ: მიტენის სამხეცე თურმე ბოკერიდან მოდიოდა. და ტარასკონელებს ეთხოვათ — რამდენიმე დღეს ჩვენსა გაჩერდით. მიტენიც დათანხმებულიყო, ციხის მოედანზე აეშენებინა თავის ფიცრულები და ახლა ყველას შეეძლო ენახა ყოველგვარი მხეცი, სხვათა შორის, გველი — ბოა, ნიანგი და, ასე განსაჯეთ, ატლასელი ლომიც კი! ატლასელი ლომი ტარასკონში! რაც კი ტარასკონი არსებობს, ჯერ ამისთანა არა მომხდარა რა! ჰოდა, უნდა გენახათ, რა მამაცურად შესცქეროდნენ ერთმანეთს ჩვენი ყოჩალი ქუღზე მონადირენი! როგორი სიამაყით უბრწყინავდათ სახე! ისე მოულოდნელი იყო ეს ბედნიერება, ისე ძლიერი, რომ აღელვებულთ ხმა ვეღარ ამოეღოთ.

რალა გავაკვიანურო, თვით ტარტარენსაც კი ენა ჩაუვარდა. ათრთოლდა, ფერი წაუვიდა, თოფი მაგრად ჩაბლუჯა და დახლის წინ გამოჰკიმული რალაცას ოცნებობდა. ატლასელი ლომი! აქვე! ორ ნაბიჯზე! ლომი, ესე იგი, ოთხფეხა გმირი, დაუნდობელი მტერი ყოველი სულდგმულისა, მხეცთა მეფე, საგანი მისი ოცნებისა, ერთი სიტყვით, უმთავრესი მსახიობი იმ იდეალური დასისა, რომელიც ტარტარენის გონებას მშვენიერ, გულწარმტაც დრამებს წარმოუდგენდა ხოლმე!

ლომი! აი დალახვრა!..

ისიც ატლასელი!!! არა, ამ ნეტარებას ტარტარენი თავის დღეში არ მოელოდა. უცბად სისხლი თავში აუვარდა, თვალემა ნაკვერჩხალივით კრიალი დაუწყეს, თავისდა უნებურად თოფი მხარზე გადიდო, გმირ ბრავიდას გადახედა და საშინელი ხმით, თითქო ჰეჰეჰე ქუხილი ატყდაო, შესძახა:

— ბატონო კაპიტნო... წავიდეთ!.. ერთი ვნახოთ!..

— უჰ, მერე ე თოფი სადლა მიგაქვთ, ჩემი ახალი თოფი? — მიაძახა თან ყაირათიანმა კოსტეკალდმა, მაგრამ ამ დროს ტარტარენი მეორე ქუჩაზე უხვევდა და თან ამაყად და მამაცურად მისდევდნენ ქუღზე მონადირენი; მისდევდნენ ისეთი წყობით და რიგით, თითქო საომრად გამზადებული ჯარი ყოფილიყო.


მზეცების სანახავად დიდძალი ხალხი მისულიყო. ტარასკონელები ძალიან ვაჟკაცური ხალხია. ამისთანა ჯერ არა ენახათ რა. გაიგეს თუ არა — მიტენის სამხეცე მოვიდაო, იგროალეს დიდით პატარამდე და, თითქო მტრის ციხეზე მიდიანო, იერიშით აიღეს ფიცრულის პატარა შესავალი. სახელგანთქმული სქელ-სქელი ქალბატონი მიტენი სიხარულით ცას ეწია. იგი კაბილელი ქალის ტანისამოსით მორთულიყო, ტიტველი მკლავები მხოლოდ რკინის სამაჯურებით დამშვენებინა, ერთ ხელში წკებლა ეკავა, მეორეში — ცოცხალი, თუმცა გაბტყენილი ქათამი (გველი. ბოა ამის მეტს არას მიირთმევდა) და ღიმილით უხვდებოდა ტარასკონელებს; და რადგან იმასაც ორკეცი კუნთები ჰქონდა, გაჩარხული იყო იმის საქმე: ტარასკონელების გული უკვე მოეგო და მას უფრო შესცქეროდნენ, ვიდრე იქ დამწყვედულ ოთხფეხთ.

ტარტარენის შესვლა და იმოდენა ხალხის გაქვავება ერთი იყო: ნამეტნავად მხარზე თოფგადებულნი რომ დაინახეს!..

დადიოდნენ თავისთვის ტარასკონელები დინჯად, წყნარად, გულმხიარულად; ხან ერთ გალიასთან გაჩერდებოდნენ, ხან მეორესთან და აზრადაც არავის მოსდიოდა — აქ საშიში არის რამეო! ერთიც ვნახოთ, ტარტარენმა შემოყო თავი, თვით გმირთა გმირმა ტარტარენმა და თან, სხვა იარაღის გარდა, თოფიც შემოიტანა! მაშ, საშიში ყოფილა რამე, რომ თვით გმირმაც კი... თვალის დაწამხამების უმაღ უკან დაიწია, გალიების წინ აღარავინ დარჩა. შიშით ბალღებმა ღრიალი მორთეს, ქალები კარისკენ იყურებოდნენ. აფთიაქარი ბეზიუკე ხომ მაშინვე გაიპარა — ვითომდა თოფი უნდა მოვიტანოო.

სიმშვიდე ისევ ტარტარენმა ჩამოაგდო: ისეთი დაწყნარებული თვალით შესცქეროდა იქაურობას, რომ ყველა დამშვიდდა და გული მოიბრუნა. ვაჟკაცური სიმშვიდით სავსე, ამაყი და შეუშინებელი გმირი ცოტა ხანს ათვალეიერებდა იქაურობას. მერმე ნელი, აუჩქარებელი ნაბიჯით გარს შემოუარა გალიებს; ზღვის ძაღლს ყურადღებაც არ მიაქცია, ნახერხში ჩაფლულ გველ ბოას ცალი თვალით გადახედა და დაცინვით გაიღიმა. ბოლოს ლომის გალიასთან მივიდა და გამოიჭიმა.

საშინელება იყო ეს შეხვედრა! ლომი ტარასკონელი და ლომი ატლასელი პირისპირ უდგნენ ერთმანეთს!.. ერთი მხრივ, თოფზე დაყრდნობილი, მუხლგაწვდილი ტარტარენი და მეორე მხრივ, გა-



ლიაში ჩალაზე წამოწოლილი უზარმაზარი ლომი! თვალებს ახამზამებდა გადაყრუებული, ჩაყვითლებული ფაფარით შემკულ თავს ძლივსღა იმაგრებდა.

ჯერ მშვიდად სინჯავდნენ ერთმანეთს.

მერმე კი რალაც სასწაული მოხდა: აქამდე ლომი იწვა თავისთვის, დაციწვით შესცქეროდა ტარასკონელებს და ზედიზედ ამოქნარებდა, თითქო ყურადღებასაც არავის აქცევს — მსინჯეთ, რამდენიც გენებოთო. და აქ კი, არ ვიცი, თოფის დანახვა ეწყინა თუ თავისივე ჭიშის მტერი იგრძნო, უცბად გაცოფდა, თვალები ბრაზით აევსო. ჯერ ერთი დაიფრუტუნა, დაიღმუვლა, ბრჭყალები ჯაისწორა, ტოტი გაიქნია. მერმე წამოხტა, ფაფარი აეშალა, თავი მალა აიღო, ძირის ძირამდე გააღო პირი და, თითქო მტერს გადაყლაპვას უპირებდა, საზარლად შეჰბღავლა ტარასკონელ ლომს.

საშინელი ყვირილით უპასუხეს ტარასკონელებმაც! შეშინებულნი კარისკენ გარბოდნენ ყველანი: ქალები, კაცები, ბავშვები, ქულზე მონადირენი და თვით გმირი ბრავიდაც კი!... მარტო ტარტარენი არ დაიძრა... გულმაგარს, გამბედავს ფეხი არ მოუცვლია! იდგა გოლიის წინ, თვალები აენთო, თავისებურად დაუშვა ქვემო ტუჩი... ეს მარტო განსაცდელში მოსდიოდა და მთელმა ქალაქმა იცოდა, რად დაუშვებდა ხოლმე ტარტარენი ქვემო ტუჩს.

ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც ქულზე მონადირეთ რკინის გალიის სიმაგრე მოაგონდათ, ცოტა გული მოიბრუნეს და გმირს მიუახლოვდნენ. ყური მოჰკრეს, რომ ტარტარენი თავისთვის იძახდა:

— ლომზე!.. აბა ნადირობა ეს იქნება, აი!

იმ დღეს ტარტარენს მეტი აღარა უთქვამს რა.

IX

საკვირველი შედეგი მოჩვენებისა

იმ დღეს ტარტარენ ტარასკონელს მეტი აღარა უთქვამს რა, მაგრამ, რაცა თქვა, უბედურს ისიც მეტი მოუვიდა.

მეორე დღეს ქალაქში დიდი და პატარა სულ იმას გაიძახოდა — ტარტარენი ალყირში მიდის ლომებზე სანადიროდაო. ამის მეტს

ველარას გაიგონებდით. თვითონ თქვენც დამერწმუნებით, ჩემო კეთილო მკითხველო, რომ საწყალს ამის შესახებ ხმაც არ ამოუღია, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, მოჩვენება...

ერთი სიტყვით, მთელი ქვეყანა იმასღა გაიძახოდა — ტარტარენი ლომებზე სანადიროდ მიდისო!

ქუჩაში, კლუბში თუ კოსტეკალდისას ერთმანეთს გამარჯობის მაგიერ შეშინებულნი ამ სიტყვებით მიმართავდნენ ხოლმე:

— რას მოგახსენებდით.?! ახალი ამბავი იცით?

— რა? ტარტარენის წასვლას ბრძანებთ?

ღიახ! ტარასკონში ყველა წინადადება ამ სიტყვებით იწყება: რას მოგახსენებდით? რა უნდა მეთქვა? და თავის დღეში არა თქმულა ეს სიტყვები იმდენჯერ, რაც იმ დღეს. რას მოგახსენებდით, რა უნდა მეთქვაო, — გაისმოდა ჰაერში და ზრიალი გაჰქონდა.

ტარტარენი ალჟირში მიდის ლომებზე სანადიროდ! ამ ამბავს ისე არავენ გაუკვირებია მთელ ქალაქში, როგორადაც თვით ტარტარენი. სახტად დარჩა საწყალი. მაგრამ ნახეთ, რა არის ამოება ადაშიანისა! რა ენაღვლებოდა, ეთქვა, არსად მივდივარ და ჩემს დღეში ფიქრადაც არ მომსვლია სადმე წავიდეო! ვერა თქვა! პირველად რომ ლაპარაკი ჩამოუგდეს, ტარტარენმა ისე, ცალყბად უპასუხა: ღიახ... არა... რატომ... ვინ იცის?... იმას კი არ ვამბობ:.. მეორედ რომ ჩაეკითხნენ, ამ მგზავრობას ცოტა შესჩვეოდა მისი ოცნება და თქვა: შეიძლებაო! მესამედ კი გადაჭრილად განაცხადა: მივდივარო!

ბოლოს, ერთ საღამოს, კლუბში თუ, არ მახსოვს, კოსტეკალდისას, როცა მადა მოიკლა და თავში ღვინო გაუჭდა, წარმოიდგინა, რა დიდ სახელს გაითქვამს თავისი მომავალი მგზავრობით, ნადირობით და პირდაპირ გამოაცხადა: ქუღზე ნადირობა მომეწყინა, ალჟირში მივალ, ახლა ატლასელ დიდრონ ლომებზე მინდა ვინადიროო.

იმისთანა ტაში დაკრეს, იმისთანა ვაშა შესძახეს, რომ სახლს კინაღამ ჰერი აჰყარეს. ამ სასიხარულო ამბავს ხელახლა ღვინო მოჰყვა, პუნში, კოცნა, და ბაობაბის პატარა სახლის წინ შუალამედ სერენადას გაიძახოდნენ.

ახირებულ გუნებაზე იყო ტარტარენი სანჩო. აფრიკაში მოგზაურობა, ლომებზე ნადირობა... ახლავე თრთოდა საწყალი! შინ რომ შევიდა, ჯერ სერენადის ხმისაგან ფანჯრებს ისევ ზრიალი გაჰქონდა,

მაშინვე ტარტარენ კიხობს მივარდა და ისე გამოშუპრა, ისე გამოლანძღა, რომ სულ თავებედი აწყვევლინა. შე გიჟო, შენა! შე რეგვენო, დწუდგრომელო, მოუფიქრებელო! რალაც გეჩვენება, რალაც გელანდება და შენც აჰყევ! ნეტავ მაგ თავში ტვინი გაქვს თუ თივაო?! თან ადგა და წინ გადმოუშალა ეს ხიფათიო, ეს ზღვის ღელვაო, ქარები, ციებ-ცხელება, სახადი, შავი ჭირი, სპილოს ჭირი და სხვანი და სხვანი.

— სიტყვას გაძღვე, გავფრთხილდები, — ეფიცებოდა ტარტარენ კიხობი, — რაც კი საჭიროა, ყველაფერს თან წავიღებ, არსად გავცივდები — ხუთ-ექვს ხელს ჩავიცვამ.

მაგრამ ამოჯ იყო ყველა: ტარტარენ სანჩოს სიბრაზით აღარა გაეგებოდა რა; ადვილი კი ნუ გვონიათ, საწყალს სწინელება ელანდებოდა; დახვეოდნენ უზარმაზარი ლომები და ასო-ასო გლეჯდნენ ჯერ ისევ ცოცხალს! ამოვარდნილიყო ქარი, უდაბნოში მოესწრო და ქვიშაში ჩაემარხა!

ტარტარენ კიხობმა ძლივძლივობით დააშოშმინა საწყალი და ისიც რითი? ახლა ეს გაბრაზდა და შეუტია და შეუტია: არა, შე კაი კაცო, ჯერ ხომ არ წავსულვარ, ჯერ ხომ არ მივდივარ... აბა რა გაჯავრებსო?! ან რა მეჩქარება?... ვინ იცის, როდის წავალ? რომ ყვირი, რასა ყვირიო?

მართლდა, რა აჯავრებდა? არა, ამგვარი საშიში ნადირობისათვის მომზადება არ უნდოდა? თუ არადა, არ უნდა გაეგო, სად მიდიოდა? ჩიტი ხომ არ იყო ტარტარენ კიხობი, რომ აფრენილიყო და... მშვიდობით!

უპირველეს ყოვლისა, ტარტარენმა განიზრახა — კარგა, ძირის ძირობამდე შეესწავლა აფრიკაში მოგზაურთა თხზულებანი: მუნგოპარკი, კალიე, დოქტორი ლივინგსტონი, ჰანრი დიუვერიე.

დაიწყო და დარწმუნდა, რომ ამ მგზავრობის ატანას დიდი ხნის ვარჯიშობა დასჭირდება. დარწმუნდა, რომ გამოჩენილ მოგზაურთ დიდი ხნის წინათვე სცოდნიათ შიმშილის და წყურვილის ატანა, ფეხით სიარული, და ერთობ ყველა გაჭირვებას შეჩვეულნი ყოფილან. ამ დღიდან დაწყებული — იქნება მეც შევეჩვიო, — ხარშოს მეტი აღარა მიუკარებია რა. ტარასკონული ხარშო ხომ მოგეხსენებათ, რა გახლავთ: ადუღებული წყალი, რამდენიმე ნაჭერი პური, ერთი კბილი ნიორი, ერთი დაფნის ფოთოლი და ცოტა პილ-

პილი! წარმოიდგინეთ, რა გუნებაზე იქნებოდა სანჩო და როგორ დაიდრიჯებოდა!

მაგრამ ეს არ იქმარა ტარტარენმა და სხვა დაიწყო: ყოველ დილით, სიარულს შევეჩვიო, შეიდჯერ-რვაჯერ შემოუვლიდა ქალაქს გარშემო. ხან ნელი ნაბიჯით დადიოდა, ხან გაჩქარებული, ხან სირბილით, თან პირში ორი თეთრი კენჭი ედო, ბერძნებმა ასე იცოდნენო.

ყოველ საღამოს თავის ბაღში ჩადიოდა და იქ ბაობაბის უკან ჩასაფრდებოდა ხოლმე თოფით ხელში: უნდოდა შესჩვეოდა სიცივეს, ქარს, წვიმას, ბურუსს...

და რაც უნდა გვიან გამოსულიყვნენ კოსტეკალდის მღაზიიდან ქუდზე მონადირენი, რაც უნდა ავდარი ყოფილიყო, ისე ვერ გაივლიდნენ მიტენის სამხეცის გვერდით, რომ ერთი ზედ ფიცრულზე აკრული კაცი არ დაენახათ.

ეს გახლდათ ტარტარენი: ცდილობდა ლომის ღრიალს ისე შესჩვეოდა, რომ მის გავონებაზე გულს ფანქალი აღარ გაებედა.

X

წასვლის წინ

ტარტარენი ამგვარად გმირულ საქმეთა ხელოვნებაში ვარჯიშობდა, მთელ ტარასკონს კი მასზე ეჭირა თვალი; საქმე და საზრუნველი სხვა აღარა ჰქონდათ რა. ქუდზე ნადირობა დაეცა, რომანსებს იშვიათადლა მღეროდნენ, და თვით აფთიაქარ ბეზიუკეს პიანინოსაც კი მწვანე სახურავი ეფარა და ზედ მოწამლული ბუხები ეყარა. ტარტარენის მგზავრობამ შეაჩერა ტარასკონის სიცოცხლე!

უნდა გენახათ, რა იყო მაშინ ტარტარენი!

საზოგადოებაში ხელიხელ საგოგმანებელ მარგალიტად იქცა. ერთმანეთს ეცილებოდნენ, დღეს ჩემთან უნდა იყოს, არა, ჩემთანაო! ერთმანეთს ატყუებდნენ, მალავდნენ. ქალებისთვის ხომ უმეტესი ნეტარება აღარა იქნებოდა რა, ოღონდ ტარტარენთან ხელიხელგაყრილი მიტენის სამხეცეში წასულიყვნენ და ლომის გალიის წინ გაჩერებულიყვნენ; ტარტარენს უნდა აეხსნა ქალისთვის — როგორ უნდა ლომზე ნადირობა, როგორ უნდა დაუმიზ-

ნო, რა მანძილზე მოუშვა, რა სიფრთხილეა საჭირო, რამდენი განსაცდელი მოსდევს ამ ნადირობას და სხვა და სხვა.

ტარტარენმა ყველაფერი იცოდა და სიამოვნებით ასწავლიდა, ვისაც კი სურდა ესწავლა. რამე. ეიულ ყერარის წიგნი შეესწავლა და ისე იცოდა ლომზე ნადირობა, რომ სულ თითის წვერზე ჩამოგითვლიდათ ყველა შემთხვევას, თითქო ამ ნადირობაში დაეღამებინოს თავის წუთისოფელი. ეს იყო მიზეზი, რომ ლომის გალიის წინ მართლად გასაკვირველ მჭევრმეტყველებას იჩენდა ხოლმე.

მაგრამ ტარტარენი იმისთანა მშვენიერი, ქალთა გულწარმტაცი არსად ყოფილა, როგორც იყო ხოლმე სადილად თავმჯდომარე ლადავეზთან ან გმირ ბრავიდასთან — კაპიტან ბრავიდასთან; მშვენიერი იყო ტარტარენი ნასადილევს, როდესაც ყავას მოართმევდნენ, ყველანი იმისკენ მიიწევდნენ და მომავალი ნადირობის ამბებს ალაპარაკებდნენ.

სუფრას დაეყრდნობოდა, ცხვირს თავის მოკაში ჩაყოფდა და აღღვებული ხმით დაიწყებდა ხოლმე გმირი და მსმენელთ აუწერდა — რამდენნაირი განსაცდელი მოელოდა დაწყველილ ალჟირში. აუწერდა უმთვარო, ბნელ ღამეს, ჩასაფრებას — სადმე ბუჩქში, აუწერდა ჭირიან ჭაობებს, მოწამლულ მდინარეებს, იქაურ თოვლს, სიცხე-პაპანაქებას, მორიელს, კალიის წვიმას; უამბობდა — რა ზნისა არის ატლასელი ლომი, როგორი ფიცხელი ომი იცის, რა წარმოუდგენელი ძალ-ღონე აქვს, რა დაუნდობელი რამ არის, მეტადრე როცა ხურს...

და თავისივე ხმით თუ ნაამბობით აღტაცებული, უცბად წამოვარდებოდა სუფრიდან, შუა ოთახში გავარდებოდა, ლომივით დაიღრიალებდა, ზედ რამდენსამე ტყვიას დააყოლებდა, ტყვიის ზუზუნსაც კი გაგაგონებდათ — ზზზზ... თან ხტოდა; ხელ-ფეხს იქნევდა, ყვიროდა და ანგრევდა იქაურობას...

სუფრაზე მსხდომთ კი გული მისდიოდათ. კაცები ერთმანეთს თავჩაქინდრული შესცქეროდნენ, ქალები კიოდნენ და შიშით თვალებს ხუჭავდნენ, მოხუცი მამაცურად იქნევდნენ თავიანთ ყავარჯნებს და ჯოხებს და საწოლ ოთახში — თოფის სროლით და ლომის ღრიალით უცბად გამოღვიძებული ბავშვები ერთ ჯოჯოხეთს ტეხდნენ ხოლმე: — გვიშველეთ! სანთელი აანთეთო!

წასვლისა კი... ჯერ არა ეტყობოდა რა.

მართლა კი უნდოდა წასვლა? დიახ, საჩოთირო კითხვაა და ტარტარენის ისტორიის დამწერს ძალიან გაუჭირდება ამაზე გადაწყვეტილი თქვას რამე.

საქმე ის არის, რომ სამ თვეზე მეტია, რაც მიტენის სამხეცემ თავი დაუკრა ტარასკონს, ლომთა მკვლელი კი ფეხსაც არ იცვლიდა... ვინ იცის, იქნებ ჩვენს გულუბრყვილო გმირს მოეჩვენა — ალჟირში ვიყავ კიდეც და ლომებიც დავხოცეო. იმდენს ლაპარაკობდა თავის მომავალ ნადირობაზე, იქნებ კიდეც მოეჩვენა, ეს ყველა მართლა იყო, გათავდა და ახლა გამარჯვებული დასვენებას-და ვცდილობო?! იქნებ ისევე გულწრფელად სწამდა ლომების დახოცვა, როგორც გულწრფელად სჯეროდა — შანხაიში ვიყავ, კონსულის დროშა ავმართე და სათოფურებიდან თათრები ვკლბო?

საუბედუროდ, თუ ამჟამად თვით ტარტარენი ერთხელ კიდეც გაიტაცა მოჩვენებამ, ტარასკონელები სულ სხვა აზრისა იყვნენ. სამი თვე მეტი ელოდნენ — ან დღეს წავა, ან ხვალაო, და რომ ნახეს გმირს ჯერ მათგანაც არ შეეკრა, ერთი მითქმა-მოთქმა ატეხეს.

— სწორედ შანხაის საქმე გამოდის, — იძახდა ღიმილით კოსტეკალდი. ამ სიტყვებმა მთელი ქალაქი ააღელვა; ტარტარენისა აღარავის სჯეროდა.

ვინც უფრო მშინარა და მხდალი იყო, ვინც ისე ლაჩარი იყო, რწყილსაც კი გაეჭეოდა და თოფის გასროლას ვერ გაბედავდა, თუ ორივე თვალს არ დახუჭავდა, ის უფრო სასტიკად სჯიდა ტარტარენს. კლუბში, ბულვარზე, სადაც კი შეხვდებოდნენ, მაშინვე დაცივნის ღიმილით გაუბრწყინდებოდათ სახე და ჰკითხავდნენ:

— რას მოგახსენებდით?.. გამგზავრებას საროდოოდ აპირებთ?

კოსტეკალდის მაღაზიაში ტარტარენის აზრს გასავალი აღარა ჰქონდა: ქულზე მონადირეთ^ს ის თავის უფროსად აღარ შიამნდათ.

ახლა შიირებიც ჩარიეს საქმეში! თავმჯდომარე ლადავეზი, როცა მოცლით იყო, მუზას გაუარშიყდებოდა ხოლმე და ამ შემთხვევის-

თვისაც ერთი ლექსი დაეწერა. ლექსი მოიწონეს, ზეპირად დაისწავლეს და დიდი და პატარა სულ იმას მღეროდა. ლექსში გამოყვანილი იყო ერთი გამოჩენილი მონადირე, სახელად ჟერვე, რომლის თოფსაც მთელი ატლასელი ლომები უნდა ამოეყლიტა. საუბედუროდ, მისი თოფი რაღაც ახირებული ჯურისა იყო, თუ შელოცვილი: იტენებოდა, იტენებოდა და გავარდნით კი თავის დღეში არ გავარდებოდა.

თავის დღეში არ გავარდებოდაო! ხომ მიხვდით, ამ მათრახით ვისა სცემდნენ?..

ეს ლექსი სახალხო სიმღერად იქცა და, დაინახავდნენ თუ არა მუშები ან წალის მწმენდავი ბიჭები ტარტარენს, მაშინვე დასძახებდნენ:

იტენება ჟერვეს თოფი,
ჩახმახი ყალყზე დგებო;
თუნდ მუგუზალი დაადო,
მაინც არ გავარდებო!

ოღონდ შორიდან უმღერდნენ... ორკეცი კუნთებისა ეშინოდათ და!

ო, მსწრაფლ წარმავალო ტარასკონელთა აღტაცებაე!

ტარტარენი კი ისე იქცეოდა, თითქო არასა ხედავს და არა ეყურება რაო; მაგრამ გულში რომ ჩაგეხედათ, ჯოჯოხეთის ალი უტრიალებდა, ისე ჰქენჯნიდა მის სულს ეს ჩუმი, მალული აჯანყება თავისი თაყვანისმცემლებისა! გრძნობდა — ტარასკონი ხელიდან მისხლტებოა, ხალხისაგან თაყვანისცემა ახლა სხვას ერგებოა და ჩუმიად წუხდა. ეჰ, ტკბილია დიდებით სავსე ვარცლი და მისი დასაკუთრება, მაგრამ თუ წამოპირქვავდა...

საშინლად წუხდა ტარტარენი, იტანჯებოდა, მაგრამ ხალხს კი ისევ ისე ეჩვენებოდა, როგორც წინათ; ისევ ძველებურად ცხოვრობდა, თითქო უსიამოვნო არაფერი მომხდარიყო.

ხანდახან კი თავს ვერ შეიკავებდა, ამყური სიმხიარულით ჩაჩს ჩამოიშვლებდა და სიცილის წილ გულის ტკივილი და ზიზღიდა ეხატებოდა სახეზე.

სწორედ ასე მოუვიდა ერთ დილას. ქუჩის ბიჭები შეყრილიყვნენ მის ფანჯრებთან და ახალ სიმღერას გაიძახოდნენ: იტენება ჟერვეს თოფიო... იმ დროს გმირი სარკის წინ გამოჰიმულიყო, მსუ-

ქანი ლოყები დაესაპნა. ხელში სამართებლი ეჭირა და ის-ის იყო პირის პარსვას აპირებდა (ტარტარენის წვერი ისეთი სისწრაფით იზრდებოდა, დიდი თვალ-ყურის დევნება უნდოდა!), რომ იმ წუჟაკების სიმღერა შემოესმა.

უცბად გადასწია ფარდა, დასაპნული პირით გადაეყუდა ფანჯარას და სამართებლის ქნევით, საშინელი რიხით შესძახა:

ხმლით მობრძანდით, ბატონებო,
ლექსით რა საკადრისია!

ისტორიის ღირსი იყო ეს საკვირველი სიტყვები და წუნი თუ ჰქონდა რამე — მხოლოდ ის, რომ ამ ლექსით გმირმა ქუჩის ბიჭებს მიმართა, გოჯის სიმაღლე ბიჭებს, რომელთაც ხმლის დაჭერა და ხმარება სიზმარშიც არ ენახათ.

XII

რა თქვეს ბოზაშის კატარა ხახლში

მთელი ქალაქი ხელიდან წაუვიდა ტარტარენს; სამაგიეროდ, ჯარმა არ უმტყუნა.

გმირი ბრავიდა, ყოფილი კაპტენარმუსი ბრავიდა, მას ისევ ძველბურთი თაყვანისცემით და მოწიწებით ეკიდებოდა. „ძან, ძან ბიჭია“, გაიძახოდა ძველებურადვე და დამეთანხმებით, რომ თუკი აფთიაქარ ბეზიუკეს სიტყვებს ჰქონდა გასავალი, გმირ ბრავიდას სიტყვებსაც ექნებოდა. გმირ ბრავიდას ტარტარენის მგზავრობის შესახებ კრინტიც არსად დაუძრავს, მაგრამ როცა ნახა — საქმე ცუდად არის, ტარტარენს ლამის სიმხდალე და სიცრუე დასწამონო, გადაწყვიტა, — წავალ, მოველაპარაკებო.

ერთ საღამოს უბედური ტარტარენი იჯდა მარტოდმარტო თავის ოთახში და მწარე ფიქრებს მისცემოდა. ამ დროს შემოვიდა გმირი ბრავიდა; შავი ხელთათმანები გაეკეთებინა, ფორმის ტანსაცმელი მთლად შეკრული ჰქონდა: ეტყობოდა, სტუმრად კი არა, საქმეზე გარჯილიყო.

— ტარტარენ, — თქვა გადაწყვეტით ბრავიდამ. — ტარტარენ, უნდა წახვიდე, — და შიგ კარებში გაჩერდა, გაშეშდა, თითქო თვით განხორციელებული ვალდებულება გამოეცხადო.

ამ სიტყვებში — „ტარტარენ, უნდა წახვიდე!“ ბევრი რამ იყო ნათქვამი და ტარტარენმაც იგრძნო, სულ ყველა იგრძნო, თითქო გმირ ბრავიდას გულში უზისო.

გაყვითლდა ჩვენი ტარტარენი, ცივმა ოფლმა დაასხა, წამოდგა და ალერსით გადახედა ლამაზად მორთულ ოთახს (მშვენიერი იყო ეს ოთახი, მყუდრო, თბილერ, საამური სინათლით სავსე, რბილი სავარძლებით მოკაზმული, წიგნებით და ხალეებით დამშვენებული, ნაკერი ფარდებით დაჩრდილული! ფანჯრებში ბაობაბის ტოტების შრიალი შემოდისო და ყურს უტკბობდა...). გადახედა ალერსით, ნაღვლიანი თვალთ, მერე გმირ ბრავიდასკენ წავიდა, ხელი ჩამოართვა, მაგრად დასწია და გრგვინვით, თითქო ქუსს და თანაც ცრემლს აფრქვევსო, გადაწყვეტით უთხრა: „წავალ, ბრავიდა!“

წავიდა კიდევ როგორცა თქვა! ოღონდ მაშინვე კი არა... დრო უნდოდა, მომზადებულიყო.

და შეუდგა მომზადებას. ბომპარს ორი სპილენძით მოჭედილი ზანდუკი შეუკვეთა და ზედ წააწერინა:

იარაღი. ტარტარენ ტარასონელი

ზანდუკის სპილენძით მოჭედვას და ზედ წარწერას კარგა ხანი მოუწინა. ტასტავენს მშვენივრად დაკაზმული რვეული შეუკვეთა, რომ გზაში დღითი დღე თავისი თავგადასავალი და შთაბეჭდილებანი ეწერა. ლომზე ნადირობა ხომ ნადირობაა, მაგრამ კაცნი ვართ, ვინ იცის, გზაში რამდენი ახალი ფიქრი გაგვირბენს თავშიო.

მერე მარსელიდან მთელი საპალნე ბარგი-ბარხანა დაიბარა: პემიკანის კვერები — თათარიანის გასაკეთებლად და სხვადასხვა ადვილად შესანახი და სატარებელი საკმელები; ახლად გამოგონილი კარავი, რომელიც შეიძლებოდა ერთს წუთში დაგედგათ და ისევ დაგეშალათ, ზღვის წაღები, ქოლგები, ნაბდები, ლურჯი სათვალე. — თვალის ტკივილი არ შემხვდესო; აფთიაქარმა ბეზიუკემ ერთი პატარა საგზაო აფთიაქი მოუშინა და რა წამალი გნებათ, შიგ არ მოაქცია: ქაფური, ჯულაბი, ძმარი, გენაგეჩაის ზეთი...

საბრალო ტარტარენი! გარწმუნებთ, ეს სამზადისი თავისთვის არ უნდოდა, მაგრამ რას იზამდა? იქნება ამ სიფრთხილით და მზრუნველობით მაინც დავამშვიდო როგორმე გაცოფებული ტარ-

ტარენ სანჩო, ფიქრობდა და მართლაც, ტარტარენ სანჩო მას შემდეგ, რაც წასვლა გადაწყვეტილი იყო, სულ ძალღივით იღრინებოდა და აღარც ღღე, აღარც ღამე მოსვენებას აღარ აძლევდა თავის უბედურ კიხობს.

XIII

ქ ა ს კ ლ ა

ბოლოს, ეს დიდი ხნის ნალოდინევი, ნეტარი ღღეც გათენდა.

ირიქრატა თუ არა, მთელი ტარასკონი ფეხზე დადგა. აფინიონის გზაზე და ბაობაბის პატარა სახლის გარშემო ქუჩებში უღეტა იყო ხალხისა.

ხალხით სავსე იყო ფანჯრები, ბანები, ხეებზედაც კი აცოცებულ იყვნენ; რონის მენაეები, მუშები, წალის მწმენდავები, ხელოსნები, მოქალაქენი, საზოგადოებანი, — ერთი სიტყვით, მთელი ქალაქი აქ მოგროვილიყო; ახლა ბოკერიდან გამოსულები რამდენი იყვნენ, ახლომახლო სოფლებიდან მოსულები! მეზოსტნეები თავიანთ სახედრებში გამოსულიყვნენ, მეზალეებს ჯორ-ცხენები სულ ყვავილებით და ზარებით მოერთოთ და ისე ამხედრებულ იყვნენ, აქა-იქ არღიდან მოსულ გოგოებსაც კი დაინახავდით — ისე მორთულიყვნენ, თითქო ღღეობაში მიდიანო, და თავიანთ მეგობარ ყმაწვილ ბიჭებს ცხენს უკან უსხდნენ.

და ეს ამოდენა ხალხი ტარტარენის სახლისკენ მიიწევედა — ჩვენი ტარტარენი თათრებში მიდის ლომების დასახოცადლო.

ტარასკონელების აზრით ალჟირი, აფრიკა, საბერძნეთი, სპარსეთი, ოსმალეთი, მესოპოტამია — ერთ უშველებელ ქვეყანას შეადგენს, რაღაცა ზღაპრულ ქვეყანას, რომელშიც, თათრების გარდა, სხვას ვერავისა ნახავთ.

ამოდენა ხალხში ისე გახარებული არავინ იყო, როგორც ქულზე მონადირენი. მათმა გმირმა და მოთავემ ძველი დიდება მოიპოვა, გაიმარჯვა და გამარჯვებული მიდის ლომებზე სანადიროდ. განა ამაზე მეტი შეიძლებოდა კიდევ ენატრათ რამე?! ისე ამაყად და ამპარტავნად მიდი-მოდიოდნენ და შესცქეროდნენ იქ მოგროვილ ხალხს, თითქო ტარტარენი კი არა, ესენი მიდიან სანადიროდო.

ბაობაბის სახლის წინ ხელით სატარებელი ურმები იდგა. კარი წამდაუწუმ იღებოდა, მუშებს ბარგი გამოჰქონდათ და ურმებს უღებდნენ. რა გნებავთ, რომ აქ არ ყოფილიყო: მაფრაშები, ზანდუ-ეები, ყუთები, ტომრები, პარკები, ბოლჩები...

და როგორც ახალს გამოიტანდნენ რასმე, ხალხში ერთი ურია-მული ატყდებოდა: „კარავი! კარავი! აგერ კარავი გამოიტანეს! საკ-მელებს ხედავთ, საკმელებს! წამლები! იარაღი! რამდენი იარაღია!“ ქუღზე მონადირენი იქვე ტრიალებდნენ და მსურველთ ყველაფერს უხსნიდნენ.

ათი საათი იქნებოდა, რომ ვიღაცამ მართლდა მღევური ძალით გამოარახუნა ბალის კარი... რკინის კარი! ხალხმა იგრიალა:

— ის არის!.. ის არის!

მართლაც ის იყო!..

და რომ გამოჩნდა, განცვიფრებულმა ხალხმა ერთხმად შესძახა:

— თათარი!..

— სათვალეც რომ გაუკეთებია!

ტარტარენს გადაეწყვიტა, რაკი ალყირში მივალ, ჯობს ტანისა-მოსიცი ალყირული ჩავიცვაო. განიერი, გაბერილი თეთრი შარ-ვალი ჩაეცვა, მოკლე ქულაჯა, წელზე წითელი სარტყელი შემოეკ-რა, ყელტიტველა იყო, შუბლი გაეპარსა, თავზე უზარმაზარი ფესი ჩამოეცვა და ზედ მელის კუდივით გრძელი ფოჩი მიემა. ამასთან მხრებზე თოფები გაედო, სარტყელში კარგი ხანჯალი გაეკეთებინა, მუცელზე — ტყვიით გატენილი პარკი და გვერდზე — ზორბა რე-ვოლვერი თავისი ტყავის ბუდით.

იარაღი ზედმეტი არა ჰქონდა რა!

მაგრამ უკაცრავად! კინაღამ სათვალე დამავიწყდა! უშველებელი ლურჯი სათვალე გაეკეთებინა და, უნდა ითქვას, ძალიანაც უხდებოდა. ცოტა არ იყოს, ეს სათვალე ფარავდა, თორემ მართლაცდა საშინელი შეხედულება ექნებოდა ჩვენს გმირს.

— ტარტარენს გაუმარჯოს! გაუმარჯოს ჩვენს ტარტარენს! — შეჰბლავლა ხალხმა;

დიდებულმა ტარასკონელმა ამის პასუხად გაიღიმა, მაგრამ თავის დაკვრა კი ვერ მოახერხა, რადგან ორი თოფი ეკიდა და თავისუფ-ლად მოძრაობა ვეღარ მოეხერხებინა. ესეც რომ არ ყოფილიყო, ახლა კი კარგად იცოდა — რა არის ხალხის სიყვარული და აღტა-

ცემა: ვინ იცის. იქნება თავის გულის გულში ლანძღავდა და დედა-ბუდიანად იღებდა ტარასკონელებსაც და მათ მიერ მინიჭებულ დიდებასაც! ამ დიდების გადაძვირებულ უნდა ამდგარიყო, თავი დაენებებინა თავის კოპწია სახლისთვის, რბილი ლოგინისთვის... მაგრამ გულის გულში ხომ ვერავინ ჩახედავდა.

მშვიდად და ამაყად, თუმცა ცოტა ფერმიხდილი იყო, გავიდა გზაზე, თავის ბარჯს გადახედა და რაკი დარწმუნდა — სულ ყველა რიგზე არისო, სახე მოიმზიარულა და რკინიგზის სადგურისაკენ გასწია. მიდიოდა და ერთხელაც არ მოუხედავს თავისი პატარა სახლისკენ, თითქოს სასაიდანოდ მიდის და ახლავ დაბრუნდებო. უკან გმირი კაპიტანი ბრავიდა მისდევდა, კაპტენარმუსი ბრავიდა, თავმჯდომარე ლადავეზი, მერე შეიარაღე კოსტეკალი და ყველა ქუდზე მონადირე. მათ შემდეგ ურმებს მიაგორებდნენ და ბოლოს ხალხი იყო.

რკინიგზის სადგურის უფროსი წინ გამოეგება (1830 წ. აფრიკაში ნამსახური კაცი იყო), რამდენჯერმე ჩამოართვა ხელი ლომებზე სანადიროდ მიმავალს და შესაფერი ქება უთხრა.

ჯერ აღრე იყო. ტარტარენი თავისი ამალით დარბაზში შევიდა და რადგან ხალხს უნდოდა თავის გმირს თან შეჰყოლოდა, უფროსმა ეზოს კარი დააგეტინა.

რამდენიმე ხანი იარა გმირმა დარბაზში და ქუდზე მონადირენიც თან დასდევდნენ. მათ თავის მგზავრობაზე, ნადირობაზე ელაპარაკებოდა და ყველას ჰპირდებოდა — ლომის ტყავეებს გამოგიგზავნი-თო. უბის წიგნი ამოაღებინეს და ვისაც უნდოდა ლომის ტყავი მიეღო, შიგ თავის სახელი უნდა ჩაეწერა.

ისე დამშვიდებული, მგონი, თვით სოკრატეც არ იყო საწამლავს რომ სვამდა, როგორც იმჟამად ტარტარენი. თითო საამური სიტყვა ყველასათვის იპოვა, ყველას უღიმოდა, დაწყნარებული ლაპარაკობდა ნელი ხმით და თან ალერსიანად, თითქო ცდილობს წასვლამდე სიყვარული და ალერსილა დათესოს, რომ ყველამ სიამოვნებით, სინანულით და გულისკენისით მოიგონოსო. ქუდზე მონადირენი გულამომჯდარი შეჰყურებდნენ თავის უფროსს, ცრემლი ერეოდათ და ზოგმა სინანულიც იგრძნო, მაგალითად, თავმჯდომარე ლადავეზმა და აფთიაქარმა ბეზიუკემ. რკინიგზის მუშები კუნჭულ-

ში მიმალულიყვნენ და ჩუმად ტიროდნენ, გარეთ კი მოაჯირის იქით შეგროვილი ხალხი ყვიროდა:

— ტარტარენს გაუმარჯოს!

ბოლოს ზარიც დაჰკრეს.

მატარებელი ჩამოდგა, ორთქლმავლის გამაყრუებელმა სტვენამ შეაზანზარა იქაურობა.

— ჩასხედით, ბატონებო, ჩასხედით!

— მშვიდობით, ტარტარენ! მშვიდობით!..

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, — წაილულლულა გმირმა და გადაეხვია ბრავიდას. ამით ის მთელ თავის საყვარელ ტარასკონს ჰკოცნიდა.

მერე გარეთ გავარდა და სწრაფად ავიდა ვაგონში; ვაგონი პარინჯელი ქალებით იყო სავსე და ამ უცნაური ადამიანის შესვლაზე, ამოდენა თოფების და რევოლვერების დანახვაზე საწყლებს შიშით გული წაუვიდათ.

XIV

მარსელის ნავსადგური

186... წ. პირველ დეკემბერს მარსელში მშვენიერი, საგანგებო დარი იდგა; მზეს კაშკაში გაჰქონდა, ჰაერში სითბო ტრიალებდა, ქუჩები ხალხით იყო სავსე. სწორედ ამ მშვენიერ დღეს, ასე, პირველი საათი იქნებოდა, მარსელის ქუჩებში ერთი საშინელი თათარი გაჩნდა. თათარი და მერე რა თათარი? ხომ ალყირელებით და ოსმალოებით სავსეა მარსელი, მაგრამ ამისთანა ჯერ არავის ენახა.

მგონი საჭირო არ იყოს მოგახსენოთ, რომ ეს მარსელელების შემაშინებელი თათარი ტარტარენი გახლდათ ტარტარენ ტარასკონელი. დიახ! ტარასკონელმა. გმირმა ფეხით გაიარა მთელი ქალაქი, რკინიგზის სადგურიდან ზღვის პირამდე, გადაჭრა მარსელის ბულვარი და თან ქალაქიც დაათვალიერა. მიდიოდა და უკან ხელის ურმებზე დადებული იარაღი და ბარგი მისდევდა, — თავისი საგზაო აფთიაქი, საკმელები, კარავი, პარკები, ყუთები, მაფრაშები...

ყურებში ისევ ტარასკონელთა ყვირილი უდგა — „ტარტარენს გაუმარჯოს!“ თბილი მზე გულს უბრწყინებდა, ზღვის სუნი ყნოსვას უტკბობდა და ამგვარად ნეტარებით აღსავსე გმირი ნელი ნაბი-

ჯით მიდიოდა ზღვის პირისაკენ, რომ იქ „ზუაზე“ — ალყირში მიმავალ გემზე დამჯდარიყო. ორივე მხარზე თოფები გაეწყო, თავი ამპარტანულად მალლა აეწია და გაკვირვებით სინჯავდა ამ განსაცვიფრებელ ქალაქს და ზღვის პირს, რომელსაც პირველად ხედავდა. თითქო საწყალს თვალები აუჭრელდაო, სულ იმას ეკითხებოდა თავის თავს — ცხადად ვხედავ ამას, თუ სიზმარში ვარო? თან ელანდებოდა — მე მეფე სინდბადი ვარ, ეს კიდეც ზღაპრული ქალაქია და მე დავიბყარო... სწორედ ისე, როგორც არაბულ ზღაპრებში წაეკითხა — „ათას ერთ ღამეში“.

ზღვაში თვალს ვერ გადაუწვდენდით, იმდენი ხომალდი იყო; ზოგი იღვა, ზოგი მიდი-მოდიოდა. ყველა ქვეყნის ღროშას აქ ნახავდით გემებზე ამართულს, — რუსეთის, საბერძნეთის, შვეციის, ტუნისის და ამერიკისას... ნავებით სავსე იყო იქაურობა და ბუზივით ირეოდნენ ზღვაში. ზედ გამოქანდაკებული წმინდანები მოჩანდა და ზოგან ზღაპრული ალი, ზოგან უწინდელი ბერძნული ღმერთები. ყველა ამას ზღვის წყალი სდიოდა, ზღვის წყალი ასველებდა და აობებდა... ხანდახან გემებშუა შორი ზღვა გამოჩნდებოდა, გაშლილი ზღვა, მაგრამ სარკესავით ანკარა კი არა, რომელსაც ტარტარენს ოცნება უხატავდა, — მღვრიე, ჩაყვითლებული, თითქო ზედ ზეთი გადაუსხამთო.

ზღვის პირას მთელი მდინარეები დიოდა საპნის ქარხნებიდან გამონადენი ჭუჭყისა და ნარეცხისა, სქელი, ჩამწვანებული, ჩაშავებული მდინარეები ქონის და სოდისა. აქვე ირეოდნენ საბაჟოს მოხელეები და მებარგულეები, რომელთაც პატარა კორსიკული ცხენები ჰყავდათ ოთხთვალეებში შებმული.

სულ ყველაფერი უეკირდა: აქ გასაოცარ ტანისამოსს ჰყიდდნენ, იქ მაიმუნებს, ჩიბუხებს, თუთიყუშებს... ისეთი საბელი, ისეთი სახომალდო ტილოები, როგორიც აქ ნახა, თავის დღეში არსად ენახა. ზოგან კიდეც დედაკაცები ზედ მოედანზე გამოჭიმულიყვნენ და რაღაც საზიზღარ ლოკოკინებს ჰყიდდნენ!

უჰ, რამდენი საქონელი ყოფილა ამ დალოცვილ მარსელში! აბრეშუმეული, ლითონები, ძვირფასი თვლები, ხე-ტყით დატვირთული გემები, გადამდნარი ტყვია, მაუდი, შალი, შაქარი, ყავა! აღმოსავლეთი და დასავლეთი აქ შერეულიყო ერთმანეთში.

ქვემოთ იყო პურის მოედანი. ეზიდებოდნენ მუშები ტომრებს,

უღებდნენ ურმებზე და მიჰქონდათ, თან ცოცხით ხელში ღარიბი დედაკაცები და ბავშვები მისდევდნენ, იქნებ ჩვენც გვერგოს რამეო. ცოტა ქვემოთ დაზიანებულ ხომალდებს აკეთებდნენ. საშინელი ხმაურობა, მანქანების ტრიალი, ფისის სუნნი, ჩაქუჩის ხმა ტრი-ალეზდა ჰაერში.

აგერ ინგლისის გემი დაიძრა, მალტასკენ მიემგზავრება. და განცვიფრებით შეჰყურებს ტარტარენი დაკრიალებულ გემს, მასზე მყოფ ზღვაოსნებს, მათი ოფიცრების ყვითელ ხელთათმანებს. ზევით რაღაც ყიჟინა ატყდა, გაიხედა გმირთა-გმირმა და თვალები ზედ დარჩა — ფრანგული გემი დაიძრა! რა კონტად მიდის, რა ლა-მაზად გამოჰიმულა კაპიტანი და რა მედგარი ხმით აძლევს თავის ხალხს ბრძანებას. ზღვის ნაპირს კი ხალხი მოგროვილა, ხუმრობენ, ლაზდანდარობენ, იგინებიან. მერე რა გემრიელი გინება სცოდნიათ მარსელში!

ამისთანა შეუწყვეტელი მოძრაობა, ამისთანა ხმაურობა ტარტარენს ჭერ არსად ენახა. შოლტის ტყლაშუნი, ხომალდების სტვენა, მუშების სიმღერა, გინება, ნაღარა და ზარის რეკა და ამასთან მარსელის ზღვის ქარი, — ერთმანეთში ირეოდა ყველა ეს ხმა და რაღაც ქაჭურ მუსიკად მოესმოდა ჩვენს მონადირეს. ასეთი ტკბილი მუსიკა მას ჭერ არსად გაეგონა, ყურს უგდებდა და, ვინ იცის, რა არ ელანდებოდა ამ ხმებში... გმირთ გმირო, ხელი ხმალს იკარ! ლომები ამოყლიტო!

მეოცე მუცე

თ ა თ რ ე ბ შ ი

I

ზღვაში. ყოჩის თავბადასაქალი. საღამო მესამე

დღისა

ნეტავი მხატვარი ვიყო, ჩემო კეთილო მკითხველო! ნეტავი სახე-ლოვანი და ძლიერი მხატვარი ვიყო, რომ ეს მეორე თავი სურათით დავიწყო და დავიხატოთ — რამდენი ტანჯვა-წამება ნახა ტარტარე-

ნის ფეს-ფოჩმა იმ სამი დღის განმავლობაში, როდესაც „ზუავი“ საფრანგეთიდან ალჟირისკენ მიდიოდა.

გემი რომ დაიძრა, ტარტარენი გმირულად იყო გამოქვიშული ზემო აივანზე. გმირული ფესის ფოჩს სულ კამკამი გაჰქონდა და გამოჩენილი ტარასკონელის გამოჩენილ თავს სხივსა და ელვარებასა ჰფენდა. ეს პირველი სურათი. მერე სულ სხვა სურათს დაგიხატავდით: გემმა ზვირთებზე თამაში მორთო და საწყალმა ფოჩმა კანკალი დაიწყო, თითქო გულმა უგრძნო — ცუდად არის ჩემი საქმე, მე ამ ზღვას მშვიდობით ველარ გადავურჩებიო.

გემი კი მიდიოდა.. ხმელეთი აღარსად ჩანდა. ქარმა იმატა, ზვირთები მთებივით იძროდნენ და „ზუავი“ სულ ბუქნასა სცემდა. აბა, კარგი სურათი ეს იქნებოდა აი: დაჰქროლა ქარმა, შეშინდა ფოჩი, ღორის ჯაგარივით აეშალა თმა, გული გაუსკდა და დაიწყო თრთოლა: მშვიდობით, მომივიდა დღე აღსასრულისაო! შემდეგი სურათი კიდევ უკეთესი იქნებოდა: საღამო არის, ასე, ექვსი საათი იქნება, შორს კორსის კიდეები მოჩანს. გადაჰყუდებია უბადრუკი ფოჩი მოაჯირს და ფერმიხდილი დაშტერებია გააფტრებულს ზვირთებს. და ესეც უკანასკნელი და საუკეთესო სურათი: პატარა ოთახში, განჯინის უკრასავით ვიწრო ლოგინში დაგანახებდით რაღაც ქმნილებას, უფორმოს, იმედმიხდილს, მწარედ მკენესარს. სადღაა გმირული ელვარება გმირის ფესის ფოჩისა? სადღაა ის შნო და კოხტობა, ტარასკონელები რომ გააგიჟა? უბრალო მიჯარევით ზედ ყურებამდე ჩამოსჩაჩია ფესი ვიღაცა ავადმყოფს, ფერმიხდილს, შეკუმშულს, გულის ჭიდილით მისუსტებულს და შიშისაგან გულწასულს...

ეეჰ! ნეტავ კი ენახათ ტარასკონელებს თავიანთი სახელოვანი თანამემამულე ამ ყოფაში და! ნეტავი ენახათ — როგორ მოკუნტულიყო განჯინის უკრაში, რაღაცა ბნელ და დამაღონებელ სოროში, როგორ აწუხებდა გულის ამრევი სუნი გემისა და სამზარეულოსი! ნეტავ გაეგონათ რა საცოდავ კენესის ბანს აძლევდა ხმამიხდილი გმირი გემის ყოველ მოძრაობას! რა მწარე კნავილით თხოულობდა წამდაუწყუმ: ჩაი! ჩაი, ერთი პირი გავისველოო! ნეტავ გაეგონათ, რა ენით, თუმცა მიმტკნარებული ხმით, ლანძღავდა მოსამსახურეს, რომ საწყალი კაცი სადღაც ალჟირში გაისტუმრეს და სიცოცხლე მოუსწრაფეს. იქნება შეენანათ კიდევ! მე ხომ ისტორიის მეტს არას მოგიტხრობთ და ისტორიკოსის პატიოსან სიტყვას ვფიცავ — საბ-

რბლო გმირი მართლდა საცოდავი რამ იყო. ავადმყოფობა უცბად დაეტაკა, ისეთი ძალით დაეტაკა, რომ თათრული სარტყელის მოშვებაც კი ვედარ მოახერხა, იარაღის მოხსნას ვინდა ჩივის. შიგ გულის ფიცარში სცემდა გრძელი ხანჯლის ტარი, რევოლვერმა ხომ კუნთები დაუსისხლიანა. ამას ზედ დაუმატეთ ლანძღვა-გინება ტარტარენ სანჩოსი, რომელიც ტარასკონიდან მოყოლებული სულ ცოფიანი ძაღლივით იღრინებოდა:

— შე სულელო, შენა! არ გეუბნებოდი, ჰა?! ააჰ! ლომებზე ნადირობაც მომინდომე? აფრიკის ნახვაც მომინდომე?! ჰე, მოგზვდა ახია შენზე!.. როგორ მოგწონს?!. ყეყეჩი!..

მაგრამ ყველაზე გულსაკლავი ის იყო, რომ ჩვენი სიცოცხლემიხრწნილი გმირი მწარედ კენესოდა და იქვე საზოგადო ოთახიდან კი იმისთანა მხიარული ხმა ისმოდა სხვა მგზავრებისა, ისეთი გულიანი სიცილი და სიმღერა, რომ შურით გული უწუხდებოდა და უფრო სუსტდებოდა. „ზუაგზე“ საკმარისი საზოგადოება შეკრებილიყო და უნდა გენახათ, რა მხიარულად ატარებდა დროს ეს აქნობამდე ერთმანეთისთვის უცნობი ხალხი. აქ იყვნენ შინიდან სამსახურში მიმავალი ოფიცრები, თავისუფალი სიყვარულის მიმდევარი ქალები, კომენდანტები, ერთი მექიდან მომავალი მდიდარი თათარი და ერთიც ჩეროგოროიელი — საკვირველი ხუმარა და მხიარული თავადი... ამოდენა ხალხში ერთი არავინ გალახულა ზღვაზე და ყველანი მშვენივრად, მხიარულად ატარებდნენ დროს. ამ საზოგადოების სული თვით „ზუავის“ კაპიტანი ბ-ნი ბარბასუ გახლდათ. კარგი ბიჭი იყო კაპიტანი, კარგი ცხოვრება უყვარდა, უყვარდა ღვინი და მხიარულება, მარსელში ერთი სახლობა ჰყავდა, ალჟირში — მეორე... ისხდნენ და შეექცეოდნენ შამპანურ ღვინოს!

ტარტარენ ტარასკონელს ამათი სიმხიარულე უფრო კლავდა! ავადმყოფობას უორკეცებდა (აჰ, ნეტავი კარგად ყოფილიყო და სეირს აჩვენებდა მათ!). ბოლოს, მესამე დღეს, საღამოზე, გემზე იმისთანა გაგიჟებული სირბილი ატყდა, იმისთანა ყიჟინა და ყვირილი, რომ ჩვენი ავადმყოფიც კი გამოფხიზლდა. წინა ზარს რეკდნენ. ეტყობოდა, რაღაც განსაცდელში უნდა ყოფილიყო გემი, რომ ასეთი ალიაქოთი ატეხეს ასე მოულოდნელად.

— მანქანა გასწიეთ!.. უკან დასწიეთ! — ყვიროდა ზრინწიანი ხმით კაპიტანი ბარბასუ.

მერმე ჩასძახა — დააყენეთო!

გემიც გაჩერდა. ერთი კი შეინძრა და... ხან აქეთ დაიზნიქებოდა, ხან იქით... საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა...

ამ სიჩუმემ გული გაუხეთქა ტარტარენს.

— მიშველეთ! გემი დაიღუპა! — შეპბლავლა საწყალმა საზარელი ხმით და, თითქო რალაც სასწაული მოხდაო, ისეთი სიმარდით გადმოხტა თავისი უჯრიდან, გეგონებოდათ თავის დღეში ავად არა ყოფილაო. ერთ წამში ზევით გაჩნდა... კიდევ კარგი, რომ ავადმყოფობაში იარალი არ შეეხსნა...

II

კრიკა, გემობრენი!

კი არ იღუპებოდა... გემი ალყირის ნავსადგურში შევიდა და გაჩერდა. მშვენიერი იყო ეს ნავსადგური, ყველაფრით შემკული, მაგრამ ისე მიჩუმებულყოფი, გეგონებოდათ, აქ ქალაქი კი არა, უდაბნო არისო. „ზუავის“ გარდა სხვა გემი არსად იყო. პირდაპირ, მთის ფერდობზე ქალაქი ალყირი მოჩანდა თავისი მომცრო თეთრი შენობებით და თანაბრად ჩამოკეცებოდა ზღვის პირამდე, თითქო შენობები ერთმანეთს აწვებიანო. ზემოდან მხიარული, მოწმენდილი ცა დასცქეროდა და უფრო ამშვენებდა ისედაც მხიარულ სურათს.

ამ სურათის დანახვაზე გამოჩენილმა ტარტარენმა, ცოტა არ იყოს, გული მოიბრუნა და ქალაქს სინჯვა დაუწყო. გვერდზე ჩერნოგორიელი თავადი უდგა და უჩვენებდა: აგერა ზემო უბანი, აგერა კაზბაპი, აგერა ბაბ-აზუნის ქუჩაო. ძაან, ძაან ზრდილი იყო ჩერნოგორიელი თავადი, ამასთან ალყირს კიდით კიდემდე იცნობდა და არაბულს ხომ დედაენასავით ლაპარაკობდა. თვით განგებამ მომივლინა. ეს იშვიათი ადამიანიო, ფიქრობდა ტარტარენი და გადაწყვიტა — ამას დაუემეგობრდებო, ვინ იცის, როგორ გამომადგესო.

ტარტარენი მოაჯირზე გადაყუდებული შესცქეროდა აფრიკის კიდეს და გულმოდგინედ უგდებდა ყურს თავის ახალ ნაცნობს. ერთიც ვნახოთ, ქვემოდან ვილაცამ შავი ზორბა ხელები ამოყო, მერე ერთმა ხომ არა! ათმა, ოცმა!.. მოაჯირს მოეკიდნენ, გემზე აცოცე-

ბას ცდილობდნენ. და ვიდრე ტარტარენი ხმას ამოიღებდა, გემი ზანგებით აივსო. მერე რა საზიზღრები იყვნენ?! შავ-ყვითელნი, თითქმის ტიტველნი, საშინელნი, გულის ამრეენი! მიდი-მოდიოდნენ, ირეოდნენ, იქაურობას იკლებდნენ!

მაშინვე იცნო ტარტარენმა. ისინი იყვნენ, ისინი! მხდალი, ლაჩარი მტრები, რომელთაც ტარტარენი დღედაღამ სულ იმას უძახდა — მოდით რაღა, მოდითო!.. რომელთაც ტარასკონის ქუჩებში დაეძებდა და საომრად იწვევდა ახლა გაბედეს? ახლა? ძლივს!

მოულოდნელად თავს დაესხნენ! ჯერ შეერთა, ალაგიდან ველარ დაიძრა. მაგრამ რაკი დაინახა, რომ ის მყრალები მის ბარგს მივარდნოდნენ, თოკებს ხსნიდნენ და მიაბრენინებდნენ; რაკი ნახა, ახლა კი გემს იკლებენო, გამოფხიზლდა ჩვენი გმირი, ლომზე სანადიროდ მომზადებული, ხანჯალი იძრო და — არიქა, მეკობრენიო! — შეჰყვირა თავის თანამგზავრებს. დასძახა და პირველად თვით დაერია მეკობრეთა.

— რა იყო? რა მოგეჩვენათ? — მივარდა შეშინებული კაპიტანი ბარბასუ.

— სადა ხართ, კაპიტანო?! აბა, ჩქარა გაამაგრეთ თქვენი ხალხი!

— აი დალაზერა!.. რა ექნა, სიზმარში ხომ არა ხართ?

— ვერა ხედავთ?..

— რას უნდა ვხედავდე?

— ვერა ხედავთ?.. აგერა!.. მეკობრენი!

სახტად დარჩა კაპიტანი ბარბასუ და განცვიფრებული შესცქეროდა ტარტარენ ტარასკონელს. სწორედ ამ დროს გამოატარა ერთ-მა ზანგმა ჩვენი გმირის წამლებით სავსე ზანდუკი — აფთიაქარ ბეზიუკეს საჩუქარი; წამოეკიდა და მიაბრენინებდა!

— დამაცა! დამაცა, შე მყრალო, შენა! — შეჰბლავლა ტარტარენმა, იძრო ხმალი და მეკობრეს გამოეკიდა.

კიდევ კარგი, რომ ბარბასუ წამოეწია, სარტყელში სტაცა ხელი და შეაყენა.

— ვაი! ამას ლენცოფა ხომ არ უჭამია! სადა ხედავთ მეკობრეთ?! რამდენი ხანია მეკობრენი აქ აღარსად არიან! რის მეკობრენი, ხომ არ გაგიყებულხართ?! მუშები არიან და ბარგს ეზიდებიან.

— მუშებიო?!

— მუშები, მაშ რა? ბარგს ეზიდებიან. ჩააგეთ ეგ ხმალი. მომეცით ბილეთი და ამ ზანგს გაჰყევით. კარგი, პატროსანი ბიჭია, თქვენს ბარგს ხმელეთზე გაიტანს და, თუ გნებავთ, სასტუმრომდეც გაიხლებათ.

ცოტა არ იყოს, შერცხვა ტარტარენს; ბილეთი მისცა და თან გაჰყვა თავის სამგზავრო აფთიაქის მომტაცებელს. გემიდან ჩაშვებული კიბე ჩაიარა და ნავში ჩაბრძანდა. ნავი სულ ბუქნასა სცემდა; საესე იყო ტარტარენის ბარგით. ზანდუკები, ყუთები, მაფრაშები, ტომრები, ბოლჩები — სულ აქ იყო. ისე გაეტენათ, რომ ამოდენა ბარგის პატრონიც ძლივსლა ჩაჯდა, არამც თუ კიდევ სხვა მგზავრისთვის ელოდნათ. ზანგი ზედ ბარგზე აცოცდა და მაიმუნივით ჩასკუპდა; მეორე ზანგმა ნიჩაბს წაატანა ხელი. ორივე სიცილით შესცქეროდა ტარტარენს და ბროლივით კრიალა კბილებს უჩვენებდა.

ტარტარენი კი ფეხზე იდგა. ბრაზმორეული შესცქეროდა ამ წუწკებს, ქვემო ტუჩი დაეშვა და ისეთი თვალით იყურებოდა, ტარასკონელებს რომ დაენახათ, სულ ჰირის ოფლს დაასხამდათ. თან ხანჯალს აცოდვილებდა: ხან ამოსწევდა ქარქაშიდან, ხან ისევ ჩააგებდა. არა, მართალია, კაპიტანმა თქვა — მუშები არიანო, მაგრამ ვინ იცის?.. ერთიც ვნახოთ... ამათ კაცი ენდობა, ამ ჯოჯოხეთის მამხალეებს, ამათა?.. მუშები განა ტარასკონში არ უნახავს, რა? ადამიანს მაინცა ჰგვანდნენ ეს წუწკები?!

ხუთი წუთის შემდეგ ნავი ხმელეთს მიადგა და ტარტარენმა იმ ქვეყანას შეაზო ფეხი, სადაც სამასი წლის წინათ ესპანეთიდან წამოყვანილი ერთი ტყვე — მიგელ სერვანტესი — თავის უკვდავ რომანს — „დონ კიხოტს“ — წერდა.

III

მრავანბნისადმი. დაბინავება. სად არიან მათრები?

ჰაი შენ, ჩემო თავო!

ო, მიგელ სერვანტეს საავედრა! თუ მართალს ამბობენ, რომ სადაც კი სახელოვანს და დიდებულს უცხოვრია ვისმე, იქ მისი სიკვდილის შემდეგაც ჰაერში ტრიალებს მისი დიდებისა და ძლიერების სული და უკუნითი უკუნისამდე რჩებაო, შენს ნაშთსაც

დიდად უნდა გახარებოდა აფრიკაში მოსვლა ტარტარენ ტარასკონელისა, სამხრეთ საფრანგეთის სამაგალითო წარმომადგენლის მოსვლა, რომელმაც საკვირველად შეაერთა ორი შენ მიერ დახატული გმირი: დონ კიხოტი და სანჩო პანსა!..

იმ დღეს კარგად ცხელოდა. ზღვის პირას სიციხისაგან გახურებულ ბულვარზე ჩანდა ოთხი-ხუთი მოხელე საბაჟოსი, რამდენიმე არაბი, — იქვე ქვევზე რომ მოეკეცნათ და გრძელ ჩიბუხს ეწეოდნენ, — და მალტელი ზღვაოსნები; ესენი ბადეს ისროდნენ და ათასობით იჭერდნენ პატარ-პატარა სარდინებს.

მაგრამ ტარტარენის გამოჩენა და ამ მყუდროების შერყევა ერთი იყო. მიძინებულმა ზღვის პირმა გამოიღვიძა და ფერი იცვალა; საიდანაც გაჩნდნენ ველურები, უფრო საშინელი და საზიზღარი, ვიდრე გემზე ნახული ზანგები იყვნენ, და ერთი ყიფინით, თითქო იერიშით მოდიანო, წამოვიდნენ ტარტარენისკენ. ზოგი არაბი იყო, ზოგი ზანგი. არაბნი სრულიად ტიტველნი იყვნენ და მთელ მათ ტანსაცმელს და სამკაულს მარტო შალის დაფხრეწილი მოსასხამი შეადგენდა; ზანგები უფრო მეტნი იყვნენ. არეულად მორბოდნენ დიდები და ბავშვები დაგლეჯილები, დაფლეთილები; ზოგს სადღაც სასტუმროს ფორმად მიღებული თეთრი ფეშტამალი ეშოვა, ზოგს მზარეულის თეთრი ქუდი ამშვენებდა. ერთი ყვირილით მისცვივდნენ ჩვენს ტარტარენს, გარს შემოეხევივნენ, ზოგმა ფეხში სტაცა ხელი, ზოგმა ხელში, ზოგმა იარაღში, კალთებში! ზოგი აქეთ ეწეოდა, ზოგი იქით! კინალამ შუაზე გაგლიჯეს! სხვები კიდევ იმის მარაგს მივარდნენ, აიკლეს, დაიტაცეს, თითქო პატრონი არსად იყო! ზოგი სამგზავრო აფთიაქს მიათრევდა, ზოგი მათგანას, ზოგი იარაღის ყუთს, ზოგი რას და ზოგი რას. თან რაღაცა ქაჯური ენით ლაპარაკობდნენ, ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, ბარგს ხელიდან სტაცებდნენ და საბრალო მონადირეს, ლომებზე მონადირეს, შიგ ყურში რაღაცა სასტუმროების დასახიჩრებულ სახელებს ჩასძახოდნენ.

გაშტერებულ ტარტარენს ჭირის ოფლი სდიოდა. რას იზამდა საწყალი? ხან ერთს გამოეკიდებოდა, ხან მეორეს, იგინებოდა, ილანძლებოდა. ხან ფრანგულად შეუკურთხებდა, ხან პროვანსულად! ასე გასინჯეთ, განსაცდელში ლათინურიც კი მოიგონა და შეჰყვირა: rosa! bonus, bona, bonum! ამის მეტი კი აღარა ახსოვდა რა!

სულ ტყუილი იყო: ყურსაც არ იბერტყავდნენ!

საქმე ცუდად იქნებოდა, რომ განგებას არ მოეხედა გმირთა გმირისთვის და მის დასახსნელად ერთი პატარა კაცი არ მოევიწიებოდა. პატარა კაცი იყო, ყვითელი საყელოთი დაემშვენებინა ტანისამოსი, ხელში ერთი კარგი, მსხვილი ჯოხი ეჭირა. მოულოდნელად ჩაერია ბრძოლაში, ერთი შეუტია, მიიქნ-მოიქნია ჯოხი, თითქო ჰომეროსის ღმერთი იყო, და მტვერივით გაფანტა იმოდენა მებრძოლნი. ეს გახლდათ ალჟირელი პოლიციის მოხელე. მერმე დიდის ზრდილობით მიმართა ტარტარენს. ურჩია „ვეროპის სასტუმროში“ ჩამოხტითო და ამასთან რამდენიმე ზანგს, სწორედ იმათ, რომლებიც წელან ასე სასტიკად ებრძოდნენ ჩვენს გმირს, უბრძანა — ბარგი სასტუმროში მიუტანეთო.

სულ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ტარტარენმა და განცივრებულია აღარ იცოდა, სად იყო, მართალს ხედავდა რასმე, თუ სიზმარში იყო? დააჰყიდა თვალები და ხან აქეთ გაიხედავდა; ხან იქით. ქალაქი ალჟირი მას წინათვე ჰქონდა წარმოდგენილი, ოღონდ ქალაქად კი არა, ისე რაღა, ერთი ზღაპრული, აზიური, ველური უნდა ყოფილიყო რამე; ცოტა რამ სტამბოლისა სცხებოდა და ცოტა კიდევ ზანზიბარისა... აქ კი...რა ვქნა, ეს ხომ ჩვენი ტარტარენიაო, ფიქრობდა ტარტარენი. იგივე ყავახანები, იგივე რესტორნები, ოთხსართულიანი სახლები, ლამაზი ბულვარი, ზედ კოპწია მოედანი, აქვე მემუსიკენი... ნამდვილი ტარტარენიაო, ფიქრობდა ლომებზე მონადირე. არა, პოლკასაც რომ ტარტარენულს უკრავენ, ოფენბახისას... იგივე მომცრო მაგიდები, აი დალაზვრა!.. მოქალაქენი ლუდს შეექცევიან; აგერა იმგვარი ქალებიც, რომ ერთს შემოგხედავენ და გაგრძობინებენ — მოდი, ჩვენ თავისუფალ სიყვარულს ვქადაგებთ სიტყვით და საქმითაო! მერე ჯარისკაცი. კიდევ ჯარისკაცი და, სადაც კი თვალი მისწვდება, ისევ ჯარისკაცი.

თათარი კი არსად იყო!

ტარტარენის გარდა თათარი არსად ჩანდა! ცოტა არ იყოს, კიდევ შერცხვა: ვაი, ეს რა მომივიდა! ეს მოედანი როგორ გადავიარო, ქვეყანა მე მიყურებსო!

მართლაცდა, ქვეყანა იმას უყურებდა! ქალები შედგნენ, ჯარისკაცი წამოდგნენ, ლუდს ყურადღებასაც აღარავინ აქცევდა; თვით მემუსიკეთაც კი ისე უცბად შეწყვიტეს ოფენბახის პოლონეზი, რომ საწყალს ცალი ფეხი ჰაერში შერჩა.

ორივე მხარზე თოფები ედო, სარტყელზე უშველებელი რევოლ-
ვერი ეკიდა და წინ გრძელი ხანჯალი. ყველანი იმას სინჯავდნენ —
ეს რა მოგვევლინაო? ძალიან გაუძლო გმირთა გმირმა ამოდენა
ხალხს! თავაწეული, შეურყეველი, გულმაგარი, ამაყად მიდიოდა,
თითქო რობინზონ კრუზო არისო, და ისე გაიარა ურიცხვ მაყურებელთა შორის, რომ წარბი არ შეუხრია. ძალიან გაუძლო! მაგრამ
შევიდა თუ არა სასტუმროში, ძალ-ლონემ უმტყუნა და დაქანცული,
მოშვებული ძლივსღა სუნთქავდა. ტარასკონიდან წამოსვლა, მარსე-
ლის ნავსადგური, ზღვა, ჩერნოგორიელი თავადი, მეკობრენი ისე
ირეოდნენ მის თავში, ისე არეულად მიდი-მოდოდნენ, რომ თავბრუ
ესსმოდა საწყალს. როგორც იყო, მიაღწია თავის ოთახამდე, იარაღი
მოიხსნა, ტანთ გაიხადა... მასპინძელმა ჰკითხა კიდევ: თუ ინებებთ,
ექიმს მოვიხმობთო... მაგრამ დაქანცულმა ტარტარენმა ერთი მილო-
ბალიშზე თავი და პასუხად ისეთი მედგარი ხვრინვა ამოუშვა, ისეთი
გემრიელი და ტკბილი ხვრინვა, რომ მასპინძელმა გადაწყვიტა — აქ
ექიმის მეცნიერება საჭირო არ არისო, და ყველანი ჩუმად, ფეხაყ-
რევით გავიდნენ ოთახიდან.

IV

ლომის სუნი მომდის!..

დაჰკრა ქალაქის საათმა სამი და ტარტარენმაც თვალები ჰკიტა.
ძან ძილი კი გამოაცხო, უნდა ითქვას! მთელი დღე ეძინა, მთელი
ღამე, მთელი დღიღა და კარგა ხანი სადილის შემდეგაც. მაგრამ ისიც
გაიხსენეთ, რამდენი წვალება გამოიარა საბრალომ ამ მგზავრობის
დროს!

გაახილა თუ არა თვალები, მაშინვე ის მოაგონდა — ლომების
ბუდეში ვარო! და — აქ დასამალავი რა არის? — მოაგონდა თუ არა,
ალეირული ლომები აქვე არიანო, ორ ნაბიჯზე, აი, წინ მიდგანან
და ახლა კი დროა წავიდე და ჩავუსაფრდეო, — თმა აეშალა, შეაყ-
რიალა გმირთა გმირს, ისე შეაჟრიალა, რომ მუშუტის ტოლად მო-
იკუნტა და თავიან-ტანიანად საბანქევშ შეძვრა.

გარედან კი სიცოცხლის სიმზიარულე შემოდოდა: მზე ანათებ-
და, ამშვენებდა ქვეყანას და საბანშიც კი უძვრებოდა ტარტარენს —

რა დროს წოლა არისო? ტარტარენი კი ფიქრობდა რა კარგი იქნება ახლა ერთი კარგი საუზმე მოვატანინო, აქვე ლოგინში შევექცეო, ზედაც ერთი ბოთლი წითელი ღვინო დავეყოლოო... და ცოტა ხნის შემდეგ მზიარულად და ისევ ძველებური, ტარასკონული სიამაყით გამოყო საბნიდან თავი. ფანჯრიდან ზღვას გადახედა, ცოტა ხნით გაპარული გმირობა მოიპოვა და შეჰყვირა: მაცალეთ, ლომებო, მა-ცალეთ! მერე შორს გადაისროლა თავის სიცივის მოწამე საბანი და აჩქარებით ტანთ ჩაიცვა.

ფიქრი რაღა საჭირო იყო? ქალაქიდან ისე უნდა გასულიყო, არავის სცოდნოდა — სად ან რად მიდიოდა; ქვიშიან უდაბნოში უნდა გასულიყო, დამე ჩასაფრებელიყო სადმე და ვაი, ლომების ბრალი, თუკი მის საფართან გავლას გაბედავდნენ! ბუჰ! 'მიგ თვალ-ში! ან გულში! მერე მეორე დილას დაბრუნდებოდა სასტუმრო „ევროპაში“, საუზმეს მოითხოვდა და... ვითომ აქ არაფერიყო, მე-ურმეს დაიპყრდა მოკლული ლომის მოსატანად... ჰაი, თუ გაკვირ-დებოდნენ ალყირელები! ჰაი, თუ მოულოცავდნენ! ჰეი! რა ბიჭი ყოფილაო!..

საუზმე გაათავა, იარაღი აისხა, მსწრაფლ გასაშლელი კარავი წამოიკიდა და ამოდენა ბარგისაგან გაშეშებული, თითქო შამფური ჩაუყლაპავსო, გზას გაუდგა, გზას ვისმე როგორ ჰკითხავდა — ერთიც ვნახოთ გამიგონ, სად მივდივარ და ქვეყანა შემიყარონო! მარჯვნივ შეუხვია. ბაბაზუნის უბანში ყველა დუქნიდან სულ ხროვა-ხროვა ვაჭრები გამოდიოდნენ და გაშტერებული უყურებდნენ — თითქო ობობებს ქსელი გაუბამთ და ბუზის გაბმას ცდილობენო. მერე თე-ატრის მოედანი გაიარა, ქალაქს გასცდა და ამტვერებულ შარავზას დაადგა — მუსტაფას გზას.

საკვირველი მოძრაობა იყო იმ დღეს მუსტაფას გზაზე. ერთმა-ნეთში ირეოდნენ ომნაბუსები, დილიყანსები, ურმები, ეტლები, ცხენოსანი ჯარი, და თან მისი ბარგი, ცხვრის ფარა, საკვირველად პატარა, მიკროსკოპიული ვირების ჯოგი, ზანგის დედაკაცები, რომ-ლებიც იქვე ქადებდა ჰყიდდნენ, ალზასიდან გადმოსახლებულთა ბავშვები და საქონელი; ამოდენა ხალხს და საქონელს ისეთი მტვე-რი აეყენებინა, ისეთი ყვირილი, სიმღერა და საყვირის ძახილი ის-მოდა. ჰაერში, რომ მეორედ მოსვლა ეგონა ჩვენს მონადირეს. გზის აქეთ-იქით ფიცრული დუქნები მოჩანდა, მედუქნე ქალები აქვე

ქუჩაში იდგნენ, თავს ივარცხნიდნენ და გამვლელ-გამომვლელს შეს-
ცქეროდნენ. დუქნები ჯარისკაცებით იყო სავსე...

„რა ვქნა, რას ამბობდნენ, აღმოსავლეთი, აღმოსავლეთიო! —
ფიქრობდა გაკვირვებული ტარტარენი: — ნეტავი ერთი თათარი
მაინც მენახა სადმე! მარსელში უფრო მეტსა ნახავთ, ვიდრე აქ!“

გაიხედა და გულმა ძაგძაგი დაუწყო. დინჯად, თითქო მისი ყუ-
რადლების ღირსი აქ არავინ არისო, მიაბიჯებდა ერთი უშველგებ-
ლი აქლემი, კისერი წაეგრძელებინა, ფეხები სირაქლემას უგავდა...
ტარტარენს ასე ლამაზი ჯერ არა ენახა რა.

— ბიჭო! აქლემი!? მაშ არც ლომი იქნება შორსაო! — თქვა
ტარტარენმა და, მართლაც, არ გაუვლია სულ ხუთ წამს, რომ წინ
რამდენიმე მონადირე შეხვდა... ლომზე მონადირენი... მხარზე თო-
ფები გაეწყოთ. ნადირის ჩასალაგებლად ნაქსოვი აბგები ეკი-
დათ...

ფუ, შეგარცხვინათ! ფუ, შეგარცხვინათ ღმერთმა, თქვე
მხდალებო, თქვენა! ფიქრობდა ტარტარენი: არა, ლომზე მიდიხართ
და მაგდენნი მიდიხართ! თანაც ძაღლებით! როგორ წარმოიდგენდა,
რომ ალჟირში თუ არა ლომზე, სხვა ნადირზე სანადიროდ წავიდო-
და ვინმე! მერე, რომ დაუახლოვდა მონადირეებს, იფიქრა: ესენი
უთუოდ ვაქრები იქნებიანო, შეიცოდა კიდევ — რა არის უვიცო-
ბაო! ლომზე მიდიან და თან მეძებრები მიჰყავთ! სანადირო პარკში
ხომ წყვილ კურდღელსაც ვერ ჩასტევენ, არამც თუ ლომსაო!.. შე-
იცოდა ეს უვიცი მონადირეები და ჰკითხა:

— რას მოგახსენებდით... როგორ მონადირეთ?

— არა უშავდა რა, — მიუგო ერთმა და გაშტერებული დააც-
ქერდა ტარასკონელი მონადირის უცნაურ იარაღს.

— მოკალით? — ჰკითხა ტარტარენმა.

— დავხოცეთ, დიახს აბგასა ხედავთ, როგორ გაბერილია! —
მართლაც, ალჟირელ მონადირეს აბგა გატენილი ჰქონდა კურდ-
ღლით და ქედნებით.

— ვეყო!.. აბგაში?.. განა აბგაში ჩაიდებთ ხოლმე?

— მაშ რა ვუყოთ? — მიუგო გაკვირვებულმა მონადირემ.

— მაშ სულ... სულ პატარა ყოფილა, სულ პატარა?..

— პატარებიც არის და ღიდრონიც, — შეუთია მონადირემ და
შინ მიგვიანდებო, გაჩქარებით გამოუდგა თავის ამხანაგებს.

გმირთა გმირი ტარტარენი კი გაქვავებულივით დარჩა შუა გზაში.

— ვეეო!.. — თქვა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ: — ეეჰ, მასხარა იყო, ვილაც იყო! ცარიელი აბგა ეკიდა და ლომი კი არა, მგონი მწყერიც არსად მოეკლასო. — ამით დაიმშვიდა გული და ისევ გზას გაუდგა.

სახლები აქა-იქლა ჩანდა. მგზავრიც იშვიათად ხვდებოდა. ბინდებოდა. ერთი საათი კიდევ იარა და, რაკი თვალი ველარას არჩევდა, შეჩერდა. უმთვარო ღამე იყო. სიჩუმეს არა არღვევდა რა. ცოტა არ იყოს, ჩაფიქრდა. — არა, ლომი დილიჯანსი ხომ არ არის, შარავნაზე იაროსო, — თქვა ტარტარენ ტარასკონელმა და ხნულეებში გადავიდა. ხან ორმოში ჩაიჩეხებოდა, ხან რუში ჩაჰკრავდა ფეხსა, ხან ბუჩქს წააწყდებოდა. რა უშავსო! და დაუღალავად წინ მიდიოდა. მერე უცბად — შესდექო! — უბრძანა თავის თავს და შედგა. ლომის სუნი მომდისო, თქვა უშიშარმა და ჰაერს სუნვა დაუწყყო.

V

ჩ ა ს ა შ რ მ ბ ჯ

საშინელ, ტრიალ მინდორში იყო ჩვენი ტარტარენი. გარშემო რაღაც უცნაური მცენარეები ამართულიყვნენ, ზღაპრული მცენარეები, და ისე უცქეროდნენ გულმაგარ მონადირეს, თითქო მხეცეები შეყრილან და კბილებს უკრაჭუნებენო. ვარსკვლავები სუსტად ჰფენდნენ სინათლეს და ეს სისხლით გაუშამღარი მცენარეები უშველებელ ჩრდილს ისროდნენ აქეთ-იქით, სწორედ გველემშაპები გეგონებოდათ.

მარცხნივ უზარმაზარი მთა მოჩანდა, იქნება მთა ატლასი იყო, ვინ იცის? მარჯვნიდან ზღვის შხუილი მოისმოდა. ამისთანა ალაგს ჩასასაფრებლად ვერსად იპოვიდა.

ერთი თოფი წინ დაიღო, მეორე ხელში დაიჭირა, ცალ მუხლზე ჩაიჩოქა და ლოდინი დაიწყო. ელოდა ერთი საათი... ორი საათი... ჩუჩუნიც არსაიდან მოსმენია... და მოაგონდა! წიგნებში წაეკითხა, ლომზე მონადირემ თან თიკანი უნდა წაიყვანოს, ბუჩქზე მიაბას,

ფეხზე ბაწარი წააბას და თვითონ შორიახლოს ჩასაფრდეს; უნდა გამოსწიოს ბაწარი, თიკანი კიკინს მორთავს და ამ კიკინზე ლომიც დაიძვრისო...

უბედურება. მეტი გნებავთ? თიკანი არა ჰყავდა! მაგრამ აქაც არ შემკრთალა გმირთა გმირი, ხმა დაიწვრილა და სამგლე თიკანივით გულსაკლავად აკიკინდა: ბე! ბე! ბე! ჯერ ოღნავ დაიბლავლა, რადგან გულის სიღრმეში რაღაც იქვი უტრიალებდა — ერთიც ვნახოთ, მართლა გაიგონოს და აქ მომივარდესო. მერე, რომ ღარწმუნდა, ლომი არსად არის, არ ეყურებაო, უფრო გაბედვით დაიძახა: ბე! ბე! ლომმა არც ახლა გაიგონა, ბოლოს, მოთმინება დაეკარგა, ტარტარენს ბრაზი მოერია და თავისებურად, რაც კი ძალი და ღონე ჰქონდა, დაიღრიალა: ბე! ბე! ბე! ოღონდ ცუდი ის იყო, რომ მისი ბლავილი უფრო დიდყურას ყროყინსა ჰგავდა, ვიდრე თიკნის კიკინს.

უცბად იქვე, -სულ რამდენიმე ნაბიჯზე, რაღაც გაჩნდა, შავი, მთის ტოლი! ტარტარენი გაჩუმდა... სული განაბა... ის კი ხან მიწას დასუნავდა, ხან ხტოდა, გორავდა, ხან იქით გაჰკრავდა, ხან აქეთ... ხან კიდევ გაჩერდებოდა... თითქო რაღაცას ეძებო...

„ლომია, ლომი! აგერ იმის ოთხი ფეხი, იმის ფაფარი, ორი თვალი, როგორ კრიალებენ ამ სიბნელეში! აბა, ერთი ნიშანში ამოვიღოთ! ფრთხილად! ბუჰ!.. ბუჰ!.. მორჩა!“ მერე ტარტარენმა ერთი ნახტომით უკან დაიწია და ხანჯალი იძრო...

ტარტარენის თოფის ხმაზე რაღაც უცნაური გულდამწყვეტი ხმა მოისმა.

— მოხვდა! — შეჰყვირა გმირთა გმირმა და გულმაგრად ელოდა — დაკრილი ლომი მომვარდებო. მაგრამ, ეტყობოდა, ნადირს ეს ტყვიაც მეტი მოსვლოდა, რომ საშინელი ხმით ღრიალებდა და სამფეხა, რაც კი შეეძლო, გარბოდა. ტარტარენი არც კი შეინძრა, იცოდა, რომ ახლავე ძუ ლომი გაჩნდებოდა... წიგნებში ასე ეწერა და!

საუბედუროდ, ძუ ლომი არ მოდიოდა. ორ-სამ საათზე მეტი ელოდა. ან ახლა მოვარდება, ან ახლაო, მაგრამ სულ ამოდ. ამოდენა ლოდინით დაიღალა, სხვა არა იყოს რა. ახლა დედამიწაც ნესტიანი შეხვდა, ღამე — ცივი და ზღვიდან ისეთი. ქარი უბერავდა, რომ ძვალსა და რბილში უვლიდა.

— მოდი, ერთი მივიძინებ სულ ცოტა ხანს, — თქვა უშიშარმა ტარასკონელმა და არ შემეცოდესო, ფერდის ქარი არ ამივარდესო, კარვის გაშლა მოინდომა. მაგრამ უბედურება მეტი გნებავთ? ეს კარავი ისეთი საყვირველი ნაკეთები იყო, რომ საწყალმა ტარტარენმა ბევრი წვალების შემდეგ იმედი გადაიწყვიტა — მე ამ კარავს ჩემს დღეში ვერ გავშლიო.

ხან ერთი მხარე სწია, ხან მეორე, სულ ოფლი სდიოდა, მაგრამ ვერა, მაინც ვერ გახსნა!.. ზოგმა ქოლგამ იცის, შხაპუნა წვიმა რომ მოგასწრებთ სადმე, სწორედ იქ მოგეშლებათ. ახლაც ასეთ ხაფანგში გააბა კარავმა ჩვენი მონადირე. დაღლილმა ტარტარენმა გაბრაზებით გადატყორცნა მსწრაფლ გასაშლელი და მსწრაფლვე ასაკრეფი კარავი... მერე მივიდა, ზედ დაწვა, თან კარგად, სულ ტარასკონულად ილანძღებოდა.

„ტა-ტა, რა-ტა, ტა-რა-ტა!..“

— რა იყო?! — წამოხტა ტარტარენი. ის იყო ჩაეძინა და უცბად ეს ხმა კი მოესმა.

ქალაქ ალჟირში, მუსტაფას ყაზარმაში საყვირს უკრავდნენ, გათენდო. ლომზე მონადირე განცვიფრდა, თვალები მოისრისა — სიზმარში ხომ არა ვარო? აკი ქვიშიან უღბანოში ვიყავიო!.. იცი, სად იყო? ერთ პატარა ბოსტანში გახლდათ, კომბოსტოში ჩაწოლილიყო. ცალ მხარეს თაღვამი უმშვენებდა და მეორეს — აყვავებული სტაფილო. იმის საპარას, ეტყობა, კომბოსტო სცოდნია. აქვე ბოსტნის იქით მშვენიერი, ბაღებით დამშვენებული სასახლეები მოჩანდა. თეთრი კოპწია სასახლეები... გეგონებოდათ, მარსელის ახლომახლო ვარ სადმეო.

ამ წყნარმა არემარემ თავისი სახლებით და ბაღებით ძალიან გააკვირვა საწყალი ტარტარენი და თან ძალიანაც გააბრაზა. სულ გიჟები ყოფილან ეს სულელებიო, — ფიქრობდა გაჭავრებულნი: — არა, თუ გიჟები არ იყვნენ, თუ დასაბმელი გიჟები არ იყვნენ, ლომებთან ასე ახლო კომბოსტოს დათესავდნენო! და აქ რომ ლომი იშვიათი არ უნდა იყოს... სიზმარში ხომ არ ვიყავ — ეეი!.. აი, ესეც კვალიო!

კვალი იქნებოდა, მაშ რა! სისხლის კვალი ჩანდა, წუხელ რომ ნადირი დაჭრა და გააქცია, ომისი კვალი. დაიკუზა ტარტარენი — კვალი არ დაკარგო, სისხლის წვეთებს დააშტერდა, თვალები და-

აქყიტა, ერთ ხელში თოფი დაიჭირა, მეორეში ჩახმანმოზიდული რევოლვერი და კვალს გაჰყვა. კომბოსტოდან კომბოსტოზე გადავიდა, სტაფილოდან თალგამზე, იბობლა, იბობლა და ქერის ყანას კი მიაღდა. იქ გათელილი ჭეჭილი ნახა, ტბასავით დამდგარი სისხლი და ამ სისხლის მორევში გვერდზე წამოწოლილი, ტყვიით თავგახრეტილი ერთი... რა? აბა, გამოიცანით!

დიდი გამოცნობა კი უნდა! ლომიო! — ბრძანებთ.

ლომი კი არა, ვირი! ერთი სულ პატარა, სწორედ ალყირული პატარა ვირი.

VI

ქუ ლომის მოსვლა. საშინელი ბრძოლა. ძმებივების საფოთხე

თავისი უბადრუტი მსხვერპლი რომ დაინახა, ტარტარენს ჯერ რაღაც ზიზღით აევსო გული. მართლაცდა, სად ლომი და სად ვირი! მაგრამ ზიზღმა მაშინვე სხვა გრძნობას დაუთმო ადგილი: შეეცოდა საწყალი ვირი, მერე ისეთი ლამაზი ვირი იყო, ისეთი მშვიდი, წყნარი შეხედულება ჰქონდა! ჯერ ისევ ფეთქავდა — ისევ თბილი იყო. ჩაიჩოქა ტარტარენმა, გასინჯა სულთმობრძავი და, რაც კი იცოდა რამე, ყველა საშუალება იხმარა იქნება ვუშველო როგორმეო. გამოჩენილი გმირთა გმირი, სახელოვანი ტარტარენ ტარასკონელი და მომაკვდავ ვირს უვლიდეს! ამაზე უკეთესს და გულის ამაჩქროლებელ სურათს განა ნახავთ რასმე?!

თითქო შებრალება იგრძნო, მომაკვდავმა თვალები გაახილა, ორჯერ-სამჯერ შეანძრია თავისი დიდი ყურები — მადლობელი გახლავარო, მერე ერთხელ შეაჟრჟოლა და ფეხები ფშია.

— ყურშა! ყურშა! — მოესმა ამ დროს სევდიანი, ცრემლიანი ხმა. იმავე დროს იქვე ბუჩქებში ტოტებმა შრიალი მორთეს. ტარტარენმა ძლივს მოასწრო ფეხზე წამომდგარიყო და გამზადებულიყო... ძუ ლომი მოდიოდა!

საშინელი ყვირილით და ბრაზმორეული მოდიოდა მტერი, სულ ცოფს ჰყრიდა... ეს გახლდათ ერთი ბებერი წითელი ქოლგით შეიარაღებული, ალზასიდან გადმოსახლებული დედაკაცი. მოდიოდა და სულ — ყურშა! ყურშაო! — გაიძახოდა.



ეეჰ, ის ერჩივნა ტარტარენს მართლა გააფთრებულ ძუ ლომს შეხვედროდა და ამ ბებრუტუნას კი არ ჩავარდნოდა ბრჭყალებში. მაგრამ ბედისწერას რას უზამთ?.. ბარემ ცდილობდა, აეხსნა როგორმე — საქმე უცაბედად მოხდა, მე ხომ არ მინდოდა, შენი ვირი ლომი მეგონაო... ბებერი უფრო გაბრაზდა: რაო, ჩემი ყურშა ლომად გეჩვენაო? კიდეც დამცინი, შე... მივარდა საწყალ ტარტარენს და ერთი თუ ორი ერთი თუ ორი! ქოლგით! შიგ თავში! შერცხვენილი გმირთა გმირი მტრის იარაღს თავის თოფით იგერიებდა, მაგრამ მძლავრი მტერი შეხვდა და თოფი ფარობას ვერ უწევდა. ოფლი სდიოდა საწყალს, ძლივსლა ქშინავდა, ხან აქეთ გახტებოდა, ხან იქით და ყვიროდა:

— მოითმინეთ, ქალბატონო!.. ქალბატონო, მომისმინეთ!..

ქალბატონი, ეტყობა, ყრუ უნდა ყოფილიყო, რომ ისე გამეტე-ბით სცემდა შიგ თავ-პირში.

შეურაცხყოფილი გმირის საბედნიეროდ ბრძოლის ველს ერთი პირიცი მოემატა — გააფთრებული დედაკაცის ქმარი. იგი თვითონაც ალზასელი გახლდათ, აქვე დუქანი ჰქონდა და ანგარიშში ძალიან გავარჯიშებული კაცი იყო. დინახა თუ არა თავისი ყურშას მკვლელი, მაშინვე მიხვდა — რა კაცთან ჰქონდა საქმე, მიხვდა. — ოღონდ კი მოუფრიგდეთ და მადლობასაც გვეტყვისო, თავის მეუღლეს მივარდა, იარაღი წაართვა და იქვე მორიგდნენ.

ორასი ფრანკი ამოყაჭა ტარტარენმა; ვირი კი ათიც არა ღირდა. სადაც გნებავთ, იკითხეთ, ალჟირში ათ ფრანკად ვირს ყველგან იყიდით. მერე საწყალი პირუტყვი ერთი ლელვის ძირში დაფლეს და ალზასელმა (მას ჯიბეში ბრჭყვიალა ოქროები ეწყო, გულში — სიხარული, მეტი რა უნდოდა?) — ჩვენი გმირი თავისას მიიპატიყა: წამობრძანდით, ბატონო, ჩემს ჰერქვეშ პური გატეხეთ, დუქანიც აქვე ახლო გახლავთ, სულ რამდენიმე ნაბიჯია აქედანაო.

— კვირა დღე ისე როგორ გაივლოს, რომ ალჟირელი მონადირე-ნი არ მეწვივნენ, — ამბობდა ალზასელი, — ახლომახლოში ნადირი ბევრი გახლავთ და მეტადრე კურდღელი.

— ლომები? — ჰკითხა ტარტარენმა.

ალზასელმა თვალები დააჭყიტა — ლომებიო?

— დიახ... ლომები... აქეთ ლომები კი არ იცის? — ჰკითხა საბ-

რალო ტარასკონელმა და თან, ცოტა არ იყოს, ეჭვი შეეპარა — გიჟი კი არ ვეგონრო.

მედუქნეს სიცილი წასკდა.

— ლომები?.. რად გვინდა ლომები?..

— მაშ, ლომები აღარსად არიან?

— რა ვიცი, მე კი ჩემს დღეში არსად მინახავს და! ეს ოცი წელიწადი აქა ვარ... თუმცა... ჰო, რაღაც გამიგონია... თუ, არ ვიცი, გაზეთებში... ეგ, ბატონო, შორს არის, ძალიან შორს, აი აი.. ქვევით.

ამ დროს დუქანთანაც მივიდნენ. ქალაქის განაპირა უბნის დუქანი იყო; შესავალ კარზე დამქანარი ტოტი ეყიდა ზედ შემხმარი ფოთლებით, კარზე და კედლებზე ბილიარდის ჯოხები ეხატა; იქვე ერთ ფიცარზე წარწერა იყო:

„ძმანიჭების სამოთხე“

„ძმანიჭები“ ტარტარენმა „ძანიჭებად“ წაიკითხა და გულმა კვნესა დაუწყო; ძანიჭებიო! მოაგონდა კაპიტანი ბრავიდა, ტარასკონი, თავისი კოპწია სახლი...

ო, ბრავიდა! რომ იცოდე, რა დღეშია შენი ტარტარენი, რომ იცოდე...

VII

ამბავი მართი დილიქნისა, გავრის ქალისა და
ქასინის კრიალონისა

პირველი მარცხით შეშინებული სხვა თავს დაანებებდა ლომებსაც და ნადირობასაც, მაგრამ ტარტარენი სულ სხვა ბუნების კაცი იყო... ფოლადი იყო, ფოლადი და თავის მიზანს ასე მალე არ უმტყუნებდა. — „ლომები ქვემოთ ყოფილან! — გაიფიქრა უშიშარმა ტარასკონელმა, — ძალიან კარგი, მეც ქვემოთ წავალ“.

და ჯერ უკანასკნელი ლუქმა არ ჩაეყლაპა, რომ წამოდგა, მას-პინძელს მადლობა გადაუხადა, შერიგების ნიშნად ორივე ლოყაზე აკოცა ბებერ დედაკაცს, ვირი გაიხსენა და ერთი ობოლი ცრემლიც კი შეაწია; მერე გზას დაადგა.

თავისებურად, ჩქარი ნაბიჯით წავიდა ქალაქ ალყირისკენ; გადაწყვეტილი ჰქონდა — მივალ თუ არა, ბარგს შეგვკრავ და ლომების საძებნელად წავალო.

უბედურ კაცს ქვა აღმართში დაეწვივო, სწორედ ისე მოუვიდა: წუხანდელს აქეთ მუსტაფას შარაგზა თითქო უფრო გაგრძელებულიყო, მზეც ხომ სულ წვავდა იქაურობას. ახლა მსწრაფლ გასაშლელი კარავი! ღმერთო, რამსიმძიმე იყო! ტარტარენმა ფეხით სიარული ვეღარც კი გაბედა და, დაინახა თუ არა ქალაქისაკენ მიმავალი დილიჯანი, შეაჩერა და თავის იარაღით და კარვით შიგ გამოიჭიმა.

ეეჰ, საბრალო ტარტარენ ტარასკონელი! რა კარგი იქნებოდა იმისთვისაც, იმის სახელისთვისაც, იმის დიდებისთვისაც, რომ ამ სადღვებელში არ ჩამჭდარიყო და თავისებურად გულდამშვიდებული ფეხით მისულიყო ქალაქამდე. შეიძლება ფეხით რომ ეარა ან მტვერს დაეხრჩო სადმე, ან იარაღის და კარვის სიმძიმეს წაექცია, მაგრამ სახელოვანი სახელოვნად მაინც გაათავებდა თავის სიცოცხლეს, ახლა კი...

გამოიჭიმა ტარტარენი და დილიჯანში მეტი ალაგიც აღარ იყო; კუნჭულში ერთი მღვდელი იჯდა, ალყირელი მღვდელი; ცხვირი თავის ლოცვანში წაეყო და სხვას აღარას ხედავდა; მის პირდაპირ ყმაწვილი მავრი იჯდა, ვაჭარი; წამდაუწყუმ მკლავის სისქე პაპიროსს ახვევდა და აბოლებდა. მერე ისხდნენ ერთი მალტელი ზღვაოსანი და ოთხი თუ ხუთი მავრის ქალი — ჩადრებში განვეულიყვნენ, პირბადეები აეფარებინათ, თვალების მეტი აღარა უჩინდათ რა, აბდეღ-კადერის სასაფლაოზე ელოცათ და ახლა შინ მიბრძანდებოდნენ. სასაფლაოზე ყოფნა და წუხილი სრულიადაც არ ეტყობოდათ; გულიანად იცინოდნენ, ერთმანეთში მხიარულად ლაპარაკობდნენ და ფალუსტაქს აკნატუნებდნენ.

იმოღენა გზა სულ ტარტარენს უყურებდნენ, მეტადრე ერთი, პირდაპირ რომ უჯდა, მართლა და ძალიან გაშტერებით სინჯავდა ჩვენს მოგზაურს. შიგ თვალებში ჩასცქეროდა და მთელი გზა თვალი აღარ მოუშორებია. თუმცა პირბადე ეფარა, მაგრამ მისი შავი თვალები რაღაც აქამდე უცნობ ნეტარებას უქადდნენ ჩვენს ტარტარენს; ნაზი, ლამაზად მოყვანილი ოქროს სამაჯურებით შემკული მკლავი ხშირად, ვითომდა უნებურად, გამოჩნდებოდა ხოლმე ჩად-

რიდან და ტარასკონელის ყურადღებას იზიდავდა. ნარნარი ხმა, სიყმაწვილით და სიხარულით სავსე მოძრაობა, თითქმის ბავშვური ცქრიალა ტანი ამტკიცებდნენ, რომ ჩადრში დამალული რაღაც მშვენიერი ნორჩი და ჭერეთ უხილავი ვარდი უნდა ყოფილიყო. უბედურმა ტარტარენმა აღარ იცოდა, სად გაქცეოდა ამ შავ თვალეზს. თვალეზით ელაპარაკებოდა მავრის ქალი, თვალეზით ეალერსებოდა, თვალეზით უქადდა სამოთხის ნეტარებას და უკვდავებას; აქრეოლებდნენ ეს თვალეზი, ათროლოებდნენ... წვევდნენ და თან კლავდნენ... ხან ცეცხლში იწვოდა საწყალი ტარტარენი, ხან სიცივისაგან კანკალებდა.

თვალეზს ქოშიც მიეშველა! სანადირო ტლანქ წაღებზე რაღაც ნაზი შეხება იგრძნო, თითქო რაღაცამ უღიტიანო, თითქო ფეხზე წითელმა თავგმა გადაურბინაო. რა ექნა? პასუხი როგორ გაეცა ამ გულწარმტაცი თვალეზისთვის?.. ამ პატარა ფეხისათვის? დიახ, უნდოდა... მაგრამ იცით, რა შედეგი მოსდევს ამგვარ გაარშიყებას?.. ნუ დაივიწყებთ, ეს ამბავი აღმოსავლეთში იყო... ო, საშინელი, შემადრწუნებელი შედეგი მოსდევს!..

ტარასკონულმა მოჩვენებამ და ოცნებამ სულის შემხუთავი სურათი დაუხატა საწყალ ტარტარენს: დაეხვიენენ ხოჯები, აწვალეს, აწამეს, თავი გააგდებინეს... უფრო უარესი! ტყავის ტომარაში გამოკრეს, ზედ თავისივე თავი მიაბეს და ზღვის უფსკრულში ჩაუძახეს. კიდევ კარგი, რომ ციგმა წყალმა ცოტა მოასულიერა, გონება გაუგრილა, გამოაფხიზლა... პატარა ფეხი კი თავისას არ იშლიდა, შავი თვალეზი ისევ ისევ სიყვარულს ემუდარებოდნენ. და ვითომდა უცაბედად გამოჩენილი ლამაზი ტუჩები, — თითქო მაისის ვარდის გაუშლელი კოკორი იყო, — ჩუმად ჩასძახოდნენ შიგ გულში:

— მომწყვიტე რაღა!..

დილიყანსი თეატრის მოედანზე გაჩერდა, ბაბაზუნის ქუჩის შესავალში; რიგრიგობით ჩავიდნენ მავრის ქალები, თან ისე ლამაზად, მოხდენილად იჭერდნენ ჩადრის კალთებს, რომ ტარტარენს თვალეზი ზედ დარჩა. უკანასკნელად მისი გულისმომკვლელი წამოდგა და წამოდგომაში ისე დაიხარა, ისე ახლო გაავლო გმირის სახეს თავისი ლამაზი თვალეზი და კოკორი ტუჩები, რომ უამისოდაც გატაცებულ და გახურებულ ტარასკონელს ისეთი ციური სურნელება

მოპტინა — იის და სიყმაწვილისა, მაისის ვარდის და ფალუსტაის სურნელება, — რომ წავიდა და გმირის გულიც თან წაიღო.

ველარ შეიკავა თავი გმირთა გმირმა. სიყვარულმა გული მოსტაცა, მისი ალი თავში ეცა და — რაც იქნება, იქნებაო — უკან გამოევიდა თავის მომხიბლავს. მისი იარაღის ჩხარუნზე ქალმა უკან მოიხედა, ტუჩებზე თითი მიიღო, ჩუმაღლო! და მეორე ხელით უცბად ეასმინის კრიალოსანი გადმოუგდო. წაიკუზა ტარტარენი ამ საჩუქრის ასაღებად; წაიჩოქა, მაგრამ ჯერ თვითონაც ძაან-ძაან ბიჭი იყო, ახლა ორკეცი კუნთები, ახლა იმოდენა იარაღის და კარვის სიმძიმე და წამოდგომა ძლივძლივობით მოახერხა. წამოდგა დიდი ხნის წვალების შემდეგ და მავრის ქალი კი აღარსად ჩანდა; გამქრალიყო, თითქო დედამიწამ ჩაყლაპაო...

ცხარედ ჩაიკრა გულში კრიალოსანი, ეს ერთადერთი ნუგეში ასე მსწრაფლ გამქრალის სიყვარულისა, და თავის სასტუმროსკენ გასწია.

VIII

დაიძინეთ, ატლასელო ლომებო!

დაიძინეთ, ატლასელო ლომებო! მშვიდად, გულდინჯად დაიძინეთ თქვენს უდაბნოში, ალოესა და მინდვრის კაქტუსში. ჯერ კიდევ ბევრი დღე გავა, ვიდრე ტარტარენ ტარასკონელი თქვენ ამოსაქლეთად მოიცილის! ჯერ თქვენთვის არა სცალია! ამჟამად მთელი მისი იარაღი, საგზაო აფთიაქი, კარავი, მაფრაშა და სხვა ბარგი ხელუხლებლად ყრია, ჯერ ისევ გაუხსნელია ევროპის სასტუმროს 36-ე ნომერში.

მამ დაიძინეთ, ლომებო! ჯერ ნუ გეშინიათ! ტარტარენ ტარასკონელი თავის გულწარმტაცს დაეძებს.

დილიყანსით მგზავრობის შემდეგ საბრალოს სულ რაღაცა ელანდება: თვალწინ შავი თვალეები უდგას, ფეხი როგორღაც საამუტრად ექავება, თითქო მის ტლანქ ფეხზე პატარა წითელი თავი დაცოცავს და უღიტინებსო; სიო დაჰკრავს და საწყალს სულ თავის გულის მკვლელის სუნთქვა ელანდება, სურნელოვანი სუნთქვა იის და ფალუსტაისა.

მაგრამ მავრის ქალის პოვნა ადვილი, საქმე კი ნუ გგონიათ! ქა-

ლაქში ასი ათასი სული მცხოვრები არის, მოდი თქვენა და ამოდუნა ხალხში ერთი ქალი იპოვეთ, რომლისაც მარტო სუნთქვა გასოვთ და მხოლოდ ქოშები და შავი თვალები დაგინახავთ! მარტო ტარასკონელს შეუძლია, ისიც სიყვარულით დამწვარ-დადავულს ამისთანა შეუძლებელ საქმეს შეუდგეს.

ცუდი ის არის, რომ ი დასაქციევი მავრის ქალები თავიანთი თეთრი ჩადრებით სულ ერთმანეთსა ჰგვანან; ამასთან სულ შინა ბრძანდებიან, ფეხს არ მოიცვლიან, რაც უნდა საქმე ჰქონდეთ; და ვისაც იმათი ნახვა უნდა, ზემო უბანში უნდა ავიდეს, არაბების უბანში თ ა თ რ ე ბ ი ს უბანში.

ჯოჯობეთია სწორედ ეს ზემო უბანი! ვიწრო, დაღრეცილი და ჩამოზნელებული ქუჩები, რალაც უცნაური ერთმანეთს მიკრული შენობები, ბრტყელი ბანები, დაბალი კარები, ერთი ბეწო ფანჯრები მიჩუმებული, დაღონებული უბანია. გეგონებათ, სასაფლაოზე ვარ სადმეო. აქეთ-იქით ქობმახი ღუქნებია და შიგ თათრები! დარბაისლურად მოუკეციათ, სხედან ბნელში და ყალიონს ეწევიან; თავიანთი ცოლების ჩადრები სულ თავზე შემოუხვევიათ — არსად გაგვეპარონო, და დინჯად მუსაიფობენ: ამ გიაურებს ბოლო როგორ მოვეულოთ?

რომ მოგახსენოთ — ამ საშინელ უბანში ტარტარენი უშიშრად დადიოდა-მეთქი, სიცრუე მომივა. უშიშრად კი არა, ძალიანაც ეშიონოდა, მეტადრე ვიწრო ქუჩებში, სადაც ჩვენი ჩასუქებული გმირი ორივე კედელს ეხახუნებოდა და ძლივს გაივლიდა ხოლმე; აბა, რას იზამდა, აქ რომ მტერი შეხვედროდა, ხელს კი ვერ გაანძრევდა, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიდა: წარმოუდგენელი სიფრთხილით მიდი-მოდიოდა ამ ურჯულოთა სოროში, წინ თავის ღიპს იშვერდა, თვალებს აბრიალებდა, რევოლვერის ჩახმახი შეყენებული ეჭირა... სწორედ ისე, როგორც ტარასკონში იცოდა, კლუბში რომ მიდიოდა ხოლმე. სულ იმას ფიქრობდა — არიქა, უკანიდან მომიარეს!.. ხოჯები და იანიჩარები მომდევნონ! მაგრამ ოღონდ თავის შავთვალა ენახა როგორმე, ოღონდ ერთხელ კიდევ ღირსებოდა მისი ქოშის დანახვა და ასჯერ მეტ განსაცდელსაც არ შეუშინდებოდა. თავადაც რა იყო და ამ ქალის ნახვის სურვილმა ხომ მდევური გამბედაობა და ძალა შესძინა.

ერთმა კვირამ ისე გაიარა, რომ უშიშარმა ტარტარენმა ზემო

უბნიდან ფეხი არ მოიცვალა. ხან მავრების აბანოსთან დადგებოდა და კარებს შეჰყურებდა — აი, აბანოდან ქალები გამოვლენ და იქნება ვიცნო როგორმე ჩემი მკვლეელი; ხან მეჩეთის შესავალთან წამოჯდებოდა და წაღების ხდას დაიწყებდა; იარაღი უშლიდა, ფეხსაცმელამდე ხელებს ძლივს ატანდა, იტანჯებოდა, ხვითქში იწურებოდა, ორთქლმავალივით ქშინავდა; მერე გაიხდიდა როგორც იქნებოდა წაღებს და თათრების სალოცავში შევიდოდა...

ხანდახან საღამოზე, ბინდისას, როცა გულჩათუთქული ნაღვლიანად მიდიოდა ქუჩაში და ნანობდა — დღესაც ვერ ვნახე, ვერც აბანოში, ვერც მეჩეთში, უცბად თათრის სახლიდან სიმღერა მოესმოდა, ერთგვარი კენესით და ცრემლით სავსე სიმღერა, ჩონგური-დიპლიპიტო და თან ქალების მხიარული კასკასი.

გული აუტოკდებოდა ტარტარენს, იქვე გაჩერდებოდა... — იქნება აქ იყოსო, ფიქრობდა.

და თუ ქუჩაში არაეინ იყო, ფეხის ფრჩხილებზე შედგებოდა, ჩუმად, სულგანაბული მიუახლოვდებოდა კარებს და მღელვარებისაგან აკანკალებული ხელით ერთს დააკაკუნებდა... ჩუმად, თვითონაც ოდნავ ესმოდა. სიმღერა მაშინვე შეწყდებოდა, სიცილი აღარ ისმოდა. სახლიდან ჩურჩულიდა გამოდიოდა.

„გაემაგრდეთ! — ფიქრობდა გმირი, — აბა განსაცდელი ახლა მომელის. აი!“

და მართლაც განსაცდელი არ ასცდებოდა ხოლმე: ზემოდან ერთ ტაშტ წყალს გადმოასხამდნენ ჩვენს განსაცდელის მძებნელ გმირს, ან ფორთოხლის და ლეღვის ნაფცქვენებს გადმოაყრიდნენ ზედ თავზე... ამაზე მეტი განსაცდელი არსად უნახავს.

დაიძინეთ, ატლასელო ლომებო!

I X

თავადი გრიგოლ ჩერნომორიელი

ორ კვირაზე მეტი იყო, რაც უბედური ტარტარენი თავის სატრფოს დაეძებდა და მგონი, აქამდეც იმის ძებნაში ყოფილიყო, რომ საშველად ჩერნოგორიელი თავადი არ მოვლენოდა.

ზამთარში, ყოველ შაბათ ღამეს ალჟირის თეატრში მეჯლისი

იმართება, სწორედ ისე, როგორც პარიზის ოპერაში იციან. ცოტა რამ ხალხი მოგროვდება დარბაზში, მოვლენ ქალები, მეტადრე ის ქალები, რომელნიც ჯარს უკანა სდევენ. ამათ მოჰყვებიან გახუნებული ფრანტები, გაკოტრებული მილიონერები, ხუთი-ექვსი მრეცხავი გოგონა, როელნიც აქედან იწყებენ ახალ ცხოვრებას, და წარსული, დაკარგული პატიოსნებისა ხმელი პური და ნივრიანი ძეხვის მეტი არა აგონდებათ რა... მაგრამ ნამდვილი სურათი ამ მეჭლისისა დარბაზში არ გახლავთ. ნამდვილი სურათი ფოიეში უნდა ნახოთ. შაბათ ღამეს ეს ოთახი ბანქოს სათამაშო ოთახად იქცევა. აქ მწვანე მაგიდების გარშემო ზღვის ტალღასავით იძვრის აღელვებული ხალხი. ჯარისკაცნი გნებავთ? აქა ნახავთ — ნასესხები შავი ფული კიდევ შერჩენიათ და თამაშობენ! აქვე არიან ზემოუბნელი სოვდაგრები, ზანგები, მალტელები, აქ სოფლიდანაც კი ჩამოდიან — რამდენიმე საათის სავალს არ ერიდებიან, ოღონდ მეჭლისს დაესწრონ, ესე იგი, ყვავის კიკოზე ბედი სცადონ და ერთი კარგი გუთანნი წააგონ, ან ერთი უღელი ხარი... ყველას ჟრჟოლა უვლის ტანში, ყველა გაყვითლებულა, პირი მოუკუშმავს, არეული თვალები ანთებია და დაშტერებით დასცქერის ერთ ქალადს, რომელმაც მისი ბედისწერა უნდა გადაწყვიტოს.

ცოტა იქით ალჟირელი ებრაელები გახლავან. დედაბუდიანად აქ არიან, დიდი პატარამდე. კაცებს აღმოსავლეთის ტანისამოსი ლურჯი წინდებით და ხავერდის ქუდებით აუჭრელებიათ. ჩასქელებული, ჩაყვითლებული ქალები დედოფლებივით მორთულან და რაც კი ძვირფასი ჰქონიათ რამე, სულ ჩაუცვამთ. ესენიც მაგიდებს შემოსხდომიან, ერთი ჟივილ-ხივილი აქვთ, მონაგებს თითებზედა თვლიან, თამაშობით კი ფრთხილად თამაშობენ. ხანდახან, მხოლოდ დიდი რჩევისა და ბჭობის შემდეგ, გაბედავს ხოლმე მოხუცებული, აბრაამის წვერით შემეკული ოჯახის წარმომადგენელი, მიუახლოვდეს მოთამაშეთ და ერთ გახვრეტილ აბაზზე სცადოს თავისი ბედი. უნდა ნახოთ მაშინ, რა ყოფაშია მთელი ებრაელთა ერი! სულ გარს ეხვევიან სათამაშო მაგიდას, თრთიან, თვალები ფულზე რჩებათ და თითქო თვალებში ანდამატური მიმზიდველობა ჰქონდეთ, იმდენს უყურებენ ფულს, იმდენს, რომ აატოკებენ და ნელ-ნელა თავიანთკენ მოიზიდავენ.

ატყდება ერთი ჩხუბი, აყალ-მაყალი, ყველა ქვეყნის ლანძღვა-

გინება, ყვირილი, ბებუთი და დანა, ფულის ქურდობა... პოლიცია...
სწორედ ამგვარ მეჭლის დაესწრო ერთ შაბათ ღამეს ჩვენი
გმირი, იქნება გავერთო, გულის სევდა გავიქარვო, თავი დავივიწყო
და სულის სიმშვიდე მოვიპოვო როგორმე...

მარტოდმარტო ხან აქეთ გაივლიდა საბრალო გმირი, ხან იქით;
თან თავის სატრფოზე ფიქრობდა. უცბად რაღაც ყვირილი შემო-
ესმა: იქვე სათამაშო მაგიდაზე ვილაცხევი ჩხუბობდნენ.

— გეუბნებით, ოცი ფრანკი მაკლია-მეთქი!

— ბატონო ჩემო!..

— ოცი ფრანკი მაკლია, ბატონო, რცი ფრანკი!..

— ჯერ გაიგეთ, ვის ელაპარაკებით, ბატონო, და...

— ვნახოთ ერთი, ვინა ბრძანდებით?!

— მე განლავართ თავადი გრიგოლ ჩერნოგორიელი, ბატონო!..

გაიგონა ეს სახელი ტარტარენმა და ელდა ეცა. მის ნაცნობ
თავადს ქურდობას აბრალებდნენ! ერთი კი მიაწვა, ხალხი გააპო და
მოჩხუბარტ გვერდით ამოუდგა. თვლები დააბრიალა, ხანჯალზე
ხელი დაიდო და სიხარულით შეაჩერდა თავის ჩერნოგორიელ თა-
ვადს. ძლივს არ იპოვა თავისი თანამგზავრი, გემზე გაცნობილი,
ზრდილობით და პატიოსნებით აღსავსე თავადი გრიგოლ ჩერნოგო-
რიელი!

საუბედუროდ, ამ დიდებულმა და ბრწყინვალე სახელმა ჩვენი
გულუბრყვილო ტარასკონელი თუ გააკვირვა, თორემ იქ მყოფთ
ყურადღებაც არ მიაქციეს, მეტადრე იმ ოფიცერმა, რომელიც თა-
ვადს ოც ფრანკს ედავებოდა.

— მე ოცი ფრანკი მაკლია, — შეჰყვირა ოფიცერმა. მერე ხალხს
მიუბრუნდა და ჰკითხა: — თავადი გრიგოლ ჩერნოგორიელი ვაგი-
გონიათ სადმე? იცნობთ ვინმე? არავინ! მე კი არ ვიცი!

ტარტარენს ყელში მოებჯინა სისხლი. ერთი ნაბიჯი წინ წადგა
და შესძახა:

— უკაცრავად, მე ვიცნობ მის ბრწყინვალეობას! — ისე გულმაგ-
რად თქვა, ისეთი რიხით, რომ სულ ხმა გაუქმინდა იქაურობას.

ოფიცერმა გადმოხედა, თავით ფეხამდე აათვალთვალა-ჩაათვალთვალა
და უთხრა:

— ძალიან კარგი... ეგ ოცი ფრანკი თქვენ გაიყავით!.. მორჩა
და გათავდა!

მერე ზურგი შეაქცია და ხალხს შეერია.

თითქო კარგი ალიყური გააწნესო ჩვენს ტარტარენს, ერთი ისკუპა და უკან გამოეკიდა იმ თავზე ხელაღებულს, მაგრამ თავადი წამოეწია, კალთაში ხელი სტაცა და შეაყენა.

— თავი დაანებეთ... მე ვიცი და მავანა!

მერე მკლავში ხელი გაუყარა და საჩქაროდ გარეთ გაიყვანა.

რაკი მოედანზე გავიდნენ, ქუდი მოიხადა თავადმა, ხელი ჩამოართვა ჩვენს გმირთა გმირს, მისი სახელი გაიხსენა და მთრთოლარე ხმით უთხრა:

— ბატონო ბარბარენ...

— ტარტარენ! — გაუსწორა მოწიწებით ტარასკონელმა.

— სულ ერთია ტარტარენ, ბარბარენ. დღეის შემდეგ მე და თქვენ ჰირში და ლხინში განუყრელი უნდა ვიყოთ!

და ბრწყინვალე თავადმა ისეთი ძალით ჩამოართვა ხელი, რომ ამ პატივისცემით გაბედნიერებული ტარტარენი ცას დაეწია.

— თქვენო ბრწყინვალეზავ!.. თქვენო ბრწყინვალეზავ!. — ლულ-ლულეზავა. ამის პასუხად გულჩვილი მონადირე და სხვა ველარა ეთქვა რა.

ნახევარი საათის შემდეგ ორივენი „ჭადრის რესტორანში“ ბრძანდებოდნენ: სუფრას შემოსხდომოდნენ, ზღვას გადასცქეროდნენ, ჭადრის ფოთლების შრიალით ტკებოდნენ და თან კარგ ვახშამს შეეკცევოდნენ. რუსულად შეზავებული სალათი, ზედ წითელა ღვინო... ძველი ნაცნობები დამეგობრდნენ.

სხვას ვერ წარმოიდგენთ ამისთანა მომხიბლავ ადამიანისშვილს, როგორც თავადი გრივოლ ჩერნოგორიელი იყო: მაღალი, წვრილა, კოხტად მოყვანილი! ძალად დახუჭუჭებული თმა, გაპარსული წვერულვაში, ეშმაკობით სავსე თვალები და მოზღვნილი მიხრა-მოხრა ჰქონდა. გამოთქმა, ცოტა არ იყოს, იტალიელისას მიუგავდა, თუმცა ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მშვენივრად ლაპარაკობდა ფრანგულს, იტალიურს, ესპანურს, პორტუგალიურს, რომანულს; ლათინურიც კი იცოდა და სულ ტაციტის და პორაციუსის ციტატებით ამტკიცებდა თავის ნათქვამს.

მეფის გვარისა იყო თურმე, მაგრამ ძმებს გაედევნათ სამშობლოდან, როდესაც ჭერ ათის წლისაც არ ყოფილიყო, რადგან მაშინ-

ვე ძალიან იტაცებდა თურმე თავისუფალი აზრები. მას შემდეგ დადის და დადის, დღეს აქ არის, ხვალ — იქ; თან სწავლობს, თან დროს ატარებს, როგორც შეეფერება უტახტო მეფე-ფილოსოფოსს. მთელი სამი წელიწადი ვიყავე ტარასკონშიო, ბრძანებდა მისი ბრწყინვალეობა, და ტარტარენმა რომ გაიკვირვა, როგორ მოხდა, რომ ან კლუბში არსად გნახეთ, ან ქუდზე ნადირობის დროსაო, თავადმა უპასუხა — საჭირო იყო... ვიმალებოდიო. ტარტარენი მიხვდა — აქ პოლიტიკური მიზეზი უნდა იყოსო, და ზრდილობამ ნება არ მისცა კიდევ ეკითხა რამე... დიახ „ჯანყითა და ბურუსით არის მოცული“ სიცოცხლე დიდებულთა ამა ქვეყნისათა.

ერთობ ძალიან კარგი ბიჭი იყო თავადი გრიგოლ, სულში ჩაიძვრენდით, რომ გენახათ. ნელ-ნელა შეექცეოდა ღვინოს და გულმოდგინედ იამენდა უბედური ტარტარენის უბედური სიყვარულის ამბავს. თავით ბოლომდე მოისმინა, შეიბრალა ჩვენი გმირი, შეიცოდა და შეჰფიცა:

— მაშ მე თავადი გრიგოლ ჩერნოგორიელი არა ვყოფილვარ, თუ შენი სატრფო არ გიპოვე!..

დიდი ხანი სევს... დაცლაზე იყო. ალყირელი ქალების სადღეგრძელო დალიეს, თავისუფალი ჩერნოგორიის სადღეგრძელო და კიდევ ბევრი სხვა...

გარეთ კი ზღვა გრიალებდა, ტალღები გაბრაზებით სცემდნენ და სცემდნენ მარმარილოს კიდევებს. ჰაერში დილის გრილი სიო უბერავდა; ვარსკვლავები ნელ-ნელა ქრებოდნენ. კადრის ტოტებში ბულბული გალობდა...

დანახარჯი ტარტარენმა გადაიხადა.

X

მითხარ, მამაშენს რა კვირა ღა ამ ჰვაჰილის

სახელს გეტყვი

კაკაბს ვინ წამოაფრენს და ჩერნოგორიელი თავადიო! ჰოდა, მეორე დილას, ჯერ ტარტარენს ისევ ტუბილად ეძინა და სიზმარში თავის სატრფოს ეალერსებოდა, რომ თავადი გრიგოლ ჩერნოგორიელი შევიდა მის ოთახში.

— ადექით, ჩქარა! ჩქარა! ჩაიცვით! მავრის ქალი ვიპოვე! ბაია ჰქვიან! ოცი წლისაა, ისეთი ლამაზი, ისეთი, რომ... მარწყვია, მარწყვი! თანაც ჰკრივი...

— ჰკრივიო! აბა ბედი ამასა ჰქვიან, აი! — შეჰყვირა ტარტარენმა...

მოგეხსენებათ, აღმოსავლეთში ლამაზი ქალის ქმრისთანა საშიში და მოსარიდი არა არის რა.

— დიახ, ბატონო... მაგრამ ერთი ხეპრე ძმა ჰყავს... ერთი ხეპრე, აყლაყულა!... ჩიბუხებსა ჰყიდის ორღეანის ბაზარში.

ცოტა ხანი ორივე გაჩუმებული იყო.

— ეგ არაფერი, — დაიწყო თავადმა: — თქვენ იმ ჯურის ადამიანი არა ხართ, რომ ვილაც მეჩიბუხეს შეუშინდეთ. თუ არა და, ცდა ბედის მონახევრეაო, ნათქვამია; ვეცადოთ: რამდენიმე ჩიბუხი ვიყიდოთ იმ ხეპრისაგან და იქნება მისი გულიც მოვიგოთ როგორმე... ჩაიცვით, რაღას უყურებთ, რა ვქნა!.. სწორედ ქუდ-ბედი დაჰყოლია ამ დასაქცევს, ამასა!

უცბად ვეფხვივით გადმოხტა ლოგინიდან ტარტარენი. ფერი წაუვიდა, მღელვარებას ველარ იმაგრებდა, სიყვარულის ალი გულს უდნობდა. მსწრაფლ გადაიკვა ფლანელის პერანგი, განიერ შარვალში ჩაჰყო ფეხები და თავადს ჰკითხა: ესეც ავდექი... მერე?..

— აიღეთ ქალაღი და შენი ნახვა მინდა-თქო, მისწერეთ.

— მაშ ფრანგული სცოდნია? — ჰკითხა გულჩათუთქულმა გმირმა; მისი ოცნება რომ აღმოსავლეთს ხატავდა, სრული, ჰეშმარიტი აღმოსავლეთი იყო და არა ასეთი ნარევი და ფრანგულის მცოდნე აღმოსავლეთი.

— სიტყვაც არ იცის, საიდან ეცოდინება?! — მიუგო შეურყეველმა თავადმა: — მე იმას მოგახსენებთ, თქვენ თქვენი ბრძანეთ და მე კიდე თქვენს ნათქვამს არაბულად ვთარგმნი და დავწერ.

— ო, რა კეთილი ბრძანდებით, თქვენო ბრწყინვალეზავ!

ამ წერილს დიდი მოფიქრება უნდოდა. ჩაფიქრდა ტარტარენი, შუბლი შეიკმუხნა და ოთახში სიარული დაიწყო.

დამეთანხმებით, ბოკერელ მკერავ ქალს სულ სხვა უნდა მისწეროთ და ალყირელ მავრის ქალს კიდეც სულ სხვა. თქვენ იქნება ერთი და იგივე გეგონათ? ცდებით, ბატონო, ცდებით! კიდეც

კარგი, რომ ჩვენს გმირს წაკითხულიდან ბევრი რამ ახსოვდა და საჭიროების დროს შეეძლო გუსტავ ემარის რომანებიდან ინდიელთა წერილები მოეგონებინა, ან ლამარტინის „აღმოსავლეთში მოგზაურობა“, ან სხვადასხვა ხალხების საგალობელი, თორემ ცუდად იქნებოდა მისი საქმე. მაგრამ ყველაფერი მოაგონდა და ერთი ისეთი წერილი შეთხზა, რომ თვით აღმოსავლეთშიც იშვიათად დაწერენ იმისთანას. წერილი ამ სიტყვებით იწყებოდა:

„ვით სირაქლემი ქვიშათა შორის“...

და დამთავრებული ხომ უფრო უკეთესად იყო:

„მითხარ, მამაშენს რა ჰქვია და ამ ყვავილის სახელს გეტყვი“.

ამ წერილთან ერთად ტარტარენს უნდოდა ერთი კარგი თაიგულიც გაეგზავნა, აღმოსავლეთის ჩვეულებათა კვალად, მაგრამ თავადი გრიგოლ ამის წინააღმდეგი იყო: თაიგულს ის ემჯობინება, რომ ქალის ძმისაგან რამდენიმე ჩიბუხი ვიყიდოთ, ცოტათი მოლბება, კეთილი თვალით შემოგვხედავს, ხომ იცით, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო... ამასთან ბაიას ძალიან უყვარს თუთუნის და მთელი დღე სულ თათარივით აბოლებს. დამეთანხმებით, ჩიბუხები რომ მივართვათ, ძალიან ვასიამოვნებთო.

— მაშე წავიდეთ, ჩიბუხები ვიყიდოთ!... — შეჰყვირა ტარტარენმა.

— არა, არა! მე მარტო წავალ... მე უფრო იაფად გამოვართმევ!

— როგორ?! თქვენა გნებავთ... ო, თქვენო ბრწყინვალეებავ!.. თქვენო ბრწყინვალეებავ!.. — შერცხვა საწყალ ტარტარენს, ამდენს როგორ ვაწუხებ თავდასაო, თავისი ქისა მიაართვა და სთხოვა: — ნუ დამზოგავთ, რამდენიც გნებავთ, დახარჯეთ, ოღონდ ჩემი გულის მკვლელი და აწე მაცოცხლებელი კმაყოფილი იყოს.

საუბედუროდ, ასე კარგად დაწყებული საქმე ისე მალე არ გადადა, როგორც ჩვენს გმირსა სურდა. ტარტარენის წერილის მკვერმეტყველებით აღტაცებული ქალი თითქმის თანახმა იყო თხოვნა აესრულებინა და გმირთა გმირი თავისას მიეპატიჟა; თითქმის თანახმა იყო, მაგრამ რას იზამთ, რომ ძმა სულ სხვა თვალით უყურებდა ამ ამბავს, რაღაც რიდი ჰქონდა, რაღაცა აწუხებდა და ამ რიდის და წუხილის მისაძინებლად ჩიბუხების ყიდვა იყო საჭირო. ტარტარენიც ყიდულობდა, ათობით, ასობით, ათასობით და სულ ბაიას უგზავნიდა... თავადი გრიგოლის ხელბით.

— ნეტავ რად უნდა ბაიას ამდენი ჩიბუხი?! რას უშვრება?... — ფაქრობდა ჩვენი გულმართალი გმირი. მაგრამ რას იზამდა? ჩიბუხების ყიდვა საჭირო იყო და გადიოდა სულ ბაჭაღლო ოქროები!

ბოლოს... რამდენიმე საპალნე ჩიბუხი გაუგზავნა, თავის გულისწუხილი სულ აღმოსავლეთის ლექსით აუწერა და ნებაც მიიღო, მობრძანდი, მნახეო.

რალა საჭიროა მე მოვახსენოთ, რა მღელვარებას იგრძნობდა ამ ამბავზე ტარტარენი! გული ისე აუტოკდა, თითქო ამოხტომას აპირებს, რომ ასე მოუმზადებლად ბაიასთან გაფრინდესო. შეიმავრა როგორც იყო, წვერი მოიპარსა, სურნელოვანი წყალი შეისხა, ჩიბუხში კარგი თავსამტვრევი ჩაიდო... თავადი გრიგოლის ჩუმაღ... თან ორი თუ სამი რევოლვერი ჩააყოლა და გზას გაუდგნენ.

თავადი ამ საღამოს თარჯიმნად გაჰყვა. ბაია ზემო უბანში იდგა. მის კარზე პატარა ბიჭი იჯდა, ასე, ცამეტ-თოთხმეტი წლისა და არხეინად ჩიბუხს სწევდა. ეს იყო აყლაყუდა, ხეპრე ძმა ბაიასი, ორლენის ბაზარში ჩიბუხებს რომ ჰყიდდა. ჩვენი მგზავრები რომ დაინახა, კარი დააკაკუნა და თვითონ კი თავი გაარიდა.

კარი ზანგის დედაკაცმა გაუღო. ხმა არ ამოუღია, ვინა ხართ, ან ვინა გნებავთო; წინ გაუძღვა, ბნელი, ვიწრო ეზო გაატარა და ერთ პატარა ოთახში შეიყვანა. აქა ბრძანდებოდა ბაია, იატაკზე ნაალი გაეშალა და მუთაქაზე გადასვენებულ იყო... ტარტარენმა შეხედა და როგორღაც ეუცხოვა: ეს უფრო პატარად ეჩვენა, ვიდრე დილიყანში ნახული მავრის ქალი იყო. ამის ტიტველა ფეხი თითქო იმისაზე უფრო დიდად მოჩანდა... ვინ იცის, ის კი არისო? — ფაქრობდა საბრალო ტარასკონელი, მაგრამ ამ ეჭვმა ისე, ელვასავით მსწრაფლ გაუარა თავში და მერმე აღარსად შეუწუხებია.

მართლა მშვენიერი იყო მწოლარე ქალი თავის ტიტველა ფეხებით! თითებზე ბეჭდები გაეკეთებინა, ხელზე სამაჯურები, ქარვის ჩიბუხი ეკირა და თავით ფეხებამდე ცისფერ ბოლში იყო გახვეული. ეს ბოლი რომ არა ყოფილიყო, ტარტარენი ერთი შეხედვით დარწმუნდებოდა, რომ ეს ქალი მთლად ყმაწვილი არ იყო, ჩასუქებული, ჩამრგვალებული, ალერსის მოყვარული და უკვე ჩვეული, მსუხნავი... დიახ, ბოლი რომ არა ყოფილიყო, კიდევ ბევრს სხვას ნახავდა და დარწმუნდებოდა, მაგრამ...

იმან კი გულ-ხელი დაიკრიფა და მდაბლად დაუკრა თავი: ასე მდაბლად თავის დაკვრას თვით აღმოსავლეთის მავრიც ვერ მოახერხებდა, თან თვალებით ისეთი ვედრება და დაღადება გამოუხატა, ისეთი სიყვარული და ტრფიალი, რომ ბაიამ ცოტა ხანი კი უყურა, მერე ქარვის ჩიბუხი გვერდით დაიღო, მუთაქაზე მიესვენა, სახეზე ხელები მიიფარა და კარგა ხანი აღარ მოუშორებია! რაღაც გიჟური სიცილი მოერია ლამაზ ბაიას და ზღვასავით აღელვებდა და ატოკებდა მის ოღნავ დაფარულს, დაკოკრებულ გულს.

X I

სიღი ტარტ'რი ბენ ტარტ'რი

სალამო ხანს, ზემო უბანში, არაბულ ყავახანაში რომ შებრძანდეთ, ჯერ ახლაც გაიგებთ მავრების ბაასში ვიღაც სიღი ტარტ'რი ბენ ტარტ'რის სახელს. თვალს უზამენ ერთმანეთს, პირს ღიმილი მოუვათ და ერთი მდიდარი და პატიოსანი ეგროპელის ამბავს მოგვთხრობენ, რომელიც ეს რამდენიმე წელიწადია ზემო უბანში ცხოვრობდა და თან ერთი... ჰმ! ქალი ჰყავდა, სახელად ბაია.

სიღი ტარტ'რი ბენ ტარტ'რი, რომელსაც ამისთანა სამხიარულო ხსოვნა დაეტოვებინა ზემო უბანში, მგონი, ჩემი თქმა მეტი იყოს, ჩვენი ტარტარენ ტარასკონელი გახლავთ.

წმინდანის და გმირის სიცოცხლეში ხშირად მოხდება ხოლმე — წამოუვლის რაღაც ახირებული ყინი და მოჰყვება სულელობას, თითქო დაბრმავდა, გაღირია, სრულიად მისუსტდაო. ამ საზოგადო სენს ვერც სახელოვანი ტარასკონელი გადაურჩა. და ეს ორი თვე მეტი იქნება ლომებიც დავიწყებული ჰყავს, დიდებაც და სახელიც. აღმოსავლეთის წესისამებრ ითვრება მავრის ქალის სიყვარულით, ოღონდ საკვირველი თეთრია ეს მავრის ქალი. ითვრება სიყვარულით და ალერსით და, ჰანიბალისა არ იყოს, ამ ქალისთვის შეუწირავს თავისი ვაჟყაცობაც და განთქმული გმირობაც.

ზემო უბანში ერთი პატარა კოპწია სახლი დაიქირა ქირით: პატარა ეზოიანი, პატარა ბაღით, შიგ გრილი წყარო ამოჩუხჩუხებდა და იყო თავისთვის განცხრომაში! ქვეყანაზე აღარავინ უნდოდა, ოღონდ თავისი სატრფო აქა ჰყოლოდა. თვითონაც თავით ფეხამდე



არაბულად ეცვა, დილით სადამომდე ყალიონს ეწეოდა და თათრულ შარბათს და მურაბებს შეექცეოდა.

იწვა ტახტზე ბაია, ხელში ჩონგური ეჭირა და რაღაცას დაჰლი-
ლინებდა, ან არადა — იქნება ჩემი ბატონი და პატრონი გავართო
როგორმეო, წამოდგებოდა, ერთ ხელში პატარა დაირას დაიჭერდა,
მეორეში სარკეს, რომ თავისი ბროლის კბილები და შუქმფენი ღიმი-
ლი დაენახა, და ცეკვას დაიწყებდა.

ბაიამ სიტყვა არ იცოდა ფრანგული, ტარტარენმა — არაბული და
ამიტომ გრძელი რამ ბაასი მათ შორის სრულიად შეუძლებელი იყო.
საწყალი ტარტარენი! ძალიან უყვარდა ლაპარაკი! და მგონი, რაც
თავის დღეში ბეზიუყეს აფთიაქში, მეიარაღე კოსტეკალდისას ან
სხვაგან სადმე, თავის ყბედობით დაეშავებინა რამე, — სულ აქ მო-
ინანია ამოდენა ხნის დუმილით.

თვით მონანიებაშიც რაღაც სიტყვობებს ჰპოვებდა. სრული კმა-
ყოფილი იყო ამ სიჩუმის, ამ განცხრომის. ამ აზიური ფუფუნებისა
არ მოსწყინდებოდა, მთელი დღე რომ წამოწოლილი ყოფილიყო;
ხმის ამოუღებლად შესცქეროდა თავის საყვარელ ბაიას, ისმენდა მის
მოხდენილ, მაგრამ ერთგვარ და მოსაწყენსიმღერას, ისმენდა ყალი-
ონის ბუებუყს, წყაროს 'მრიალს' და სრული ბედნიერი იყო.

ყალიონი, აბანო, სიყვარული! ამის მეტი აღარა უნდოდა რა.
ამით სრულიად კმაყოფილი იყო თავის სიცოცხლისა. ხანდახან სიდი
ტარტარი თავის ჭკვიან ჯორს შეკაზმავდა, ამხედრდებოდა, უკან თა-
ვის ბაიას შემოისვამდა და ქალაქგარეთ რომ პატარა ბაღი იყიდა,
იქ წავიდოდა ბროწეულის საკმელად... ქალაქში, ახალ უბანში კი
თავის დღეში არ ჩავიდოდა... თავის დღეში! დამთვრალი ჯარისკაცე-
ბი, თავხედი ოფიცრები, ყვახანები, ლუდხანები... ევროპელების
უბანი მას გატყვნილების და ბინძურების ბუდედ მიაჩნდა და თავის
ბაიას იქ როგორ ჩაიყვანდა?!

ერთი სიტყვით, სახელოვანი ტარასკონელი დიდად ბედნიერი
იყო. ტარტარენ სანჩოს ნეტარებას ხომ საზღვარი აღარა ჰქონდა!
მსუნაგი იყო ტარტარენ სანჩო, ავმუცელა რამ იყო და გაგიჟებით
უყვარდა თათრული ტკბილეულობა და სასმელები. რა სჯობს სმა-
ქამას კეთილსა, ძილსა და განცხრომასაო!.. გაიძახოდა ტარტარენ
სანჩო და თან თავისებურად გულიანად იცინოდა. ტარტარენ კინოტს
მოაგონდებოდა ხანდახან ტარასკონი და ისიც, ზოგიერთს ლომის

ტყავს რომ დაჰპირდა. ცოტა არ იყო, სინდისი მხილებას დაუწყებდა... მაგრამ ამ დამაღონებელი ფიქრების განსაქარვებლად საკმარისი იყო ერთი ბაიასკენ გადახედა, ბაიას ღიმილი დაენახა, ან მის ფუნთუშა ხელით ერთი კოვზი მურაბა შეექამა. ვიღას ახსოვდა ან ტარასკონი, ან ლომის ტყავები, ან სინდისი!

საღამოზე თავადი გრიგოლ ჩერნოგორიელი ეწვეოდა და ჩერნოგორიის განთავისუფლებასზე ჩამოაგდებდა ლაპარაკს. რა ზოდელი იყო თავადი, რა მოსიყვარულე, რა დაუღალავი აღმასრულებელი ტარტარენის და ბაიას ყოველი სურვილისა! პირდაპირ გაჰქირვების ტალკვესი იყო! მისი ბრწყინვალეობა ხან თარჯიმნობას სწევდა, ხან მოურავობას, ხან სავაქროდ დადიოდა... ვინ მოთვლის? მერმე რისთვის? სულ არაფრისათვის! ისე, უყვარდა გამოჩენილი გმირთა გმირი, ესამოვნებოდა მისი სამსახური... ამ თავადსა და თათრებს გარდა ტარტარენი სახლში არავის უშვებდა. და სწორედ ის საშინელი თათრები ეწვეოდნენ ხოლმე ტარტარენს, რომლებსაც ასე ეშინოდა, როდესაც თავის გულის მკვლელს დაექებდა. რაკი კარგად გაიცნო ისინი, დარწმუნდა, რომ ავაზაკური არა ჰქონდათ რა, გიაურების ამოწყვეტა აზრადაც არ მოსდიოდათ, სულ მშვიდი, დარბაისელი, პატიოსანი ხელოსნები და ვაჭრები იყვნენ: ზოგი ყაზახი იყო, ზოგი მეწვრილმანე, ზოგი ჩიბუხის ტარებს თლიდა... სულ ზრდილი, თავმდაბალი, გაიძვერა ხალხი იყო და ამასთან ბანქოს თამაშობაში ძალიან დახელოვნებულნი ყველანი. კვირაში ოთხჯერ-ხუთჯერ ეწვეოდნენ ეს ბატონები ჩვენს ტარტარენს, ესე იგი, სიდი ტარტარი ბენ ტარტარის, საღამოზე, რასაკვირველია, ფულს მოუგებდნენ, მურაბებს და ფალუსტაკს შეუქამდნენ, შარბათს დაუღვედნენ და, ათი საათი რომ გახდებოდა, მშვიდად და წყნარად წავიდოდნენ შინისკენ... თან დიდ მაღლობას უძღვნიდნენ ყოვლად შემძლებელ ალაჰს და მის წინასწარმეტყველს.

გააცილებდა სტუმრებს სიდი ტარტარი ბენ ტარტარი, მერე ის და ბაია ბანზე ავიდოდნენ და მთვარიანი ღამის სიგრილით ტკბებოდნენ. ქვემოდან გაჩაღებული ქალაქი მოჩანდა, ევროპელთა უბანი, იქვე ზღვა ნიავს აქეთ-იქიდან სიმღერის და ჩონგურის ხმა მოჰქონდა.

უტბად, თითქო ვარსკვლავებმა გალობა მორთესო, ციდან რაღაც ტკბილი ხმა გაისმოდა: ტკბილი, მაღალი, ვედრებით სავსე ხმა! და

მეჩეთის თავზე გამოჩნდებოდა თეთრად გასუდრული მოლა, ხელებს აღაპყრობდა და შეჭლადებდა ალაჰს და მის წინასწარმეტყველს. შეჭლადებდა ალაჰს და მის დიდებას და ძლიერებას უგალობდა მაჰმადიანთ.

გაიგონებდა თუ არა ბაია ამ გალობას, ჩონგურს იქით გადადებდა, სახეს მოლასკენ იზამდა და მისებრ ხელაპყრობილი, გაჩუმებული, ლოცვის ძლიერებისაგან ათრთოლებული, სულ კანკალს დაიწყებდა. იდგა ასე, ვიდრე მოლა ლოცვას გაათავებდა... ტარტარენი შეპყურებდა თავის ბაიას, გული უკანკალებდა და ფიქრობდა: მართლა საკვირველი და ჭეშმარიტი უნდა იყოს ეს სარწმუნოება, რომ ასეთს ნეტარებას და სიტკბოებას ანიჭებს ყველასაო...

იგლოვეთ, ტარასკონელნო, თქვენი ტარტარენი სჯულის შეცვლას აპირებს!

XII

ტარასკონიდან იწერებოდა

მშვენიერი დღე იყო, გრილი, მყუდრო დღე. სიდი ტარტ'რი დინჯად მობრძანდებოდა ქალაქისკენ. ბაღში ყოფილიყო, ხურჯინის ორივე თვალი ხილით აევსო, ჯორისთვის აეკიდა, თვითონ ზედ შებრძანებულყო და ნელი ნაბიჯით მოდიოდა. ფეხებს ვერც კი აწვდენდა გრძელ უზანგს, მოშვეებულიყო, თითქო აკვანში წევსო, ისე ირყეოდა და ხან აქეთ გადმოიხრებოდა, ხან იქით. აღვიარი მიეშვა, ხელები მუცელზე დაეწყო, თავი ჩაეჭინდრა, თვლემდა და ბუნების მშვენიერებას ყურადღებასაც არ აქცევდა.

ქალაქს რომ მიუახლოვდა, უცბად ვიდაცის ნაცნობი ხმა შემოესმა:

— ტარტარენ... თქვენა? აი დალახვრა!..

გამოიღვიძა ტარტარენმა, თვალეზი დააპყიტა. რა ვქნა, ეს ნაცნობი ხმა, ნაცნობი მარსელური კილო. ვნახოთ, ერთი ყავახანის დერეფანში გამოკიმულა „ზუაფის“ კაპიტანი, ბატონი ბარბასუ, აბსენტს შეექცევა და თან ჩიბუხს აბოლებს.

— ოჰ, ბარბასუს გაუმარჯოს! — შეპლიმა ტარტარენმა და ჯორი შეაყენა.

პასუხის მაგივრად ბარბასუმ კარგა ხანს შიგ თვალეზში უყურა,

მერე თავით ფეხამდე გასინჯა ჩვენი გმირთა გმირი თავის ჯორიან-ხურჯინიანად და უცბად ისე გულიანად გადაიხარხარა, ისე გულიანად, რომ სიდი ტარტ'რი ბენ ტარტ'რი სახტად დაჩა.

— ეგ რა შემოგინხვევიათ თავზე, ჩემო კეთილო ტარტარენ, — იცინოდა კაპიტანი ბარბასუ: — რასა ჰგავენართ?! იქნება მართალს იძახიან. ტარტარენმა სჯული გამოიცვალა, მუსულმანობა მიიღო?! ნუთუ გაათართდით, ჩემო ტარტარენ?.. პატარა ბაია როგორღა არის?. ის გასაგლეჯი, ისა!.. რა კარგად მღერის Marco la belle-ს ის დასაქცევი ისა!

— Marco la belle?! — იწყინა ტარტარენმა: — უნდა მოგახსენოთ, კაპიტანო, რომ ის ქალი, რომელზედაც თქვენ მელაპარაკებით, ერთი მავრის პატიოსანი ქალია და ფრანგული სიმღერა კი არა, სიტყვაც არ იცის.

— რაო? ბაიამ ფრანგული არ იცისო?! სიზმარში ხომ არა ხართ, ტარტარენ?!

და სიცილს და ხარხარს უფრო უმატა ბარბასუმ. მერე რომ შეამჩნია, ტარტარენს ჩემი სიტყვები არაფრად ეპიტნავო, სიცილი შეიკავა და გული დაუმშვიდა:

— მართლაცდა, ვინ იცის, იქნება სულ სხვა იყოს. იქნება მე შევეცდი... დიახ, ალბათ შევეცდი, ოღონდ, იცით რა მოგახსენოთ, ჩემო კეთილო მეგობარო, ერთდღეთ ალჟირელ მავრის ქალებს და ჩერნოგორიელ თავადებს.

ტარტარენმა უცბად გაყო უზანგში ფეხები, წამოიწია ჯორზე, ქვემო ტუჩი დაუშვა და უთხრა:

— მისი ბრწყინვალეობა ჩემი მეგობარია, კაპიტანო!

— ძალიან კარგი! ძალიან კარგი! აქ გასაჯავრებელი რა არის. რომ ჯავრობთ?!. აბსენტს არ მიირთმევთ? არა? შინ ხომ არას დამაბარებთ? არაფერს?! მამ მშვიდობით! მშვიდობით!.. მართლა, ტარტარენ, საუცხოო თუთუნი მაქვს, ჩვენებური, ფრანგული თუთუნი... ჰა!.. გენბავთ, ერთი-ორი მოწევა მიირთვით!.. მიირთვით!.. მიირთვით!.. გარგებთ!.. სულ ამ ოხერი აღმოსავლეთის თუთუნის ბრალი კი არის აი! ისე გადურევს პატიოსან ვაჟკაცს აზრებს, ისე გადურევს, რომ...

აქ კაპიტანი ისევ თავის აბსენტს მიუჯდა და ტარტარენი გზას გაუდგა. ჩაფიქრდა ჩვენი გმირი. მართალია, დიდსულოვნება ნებავს არ

აძლევედა გაგონილიდან დაეჭვრებინა რამე, მაგრამ ბარბასუმ ისე ნათლად აუხსნა ყველაფერი, ისე დაუღეჟა, რომ თავისდა უნებურად ჩაფიქრდა და დაღონდა საბრალო სიდი ტარტ'რი. თანაც ბარბასუს ლაპარაკის კილო მოავონდა, თავისი საყვარელი სამზრეთ საფრანგეთის კილო! იგივე გამოთქმა! იგივე ლანძღვა და სიმძიარულე! მიდიოდა და გულს რაღაც უღრღნიდა და უწუხებდა.

შინ არავინ დახვდა. ბაია აბანოში წასულიყო... ზანგის დედაკაცი რომ დაინახა, თითქოს ჯერ არ ენახოსო, ზიზღით კინალამ გული აერია, ბოლმა შემოაწვა საწყალს, ფიქრებმა გაიტაცეს... წყაროსთან წამოწვა, ჩიბუნი ამოიღო და კარგა ლამაზად გატენა ბარბასუს თუთუნით. ეს თუთუნი გაზეთ „სემაფორის“ ნაფხრეწში იყო გაწვეული. ვატენა ჩიბუნი და უცბად თავისი სამშობლო ქალაქის სახელი კი ეცა თვალში. დახედა და... წაიკითხა:

ბარასკონიდან იწმინდებიან

დიდ გლოვას და ტირილს მისცემია ჩვენი ქალაქი. ტარტარენი, გამოჩენილი მონადირე, ეს რამდენიმე ხანია აფრიკას გაემგზავრა ატლასელ ლომებზე სანადიროდ და წასვლის შემდეგ მისი ამბავი აღარა ვიცით რა. აღარ ვიცით, რა მოუვიდა ჩვენს სამელოვან თანამემამულეს. რა იქნა, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ? ვისაც კი ტარასკონელი გვირთა გვირის სამაგალითო ვაჟაკობა გუჯობია, ვინც კი იცის, რა სასახელო და დიდებული საქმეები ტრიალებდნენ მის გულში, ვისაც კი ახსოვს, რა შეუშინებელი, დაუღვრომელი და დაუღალავი მძებნელი იყო ბრძოლის და განსაცდელისა, ვეღარც კი ბედავს — თავის თავს მაინცს აკითხოს: ნეტავ ტარტარენს რა მოუვიდაო? იქნება ისიც საპარის ქვიშათა მსხვერპლად შეიქნა? ან იქნება ნოასწრეს საღზე მიყრუებულ ალაგას ატლასელმა ლომებმა და ძვლიც აღარსად დაგვიტოვეს? ნუთუ ჩვენი ტარტარენი იმ ლომებმა გამოასალმეს წუთისოფელს, რომელთ ტყავებს წასვლის წინ ყველასა გვირდებოდა? ვინ იცის! მართალია, ბოკერის ბაზრობაზე საუკუროდ მოსულ ზანგებს უთქვამთ — საპარის უდაბნოში ერთ ფრანგს შეეხვდით, ლომებზე მონადირესო... ზანგების აღწერით ტარტარენი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ტიმბუქტუს მიემგზავრებოდაო; ტარტარენი ტიმბუქტუსში რად წავიდოდა... ღმერთო, შენ იყავ მფარველი ჩვენი სახელოვანის და მასახელებლის ტარტარენისა!

წაიკითხა ტარტარენ ტარასკონელმა, გაწითლდა, გაყვითლდა, გული ამოუჯდა... მთელი ტარასკონი თვალწინ წარმოუდგა: კლუბი, ქულზე მონადირენი, კოსტეკალდის მწვანე სავარძელი და ყველაზე უფრო ნათლად, თითქო მთელ ქალაქს არწივივით თავს დასტრიალებსო, კაპიტან ბრავიდას, კაპტენარმუს ბრავიდას გრძელი, მამაცური ულვაში.

ტარასკონელებს თავიანთი ტარტარენი შიგ შუაგულ საპარაში ჰგონიათ, ლომებს ჟლეტავს, ლომებს ხოცავს და ტყავებს საჩუქრად

გვიმზადებსო, და ეს კი აქ წამოწოლილა, მუთაქ-ზე გადასვენებულა მულოგინე დედაკაცივით!.. თავის თავისა შერცხვა საწყალ ტაოტარენს და ტირილი დაიწყო!

და აღსდგა გმირთა გმირი!..

წამოხტა და — სიკვდილი ლომებსაო! — შესძახა.

საკუქნაოში შევარდა, თავის ბარგს ერთი მტკაველის სიმალლე მტვერი ააბერტყა და გამოამზევა მსწრაფლ გასაშლელი კარავი, საგზაო აფთიაქი, იარაღის ზანდუკი, მაფრაშები... გამოალაგა შუა ეზოში და სამგზაჟროდ მომზადებას შეუდგა.

ტარტარენ სანჩომ თქვენი ჭირი წაიღო! დარჩა მარტო ტარტარენ კიხობი!

მომზადებას დიდი ხანი არ უნდოდა. ბარგი ჩალაგებული ჰქონდა, იარაღი შეისხა, სარკეში ჩაიხედა, წვერი გაისწორა, სანადირო ნაღალყელიანი წაღები ჩაიცვა, ჩერნოგორიელ თავადს წერილი მისწერა... სულ ორი კალმის მოსმა — ჩემს ბაიას შენ გაბარებო, წერილში რამდენიმე ბანკის ბილეთი ჩადო, თავის ცხარე ცრემლით დასველებული ბილეთი და — მშვიდობით!

ჩაჯდა დილიჯანში და ბლიდაპისკენ გასწია.

ისე უცბად, მოულოდნელად მოხდა ეს ყველაფერი, რომ ზანგი დედაკაცი მთელი დღე გონს ვეღარ მოსულიყო: იდგა შუა ეზოში პირლია, გაშტერებული, სალოკი თითი ტუჩზე მიედო და სიდი ტარტ'რი ბენ ტარტ'რის არაბულ ტანისამოსს შესცქეროდა: ე ტანისამოსი აქ არის, ე ყალიონი აქ არის და თვითონ სიდი ტარტ'რი ბენ ტარტ'რი რაღა იქნაო?!

ეპიზოდი მესამე

ლომთა ქლეტა

I

ძველი დილიჯანსი

ერთი ძველებური დილიჯანსი შეხვდა ტარტარენს, ძველებური და ძველისძველი, დამტვრეული, დანჯღრეული, დაჯანდაკებული, თუმცა, ეტყობოდა, თავის დროზე ლამაზი რამ უნდა ყოფილიყო. უწინდელი სიმშვენიერისა საწყალს გაუბეზებული, გაქონილი, დამპა-

ლი ხავერდის ნაფხრეწებილა შერჩენოდა და თითქო ამ ყოფას სულ მოგზაურთ აბრალებს და იმათზე იყრის ჯავრსაო, საშინლად არყევდა და ანჯღრევდა უბედურებს. მართალია, ტარტარენს კარგი ალაგი რგებოდა და უფრო ნაკლებად გრძნობდა ძველი დილიჯანის სიმუხთლეს, მით უფრო, რომ მისი ფიქრი შორს გახლდათ, შორს, შორს ლომებში დაძწოდა და სულ კალიასავითა ქლეტდა მხეტთა მეფეებს, მაგრამ სხვა რომ არა იყოს რა, ცხვირში ბამბას ხომ ვერ დაიცობდა! საშინელი სუნი იდგა დილიჯანსში, რალაც გულის ამრევი სუნი, ოფლისა და ცხენებისა, ქალისა და ტყავისა, საჭმელებისა და დაობებული თივის სუნი.

ვერც მგზავრები შეხვდა თავისი გუნებისა: ერთი ბერი იყო, რამდენიმე ებრაელი ვაჭარი, ორი ქალი (ბანაკისაკენ მიდიოდნენ, იქნებ ოფიცრებს ფული კიდევა ჰქონდეთო) და ერთიც ორღეანვილელი ფოტოგრაფი. არც ლაპარაკის გუნებაზე იყო ჩვენი გმირი, იჯდა თავისთვის ჩაფიქრებული, ორივე თოფი მუხლებშუა დაეყუდებინა და ზედ დაჰყრდნობოდა. როგორაც ერეოდა ფიქრები: ადვილი ნუ კი გგონიათ ასეთი მოულოდნელი წამოსვლა! როგორც მოგეხსენებათ, ბიას არცკი გამოეთხოვა. ბიას შავი თვალები, ის საშინელი განსაცდელი, რომელიც ლომზე მონადირეს ძნელად ასცდება, გონებას ურევდა და გულს უწუხებდა. ახლა ეს ძველებური მამაპაპური დილიჯანისი... სადღაც ენახა ეს დილიჯანისი, მგონი შიგ ტარასკონში, დიახ, ყმაწვილკაცობისას... და მოაგონდა თავისი საყვარელი ტარასკონი, თავისი სიჭაბუკე, დილიჯნით სეირნობა, რონის პირს გამართული სადილები... მთელი თავის სიყმაწვილე თვალწინ წარმოუდგა...

დაღამდა. კონდუქტორმა სანთლები აანთო... დაქანგებული დილიჯანისი ხან აქ ჩაჰკარავდა თავს, ხან იქა, თან მწარედ კვნესოდა; ცხენები ფრუტუნებდნენ, ზარებს წკარუნი გაუდიოდათ და ხანდახან შიგ დილიჯანსში რალაც რაჩხარუჩხი ისმოდა რკინის და ფოლადისა — ტარტარენის იარაღის რაჩხარუჩხი.

ტარტარენი თვლემდა. დილიჯანისი რომ ჩავარდებოდა სადმე, თვალებს გაახელდა, თავის თანამოგზაურთ დააკქერდებოდა და მერე ისევ მიიძინებდა. ძლივს ესმოდა ძილში დილიჯანისის ჭრიალი და თავის იარაღის რაჩხუნნი.

და უცბად რალაცა ხმა მოესმა, ხრინწიანი ხმა, და ძახილი: „ბატონო ტარტარენ, ბატონო ტარტარენ!“

— ვინ არის?

— მე გახლავართ, ბატონო ტარტარენ; ნუთუ ვეღარა მცნობთ?.. მე გახლავართ ბებერი დილიჟანსი, გახსოვთ, ამ ოცი წლის წინათ ტარასკონს და ნიშს შუა რომ დავიარებოდი?.. რამდენჯერ წამიყვანინხართ თქვენ და თქვენი ამხანაგები, ბატონო ტარტარენ, ქულზე სანადიროდ რომ წაბრძანდებოდით ხოლმე ბელგარდის ან ჟონკიერისკენ! წელან ვერ გიცანით, ბატონო: „თათრის“ ქული გხურავთ და გასუქებულხართ კიდევ... ძაან გასუქებულხართ... აბა რალას გიცნობდით? მაგრამ თქვენი ხვრინვა რომ გავიგონე... აი, დალახვრა ჩემმა გამჩენმა... ხვრინვაზე გიცანით! მაშინვე გიცანით!

— კარგი! კარგი! — შეუტია ტარტარენმა. ცოტა არ იყოს, ეწყინა ასეთი კაღნიერება. მერე ძველი ამბები მოაგონდა, გული მოუღბა და ჰკითხა:

— მერე აქ როგორ გადმოხვედი, ამ სიშორეზე, ჩემო ბებრუცუნავ?

— ეეჰ, ჩემო კეთილი ბატონო ტარტარენ! ჩემი ნებით არ გახლავართ აქა, გარწმუნებთ, არა. რაკი ბოკერის რკინიგზა გააქეთეს, მე ამითვალწუნეს, რის მაქნისია ეს რალაც დილიჟანსი არისო, და აფრიკაში გამომისტუმრეს! მარტო მე კი არ გეგონოთ ამ დღეში! რაც კი საფრანგეთში დილიჟანსი იყო სადმე, ყველა განდევნეს სამშობლოდან! თითქმის ყველა! თქვენ... განათლების და ეროვნული წინმსვლელობის წინააღმდეგნი ხართო, რეაქციონერები ხართო! და ამ სიშორეს, სწორედ ჯოჯოხეთში გვიკრეს თავი... დიახ, საფრანგეთში რომ იტყვიოთ ხოლმე — ალჟირული რკინიგზაო, იცოდეთ, ეს ალჟირული რკინიგზა ჩვენ გახლავართ, ჩვენ, დანჯღრეული დილიჟანსები! — თქვა და მწარედ ამოიოხრა ბებრუცანა დილიჟანსმა. მწარედ ამოიოხრა და განაგრძო:

— ეეჰ, ბატონო ტარტარენ! რომ იცოდეთ, როგორ მენანება ჩემი კარგი ტარასკონი! როგორ მენატრება ჩემი ტარასკონის ნახვა?! ვილა მალირსებს მე უბედურს! ერთი დრო არავის შერჩენიაო! ნამდვილია, ბატონო ტარტარენ! რა კარგი დრო მქონდა, რა ნეტარებით სავსე დრო მქონდა! რომ მომაგონდება ჩემი სიყმაწვილის დღენი!.. უნდა გენახეთ, დილით, ადრინადად გზას რომ გავუდგებოდი ხოლმე, რა ლამაზი, რა ცუგრუმელა ვიყავი! სულ კრიალი გამქონდა! თვალები მწვანედ მქონდა შეღებილი, საფარი სარკესავით ელავდა, ამო-

მავალი მზე გეგონებოდათ ჩემი სანათურები. შოლტს რომ გადა-
უტყალაშუნებდა ხოლმე ჩემი მეეტლე! გახსოვთ ძველებური სიმღე-
რა: „ლაგადიგადო, ტარასკო, ტარასკო!“ სწორედ ამ ხმაზე ატყლა-
შუნებდა შოლტსა!.. ჩემი კონდუქტორი? ოქრომკედით ნაკერ ქულს
გვერდზე დაიხურავდა, საყვირს ჩაჰყვირებდა, უცბად ამოხტებოდა, —
„გარეკე!“ შესძახებდა და დაიძროდნენ ცხენები! ამისთანა ფეთიანი
ცხენები კი არ მებნენ, ბატონო ტარტარენ, იმისთანა ჰკვიანი, მშვი-
დობიანი ცხენები მებნენ, მგელიც ვერ გააგვიებდა. ზარს წკარუნი
გაჰქონდა — არიქა, დილიყანსი მოდისო, ძაღლები ყეფას მორთაფ-
დნენ, კონდუქტორი საყვირს უკრავდა. ყველგან თანჯრებს აღებდნენ
და სიამაყით დამტკეროდნენ ტარასკონელები — აბა, ხალხი ჩვენა
ვართ, რომ ამისთანა დილიყანსი გვაქვსო! მე კი მივგარიალეზი დიდ
სამეფო გზაზე!

სამეფო გზა ხომ გახსოვთ, ბატონო ტარტარენ, განიერი, ლამა-
ზად დატკეპნილი, ზედ აქა-იქ ამართული გავილილი მანძილის მაჩვენ-
ებელი ბოძები და დამტვრეული ქვის გროვები, მარჯვნივ და მარ-
ცხნივ გადაჰიმული ვენახები და ზეთისხილის ჭალები! ჩრდილი
გახსოვთ, ბატონო ტარტარენ, ჩრდილი?! ათს ნაბიჯს გაივლიდი და
პატარა კოხტა დუქანი! ოცს გაივლიდი და ცხენების საცვლელი
ადგოლი! ჩემი მგზავრები? რა კარგი, პატიოსანი ხალხი დაიარებო-
და: მამასახლისები და მღვდლები — ნიშს მიდიოდნენ ხოლმე მაზ-
რის უფროსის ან ეპისკოპოსის სანახავად, — სადღესასწაულოდ
დათხოვნილი შეგირდები. ჩვენი გლეხკაცები... განა წავიდოდნენ
სადმე, რომ ჯერ ტანისამოსი არ დაეცვალოთ და პირი არ მოეპარ-
სათ?! და სულ ზევით, ჩემს ბანზე, თქვენა ბრძანდებოდით ხოლმე
გამოჰიმული, ბატონო ტარტარენ, თქვენ და ქულზე მონადირენი. რა
კარგ გუნებაზე იყავით ყველანი! რა მზიარული ხარხარი ისმოდა,
რა ლამაზად მღვროდით ყველა თავის სიმღერას! მეტადრე სადამოზე,
ან მთვარიან ღამეს, შინისაკენ რომ წამოვიდოდით ხოლმე!..

სადღაა ის დრო?! რომ იცოდეთ, რა წუწკ, რა უმსგავს მგზავ-
რებს დავატრევ! ნეტავი ვინ არიან, რა არიან, რას დაწოწიალებენ!
მაჰუჰყიანებენ, მსვრიან, მატლებით მავსებენ! ზანვეები, არაბები,
უწინდელი გადაყრუებული ჯარისკაცნი, საფრანგეთიდან გადმოსახ-
ლებულნი, დაგლეჯილ-დაფლეთილნი... ვინ გნებავთ, უსაქმო და
უბინაო, რომ მე არ მაწუხებდეს? მართო წეკოს სუნი ბრძანეთ

თქვენა! ახლა ამათი ლაპარაკი! ლაპარაკობენ და ლაპარაკობენ! როგორ არ მოსწყინდებათ ავლენი ყბედობა, მიკვირს სწორედ... მე კი ერთი სიტყვაც არ მესმის!.. ქრისტიანი ამათსას განა გაიგებს რასმე? რას გაიგებს, ისეთ უსჯულო ენაზე ლაპარაკობენ! ან იქნებ გგონიათ, მოვლა მქონდეს რამე? რა სათქმელია! რაც აქა ვარ, ერთხელაც არავის გავუბანივარ, ერთხელ არავის გავუწმენდივარ. თქვენ კი ალბათ მე ვემძღვრებით — ქრიალით აღარ დამაძინაო?! ამ ცბენებმა ხომ ბოლო მომიღეს. ჩემი დამმართეს! ოჰ, რომ მომაგონდება უწინდელი დიდრონი, წყნარი, კეკიანი ცხენები! ამ პატარა არაბულ ცხენებს მგონი ქაჯები უსხედან ფეხებში. ერთ წამს არ მოისვენებენ, სულ კუნტრუში გაუდით, სულ ცმუტავენ, სულ იბინებებიან... სულ წიხლს მესვრიან და გვერდებს მილეწავენ! ვაი! ვაიმე, მიშველეთ!.. ხედავთ, ბატონო ტარტარენ, რას მიშვრებიან?! ოჰჰ! ვაი ჩემი ბრალი... გზებს ხომ ნულარა ბრძანებთ. აქ კიდევ არა უშავს რა, ჯერ ქალაქთან ახლო ვართ და მართებლობას თვალი აქაურობამდეც მოსწვდება ხოლმე; თქვენ იქითა ნახეთ, გზა კი აოა, გზისას კვალსაც ვერსადა ნახავთ. უგზო-უცვლოდ დავდივართ მთა და ბარში. ხან ბზის ბუჩქსა ვთელავთ, ხან რიყეებში ვიმტვრევთ თავსა. ცხენებს საცა მოგვხვდება, იქ გამოვიცვლით. ეგ კონდუქტორის ნება და სურვილია: ხან ერთ დღეს სამგან გაჩერდება, ხან სამი დღე დაუსვენებლივ მიდის, თითქო ფაფა უცივდებოდეს სადმე.

რომ იცოდეთ, რა ბრიყვი, რა უზრდელია ჩემი კონდუქტორი! ხანდახან სამი-ოთხი ვერსის მანძილს მომავლევიწინებს ხოლმე — ერთ ნაცნობ კაცთან კარგი ღვინო მეგულუბაო. დალევს და შემოგვიტევს. „გარეკე!“ მაშ რა ქნას? რომ დაუგვიანდეს! ძალიან არ ენალულება, თუ მზე მწვავს, მდაგავს და მტვერი მახრჩობს? „გარეკე!“ კიდევ მოსწყურდება, კიდევ შემაჩერებს! ჩახეთქავს და „გარეკე!“ წყალში ვტოპავ — აქ ხომ ხიდები არც კი იციან რა არის! ვსველდები! ზედ სურდო-ხველა! ნეტავი დავიხრჩო მაინც! „გარეკე! გარეკე!“ მერე საღამოზე... ძვალით ხორცამდე წყლითა ვარ გაყლენთილი. ჩემს სიბერეს ავლენი ტანჯვის ატანა აღარ შეუძლია, ბატონო ტარტარენ, ამივარდება ხოლმე ფერდის ქარები... დამე ცის ქვეშა ვგდივარ, სადმე ქარვასლის ეზოში! სულ ერთია. გინდა წვიმა იყოს. გინდა ქარი გრიალებდეს, მე გარეთ უნდა ვეგდო. ტურები დამეხვევიან

ხოლმე, ბატონო ტარტარენ, დამშეული ტურები! ტყავი აღარ შემარჩინეს! თუ არადა, მოვლენ ვიღაც მაწანწალები და თბილად, არხეინად ხვრინავენ მთელი ღამე! აი, რა დღეში ვარ, ჩემო კარგო ბატონო ტარტარენ, ამ დღეში ვარ და, ეტყობა, ამ დღეში ვიქნები, ვიდრე წვიმისაგან დამპალი და სიცხისაგან დამწვარი, სადმე გზის პირას არ მივეგდები. იქაც არ მომასვენებენ, ბატონო ტარტარენ! დამეხვევიან არაბები და... არ იცნობთ, გეტყობათ: მკვდარი ვირი რომ ნახონ, ნალს აპყრიან და მე რაღა კეთილს დამაყრიან?!

— ბლიდაჰ! ბლიდაჰ! — შეჰყვირა კონდუქტორმა და დილიყნის კარი გააღო.

II

კასუნასთან საუბარი

გაიხედა ტარტარენმა ტალახიან ფანჯარაში და არც კი დაიძრა: ახლად აგებული სამამასახლისო სახლი ჩანდა, წინ მშვენიერი, ოთხკუთხი, ფორთოხლის ხეებით დამშვენებული მოედანი; აქვე ჯარისკაცი სიარულში და თოფის ხმარებაში ვარჯიშობდნენ. ერთი სიტყვით, მშვენიერი რამ იყო ქალაქი ბლიდაჰი, მაგრამ ლომის სუნი კი ჯერ არსად იგრძნობოდა.

— ქვევით! ქვევით! — წაიფურჩულა ტარტარენმა და ქალაქს ყურადღებაც არ მიაქცია. ამ დროს ვიღაცამ დილიყანსის კარი გააღო და ფორთოხლის სურნელებით სავსე დილის ცივ ნიავეს ერთი პატარა, სულ პატარა კაცი შემოჰყვა. მოხუცებული იყო ეს პატარა კაცი, ჩამომხმარი თავი მუშტისტოლა ძლივს ექნებოდა. ხელში ქოლგა ეჭირა და ქალაღდების საზიდავად — ტყავის აბგა. სამაზრო ქალაქის ნოტარიუსი უნდა ყოფილიყო, ამას ფიქრიც არ უნდოდა.

პატარა კაცი სწორედ ტარტარენის პირდაპირ დაჯდა. შეხედა მის იარაღს და თვალი ველარ მოაშორა. ჯერ იარაღი სინჯა, მერე მისი პატრონი; განცვიფრებული, გაშტერებული შესტკეპროდა ლომებზე მონადირეს, თითქოს უნდა ჰკითხოს რამე და ვერ მოუხერხებიაო.

ცხენები გამოუშვეს, სხვები შეაბეს, დილიყანსი დაიძრა... პატარა კაცი ისევ ისე გაშტერებული სინჯავდა ჩვენს გმირთა გმირს.

ბოლოს თვით ტარტარენმა იწყინა ამგვარი ურიგო ქცევა პატარა კაცისა და ჰყითხა:

— ჩემი იარაღი გაკვირვებთ, ბატონო? — და ახლა თვითონ დაუწყყო ისევე დაშტერებით სინჯვა.

— არა, ბატონო, კი არ მაკვირვებს, მაწუხებს! — უპასუხა გულდინჯად პატარა კაცმა. მართალიც იყო: ლომებზე მონადირის მსწრაფლსაშლელ კარავს, თოფებს, გრძელ ხანჯალს, რევოლვერს და სხვა იარაღს კარგა დიდი ადგილი დაეჭირათ; ახლა თვით ტარტარენის სისქეც მოიგონეთ... და მგონი, არც ისე გაგაკვირვოთ პატარა კაცის პასუხმა.

ტარტარენს კი ეწყინა:

— იქნებ გგონიათ, ბატონო, ლომებზე სანადიროდ ემაგ ქოლგის ანაბარა უნდა მივიდიოდე? — ამაყად შეუტია გულნაწყენმა გმირმა.

პატარა კაცმა თავისი ქოლგა გასინჯა, სახეზე რაღაც ღიმილი დაეტყო, მერე ისევე გულდინჯად, აუჩქარებლად უპასუხა:

— მაშ, თუ უკაცრავად არ გახლავართ, თქვენ ბრძანდებით...

— ტარტარენ ტარასკონელი, ლომთა მყლეტი!

ლომი ვერ შეიქნევს ისე მამაცურად ფაფარით შემკულ თავს, როგორც ამ სიტყვებზე ტარტარენმა შეიქნია თავისი ფესის ფოჩი.

ბებერი დილიჩანსიც კი შეკრთა, არამც თუ შიგ მსხდომნი.

მღვდელმა პირჯვარი დაიწერა, ქალებმა შეჰკივლეს, ორღეანვილელი ფოტოგრაფი წამოიწია, გეგონებოდათ, ახლავე თავის იარაღს გამართავს და სახელოვან „ლომთა მყლეტს“ გადახატავს.

მარტო პატარა კაცს არა შეეტყო რა.

— ბევრი ლომი მოგიკლავთ, ბატონო ტარტარენ?

ჯერ არ იცნობდა ტარტარენ ტარასკონელს ის უბედური?

— ბევრიო?! — დაცინვით შეუტია ლომთა მყლეტმა: — ნეტავი იმდენი თმა გქონდეთ, რაც მე ლომი მომიკლავს, ისიც გეყოფათ, ბატონო.

გადახედეს მგზავრებმა პატარა კაცს და საშინელი სიცილი წასკდათ: მოტვლეპილ თავზე იმ უბედურს სწორედ სამად-სამი ღერა თმალა შერჩენოდა.

ამ დროს ორღეანვილელი ფოტოგრაფი ჩაერია ბაასში.

— საშინელი ხელობა გქონიათ, ბატონო ტარტარენ, საშინელი!

თქვენი სიციცხლე ბეწვზე ჰკიდა! წამდაუწუმ სიკვდილის პირსა ხართ... აი თუნდა ი საწყალი ბომპონელი...

— ვეფხვთა მზოცი! — თქვა ზიზლით ტარტარენმა.

— ბომპონელს იცნობთ, ბატონო ტარტარენ? — ჰკითხა პატარა კაცმა.

— ბიჭო! იცნობო? ერთი ოცქერ მაინც არ გვინადირია ერთად მე და ბომპონელს!

პატარა კაცმა ჩაიცინა.

— მაშ, გეტყობათ ვეფხვზედაც ნადირობთ ხოლმე, ბატონო ტარტარენ?

— დიახ, ხანდახან... ისე, დროს გასატარებლად!..

რაკი ერთი შეტოპა, განაღა თავს შეიმაგრებდა!

თავი შეიქნია, თვალები დააბრიალა და ისე გმირულად გადახედა ქალეებს, რომ ორივეს გულში საუკუნო ბინა გაიჩინა.

— ნადირობა ლომზე!.. — დაუმატა ტარტარენმა, — ვეფხვი... რა არის ვეფხვი?!

— მართლაცდა, რა არის ვეფხვი? — თქვა ფოტოგრაფმა, — ერთი უბრალო კატა, სხვა ხომ არაფერი? დიდი კატაა, მორჩა და გათავდა!

— ჰეშმარიტად! — უბასუხა გახარებულმა ტარტარენმა. აბა ვი-
დაც ბომპონელის სახელის დამცირება, მეტადრე ამ ქალების თვალ-
ში, ასე უნდოდა, აი!

სწორედ ამ დროს გაჩერდა დილიყანსი. კონდუქტორმა კარი გა-
აღო და დიდის მოწიწებით მიმართა პატარა კაცს:

— ჩამობრძანდით, ბატონო, მივედით!

პატარა კაცი ჩავიდა და კარებში გაჩერდა.

— ნებას მიბოძებთ, ბატონო ტარტარენ, ერთი პატარა, სულ მცირე შენიშვნა გიძღვნათ?

— ბრძანეთ, ბატონო.

— აი, ბატონო ტარტარენ! თქვენ პატიოსან კაცსა ჰგავხართ და მინდა სიმართლე მოგახსენოთ... ტრასკონში დაბრუნდით, ბატონო ტარტარენ! დაბრუნდით, რაც შეიძლება საჩქაროდ... თქვენ დროს ტყუილად კარგავთ... აქეთ ცოტაოდენი ვეფხვი კიდეგ მოიძე-
ვება. მართალია, მაგრამ მხოლოდ ვეფხვი!.. თქვენ ხომ არ იკადრებთ ვეფხვზე ნადირობას?! ვეფხვი კატაა, სხვა ხომ არაფერი... რა თქვე-
ნი საკადრისია! რაც შეეხება ლომებს... მორჩა! მთელი ალყირი რომ

დაიაროთ, ერთს ველარსად იპოვით! უქანსკენელი ჩემმა მეგობარმა შესენმა მოკლა.

თავი დაუკრა პატარა კაცმა, კარი მონურა და სიცილით გაუდგა თავის გზას.

— კონდუქტორო! — შესძახა ტარტარენმა და მეტის სიბრაზიან-
გან ქვემო ტუჩი დაუშვა: — კონდუქტორო, ვინ იყო ეს კაცუნა?!

— რაო? ნუთუ არ იცნობთ?! ბატონი ბომპონელი გააღდათ.

III

ლომეხის მოწასპერი

ჯერ მილიანაში არ მისულყო დილიყანსი, რომ ტარტარენს ლომის სუნი მიუვიდა. შორს წასვლა რაღა საჭირო იყო, ამ პატარა ქალაქში ჩამოსტა და დილიყანსი თავის გზას გაუდგა.

მთელი ორი დღის ნანჭღრევი იყო, ორი ღამის უძილო, დაღლილი, მისუსტებული. ან როგორ არ დასუსტდებოდა: ამოდენა ხანი სულ ფანჯარაში იტყირებოდა — იქნებ მინდორში, გზის პირას სადმე ლომს მოგვრა თვალის. ცოტა ხნის განსვენება ეჭირებოდა და კიდევ შეერგებოდა. შეერგებოდა მით უფრო, რომ ბომპონელთან საუბრის შემდეგ ცუდ გუნებაზე იყო, გულს თავისდა უნებურად რაღაცა უღრღნიდა და ამ გულის ტკივილის დავიწყება ძილში უნდოდა. ის პატარა კაცი რომ მოაგონდებოდა, რაღაც სირცხვილსა გრძნობდა, თითქო დილიყანსში მსხდომ ქალთა წინაშე შეარცხვინეს თვითონაც, მისი იარაღიც, მისი ბრაზისაგან დაშვებული ქვედა ტუჩიც და ვაჟკაცობაც.

მილიანა სულ პატარა ქალაქია, განიერი ქუჩებით, დიდრონი ხეებით და წყაროებით შემკული. დადიოდა ქუჩებში, შეაფერ სასტუმროს ეძებდა და თან კი, თავში ბომპონელის ნათქვამი უტრიალებდა... ერთიც ვნახოთ, მართალი ეთქვას ი კაცუნას? ერთიც ვნახოთ, ალყირში ლომი აღარ იყოს?.. მაშ, თავს რისთვის იწუხებს? რისთვის დაძრწის? რისთვისღა დაათრევს ამოდენა იარაღს და ბარგი-ბარხანას?

ამ ფიქრებში იყო გართული ჩვენი გმირთა გმირი, რომ ერთ ქუჩაში ჩაუხვია და უცბად პირდაპირ კი წააწყდა... ვისა? აბა გამო-

იცანიო? ერთ უშველებელ ლომს, დიახ, ლომს! ყავახანის კართან დაბრძანებულიყო, ამაყად, სწორედ მეფურად იყურებოდა ოთხფეხთ მეფე, თითქო ლომათა მელეტ გმირს ვერც კი ხედავსო.

— აკი ალყირში ლომი აღარ არისო, — შეჰყვირა ტარტარენმა და თავის მშვიდად წამოწოლილ მსხვერპლს განზე გაუხატა. ამ ყვირილზე ლომმა ტარტარენს გადახედა, მერე დასწვდა იქვე მის წინ რომ პატარა ჯამი იყო, პირში დაიჭირა და ჩვენს გმირთა გმირს გაუწოდა თავმდაბლად. ტარტარენი გაშრა, განცვიფრდა... ამ დროს ერთმა არაბმა გამოიარა და ჯამში შავი ფული ჩააგდო. ლომმა მადლობის ნიშნად კუდი გაიქნია.

ახლა კი მიხვდა ტარტარენი, ახლა კი გაიგო თავისი შეცდომა. წედან, ამოდენა ხნის სანატრელი ლომის დანახვაზე გული აუტოკდა, ბრმა თვალხილულად ეჩვენა, მოშინაურებული — ველურად; და მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ამ ლომს ორი ზანგი ატარებდა და უკან ბრბო და ბავშვები დასდევდნენ.

სისხლი ყელში მოებჯინა საწყალ ტარასკონელს, ასე დამცირებული რომ ნახა დიდებული და მძლავრი ნადირი თავისი ოცნებისა.

— ჰაი, თქვე უსინდისონო! — დაიქექა ტარტარენმა: — თქვე ლაჩრებო, თქვენა! არა გრცხვენიათ, რომ აგრე არცხვენთ ამ მეფისდარ ქმნილებას! — ერთი ნახტომით მივარდა ლომს და პირიდან სამარცხვინო ჯამი გამოჰგლიჯა... ზანგებს ეგონათ, ეს კაცი გაძარცვას გვიპირებსო. მივარდნენ ტარტარენს და დაუშინეს კომბლები. საშინელი ბრძოლა ატყდა! ზანგები იბრძოდნენ, ქალები გაჰკიოდნენ, ბავშვები ხარხარებდნენ. ერთი ბებერი ხარაზი ებრაელი თავის დუქანში მიკუნჭულიყო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰკიოდა: „პოლიციაჲ! დაიჭირეთ, დაიჭირეთ!“ ბოლოს თვით ბრმა ლომმაც იგრძნო, აქ რალაც ამბავი ხდებოდა, და ერთი საზარლად შეჰბღავლა ლომის დაბღავლება და ტარტარენის წაქცევა ერთი იყო... წააქცემდნენ მამ, რა?! მარტოდმარტო ებრძოდა ორ ზანგს.

ამ დროს ერთმა კაცმა გააპო ხალხი, ზანგები ერთი სიტყვით დაამშვიდა, ბავშვები და ქალები აქეთ-იქით მიფანტა, ტარტარენი წამოაყენა, მტერიანი ტანისამოსი გაუბერტყა და დასამშვიდებლად იქვე კიბეზე დასვა.

— თქვენო ბრწყინვალეზავ?! თქვენა ბრძანდებით? — შესძახა ტარტარენმა და თან ორივე ხელით ნეკნების ფხანა დაიწყო.

— დიახ, მე გახლავართ, ჩემო კეთილო მეგობარო, წავიკითხე თქვენი წერილი თუ არა, პატარა ბაია თავის ძმას ჩაევაბარე, ცხენები ვიქირავე და სულ თქვენ დევნაში ვარ. კიდევ კარგი, რომ მოგეწიეთ! მერე რა კარგ ღროს შეგესწარიო? მე რომ არა, ვინ იცის ამ გაბრაზებულ ხალხს როგორ გადარჩებოდით?! ნეტა ისეთი რა ჩაიღინეთ, რომ ამოდენა ხალხმა თქვენზე მოაქცია თავისი რისხვა?

— რას იზამთ, თქვენო ბრწყინვალეებავ? ეს ძლიერებით სავსე ლომი რომ ასე დამცირებული ვნახე, ასე დამარცხებულს, შეგინებული, შელახული, გლახასავით ქედმოდრეკილი, ამ მკრალ მაჰმადიანთაგან განკიცხული, გაუბედურებული და მასხარად ავდებული...

— ცდებით, ჩემო კეთილო, ცდებით. ეს ლომი ხალხისთვის წმინდა და თაყვანისცემის ღირსი ცხოველია. ეს იმ წმინდა ლომთაგანი არის, რომელთა მონასტერი მუჰამედ-ბენ-აუდას დაუარსებია ამ სამასი წლის წინათ. ვერ წარმოიდგენთ, რა საზარელი სანახავია ის მიდამო. უშველებელი ადგილი გახლავთ შემოზღუდული და შიგ ცხოვრობენ მუსულმანი ბერები, რომელთა ერთადერთი საქმე ლომის ბოკვერების მოშინაურება და აღზრდა არის. ასობით ზრდიან ლომებს და აქეთ-იქით გზავნიან. მთელ სათათრეთში, თან ერთ-ორ ბერს გააყოლებენ, დადიან და ფულს აგროვებენ. ამგვარად მოგროვილი ფულით ინახავენ ბერებს და მეჩეთს. ეს ზანგები დარწმუნებულნი არიან, რომ ბრმა ლომისაგან მოგროვილ ფულს ერთი გროში რომ მოაკლდეს, ერთადერთი გროში რომ დაკარგონ ან მოაპარვინონ ვისმე, წმინდა ლომი ამას მაშინვე იგრძნობს და გზაში ორივეს შეჭამს.

ამ უცნაურს, მაგრამ სამართლიან ამბავს ისმენდა ტარტარენი, თან ბეჭებს იფხანდა, თან იშმუშნებოდა და რაღაც სიხარულითა ქმინავდა. ბოლოს თავი ველარ შეიკავა და შეჰყვირა:

— ძალიან კარგი, თქვენო-ბრწყინვალეებავ! თქვენი ნაამბობიდან მხოლოდ ერთი დასკვნა გამოდის და ეს დასკვნა — ბატონ ბომპონელს კი არაფრად ეჭაშნიკება — ის გახლავთ, რომ ალყირში ლომები ჭერ კიდევ ყოფილა.

— კიდევ ყოფილაო?! — შეჰყვირა ჩერნოგორიელმა: — ხვალვე, ბატონო ტარტარენ, ხვალვე შელიფის უდაბნოში გავიდეთ და ლომებს აბა იქა ნახავთ, აი!

— როგორ?! თქვენო ბრწყინვალებავ! ნუთუ თქვენც მობრძანდებით ლომებზე სანადიროდ?

— აი, დალახვროს ჩემმა გამჩენმა! მაშ, თქვენ გეგონათ ამ უცხო ქვეყანაში მარტოდმარტო დაგტოვებდით? თავს დაგანებებდით ამ საშინელ ხალხთა შორის, რომლებსაც თქვენ არც ენა იცით, არც ზნე-ჩვეულება? არა, ბატონო, არა! ოჰ, სახელოვანო ტარტარენ ტარასკონელო, თქვენთან ვარ და თქვენთანვე ვიქნები... მე თქვენ თავს ველარ დაგანებებთ. საცა თქვენ იქნებით, მეც იქ უნდა ვიყო.

— ოჰ, თქვენო ბრწყინვალებავ! თქვენო ბრწყინვალებავ!

წამოდგა გახარებული ტარტარენი, გულში ჩაიკრა თავისი ერთგული თავადი გრიგოლ ჩერნოგორიელი და თან ის აგონდებოდა, რომ უფლ ჟერარს, ბომპონელს და ერთობ ყველა გამოჩენილ მონადირეს, ლომზე მონადირეს, რასაკვირველია, თან მეფე ან მეფის გვარისა ახლდა ვინმე, და იმათი არ იყოს, მეც ბრწყინვალე თავადი ჩერნოგორიელი მეყოლებო.

IV

ქარაქანი

გათენდა და ჩვენი მგზავრებიც გზას გაუდგნენ. წინ მიდიოდა უშიშარი ტარტარენი და არა ნაკლებ უშიშარი თავადი გრიგოლი; უკან ექვსი ზანგი მიადევდათ; ზოგს იარაღის ყუთი ეკიდა, ზოგს — სამგზავრო აფთიაქი, ზოგს — მსწრაფლსაშლელი კარავი, ზოგს რა და ზოგს რა. გამოვიდნენ მილიანადან და შელიფის უდაბნოსკენ გასწიეს. მშვენიერ ორლობეზე მიდიოდნენ, იასამნით, კაკლით და ზეთისხილით დაჩრდილულ ორლობეზე, აქეთ-იქით სამოთხის წალკოტივით გადაშლილიყო ბადები, ყველგან წყაროები დიოდა, გეგონებოდათ, ლიბანში ვარო.

თავად გრიგოლს ტარტარენის იარაღიდან აედო რაც მოსწონებოდა და თავით ფეხამდე იარაღში იჭდა. ოქრომკედით ნაკერი ქუდი დაეხურა, — ზედ მუხის ფოთლები იყო გამოსახული — და ამ ქუდით მის ბრწყინვალემა მექსიკელ გენერალს ან ავსტრიელ რკინიგზის სადგურის უფროსს უფრო ჰგავდა, ვიდრე ჩერნოგორიელ ტახტის მემკვიდრეს.

ძაან ქუდი ეხურა! ტარტარენს თვალები ზედ დარჩა და ცოტა არ იყოს, მოკრძალებით ჰკითხა:

— ეგ რა ქუდი გახლავთ, თქვენო ბრწყინვალეზე?

— უამისოდ აფრიკაში მოგზაურობა შეუძლებელია, — უპასუხა თავადმა, თან ამაყად შეიქნია თავი. მან მზის სხივებს შეუშვირა ქუდის ოქრომკედი და თავის ჯერეთ გაუწვრთნელ თანამგზავრს აუხსნა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ოქრომკედით ნაკერ ქუდს ფრანგებსა და არაბებს შორის დამოკიდებულებაში. არაბს ამ ქუდისა უფრო ეშინია, ვიდრე თავის მაჰმადისაო, ბრძანებდა თავადი გრიგოლ; ეშინია, რადგან ეს ქუდი ნიშნავს მართებლობის მოხელეს და, მაშასადამე, ყოვლად შემძლებელ ძალას და ღონეს; ოღონდ ოქრომკედით ნაკერი ქუდი დაანახეთ და ხალხი თრთოლას, კანკალს მოჰყვება, ასე რომ მართებლობამ გადაწყვიტა — ყველას ამგვარი ქუდები დაეხურათ, უფროსებიდან დაწყებული სულ უბრალო, ახალ-მოშენე გლეხკაცამდეო; — ერთი სიტყვით, ალჟირის მართვას, ამ თვალგადაუწვდენელი ქვეყნის მართვას, — ამბობდა თავადი, — ბატონო, დიდი არც ცოდნა უნდა, არც ჰქუა, არც გონება. შეიძლება ეს ჰქუა-გონება სულაც არსად იყოს, ოღონდ ოქრომკედით ნაკერი ქუდი კი იყოს სადმე, თუნდა ბოძზე ჩამოცმული.

ამგვარი საუბრით მიდიოდა პატარა ქარავანი. ფეხშიშველი ზანგები სულ ხტომით მისდევდნენ უკან, რაღაც ყიფინით და ყვირილით ხტოდნენ და მათ იარაღს ზრიალი გაჰქონდა.

საცა კი მგზავრი შეხვდებოდათ, ყველა მოწიწებით სალამს აძლევდა თავადს, თითქო თილისმა უდევს ქუდშიო. მავრამ ერთ სოფელში კი უმტყუნა ბედმა: მამასახლისი არაბი თავის ეზოში დასერირობდა; დაინახა თუ არა მიმავალი ქარავანი და ჩერნოგორიელის ჯადოიანი ქუდი, გაიგონა თუ არა იარაღის ხმა, უცბად შეჰყარა თავისი ხალხი, ხიდი ასწია, გზები შეკრა და ისე გაამაგრა თავისი სამამასახლისო, რომ მისი აღება, კიდევ რომ მოენდომებინათ, შეუძლებელი იყო.

დასაწყისი ბევრი არაფერი გახლდათ!

სალამოზე უარესი მოხდა! ერთ ზანგს, სწორედ იმას, რომელსაც ტარტარენის სამგზავრო აფთიაქი ეკიდა, საშინელი გულს რევა აუტყდა, რადგან უბედური უკან ჩამორჩენილიყო, ყუთი გაეხსნა და ცოტ-ცოტა ყველა წამალი მიერთმია.

მეორე — მკვდარივით დაეცა გზის პირას — ქაფურიანი არაყი იმდენი დაელია, გრძნობა დაკარგა. ყველაზე უარესი მესამემ ჩაინდინა: მას ტასტავენის მიერ დაკაზმული ვერცხლის ვარაყით შემკული რვეული ეჭირა; სულელს ალბათ ეგონა, მთელი მექა-მედინის საუნჯენი ამ რვეულში ძევსო; ჯერ ნელ-ნელა ჩამორჩა და მერე უცბად მოკურცხლა! მანამ ტარტარენი გონს მოვიდოდა, ის კიდევ მიიმალა. მაშინ კი გაჩერდა ქარავენის, ერთი ლელვის ჩრდილს შეეკედლნენ ტარტარენი და თავადი გრიგოლ და რჩევას მოჰყვნენ.

— მე იმ აზრისა გახლავართ, — ამბობდა თავადი და თან რაღაც ახირებულ სამძიროვან ქვაბში ახლად გამოგონილ ფქვილსა ხსნიდა წვენივს გასაკეთებლად, — მე იმ აზრისა გახლავართ, რომ ამაღმევე დავითხოვოთ ეს ზანგები... აქვე ახლო პატარა დუქან-ბაზრისანი სოფელია. მგონი ის ემჯობინება, იქ შეეჩერდეთ და რამდენიმე სახედარი ვიყიდოთ.

— სახედარი?! არა, შენი ჭირიმე, არა! — წამოიყვირა ტარტარენმა: მას ის ვირი მოაგონდა და ჰარხალივით გაწითლდა.

მერე ფარისევლურად მიუმატა:

— როგორ იქნება, თქვენო ბრწყინვალეებავ?! როგორ გნებავთ, იმ პატარა, გოჯის ტოლა ვირმა ამოდენა ბარგი ზიდოს?!

ჩერნოგორიელს გაეცინა.

— ცდებით, ჩემო სახელოვანო მეგობარო! მართალია; აქაური სახედარი გამხდარია და პატარა, მაგრამ საქმე განა სისქე და სიმსუქნეა? საქმე, ბატონო, თირკმლებია, თირკმლები! აბა თირკმლები გაუსინჯეთ? საპალნე, რამდენიც გნებავთ, აკიდეთ. უნდა აიტანოს, მაშ, რას იზამს? მაგრამ არაბებსა ჰკითხეთ, ისინი უკეთ მოგახსენებენ. აი, როგორ ავიწერენ ჩვენს კოლონიურ წესწყობილებას: სულ ზევით სულ მალლა გენერალ-ფაშა ბრძანდება და თან ბევრი, ბევრი ოფიცერ-ალა ახლავს; გენერალ-ფაშა წამდაუწუმ ოფიცერ-ალასა სცემს; ოფიცერ-ალა ჭავრს საწყალ ბოქაულზე იყრის და სიცოცხლეს უმწარებს; ათისთავი — ჭარისკაცზე; ჭარისკაცი ახალშენ გლეხკაცს მივარდება, ის არაბს წაუთაქებს, არაბი ზანგს, ზანგი ებრაელს და ებრაელი კიდევ სახედარს. საბრალო პატარა სახედარს აღარავინ ჰყავს, რომ იმანაც წაუთაქოს ვისმე, ქედი მოუხრია და ყურსაც არ იბერტყავს — რაც გინდა მიყავით, ყველას ავითანო! ჰოდა, თუკი ამოდენას აიტანს, რაღა ჩვენ ბარგზე დაოჩნდება?

— შეიძლება აგრაც იყოს, — უპასუხა ტარტარენმა, — დიახ, შეიძლება მე ვცდებოდე, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ მე, პირად მევე ვდგავარ შორს სადმე და ჩვენს ქარავანს შემოვეჭერი... აბა რა სანახავი იქნება? ლომზე მონადირენი და ვირებით!.. ნეტავი კი სხვა რამ მოვიგონოთ და! სხვა, რომ აღმოსავლეთს მაგონებდეს. ვირები ხომ ნამდვილი აღმოსავლეთია, მაგრამ ვირებზე მეტი მინდა... აი თუნდა... თქვენო ბრწყინვალებავ. აქლემზე როგორა ხართ?! ნუთუ აქ ვერსად ვიშოვით?

— აქლემს? რამდენიც გენებოთ!

ცოტა ხნის შემდეგ ქარავანი ისევ გზას გაუდგა: ახლა კი აქლემის საყიდლად.

მდინარე შელითის პირას მოგროვილიყო ხუთი-ექვსი ათასი დაგლეჯილი, დაფლეთილი არაბი — ეს გახლდათ ჩერნოგორიელის ნათქვამი დუქან-ბაზარი. საშინელი სიცხე იყო, ამოდენა ხალხი სულ ერთ ალაგს შეჯგუფულიყო და აემტვერებინა იქაურობა; თან საზარელი ყვირილი და ყიჟინა ისმოდა: ზოგი ზეთისხილის ქებას გაიძახოდა, ზოგი — ჭირნახულისას, ზოგი — თაფლისას. იქვე, შიგ ხალხში აქა-იქ ცეცხლი აენთოთ და მთელ-მთელ ცხვარსა წვაკდნენ. ამ ყვირილს, ყიჟინას, მტვერს, სიცხეს, კვამლს და ქონის სუნს ტიტველი ზანგი ყასბები მიუმატეთ მუხლამდე სისხლში ამოსვრილები და ვითომ თქვენი თვალთ გენახოთ. ხალხში ირეოდნენ ეს შაკწითელი ყასბები, უცბად წააქცევდნენ თხა-ცხვარს, კალმის დანიუყელს გამოჰლადრიდნენ, კოქის ალაგს გაუჭრიდნენ, გაბერავდნენ, გაატყავებდნენ, გამოწლავდნენ და შამფური და ცეცხლი ხომ მზად იყო.

ცოტა მოშორებით ათასი ფერის კონკებით დაკერებული კარავა მოჩანდა. შიგ ერთ დარბაისელ არაბს მოეკეცა, მუხლებზე უშველებელი ტყავი გაეშალა და ცხვირზე სათვალე ჩამოეცვა. აქ უფრო საშინელი ყვირილი იყო: აქ ფულზე თამაშობდნენ და ვისაც კიდევ გააჩნდა რამე, სულ აქეთ მოეჩქარებოდა — იქნებ დღეს მაინც მოვიგოო.

წყლის პირას მოგროვილ ხალხში ერთი მხიარული სიცილი და ძახილი ისმოდა: შიგ შუა წყალში გაჩერებულიყო მეწვრილმანე ებრაელის ვირი, დაოჩნებულიყო და აღარც წინ მიდიოდა, აღარ უკან. იყო საწყალი მოხუცი ორ ცეცხლშუა...

რა არ იყო აქ: მორიელები, ძაღლები, კაჭკაჭები და ბუზები...
ოჰ, ეს ბუზები!!! ოღონდ აქლემი კი არსად იყო. ბევრი ეძებეს, ბევრი
იკითხეს და ბოლოს, როგორც იყო, მზაბიტები ნახეს, რომელთაც
თურმე ერთი ისეთი კარგი აქლემი ჰყავდათ, რომ მისი გაყიდვა უნ-
დოდათ. ნამდვილი უდაბნოს აქლემი იყო: აყლაყუდა, გაკრეჭილა,
ქეციანი, დაღვრემილი, ყელგრძელა და ყელბრტყელი! ალბათ დიდა
გზა გამოიარა, ალბათ სულ უდაბნოში იარა, სულ უქმელ-უსმელი
იყო, რომ ასე გამხდარიყო..

ტარტარენს კი ისე მოეწონა, რომ მაშინვე მოუტიოდა. აიხირა —
მთელი ქარავანი ამ ერთ აქლემზე უნდა დაეთითოთ.

ხომ მოგეხსენებათ, მოჩვენება...

დაჩოქეს აქლემი, აკიდეს, რაც კი ბარგი-ბარხანა ჰქონდათ. თა-
ვადი ზედ კისერზე მოაჯდა. ტარტარენმა თავისთვის უფრო უკეთესი
ალაგი ირჩია, სულ ზემოთ, ორ ყუთშია; ქვეყანას თავი დაედო, აბა
ვნახოთ, ფრანგი აქლემზე როგორ შეჭდებოა. გამოიჭიმა იმ სიმაღ-
ლეზე ჩვენი გმირთა გმირი, ორ ზანდუკშია გამაგრდა, მერე ერთი
ხელით მოგროვილ ხალხს ღიმილით სავსე სალაში მისცა და მეორე
ხელით — ქარავან-ბაშს, ჩერნოგორიელ თავადს, განკარგულება
უბოძა: „აბა, წავიდეთ!“.

ემპ! სად იყვნენ, რომ ტარაკონელები ვერა ხედავდნენ!

ძან მოსიარულე აქლემი შეხვდათ. მაგრამ ჯერ ათი ნაბიჯიც არ
გადაედგა და საწყალ ტარტარენს რაღაც შემოაწვა გულზე; ფერი წა-
უვიდა, თავს ველარ იმაგრებდა, გმირული ფესის გმირულმა ფონმა
ისევ ის თავისუფლება მოიბოვა, რომელიც ერთხელ „ზუავით“
მოგზაურობის დროსა ჰქონდა... ვინ იფიქრებდა, რომ გემი, აქლემი
და სადღვებელი სულ ერთი და იგივე გამოდგებოდა.

— თქვენო ბრწყინვალეებავ! თქვენო ბრწყინვალეებავ! — კენესო-
და გულშელონებული ტარტარენი, — დააყენეთ, დააყენეთ! ჩავიდეთ!
მე ვგრძნობ... მე ვგრძნობ... რომ საფრანგეთს შევარცხვენ!..

— ეგ არის დიას! აგრე რომ დავაყენოთ ხოლმე!.. ან გაჭენებულ
აქლემს რაღა დააყენებს?!

მიდიოდნენ და უკან ოთხი ათასზე მეტი არაბი მისდევდათ; იცი-
ნოდნენ, ოხუნჯობდნენ, სულ ტარტარენს შესცქეროდნენ და, ეტყო-
ბოდა, რაღაცას ელოდნენ...

რას იზამდა ტარასკონელი გმირთა გმირი? თავი დალუნა... უვარ-
გისი მჩვარივით დასთრევედა გმირული ფესის ფოჩი... თავი დალუნა
და საფრანგეთი შერცხვენილ იქმნა.

V

შიშო

იქნებ სანახავად ძალიან კარგიც იყო აქლემით მგზავრობა, მაგ-
რამ ჩვენი ლომთა მყლეტნი იძულებულნი იყვნენ ფეხით ევლოთ,
რადგან გმირული ფესის გმირულმა ფოჩმა აიყინა — თუნდა მო-
მკლათ, აქლემზე აღარ შეეჯდებიო! რაც ბარგი ჰქონდათ, სულ აქ-
ლემს აჰკიდეს და თვითონ ფეხით მისდევდნენ; ნელ-ნელა მიდიოდ-
ნენ, საცა ნებავდათ, დაისვენებდნენ, საცა ნებავდათ, შენაყრდებოდ-
ნენ! ქარავან-ბაში თვით ტარტარენი გახლდათ. წინ ტარტარენ ტა-
რასკონელი მიბრძანდებოდა, მის შემდეგ აქლემი, უკან თავადი
გრიგოლ ჩერნოგორიელი.

მთელი ერთი თვე იარა ამ ქარავანმა.

მთელი ერთი თვე სულ უპოვარ ლომთა ძებნას მოანდომა გან-
რისხებულმა ტარტარენმა, კიდით კიდემდე მოიარა შელიფის მინ-
დორი, სიგრძე-სიგანე გაუზომა საფრანგეთის ალჟირს, ამ საკვირ-
ველ ქვეყანას, სადაც ძველებური აღმოსავლეთი აბსენტს შეულახავს,
დარბაისელი არაბი ფრანგის გოგოებს მოუხიბლავთ; სადაც ზღაპ-
რული პატიოსნებით სავსე და უმანკო ახლა სასაცილოდ და სამა-
სხროდ გამხდარა, ისევე სასაცილოდ, როგორც სასაცილო გახდება
ხოლმე რომელიმე ღრმა შინაარსის წიგნი, უვიცს, რეგვენს რომ
წაუკითხოთ ვისმე და უთხრათ — აბა ახლა მიაბზე, რაც წაგიკითხოე.
ბევრ საკვირველებას ნახავს აქ კაცი, ოღონდ სურვილი ჰქონდეს
ნახვისა. ველურ ხალხს ჩავცივებივართ — თქვენი განათლება გვინ-
დაო და მათ გასანათლებლად ჩვენი დამპალი ბიწიერების გარდა ვე-
რა მიგვიწოდებია რა. თვით გამანათლებელნიც ნეტავი საუკეთესონი
მანც ამოგვეჩია ჩვენ შორის! ვინც მოგვხვდა, ვისაც მადა ჰქონდა
და სინდისი ნებას აძლევდა, ყველა აქეთ გამოვისტუმრეთ — წადი,
ველურ ხალხს განათლება მოჰფინეო; თან ნეფური უფლებით აღვ-
კურავთ და გული საპატიო ორდენით შევუმკეთ. მართლდა გააბათ-

ლეს ხალხი?! ვინ იქნება ჩვენ ნებას არ ასრულებდეს? საცა „პო“ გვინდა, იქ რომ „არა“ გაბედოს ვინმემ, გავაწვენთ და სულ ტყავს გავაძრობთ! სულ ფეხის გულში ვცემთ იმ უვიცს! არც მაშინ ისწავლის?! არც მაშინ განათლებება?! საქმე სამართლიანად დასჯაა, საქმე ის არის, ხალხი გრძნობდეს, რომ სამართლიანად სჯი, მაშ, დეე ისევ თავისმა ყადიმ ასამართლოს: მართალია, ამ ყადის სინდისისა ნატამალიც არა აქვს, მაგრამ, სამაგიეროდ, სათვალე ხომა აქვს; ზის თავისთვის ყადი — ფარისეველი ყურანის და მართლმსაჯულებისა — და ოცნებობს: ნეტავი აგვისტო როდის დადგება, რომ სოფელში წავიდე, ამ დაწყველილ სამსახურს ცოტა ხანი მაინც თავი დავაღწიოთ; ზის თავისთვის ყადი და თვალებით მომჩივანთ ეკითხება: აბა, რამდენ ოქროს მომცემთო? ამის სამართალი, ამის განაჩენი იმაზე არის დამოკიდებული, ვინ რამდენს მისცემს. არა, ისავმა თავის საუფროსო ერთ ჯამ შექამადად გაყიდა და ყადიმ რომ თავისი განაჩენი გაყიდოს, რა გასაკვირველია?! და რადგან ველურთა შორის განათლების გავრცელებას მშვიდობიანობა უნდა, ამიტომ ყველგან ჯარსა ვტოვებთ და ჯარის უფროსობას გარყვნილთ, ლოთებს ვაბარებთ; ეს უფროსნი უწინ რომელიმე გენერალ იუსუფის მეჭინბენი იქნებოდნენ, ცხადია; ახლა კი გვერდით მოსარეცხე ქალები უსხედან, შამპანური ღვინით სკდებიან, ცხვრის მწვადი თავსაყრელი აქვთ და ამავე დროს ამათ კარვის გარეთ ხალხი შიმშილით იხოცება! ხალხი შიმშილით იხოცება და ბატონების ნასუფრალს ძაღლებს ეცილება.

და გარმემო თვალგადაუწვდენელი სახნავი მიწებია და ჯერ გაუტენელი ბუჩქნარით შემკული დაცემული მინდორი... ბედელი საფრანგეთისა! საუბედუროდ, ბედელში ერთ მარცვალ პურს ვერ იპოვით! ტურას და ბალინჯოს კი რამდენსაც გნებავთ. გადიხედავთ, ნასოფლარებით სავსეა აქაურობა! ოხრად, უპატრონოდ დაგზვდებათ მთელი სოფელი, მთელი მაზრა! რა კერპი ყოფილა ეს ველური ხალხი, რომ განათლებას გაჰქცევია! თავს ანებებს მამაპაპეულ სახლკარს და მამულს, მამა-პაპათა საფლავს და სადღაც მიისწრაფვის! ამ ბედელში მდგომი შიმშილს გაურბის და შარაგზაზე ლბედურად კვდება. აქა-იქ ფრანგების სოფელსა ნახავთ; დანგრეული სახლები, დაუშუშავებელი მიწები და კალია, რაღაც ცოფიანი კალია, რომელიც ფანჯრის ფარდებსაც კი არსად დაინდობს — აი, რას წარმოადგენს

ფრანგების სოფელი. თვითონ ფრანგები? ეს ახალსოფლელი ფრანგები? დიდით პატარამდე ყავახანაში ბრძანდებიან, აბსენტს შეექცევიან, თან კონსტიტუციის შეცვლასა და რეფორმებზე ლაპარაკობენ.

აი, რამდენ რასმე დაინახავდა ტარტარენი, დანახვა რომ სდომებოდა რისიმიე; მაგრამ რას იზამთ, რომ მისი ფიქრი, გონება, წადილი და ოცნება მხოლოდ ლომს და ისევ ლომს ეკუთვნოდა და ლომით გატაცებული მიდიოდა სულ წინ, სულ პირდაპირ, არც მარჯვნივ მიუხედავს, არც მარცხნივ. იმის მაგივრად, რომ ის გაესინჯა, რაც გზაზე იყო, ის შორს, შორს იცქირებოდა, იმ ოცნებით სავსე ქვეყნისაკენ, სადაც ლომი უნდა მოლანდებოდა.

რადგან მსწრაფლსამლელი და მსწრაფლსაკრეფი კარავი მაინც ვერ მოახერხეს და ვერ გახსნეს და ტარტარენის მიერ მარსელიდან წამოდებული საქმელიც არ გამოადგათ, იძულებული იყვნენ საღამოობით ისევ სადმე სოფელში მისულიყვნენ. თავადი კარგად ყოფილიყო თავის ქუდით, თორემ, დღეგრძელობა გაქვთ, კარგად ამათ დაუხვდებოდნენ ხოლმე. აღასთან ჩამოხტებოდნენ სადმე, უფანჯრო შენობაში, სადაც არეული იყო ერთმანეთში არაბული ტახტი და ევროპული კამოდი, სმიჩნიდან მოტანილი ხალი და ახლად გამოჯონილი ლამპარი, ძველებური ვერცხლის ფულით სავსე ზანდუკი და კედლის საათი... მშვენივრად დაუხვდებოდნენ ხოლმე ტარტარენს, გაუმასპინძლებოდნენ, ხალხს დაუპატიებდნენ, ნადიმს გაუმართავდნენ, ცეკვას, ჭირითს... და როცა ყველა გათავდებოდა, როცა გაკვირვებული ტარტარენი ახალს და გასაკვირველს აღარას მოელოდა, სწორედ ამ დროს მიუახლოვდებოდა მასპინძელი ალა და ანგარიშს მითარმევდა: სადილისა, სასმელებისა, სიმღერისა და სხვა... ამდენი მერგებოა.

ეგეც თქვენი არაბული სტუმართმოყვარეობა!
ლომი კი არსად იყო.

ტარტარენი მაინც იმედს არა კარგავდა. მიდიოდა და მიდიოდა, საცა ბუჩქს ნახავდა, თოფს წაჰკრავდა — შიგ ლომი ხომ არ იმალებო; ჭალაში ხომ ერთი საათის სავალს ერთ დღეს ანდომებდა: დაუვლიდა და ახლად ამოხეთქილ ტოტსაც კი არ დატოვებდა უნახავს! შრრ! შრრ! — იძახდა გმირთა გმირი და თან თოფის ლულას წაუჩიჩხვინებდა. ღამე, ვიდრე დაიძინებდა, ერთი, ორი საათი ჩასათრებელი იდგა სადმე... სულ ამაო იყო! ლომი არსად ჩანდა.

ერთ საღამოს, ასე ექვსი საათი უნდა ყოფილიყო, ჩვენი მგზავ-
რები ახლად აყრილ ბუჩქნარში შევიდნენ. საშინელი, სულის შემ-
ხუთველი სიცხე წვადა იქაურობას. ისე ცხელოდა, რომ ბუნებას
თითქო სიცხისაგან ძალ-ღონე აღარ აქვსო, მიმკვდარებულებით ჩუ-
მად იყო და ამ სიჩუმეს მხოლოდ დაუღალავი ტარტარენი არღვევდა
თავის აქლემით.

და შორიდან უცბად რაღაც ხმა შემოესმა, ოღნავ მოჰკრა ყური!
შორიდან მოესმა ეს ხმა, ძლივს ესმოდა, თითქოს მოჩვენება არისო,
მაგრამ ტარტარენი კი არ შედგა: მაშინვე იცნო ის დიდებული, მე-
ფური ღრიალი ლომისა, რომელსაც ისევ ტარასკონში შეაჩვია ყური;
მიტენის სამხეცეს რომ აეკრობოდა ზოლმე ყოველდამ.

ჩერ იფიქრა, ვცდები, მოჩვენება არისო და ისევ ამ ფიქრში იყო,
რომ თუმცა შორიდან, მაგრამ ცხადად მოესმა ლომის ბრაზიანი
ღრიალი; თითქო ყველა ცდილობს ტარტარენი დავარწმუნოთო, შე-
შინებულმა ბუნებამ რაღაც ხმაური მორთო, ყოველი მზრიდან სოფ-
ლებიდან ძაღლების ღმუილი მოისმოდა; თვით აქლემმაც კი, ტარ-
ტარენის აქლემმაც იგრძნო საშიში მტერი, კანკალი დაიწყო და
ლომთა მელეტის იარაღს ზრიალი დააწყებინა.

იქვი სულელობადა იქნებოდა! ლომია, ლომი! ჩქარა, ჩავუსაფ-
რდეთ! ჩქარა, დროს ნუ ვკარგავთ!

ტარტარენის ბედზე იქვე ერთი ძველი მარაბუ იყო, ესე იგი,
წმინდანის სასაფლაო — პატარა ნიშივით აგებული შენობა, რომლის
კარზემოდან ხატის წინ მიცვალებულის ყვითელი ქოშები ესვენა.
შიგ რომ შესულიყავით, ხომ განცვიფრდებოდით, იმდენ ტანისამოსს
და ფეხსაცმელს ნახავდით კედლებზე ჩამოკიდებულს... ტარტარენ
ტარასკონელმა სწორედ აქ გაამაგრა თავისი ჩერნოგორიელი თავა-
დი და აქლემი; თვითონ კი, რაკი ქარავანი დააბინავა და შიში აღა-
რაფრისაჲ ჰქონდა, თვითონ ჩასასაფრებელი ადგილის ძებნას შეუდგა.

ბევრი ეხვეწა თავადი გრიგოლი, მეც წამოვალ, ერთად ჩავუსაფ-
რდეთო, მაგრამ ტარტარენმა არ ინდომა: უნდოდა ლომს მარტოდ-
მარტო შებმოდა. ის კი სთხოვა თავად გრიგოლს, მანდედან ფეხი
არ მოიცივალოთ, კაცნი ვართ, ვინ იცის, რა გვიწერიაო... ბოლოს, გა-
მოთხოვებისას აიღო და მის ბრწყინვალეობას მიაბარა ტყავის აბგა —
ფულით და ბანკის ბილეთებით სავსე — ეშინოდა, მე რომ კიდევ

გადავრჩე, ლომს ეს აბგა არ გადარჩება და ისევ ერთგულ თავადს ჰქონდეს, ის ემჯობინებაო.

ახლა ჩასაფრებულა აქლდა. მარაბუდან ერთ ას ნაბიჯზე ერთი გაბრღლენილი ბუჩქი იდგა, ზედ წყლის პირას. სწორედ ამ ბუჩქს ამოეფარა გმირთა გმირი; ერთ მუხლზე დაეყრდნო, როგორც წესი და რიგია, თოფი მზად ექირა, ხანჯალი წინ მიწაში ჩაარჭო, ქარქაშიდან ამოძრობა არ გამიჭირდესო, და გაყუჩდა.

ღალამდა, ჩამობნელდა. ძაან, ძაან ალაგს ჩასაფრდა ტარტარენი; იქვე, სულ ხუთ ნაბიჯზე პატარა, წმინდა ნაკადული მოჩანდა; ახლო-მახლო წყალი აქლა იმოვებოდა და, რასაკვირველია, ყოველი ნადირი წყურვილის მოსაკლავად აქეთ წამოვიდოდა. რუს გაღმა ნეალიც კი მოჩანდა ნადირისა, კვალი დარჩენილიყო, მთელი ბილიკი დაედოთ!.. დააცქერდა ტარტარენი ამ ბილიკს და შეაჟრიალა... რა წუწვი ღამეები სცოდნია ალყირს, რა წუწვი! ერთ წამს არ მოვასვენებენ! ხედავთ, ტოტებში რაღაც შრიალი ისმის?! ფეხის ხმა გეყურებთ? როგორ ფეხაკრფით ვვეპარება რაღაც არის და? გესმით, აგერ მგელი ღმუის!.. ცაში სულ ასი ადლის სიმალღეზე კიდევ წეროები მოფრინავენ და ისე გაჰყვირიან, თითქო ყმაწვილს ახრჩობს ვინმეო. საშინელი ღამეები სცოდნია ალყირს, ერთ წამს კი არ მოვასვენებენ!

მართლდა, ძალიან მოუსვენრად იყო ჩვენი ტარტარენი. აცივებდა საწყალს, კბილს კბილზე აცემინებდა, და რადგან თოფს ხელში ვეღარ იმაგრებდა, იქვე მიწაში ჩარჭობილ ხანჯლის ტარზე დაებჯინა. კანკალებდა ტარტარენი და კანკალებდა თოფი! კანკალებდა თოფი, ხანჯლის ტარს სცემდა და სწორედ დიპლომატოსავით მიჰყვებოდა ლომთამყლეტის კანკალს. რას იზამთ? ყოველთვის ხომ ერთ გუნებაზე არ იქნება კაცი?! ჰოდა, ხანდახან, აი, როგორც ამ საღამოს... თუ არა და გმირმა რომ შიში არ იცოდეს, გმირობასაც ხომ აღარაგინ უქებდა?!

ჰოდა! ტარტარენსაც შეეშინდა და ძალიან შეეშინდა. მაინც არ შედრკა, თავი გაიმაგრა. იდგა დაჩოქილი და ელოდა, ელოდა ერთი საათი, ორი საათი... მოგეხსენებათ, ვაჟყაცობასაც თავის საზღვარი აქვს... მოულოდნელად, იქვე სულ რამდენიმე ნაბიჯზე საშინელი ფეხის ხმა მოესმა და ნადირისაგან დაძრული ქვების გრიალი. აქ კი შიშმა აიტანა, შიშმა დაჯაბნა! უცბად დაცალა თოფის ორივე ლულა, ვინ იცის, რას ესროლა — ცას თუ დედამიწას, მიწაში ჩარჭობილი

ხანჯალი არც კი მოჰგონებია და მოკურცხლა მარაბუსკენ. დარჩა მიწაში ხანჯალი, თითქოს ნიშანი გმირთა გმირის შიშის და ლაჩრობისა, თითქოს იქ ემარხოს ლომთა მკლეტის ვაჟკაცობა და დიდებაო.

ტარტარენმა გიჟივით მიირბინა ქარავანთან და შეჰყვირა:

— მიშველეთ! თავადო გრიგოლ, მიშველეთ! ლომი!

ხმაც არავინ მისცა.

— თქვენო ბრწყინვალებაე! მანდა ხართ?!

იქ აღარ ბრძანდებოდა მისი ბრწყინვალეობა. იქ აქლემილა იდგა და დინჯად იცოხნებოდა... თავადი გრიგოლ ჩერნოგორიელი კი გაპარულიყო და თან ტარტარენის ფულით და ბანკის ბილეთებით სავსე აბჯა წაეღო... ეს ერთი თვე მეტი იყო, რაც მისი ბრწყინვალეობა მარტო ამ შემთხვევას ელოდა.

VI

ძ ღ ი ვ ს

როგორ გაატარებდა მოტყუებული ტარტარენი ამ უბედურ და ტრაგიკულ დამეს, ეგ თვით მკითხველმა წარმოიდგინოს.

ჟერ ისევ ბნელოდა, რომ გამოეღვიძა: მიიხედ-მოიხედა, დარწმუნდა, რომ თავადი მართლა გაპარულიყო და ფულიც თან წაეღო; ნახა, რომ მარტოდმარტო იყო ამ აკლამაში, გაქურდული, თავდაწებებული, მუხთალი, მოღალატე მეგობრისაგან შეურაცხყოფილი; ნახა, რომ ერთი აქლემის მეტი აღარა შერჩენოდა რა ამ უცნობ, საშინელ ქვეყანაში, ჯიბეში შავი ფულია უჩხრიალებდა... სასოწარკვეთილებას მიეცა ჩვენი გმირთა გმირი; თავის სიცოცხლეში პირველად მოერია შხამიანი ექვი. მაშ, თავადიც მატყუებდაო, ფიქრობდა ტარტარენი: ნუთუ მეგობრობაც სიცრუე ყოფილა, დიდებაც, სახელიც, ლომებიც! ნუთუ სულ ტყუილია აქაურობაო, ფიქრობდა ეჭვისაგან გულჩათუთქული გმირთა გმირი და ცხარე ცრემლი წასკდა საბრალო ტარტარენს. იჯდა მარაბუს კარებში, თვალეზზე ხელები მიეფარებინა, თოფი კალთაში ჩაეღო და ასე გულამომჯდარი ტიროდა. მის მწარე სლოკინს და ცხარე ცრემლს მხოლოდ ერთგული აქლემი ხედავდა.

უცხად, იქვე, სულ ათი ნაბიჯის მანძილზე, ტარტარენის პირ-პირ ერთი უშველებელი ლომი გაჩნდა; თავი მალა აედო, ფაფარი აშლოდა, თვალებს აბრიალებდა ტარტარენისკენ. ღრიალებდა ვა-აფთრებული ლომი და სულ კანკალი დაიწყო ყველამ, მარაბუს კედლებმაც კი; თვით წმინდანის ქოშებიც შეინძრნენ და წმინდანის შარვალი, რომელიც იქვე მარაბუში ეყიდა, ხომ სულ თრთოლამ აიტანა.

მარტო ტარტარენი არ შეშინებულა.

— ძლივს! — შესძახა ლომთა მკლემბმა; წამოხტა, თოფს წამო-ავლო ხელი; დაუმიზნა შიგ შუბლში ორივე ტყვია! რომ მოენდომე-ბინა, შიგ თვალში ჰკრავდა! მერე რა ტყვია? ტყვია. რომელიც მოხ-ვდება რასმეს თუ არა, მაშინვე გასკდება! შადრევანივით ამოდირდა მოკლული ლომის თავიდან ხან ტვინი, ხან სისხლი! „ძლივს! ფიქ-რობდა ტარტარენი, ძლივს!“ ამაყად იყურებოდა აქეთ-იქით და... ვაი, საშინელებავ! ორი გაგიჟებული ზანგი თავიანთი კომბლებით მორბოდა ტარტარენისაკენ ლანძღვით და მუქარით! ისევ ის მილი-ანელი ზანგები!

უბედურება მეტი გნებავთ? მოშინაურებული ლომი შემოაკვდა თურმე, საწყალი ბრმა ლომი, რომლის გულისთვის ერთხელ უკვე იწვნია არაბული კომბლის გემო.

ძალიან გადარჩა, მაჰმადის მადლმა! სულ ცოფსა ჰყრიდა ორივე ზანგი! ისე იქნევდნენ კომბლებს, მგონი ტარტარენისა ძვალისც აღარ დარჩენილიყო. მაგრამ სწორედ ამ განსაცდელში მყოფს მოევ-ლინა მხსნელი და კომბლით სამარცხვინო სიკვდილი ააცდინა. ეს გახლდათ ორლენავილელი მეველე, რომელიც იქვე ბილკის მოა-დევდა ხმლითა და ოქრომკედლიანი ქუდით გამშვენებული.

ოქრომკედლით ნაკერი ქუდის დანახვა და ზანგების დაშოშმინება ერთი იყო. მეფური მედიდურებით მიუახლოვდა მეველე, საქმე გა-მოიძია, ოქმი შეადგინა, მკვდარი ლომი აქლემს აჰკიდა, მომჩივანი და დამნაშავე წინ გაირეკა ორლენავილისკენ, მიიყვანა და მამსახ-ლისს ჩააბარა.

ამისთანა დახლართული და დაუმთავრებელი დავა ჩემს მტერსაც ნუ გადახდეს!

ტარტარენმა ალყირის ერთი მხარე ხომ ნახა — სოფელი და იქ გაფანტული ხალხი, ახლა მეორე მხარეს ხედავდა ალყირულ ცხოვ-

რებისას, უფრო საცინელს და საზიზღარს, — ეს გახლავთ ქალაქი, სასამართლო, დავიდარება და ვექილები. სამართალი ძებნა და ერთი დასახიჩრებული, საზარელი რაღაც აჩვენეს, ისიც ორივე თვალთ ელამი; ყავახანაში ბრძანდებოდა და მომჩივანთ აქ უსმენდა; ვექილი ძებნა და ისევე ყავახანაში მიუთითეს — ვინც უბინაო, უსაქმური იყო, ვინც ყველაფერში უვარგისი გამომდგარიყო, ვექილობისთვის მიეყო ხელი; საქმეები მოიკითხა და არყით და აბსენტიტ გაჟღენთილი ქალაღდები მისცეს. თითქოს იგრძნეს — ტარტარენს ჭიბეში ზარკიანი ქალაღდი უღევსო. გარს შემოეხვიენენ ვექილები, მსაჯულები, გამომძიებლები, ბოქაულები და მათი თანაშემწე და თანაშემწეთა თანაშემწენი; კალიასავით დამშეულები იყვნენ, გამხდრები, გაუმაღლარნი, თითქო ხოკი ეჯდათ მუცელში; ვაი იმის ბრალი, ვინც ამათ ხელში ჩავარდება! დაეხვევიან, რაც კი რამ აბადია, ხელიდან გამოაცლიან, კიდევაც ვალს წაადებენ, სისხლს გამოსწოვენ, სიცოცხლეს შეუხანგვრებენ და შიშველ-ტიტველს — რის მაქნისი ხარო? — პანღურსა ჰკრავენ.

უმთავრესი ის იყო, რომ გამოეკვლიათ როგორმე: საღ მოკლა ტარტარენმა ბრმა ლომი — აღეირის სამოქალაქო, თუ სამხედრო ნაწილში? პირველ შემთხვევაში საქმეს მომრიგებელი მოსამართლე გაარჩევდა და, რაც იქნებოდა, იქნებოდა, აქ საშიში არა იყო რა! მაგრამ ერთიც ვნახოთ — ის აღგილი სწორედ სამხედრო ნაწილისა გამომდგარიყო? მერე? მაშინ საქმე სამხედრო მსაჯულს ჩაუვარდებოდა ხელში და საწყალ ტარტარენს საშინელი სურათები ეღანდებოდა: ეს დამხვრიტესო, ეს ჩამომახრჩვესო, ეს ორმოში ჩამიძახესო...

ეუღი ის იყო, რომ შმ ორ ნაწილს აღეირისას გაღწყვეტილი საზღვარი არა ჰქონდა — ერთი თვე მეტი ატარეს ჩენი უბედური ლომთა მყლეტი, აწვალეს, აწამეს, ჭვართ აცვეს და ბოლოს გამოარკვიეს, რომ თუმცა ლომი სამხედრო ნაწილში იქნა მოკლული, თვით მკვლეღი, ესე იგი, ტარტარენ ტარასკონელი, სამოქალაქო ნაწილში იმყოფებოდა და იქიდან ესროღაო. საქმე, მაშასადამე, მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია და გაღაწყვიტა: ტარტარენ ტარასკონელს ლომის ფასად ორი ათას ხუთასი ფრანკი გაღანდეს და სასამართლოს ხარჯიც იმანვე გაღახადღოსო.

საიღან უნდა ეშოვა ამოღენა ფული? თავაღმა შავი ფუღის

გარდა არა დაუტოვა რა და ისიც დიდი ხანია ქალაღდებზე. მარკებზე და მართლმსაჯულებრივ არაყზე დაიხარჯა. ორი ათას ზუთასი ფრანკი? საიდან?

რას იზამდა უბედური ლომთა მყლეტი? ჯერ იარაღის ყუთი გახსნა და ცალ-ცალკე ყიდდა თოფებს. ხანჯლებს, ხმლებს, თავსამტვრევებს... ერთმა მეწვრილმანემ სამგზავრო საქმელების ყუთი იყიდა, ერთმა აფთიაქარმა ბეზიუყეს ნაჩუქარი (რაც კი ზანგს გადარჩენოდა) წამლები, სანადირო, მაღალყელიანი წალებიც კი გაიყიდა, ასე გასინჯეთ! ზედ მსწრაფლსაშლელი კარავი მიჰყვა. ძველი ტანისამოსით მოვაქრემ იყიდა, გაშალა როგორც იყო და ზედ დააწერა — ჩინური კარავი!

ყველა ხარჯი გადაიხადა ტარტარენმა და ლომის ტყავი და აქლემილა დარჩა. ლომის ტყავს ძალიან მოუარა, ფრთხილად მოკეცა, ყუთში ჩადო და ტარასკონს გაისტუმრა, ბატონ ბრავიდას მისამართით (ამასაც მალე მოგახსენებთ, რა გავლენა იქონია ამ საკვირველად ნაშოვნმა ლომის ტყავმა ჩვენი ვპირის ცხოვრებაზე). რაც შეეხება აქლემს, იმის იმედილა ჰქონდა — ალყირამდე მიმიყვანს როგორმეო; ის კი არ გვეკონოთ, აქლემით სიარულს აპირებდა, არა, გავყიდი, დილიენის ფულს როგორ ვერ ავიღებო? ამაზე უკეთეს მგზავრობას აქლემით სხვას ვერას მოახერხებდა. საუბედუროდ, ამ საკვირველი აქლემის ყიდვას ვერავინ ბედავდა. ტარტარენი კი სულით და გულით ქალაქ ალყირისკენ მისწრაფოდა. თავის პატარა ბაიას ნახვა სწყუროდა! უნდოდა ენახა თავისი კოპწია სახლი, წყარო, ქალაქგარეთ ნაყიდი ბაღი და ბროწეული! ოცნებობდა — მივალ, ცოტას დავისვენებ და საფრანგეთიდან ფულიც მომივყო. მაგრამ რას იზამდა, რომ აქლემი არ გაიყიდა? ფეხით ვივლიო, გადაწყვიტა და გზას გაუდგა. ჯიბეში კი გროში არ ჰქონდა.

ასე გაჭირვებულს მარტო აქლემმა არ უღალატა. აკი მოგახსენებთ, საკვირველი იყო ეს აქლემი. რაღაც ჩვენთვის გაუგებარი სიყვარული აწვარდა ტარტარენისადმი და ჩრდილივით უკანა სდევდა; რომ დაინახა — ჩემი ტარტარენი დაიძრა და ორღეანვილიდან მიღისო, ისიც უკან გამოეკიდა და თვალი აღარ მოუშორებია.

ჯერ კიდევ ეამა ტარტარენს ასეთი ერთგულება. ყველამ უმტყუნა, ყველამ უღალატა და ამ ოთხფეხმა პირუტყვმა კი არ გაიმეტა თავისი ტარტარენი; ნეტავი რისთვის? სრულიად არაფრისთვის! მთე-

ლი თვე ისე გავიდოდა, რომ ერთ მუჭა თივასაც არ მიაწოდებდა, აქლემი თვითონ შოულობდა თავის საკმელს; ჰქონდა საკმელი საწყალს — ხომ კარგი, არა და არც ეს ანაღვლებდა.

მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ტარტარენს მოსწყინდა ეს განუშორებელი თანამგზავრი. ჩრდილივით უკანა სდევდა, დაღონებული, დაღვრემილი, თითქო თავ-პირი ჩამოსტირისო და ტარტარენს თავის უბედურებას აგონებდა; ის დავიწყებას ცდილობდა, ეს აქლემი კი, თითქო აჩრდილი იყო ლომებზე ნადირობის თავგადასავლისათ, სულ იმას ჩასძახოდა — შენს ნადირობას ნუ დაივიწყებო! და შეეზინდა თავისი ერთგული აქლემი, შესძაგდა იმისი დაღონებული გამომეტყველება, მოშვებული კუხები, ერთი სიტყვით, ჭირივით შეეჩაგრა, გადაეკიდა და იმასლა ფიქრობდა — თავიდან მოვიშორო რბგორმეო. მაგრამ აქლემიც... ძალიან ერთგული აქლემი იყო და! ტარტარენი დაემალებოდა ხოლმე, ის მაინც თავს წაადგებოდა; გაექცეოდა, აქლემი გაუხსრებდა ხოლმე; ხანდახან, გაბრაზებული შედგებოდა და შეჰყვირებდა: გასწი, გამეცალე, აღარ მომშორდებიო?! თან ჭკებს დაუშენდა. აქლემი გაჩერდებოდა, დაღონებული უყურებდა გაბრაზებულ ტარტარენს და ბოლოს ისევ უკან გამოეკიდებოდა! რა უნდა ექნა საწყალ გმირთა გმირს? უნდა დამორჩილებოდა განგებას. რას იზამდა?

ამ წვალებაში იყო მთელი რვა დღე. ბოლოს, დაღლილმა, მტვრით და ტალახით გასერილმა, შორიდან ალყირის თეთრი შენობები, მეჩეთები და ამწვანებული ბაღები დაინახა; ქალაქს მიუახლოვდა და მტვრიანი მუსტაფას გზა იცნო; ისევ ძველებურად ირეოდა აქ ხალხი — ჯარისკაცნი, არაბები, ზანგები, ფრანგები, საქონელი, ცხენი, ერთი სიტყვით, ძალღი პატრონს ვეღარ იცნობდა და ამოდენა ხალხი სულ ტარტარენს და იმის აქლემს უყურებდა. აქ კი უმტყუნა მოთმინებამ.

— არა, არა! — თქვა ტარტარენმა, — შეუძლებელია! ამ აქლემით ქალაქში მაინც არ შევალ, რაც უნდა იყოს.

მიიხედ-მოიხედა, ერთ ადგილას რამდენიმე ურემი გაეჩერებინათ, გარს ხალხი შემოხვეოდა... თვითონაც ხალხში ჩაერია, მიძვრა-მოძვრა და ერთ ნარვალში კი მიიმალა.

არ გასულა ხუთი წუთი, რომ თავის აქლემიც დაინახა: შეშინე-

ბოდა საწყალს, ჩემი ტარტარენი რა მექნაო, ყელი უფრო წაეგრძელებინა, თვალები დაეჭყიტა და გაჩქარებული გარბოდა.

თითქო მძიმე ტვირთი რამ მოხსნესო, ისე თავისუფლად ამოისუნთქა გმირთა გმირმა. წამოდგა, მუსტათას გზას თავი დაანება — ჩემს აქლემს არსად შეეხვდეთო, შორს მოუარა და ქალაქში მშვიდობით შევიდა.

VII

„სევედა სევედაჲ დამეროო!“

თავის პატარა სახლს რომ მიუახლოვდა, რაღაც უცნაური ხმები შემოესმა და განცვიფრებული გაჩერდა. ბინდდებოდა, ქუჩაში ალარავინ იყო. ზანვის დედაკაცს კარი ღია დარჩენოდა და სახლიდან საშინელი სიცილი და ხარხარი გამოდიოდა; ქიქების წკრიალი, ერთი მხიარული ყიყინა, ერთი ვაი-ვაგლახი; ამოდენა ხმაურში, ამოდენა „დალიე, დალიეს“ ძახილში ზარივით კრიალი გაჰქონდა ვიღაც ქალის ხმას; ქალი მაღალი, სასიამოვნო ხმით მღეროდა *Marco la belle*-ს სიმღერას.

— მაშ, თავი ცოცხალი რაღად მინდა! — დაიძახა ტარტარენმა და სახლში შევარდა. თან კი გული რაღაცას ცუდს ეუბნებოდა, ფერი მისდიოდა, მუხბლი უკანკალებდა.

ოჰ, უბედური ტარტარენ ტარასკონელი! რა ნახა, რომ იცოდეთ?! რა ნახა?! შუა ეზოში გაეშალათ სუფრა, აერიათ ერთმანეთში ქაღალაწუჭი, ბალიშები, საკმელ-სასმელი და თამბაქო, ღვინო და ჩონგური და შიგ შუა სუფრაზე პატარა ბაია... წამომდგარიყო და მღეროდა. ტანისამოსი... გულგახსნილი პერანგი ეცვა, ვაყის შარვალი... მღეროდა და ეშხით გატაცებული ხან ხელს იქნევდა, ხან ფეხს... თავზე, გესმით, ოფიცრის ქუდი დაეხურა, ჩათუქესნურად — გვერდზე... მის ფეხთით, ზედ სუფრაზე კაპიტანი ბარბასუ წამოწოლილყო, ქალის ეშხით და შამპანური ღვინით დამთვრალიყო, ამ სიმღერაზე იცინოდა და ტიტველა ბარკალზე ჩქმეტდა.

დაღლილ-დაქანცული იყო ტარტარენი, მტკრიანი, გამხდარი, მისუსტებული, მაგრამ ისეთი ბრაზით აბრიალებდა თვალებს, რომ მისგლა და ამ თათრულ-ფრანგული ქეიფის შეწყვეტა ერთი იყო.

ერთი შეჭვივლა ბაიამ და შექმნიებული მტრედევით შინ შეეკარდა. კაპიტანი ბარბასუ კი არ შემეკრთალა, ხარხარებდა, რაც კი შეეძლო, სულს ძლივს იბრუნებდა.

— აი, დალაზვრა ჩემმა გამჩენმა!.. ბატონო ტარტარენ! თქვენა? როგორ მოგწონთ, ჰა?! ახლაც იტყვიოთ, ბაიამ ფრანგული არ იცისო?!

ტარტარენ ტარასკონელი თავს ძლივსდა იმაგრებდა.

— კაპიტანო...

— რომ ვითხარ, ფრთხილად-მეთქი! მე კი არ ვიცოდი, გადაგვიხდიდა, — ჩამოსძახა აივნიდან მარსელური კილოთი ბაიამ.

ეს კი ველარ აიტანა ტარტარენმა, გულმა უმტყუნა და, თითქო მუხი დაეცაო, ისე დაეშვა ზედ სუფრაზე. ყველაფერს წარმოიდგენდა, მაგრამ იმას კი ვერ იფიქრებდა, რომ მის ბაიას ფრანგული ეცოდინებოდა და ისიც მარსელური კილო?!

— აკი მოგახსენეთ, ბატონო ტარტარენ, ალყირელ მავრის ქალებს ერიდეთ-მეთქი, — უთხრა საყვედურით კაპიტანმა ბარბასუმ: — თქვენი ჩერნოგორიელი თავადისა არ იყოს!

ლომევით წამოიწია ტარტარენმა.

— თუ იცით, სადა ბრძანდება მისი ბრწყინვალეობა!

— აქვე, ახლო ვახლავთ, ძალიან ახლო. ხუთი წლის ვადით ვახლავთ აქ მუსტაფას ციხეში დაქერილი. ხელი თურმე სხვის ჯიბეში ჰქონდა, რომ დაიჭირეს. ეს პირველი კი არ გეგონოთ! კიდევ ხშირად მოსვლია ეს ამბავი, ნუ გეშინიათ. ჯერ სამი წელიწადი მგონი საფრანგეთში იჯდა ციხეში... შიგ ტარასკონის ციხეში, თუ არა ვცდები!

— ტარასკონის ციხეშიო! — შეჰყვირა ტარტარენმა და ნათლად, ცხადად წარმოუდგა, ვინ იყო თავადი გრიგოლ ჩერნოგორიელი, ახლა კი მიხვდა, რად იყო რომ იძახდა, ტარასკონში სამი წელიწადი ვიყავ და... იძულებული ვიყავ... ვიმალებოდიო.

— მაშ არ იცოდით! ეეჰ, ჩემო კარგო ტარტარენ! ამ ქვეყანაში თვალეები უნდა დააქციტოთ! ორივე თვალი უნდა დააქციტოთ, თორემ ვაი თქვენი ბრალი! ისე გაგყვლეფავენ, ისე გაგბტყვნიან, როგორც მწყერსა! როგორ იყო, მოლა რომ გალობდა?

— ვინ მოლა? რა მოლა?

— ვეყო?!.. ვითომ აღარც კი გახსოვთ?! აგერ აიმ მეჩეთზე რომ მოლა აძვრებოდა და ალაპის დიდებას გალობდა! ჰა, ბატონო ტარ-

ტარენ! ალაჰის დიდებას კი არა, თქვენს ბაიას ეარშიყებოდა... ამას წინათ გვიამბო აკბარმა... მთელი ქალაქია და ეგ ამბავი, სიცილითა კვდებიან ან... არა, კარგი და, თვით ბატონი და პატრონი ტარტარენი აქა ბრძანდება და თავის თვალით დაჰყურებს, თავის ყურით ისმენს, რომ მის პატარა ბაიას სოკვარულს უმღერაინ და ღროს უნიშნავენ, — აქა და აქ მოდი, ჩემო გვრიტო, ტარტარენს შუბლი დაეუშმევენოთ რქებითაო... წმინდა არს ალაჰი და ბაიას სიყვარულიო! ჰა, ბატონო ტარტარენ?!

— მაშ სულ ქურდ-ბაცაცები, სულ ფლიდები ყოფილან ამ ქვეყანაში? — წამოიკვნესა უბედურმა ტარტარენმა.

ბარბასუმ ფილოსოფიურად მწარედ გაიღიმა.

— რას იზამთ, ჩემო ტარტარენ? მოგეხსენებათ, ახლად დაპყრობილი ქვეყანა... ეგ კი არა, თუ ჩემს სიტყვას დაიჭერებთ, — იცით რა? მე რომ თქვენ ვიყო, დღესვე ტარასკონს წავიდოდი.

— ტარასკონს წავიდოდიო? ადვილი სათქმელია, მაგრამ ფული? მაშ, არ იცით, რომ გამქურდეს? რაც რამ მეზადა სულ წაიღეს იმ ოხერ უდაბნოში, ლომებს რომ ვყლტდი?

— ფული რა სახსენებელია? — უპასუხა სიცილით ბარბასუმ. — „ზუაგი“ ხვალ მიდის საფრანგეთისაკენ და, თუ გნებავთ, წამობრძანდით. ჰა, რას იტყვიო? მოდინარო? ძალიან კარგი! ახლა ერთი თხოვნა კიდევ: ე მანდ რამდენიმე ბოთლი ღვინო კიდევ უნდა იყოს, აფსუსია, დაუღვეველი დაგვრჩეს! აბა დაბრძანდით... ეს ვადღეგრძელოთ... რაც მოხდა, მოხდა, არა, ბატონო ტარტარენ? ბაიას გამო ხომ არ მემღერიო? არა? ძალიან კარგი! თქვენ და ექვიანობა?

ცოტა ხანს ჩაფიქრდა ტარტარენი — ეს, საჭირო იყო გმირული ღირსების დასაცავად და მერე სუფრაზე გამოიჭიმა. ჭიქა აივსო, გადაკრა. სადღეგრძელო სადღეგრძელოს მოჰყვა. ჭიქის ხმა რომ მოესმა, ბაიამაც გული მოიბრუნა, შიში გაუკრთა, ჩამოვიდა და შუაშა ჩაუჯდა ბარბასუს და ტარტარენს.

დიდი ხანი გასტანა ქეიფმა და პატარა ბაიამ Marco la belle-ს სიმღერა, წელან რომ ტარტარენმა შეაშლევინა, ახლა ბოლომდე იმღერა.

სამი საათი იქნებოდა, თენდებოდა, სმა რომ გაათავეს. მართალია, ტარტარენს ღვინისაგან ფეხი ერეოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, თავი შეუქმსუბუქდა, დარდი გადაავიწყდა. გააცილა კაპიტანი ბარ-

ბასუ და ნელ-ნელა შინისკენ მიდიოდა. მოუაწლოვდა მეჩეთს. ბაიას არშიყი მრლა მოაგონდა, იმის ლოცვა და დაღაღება ბაია-ალაპისადმი და სიცილი დაიწყო. ერთმა კარგმა აზრმა გაურბინა, სამაგიეროს ამითი გადავუხდიო. მეჩეთის კარი ღია იყო. შევიდა, ხალეებით დაგებულ კიბეს აპყვა, იარა, იარა და სულ ზევით ერთ პატარა ოთახში კი შევიდა. ჭერში ანთებული ლამპარი ეკიდა, ტახტზე თვით ნოლა ბრძანდებოდა წამოწოლილი. ქვეყნის სარტყელი თავზე შემოეხვია, კრიალოსანს ათამაშებდა, ჩიბუხს ეწეოდა და წინ ერთი უშველებელი ჭიქა ედგა; ნელ-ნელა ყლურჭავდა, ვიდრე მოვიდოდა ჟამი ალაპის და ბაიას დიდებისა... ტარტარენი რომ დაინახა, შიშისაგან ჩიბუხი ხელიდან გაუვარდა... კიდევ კარგი, აბსენტე არ დაექცა.

— ხმა, კრინტი შე ეშმაკის კერძო, შენა! — შეუტია ტარტარენმა: — მოიხსენი შენი ქუდნი... აბა, ჩქარა.

მოლა გაციებულებით კანკალებდა; მოიხსნა ქუდი, ტანისამოსსაც კი გაიხდიდა, ტარტარენს რომ ებრძანებინა. გადაიცვა გმირთა გმირმა მოლას ტანსაცმელი და დინჯად, აუჩქარებლად გავიდა გარეთ.

მშვენიერი მთვარიანი ღამე იყო. ისე მოჩანდა მთელი ქალაქი, თითქოს ტარტარენს ხელისგულზე უდევსო. ღამის სიჩუმეს მოუსვენარი ზღვის ტალღები და აქა-იქ გვიანი გიტარის ხმა არღვევდა. ცოტა ხანი გაჩუმებული გადასცქეროდა ტარასკონელი მოლა ამ სურათს, მერე ხმა მოიკრიბა, ხელები ააპყრო და დასძახა:

„ლა, ალლა, ილ ალლა! მაჰმადისთანა მასხარა ჯერ არავინ გაჩენილა!.. აღმოსავლეთი, ყორანი, ლომნი და მავრის ქალები ღორის დინჯად არა ღირან!.. თათარი აღარსად არის... ქურდი... და კახა ბევრია! გაუმარჯოს ტარასკონს!“

ასე გაიძახოდა ტარტარენ ტარასკონელი არეულ ფრანგულ და არაბულ სიტყვებს, ხან ერთ მხარეს გადასძახებდა, ხან მეორეს... და ნელ-ნელა სხვა მეჩეთებზედაც გამოჩნდნენ მოლები, ბანი მისცეს ამის ვითომდა ლოცვას და მთელს ქალაქს ალაპის დიდება მოჰფინეს. სწორედ იმ დროს, როდესაც უმთავრესი მეჩეთიდან ალლაპის მასხარად აგდება ისმოდა, გულწრფელი მორწმუნე მუსულმანნი ტარტარენის ლოცვაზე გულში მუშტს იცემდნენ და ალლაპს ევედრებოდნენ.

შუადღეა. „ზუავი“ სამგზავროდ მზად არის. „ვალენტინის“ ყაზახანაში ბანზე ასულან ოფიცრები, თვალეზზე ღურბინდი მიუღევთ, შურით შესცქერიან გემს და იმ ბედნიერთ, რომელნიც საფრანგეთისკენ მიდიან. ამის მეტი გასართობი აღარა დარჩენიათ რა. ზღვის პირს მდგომ ნაევებში ბარგს აწყობენ, მგზავრები სხდებიან და „ზუავისკენ“ მიეჩქარებიან.

მარტო ტარტარენ ტარასკონელი გახლავთ უბარგოდ. აგერა მოდის ზემო უბნიდან; ბაზარი ჩამოიარა და დიდ ქუჩაზე გამოვიდა. ბარბასუც ხომ თანა ჰყავს. საბრალო ტარტარენი! თავისი იარაღი ალუიროში დატოვა, იქვე დამარხა თავისი დიდებული აზრები და ვაჟკაცური ოცნებანი და ახლა ცარიელი მიდის შინისკენ, ხელები ჯიბეში ჩაუყვია და გაცრუებულ იმედს ნანობს.

ის იყო ნავში ჩახტა და აქლემიც გამოეცხადა. სირაქლემისავით მოფრინავდა შორიდან, ისე გამწარებული მობობდა — ახლაც არსად გამეპაროსო, ისეთი სასაცილო რამ იყო, ტარტარენსაც კი გაეცინა. ოცდაოთხ საათზე მეტია, საწყალი აქლემი დარბის თავგადაგლეჯილი მთელ ქალაქში და თავის პატრონს დაეძებს. იპოვა და ისიც სად? ზღვაში, ნავში!!

უხაროდა ტარტარენს, აქაც მომყვებო?! მაგრამ რა დაინახა, ერთგულმა აქლემმა მამაცურად შეტოპა ზღვაში და ნავს გამოეკიდა, რაკი დარწმუნდა ტარტარენი, კარგი ცურვა სცოდნიაო, ფერი ეცვალა. დაეწია აქლემი, სწორედ ნავს გაუსწორდა და ისე ალერსიანად შესცქერის ტარტარენს, ისეთი სიყვარულით, ისე ნაზად! „რა არის, მეც წამიყვანე, — ევედრება მას დაღონებული, — შენთან წამიყვანე, მომაშორე ამ დაწყევლილ ქვეყანას, რომელსაც არაბეთი სამასხაროდლა ჰქვია, რომელშიც აღმოსავლეთისა კვალიც აღარსად დარჩენილა! მომაშორე ამ ჯოჯოხეთს, სადაც რკინიგზა და დილიუანსი დადის და აქლემს პატივს აღარაეინა სცემს. რის მაქნისი ვიქნები უშენოდ? შენა ხარ უკანასკნელი თათარი და მე... მე უკანასკნელი აქლემი! უერთმანეთოდ ჩვენ ცხოვრება არ შეგვიძლია! წამიყვანე ჩემო ტარტარენ, წამიყვანე!“

— თქვენი ხომ არ არის ეს აქლემი? — ჰკითხა ბარბასუმ.

— ჩემი საიდან იქნება?! — შეუტია ტარტარენმა; თან მართლად სასაცილო და გასაჯავრებელი სურათი მოვლანდა: ტარასკონში მივიდა; ხალხით სავსეა იქაურობა; მიდის და თან ეს საზარელი აქლემი მისდევს... მოდი და ნუ გაბრაზდები!

მიცურავს ნავი და თან მისდევს აქლემი.

ცოტა ხანს უკან „ზუავის“ კიბეს მიადგნენ ერთსა და იმავე ღროს ნავიც და აქლემიც.

— ცოლო, ეგ საწყალი ევა! — თქვა კაპიტანმა ბარბასუმ: — იცით, რას ვიზამ? ამოვათრევ როგორმე და მარსელში ზოოლოგიურ ბაღს ვუფეშქაშებ.

თოკები ჩაუშვეს, საწყალ აქლემს გამოაბეს, გახლართეს, გათოკეს და „ზუავზე“ აათრიეს.

ორი დღე იყო გზაში გემი და ტარტარენს თავის ოთახიდან ფეხი არ მოუცვლია. ის კი არ იფიქროთ, ზღვამ აწყინა და გული ერეოდა! თქვენც არ მომიკვდეთ! მიზეზი სულ სხვა იყო. რამდენჯერაც გარეთ გამოვიდოდა, იმდენჯერ აქლემმა ისეთი კუნტრუში შექნა, ტარტარენს ეგონა — აქლემს კი არა, ყველა მე დამციინისო. ისე გაუჭირა საქმე, მართლა ისე აქლემურად ცდილობდა ყველას ყურადღება თავის ტარტარენზე მიექცია, რომ ჩვენი გმირთა გმირი გარეთ გამოსვლას ვეღარ ბედავდა.

რა ექნა? პატარა სანათური ჰქონდა დატანებული იმის ოთახს, იქიდან იყურებოდა. ალყირული ცა ნელ-ნელა იკარგებოდა, ჰაერში რაღაც ძვირფასი, საყვარელი, ფრანგული ტრიალებდა. ბოლოს, ერთ დილას ნეტარებით სავსე ზარის რეკვაც მოესმა — მარსელის ეკლესიების ზარის რეკვა.

— ახლა კი მივედით!

„ზუავი“ გაჩერდა.

ბარგი არა აწუხებდა რა ტარტარენს; ჩამოხტა, ბარბასუს გამოეთხოვა, მარსელი გადიარა და რკინიგზის სადგურზე გავიდა; თან სულ აქეთ-იქით იყურებოდა — ი დაწყველილი აქლემი აქაც არ, მომდევდესო. სულ ამის ფიქრში იყო, სულ ამის შიშში იყო და თავისუფლად მარტო მაშინ ამოისუნთქა, როდესაც ვაგონში ჩაჭდა, ზარი მესამედ დარეკეს და პირი ტარასკონისაკენ ჰქნა... თურმე აქაც უმტყუნა იმედმა! ის იყო დაიძრა მატარებელი, ის იყო ქალაქს გასცდა და

ერთი საშინელი ყვირილი ატყდა, ერთი ყიჟინა, ერთი ჟრიაბული! ყველანი ფანჯრებისკენ იწევდნენ. გაიხედა ტარტარენმა და იცით, რა დაინახა?.. თქვენს მტერს რომ იმას ელდა ეცა! აქლემი, ბატონებო, თავისი ერთგული აქლემი! მატარებელი ხომ გარბოდა და არც აქლემი რჩებოდა უკან! ისე მოქროდა, თითქო საჰარის უდაბნოშია და უკან ლომი დასდევნებიაო. თავი ჩაღუნა ტარტარენმა, თვალები დახუჭა და კუნჭულში მიიმალა.

ამოდენა უბედურების შემდეგ ის იმედი მაინცა ჰქონდა — შინ ჩუმად მივალ, ვერავინ გამიგებსო. მაგრამ მოდით ახლა თქვენა და ჩუმად შედით ქალაქში, როდესაც უკან ამოდენა აყლაყულა მხეცი გახლავთ?! „ვაი, ჩემს შერცხვენასა! — ფიქრობდა ტარტარენი, — ვაი, ამ დღის შემსწრესა?! ფული — გროში აღარა მაქვს, ლომები — ერთი არ მინახავს, ბზრგი — ბარგიც კი არა მაქვს რა; არაფერი, სულ არაფერი!.. ამ აქლემის გარდა!“

— ტარასკონი, ბატონებო, ტარასკონი!

უნდა ჩამოსულიყო, რა გაეწყობოდა?

მაგრამ აბა სასწაული აქ მოხდა აი! ის იყო გამოჩნდა გმირული ფეხის გმირული ფოჩი და ერთმხრივად იგრილა იმოდენა ხალხმა:

— ტარტარენს გაუმარჯოს! ლომთა მელეტს გაუმარჯოს!

მთელი ქალაქი ფეხზე იდგა. ისეთი ძალით ყვიროდნენ ტარტარენს გაუმარჯოსო, კედლებს ზანზარი გაჰქონდა.

სხვადასხვა საზოგადოებანი გამოსულიყვნენ გმირთა გმირის მისაგებებლად, თან თავიანთი მემუსიკენი გამოეყვანათ და ხალხი რომ ლომთა მელეტს გაუმარჯოსო, — გაიძახოდა, მემუსიკენი ბანს აძღვედნენ.. ისე მოულოდნელი იყო ტარტარენისათვის ეს აღტაცება, ისე მოულოდნელი, რომ კინაღამ გული წაუვიდა: ხომ არავინ მიხუმრაო! მაგრამ რის ხუმრობა, რა ხუმრობა?! აკი მოგახსენეთ, მთელი ტარასკონი ფეხზე იდგა, მთელ ქალაქს ქუდი მოეხადა გამარჯვებული გმირთა გმირის წინაშე, დიდით პატარამდე სულ იმას შეჰღიმოდა და შესცინოდა. აგერა გმირი კაპიტანი ბრაჟიდა, კაპტენარმუსი ბრაჟიდა, აგერ მეიარაღე კოსტეკალდი, აგერ თავმჯდომარე ლავავეზი, აგერ აფთიაქარი ბეზიუკე, აგერ ქუდზე მონადირენი, ჯარისკაცნი, მოქალაქენი... გარს ეხვევიან, ყველა ცდილობს ხელი ჩაშორავას... აი, ქუდზე მონადირეთ ჩაიგდეს ხელში თავიანთი მასახელებელი

ტარტარენი, ასწიეს, აისროლეს, ვაშაო დაიძახეს და კიბეზე ხელიხელ ჩააგოგმანეს...

ხომ მოგვხსენებათ, ტარასკონული მოჩვენება რა არის. ამ ამბის მიზეზი, იცით, რა იყო? ბრმა ლომის ტყავი, ტარტარენმა რომ გამოუგზავნა ბრავიდას. მიიღო თუ არა გმირმა ბრავიდამ ეს ტყავი, მთელი ქალაქი შეყარა და მაშინვე მონადირეთა კლუბში გამოფინა... ჯერ ტარასკონელები გაიტაცა რაღაცა ოცნებამ, ტარასკონულმა მოჩვენებამ და მერე მათთან ერთად მთელი სამხრეთი საფრანგეთიც. ახლა გაზეთებმაც მოუმატეს, მეტადრე „სემაფორმა“, რომელმაც მთელი დრამა შეთხზა — ვითომ ტარტარენის თავგადასავალი: ლომთა მკლავს განა ერთი ლომი მოეკლა! ერთი კი არა, ათი, ოცი, ასი... სულ ფეხით ესრისა, როგორც კალია!

რა იცოდა ტარტარენმა, მარსელში რომ მივიდა; უკვე დიდებული და გამარჯვებული კაცის. სახელი ჰქონდა მოფენილი! ჯერ რკინიგზის ბილეთიც არ აეღო, რომ მარსელიდან ტარასკონს დეპეშა დაუკრეს: არიქა, მოემზადენით! ტარტარენ ტარასკონელი მოდისო! სულ ორი საათით მიუსწრო ტელეგრამამ და ნახეთ მაინც, რა კარგად დახვდა გმირთა გმირს თავისი დედაქალაქი!

ამ სიხარულში იყო ხალხი და უცბად რაღაცა უცნაური ოთხფეხი გაჩნდა, იქვე რკინიგზის სადგურზე! გაჩქარებული მირბოდა, ხვითქი სდიოდა, იმოდენა ხალხი ზედ შუაზე გააპო და ტარტარენის გვერდით გაჩერდა. გული გაუსკდათ ტარასკონელებს: ეს ალბათ ჩვენი ქაობების ზღაპრული გველეშაპიაო და ის იყო, უნდა მოეკურცხლათ, რომ ტარტარენმა გული დაუმშვიდა მათ.

— ჩემი აქლემი გახლავთ! — უთხრა ტარასკონელებს.

— გაუმარჯოს! — შეჰბლავლა ხალხმა.

ტარასკონული მზე კი თავისას სჩადიოდა; დაჰკრა ტარტარენს, ძველებური მოჩვენებანი აუშალა, თვალწინ რაღაც-რაღაც სურათები აუთამაშა. აღერსით ხელი გადაუსვა ტარტარენმა თავის ერთგულ აქლემს და თქვა: ძაან, ძაან აქლემია... სულ ამან დამახოცვინა, რაც ლომები დავხოცეო!

მერე თავმჯდომარეს მკლავში ხელი გაუყარა (ამ პატივისცემით გააწითლა საწყალი კაცი) და შინისაკენ გასწია. უკან მოსდევდა თავისი ერთგული აქლემი, ქუდზე მონადირენი და ხალხი! მიდიოდა

თავისთვის ნელ-ნელა, თითქოს ამოდენა ხალხი სხვის მისაგებებლად ყოფილიყოს გამოსული, თითქო ხალხის ყვირილი — ლომთა მყლეტს გაუმარჯოსო, — იმას არც კი შეეხებოდა. მიდიოდა ნელ-ნელა ბაობაბის სახლისაკენ და თან თავის თავგადასავალს უამბობდა, ატლასელ ლომებზე ნადირობის თავგადასავალს:

— წარმოიდგინეთ, ერთ საღამოს, შიგ შუაგულ საპარაში...





მეზომეზონა
მეზომეზონა



I

ვინმე უსწოროს გამოცხადება „რიგი-კულმში“. ვინ არის იგი? რაზე იყო ლაკაკიძე მკვლელის კაცობის გამოცხადება. ბრინჯი და შავილიანი. სახელდახლოდ გუ-
წარმოილი სახეობა სადავო. უსწორო ხელს აწერს ობოლში ჩამოხსნა და მათარში.
პ. ა. პ.

მარბამობის თვის ათს 1880 წლისას, იმ საარაკოდ მშენებელს
ქამს მზის ჩასვლისას ალბებზე, ესოდენ ნაქები რომ არის ჟოანისა და
ბედეკერის¹ გზის მაჩვენებლებში, ყვითელი ჭანლი და თოვლის ბუქის
თეთრი ხვები ბურავდნენ მწვერვალს რიგისას (Regina mon-
tium-ს²) და უზარმაზარ ოტელს, რომელიც მეტად უჩვეულოდ გა-
მოიყურებოდა მაღალ მთათა ამ პირქუშ გარემოში. ეს ოტელი „რი-
გი-კულმი“ იყო, ოპსერვატორიის მსგავსად მომინული, ციხე-

¹ ჟოან, ადოლფ-ლორანი (1813—1891) — ფრანგი მწერალი და გეოგრაფი, ავტორი ცნობილი გზის მაჩვენებელი წიგნებისა, შვეიცარიისა და გერმანიაში სა-
მოგზაუროდ. ბედეკერი კარლი (1801—1859) — გერმანელი წიგნის გამომცე-
მელი, სახელგანთქმული შემდგენელი გზის მაჩვენებლებისა.

² მთათა დედოფალი (ლათ.).

სიმაგრესავით მკვიდრად ნაგები, „რიგი-კულმი“, სადაც ერთი დღე-ღამის გასატარებლად გუნდ-გუნდად მოედინებიან ტურისტები, მოთაყვანენი მზისა.

სადილობის მეორე ზარის მოლოდინში, ამ ვეება და დიდმშვენიერი ქარვასლის დროებით ბინადართ, ზემოთ, თავიანთ ოთახებში, მოწყენილობისაგან გული ელეოდათ, ზოგნიც კალორიფერების ტენიანი სითბოთი მოთენთილნი გაშხლართულიყვენენ სამკითხველოს დარბაზის დივანებზე და გარეთ იყურებოდნენ; გარეთ კი აღთქმული საუცხოო სანახაობის მაგივრად, ჰაერში პაწია თეთრი ბუმბულები ტრიალებდა და მისავალ კართან დიდრონი მაშუქები ენთებოდა, რომელთა ორმაგ მინებს ქარში გაჰქონდათ ჟღერიალი.

აქ ამოვიდეს კაცი, ამ სიმაღლეზე, მოვიდეს, ვინ იცის, საიდან და ამას უყუროს?! ეჰ, ბედეკერო!..

უეცრად რაღაც გამოინაკვთა ბურუსში და ოტელისაკენ წამოვიდა, თან რკინებს აჩხარუნებდა და როგორღაც საკვირველად მოძრაობდა, რასაც უთუოდ თავისი უცნაური მორთულობა აიძულებდა.

უქმად მყოფმა ტურისტებმა, ცხვირ-პირი ფანჯრის მინებისათვის რომ მიეკრათ, ამ პატარათავიანმა, რაღაც სასაცილოდ, ბიჭურად თმაშეკრეპილმა ინგლისელმა მის სეზმა ოც ნაბიჯზე, თოვლის ბადეში გაარჩიეს ეს მოძრავი სხეული, და ჯერ ნახირს ჩამორჩენილი ძროხა ეგონათ, მერე კი ხელსაწყოებით დატვირთული მკალავა.

ათიოდ ნაბიჯზე სხეულმა კვლავ სახე იცვალა: მხარზე არბალეტი გამოუჩნდა და თავზე — ზარადჩამოშვებული ჩაფხუტი, მსგავსად საშუალო საუკუნეების მშვილდოსნისა, რომლის გამოჩენაც აქ, ამ მთიანეთში, კიდევ უფრო მოულოდნელი რამ იყო, ვიდრე ძროხისა ან მოხეტიალე მკალავისა.

როდესაც არბალეტოსანი პარმალზე ამოვიდა, აღმოჩნდა, რომ სულმთლად ჩვეულებრივი სქელ-სქელი და ჯმუხი, ჩასკენილი კაცი იყო. ის აქ გაჩერდა, რომ სული მოეთქვა და თოვლი ჩამოებერტყა ყვითელი მაუდის საწვივეებიდან, ასეთივე ქუდიდან და სახეზე ჩამოფხატული მოქსოვილი ჩაფხუტიდან, საიდანაც მხოლოდ ჰალარაშერთული წვერი გამოსჩროდა და სტერეოსკოპის მინაგვარი უშველებელი მწვანე სათვალე. წერაყინი, ალპენშტოკი, ზურგზე გადაკიდებული ჩანთა და მხარზე კიდევ თოკის შეკრულა, წრიაპები და

რკინის კავები, განიერსაღილავებიანი ინგლისური ბლუზის ქამართან გაკეთებული, აგვირგვინებდა ამ ჩინებული მთამსვლელის აღჭურვილობას.

სადმე მონბლანისა თუ ფინსტერაარპორნის უდაბურ მწვერვალებზე ასეთი საიერიშო აღკაზმულობა ბუნებრივი ეჩვენებოდა კაცს, მაგრამ ეს ხომ „რიგი-კულში“ იყო, სულ ორიოდ ნაბიჯზე რკინიგზიდან!..

თუმცაღა მთამსვლელი სადკურის მოპირდაპირე მხრიდან მოდიოდა და მისი საწვივეებიც ნათლად მოწიობდნენ, რომ წანგრძლივად ევლო თოვლსა და ტალახში.

გაოგნებული ერთ წუთს შეჰყურებდა ოტელსა და მის მინაშენებს. ეტყობოდა, სულ არ მოელოდა, თუ ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან ასეთ თვალსაჩინო შენობას წააწყდებოდა. თვალს მოგტაცებდათ ამ შენობის შვიდ სართულად აზიდული ფანჯრები, შუშაბანდები, კოლონადები და ფართო მისავალი, ორრიგი ფარნებით დამშვენებული, ფარნებით, რომლებიც ამ მთის მწვერვალს ოპერის მოედანს ამსგავსებდნენ ზამთრის ბინდში.

მაგრამ როგორი განცვიფრებულიც უნდა ყოფილიყო ჩვენი უცნობი, ოტელში მყოფთ კიდევ უფრო მეტი განცვიფრება ემჩნეოდათ. შევიდა თუ არა ახალმოსული ხალვათ წინა ოთახში, ყველა დაბრახიდან იხუვლეს და ხროვა-ხროვად გამოიშალნენ ცნობისმოყვარეები: კაცებს ბილიარდის ჯოხები თუ გაშლილი ვაზეთები ეჭირათ, მანდილოსნებს წიგნები თუ ხელსაქმე; სხვანიც ზედა კიბის მოაჯირზე გადმოეყუდნენ, ლიფტის ბაგირებს შორის გადმოკიდეს თავი და ისე იკვირებოდნენ.

მოსულმა ომახიანად, ბოხის ხმით, „სამხრეთულის ბანით“ დასძახა, რაიცა დაფდაფების ჟღერას უფრო ჰკავდა:

— ეშმაკსაც წაუღია! ეს რა ამინდია!..

წამსვე შეწვივიტა სიტყვა და ქუდი სათვალისანად მოიშორა.

სულს ძლივს ითქვამდა.

თვალისმომჭრელმა სინათლემ. აირმაშუქებისა და კალორიფერების სითბომ, გარეთ გამოვლილი სიცივისა და წყვდიადის შემდეგ მასთან ამ მდიდრულმა მოწყობილობამ, — მაღალმა ჭერმა, უაითანდავლებული ტანსაცმლით მოსილმა მეკარებებმა, რომლებსაც საადმიწაღო ქულებზე ოქროს ასოებით „Regina montium“

წერათ, მეტროტელების თეთრმა ყელსახვევებმა, ეროვნულ კოსტიუმებში გამოწყობილი შვეიცარიელი ქალების მთელმა ლაშქარმა, — ზარის წკარუნზე ერთბაშად რომ მოცვივდნენ, — ყოველივე ამან სახტად დატოვა, თავბრუ დახვია, მაგრამ სულ ერთი წუთით, მეტით არა.

რაკი იგრძნო, მიყურებენო, გული მოეცა, ვითარცა მსახიობს, ხალხით სავსე დარბაზის წინ მოთამაშეს.

— რას ინებებდით, ბატონო ჩემო?.. — გამოსცრა კბილებში სალუქად გამოწყობილმა ოტელის გამგებელმა, რომელსაც ზოლებიანი კურტაკი ემოსა, ქილვაშები აბრეშუმისგან უბზინავდა და თმა ქალების თერძით ჰქონდა დახვეულ-დახუჭუჭებული.

მთამსვლელი არ შემკრთალა და ოთახი მოითხოვა, „პატარა, კა-რ-რ-გი ოთახი“, და ისე თავისუფლად მიმართა ამ დიდებულ გამგებელს, თითქოს მისი სკოლის ამხანაგი ყოფილიყოს.

გაჯაერებას აღარაფერი უკლდა, როდესაც ბერნელი მოახლე ქალი მიუახლოვდა. ქალს შემოწყებილი ოქროს გულისპირი და ტიულის განიერი სახელოები ამშვენებდა, ხელში შანდალი ეჭირა. ჰკითხა, ლიფტით ხომ არ ისურვებთ ასვლასო. დანაშაულის ჩადენა რომ მოეთხოვათ მისთვის, ალბათ ამაზე მეტად არ აღშფოთდებოდა.

— მე, მე ავიდე ამყვანი მანქანით!.. — ისეთნაირად შესძახა და აიქნია ხელი, რომ მთელს თავის საჭურველს ნჯღრევა შეუყენა.

მერე უეცრად მოლბა და თავაზიანად უთხრა შვეიცარიელ ქალს:

— არა, მე ქვეითად, ფეხით გეახლებით, ჩემო კატუნო...

და უკან გაჰყვა ქალს; კაცის განიერ ზურგს კიბეზე გზა ბითქმის შეეკრა, შემხედურთ მუჯღუგუნებით იმორებდა, მთელს ოტელში კი ამ დროს რაღაც გაბმული შეძახილი ისმოდა, ქვეყნიერების სხვადასხვა მხრის ენაზე ჩურჩულით გამეორებული: „ნეტა ეს რა ამბავია!“ მაგრამ აი, მერე ზარმაც დარეკა, სადილის მაუწყებელმა, და ეს არაჩვეულებრივი კაცი აღარავის ყურადღებას აღარ იზიდავდა.

მართლაც რომ ნამდვილ სანახაობას წარმოადგენს „რიგი-კულმის“ სასადილო.

ექვსასი კაცისთვის გაშლილი ვეება, ნალისებურ მაგიდაზე მწვანე მცენარეებს ენაცვლება გრძელ რიგებად დაწყობილი ლანგრები, ბრინჯითა და შავქლიავით სავსე; მათ წვეწმში ირეკლება და ციმციმებს ქალების უძრავი სინათლე და ძერწილი ჰერის ოქროს ვარაყი.

ბრინჯი და შავქლიავი, როგორც ეს საზოგადოდ ყველა შვეიცარიულ საერთო სუფრასა სჩვევია, ორ მოქიშპე ბანაკად ყოფდნენ მოსადილეებს, და საკმარისი იყო შეგენიშნათ, წინასწარ რა თვალით შეხედავდნენ ხოლმე დესერტის ლანგრებს სტუმრები, — მძულვარებითა, თუ ნდომით აღსავსე თვალთ, — რომ სულ ადვილად გამოგეცნოთ, რომელ დაჭვუფებას ეკუთვნოდნენ ისინი. ბრინჯის მოყვარულთ მათი ფერმკრთალი, გალუული სახეები ამხელდათ, ხოლო შავქლიავის მუსუსებს — სილაჟღაჟე.

ამ საღამოს ეს უკანასკნელები თავისთავადაც სქარბობდნენ, ახლა ისიც დავსძინოთ, რომ მათ რიგებს ფასსა სდებდნენ ევროპის სახელგანთქმული ადამიანები, ისეთი დიდმნიშვნელოვანნი პირნი, როგორიცაა საფრანგეთის აკადემიის წევრი გამოჩენილი ისტორიკოსი ასტიე-რეიუ, მოხუცი ავსტრია-უნგრეთის დიპლომატი ბარონ ფონ შტოლცი, ჟოკეი-კლუბის წევრი ლორდ ჩიპნდელი (?), თავისი დისწულითურთ (ჰმ! ჰმ), შვანტჰალერი, ბონის უნივერსიტეტის სახელგანთქმული დოქტორი-პროფესორი და პერუელი გენერალი თავისი რვა ქალიშვილით.

ბრინჯის მოყვარულთ შეეძლოთ მათთვის მხოლოდ ისეთი თვალსაჩინო პიროვნებანი დაეპირისპირებინათ, როგორიცაა ბელგიელი სენატორი თავისი ოჯახითურთ, ქალბატონი შვანტჰალერისა, პროფესორის მეუღლე, და რუსეთიდან დაბრუნებული იტალიელი ტენორი, რომელსაც თავმომწონედ გამოეფინა სუფრაზე ლამბაქის ოდენა საკინძეები თავისი მანუეტებისა.

ეკვი არ არის, ამ ორ მოწინააღმდეგე მიმართულების პირთა ერთად ყოფნა სუფრაზე უხერხულობასა და დაჭიმულობას იწვევდა. მაშ, სხვა რით შეიძლებოდა აგეხსნათ ღუმილი ამ ექვსასი გაბერილა, ცხვირ-პირჩამოშვებული, ექვნეულად მომზირალი კაცისა, და უკიდურესი ზიზღი, რასაც ისინი ერთმანეთის მიმართ ამჟღავნებდნენ? ზერელე დამკვირვებელი ამას ანგლო-საქსურ უგუნურ ამპარტავნობას მიაწერდა, მოგზაურ ხალხში ყველგან ასე მისხაძად რომ გაიხადეს.

მაგრამ არა და არა! არსებანი, ადამიანის სახისანი, ვერ შეიძულევენ ერთმანეთს ასე პირველსავე შეხედვით, ასე არ გამოხატავენ თავიანთ უკადრისობას ცხვირ-პირითა თუ თვალებით, აქაოდა, ერთ-

მანეთისათვის წინასწარ არავის გავუცენივართო. აქ სხვად რამ იმალებოდა.

აქი გითხარით კიდევაც: ბრინჯი და შავქლიავი-მეთქი. აი, რით აიხსნება პირქვეში დუმილი, „რიგი-კულმის“ მოსადილეთა შორის ჩამოწოლილი, იმ დროს როდესაც, თუ მხედველობაში მივიღებთ სხვადასხვა ეროვნების სტუმართა სიჭარბეს, სადილს სულ მხიარულებასა და ჟრიაშულში უნდა ჩაევლო, ისე როგორც ჩვენ ბაბილონის გოდოლის ძირში გამართული სმა-ჭამა წარმოგვიდგენია.

მთამსვლელი, ცოტა არ იყოს, დაიბნა, როცა შემოვიდა და გაკამკამებული ქალის ქვეშ მსხდომთა, თითქოსდა დუმილით მონანიეთა ტრაპეზს წაადგა; ხმამაღლა დაახველა, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია და, როგორც ყველაზე უკანასკნელად მოსული, დარბაზის ბოლოში დაჯდა.

უსაჭურვლოდ ეს სულ ჩვეულებრივი ტურისტი იყო, ისეთი, როგორც სხვა მრავალია, ოღონდ უფრო საამო შესახედლობისა. გამელოტებულსა და ღიპიანს ხშირი, წამახული წვერი ამშვენებდა, მოზრდილი ცხვირი ჰქონდა და კეთილი თვალები — სქელ, მძვინვარე წარბებს ქვეშიდან მომზირალი.

ბრინჯს აირჩევდა თუ შავქლიავს? ჯერ ეს არავინ იცოდა.

ის კი იყო, დაჯდა, რომ მოუსვენრობა დაეტყო; მერე შეშინებული წამოხტა ადგილიდან.

— რა ჯანდაბაა!... ორპირი ქარია!.. — წამოიძახა და თავისუფალი სკამისაკენ გაექანა, მაგიდისთვის რომ საზურგით მიედგათ.

მოსამსახურე შვეიცარიელმა ქალმა, ურის კანტონელმა, თეთრ გულისპირზე ვერცხლის ძეწკვი რომ ეკიდა, შეაჩერა იგი:

— ბატონო, ეს ადგილი დაკავებულია...

მაშინ მაგიდასთან მჯდომმა ახალგაზრდა ქალიშვილმა, რომლის მხოლოდ აზვინულ ქერა თმასა და თეთრ სპეტაკ ყელსა ხედავდა ჩვენი უცნობი, ზურგშექცეულმა უცხოური კილოთი მიუგო:

— არა, ადგილი თავისუფალია... ჩემი ძმა ავად არის, არ ჩამოვა დღეს სადილად...

— ავად არის? — დაეკითხა მთამსვლელი, თითქმის გულითადის გრძნობით. — მაშ, ავად არის? ალბათ საშიში მაინც არა იქნება რა?

და მაინც-ის მაგივრად „მეინც“ წარმოთქვა. ამ სიტყვას ყველა ფრაზაში ხმარობდა, სხვა ცუდ სიტყვებთან ერთად, როგორცაა:

„ჰე, მა, ვე, ვი, ჰოდე, სხვაფრივ და, გარდა ამისა, სხვა არა იყოს რა“. ეს კი მის სამხრეთულ კილოს უფრო საგრძნობელს ხდიდა, რაც, ეტყობა, არ მოსწონდა ქერათმიან ახალგაზრდა ქალს, რადგან მოსულს არა უპასუხა რა და მარტო ყინულივით ცივი, უძირო მუქლურჯი თვალები შეაგება.

მარჯვნივ მჯდომი მეზობელიც დიდად გულმისავალი არ გახლდათ; იტალიელი ტენორი ბრძანდებოდა, ზორბად მოსული, შუბლდაბალი, თვალებწყლიანი. გაბოროტებით იგრეხდა ვაჟკაცურ უღვაშს, როცა პირლამაზ მეზობელ ქალს დააშორეს. ჩვენს კეთილ მთამსვლელს ჩვეულებადა ჰქონდა, ჭამის დროს უნდა ელაპარაკა — ასე ფიქრობდა, კაცს ეს ჯანსა მატებსო.

— ჰე! რა ლამაზი საკინძებია! — ხმამალა წარმოთქვა თავისთვის, თან ჩუმად ათვალეერებდა იტალიელის მანქეტებს. — მუსიკის ნოტებია იასპზე ინკრუსტირებული, პირდაპირ საუც-ც-ხოა!...

მისი ლითონისებური ხმა გუგუნებდა სიჩუმეში და გამოძახილს ვერა პოულობდა.

— ეჭვი არ არის, მომღერალი ბრძანდებით, არ-რა ა?

— Non capisco!... — წაიდუღუნა უღვაშებში იტალიელმა.

მთამსვლელი ერთ ხანს ჩუმად ჭამდა, მაგრამ ლუკმა ყელში ეჩხირებოდა. ბოლოს, როცა მის პირდაპირ მჯდომმა ავსტრია-უნგრეთის დიპლომატმა ბებრის აკანკალებული, თათმანწამოცმული პატარა ხელი სამლოგვისკენ წაიღო, ჩვენმა მთამსვლელმა თავაზიანად გადაუწოდა:

— ინებეთ. ბატონო ბარონო...

ის იყო გაიგონა, ასე მიმართავდნენ დიპლომატს. ვაი რომ ბნ შტოლცს, თუმცაღა მოეშმაკო და გონიერი კაცის იერი მოსდევდა, დიპლომატიურ საქმიანობაში შექენილი, დიდი ხანია უკვე გაჰფანტვოდა სიტყვები თუ აზრები და ახლა საგანგებოდ მოგზაურობდა მთებში, რათა ისინი კვლავ მოეპოვებინა. უსიცოცხლო თვალები მიაპყრო უცნობის სახეს და უხმოდ ისევ დახუჭა. მსგავსი გონების პატრონი ათი დიპლომატი მაინც იყო საჭირო, რომ შეერთებული ძალით მადლობის სულ მარტივი ფორმულა შეედგინათ.

ახლაც ბედმა უმტყუნა მთამსვლელს, სახე საზარლად დაედრიჯა

¹ არ მესმის (იტალ.).

და ისე გამალებით დასტაცა ბოთლს ხელი, ვინმე იფიქრებდა, ეს არის მოხუცი დიპლომატის გონებაგამოცლილ თავს ზედ შეალეწავსო. მსგავსიც არაფერი მომხდარა! თურმე ნუ იტყვიო და, უნდოდა უბრალოდ სასმელი შეეთავაზებინა მეზობელი ქალისათვის, რომელმაც ვერა გაიგონა რა, რადგან იქვე ახლოს მჯდომ ორ ახალგაზრდა ყმაწვილ კაცს გატაცებით რაღაცას ელაპარაკებოდა დაბალის ხმით, წარამარა იხრებოდა მოსაუბრეებისაკენ და ტკბილად, თანაც გაცხოველებით ჰიკვიკებდა უცნობ ენაზე. სიფრიფანა, პაწია ვარდისფერ ყურს ზემოთ კულულები უბრწყინავდა სინათლეზე... ვინ არის, ნეტა: პოლონელი, რუსი, თუ ნორვეგიელი?.. ჩრდილოელი კი უნდა იყოს, ეს უდავოა. და ერთი ლამაზი სიმღერა მოადგა პირზე სამხრეთელ კაცს. აიღო და არხეინად დაილიღინა:

გრაფის ასულო ლამაზო!
ვარსკვლავო ჩრდილოეთისავ,
ტრფობამ ოქროსფრად შეგმოსა,
თოვლმა შეგფერა ვერცხლისფრად !.

ყველანი მობრუნდნენ: ხომ არ გადარეულაო. სამხრეთელი ვაწითლდა, ჩუმად ჩაყო ცხვირი თეფშში და მხოლოდ მაშინ შეტოკდა, როცა დაინახა გადმოწოდებული ერთ-ერთი წმიდა საკომპოტე ლანგარი, რომელიც გააფთრებით უკუაგდო:

— ისევე შავქლიავეი!.. არავითარ შემთხვევაში!

ეს უკვე მეტისმეტი იყო.

ხმაურით მისწი-მოსწიეს სკამები. აკადემიკოსი, ლორდ ჩიპნდეილი (?), ბონის პროფესორი და ზოგიერთი სხვა გამოჩენილი გვაში შავქლიავის პარტიისა წამოდგა და ნიშნად პროტესტისა დარბაზი დატოვა.

ბრინჯის მოყვარულებმა თითქმის მაშინვე მისდიეს პირველთ, როცა დაინახეს, რომ მეორე საკომპოტე ლანგარიც პირველის მსგავსად იქნა უკუგდებული.

არც ბრინჯი, არც შავქლიავეი!.. მაშ, რა?..

ყველანი ერთბაშად გაეცალნენ იქაურობას. გულს შეგყინავდათ იმის დანახვა, რა მღუმარედ ჩაუარეს ამ ცხვირ-პირჩამოშვებულმა,

¹ სიტყვები ეკუთვნის ცნობილ პრზვანსელ პოეტს ფრედერიკ მისტრალს (1830—1914).

ტუჩაპრუწულმა ადამიანებმა უბედურ კაცს, რომელიც მარტო დარჩენილიყო უზარმაზარ, გაჩახახებულ სასადილო დარბაზში, დაეტება პური ღვინოში ჩასაწებად, როგორც ეს მის მხარეში იციან, და საკმელად ემზადებოდა, საყოველთაო ზიზღით მიწასთან გასწორებული.

მეგობარნო ჩემნო, ზიზღით ნუ უცქერით ნურვის! ზიზღი მეტირების, მოჩვენებითი ხალხის, გონჯებისა და ჭკუათხელების საყრდენია, ნიღაბია, რომელსაც ამოფარებია არარაობა, ზოგჯერ სიღაბღეც, ნიღაბი, რომელიც ხელს უწყობს მოზიზღარს დამალოს თავისი მანკიერი გონება, უგულობა და საკუთარი აზრის უქონლობა. ყველა კუზიანი ზიზღით არის გამსჭვალული, ყველა ცხვირმოქცეული იკმუხნის და იბზეკს ცხვირს, როცა სწორ ცხვირსა ხედავს.

ეს კარგად იცოდა კეთილმა მთამსვლელმა. იგი დიდი ხანია უკვე გადასცილებოდა ორმოცს, იმ „მიჯნას მეოთხე ათეულისას“, როდესაც ადამიანი პოულობს მოსარგებ, ჭადოსნურ გასაღებს, რომელიც ცხოვრების დახშულ კარს შიგნი-შიგნობამდე აღებს და საჩინოს ხდის მის ერთფეროვანსა და მაცთუნებელ სახეს; ამასთან, მან თავისი ფასიც იცოდა, თავისი დანიშნულების სიდიადეც ჰქონდა შეგნებულა და ისიც ესმოდა, რა ვალდებულებას აკისრებდა მოხვეჭილი დიდი სახელი. ამიტომაც არად მიიჩნია ამ ხალხის აზრი. განა საქმარისი არ იყო, თავისი სახელი ეთქვა, დაეყვირა: მე გახლავართო!.. რომ ერთბაშად მოწიწებით მიწამდე დახრილიყვნენ მის წინაშე ლაშაბზუებული მოთაკილენი. მაგრამ ეს ინკოგნიტო ართობდა.

მარტო ის ტანჯავდა, რომ არ შეეძლო ელაპარაკა, ეხმაურა, გული ყველასათვის გაეხსნა, გაეერთებინა, ხელი ხელზე მოეჭირა მოსაუბრისათვის, ჩამოედო შინაურულად მხარზე, უბრალოდ სახელით მიემართა ყველასათვის. აი, რა უმძიმებდა სულს „რიგი-კულმში“.

ყველაზე მეტად მაინც დუმილი კლავდა!

„ნამდვილად ძირძიტა გამომივა ენაზე...“ — ამბობდა გულში საცოდავი, მიდი-მოდიოდა სასტუმროში და არ იცოდა, რა ექნა, რა ელონა.

ერთი პირობა კაფეში შევიდა, ხალვათი და გამოცარიელებულა რომ იყო, ვით ტაძარი სადაგ დღეს, მოუხზო ოფიციანტს, „კეთილო მეგობარო“, ასე დაუძახა და დაუკვეთა: „ყავა, ოღონდ უშაქრო,

3 ე!“. თუმცა ოფიციანტს არ უკითხავს: უშაქროს რად ინებებთო, მთამსვლელმა მაინც ცოცხლად დაატანა: „ასე დავეჩვიე იმ დროიდან, ალჟირში რომ ვნადირობდი ხოლმე“.

ის იყო უნდა ეამბნა კიდევაც ამ ნადირობაზე, რომ ღია რბილი ფეხსაცმლით მოსილი ოფიციანტი მოსწყდა ადგილს და მოჩვენებასავით ჩუმად გაექანა ლორდ ჩიპნდელისაკენ, რომელიც დივანზე გაშოტილიყო და უგუნებოდ ყრანტალებდა: „ჩიმპენისა!.. ჩიმპენისა!“ ოფიციანტმაც მოვალეობა შეასრულა და საცობმა მძლავრად ამობათქუნა. მერე მიჩუმდა ყოველი და გაიგონებდით მხოლოდ, როგორ ზუზუნებდა ქარი ვეება ბუხარში და სარკმელთა მინებს თრთოლვამარიშურით როგორ ეცემოდა თოვლი.

პირქუშად გამოიყურებოდა სამკითხველო დარბაზიც: ყველას გაზეთი ეჭირა ხელში, ასობით თავი დახრილიყო რეფლექტორების ქვეშ მწვანე გრძელ მაგიდებზე. დროგამოშვებით მთქნარება, ხველა, გადაფურცლული გვერდების შრიალი ისმოდა. ამ „საკლასო ოთახის“ სიწყნარეზე თითქოს ამალგებულებიყვნენ უზენაესი ქურუმები ოფიციალური ისტორიისა, შვანტპალერი და ასტიე-რეიუ, ორივენი ზურგით მიყრდნობოდნენ ღუმელს, უძრავად იდგნენ დიდებულის იერიშ და ორთავეს ერთნაირად უდიოდა ხავსის სუნი. უხიაკმა ბედმა ისინი რიგის მწვერვალზე შეჰყარა იმ ოცდაათი წლის ლანძღვა-გინების შემდეგ, განმარტებით ბარათებში ერთმანეთს ასე რომ ამკობდნენ ხოლმე: „მტყნარი სულელი შვანტპალერი... *Vir ineptissimus*! ასტიე რეიუ...“

წარმოგიდგენიათ ახლა, როგორ შეხვდებოდნენ ისინი ჩვენს კეთილ, გულღია მთამსვლელს, როცა მან იქვე. ცეცხლის პირას დაჯდომა და მათთან გამოლაპარაკება დააპირა, — იქნებ ჰკუთის სასწავლო რამე გავიგონო. ამ ორი კარიკტიდიდან უმალ. ისეთი სუსხი წამოვიდა, რისაც მუდამ ასე ეშინოდა. მაშინვე წამოდგა და დარბაზში ბოლთის ცემა დაიწყო, — ისტიბარს არ იტეხდა, ვითომ აქ არაფერიყო, თანაც გათბობაც უნდოდა, — მერე კი წიგნების კარადა გამოალო. რამდენიმე ინგლისური რომანი ეგდო შიგ, სქელტანიან ბიბლიებსა და „მთამავლელების შვეიცარიული კლუბის მოამბის“ დაცალკევებულ ტომებში არეული. აიღო ერთი რომელიღაცა წიგნი და უნდოდა

¹ რეგენი (ლათ.).

თან წაელო, ძილს წინ წაიკითხავო, მაგრამ უკანვე დადო, რადგან წესი არ იყო, სამკითხველოს დარბაზიდან წიგნები თავ-თავიანთ ოთახებში წაედ-წამოედოთ.

მაშინ კვლავ ხეტიალი განაგრძო და შეალო კარი საბილიარდო ოთახისა, სადაც იტალიელი ტენორი თავისსავე თავს ეჯიბრებოდა თამაშში. სხეულის მიხრა-მოხრითა და მანყეტებით თავს აწონებდა ლამაზ ქალს, თავის წედანდელ მეზობელს. ქალი დივანზე იჯდა ორ ახალგაზრდა კაცს შუა და მათ რაღაც წერილს უკითხავდა. შემოვიდა თუ არა მთამსვლელი, ქალმა კითხვა შეწყვიტა, ერთ-ერთი ახალგაზრდა კაცი კი, უფრო ზორბა რომ იყო, ფეხზე წაძოღვა. გაუფორტნავი ვინმე ჩანდა, რაღაც ძალკაცის მსგავსი, ბანჯგვლიანი თათების მქონე. მისი გრძელი შავი თმა, გაფშეკილი და მბზინავი, გაბურძგნულ წვერს უერთდებოდა. ორი ნაბიჯი წარდგა ახალმოსულისაკენ, გამომწვევად შეხედა, თანაც ისეთის მძვინვარებით, რომ კეთილ მთამსვლელს ახსნა-განმარტება არ მოუთხოვია, გონიერება იხმარა და საკუთარის ღირსების დაცვით ნახევრად მარჯვნივ მობრუნდა.

— დიდად თავზიანები არა ბრძანდებიან ეს ჩრდილოელები!... — თქვა მან ხმამაღლა და კარი გაიჯახუნა, რა არის ეჩვენებინა ამ ველურისათვის, შენი სულ არ მეშინიაო.

სალონიდა დარჩენოდა უკანასკნელ თავშესაფარად და შევიდა კიდევ შიგ. მაგრამ დახეთ ბედის სიმუხთლეს!.. ნამდვილ საცხედრეს არა ჰგავდა ეს სალონი! სენ-ბერნარის მთის საცხედრეს, სადაც ბერები თოვლში ნაპოვნ საცოდავ ჩაჩუმქრულთა გვამებს გამოფენენ ხოლმე იმავე სახით, რა სახეც მათთვის გამყინავ სიკვდილს მიუცია. აი, რანაირი გახლდათ „რიგი-კულმის“ სალონი.

მანდილოსნები, ყველანი უკლებლივ, გაშეშებულ-დამუნჯებულ იყვნენ, ისხდნენ ჯგუფ-ჯგუფად მრგვალ დივნებზე, ანდა აქა-იქ წამოწოლილიყვნენ თითო-თითოდ. ინგლისელი ქალბატონები კი, ყველანი ერთიანად, მრგვალ პატარ-პატარა მაგიდებს მისხდნომოდნენ უძრავად, — ვის ალბომი, ვის ჟურნალი, ვის კიდევ ხელსაქმე ეჭირა ხელში, — და სიცივით გათანგულებსა ჰგავდნენ. მათ შორის პერუელი გენერლის რვა ქალიშვილიც ერია, ზაფრანისფერსახიანი, ღმეკია პატარა გოგონები; მათი ჰყეტელა ბაბთები თვალში მოგხვდებოდათ ინგლისურ მოდაზე შეკერილი ხვლიკისფერი კაბების ფონზე. რა კარ-

გად მოუხდებოდათ ამ საბრალო „ცხელქვეყნელებს“ ქოქოსის პალმების კენწეროებზე მანკვით ხტომა-ანცობა; აქ კი ყველა დანარჩენ მსხვერპლზე უმეტესად ბადებდნენ სიბრალულს, რამეთუ იძულებული იყვნენ სხვებსავე მოეკუმათ პირი და გასუდრულიყვნენ. სალონის სიღრმეში კიდევ, პიანინოსთან, მოხუცი დიპლომატის თვალებდითი სილუეტი მოჩანდა; თათმანებით მოსილი უსიცოცხლო ხელები დაეწყო კლავიატურაზე, საიდანაც სახეზე მოყვითალო შუქი სცემდა.

ძალ-ღონესა და მეხსიერებას გამოსალმებულ ბედშავ შტოლცს თავი და ბოლო ვერ მოება თავისივე შეთხზული პოლკასათვის: სულ ერთსა და იმავე მოტივს იწყებდა თავიდან და დასასრული ვერა და ვერ მოეძებნა; ამასობაში ჩასძინებოდა კიდევ. შტოლცისთვის „რიგის“ მანდილოსნებსაც მიებაძათ, ძილში არხევდნენ უცნაურად დახვეულ თმასა და ასფურცელა ნამცხვრის ქერქის მსგავსი მაქმანით დამშვენებულ თავსაბურებს, ასე რომ უყვართ ინგლისელ ბანოვანთ და მათ გარეშე მოგზაურობა ქედმაღლურ-ნატიფი გაზრდილობის შესაფერისად არ მიაჩნიათ.

მთამსვლელი რომ შემოვიდა, მათ არ გამოღვიძებიათ, ისიც დივანზე დაეხალა ამ სულის გამთოშავი გარემოთი შეჭირვებული. მაგრამ ამ დროს მძლავრმა და მხიარულმა მუსიკამ იგრიალა ვესტიბიულში, სადაც ტრიო (არფა, ფლეიტა და ვიოლინო, საცოდავი სახის იმ მოხეტიალე მემუსიკეთაგანი, სერთუეები რომ მუხლებამდე ჩაგრძელებიან და ერთი შვეიცარიული ოტელიდან მეორეში დაძრწიან) ეს არის ახლა აქ, „რიგი-კულში“ გამოჩენილიყო და საკრავები მოემარჯვებინა.

პირველივე ბგერებზე ჩვენი მთამსვლელი ზეზე წამოიჭრა ალტყინებული.

— ვაჰ! ბრავო!.. მუსიკა აქეთ!

და, ჰა, მიჭრის, ყურთამდე აღებს კარებს, შამპანურს ასმევს მემუსიკეებს და თვითონაც თვრება, ასე უსმელად თვრება, მარტოოდენ ამ მუსიკით, რომელიც კვლავ სიცოცხლეს უბრუნებს. ჰბაძავს კორნეტს, ფლეიტას, არფას, თითებს თავს ზემოთ ატაკაუნებს, თვალებს აბრიალებს, მიცეკვავს ხმაურზე ყოველი მხრიდან მოცვენილი, განცვიფრებული ტურისტების წინაშე. მერე უეცრად ჩვენმა მთამსვლელმა, შტრაუსის ვალსით ატაცებულმა (ვალსს უხებურებული

მემუსიკეები ნამდვილის ბოშურის გახელებით უკრავდნენ), შეამჩნია დარბაზის შესასვლელში პროფესორ შვანტპალერის მეუღლე, ვენელი ქალი, მთლად თმადაფიფქული, მაგრამ მკვირცხლი, ახალგაზრდული თვალების პატრონი, და მისკენ გაექანა, წელზე მოხვია სელი, გაიტაცა იგი და თან დანარჩენებს გასძახა: „აბა ერთი, აბა პა, ვალსი ვიცეკვოთ!“

და აი, დაიძრა ყინული, მთელი სასტუმრო გალხვა და ყველა დატრიალდა, ლაგამაწყვეტილი. ცეკვავენ ვესტიბიულში, სალონში, გრძელი მწვანე მაგიდების გარშემო სამკითხველო დარბაზში. ეს ამ ეშმაკის ცალმა კაცმა შეუთხო ყველას ცეცხლი! თვითონ კი აღარა ცეკვავს — რამდენჯერმე შემოუარა და ქოშინებს, მაგრამ თავს დასტრიალებს, თადარიგს აძლევს მეჯლისს, აჩქარებს მემუსიკეებს, აწყვილებს მოცეკვავეებს, ბონის პროფესორს ვილაც ინგლისელ ქალს ჩაკონებს და კუშტ ასტიე-რეიუს კიდეც ყველაზე გიჟმაჟ პერუელ ქალიშვილს დააძგერებს. წინააღმდეგობას ვერავენ უწევს. ამ საშინელი კაცისაგან ისეთი რაღაც უცნაური ძალა გამოჰკვირს, რომ მთლად აგიტაცებს კიდევაც და გულსაც მოგეფონება. ბიჭოს! ბიჭოს! უცებ არ გაქრა ზიზღი და სიძულვილი?! აღარც ბრინჯის მოყვარულნი არიან სადმე, აღარც შავქლიაველები. ყველა ვალსსა ცეკვავს. მალე ეს გიჟური გახელება ერთი სართულიდან მეორეს ედება, სულ უფრო და უფრო ვრცელდება, და კიბის უზარმაზარ მალში, მალლა მეშიდე სართულზე მოჩანს, როგორ ტრიალებს და ტრიალებს ყველა ბაქანზე ფერადი დაბლა-კაბები შეეიცარიელი მოახლე ქალებისა, ასე გეგონებათ, მუსიკალური ყუთის წინ მოსამართი თოჯინები ცეკვავენო.

დაე იმძლავროს, იბობოქროს გარეთ ქარმა, მიაქან-მოაქანოს მუშუქები, აზუზუნოს ტლეგრაფის მავთული და თოვლის კორიანტელი დააყენოს უდაბურ მწვერვალზე; აქ თბილა, მყუდროებაა და ასე გასტანს დილამდე.

„წავალ და დავწვები მაინც...“ — ეუბნება თავის თავს ჩვენი კეთილი მთამსვლელი, ეს კეთილგონიერი კაცი, მკვიდრი იმ მხარისა, სადაც მალე იციან აპრილებმა, უფრო მალე კი, დაცხრომა. და ჰაღარაშერეულ წვერში ჩუმ-ჩუმად მოცინარი მალვით მიდის, მიიპარება, რათა თავი დაიძვრინოს, ხელიდან დაუსხლტეს დეიდა შვანტპალერს.

ვალსის ერთი შემოვლის შემდეგ ეს ქალი ერთთავად დაეძებს, ებლა-უპება და სულ უნდა „ციკვა... მზიარიულობა...“

ჩვენი მთამსვლელი იღებს გასაღებს, ხელის შანდალს; მერე პირველი სართულის კიბის თავზე ჩერდება ერთ წამს, სურს დატკბეს თავისი ნამოქმედართ, თვალი გადაავლოს ამ სარჩაყლაპულთა ხროვას, ასე რომ გაამზიარულა და აამოძრავა.

ამ დროს ერთი შვეიცარიელი მომსახურე ქალი, ეს არის ახლა რომ შეწყვიტა ვალსის ცეკვა, ქაქანით უახლოვდება და უწმდის კალმისტარსა და სასტუმროს დავთარს.

— გთხოვთ, პ ა ტ ო ნ ო, ინებოთ და ხელი მოაწეროთ...

ჩვენი გმირი ყოყმანობს ერთ წამს: ხომ არ აჯობებს დავმალო ვინაობა და ტყუილი გვარი მოვაწერო?

თუმცა სულ ერთი არ არის, განა! ვთქვათ, შეიტყვეს კიდევაც იქ, რიგიზე მისი ყოფნის ამბავი, იმას მაინც ვერვინ მიხვდება, რისთვის ჩამოვიდა შვეიცარიაში: ახლა რა სერიი იქნება, ხვალ დილით ეს „ინგლიშმენები“ რომ გაიგებენ და სახტად დარჩებიან... მოახლე გოგოს ხომ პირზე არ დაადგება, რად უნდა ლაპარაკი. კი არ გაიოცებენ, არ გაშტერდებიან ყველანი ოტელში!

— როგორ? ეს ის არის... ისაო?!

ამ ფიქრებმა გონებაში ორკესტრის ქამანების სხლტომა-თრთოლვით გაუელვეს. აიღო კალამი და, დაუდევარის ხელით, ასტიე-რეიუს, შვანტპალერისა და სხვა გამოჩენილ პირთა სახელების ქვეშ მოაწერა ყველა ამათი დამჩრდილავი თავისი სახელი. მერე ავიდა თავის ოთახში, ისე რომ უკან არ მოუხედავს, რათა თვალით ეხილა ის დიდი შთაბეჭდილება, რასაც, ექვი არ ეპარებოდა, მისი ხელმოწერა მოახდენდა. შვეიცარიელმა მოახლე ქალმა ჩაიხედა დავთარში და წაიკითხა:

ტ ა რ ტ ა რ ე ნ ტ ა რ ა ს კ ო ნ ე ლ ი

ხოლო ქვემოთ:

პ. ა. პ.

ბერნელი ასული ოდნავადაც არ განცვიფრებულა. სულაც არ ესმოდა, რას ნიშნავდა: პ. ა. პ. თავის დღეში არა გაუგონია რა „დარდარენისა“.

აი, აბუეტი!

ტარასონი, გაჩნება ხუთი წუთი. ალკინელთა კლუბი. რას ნიშნავს პ. ა. კ. შინაური კურდღელი კალაპრისა და შინაური კურდღელი კოპპუსტრისი. „ასეთია ჩემი ანდარძი“. მკვდრის სირფი. პირველი ასკა. ტარტარენი ანთილავს სთვალავს.

როდესაც მოწმენდილი პროვანსული ცისქვეშ სადგურ „ტარასკონის“ სახელწოდება ბუკის ხმასავით გაისმის ხოლმე პარიზი-ლიონი-ხმელთაშუა ზღვის გზაზე, ექსპრესის ყველა ფანჯრიდან ცნობის-მოყვარენი გამოჰყოფენ თავს და ვაგონიდან ვაგონში მგზავრების ძახილი გაისმის:

— ესეც ტარასკონი! გავბედოთ ერთი, როგორია!

ამავე დროს მათ თვალწინ სულ მალად ჩვეულებრივი ხედი იშლება: პატარა ქალაქი, მყუდრო და სუფთა, კოშკები, სახურავები, ხიდი — რონაზე გადებული. მაგრამ სხვა რამის დანახვას ლამობენ მგზავრები და სახელიც მიუ აქვს ამ მხარეს მოხვეცილი. ეს არის უპირველესად ტარასკონული - მზე, თავისი სასწაულმოქმედი მირაჟით, რაც ამოდენ მოულოდნელ, მოჩვენებით, შეუსაბამო სასაცილო რამეებს წარმოშობს, და მერე კი, მუხუდოს მარცვლის ოდენა პატარა ხალხი, მთელი სამხრეთ საფრანგეთის ინსტინქტების გამოქსახველი, ხალხი ცოცხალი, მოძრავი, ყბედი, ყველაფრის გამზვიადებელი, სასაცილო, ლაზღანდარა, შთაბეჭდილოვანი.

ტარასკონის მეისტორიე მატთანის ღირსსახსოვარ ფურცლებზე, (თავისი ნაშრომის მეტის გარკვეულობით დასახელებას ვერ ახერხებს იგი თავმდაბლობისა გამო) შეეცადა ოდესღაც დაეხატა ბედნიერი დღენი პატარა ქალაქისა, კლუბში ერთგულად მოპიარულე მისა მცხოვრებლებისა, რომანსებს რომ გაიმღეროდნენ — ყველა თავ-თავისას — და, ნადირი რომ არსად იყო, რაღაც საცინელ ქუდზე ნადირობას მართავდნენ. მერე ომი რომ დაიწყო და დადგა შავბნელი დროება, უნდა გენახათ ტარასკონი, მისი გმირული თავდაცვა: დანადგმეს მთელი ესპლანადა, კლუბსა და თეატრის კაფეს ვერ მიუდგებოდა კაცი, მცხოვრებნი მოხალისეთა რაზმებში ვაერთიანდნენ, ტანსაცმელზე ყაითანდავლებით რაღაც გადაჭვარდინებული ძვლებისა და თავის ქალის გამოსახულებანი დაიბნიეს, მოუშვეს წვერი და ისე ჩასხდნენ იარაღში — ჩუვლუგ-მახვილ-ამერიკულ რევოლვერებში, რომ საცოდავები შიშით ერთი მეორესთან ახლოს მისვლას ვერა ბედავდნენ ქუჩაში.

მრავალმა წელმა განვლო ომის შემდეგ, მრავალი კალენდარი ცეცხლს იქნა მიცემული, მაგრამ ტარასკონს არაფერი დავიწყებია; მან უარი თქვა უწინდელ ფუჰ დროსტარებაზე და იმის ფიქრშიდა იყო, როგორმე აევესო ჯანი სისხლითა და ღონით და მომავალი შუ-რისგებისათვის მომზადებულიყო. სასროლი და ტანსავეარჯიშო საზო-გადოებანი, რომელთაც თავ-თავიანთი გამორჩეული ჩაცმულობა, აღქურვილობა, ორკესტრი და ალაში ჰქონდათ, ფარიკაობა, კრივი, ჯოხ-ვარჯიში, ფეხ-ბრძოლა, შეჯიბრება სირბილში, ჭიდაობა, რომელ-საც კარგი წრის ხალხიც არა თაკილობდა, — ყოველივე ეს შეენაც-ვლა ქუდზე ნადირობასა და პლატონურ საუბრებს ნადირობაზე მე-იარაღე კოსტიკალდთან.

და ბოლოს კლუბმა, თვით ამ ძველმა კლუბმა, ხელი აიღო ბუი-ოტსა და ბეზიგზე¹ და გარდაიქმნა ალბინელთა კლუბად, ლონდონის ელჰაინ-კლუბის ყაიდაზე, რომლის მთამსვლელთა სახელიც შორს, ინდოეთშიაც კი არის გავარდნილი. მარტო ერთი რამ განასხვავებს ამ ორ კლუბს: ტარასკონელები ნაცვლად იმისა, რომ შორს იტოვებ-დნენ თავის სამშობლო მხარეს და უცხო მწვერვალთა დასაპყრობად მიილტვოდნენ, არხეინად კმაყოფილდებიან იმით, რაზედაც ხელი, უკეთ, ფეხი მიუწვდებათ იქვე, ქალაქის მისასვლელთან.

ალბები ტარასკონში?.. არა, რის ალბები! მაგრამ სამაგიეროდ იქ არის ალბინები, მომცრო მთათა ჯაჭვი, ქიმიანისა და სუმბულის სურ-ნელების მომფენი, არც მეტად ციცაბონი, არცთუ მეტად მაღალნი (სულ 150—200 მეტრი ზღვის დონიდან), ცისფერ ტალღებად რომ ეფინებიან პროვანსის გზების დასალიერს და ადგილობრივ მცხოვ-რებთ საარაკო, თანაც მეტყველი სახელებით შეუშკიათ: ს ა ზ ა რ ე-ლი მ თ ა, ქ ე ვ ყ ნ ი ე რ ე ბ ი ს ბ ო ლ ო, გ ო ლ ი ა თ თ ა წ ვ ე-რო და ასე შემდეგ.

სამო სანახავია, კვირა დილაობით ტარასკონელები მესაყვირე-ებს წინ რომ გაიძლოლებენ და გეტრებით მოსილნი, ალბენშტოკე-ბით ხელში, ზურგზე მოგდებული ჩანთებითა და კარვებით მთაზე ასასვლელად გასწევენ; ამის შესახებ კი „ფორუმი“, ადგილობრივი გაზეთი, მათათვის ანგარიშს საუცხოო აღწერილობით და შიგ ჩააქ-სოვს მსგავს გამოთქმებს: უფსკრულები, იწროები, შიშისმგვრელი

¹ ბუიოტი, ბეზიგი — ბანქოს თამაშია.

კლდეკარები, თითქოსდა ჰიმალაის დაპყრობაზე ყოფილიყოს ლაპა-რაკი. თავადაც ცხადია, ამ გასართობების წყალობით ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ახალი ძალი და ღონე შეიმატეს, ის „ორკეცი კუნ-თები“ დაისხეს, უწინ რომ ერთადერთი ტარტარენის, კეთილი, უში-შარი, გმირ-ვაჟკაც ტარტარენის უპირატესობას შეადგენდა.

თუ ტარასკონი განსახიერებაა სამხრეთისა, მაშინ ტარტარენი ტარასკონის განსახიერება განსაზღვრავს. განა ის მართო პირველი კაცია ტარასკონისა? არა, იგი სულია მისი, გენიაა მისი და ხორცშესხმული ყველა მისი შლეგობა. ვინ არის, რომ არ იცოდეს ტარტარენის წარ-სული საგმირო საქმენი, ვის არ ახსოვს მისი სამომღერლო გამარჯვე-ბანი (დაუფიწყარი ღუეტი „რობერტ ქაჯიდან“, ბეზიუკეს აფთიაქში ნამღერი) და საკვირველი ოდისეა ლომებზე მისი ნადირო-ბისა ალყირში, მაშინ ალყირიდან მშვენიერი აქლემი ჩამოიყვანა, რომელმაც შემდგომ სული განუტევა, წელთა სიმრავლითა და პატი-ვით დამძიმებულმა, ხოლო იმისი ჩონჩხი ტარასკონულ ღირსშესა-ნიშნაობათა შორის ინახება ქალაქის მუზეუმში.

მაგრამ თვითონ ტარტარენი არ მოტეხილა: კვლავ საუკეთესო კბილები და მახვილი თვალი აქვს ორმოცდაათს მიტანებულ კაცს და ის არაჩვეულებრივი წარმოსახვის უნარიც, ტელესკოპივით რომ ადიდებს და აახლოებს საგნებს. ის ახლაც ისეთივეა, როგორც მაშინ იყო, მამაცი მეთაური ბრავიდა რომ იტყოდა ხოლმე: „ძან, ძან ბიჭი არისო!..“

მაგრამ ბიჭობაც არის და ბიჭობაც! ტარტარენის ბუნება, რო-გორც ყოველი სხვა ტარასკონელისა, ლამაზად ითავსებდა ორ სხვა-დასხვა მკვეთრად გამოსახულ ჯიშს: პალაურში გაზრდილი შინაური კურდღლისას და კომბოსტოს შინაური კურდღლისას. პალაურის კურდღელი დაუდგარია, გულადი, თავზნებლადებული. კომბოსტოს კურდღელი შინმჯღომია, სამკურნალო ნახარშების მოყვარული და საშინლად გაუზრბის დადლილობას, ორპირ ქარს, შემთხვევით ამბებს, რამაც შეიძლება სიცოცხლე მოუსწრაფოს.

ცნობილია რომ ამ კეთილგონიერებას ხელი არ შეუშლია ტარტა-რენისათვის, სადაც საჭირო იყო, მამაცობა და გმირობაც კი გამო-ეჩინა. მაგრამ არ იკითხავთ ახლა: რა ესაქმებოდა რიგზე (Regina montium-ზე) ამ ხნის კაცს, მერე ისიც იმის შემდეგ, რაც ასე ძვი-რად დაუჯდა უფლება მოსვენებისა და განცხრომისა?

ამაზე პასუხის გაცემა ერთადერთ მუხანათ კოსტეკალდს შეეძლო.

კოსტეკალდი, ხელობით მეიარაღე, ცოტა არ იყოს, იშვიათ ტიპს წარმოადგენს ტარასკონში. შური, მდებალი, საზიზღარი შური აჩნევია როგორღაც ბოროტად ჩაეცილ მის თხელ ტუჩებს. ეს შური თითქოს ბოლქვა-ბოლქვად ამოსდის ღვიძლიდან და ყვითელ ბოლში გამოჰყავს მისი გაპარსული, სწორნაკვებებიანი ფართო სახე, ალაგ-ალაგ შეთვლილი, თითქოს ზედ ჩაქუჩი ურტყამთო, სახე, მსგავსი ძველებურ მედალზე აღბეჭდილი კარაკალას და ტიბერიუსის გამოსახულებისა. შური რაღაც ავადმყოფობაა მისი, რის დამალვასაც არც კი ცდილობს და ზღვარგადასული ტემპერამენტი აოაერთხელ ათქმევინებს ხოლმე ლაპარაკში თავის სენზე:

— თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა სატანჯველია ეს...

ტარტარენი იყო, რაღა თქმა უნდა, ის, ვინც კოსტეკალდს ამ სატანჯველს უჩენდა. ამდენი პატივი და დიდება ერთ ადამიანს?! ყველგან და ყოველთვის იგი! და ნელ-ნელა, ფარულად, ისე ვითოქროფერილ კერპში შემძვრალი პრასიკურო, ოცი წელიწადი კოსტეკალდი შიგნიდან ხრავს ამ დიდებულ სახელს, ფუღრავს და ძირს უთხრის მას. საღამოობით კლუბში, როდესაც ტარტარენი უამბობდა დამსწრეთ ლომებზე ნადირობაზე, თუ როგორ ქსელავდა თვალუწვდომ საპარას, კოსტეკალდი ჩუმ-ჩუმად ჩაიღიმებდა ხოლმე და უნდობლად აქნევდა თავს.

— მერე ტყავები რომ დაგავიწყდათ, კოსტეკალდ ჩვენო... აქი გომოგვიგზავნა ლომის ტყავები და ახლაც კიდია კლუბის დარბაზში!..

— ძალიან არ გაკვირვებით?!.. ცოტა ქურქია ალჟირში თუ?..

— მოიცათ ერთი და! ნატყვიარები, მრგვალი ნაჩვრეტები თავებში, ეგეც არაფერია?

— დიდი რამე! ქუღზე ნადირობის დროს არ იყო, რომ უხეირო მსროლელები ყიდულობდნენ ხოლმე ჩვენს ჰონებთან საფანტით დახვრეტილ, დაკუწულ ქუღებს?

ცხადია, ტარტარენის ძველ დიდებულ სახელს მხეცთა მომსრველისას, ვერას დააკლებდა მსგავსი დაგესვლა-კბენანი; მაგრამ ვაი რომ, როგორც მთამსვლელი, გასაჭირდავ მასალას უხვად იძლეოდა. კოსტეკალდმაც თავი იპოვა, ცოფებსა ყრიდა, რომ ალბინელთა კლუბის თავმჯდომარედ ამოირჩიეს კაცი, ასაკით აშკარად „დამძიმებუ-

ლი“, თანაც ალყირში ფლოსტებითა და შილიფად სიარულს ჩვეუ-
ლი, რაც უმეტესად აზარმაცებს ადამიანს.

მართლაცდა, იშვიათად მიუღია ტარტარენს მონაწილეობა მთაზე
ასვლაში; იმით კმაყოფილდებოდა, რომ წამსვლელებს გზას ულოცავ-
და ხოლმე და მერე სახეივო სხდომებზე თვალების ბრიალითა
და ისეთის გამოთქმით, რომ ქალებს ფერი მისდიოდათ, კითხულობ-
და შემადრწუნებელ ანჯარის ექსპედიციებისას.

კოსტეკალი კი, პირიქით, მკლე, ლაკარტანა, „მამლის ფეხი“,
როგორც ყველანი ეძახდნენ, მუდამ პირველი ძვრებოდა ყველვან;
აღპინების ერთი მთაც არ დაუტოვებია, რომ ზედ არ აბლოტილიყო,
და მიუვალ მწვერვალებზე დაასო კლუბის ალამი, რაზეც ტარას-
კი ჰყავდათ გამოსახული ვერცხლის ვარსკვლავებიან მიწაზე. ასეა
თუ ისე, ის შიანც ვიცე-პრეზიდენტი იყო მხოლოდ, ვ. პ. ა. კ. მაგ-
რამ ისე მარჯვობდა და ისე შეუყენა წყალი ჩვენს გმირს, რომ შო-
მავალ არჩევნებზე ტარტარენს, ეპვი არ არის, უკან დარჩებოდა თა-
ვისი საპატიო ადგილი.

ერთგულმა მეგობრებმა — მეაფთიაქე ბეზოუკემ, ექსკურბანი-
ესმა და მამაცმა მეთაურმა ბრავიდამ — გააფრთხილეს სახელოვანი
კაცი. საძაგლად აემღერა ტარტარენს გული და ის აღმფოთება იგრ-
ძნო, რომელსაც კეთილშობილ ადამიანებში უმადურობა და უსა-
მართლობა ბადებს. მზად იყო მიეგდო ყველაფრისათვის ქვა და მშო-
ბელი მხარე მიეტოვებინა, ხიღს გაღმა — ბოკერში, ვოლსკებთან¹
დასახლებულიყო, მაგრამ მერე გული დაიმშვიდა, დაწყნარდა.

მიატოვოს თავისი პატარა სახლი, ბაღი, გამოეთხოვოს საყვარელ
ჩვეულებებს, უარი თქვას პრეზიდენტის საჯარძელზე თავისივე და-
არსებული ალპინელთა კლუბისა, დასთმოს პ. ა. კ., ასე რომ ამკობ-
და და გამოარჩევდა მის სადარბაზო ბარათებს, წერილებისათვის
განკუთვნილ ქაღალდებსა და ქუდის სარჩულსაც კი? არა, ამას ვერ
იზამს, ვერა და ვერა! და უეცრად შესანიშნავი რამ აზრი მოუვიდა.

ნამდვილად რომა ვთქვათ, კოსტეკალდის დიდი გმირობა ალპი-
ნებზე გასეირნებანი იყო, სხვა ხომ მეტი არაფერი. რატომ არ უნდა

¹ იგულისხმება მთავარსარდალი კორიოლანი, რომელიც ძველისძველი რომა-
ული ლეგენდების მიხედვით გადავიდა მშობელი ქალაქიდან მოქიშპე ტომთან —
ვოლსკებთან. კორიოლანის წინამძღოლობით ვოლსკებმა ალყა შემოარტყეს რომს.
დედის თხოვნით კორიოლანმა ალყა მოხსნა.

სცადოს ტარტარენმა და არჩევნებამდე დარჩენილ სამ თვეში გრანდიოზული რამ არ წამოიწყოს? აღმართოს, მაგალითად, კლუბის ალაში ევროპის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალზე — იუნგფრაუზე ან მონბლანზე?

რა ზარ-ზეიმი ელის დაბრუნებულს, რა თავში ჩაფარება იქნება კოსტეკალდისათვის, როცა „ფორუმი“ დაბეჭდავს ამ მთაზე ასვლის ამბავს. გაბედოს მერე და პრეზიდენტის სავარძელს შეეცილოს!

ტარტარენი მაშინვე საქმეს შეუდგა, პარიზიდან ფარულად გამოიწერა უამრავი სპეციალური ნაშრომი: „მთაზე ასვლანი“ ვიმპერიისა, „მყინვარები“ ტინდალისა, „მონბლანი“ სტეფან დ'არვისა, უწყებანი მთასვლელთა ინგლისური და შვეიცარიული კლუბისა და თავი გამოიტენა აუარება მთასვლური გამოთქმით, როგორცაა: დარანები, კულუარები, ფირნები, მორენები, ზვავები, ნაპრალები, რომელთა მნიშვნელობა კარგად არც კი ესმოდა.

ღამე საშინელ სიზმრებსა ხედავდა: ხან ვითომ დაუსრულებლად მისრიალებდა ყინულზე, ხანაც უეცრად მოსწყდებოდა და გადაექანებოდა უძირო ნაპრალებში, ხან კიდევ ზვავით გატაცებული ყინულოვან თხემზე წამოეგებოდა... და მერე დიდხანს, როცა გაიღვიძებდა ხოლმე და, როგორცა სჩვეოდა, დილით შოკოლადს ლოგინში მიირთმევდა, გულზე რალაც მიიმე აწვა და ღამის მახალაჯუნა კვლავ ისევ სულს უზუთავდა. ეს ხელს მაინც არ უშლიდა და, როცა აღგებოდა ხოლმე ლოგინიდან, მთელ დილას გულმოდგინე წვრთნავარჯიშს ანდომებდა.

ტარასკონს ირგვლივ ბულვარი უვლის, ადგილობრივ მცხოვრებთაგან „ქალაქის წრედ“ წოდებული. ყოველ კვირა დღეს, ნაშუადღევს, ტარასკონელები, ნირშეუცვლელი ზალხი, თუმცაღა ცხოველი წარმოსახვის უნარის მქონენი, ამ წრეს შემოუვლიან ხოლმე, თანაც მუდამ ერთი მიმართულებით. ტარტარენმა გაივარჯიშა და რვაჯერ თუ ათჯერ შემოივლიდა ხოლმე ამ წრეს დილაობით, ხშირად უკანაც გაუყვებოდა. ხელები ზურგზე ეწყო და მიდიოდა მტკიცე, აუჩქარებელი, სწორედ ნამდვილი „მთის ნაბიჯით“. მედუქნეები, ადგილობრივ ჩვეულებათა წესის დარღვევით შეცბუნებულები, საგონებელში იყვნენ და ვერას მიმხვდარიყვნენ.

შინ, თავის ეგზოტიკურ პატარა ბაღში, ტარტარენი სწავლობდა, ეჩვეოდა ნაპრალების გადალახვას; აუზზე ხტებოდა, სადაც წყალმცე-

ნარეთა შორის ქანარი დაცურავდა. ორჯერ ჩავარდა კიდევაც წყალში და იძულებული გახდა ტანისამოსი გამოეცვალა. მაგრამ ასეთი მარცხი უფროც აგულთანებდა. თავბრუსხვევა იცოდა ზოგჯერ და როცა ქვის აუზის ვიწრო კიდზე გაივლ-გამოივლიდა ხოლმე, დიდ შიშსა ჰგვრიდა მოხუც მოახლეთ დედაკაცს, რომელსაც ვერა გაეგო რა ამ ოინბაზობისა.

იმავ ხანში ტარტარენმა ერთ კარგ ავინიონელ ზეინკალს შეუკვეთა წრიაპები ფეხსაცმლისათვის, ვიმპერის სისტემისა და წერაყინი კენედის სისტემისა; დაიშადა გაზის მილიანი ნათურა, ორი ულტობი საბანი და ორჯი ფუტი თოკი, საკუთრივ თავის გამოჯონილი, მავთულით დაწული.

შეკვეთილ საგანთა მიღებამ და საიდუმლო წასვლა-წამოსვლამ, რაც ამ ნივთების დაკვეთა-დამზადებას დასჭირდა, დიდი ცნობისმოყვარეობა აღუძრეს გულში ტარასკონელებს. ქალაქში ასე ამბობდნენ: პრეზიდენტს რაღაც აქვს გუნებაშიო. მაგრამ ნიშანდობლივ მაინც რა? ეს არ იცოდნენ. ექვი არ იყო, რაღაც მეტად დიდი რამ ჰქონდა განზრახული, რადგან ჰქუის სწავლებას მოყვარული მამაც მეთაურ ბრავიდას ფართოსანი სიტყვისა არ იყოს, — იმ ბრავიდასი, მუდამ რომ ანდაზა-თქმებით იცოდა ლაპარაკი, — „არწივი ბუზზე არა ნადირობს“.

ტარტარენი ყველაზე ახლო მეგობრებსაც კი საიდუმლოს არ უმელავნებდა. მხოლოდ კლუბის სხდომებზე ემჩნეოდა, როგორ უკანკალებდა ხმა და როგორ ეღვასავით ენთებოდა თვალები, როცა კოსტეკალდს მიმართავდა ხოლმე. ეს კაცი მიაჩნდა როგორღაც ახალი ექსპედიციის მიზეზად, რომლის საშიშროება-სიძნელენი მას აქეთ უფრო გამოიკვეთნენ, რაც უფრო მოახლოვდა გამგზავრების დრო. ბეჩავი თავს არ იტყუებდა, — პირიქით, ისე შავბნელი ეჩვენებოდა ყველაფერი. რომ აუცილებლად სცნო, წესრიგში მოეყვანა თავისი საქმეები და ანდერძის წერილი დაეწერა. უკანასკნელი სურვილის გამოთქმა ძალიან უმძიმთ სიცოცხლისმოყვარულ ტარასკონელებს და თითქმის რომ ყველანი უანდერძნამავოდ კვდებიან.

და აი, წარმოიდგინეთ იენისის სხივისკროვანი დღე, მოკრიალუბული თვალწარმტაცი კამარა ცისა, ღია კარი კაბინეტისა, პატარა, კარგად მოვლილ ბაღში გამავალი, ბაღში საღაც ეგზოტიკურ მცენარეებს უძრავი იასამნისფერი ჩრდილები გამოუხაკვთავთ მიწაზე,

ხოლო შადრევნის ურიოშო ხმას წკრიალი გააქვს ასკინკილით მო-
თამაშე პატარა სავოიელების ჟივილ-ხივილში, და, ბოლოს, თვით
ტარტარენი დაიხატეთ გუნებაში, ფლოსტებით, თივთიკის ხალვათი
ტანსაცმლით მოსილი, გულსავსე, ბედნიერი, საყვარელი ჩიბუხით
პირში, ტარტარენი, რომელიცა წერს და ხმამაღლა კითხულობს
დაწერილს:

„ასეთია ჩემი ანდერძი“;

რაც გინდა თქვით და, რა მაგარი გულის პატრონიც უნდა იყოთ
და რა ყოჩაღადაც უნდა გექიროთ თავი, მძიმეა მაინც მეტისმეტად
ეს წუთები. მაგრამ ტარტარენს არც ხელი, არც ხმა არ შესტოკებია,
სანამ თავის პატარა სახლში თავმოყრილ ეთნოგრაფიულ განძეულს
ანაწილებდა თანამემამულეთა შორის, იმ განძეულს, ასეთის მზრუნ-
ველობით რომ ჰქონდა მოვლილ-დაკრიალებული და სამაგალითო
წესრიგით შენახული.

„ალბინელთა კლუბს — ბაობაბი (arbo s gigante a); დაე,
ბუხრის თავზე იყოს დაბრძანებული სხდომათა დარბაზში;

ბრავიდას — ერთიანად ყველა შაშხანა, რევოლვერი, სანადირო
დანები, მალაიური კრისები, ტომაგაკები და სიცოცხლის მომსპობი
სხვა იარაღი.

ექსკურბანის — ყალიონები, ინდიური ჩიბუხები, ნარგილე,
პაშიოსისა და ოპიუმის მოსაწევი პატარა ჩიბუხები.

კოსტეკალდს — დიახ, არც კოსტეკალდი გამოსწირა! — სახელ-
განთქმული მოწამლული ისრები („ხელი არ ახლოთ!“).

ეგებ, ამ საბოძვარის გაღებისას ფარული იმედიც უღვიოდა
გულში — მოღალატე ისარს წამოეგება და მოკვდებაო; თუმცა
ანდერძის წერილი ამის მსგავსს არაფერს ამხელდა და ღვთიური
სიქველის ამ სიტყვებით მთავრდებოდა:

„ვთხოვ ჩემს ძვირფას ალბინელებს, ნუ დაივიწყებენ თავიანთ
პრეზიდენტს. მინდა იმათ ისევე შეუნდონ ჩემს მტერს, როგორც მე
შევუნდე, თუმცა ის არის ერთადერთი მიზეზი ჩემი სიკვდილისა...“

აქ ტარტარენი უნებურად გაჩერდა, ღვარად მომსკდარმა ცრემ-
ლმა თვალი დაუბინდა. წარმოუდგა, როგორა წვეს მაღალი მთის ძი-
რას, დამტვრეული, ლუკმა-ლუკმად ქცეული და აი, ურიკაზე დებენ,
ტარასკონს ამგზავრებენ მისი დასახიჩრებული სხეულის ნაწილებს.
ჰოი, ძალავ ტარასკონული წარმოსახვისავე! საკუთარ დაკრძალვას

ესწრებოდა, ესმოდა მწუხარე გალობა, საფლავზე წარმოთქმული სიტყვები: „საბრალო ტარტარენი, Pèchère!..“ და, მეგობართა გროვაში გარეული, იგი თავის თავს დასტიროდა.

მაგრამ, შეხედა თუ არა მზით გაკაშკაშებულ თავის კაბინეტს, საღაც იარაღსა და გამწკრივებულ ჩიბუხებს ბზინვა გაუდიოდათ, და მოესმა სიმღერა წყლის შეფისა, ბალიდან მონადენი, უმაღლვე სინამდვილეს დაუბრუნდა. რა საქირთა მართლაც სიკვდილი? თუნდაც გამგზავრება? ვინ აიძულებს? რა სულელური თავმოყვარობაა! გასწიროს სიცოცხლე პრეზიდენტის აავარძლისათვის და რაღაცა სამი ასოს გულისათვის!..

მაგრამ ესეც სისუსტე იყო და კვლავ წამიერი. ხუთი წუთიც არ გასულა, რომ ანდერძი დათავებული, ხელმოწერილი იყო, უშველებელი შავი ბეჭედი ჰქონდა დასმული, და დიდი კაციც გამგზავრების უკანასკნელ სანჯადისს შეუდგა.

პალატის ტარტარენმა კვლავ აჯობა კომბოსტოს ტარტარენს. ტარასკონელ გმირზე იგივე ითქმოდა, რაც თავის დროზე ტიურენზე¹ ითქვა: „მისი სხეული ბრძოლაში წასასვლელად არ იყო მზად, მაგრამ სულს თვითონ მიჰყავდა, დაუკითხავად“.

იმავე საღამოს, როცა ქალაქის თვითმმართველობის შენობის თავზე ათი საათი დარეკა, ქუჩები დაცარიელდა და თითქოს კიდევაც გაფართოვდაო, მხოლოდ აქა-იქ ნაგვიანევი კაკუნი ისმოდა კარის ჩაქუჩისა და სიბნელეში ერთმანეთს გასძახოდნენ შიშით ხმადაბოხებული ადამიანები: „ღამე მშვიდობისა, ჰე...“, რასაც კარის მიჯახუნება მოსდევდა, ვილაც მიიპარებოდა ქალაქში, სახლების წინამოს მარტო ქუჩის ფარნები ანათებდა, ხოლო მცირე მოედანს შუქსა ჰტენდნენ მწვანედ თუ წითლად შეფერადებული მინის სფეროები ბეზიუკეს აფთიაქისა. ფანჯარაში თვით მეაფთიაქის სილუეტი მოჩანდა; თავის მაღალ საწერ მაგიდას მისჯდომოდა და სარეცეპტო წიგნზე ჩასძინებოდა. ამ მცირეოდენ „ბეს“ ის ყოველ საღამოს იღებდა, ცხრიდან ათ საათამდე. რათა, როგორც ამბობდა. უფრო მხნედ ყოფილიყო, თუ ღამე იმისი სამსახურე ვისმე დასჭირებოდა. ჩვენ შორის იყოს და, ეს პირწმინდა ტარასკონადა იყო, რადგან

¹ ტიურენი, ანრი დე ლატურ დ'ოვერნი (1611—1675) გამოჩენილი ფრანგი სარდალი.

როდის ვინ აღვიძებდა დალოცვილს! და უფრო მშვიდად რომ სძინებოდა, თვითონვე მოაჭრა თოკი ზარს.

უეცრად აფთიაქში ტარტარენი შემოვიდა, საბნებით დატვირთული და სამგზავრო ჩანთით ხელში. სახე ისე ფერწასული და მოშლილ-მორღვეული ჰქონდა, მეაფთიაქეს სულ ელეთმეღეთი მოუვიდა; ტარასკონულმა მგზნებარე ფანტაზიამ, რისგანაც ვერც თავისმა ხელობამ დაიფარა, მაშინვე რალაც საზარელი რამ წარმოუდგინა.

— ბედშავო!.. რა დაგემართათ?.. მოწამლული ხომ არა ხართ?.. ჩქარა იბეკო!

და გაექანა, დაფაცურდა, თან თავისი სინჯარები აქეთ-იქით მიყარ-მოყარა. ბეზიუკე რომ შეეჩერებინა, ტარტარენი იპულებული გახდა იგი მკლავებში მოექცია, შეებოჭა.

— ყური მიგდეთ, რა ეშმაკი მოგივიდათ!..

ხმაზე დაეტყო, გული დასწყდა, ვითარცა მსახიობს, რომელსაც გამოსვლა გაუცუდეს. ტარტარენს თავისი რკინის ხელით დახლთან გაეშეშებინა მეაფთიაქე და დაბალის ხმით ეკითხებოდა:

— მარტონი ვართ, ბეზიუკე?

— მაშ რა!.. — უპასუხა მეაფთიაქემ და გაურკვეველის შიშით შეპყრობილმა იქაურობას მიაღვლ-მოაღვლო თვალი. — პასკალონს სძინავს (პასკალონი მოწაფე იყო მისი), დედაჩემსაც. რა მოხდა?

— მიხურეთ დარაბები, — უბრძანა ტარტარენმა და შეკითხვაზე პასუხი არ გასცა. — ქუჩიდან არავინ დაგვინახოს!

აცანცანებული ბეზიუკე უმალ დაემორჩილა. ამ უცოლოდ დაბერებულმა კაცმა დედის გვერდით გაატარა წუთისოფელი და არასოდეს მოსცილებოდა მას. მშვიდი, უწყინარი და ქალიშვილივით მორცხვი იყო, რაც საკვირველად არ ეხამებოდა მის გარუჯულ სახის ფერს, სქელ ტუჩებს, ღიღ, კაუჭა ცხვირს — გაბარჯულ უღვაშზე გადმომჭდარს და, საზოგადოდ, მის შესახედობას ალჟირელი მეკობრისას, იმდროინდელისას, როცა ალჟირი ჯერ დაპყრობილი არ იყო. მსგავსი შეუსაბამობანი ხშირად შეგხვდებათ ტარასკონში, სადაც სახეებს მკვეთრი დამახასიათებელი ნაკვთები შეუნარჩუნებიათ ძველი რომაელებისა თუ სარკინოზებისა, სურათზე დახატულებსა რომ ჰგვანან; ამავე დროს კი მათი პატრონები მარტივ ხელობას ეწყობიან და პატარა ქალაქის მიყუჩებული ცხოვრების ნირს მიჰყვებიან.

ასე, მაგალითად, ექსკურბანისი, კონკისტადორის შესახებ დაობის
კაცი, პისაროს¹ თანამოსაგრე, გალანტერიული საქონლითა ვაჭ-
რობს და ორი სუს საღირალი ძაფის გასასაღებლად ცეცხლოვან
თვალეებს აბრიალებს, ხოლო ბეზიუკე, ეტიკეტებს რომ აკრავს ძირ-
ტებილას და *sirupus gummi*-ს² შუშებს, ზღვის ყაჩაღს წა-
აგავს ბერბერიის ნაპირებისას.

დაიხურა თუ არა დარაბები, რკინის ქანჭიკებით დამაგრდა და
ურდულით გადაიარაზა თუ არა, ტარტარემძა, უბრალოდ სახელებით
მიმართვის მოყვარულმა, ასე დაიწყო:

— ყური მიგდეთ, ფერდინანდ...

და გული გადაუშალა, მეაფთიაქეს გაუხსნა, გადმოანთხია შწარედ
ჩაბუდებული ნალველი და წყრომა თავის თანამემამულეთა უმადუ-
რობაზე, უამბო „მამლის ფეხის“ საძაგელი ხრიკები, იმ ოინზედაც
უთხრა, მომავალ არჩევნებზე რომ უმზადებდა მეტოქე; ბოლოს ისიც
გაუშხილა, თვითონ როგორ აპირებდა დარტყმის მოგერიებას.

პირველ ყოვლისა, საიდუმლო მტკიცედ უნდა იქნეს დაცული და
გამქდავნდეს მხოლოდ საქირო დროს, როცა ამაზე იქნება დამოკი-
დებული საქმის წარმატება, თუმცადა, ამასაც შეიძლება ხელი შე-
უშალოს რამე შემთხვევამ ანდა საშინელმა კატასტროფამო...

— ეშმაკსაც წაუღიხართ, ბეზიუკე, ნუ უსტვენთ, როდესაც გე-
ლაპარაკებიან!

სტვენა ჩვეულებადა ჰქონდა მეაფთიაქეს. ბუნებით სიტყვაძუნწი
იყო, რაც დიდ იშვიათობას წარმოადგენს ტარასკონში და რითაც
სწორედ პრეზიდენტის ნდობა დაიმსახურა, მაგრამ სქელი ტუჩები
მუდამ წინ ჰქონდა წამოწეული და ერთთავად სულ სასტვენად გამ-
ზადებული, თითქოს ქვეყანაზე სუყველას პირში დასციინისო, მეტად
მნიშვნელოვანი საუბრის დროსაც კი.

და აი ახლაც, როცა ჩვენი გმირი თავის მოსალოდნელ სიკვდილის
შესახებ ლაპარაკობდა მოიარებით და დაზღზე დაბეჭდილ ფართო
პაკეტსა დებდა, თანაც დასძენდა: აი აქ არის ჩემი ანდერძი, ბეზი-

¹ პისარო, ფრანცისკო — ესპანელი კონკისტადორი; დაიპყრო პერუ XVI საუკუნეში.

² გუმფისის სიროფი (ლათ.).

უკე, — თქვენა გნიშნავთ ჩემი ანდერძის აღმასრულებლადო, — მეაფთიაქე, თავისი უცნაური ჩვეულებით შეპყრობილი, სტვენას არ იშლიდა: ფიუ, ფიუ, ფიუ; თუმცა გულის სიღრმეში ძალიან იყო აღლეებული და ესმოდა თავისი როლის სიდიადე.

მერე, რაკი გამგზავრების დრო მოახლოვდა, ბეზიუქემ ინდომა წამოწყებული საქმისა დაელიათ „რამე პირის ჩასაგემრიელებელი ჰე?.. თითო ჭიქა გარიუსის ელექსირი“. რამდენიმე კარადა გაალო, გადაჩხრიკა და მოაგონდა, რომ იმ კარადის გასაღებები, სადაც გარიუსი ინახებოდა, დედასა ჰქონდა. თუ მოხუცს გააღვიძებდა, ისიც უნდა გაემხილა, ვინ იყო მოსული. ელექსირი შეიცვალა კალაბრის სიროფით, თვით ბეზიუქეს გამოგონილი, უბრალო და უვნებელი ზაფხულის სასმელით, რომელზედაც „ფორუმში“ ასეთ განცხადებას აძლევდა: „კალაბრის სიროფი, ათი სუ, ჰურჭლიანად!“ „მკვდრის სიროფი, ათი სუ ჰიეზიანად“, ასხვაფერებდა ეშმაკის კერძი კოსტეკალდი, რომელსაც სხვისი სიკეთე-წარმატების გაბიბრუება უყვარდა. თუმცადა ამ საძაგელი სიტყვათა თამაშით უფროც შეუწყო ხელი სიროფის გაყიდვა-გავრცელების საქმეს: ტარასკონელები პირდაპირ ჰქუასა კარგავდნენ ამ „მკვდრის სიროფისათვის“.

მეგობრულად რომ გადაკრეს. ორიოდ სიტყვაცა თქვეს საბოლოოდ და ერთმანეთს გადაეხვივნენ; ბეზიუქე უღვაშებში უსტვენდა, ზედაც დიდრონი ცრემლი დასდიოდა.

— მშვიდობით, მეინც! — უეცრად წაიბურღლუნა ტარტარენმა, რაკი იგრძნო, საცაა თვითონაც ატირდებოდა. რადგან კარის საჩეხი დაშვებული იყო, ჩვენს გმირს ბორღღვით მოუხდა აფთიაქიდან გასვლა.

ეს მისი სამგზავრო განსაცდელთა დასაწყისი გახლდათ.

სამი დღის შემდეგ მატარებლიდან ვიცნაუში, რიგის მთის ძირას ჩამოხდა. პირველ საიერიშო მთად და საწვრთნელად მცირე სიმალლის გამო, რიგი ამოიჩინა (1800 მეტრი, დაახლოებით ათჯერ უფრო მაღალი, ვიდრე საზარელი მთა — უმალესი მთა ალპინებში) და კიდევ იმიტომ, რომ იმისი მწვერვალიდან მშვენიერი სანახაობა იშლებოდა; აქედან მთელი ბერნის ალპები მოჩანდა, თეთრად და ვარდისფრად ჩამწყრივებული, ისინი ტბებს გარს შემოსდგომოდნენ და თითქოს ელოდნენ, როდის შეხვდებოდათ მთამს-

ვლელის არჩევანი და იმისი წერაყინი რომელიმე მათგანს როდის დაესობოდა.

ტარტარენი დარწმუნებული იყო, გზაში მიცნობენ და, ვინ იცის, იქნებ კიდევაც მითვალთვალეზენო. მას მიამიტად სჯეროდა, რომ მთელს საფრანგეთში ისევე სახელგანთქმული იყო და ყველასათვის ცნობილი, როგორც ტარასკონში. ამიტომ შვეიცარიაში მისასვლელად ძალიან შორი გზა აირჩია და სსოლოდ მაშინ აღიკაზმა, საზღვარს რომ გასცდა. კარგიცა ქნა, თორემ მთელი აღქურვილობა თავის დღეში ვერ დაეტეოდა ფრანგულ ვაკონში.

მართლაც, შვეიცარიული კუბეები საგანგებოდ მოხერხებულ-მოწყობილი გახლავთ, მაგრამ ჩვენს ჯერ კიდევ შეუჩვეველს მთამ-სვლელს ფეხებში ებლანდებოდა თავისი აღქურვილობა. ხან ალპენ-შტოკს დაჰქერდა მგზავრებს ფეხზე, ხან რკინის კაუჭით წამოეგე-ბოდა ვისმე, და ყველგან, საცა კი შედიოდა, — სადგურში იყო, სასტუმროს მისაღებ ოთახში თუ პაკებობტზე, — ყველგან გაკვირვე-ბასთან ერთად წყევლას იტეხდა თავზე. ყველანი უკან-უკან იხვედ-ნენ, ბღვერით ისტუმრებდნენ, რისი მიზეზიც ტარტარენს ვერაფრით გაეგო და სტანჯავდა ძალიან ამ ბუნებით მოსიყვარულე, გულზიარ ადამიანს. ამას ერთვოდა მუდამ რუხი ღრუბლის ქულებით დაბუ-რული ცა და კოკისპირული წვიმა.

ბაზელში წვიმა ასხამდა პატარ-პატარა თეთრ სახლებს, ისედაც კარგა ლაზათიანად ჩამოსუფთავებულ-ჩამორეცხილებს მოახლე დედაკაცების ხელითა და ციდან ჩამონადენი წყლით; ლუცერნში წვიმა ასხამდა სატივრო ნავმისადგომს, საცა დიდრონი ფუთები და სკივრ-ჩემოდნები ისეთი სანახავები იყვნენ, იტყოდით, გემის დაღუპვას გადაურჩნენო. როცა ტარტარენი ფიცნაუს სადგურში ჩამოვიდა, ოთხი კანტონის ტბის ნაპირას, აქ, შავი ღრუბლებით შემოჯარული რიგის მწვანე ფერდობებზე, ისეთივე კოკისპირული წვიმა იყო, — წყალი ნიაღვარივით გადმოდოდა კლდეთა გაყოლე-ბით, შხეფებს აფრქვევდა, ყველა ქვიდან, ყველა ნაძვის წიწვიდან მოწანწკარებდა. თავის სიცოცხლეში არ ენახა ტარასკონელს ამდენი წყალი.

ტარტარენი სასტუმრო ბაკებში შევიდა, რძიანი ყავა, თაფლი და კარაქი მოატანინა. ეს მართლაც ერთადერთი გემრიელი რამ იყო, რითაც ის ჯერ კიდევ მგზავრობის ღროს ტკებოდა. დანაყრდა და

თაფლით გათხუპნული წვერი ხელსახოცის ბოლოთი მოიწმინდა თუ არა, გადაწყვიტა მთაზე ასვლას უმალ შესდგომოდა.

— და გარდა ამისა, — იკითხა მან, თან ტომარა ზურგზე მოიკიდა, — რამდენი ხანი სჭირდება რიგიზე ასვლას?

— ერთი საათი, საათი და თხუთმეტი წუთი, ჩემო ბატონო. იჩქარეთ, თორემ მატარებლის გასვლამდე სულ ხუთი წუთია.

— რიგიზე მატარებელი მიდის?... ხომ არა ხუმრობთ?

ტარტარენს სასტუმრო ბაყების დაბინდულ მინებში დაანახეს, მატარებელი რომ დაიძრა. ორ დიდ დახურულ უსარკმლო ვაგონს ამოძრავებდა მოკლე, გამობერილი, ქვაბის მსგავსი მილის მქონე ლოკომოტივი — ეს მთას მიბლაუქებული მქშინავი, საზარელი მწერი, თავბრუდამხვევ ციცაბოზე ფოფხვით ამავალა.

ორივე ტარტარენი ერთდროულად — პალაურისაც და კომბოსტოსიც — აღაშფოთა იმ აზრმა, რომ მთაზე ამ საძაგელი მანქანით უნდა ასულიყო. ერთს სასაცილოდ ეჩვენებოდა ალპებზე ასვლის ეს მექანიკური წესი, მეორეს კი, — საჰაერო ხიდები, რაზეც გზა გადიოდა და 1.000 მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდნის პერსპექტივა, თუ მატარებელი სულ მცირეოდნად გადასცდებოდა რელსებს, მკმუნვარე ფიქრებსა ჰგვრიდა. ეს ფიქრები უსაფუძვლონი არ იყო. და ამას ადასტურებდა ვიცნაუში, ფერდობის ძირას არსებული პატარა სასაფლაოც, სადაც თეთრი საფლავის ქვები ერთმანეთს ისე მიტყუპებოდნენ, თითქოს სამრეცხაოს ეზოში თეთრეული ყოფილიყოს გამოფენილი. უეჭველია, სასაფლაო აქ უაზროდ არ არის მოწყობილი, — ვთქვათ მოხდა რამე, უმასპინძლებს მგზავრებს.

„ფეხით წავალ, — თქვა თავისთვის გულადმა ტარასკონელმა, — გავივარჯიშებ... აბა, ჰე!“

და გზას გაუდგა, თან თავისი ალპენშტოკისათვის მიეპყრო მთელი ყურადღება. სასტუმრო ბაყების კარებში გამოშლილი მოსამსახურეები გზის შესახებ მითითებას აძლევდნენ მიმავალს, მაგრამ ტარტარენი მათ ყურს სულაც არ უგდებდა. თავდაპირველად სამხრეთის პატარა ქუჩებივით მსხვილი უსწორმასწორო და წვეტიანი რიყის ქვით მოკირწყლულ გზას აუყვია; ამ გზის ორსავე მხარეს ნაძვის ლარები გაედოთ, წვიმის წყლის ჩასადენი.

მარჯვნივ თუ მარცხნივ გადაშლილიყო ხილის ბაღები, პოხიერი, ნამიანი მდელოები, ხის ნამორების ისეთივე წყალსადინარებით გა-

დასერილი, როგორც გზის გასწვრივ იყო. ამის გამო მთის აღმა-და-ღმა თქაფუნი ისმოდა, და როცა მთამსვლელი გავლისას წერაყინს მუხის ან კაკლის ხის დაბალ ტოტებს გამოსდებდა უცაბედად, მის ქუდს ისეთი წკაპაწკაუბი აუტყდებოდა ხოლმე, თითქოს ბალის სარ-წყულისათვის შეეშვიროს თავი.

— ღმერთუ! რამდენი წყალია! — ოხრავდა სამხრეთელი კაცი.

მაგრამ უარესი ამბავი მაშინ დაემართა, როდესაც მოკირწყლულ-ლი გზა უეცრად მიიღია და ჩვენს მგზავრს პირდაპირ ღვარში შლაპუნს და ქვიდან ქვაზე ხტომა მოუხდა, რათა საცვეთები არ და-ესველებინა. ამას კოკისპირული წვიმა დაერთო, ძვალ-რბილში გამ-ტანი, მოდგმული, აღმა-აღმა ამავლისათვის სულ უფრო და უფრო ცივი. სულის მოსათქმელად რომ შეჩერდებოდა, წყლის გაბმული, გა-მაბრუნებელი ხმაურიდა. ესმოდა და ამ ხმაურში ის თითქოს მთლად დანთქმულიყო. უკან რომ მოაბრუნებდა ხოლმე პირს, ხედავდა, როგორ გაზიდულიყვნენ ღრუბლები და მინის წვრილი ზოლებივით ტბას შერწყმოდნენ, ხოლო შიგადაშიგ გამომკრთალი ფიცნაურს პა-ტარა სახლები ისე ბზინავდნენ, როგორც სულ ახლახან სანდალოზ-წასმული სათამაშოები.

მთაზე კაცები და ბავშვები ხვდებოდნენ. თავჩაღუნულნი და სა-ნოვაგით სავსე გოდრებით წელში მოხრილნი მიდიოდნენ ისინი რო-მელიმე ვილასა და პანსიონში, რომელთა აივნებიც მთის ფერდობზე წამოჭიმულიყო.

— „რიგი-კულმია?“ — კითხოვდა მთამსვლელი, უნდოდა დარწმუნებულიყო, სწორი გზით მივდივარ თუ არაო.

მაგრამ უცნაური აღჭურვილობა, მეტადრე ჩაფხუტი, რომელიც სახეს თითქმის მთლად უფარავდა, ისეთ შიშსა ჰგვრიდა შემხედურთ, რომ თვალებს აჭყეტდნენ, ფეხს უჩქარებდნენ და უპასუხოდ ტო-ვებდნენ მთამსვლელს.

მაღე ეს შეხვედრებიც დაძვირდა. უკანასკნელი ხორციელი არ-სება, რომელსაც თვალი დაჰკრა ტარტარენმა, მოხუცი დედაკაცი იყო; თავი შეეფარებინა მიწაში ჩარჭობილი უშველებელი წითელი ქოლგისათვის და ხის ღარში სარეცხსა რეცხავდა.

— „რიგი-კულმია?“ — შეეკითხა მთამსვლელი.

დედაბერმა თავი ასწია; გამოთავყვანებული, მიწისფერი სახე



ჰქონდა, ყელში ჩიყვი გამოსჩროდა, მსგავსად იმ ზანზალაქისა, შვეიცარიულ ძროხებს რომ ჰკიდებენ სოფლად. მან ერთხანს უყურა ტარტარენს და შეუკავებელი სიცოლი აუტყდა. ამ სიცოლისაგან პირი ყურებამდე ეპობოდა და პატარა თვალები ეკუთვებოდა გაახელდა თუ არა ისევ თვალებს და მას წინ სვეტივით დარქობილ, მხარზე წერაყინგადებულ ტარტარენს შეხედავდა ხოლმე, კიდეც უფრო მხიარულ გუნებაზე დგებოდა.

— ღეთის რისხვა! — ამოიბრღვინა ტარსკონელმა. — ბედი მაგისი, რომ დედაკაცია... — ბრაზით მთლად ანთებულმა გზა გაავრძელა და ნაძვნარში დაიბნა კიდეც, ფეხი უცურდებოდა სველ ხავსზე.

ზემით ბუნების სურათი შეიცვალა. აღარსად ბილიკი, არც ხე, აღარც საძოვარი. მხოლოდ პირქუში, მოლოპრილი ფლატეები ჩანდა და კლდის დიდრონი ნამზღვლევეები, რომლებზედაც ბობლვითა ძვრებოდა ტარტარენი, ეშინოდა, არ წაეიქცეო. გზად ყვითელი ტალახით სავსე ღრანტეები ხვდებოდა; ალპენშტოკით მოუხინჯავდა ხოლმე ძირს, ფეხს მღესავივით ასწევდა მალლა და ფრთხილად გადაივლიდა. წარამარა კომპასს უყურებდა, შანასავით რომ დაეკიდა საათის გრძელ ძეწკვზე. მაგრამ სიმალლისა თუ ტემპერატურის ცვლილების გამო ისარი თითქოს გადაარეულიყო. გზის გაგნება შეუძლებელი შეიქნა. სქელ ბურუსში ათ ნაბიჯზე აღარაფერი ჩანდა. ერთი ხანია, წვიმას თოვლიც შეერია და ისე გაიღობა, მოიყინა ნიდავაგი, რომ აღმა სიარული სულ უფრო და უფრო ძნელდებოდა.

ტარტარენი უეცრად შედგა; თეთრად კიაფობდა მის წინ მიწა... აბა, თვალებს გაუფრთხილდი!..

იგი მუდმივი თოვლის არეში შედიოდა...

მაშინვე ბუდიდან სათვალე ამოიღო და მკვიდრად გაიკეთა. საზემო წამი დგებოდა. ტარტარენს, ცოტა არ იყოს, აღელვებულს, თანაც ამაყს, მოეჩვენა, ერთი ნახტომით 1.000 მეტრის სიმალლეს ავადწიეო — მივუახლოვდი დიდ მწვერვალებსა და დიდ ხიფათებსო.

ამას იქით განსაკუთრებული სიფრთხილით იძროდა წინ, ფიქრში სულ წიგნებში წაკითხული დარანები და ნაპრალები უტრიალებდა, გულში წყევლიდა სასტუმრო ბაკების ხალხს, უმეგზუროდ და პირდაპირ ასვლა რად მიჩივისო. ნეტა, ხომ არ შესცდა და სხვა მთაზე არ ავიდა! ექვს საათზე მეტია მიდის, რიგიზე მისვლას კი

მარტო სამი საათი უნდა. ქარი უბერავდა, ცივზე ცივი ქარი და საღამოს ბინდში თოვლის ბუქს აყენებდა.

საცაა ღამეც მოუსწრებდა. საღ უნდა ეშოვა ქოხი, თუნდაც კლდის წამონაშვერი, თავი რომ შეეფარებინა? უეცრად, უდაბურსა და შიშველს, მოვაკებულს ადგილზე, იქვე, თავის წინ რაღაც პატარა ხის სახლი დაინახა, ზედ გამოკრული ფირნიშითურთ, რომელსაც თუმცა დიდრონი ასოებით ეწერა, მაგრამ გაჭირვებით კი გააჩნია: ფოტო-გრაფია რიგ-გარეშე ულ-მისა. მაშინვე, ცოტა მოშორებით, უშველებელი სამასფანჯრიანი სასტუმრო გამოჩნდა; სადღესასწაულო იერს აძლევდა შენობას საღამოს სიბნელეში განათებული მისი ფანჯრები.

III

აურხაური რივიზი. ნუ შფოთავთ! იყავით მშვიდალ! ალბურ ბუკზე დაგვრედი. რა ნახა თავის სარკვე ბატარაზე, როცა გამოიღვიძა. სამონეაგლში ჩავარდა. მშვიდს იძახებენ ბელეფონით

— ვინ არის? ვინ მოდის?.. — შეჰყვირა ტარტარენმა და სმენად ქცეული სიბნელეს ჩააშტერდა.

მთელს ოტელში ბაკაბუკი, კარების ჯახუნი, ქოშინი და ყვირილი გაისმოდა: „იჩქარეთ! იჩქარეთ...“ გარედან კი თითქოს რაღაც საყვირის ხმა შემოდინდა და ცეცხლის ალი პრიალებდა, საარკმელთა მიწებსა და ფარდებს ანათებდა...

ცეცხლი!..

ტარტარენი უცებ წამოვარდა ლოგინიდან, ფეხთ ჩაიკვია, შეიმოსა და სულ სირბილით დაეშვა კიბეზე, სადაც ჯერ კიდევ ერთო გაზი და საფეხურებზე ჩამოდიოდა ინგლისელი მისსების მთელი გუნდი; სახელდახელოდ დაეხურათ ქუდები, მწვანე შალები და წითელი თავშლები შემოეხვიათ, — ყოველივე ის, რაც კი ლოგინიდან ადგომისას წელში მოხვედროდათ.

თავის გასამხნეველად, თანაც ქალიშვილების დასამშვიდებლად, ტარტარენი მუჯღუგუნებით მიარღვევდა ამ გუნდს, წინ მიეშურებოდა და გაიძახოდა: „ნუ შფოთავთ! იყავით მშვიდალ!“, თოლიას ყრუ, განწირული ხმით გაიძახოდა, რა ხმითაც ზოგჯერ სიზმარში

იციან ყვირილი და რის გაგონებაზე უმამაცეს ადამიანებსაც კი ტანში ქრუანტელი უვლით. წარმოგიდგენიათ ახლა ეს პატარა მისსები, როგორ იცინოდნენ ტარტარენის შემხედვარე, რა ძალიან ესასაცილოებოდათ! ესმით, განა, ამ ასაკში, რა არის ხიფათი!

ბედად, ქალიშვილებს მოხუცი დიპლომატი მიჰყვებოდა ფეხდაფეხ; უბრალოდ მარტო პალტო წამოეცვა და იმის ქვეშიდან უბოდიშოდ თეთრი პერანგის ამხანაგი და ზორტების წვერები მოუჩანდა.

ძლივს კაცი არ გამოჩნდა!..

ტარტარენი ხელების ქნევით მისკენ გაექანა.

— აჰ, ბატონო ბარონო, რა უბედურებაა!.. ხომ არა იციან რა?.. სად არის?.. რამ გააჩინა?

— ვინაო? რაო? — ლულულულებდა გაოგნებული ბარონი და ვერა გაეგო რა.

— აი, ხანძარი...

— რა ხანძარი?..

საწყალ კაცს ისე ძალიან დაბეჩავეებული და ყეყეჩი სახე ჰქონდა, რომ ტარტარენმა თავი დაანება და ქუდმოგლეჯილი გავარდა შენობიდან „დახმარების აღმოსაჩენად“...

— დახმარება! დახმარება! — იმეორებდა ბარონი და მას ხუთი თუ ექვსი მოსამსახურე კაციც აჰყვა, ზეზეურად რომ ეძინათ წინა ოთახში და ახლა მთლად დაბნეულები შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

ფეხი გადადგა თუ არა გარეთ, ტარტარენი მიხვდა, შემცდარიყო.. რის ხანძარი! აუტანლად ციოდა, საშინელ წყვდიადს ოდნავ ატანდა შუქი ფისის ჩირაღდნებისა; აქა-იქ ირხეოდა ამ ჩირაღდნების ალი და თოვლს სისხლივით წითელ, დიდრონ ლაქებს აჩნევდა.

პარმალის ქვედა საფეხურზე ალპურ ბუჯზე დამკვრელი გაჰყმოდა შესაბრალის, ერთფეროვან მელოდიას, სულ სამი ნოტისაგან შემდგარს. „რიგი-კულმში“ ჩვეულებად აქვთ ამ მელოდიით გააღვიძონ მზის მოთაყვანენი და აუწყონ — მნათობი საცაა გამოჩნდებაო.

ირწმუნებიან, რომ ახლად გამოლვიძებული მნათობელი ზოგჯერ ჩნდება ხოლმე უმაღლეს წვეროზე მთისა, ოტელის უკან. გზა რომ კარგად გაეგნო, საკმარისი იყო ტარტარენი მიჰყოლოდა მის მახ-

ლობლად მიმავალი ინგლისელი მისეების განუწყვეტელი სიცილის ხმას. მაგრამ ის უფრო ნელა მიდიოდა, ძილი თავს ართმევდა და ექვსი საათის აღმართ-დადმართ სიარულის შემდეგ მძიმედ მიათრევდა ფეხებს.

— თქვენა ხართ, მანილოვ? — გაისმა უეცრად სიბნელეში ქალის წკრიალა ხმა. — დამეხმარეთ, რა არის... ცალი ფეხსაცმელი დავკარგე.

ტარტარენს ეცნაურა უცხო ჰიკჰიკი თავისი თანამესუფრე ყმაწვილი ქალისა და დააცქერდა მის წვრილ სილუეტს, რომელიც თეთრად მოსილი მიწის მკრთალს ანაბზინში ისახებოდა.

— მანილოვი არ გახლავართ, ქალბატონო, მაგრამ მზად ვარ კი გემსახუროთ...

შიშისა თუ მოულოდნელობისაგან ქალმა შეჰკივლა და როგორღაც უკან დაიხია, რაც ტარტარენმა ვერ შეამჩნია. იგი დახრილყო მოცელილსა და ჰირხლომოდებულ ბალახზე და ხელს აცეცებდა თავის ირგვლივ, რომ ფეხსაცმელი მოეძებნა.

— აი, აქ არ არის!.. — წამოიყვირა გახარებულმა ტარტარენმა.

დებერტყა თოვლით შეფიფქული მოხდენილი პაწია ფეხსაცმელი, ცალი მუხლი მოიდრიაკა მეტად თავაზიანად ცივსა და ნოტიო მიწაზე და საზღაურად ითხოვა — ქალს პატივის ღირსად გაეხადა, ნება მიეცა, შეემოსა სანდრიონა¹.

ქალმა კი, უფრო უკარებამ, ვიდრე ზღაპრის სანდრიონამ, მკვახედ უპასუხა „არა“ და შეეცადა აბრეშუმის წინდით მოსილი ფეხი მოოქროსფრო, ყავისფერ ფეხსაცმელში წაეყო. მაგრამ განა მოახერხებდა ამას, რომ არ დახმარებოდა ჩვენი გმირი, რომელიც უეცრად აღელდა, როცა პაწაწინა ხელი წამით მხარზე შეეხო?

— მახვილი თვალი გქონიათ... — უთხრა ქალმა, თითქოსდა მადლობის ნიშნად, ტატიით რომ მიდიოდნენ ერთიმეორის გვერდით სიბნელეში.

— ნადირზე ჩასაფრებამ იცის, ქალბატონო.

— მაშ, მონადირე ბრძანდებით? — იკითხა ქალმა უნდობლად, რალაც დამცინავი კილოთი. ტარტარენს მარტო იმის თქმა სჭირებოდა, ვინ იყო, რომ ქალს ერწმუნა მისი სიტყვები, მაგრამ, რო-

¹ ნაგულისხმევია პეროს ცნობილი ზღაპარი „სანდრიონა“ — „თხუპნია“.

გორც ყველა დიდი სახელის პატრონი, თავმდაბალი გახლდათ და თანაც უნდოდა ცოტა გაპრანჭულიყო. რაკი უფრო მეტად აპირებდა ქალის გაკვირვებას, უთხრა:

— მონადირე გახლავართ, ნ ა მ დ უ ი ლ ა დ...

— მერე რომელ ნადირზე რჩეობთ ნადირობას? — არ იშლიდა ისევ დამცინავი კილოთი გამოკითხვას ქალი.

— დიდ მხეცებზე, დიდ ონავრებზე... — მიუგო ტარტარენმა; ეგონა, ამით გავაოცებო.

— ბევრი შეგხვდათ კი რიგიზე?

მუდამ ზრდილობიან ტარტარენს, ენაზე ჭავლი რომ არ მოედებოდა, ის იყო უნდა ეპასუხა, — რიგიზე მხოლოდ ნამორები შემხვდაო, მაგრამ სიტყვა შუაზე გაუწყდა: ორი ვიღაცა ლანდივით მიუახლოვდა.

— სონია!.. სონია!.. — ეძახდნენ ისინი.

— უნდა წავიდე! — თქვა ქალმა, თან ტარტარენს მიუბრუნდა, რომელსაც სიბნელისათვის თვალი შეეჩვია და უკეთ არჩევდა მანდილმოსილ, მკრთალსა და ლამაზ სახეს. შემდეგ ქალმა უკვე სერიოზულად უთხრა:

— სახიფათო ნადირობისათვის მიგიყვიათ ხელი, კაი კაცო... თქვენი ძვლები კი არ დატოვოთ აქ...

და მაშინვე ბნელში გაქრა თავის თანამგზავრებთან ერთად.

გვიან ჩახვდა და შეცბუნდა კიდევაც სამხრეთელი კაცი, რომ ეს სიტყვები რაღაც მუქარის კილოთი იყო ნათქვამი. ახლა კი მხოლოდ ამ უბოდიშო მიმართვამ გაანაწყენა — „კაი კაცო“, სულ რომ არ შეჭფეროდა მის შექალარავებულ თმასა და დარბაისლურ სისრულეს; გული ატკინა ახალგაზრდა ქალის უეცარმა წასვლამაც; ქალი სწორედ იმ დროს წავიდა, როცა ტარტარენს ის-ის იყო თავისი სახელი უნდა ეთქვა და ამით გამოწვეული შთაბეჭდილებით დამტკბარიყო.

ტარტარენმა რამდენიმე ნაბიჯი წარღვა მიმავალი ჯგუფისაკენ და მოესმა რაღაც გაურკვეველი ხმები, ხველება, ცხვირის ცემინება გროვად შეყრილი ტურისტებისა. ისინი მოუთმენლად ელოდნენ მზის ამოსვლას. უფრო უშიშარნი ამძვრალიყვნენ პატარა კოშკურაზე, რომლის შეთოვლილი ბოძკინტებიც თეთრად ქათათებდა მიწურულს დამეში.

შერთალი ნათელი ეფინებოდა აღმოსავლეთს. ამ ნათელს ბუკის ახალი მოწოდებითა და შვევის ვიშით ისე ესალმებოდნენ, როგორც თეატრში იცის ხალხმა ფარდის ახდის წინ, მესამე ზარი რომ დაირეკება. ჯერ წვრილი, ვით ჰვრეთი ცუდად დახურული ხუფისა, ეს ნათელი თანდათან იზრდებოდა და აფართოებდა ჰორიზონტს. მაგრამ ამავ დროს ხეობიდან ყვითელი, სქელი ნისლი ამოდიოდა და, რაც უფრო ნათელობდა დღე, ნისლი უფრო ხშირი და გამჭვალავი ხდებოდა, თითქოს მაყურებელსა და სცენას შორის ფარდა ჩამოეშვიათო.

ვერ გამართლდა იმედი გზის მაჩვენებლებში დანაპირები ბუმბერაზი სანახაობის ხილვისა. ნაცვლად ამისა, სასაცილო და შეუსაბამო ჩინურ ლანდებად გამოჩნაკეთულიყვენ სხეულები წუხანდელი მოცეკვავეებისა, რომლებსაც ძილი დაჰკლებოდათ; წამოებურათ შალები, საბნები და საწოლის ფარდებიც კი. თავსაბურების, კაპორების, ყურსაფრიანი თუ პაწია ქულების ქვეშიდან გამოაყურებოდა დასიებული და დაბნეული სახეები თითქოს გემის დაღუპვას გადაარჩენილი ადამიანებისა, გაშლილ ზღვაში რომ რაღაც კუნძულზე შერჩენილან და გაფაციცებით გაჰყურებენ სივრცეს, ეგებ სადმე იალქანს მოვკრათ თვალიო.

და არაფერი, სულ არაფერი არა ჩანდა!

თუმცადა ზოგიერთნი გულითა ცდილობდნენ გაერჩიათ მწვერვალები. კოშკურას თავზე ტკარცალი გაისმოდა პერუელთა ოჯახისა; პერუელები გარსშემოხვეოდნენ ვიღაც აყლაყუდას, რომელსაც რაღაც უჯრულა ულსტერი¹ ფეხებში დასთრევდა, და ესეც მათ წარბშეუხრელად აუწერდა დაწვრილებით ბერნის ალაპების უჩინარ პანორამას, ხმამაღლა ასახელებდა და უთითებდა ნისლში გახვეულ თხემებს მთებისას:

— მარცხნივ თქვენ ფინსტერაარჰორნსა ხედავთ, სიმადლე — ოთხი ათას ორას სამოცდათხუთმეტი მეტრი... აი, აქ კი, შრეკჰორნი, ვეტერჰორნი, ბერი, იუნგფრაუა — ყურადღება მიაქციონ ქალიშვილებმა მის მოხდენილ მოხაზულობას...

— ეს რა თავხედი ვინმეა!.. — თქვა თავისთვის ტარტარენმა და გაიფიქრა: — „ხმა თითქოს მეცნობა როგორღაც!“

¹ უ ლ ს ტ ე რ ი — გრძელი, ფარფარა პალტო.

მეტადრე ეს გამოთქმა ეცნაურა, ეს სამხრეთული გამო-
თქმა, შორიდანვე რომ ისე ადვილი გამოსაცნობია, როგორც ნიერის
სუნი. მაგრამ ახალგაზრდა უცნობი ქალის მოძებნის ფიქრში გარ-
თული, ის აღარ შეჩერებულა და განაგრძო, თუმცა კი ამაოდ, ტუ-
რისტთა ჯგუფის თვალთვალზე. ეტყობა, ქალი, სხვებისა არ იყო,
ოტელში დაბრუნებულიყო. მობეზრდა ყველას გარეთ ბაბანი და
ფეხების ბაკუნი, რათა ცოტათი გამთბარიყვნენ.

მოხრილი ზურგები, ზედ წამოხურული შოტლანდიური შალეებით,
რომელთა ფოჩებიც თოვლში მიფორიალებდა, იქაურობას ეცლებოდ-
ნენ და ხშირ ნისლში ქრებოდნენ. სულ მალე ცივსა და უდაბურს ზე-
განზე ამ უფერული განთიადის ჟამს აღარავინ დარჩა, გარდა ტარ-
ტარენისა და ბუქზე დამკვრელი გრძელწვერა ბერიკაცისა; იგი ისევ
ისე ნაღვლიანად უბერავდა თავის უშველებელ საკრავში, თითქოს
ძალი უყვებდა მთვარეს. პატარა ტიროლურ ქედზე, რომლის მწვეანე
ფოჩებიც მხრებზე სცემდა, ოქროს ასობით ეწერა: Regina
montium. ისევე როგორც ოტელის ყველა მოსამსახურის
ქუდს აწერია. ტარტარენი მიუახლოვდა და წვრილი ფული აჩუქა,
რაკი დაინახა, ასე სჩადიოდნენ სხვა ტურისტები...

— წავიდეთ, დავიძინოთ, ძველო, — უთხრა მან და ტარასკონე-
ლისათვის ჩვეული მოურიდებლობით მხარზე ხელი მოუთათუნა: —
ნაღდი ჩმახია, ჰე, ეგ თქვენი მზის ამოსვლა რიგიზე!

მოხუცი კვლავ ბუქს უბერავდა, სამი ნოტისაგან შემდგარ თავის
რიტურნელს ამთავრებდა, თან ჩუმად, უხმოდ იცინოდა: სიცილი
თვალის უბეებში ნაოქს უჩენდა და მწვეანე ფოჩებს უთამაშებდა.

ტარტარენი ამ ღამით მაინც არ იყო გულნაკლული. მერე რა,
რომ ძილი დააკლდა, სამაგიეროდ, ლამაზ, ქერათმიან ასულს შეხ-
ვდა. მართალია, ტარტარენი ორმოცდაათს იყო მიტანებული, მაგრამ
ჯერ კიდევა ჰქონდა ცხელი გული და რომანტიკული წარმოსახვის
ნიჭი, სიცოცხლის ეს მოგიზიგებე კერა. როცა თავის ოოახში ავიდა
და თვალი დახუჭა, იქნებ ისევ დავიძინოო, სულ ეჩვენებოდა,
თითქოს პაწია, უმსუბუქესი ფეხსაცმელი ხელში ეჭირა და ცალ
ფეხზე მხტუნავეი ქალიშვილის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმა ესმოდა: „თქვე-
ნა ხართ, მანილოვ?...“

სონია... რა ლამაზი სახელია!.. რუსია, რა თქმა უნდა; ეს ახალ-
გაზრდა კაცები, მასთან რომ მოგზაურობენ, მისი ძმის ამხანაგები არი-

ან, უთუოდ... მერე, ყველაფერი აირია ერთმანეთში. სანდომიანი სახე, ოქროს კულულებით დამშვენებული, გადაექსოვა სხვა ბუნდოვან სიზმარულ ზმანებებს — რიგის ფერდობებს, ქაფის ჭიღებდასხმულ მჩქეფარე ჩანჩქერებს. მალე დიდი ადამიანის გმირული ფშვინვა, ძლიერი და თანაბარი, გაისმა პატარა ოთახსა და ღერეფნის კარგად დიდ ნაწილში.

საუზმის მაუწყებელი პირველი ზარი რომ დაირეკა, სანამ ტარტარენი ძირს ჩავიდოდა, სარკეში ჩაიხედა, უნდოდა შეემოწმებინა წვერი კარგად მაქვს დავარცხნილი თუ არაო, ანდა მთამსვლელის კოსტიუმით ცუდად ხომ არ გამოვიყურებო, და უეცრად ქრუნტელა დაუარა. სარკეზე, მის წინ, ორი პატარა პურის სორსოლით დაუბეჭდავი წერილი იყო დაკრული, და ეს ანონიმური წერილი ასეთ მუქარას შეიცავდა:

„ემშაკის კერძო ფრანგო! შენი ყარტან-ყურტანი ვერ დაგფარავს. ეს ერთხელ დაგინდეთ, ამას იქით კი გვიფრთხილდი, არ შემოგვხვდე სადმე!“

გაშტერებულმა ტარტარენმა ორჯერ თუ სამჯერ გადაიკითხა ნაწერი, მაგრამ ვერაფერი გაიგო. ვის, რას უფრთხილდეს? საიდან მოხვდა აქ ეს წერილი? ეპკვი არ არის, მაშინ დაუტოვებიათ, როცა ეძინა, რადგან საგარიჟრაჟო სეირნობის შემდეგ რომ დაბრუნდა, არაფერი შეუძინევია. დარეკა, მოსამსახურე ქალი გამოიძახა. გამოცხადდა ერთი ვიღაც ფერნაკლული, სახეგატყაპნილი, შვეიცარიული ყველივით დაკენკილი დედაკაცი; ვერაფერი გაუგო ტარტარენმა, გარდა იმისა, რომ ის „კი ტეტ-მამის“ შვილია და თავის ღლეში თავისით არ შევა ოთახში, როცა მამაკაცები იქ არიან.

— საკვირველი აშბავია. მ ა ი ნ ც! — იძახდა მეტად აღელვებული ტარტარენი, თან წერილს ხან ასე შეატრიალებდა, ხან ისე.

წამით კოსტეკალდის სახელმა გაუელვა. გუნებაში: შეიტყო, ალბათ, ჩემი განზრახვა, მთაზე ასვლას რომ ვაპირებ და ცდილობს ახლა ხრიკებითა და მუქარით ხელი შემიშალოსო. მაგრამ კარგად რომ დაფიქრდა, დაუჯერებელი ეჩვენა ასეთი რამ, და ბოლოს თავი დაარწმუნა, წერილი ხუმრობით არის მოწერილიო... ვინ იცის, ეს ამ პატარა მისსების ნამოქმედარია, პირში რომ ასე გულთ მიცინი-

ანო. მეტისმეტად მოუხრიდებლები არიან ინგლისელი და ამერიკელი ქალიშვილები!

მეორე ზარმა დარეკა. ტარტარენმა უსახელო წერილი ჯიბეში ჩაიდო: „გავიგებთ, რაც უნდა იყოს!..“ — დაიქანდა გულში. მძვინვარე გამომეტყველება, ამ ფიქრის დროს სახეზე რომ გამოხატა, მისი სულიერი ძალის მაჩვენებელი იყო.

სუფრაზე ახალი მოულოდნელი რამ ელოდა. ლამაზი მეზობლის მაგივრად, „ტრფობამ ოქროსფრად რომ შემოსა“, დაინახა ქარისკისერა მოხუცი ინგლისელი ქალი, ვისი დალალებიც სუფრიდან ნამცეცებს ხვეტდა. იქვე მჯდომმა ვილაცამ უთხრა, ახალგაზრდა ქალიშვილი თანამგზავრებითურთ. დილას რომელიდაცა მატარებლით წავიდაო.

— ეშმაკის მახე!.. არ გამაბრყვეს?! — შეჰყვირა იტალიელმა ტენორმა, სწორედ იმან, გუშინ უკმეხად რომ გამოუცხადა ტარტარენს, ფრანგული არ ვიცით. ეტყობა, წუსელის უსწავლია! ტენორი წამოდგა, ხელსახოცი გადაადგო, და გაიქცა; ტარტარენი მთლად საგონებელში ჩავარდნილი დატოვა.

გუშინდელ სტუმართაგან ტარტარენილა დარჩენლიყო. ასეა მუდამ „რიგი-კულში“. დღე-ღამის მეტს აქ არავინ აყოვნებს. გარეგნულად არაფერი იცვლება; გამწკრივებული საკომპოტეები ისევ ისე ჰყოფენ საზოგადოებას ორ მოპირისპირე ბანაკად. მაგრამ ამ დილით ბრინჯის მოყვარულთ ნამდვილად ეჯობნათ რიცხვით; რიგებს მათ რამდენიმე წარჩინებული გვამიც უმაგრებდა და შავქლიაველები გუნებაზე ვერ იყვნენ. ტარტარენი არც ამათ მიჰკედლებია, არც იმათ და, სანამ სტუმრები ჩაროზით. გამოწვეულ თავ-თავიანთ გრძნობებს გამომამკლავებდნენ, თავის ოთახში ავიდა, აიკრა გულანაბადი. და ანგარიში მოითხოვა: თავი მოაბეზრა ამ Regina in omnia-მა თავისი ყრუ-მუნჯების საერთო სუფრით.

შეეხო თუ არა ტარტარენი წერაყინს, კაუქებს, თოკებს და ხელახლა მოიკაზმა, უეცრად მთამსვლელურმა უინმა ისევ აიტაცა; სურვილი სწვავედა ასულიყო ნამდვილი მთის მწვერვალზე, სადაც არ იქნებოდა არც ამყვანი მანქანები, არც ფოტოგრაფია. ეს არის მხოლოდ, მერყეობდა, რომელი ამოერჩია, ფინსტერაარპორნი, უფრო მაღალი მთა თუ იუნგფრაუ, უფრო სახელგანთქმული მთა, რომლის

ქალწულებრივი სისპეტაკის ლამაზი სახელი რუს ქალიშვილს მოაგონებდა.

სანამ იმასა საზრობდა, საბოლოოდ რომელზე მივიტანო, არჩევანით და თან ანგარიშის მოლოდინშიაც იყო, სასტუმროს დიდი, პირქუში და მდუმარე დარბაზის კედლებზე ჩამოკიდებული შეფერადებული ფოტოების თვალიერებაში გაერთო. მათზე ჩანდა მყინვარები, დათოვლილი ფრიალანი, განთქმული და სახიფათო კლდეკარები. აგერ ერთზე, მთამსვლელები, როგორც საშოვარზე გამოსული ჭიანჭველები, დაწალიკებით მილოღავენ ყინულოვანი თხემის ცისფერ კედლებზე; იქით კიდევ, მოშორებით, ზღვისფერკედლებიან ნაპრალებზე ხილია გადებული და ამ ხილზე ვიღაც მანდილოსანი მიხობავს მუხლებზე, უკან აბატი მიჰყვება, ანაფორა-შემოკალთავებული.

ტარასკონელი მთამსვლელი ორივე ხელით წერაყინს ჩაებლაუქა; მანამდე მას წარმოდგენაც არა ჰქონდა მსგავს სიძნელეებზე. ახლა უკან დახევა აღარ ეგებოდა, გვიანდა იყო!..

უცებ საშინლად გაფითრდა.

თვალში მოხვდა შავ ჩარჩოში ჩასმული გრავიურა გუსტავ დორეს ცნობილი სურათისა, სადაც სერვენის მთაზე მომხდარი კატასტროფა იყო. გამოსახული: ოთხი ადამიანი. მომწყდარა თოვლიან ციკაბოს და ძირს მოექანება; პირქვე თუ გულადმა გართხმულნი, მკლავებგაშლილნი, ხელებს აფათურებენ, უნდათ რასმე დაებლაუჭონ, გამწყდარ თოკს ჩაეჭიდონ, იმ თოკს, რაზედაც აქამდე დანდობილი იყო სიცოცხლეთა ეს მანიაკი და ახლა რომ მხოლოდ სიკვდილისაკენ იტაცებს მათ, მიაქანებს უფსკრულში, სადაც ერთ ხროვად, ერთმანეთში არეულნი ჩაეშვებიან ადამიანთა სხეულები თავიანთი თოკებით, წერაყინებით, მწვანე პირსაბურებით — მთაზე ასასვლელი ყველა იმ სახალისო აღჭურვილობით, ახლა უეცრად, ასე ტრაგიკული რომ გამხდარა.

— აი, სეიძი! — აღმოხდა უნებურად შეშინებულ ტარტარენს.

ერთმა შეტად ზრდილმა შეტრდოტელმა გაიგონა ეს წამოძახილი და თავი ვალდებულად ჩათვალა დაემშვიდებინა ჩვენი გმირი. მსგავსი შემთხვევები თანდათან სულ უფრო იშვიათი ხდებაო, თავიდათავი ის არის, ფრთხილად მოიქცეს კაცი, კეთილგონიერება იზმაროს და კარგი მეგზური იშოვოსო.

ტარტარენი დაეკითხა, შეგიძლიათ თუ არა საიმედო ვინმე მირჩიოთ... შიშით, რა სათქმელია, არ მეშინიაო, მაგრამ მუდამ სამჯობნოა, გვერდით სანდო კაცი გყავდესო.

მეტროტელი დაფიქრდა და სახედადინჯებულმა ქილვაშების წიწკნა დაიწყო.

— სანდო?... აფსუს, რატომ აღრე არ მითხარით, ბატონო! დილას სწორედ მაგისტვის ზედგამოქრილი კაცი იყო აქ, — შიკრიკი ერთი პერუელი ოჯახისა.

— იცნობს მერე მთებს? — საქმის მცოდნე კაცივით იკითხა ტარტარენმა.

— რა სათქმელია, ბატონო, ყველა მთა იცის: შეეიცარიისა, სავოიისა, ტიროლისა, ინდოეთისა და სულ მთლად მთელი ქვეყნისა; ერთიანად მოუვლია ყველა, სულ ზეპირად იცის და სათითაოდ გაამბობთ იმათზე... საკვირველი ვინმეა! ასე მგონია, ადვილად დაითანხმებთ... ასეთ კაცს პატარა ბავშვს გავაყოლებ, სადაც გინდა, და არ შემეშინდება.

— სად არის მერე? სად ვიპოვო?

— კალტბადში, ბატონო, ოთახებს ქირაობს იქ თავისი მოგზაურებისათვის... ტელეფონით დავურეკავთ.

ტელეფონი რიგიზე!

ეს უკვე ყველაფერს აღემატებოდა! მაგრამ ტარტარენს აღარაფერი აკვირვებდა.

ხუთი წუთის შემდეგ მეტროტელი დაბრუნდა და პასუხი აცნობა.

პერუელთა შიკრიკი ეს არის ახლა წავიდა ტელსპლატეში და იქ ალბათ დამესაც გაათევსო.

ტელსპლატე ეკვდერია, ვილჰელმ ტელის ხსოვნის პატივსაცემად აგებული, ერთი იმ სალოცავთაგანი, რომლის მსგავსი მრავალია შეეიცარიისში. აქ ბლომად მოედინებოდა ხალხი; ყველას უნდოდა ენახა კედლის მოხატულობა, რომელსაც იმჟამად ერთი გამოჩენილი მხატვარი ამთავრებდა ეკვდერში...

გემით საათის, საათნახევრის სავალი იყო. ტარტარენს ფიქრი აღარ გაუწევია. ერთი დღე კი დაეკარგებოდა ამაზე, მაგრამ ეს პატივი უნდა მიეგო ვილჰელმ ტელისათვის; განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა ამ გმირისა; და მერე კიდევ, რა ბედს ეწევა, თუ

ასეთ მშვენიერ მეგზურს ჩაიგდებს ხელში და დაითანხმებს იუნგ-ფრაუზე გაჰყვას!

აბა, ჩქარა, გავუდგეთ გზას!..

სასწრაფოდ გადაიხადა ანგარიში, სადაც მზის ჩასვლა-ამოსვლა ცალკე იყო აღნიშნული, ისევე როგორც სანთელი და მომსახურება; მერე გზას გაუდგა რკინეულობის ჩხარუნით, რაც შემხვდურთა შიშნარევი გაკვირვებას იწვევდა, და სადგურში მივიდა, — რიგის ფეხით ჩავლაზე დრო არ უნდოდა დაეკარგა, როგორც მის ამოვლაზე დაკარგა. ასეთი ტყუილი მთა ნამდვილად არ იყო ღირსი ამ პატივისა!

IV

მეგზუ. წვიმს. ტარასონელი გვირი მსალმება კერაკ დესახულ გვირთა ლანდებს. სიმატლუ ვილკელმ ტულუმ. მულის მათემა. ტარტარენ ტარასონელი არასდროს არსებულა „მე, გოშპარი!“

რიგი-კულმიზე ტარტარენმა თოვლი დატოვა, ქვემოთ კი, ტბაზე, ისევე წვიმა დაუხვდა; წვრილად ცრიდა ხშირი, რაღაც წყლის ორთქლივით გაურჩეველი წვიმა, რომელშიაც ძლივს გამოსჭვირდნენ მთანი, ერთიმეორეზე მაღალნი და შორეულნი, ღრუბელთ სადარნი.

„ფოენი“¹ უბერავდა და ქაფიან ტალღებს ათამაშებდა ტბაზე, სადაც თოლიები, დაბლა მფრინავნი, ტალღით გატაცებულებსა ჰგავდნენ, თავი გაშლილ ზღვაში გეგონებოდა.

და ტარტარენს მოაგონდა თავისი გამგზავრება მარსელიდან ამ თხუთმეტი წლის წინათ, ლომებზე სანადიროდ რომ მიდიოდა, — ცა მოკრიალებული იყო, დამაბრმავებელი, მოოქროსფრო შუქით მოქაშაშე, ზღვა — ლურჯი, ლურჯად ლურჯი, როგორც წყალში გახსნილი ლილა, თან მისტრალით² აქოჩრილი და ისე თეთრად მოციმციმე, თითქოს ზედ კენაწი მარილი მოუბნევიათო; მოაგონდა საყვირების ხმა, ციხესიმაგრეებიდან რომ მოდიოდა, ზარების რეკვა,

¹ ფოენი — მშრალი, თბილი ქარი, მთიდან მონაბერი.

² მისტრალი — ჩრდილოეთის ცივი ქარი; უბერავს საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროზე.

აღტაცება, მზე, სიხარული და ჯადოსნური სანახაობა პირველი მგზავრობისა!

როგორ არა ჰგავდა ეს ყველაფერი ამ ნაწვიმარ, ჩაშაგებულ, თითქმის უკაცრიელ გემბანს, სადაც ნისლში, ისე ვით გაზეთილ ქალაქში, მოჩანდა რამდენიმე მგზავრი, ულსტერმოსილი, ლაბადა აჯაჯული და მათ უკან კიდევ კაპიუშონიან საწვიმარ-მოსასხამში გამოხვეული მესაჭე, სახეშეკრული და თანაც თვალბედითად გამომზირალი, უძრავად რომ დამდგარიყო სამ ენაზე დაწერილი განცხადების ქვეშ:

„მესაჭესთან ლაპარაკი აკრძალულია“.

სულ მეტი იყო ეს წარწერა: „ვინკელირდზე“ არავინ ერთმანეთს არ ელაპარაკებოდა, არც გემბანზე და არც პირქუში მგზავრებით გაჭედილი პირველი თუ მეორე კლასის სალონებში, სადაც ამ მგზავრებს ეძინათ, კითხულობდნენ ან ამთქნარებდნენ მერხებზე, იქვე დაყრილ-დაწყობილ თავიანთ ხელბარგთან. ასე გამოიყურებოდნენ ალბათ სახელმწიფო გადატრიალების მეორე დღეს გასაძევებლად გამზადებული ადამიანები.

ჟამითი ჟამად გემის ხრინწიანი ღრიალი ნავმისადგომის მოახლოებას იუწყებოდა. გემბანზე ფეხების ტყაპატყუპი ისმოდა: ბარგსა ზიდავდნენ. ნაპირი ინაკეთებოდა ნისლში, ახლოვდებოდა და თვალწინ იშლებოდნენ შუქმწვანე მთათა ფერდობები, ვილები, გალუმბულ ხეთა ბურვილში მობაბანე, ალვის ხეებით შემორგული ტალახიანი გზები და ამ გზების გასწვრივ წამოქიმილი საუცხოო ოტელები, რომელთა სახელებიც ფასადებზე ოქროს ასოებით ეწერა, — ოტელი მეიერისა, მიულერისა, ტბისა, — ხოლო წვიმის ცრემლებით მოტირალ ფანჯრებში კიდევ მოწყენილი სახეები გამოჩანდა.

გემი პონტონს მიაღება, ხალხი ჩადიოდ-ამოდიოდა, ყველა ერთნაირად ამოსარსლული, დალტობილი, მდუმარე. პატარა ნავსადგურში ერთი კორწიალი იყო საწვიმარი ქოლგებისა, მსწრაფლ გამქრალი ომნიბუსებისა. შემდეგ ღონივრად აბრუნდნენ ბორბლები, წყალი ქაფდებოდა ლაპოტებქვეშ და ნაპირი უკან მიილტვოდა, ბუნდ პეიზაჟში შერეული, მეიერის, მიულერის, ტბის ოტელებთან ერთად; ყველა სართულზე წამით გაღებულ ფანჯრებში ცხვირსახოცებს იქნევდნენ, ხელებს იწვდიდნენ, თითქოს იძახიანო: „შეგვიწყალეთ, შეგვიბრალეთ, თან წაგვიყვანეთ!.. თქვენ რომ იცოდეთ!..“

ზოგჯერ „ვინკელიდს“¹ გზაზე სხვა რომელიმე გემი შემოხვდებოდა. მას სახელი შავი ასოებით ჰქონდა თეთრ გარსაცმზე წარწერილი: „გერმანია“, „ვილჰელმ ტელი“... ისეთივე პირქუში გემბანი ჩანდა, იგივე სარკესავით მოლაპლაპე საწვიმარი ლაბადები, იგივე უსიამო მოგზაურობა — სულ ერთია, საით, მიდიოდა, აქეთ თუ იქით, ეს გემი-აჩრდილები; მგზავრებიც ერთმანეთს ერთი ქიმიდან მეორეზე იმავე ნაღვლიანის თვალით გაჰყურებდნენ.

და თქვენ ისა თქვით, რომ მთელი ეს ხალხი საკუთარი სიამოვნებისათვის მოგზაურობდა და საკუთარი სიამოვნებისათვისვე ტყვედ გამხდარიყვნენ მღვმურნი მეიერის, ტბისა და მიულერის ოტელეებისა!

და აქაც, როგორც „რიგი-კულში“, ყველაზე უფრო ის უხუთავდა სულს, ისა სტანჯავდა და გულს უყინავდა ტარტარენს, — უფროც, ვიდრე ცივი წვიმა და უღიმღამო ცა, — რომ ლაპარაკი არ შეეძლო. ქვემოთ, მართალია, ნაცნობი პირები დაინახა: ყოკეი-კლუბის წევრი თავისი დისწულითურთ (ჰმ! ჰმ!..), აკადემიკოსი ასტიე-რეიუ და პროფესორი შვანტპალერი, ეს ორი შეურიგებელი მტერი, რომლებიც კუქის კომპანიამ ირგვლივი მოგზაურობის ერთსა და იმავე მარშრუტს მიაჯაჰვა და გასწირა ერთი თვით გვერდი გვერდზე ეცხოვრათ, ზოგ სხვასაც მოჰკრა თვალი, მაგრამ არც ერთ სახელოვან შავქლიაველს არ უნდოდა ეცნო ტარასკონელი, თუმცა მისი ჩაფხუტი, რკინის საჭურველი, მხარიღლივ გადაკიდებული თოფი თვალში მოხვდებოდა კაცს და საგანგებოდ საჩენსა ხდიდა მას. ყველას რცხვენოდა თითქოს წუხანდელი ცეკვა-თამაშისა, იმ აუხსნელი ატაცებისა და ცეცხლისა, რომელიც ამ მსუქანმა კაცმა შეუთოთ.

მარტო ქ-ნი შვანტპალერი, ვარდისფერსახიანი, პირმოცინარი, ფუნთუშა, პატარა ფერია, მიუახლოვდა თავის თანამოცეკვავეს და ორი თითით ოდნავ აიწია დაბლა კაბა, თითქოს მენუეტის ცეკვას ეპირებო!

¹ „ვინკელიდი“ — გემი, რომელსაც ნახევრად ლეგენდარული გმირის ანოლდ ვინკელიდის სახელი ჰქვია. ვინკელიდი იბრძოდა ავსტრიის უღლისაგან შვეიცარიის განთავისუფლებისათვის. ზემპახსთან ბრძოლაში (1386) პირველი ეკვეთა ავსტრიელთა შუბებს.

— სეკვა...ტამაში...ზალან კარგი... — ეუბნებოდა კეთილი ბანოვანი.

გუშინდელ მხიარულებას ხომ არ იხსენებდა, ნეტა, ან იქნებ უნდოდა კვლავ დატრიალებულიყო თანაბარზომიერად?

ეს კია, აღარ ეშვებოდა ტარტარენს, და ქალისაგან რომ თავი დაეღწია, ტარასკონელი გემბანზე ავიდა. ასე ირჩია: ისევ წვიმამაგამატანოს ძვალ-რბილში, ვიდრე მასხრად ასაგდები გაეხდყო.

ცას ისევ მოხსნილი ჰქონდა პირი და მოქუფრული, იყო! იქაურობა თითქოს უფრო ჩამოებნელებინა ხროვად შეყრილ „ცხონების არმიის“ წევრებს; ამ ცოტა ხნის წინათ ამოსულიყვნენ გემზე ბეკენრიდში. ეს ათი სახეგამომტერებელი, ჩათქვირებული ქალიშვილი, მუქლურჯ კაბებსა და გრინეუეის ქუდებში გამოწყობილა, შექუჩულიყო სამი უშველებელი, წითელი საწვიმარი ქოლგის ქვეშ და გარმონის ხმის აყოლებით ფსალმუნებს გაიმღეროდნენ. გარმონზე კი, დავიდ ლა გამას მსგავსი ვილაც აწოწილი, გაძვალტყავებული, შეშლილის თვალების მქონე კაცი უკრავდა. ქალიშვილების გაუმართავი, გამკივანი ხმები, როგორც ძახილი ფრთაფართატასი, წვიმას არღვევდნენ, შიგ იჭრებოდნენ, გემის კვამლში ატანდნენ, კვამლში, რომელსაც დაბლა აფენდა ქარი. თავის დღეში ტარტარენს ასე ნალვლიანი არაფერი გაუგონია.

ბრიუნენში ეს წმიდა მხედრობა გემიდან ჩამობრძანდა და მგზავრებს ჯიბეები ღვთისმოსავობის ჩამწერგავი პატარა, მკლე ბროშურებით გამოტენილი დაუტოვა. მიყუჩდა თუ არა გარმონისა და საცოდავი სალოსების ხმა, ზეცა ცოტა მოიწმინდა და აქა-იქ ლურჯად გამოკრთა, გამოაშუქა.

ახლა უკვე ურის ტბაში შედიოდნენ, მაღალ მთათა შორის ჩაქედილ, ჩამუქებულ ტბაში, და მხარმარჯვნივ, ზეელისბერგის ძირას, ტურისტების ყურადღება მიიზიდა გრიუტლის მინდორმა, სადაც მელნტალმა, ფიურსტმა და შტაუფახერმა ფიცი დადეს დაეხსნათ სამშობლო¹.

¹ ურის კანტონის მკვიდრმა ვალტერ ფიურსტმა, შვიცის კანტონელმა შტაუფახერმა და უნტერვალდენის კანტონელმა არნოლდ ფონ მელნტალმა შეკრეს სამი კანტონის კავშირი გრიუტლის მინდორზე 1307 წლის 7 ნოემბრის ღამეს, — ასე მოგვითხრობს გადმოცემა.

ტარტარენმა, დიდად აღელვებულმა, მოწიწებით მოიხადა ქუ-
დი, — ყურადღება სულაც არ მიაქცია, ირგვლივ ყველა რა გაშ-
ტერებული შეჰყურებდა, — და ეს ქუდი, გმირთა ხსოვნის პატივსა-
ცემად, სამჯერ შეაქნია ჰაერში. რამდენიმე მგზავრი მოტყუვდა კი-
დევაც ამ საქციელით და ზრდილობიანი სალამი მიაგეს.

ბოლოს გემმა ხრინწიანი ბლავილი ამოუშვა და ამ ბლავილმა
ვიწრო გასასვლელში გაბმულ გამოძახილად ჩაიგრიალა. წარწერამ
პატარა ფიცარზე, — გემბანზე რომ გამოჰკიდებდნენ ხოლმე ყოვე-
ლი ახალი გაჩერების წინ, როგორც ეს საჯარო საცეკვაო სალამო-
ზე იციან კადრილის ფიგურების გამოცვლისას, — ტელსპლატე
აუწყა ხალხს.

მოსულიყვნენ კიდევაც.

ეკვდერი ხუთი წუთის სავალზე იყო ნავმისადგომიდან, ზედ
ტბის ნაპირას, სწორედ იმ კლდეზე, რომელზედაც ვილქელმ ტელი
გადმოხტა ქარიშხლის დროს გესლერის ნავიდან. ტარტარენი ნეტარ
გრძნობას შეეპყრო, როცა ტბის გაყოლებასზე კუკის კომპანიის მოგ-
ზაურებს კვალდაკვალ მიჰყვებოდა, ფეხს აბიჯებდა ამ ისტორიულ
მიწას, იგონებდა, მესხიერებაში აცოცხლებდა დიადი დრამის მთავარ
ეპიზოდებს. ეს ყველაფერი ისე იცოდა, როგორც საკუთარი ცხოვ-
რების ამბავი.

ვილქელმ ტელი მარადჯამ მისი სათაყვანებელი გმირი იყო. ბე-
ზიუქეს აფთიაქში რომ „ვის რა ურჩევნიას“ თამაშობდნენ და და-
ხურულ კონვერტში დებდნენ ქალალს, სადაც აღნიშნული იყო,
ვის რომელი პოეტი, ხე, სურნელება, გმირი და ქალი უყვარდა, ერთ-
ერთ ბარათზე მუდამ ერთნაირად ეწერა:

საყვარელი ხე? — ბაობაბი.

საყვარელი სურნელება? — თოფის წამლისა.

საყვარელი მწერალი? — ფენიმორ კუპერი.

ვინ მინდოდა ვყოფილიყავ? — ვილქელმ ტელი...

და აფთიაქში ყველა ერთხმად წამოიძახებდა ხოლმე: „ეს ტარ-
ტარენია!“.

წარმოდგინეთ ახლა, რა ბედნიერი იყო ტარტარენი და რო-
გორ უცემდა გული, როდესაც ეკვდერს უახლოვდებოდა, მაღლიერმა
ხალხმა ვილქელმ ტელის პატივსაცემად რომ ააგო. ეჩვენებოდა,

თითქოს თვითონ ვილჰელმ ტელი, მშვილდ-ისრით ხელში, ტბის წყალი ტანსაცმელზე ჭყარ რომ არ შესრობოდა, გაუღებდა კარს.

— ნუ შემოხვალთ!.. მე ვმუშაობ... მისაღება დღე არ არის... — გაისმა ეკვდერიდან ბუხუნა ხმა და კამარებმაც ორმაგი გუგუნით უპასუხეს.

— ასტიე-რეიუ, საფრანგეთის აკადემიის წევრი!..

— პროფესორი შვანტპალერი!..

— ტარტარენ ტარასკონელი!..

ისრულ სარკმელში მთავარ კარს ზემოთ თათქმის წელამდე გამოჩნდა ხარაჩოებზე მდგომი მხატვარი; სამუშაო ბლუზა ეცვა და პალიტრა ეჭირა ხელში.

— ჩემი famulus¹ მოვა და კარს გაგიღებთ, ბატონებო, — თქვა მან მოკრძალებულის კილოთი.

„განა არ ვიცოდლი!.. — გაიფიქრა ტარტარენმა. — საკმარისი იყო მეთქვა ვინა ვარ“.

შაინც სხვები თავაზიანად წინ გაატარა და ეკვდერში თავმდაბლად ყველაზე ბოლოს შევიდა.

მხატვარი, მშვენიერი ვაჟკაცი, ოქროსფერი მბზინავი თმის პატრონი, რაც მას რენესანსის ეპოქის ხელოვანს ამსგავსებდა, ხარაჩოებზე ამავალ ხის კიბეზე დაუხვდა მოსულებს. ეს ხარაჩოები საგანგებოდ აემართათ ეკვდერის ზედა ნაწილის მოსახატავად. ვილჰელმ ტელის ცხოვრების მთავარი ეპიზოდების ამსახველი ფრესკები მოთავეებული იყო, ერთიღა აკლდა, -ვაშლის სცენა ალტდორფის მოედანზე. ამაზე მუშაობდა სწორედ ახლა ფერმწერი, ხოლო მისი ჭაბუკი famulus-ი, როგორც თვითონ ეძახდა, მთავარ ანგელოზივით გრძელთმიანი, ფეხტიტველი და რაღაც საშუალო საუკუნეობრივ სამოსელში გამოწყობილი, ვილჰელმ ტელის ვაჟის დასახატავად დაეყენებინა.

მთელი ეს გარდასულ დროთა პიროვნებანი, წითელ, ყვითელ, მწვანე და ლურჯ ტანსაცმელში გამოწყობილნი, ვიწრო ქუჩებსა და თავისი დროის შესაფერის თაღებქვეშ გამოხახულნი. ბუნებრივ ზომაზე უფრო აჩხორილნი, რათა შორიდან კარგად გამოჩენილყვნენ, მაინცდამაინც დიდად სახარბიელო შთაბეჭდილებას ვერა ტოვებ-

¹ მსახური (ლათ.).

დნენ მნახველზე. მაგრამ აქ ხომ ყველა ალტაცების გამოსახატავად მოდიოდა და გამოხატეს კიდევაც ეს ალტაცება. ფერწერისა კი არავის არაფერი ესმოდა.

— ჩემის აზრით, ეს დიდად მეტყველი, თავისებური რამ არის! — წარმოთქვა დიდის ამბით ასტიე-რეიუმ, რომელსაც ხელში თავისი სამგზავრო ჩანთა ეჭირა.

შვანტპალერსაც, ილიაში რომ საკეცი სკამი ამოეჩარა, არ უნდოდა ჩამორჩენოდა აკადემიკოსს და ხმამაღლა წაიკითხა შილერის ორი ტაეპი; აქედან ნახევარი გრძელსა და ხშირს წვერში ჩაეკარგა. მერე ქალები მოჰყვნენ ალტაცებულს შეძახილებს და ერთი ხანი მეტი არა ისმოდა რა:

— Schön!.. Oh! schön...¹

— Yes... lovely...²

— საუკეთესოა, საუცხოოა...

მეშაქარლამესთან გეგონებოდა თავი.

უეცრად ეს მოკრძალებული გარინდება ვილაციის საყვირით მგრგვინავმა ხმამ გააპო:

— ცუდადაა მომარჯვებული... თავის ალაგას არ არის არბალეტი.

წარმოგიდგენიათ, რარიგ განცვიფრდებოდა მხატვარი, როცა დაინახავდა ალპენშტოკით ხელში, მხარზე წერაყინგადებულ არნახულ მთამსვლელს, ვისი ყოველი შემობრუნებაც იქ მყოფთ საფრთხეს უქადადა, მთამსვლელს, რომელიც სულ უბრალოდ და მარტივად უმტკიცებდა: თქვენი ვილჰელმ ტელის მოძრაობა სწორად არ არის გადმოცემულიო.

— მაგეებისა კარგად გამეგება... გთხოვთ, დამერწმუნოთ...

— მერე თქვენ ვინა ბრძანდებით?

— როგორ თუ ვინ განლაგართ, — შეჰყვირა ძლიერ განაწყენებულმა ტარასკონელმა.

მაშ, ეკვდერის კარი იმისთვის არ გაღებულა?

— მიბრძანდით და ჰკითხეთ ჩემი სახელი ზაკარის ავაზებს,

¹ მშენიერია... ო, მშენიერია... (გ ე რ მ.).

² ღიახ... მშენიერია... (ი ნ გ.)

ატლასის ლომებს, — თქვა მან, მედიდურად წელში გამართულმა, — ისინი გეტყვიან, ვინცა ვარ.

ყველამ ერთბაშად უკან დაიხია, შიშატანილმა.

— მაინც სად ჩანს, რომ სწორად ვერ გადმომიცია მოძრაობა? — ჰკითხა მხატვარმა.

— აბა შემომხედეთ, ჰე!

და ტარტარენმა ორჯერ ისე დაჰკრა ფეხი იატაკს, რომ მტვერი ბოლივით აადინა, წერაყინი არბალეტივით მოიმარჯვა და ასე გაშეშებული შედგა.

— ჩინებულია!.. მართალსა ბრძანებს... ნულა გაინძრევით...

მერე ფამულუსს მიუბრუნდა:

— ჩქარა, მუყაო, ნახშირი!

მართლაც, სურათზე დასახატავი იყო ეს ჩასკვნილი, მხარბეჭვანიერი ტარასკონელი, ოდნავ თავდახრილი რომ დამდგარიყო ნაქსოვი ჩაფხუტით შემკული და შეშინებულ ფამულუსს რომ უმიზნებდა, თან ცალი პატარა თვალი უელვარებდა.

ო, წარმოსახვის ჯადოსნური ძალავ! ასე ეგონა, ალტდორფის მოედანზე ვარ და წინ შვილი მიდგასო, შვილი, რომელიც მას არასოდეს ჰყოლია; ერთი ისარი არბალეტში უზის და საცაა ვითომ უნდა სტყორცნოს, მეორე — ქამარში აქვს გარქობილი, — ამით გაუგმირავს გულს მტარვალს. თანაც ისე ღრმად იყო ამაში დაჯვრებული, რომ სხვებსაც ყველას თითქოს ჯადო გაუკეთაო.

— ეს ვილჰელმ ტელია! — ამბობდა დაბალ პატარა მერხზე ჩამომჯდარი მხატვარი და თან ციებცხელებიანსავით ხატავდა ტარასკონელს. — აჰ, ბატონო ჩემო, რატომ წინათ არ გიცნობდი! თქვენ მეყოლებოდით მოდელად.

— ნუთუ მართლა? მსგავსებას რასმე პოულობთ? — წარმოთქვა მეტად ნასიამოვნებმა ტარტარენმა და ისევ შეუწმრევლად განაგრძობდა დგომას.

დიახ, ხელოვანს ჰემმარიტად ასე წარმოედგინა თავისი გმირი.

— სახეც ასეთივე?

— ო, სახე არაფერია!.. — მხატვარმა უკან დაიხია და თავის ჩანახატს შეხედა: — ვაჟკაცური, მხნე გამომეტყველება — აი, რა არის საჭირო; ვილჰელმ ტელის შესახებ ხომ არავინ არაფერი იცის, — ეგებ, თავის ღლეში არც არსებულა.

ამ მოულოდნელ პასუხზე არბალეტი ხელიდან გაუფარდა ტარტარენს. — წადით ერთი...¹ თავის დღეში არ არსებულაო! ეგ რა ბრძანეთ?

— დაეკითხეთ ამ ვაჟბატონებს...

ასტიე-რეიუმ, ღაბაბი თეთრ ყელსახვევში რომ ჩაერგო, დიდის ამბით წარმოთქვა:

— დანიური ლეგენდა გახლავთ.

— Isländische...² — არანაკლების დიდებულებით დაატანა შვანტჰალერმა.

— საქსონ გრამატიკოსი მოგვითხრობს, რომ ვინმე მამაც მშვილდოსანს, სახელად ტობსა თუ პალტანოკეს...

— Es ist in der Vilkinasaga geschrieben...³

ორივენი ერთად:

...მიუსაჯა დანიელმა ხელმწიფემ ჰაროლდ ცისფერმა კბილებმა... | ...das der Isländische König Neading...⁴

ერთ წერტილს მიჩერებულებს ხელი წინ გაეშვირათ, ერთიმეორეს არ უყურებდნენ, არცთუ ყურს უგდებდნენ და ერთდროულად ღაბარაკობდნენ მოძღვრულის ტონით კათედრიდან მოქადაგე პროფესორისა, რომელიც დაჯერებულია, შედავეებით ვერასდროს ვერცინ შემედავებო. ცხარობდნენ, თარიღებს, სახელებს გაპყვიროდნენ: „იუსტინგერ ბერნელი! იოანე ვინტერტურელი!..“

თანდათან ყველა, ვინც კი იქ იყო, ამ ცხარე, გააფთრებულ კამათში ჩაება. ყველანი დასაკეც სკამებს, საწვიმარ ქოლგებს, ჩემოდნებს იქნევდნენ, ხოლო საცოდავი მხატვარი ხან ერთთან მიიჭრებოდა, ხან მეორესთან და სთხოვდა დამშვიდებულყო, შიშობდა, ხარაჩოები არ ჩამოინგრესო... ქარიშხალი რომ ჩადგა, უნდოდა ისევ ხატვას შედგომოდა და ძებნა დაუწყო საიდუმლოებით მოსილ

¹ „წადით ერთი!“ და „დაიკარგეთ!“ — გავრცელებული გინებაა ტარასკონში; მათი აზრი ბუნდოვანია. მანდილოსნებიც კი ხმარობენ ზოგჯერ ამ სიტყვებს, მაგრამ უფრო შერბილებულად: „წადით ერთი უკაცრული პასუხისა!“ (ავტორის შენიშვნა).

² ისლანდიური (გერმ.).

³ „ვილიკინა საგაში“ წერია... (გერმ.).

⁴ ... რომ ისლანდიელი მეფე ნეკდინგი... (გერმ.).

მთამსვლელს, ვისი სახელიც მარტო ზაქარის ავაზებსა და ატლასის ლომებს შეეძლოთ მისთვის ეცნობებინათ, მაგრამ მთამსვლელი აღარსადა ჩანდა.

ამ დროს იგი, ბორგნეული, სწრაფი ნაბიჯით ადიოდა აღმართ-აღმართ, წიფლითა და არყის ხით შემორგულ ვიწრო გზაზე; ტელს-პლატეს ოტელისაკენ, სადაც ღამე უნდა გაეთია პერუელთა შიკრიკს. სასტიკად გულვატეხილი ელაპარაკებოდა ხმამაღლა თავის თავს და გაშმაგებით ასობდა ალპენშტოკს წვიმისაგან გადარეცხილ ბილიკს.

ვილქელმ ტელი თავის დღეში არა ყოფილაო! ვილქელმ ტელი ლეგენდააო! და ამას მშვიდად და არჩენინად ამბობს მხატვარი, ვისაც დაეკისრა მოხატოს ტელსპლატეს ეკვდერი! გაბოროტებულმა ტარტარენმა მხატვარს ეს მკრეხელობად ჩაუთვალა. გულს ბრახით უვსებდნენ ეს მეცნიერებიც, და თვით ეს საუკუნეც — ყველაფრის უარყოფელი, მნგრეველი, უღვთო-ურჯულო, საუკუნე, როდესაც აღარათერს სცემენ პატივს, არცა დიდებას, არცა სიღიადეს, დასწყევლის ღმერთი!

მაშ, ორასი-სამასი წლის შემდეგ, ტარტარენზე რომ ჩამოვარდება ლაპარაკი, გამოჩნდება რომელიმე ახალი ასტიე-რეიუ, თუნდ შვანტჰალერი და დაიწყებს მტკიცებას, ტარტარენი თავის დღეში არა ყოფილაო; პროვანსული თუ ბერბერიული ლეგენდა არისო! გულისწყრომამ და ციცაბო აღმართმა ტარტარენს სული შეუგუბეს, შედგა და მერხზე ჩამოჭდა.

აქედან ხეთა რტოებში მოჩანდა ტბა და თეთრი კედლები ეკვდერისა, ახალაგებულ მავზოლეუმს რომ ჰგავდა. ნაპირს მომდგარი გემის ბლავილი და წყლის შლაპუნნი ახალი მგზავრების ჩამოსვლას იუწყებოდნენ. მგზავრები გზის მაჩვენებლებით ხელში შეკგუფდნენ წყლის ნაპირას, მერე კი მკლავაპყრობილნი მოწიწებით გაემართნენ ეკვდერისაკენ, თან ერთმანეთს ვილქელმ ტელის ლეგენდას უამბობდნენ. და ერთბაშად, აზრთა მოულოდნელი დინებისა გამო, ყოველივე ეს როგორღაც სასაცილოდ ეჩვენა ტარტარენს. წარმოიდგინა მთელი ისტორიული შვეიცარია, თუ როგორა სულდგმულობს ამ მოგონილი გმირით; მის პატივსაცემად დგამენ ქანდაკებებს, აგებენ ეკვდერებს მცირე ქალაქების პატარა მოედნებზე და დიდი ქალაქების მუხუჟუმებში, მართავენ პატრიოტულ დღესასწაულებს, სადაც

ყველა კანტონიდან აღმებით ხელში ხალხი მოედინება. ამას მოსდევს ბანკეტები, სადღეგრძელოები, სიტყვები, „ვაშას“ შეძახილები, სიმღერა, ცრემლი, და მერე ვისთვის ეს ყველაფერი, — დიდი მამულიშვილისათვის, რომელიც, როგორც ყველამ იცის, არც არსებულა. და თქვენ კიდევ ტარასკონზე ლაპარაკობთ! აი, თუ გნებავთ, ტარასკონადა, რომლის ბადალიც იქ არვის რა მოუგონია!

ტარტარენი კვლავ კარგ გუნებაზე დადგა, დიდრონი, მხნე ნაბიჯით გასწია და ფლიუელენის გზაზე გავიდა. გზის პირას ოტელ ტელსპლატეს წამოეჭიმა მწვანედარბებიანი გრძელი ფასადი. სადილის ზარის მომლოდინე პანსიონერები მიდი-მოდოდნენ ნიჟარებით მოპირკეთებული შედრევის წინ, ოღროჩოღრო გზაზე, სადაც ხელნებდაშვებული სამგზავრო ეტლები გამწყრივებულიყო გუბეებს შორის. ამ გუბეებში ჩამავალი მზე იმზირებოდა, სპილენძისფრად მოლაპლაპე.

ტარტარენმა თავისი მეგზური იკითხა. უთხრეს, სადილობსო.

— აბა, მაშ, მიმიყვანეთ იმასთან!

ეს ისეთი მბრძანებლურის კილოთი წარმოთქვა, რომ მართალია, საშინლად ერიდებოდათ და არ უნდოდათ ესოდენ დიდი ვინმე შეეწუხებინათ, მაგრამ მოსამსახურე ქალმა მთამსვლელს მაინც მაშინვე მთელი ოტელი შემოატარა, — შემხედურნი ადგილზევე შეშდებოდნენ მის დანახვაზე, — და უებრო მეგზურთან მიაახლა. ეს კაცი ცალკე შეექცეოდა საკმელს პატარა ოთახში, რომლის ფანჯრებიც ეზოს გაჰყურებდა.

— ბატონო ჩემო, — მიმართა მხარზე წერაყინგადებულმა ტარტარენმა, — გთხოვთ, მაპატიოთ...

მაგრამ სახტად დარჩენილს უცებ სიტყვა პირში გაუწყდა, ხოლო შიკრიკს აწოწილ, ჩამომხმარ კაცს, ნიკაპზე რომ ხელსახოცი აეკრა და ცხელი წვნით სავსე მათლაფიდან ამოსული სურნელოვანი ორთქლის ღრუბელში გახვეულიყო, კოვზი ხელიდან გაუვარდა.

— ჰე! ბატონი ტარტარენი...

— ვე! ბომპარი...

ეს ნამდვილადაც ბომპარი გამოდგა, ყოფილი გამგებელი ტარასკონელთა კლუბისა. ურიგო კაცი როდი იყო, მაგრამ ისეთი სარაკო ფანტაზიის ნიჭი აწუხებდა, რომ ერთი სიტყვა რა არის, ერთი სიტყვა არ შეეძლო მართალი ეთქვა. ამიტომაც მეტსახელად



ცრუპენტელა შეარქვეს. ტარასკონში რომ ცრუპენტელად იწოდებოდე, თვითონ განსაჯეთ, როგორი კაცი უნდა იყო! აი, თურმე ვინა ყოფილა ეს სწორუპოვარი მეგზური, რომელსაც ალპები, ჰიმალაიები და მთვარის მთებიც კი ჰქონდა დავლილი!

— ო, ახლა კი მესმის... — წარმოთქვა, ცოტა არ იყოს, გულგატეხილმა ტარტარენმა, მაგრამ მაინც უხაროდა, თანამემამულეს რომ შეხვდა და ყურთასმენას კვლავ დაიტკობდა მშობელი ქვეყნის მშვენიერი კილოთი.

— ს ხ ვ ა არ ი ყ ო ს რ ა, ბატონო ტარტარენ, ჩემთან ერთად უნდა ისადილოთ, ჰე?

ტარტარენმა მაშინვე დასტური მისცა; წინათვე განიცდიდა სიამეს, რომ პატარა შინაურულ მაგიდას მიუჯდებოდა, ორი კაცისთვის გაწყობილ მაგიდას, რაზედაც შუღლის ჩამომგდები არავითარი საკომპოტე არ იდგმებოდა; ხარობდა, რომ ჭიქას ჭიქაზე მიაჯახუნებდა, ილაპარაკებდა ჭამის დროს და საუკეთესო რამეებს შეექცეოდა, სათუთად დამზადებულსა და ნუგბარს, რადგან ოტელთა პატრონები, უკეთესი რომ არ შეიძლება, ისე უმასპინძლებიან ბატონ შიკრიკებს, — მათთვის სანაქებო ღვინოები და საგანგებო კერძები მოაქვთ.

და წამოვიდა პარტყაპურტყით ტარასკონული „ჰე, აბა, მეინც, და გარდა ამისა, სხვა არა იყოს რა!“

— მაშ, ეს თქვენი ხმა მესმოდა, ჩემო კეთილო, წუხელ, ზევით, კოშკურაზე?..

— დ ი ე ხ, სწორედ რომ... მე ვთავაზობდი ქალიშვილებს დამტკბარიყვნენ ცქერით... მართლაცდა, რა ლამაზია მზის ამოსვლა ალპებზე!

— მშვენიერებაა! — თქვა ტარტარენმა, ოლონდ მტკიცედ არა, მხოლოდ იმიტომ, საწინააღმდეგო არა ეთქვა რა, მაგრამ წუთიც არ გასულა, რომ აღფრთოვანდა, და ნამდვილად გაშტერდებოდა ადამიანი, თუ ყურს დაუგდებდა, რა გატაცებით აქებ-ადიდებდა ეს ორი ტარასკონელი თვალწარმტაც სანახაობას, რომელიც ვითომდა რიგიდან გადგეშალათ. გეგონებოდა, ყოანისა და ბედეკერის წიგნებიდან ლაპარაკობენო.

თანდათან, რაც უფრო შეჰყვნენ პურის ჭამას, საუბარი უფრო გულითადი გაუხდათ; ერთმანეთს გული გადაუშალეს, მეგობრობაში

ეფიცებოდნენ და ცრემლით მოენამათ ცოცხალი. მოელვარე თვალებში, ის თვალები, რომლებიც პროვანსელთათვის ჩვეული გრძნობათა უეცარი აფეთქების დროსაც მუდამ ინარჩუნებდნენ ოდნავ დამცინავ, მოეშმაკო გამომეტყველებას. ეს ერთადერთი რამ ამსგავსებდა ამ ორ მეგობარს, თორემ სხვაფრივ, გამხმარი, გაწლავებული, სახედაქარული ბომპარი მოხუცის როლის მოთამაშესავით დაღარულ-დანაოკებული, სულ არა ჰგავდა ტანდაბალ, ჩასხმულ და სახეგადატყეცილ, ლაჟღაჟა ტარტარენს.

ვინ იცის, რა არ გადაჰხდენია თურმე ამ საცოდავ ბომპარს მას აქეთ, რაც კლუბი მიუტოვებია. დაუცხრომელი წარმოსახვის ნიჭი ერთ ადგილას არ აჩერებდა, ახალ-ახალი ქვეყნების მზიასკენ მიაქანებდა, ბედის ჩარხს წაღმა-უკუღმა უტრიალებდა. იგი მოუთხოვდა ტარტარენს თავის თავგადასავალს, მოთვლიდა ყველა იმ ბედნიერ შემთხვევას, გამდიდრებას რომ უქაღდა და უამბობდა, როგორ გამოეცალა ხელიდან ეს შემთხვევები; ისიც გაიხსენა, რა მარცხი მოუვიდა მის უკანასკნელ გამოგონებას, რომელიც საშუალებას იძლეოდა შეემციბებინათ საომარი ხარჯები, ჯარისკაცთა წალებზე ნავარაუდები თანხის დაზოგვით...

— იცით მერე, რანაირად?.. ო, ღმერთო ჩემო, ისეთი იოლი საშუალებით!.. ვურჩევდი, სამხედროებისათვის ნალები დაეჭედათ.

— დამეკარგეთ ერთი!.. — შეჰყვირა შეშინებულმა ტარტარენმა.

ბომპარი კი მისთვის ჩვეული ჩუმი შლევის იერით მშვიდად განაგრძობდა:

— დიდებული აზრია, ხომ? მაგრამ მერე რა, სამინისტროში პასუხის ღირსადაც არ გამხადეს... აჰ, ჩემო ძვირფასო ბატონო ტარტარენ, ცუდი ღღეები გამოვიარე, ბევრი გაჰირებება ვნახე, სანამ კომპანიის სამსახურში ჩავდგებოდი...

— რომელი კომპანიისა?

— ჩუ! სხვა დროს იყოს, აქ არ გეტყვიტ...

მერე ისევ თავისი ჩვეულებრივის ნმით იკითხა:

— რასა იქმთ, თქვენ იქ, ტარასკონში? რატომ არ მეტყვიტ, რამ მოგიყვანათ აქ, ჩვენთან, მთებში?

ახლა ტარტარენს მოუწია, ეთქვა თავისი გულისპასუხი. უბოროტოდ, ოღონდ რაღაცა ნაღველით, სხივმიმქრალ დიდებას რომ

ახლავს, სევდით, რომელიც დაეუფლება ხოლმე სიბერეში შესულ დიდ ხელოვანთ, ძალიან ლამაზ ქალებს, ხალხებისა და გულების მპყრობელებს, მან ილაპარაკა თავის თანამემამულეთა განდგომილებზე, გაუშხილა იმ შეთქმულების ამბავი, პრეზიდენტის თანამდებობის წასართმევად რომ უწყობდნენ, და ბოლოს გაანდო, გადაწყვეტილი მაქვს მოვიმოქმედო საგმირო ღვაწლი — ავიდე დიდ მთაზე და აღვმართო ტარასკონული დროშა ისე მალა, როგორც ჯერ არავის აღუმართავს, დავემტკიცო დასასრულ ტარასკონელ მთამსვლელებს, რომ მუდამ ღირსი ვიყავი... ღირსი ვიყავი...

მღელვარებამ აიტანა და იძულებული გახდა გაჩუმებულიყო, მერე ისევ განაგრძო:

— თქვენ მე მიცნობთ, გონზაგ...

ძნელი გადმოსაცემია ის გულითადობა, ის მოსიყვარულე ალერსი, რომელიც მან ბომბარის ამ ტრუბადურულ სახელს ჩააქსოვა. თითქოს ხელი მაგრა ჩამოერთვას მისთვის და გულთან ახლოს მიეკრას იგი...

— თქვენ ხომ მიცნობთ მე! ჰე? იცით ხომ, არ შემშინებია, როცა ლომებზე სანადიროდ წასვლა იყო საჭირო; და არც მაშინ, ომის დროს, კლუბის დაცვას მე და თქვენ რომ ვაწყობდით...

ბომბარმა თავი დაუკანტურა და სახეზე საშინელი გამომეტყველება აღებეჭდა; თავი ახლაც იქ ეგონა.

— ჰოდა, ჩემო ძვირფასო, რაც ლომებმა და კრუბის ზარბაზნებმა ვერ შეძლეს, ის ალბებმა მოახერხეს... შიში მიტანს.

— ნუ ამბობთ მაგას, ტარტარენ!

— რატომო? — წარმოთქვა მეტად უწყინარად გმირმა. — მე მართალს ვამბობ...

მშვიდად და სულ უბრალოდ აღიარა, რა მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა მასზე დორეს ნახატმა, სადაც სერჯენის კატასტროფა ასახული; ახლაც თვალდან არა მშორდებო. მსგავსი სახიფათო შემთხვევები მაშინებს, და ამიტომაც, გავიგე თუ არა, რომ არსებობს არაჩვეულებრივი მეგზური, რომელსაც შეუძლია საშინროება მაშოროს, წაოვედი, მივანდო მას ჩემი ბედით.

და სულ ჩვეულებრივი კილოთი იკითხა:

— მეგზური თქვენ არასოდეს ყოფილხართ, არა, გონზაგ?

— როგორ არა! — მიუგო ღიმილით ბომპარმა. — ოღონდ სუყველაფერი კი არ ჩამიდენია, რასაც ვამბობ...

— რა თქმა უნდა! — დაეთანხმა ტარტარენი.

— გავიდეთ გზაზე, იქ უფრო თავისუფლად ვილაპარაკებთ, — წაიდუღუნა ბომპარმა.

ლამდებოდა. თბილი, ნამიანი ქარი ღრუბელთა შავ ნაფლეთებს მიერეკებოდა ცაზე, სადაც ჩასვენებულ მზეს რაღაც ბუნდი, ნაცრისფერი ფერფლი დაშთუნოდა. ჩვენი ორი მეგობარი ფერდობს გაუყვა ფლუელენის მიმართულებით; თვითონაც აჩრდილების მსგავსთ, ოტელში მიმავალი მოშივეებული ტურისტების მუნჯი ლანდები ხვდებოდათ. უსიტყვოდ მიდიოდნენ მეგობრები, სანამ გრძელ გვირაბს არ მიაღწიეს, რომელიც გზასა ქრიდა და ტბის მხრით, ადგილ-ადგილ, ტერასებივით იყო ახდილი.

— აქ გავჩერდეთ... — დააგუგუნა ბოხი ხმა ბომპარმა და ამ ხმამ ზარბაზანივით იგრიალა გვირაბის თაღებქვეშ.

მოაჯირზე ჩამოსხდნენ და ტბის მშვენიერ ხედს მიაპყრეს თვალი. ტბისკენ მთებიდან მოილტვოდნენ ნაძვის ხეები, წიფლები — მჭიდროდ ამოსულნი და მუქად მჩენნი. მათ უკან უფრო მაღალი მთები მოჩანდა, ბინდში შერეული მწვერვალებით, მერე იქით კიდევ — სხვანი, გაურკვეველნი, მტრედისფერნი, როგორც ღრუბელნი ცისა. მათ შუა ოდნავ შესამჩნევი თეთრი ზოლი გავლებულიყო ნაპრალებიდან მომზირალი გარინდებული მყინვარისა, რომელიც უეცრად ფერად-ფერადი შუქით აელვარდა — ყვითლად, წითლად, მწვანედ. მთას ბენგალიური ცეცხლით ანათებდნენ.

ფლუელენიდან შეტყორცნილი შუშხუნები მრავალფერ ვარსკვლავებად იმარცვლებოდნენ, ვენეციური ფარნები მიმოსრიალებდნენ უხილავი ნაგებით, საიდანაც მუსიკისა და მომღბენი ადამიანების ხმა მოისმოდა.

ნამდვილი დეკორაცია იყო ფეერისათვის, გვირაბის სწორსა და ცივს გრანიტულს კედლებში ჩასმული.

— მაინც რა სასაცილოა ეს შვეიცარია! — შეჰყვირა ტარტარენმა. ბომპარს სიცილი აუტყდა.

— რის შვეიცარია, ჰე!.. ჯერ ერთი, არავითარი შვეიცარია ქვეყნად არ არის!

— შეეცარია, დღესდღეობით, ბ-ნო ტარტარენ, გაუშვით ერთი!.. დიდი კი არაფერია!.. ერთი ვრცელი კურზალია, მკათათვიდან ენკენისთვემდე კარგალებული; პანორამებიანი კაზინოა, სადაც დედამიწის ყველა კუთხიდან მოედინება ხალხი, და იგი ხელთ უპყრია უშემდირეს კომპანიას, რომელსაც ოხრად აქვს ეს მილიონები და მილიარდები, ხოლო მთავარი ბუდე ქენევისა და ლონდონში უძევს. რა ფული იყო საქირო, აბა კარგად გასინჯეთ, რომ იჯარით აგელოთ, დაგეურვებინათ, მოგერთოთ და მოგეკაზმათ მთელი ეს მიწა-წყალი, ტბები, ტყეები, მთები და ჩანჩქერები, რომ შეგენახათ მთელი ეს ზღვა მომსახურე ხალხი, სტატისტები და მაღალ მწვერვალებზე მოგეწყობთ გასაშტერებელი ოტელები, გაზით, ტელეგრაფით, ტელეფონით!

— მართალი კია!.. — ფიქრობდა ხმამალლა ტარტარენი და რიგის იხსენებდა.

— მართალია და მეტი არა?.. რა გინახავთ თქვენ ჯერ?.. აბა, უფრო ღრმად შეიქვით — ერთ კუთხესაც ვერ მოძებნით მთელ მხარეში, რომ არ იყოს ოპერის სცენისქვეშა სართულივით დამანქანებული, ეფექტისათვის ნავარაუდევი; ჩანჩქერები, გამუქებული *a giorno*¹ ტურნიკეტები — მყინვარების შესასვლელებთან, და, რამდენიც გინდათ, ჰიდრავლიკური რკინიგზა და ფუნქიკულიორი მაღლა ასასვლელად. მარტოოდენ თავის ამერიკელ და ინგლისელ მთამსვლელ კლიენტებზე ზრუნვა აიძულებს კომპანიას, რომ ალპების ზოგიერთ სახელგანთქმულ მთას — იუნგფრაუსს, ბერსა და ფინსტერაარჰორნს — შეუნარჩუნოს ველური და სახიფათო სახე, თუმცა, ნამდვილად რომა ვთქვათ, სხვა ადგილებისა არ იყოს, არც იქ მოელის ვისმე საფრთხე.

— კარგი, მაგრამ ნაპრალები, ჩემო კეთილო, ეს საზარელი ნაპრალები?.. შიგ რომ ჩაეარდეს კაცი?

— თოვლზე დაეცემით, ბატონო ტარტარენ, და სულაც არაფერს დაიშავებთ; იქ ქვემოთ, ნაპრალის ძირზე, მუდამ არის მე-

¹ ჩაღი სინათლით (იტალ.).

ბარგული, ან მონადირე, — ისეთი ვინმე, ერთი სიტყვით, ვინც წა-
მოგაყენებთ, ჩამოგიბერტყავთ და გაგიწმენდთ ტანსაცმელს და თა-
ვაზიანად დაგეკითხებათ: „ბარგის წაღებას ხომ არ მიბრძანებთ, ბა-
ტონო?..“

— რაებს იგონებთ, გონზავ?

მაგრამ ბომპარი უფრო მეტის სიღარბაისლით განაგრძობს:

— ამ ნაპრალების შენახვაზე ერთ-ერთ ყველაზე დიდ ხარჯსა
სწევს კომპანია.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდება გვირაბში და აჩემარეც ყუჩობს.
ალარც ნაირფერადი სინათლეები, ალარც პაერში შესროლილი შუშ-
ხუნები, ალარც ნავები მოჩანან ტბაზე. მაგრამ აგერ ამოდის
მთვარე და მისი მქრქალი, მოცისფრო შუქი, შიგ მუქი ჩრდილები
რომ შესჭრია, რაღაც სხვა, მოჩვენებითს სახეს აძლევს ყველა-
ფერს.

ტარტარენი ყოყმანობს, არ იცის, დაიჭეროს თუ არა თავისი თა-
ნამგზავრის ნათქვამი. უფიქრდება ყველაფერს, რაც კი რამ არაჩვე-
ულებრივი ამ ოთხ დღეში ნახა — მზის ამოსვლა რიგიზე თუ ეს
ვილქელმ ტელის სასეირო ამბავი, — და ბომპარის ნალაყბევი
როგორღაც სიმართლესთან ახლო ეჩვენება. ყოველი ტარასკონელი
ხომ ცრუპენტელაც არის და მიაპიტიც.

— მაინც რით გინდათ ახსნათ, ჩემო მეგობარო, ეს საზარელი
კატასტროფები... აი, თუნდაც სერვენზე მომხდარი, მაგალითად!..

— თექვსმეტი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, ბ-ნო ტარტარენ,
კომპანია მაშინ არ არსებობდა.

— აი შარშან კიდევ, ვეტერპორნზე რომ კატასტროფა მოხდა,
ორი მეგზური არ ჩაიჩუმქრა თავიანთ მგზავრებიანად?

— მაშ რით უნდა მიიტყუონ მთამსვლელები, დასწყევლის ეშ-
მაკი!.. ინგლისელებს რა წაიყვანთ ისეთ მთაზე, სადაც ვისმე თავი
ცოტა მაინც არ გაუტეხია... ვეტერპორნი, ერთი ხანი იყო, დაკნინ-
და; ამ პატარა შემთხვევის შემდეგ კი, შემოსავალმა მაშინვე იმატა.

— მერე ის ორი მეგზური?

— ისევე კარგად გახლავან, როგორც იმათი მოგზაურები; მო-
აშორეს მართო აქაურობას, ექვსი თვე საზღვარგარეთ ამყოფეს...
ძვირი ჯდება ეს რეკლამა, მაგრამ კომპანიას სულაც არ უჭირს ასეთი
ზედმეტი ხარჯი იკისროს.

— ყური მიგდეთ, გონზაგ...

ტარტარენი წამოდგა და მხარზე ხელი დაადო კლუბის ყოფილ გამგებელს.

— თქვენ ხომ არ გინდათ, ფათერაკი, რამ შემემთხვეს, ჰე? ნუ დამიმაღავთ და ისე მითხარით... თვითონაც კარგად იცით, რა მთამ-სვლელიცა ვარ, სულ არაფერი შვილი.

— ვერაფერი შვილი, რაც მართალია, მართალია!

— როგორა გგონიათ მაინც, რომ ვცადო, შემიძლია იუნგფრა-უზე თითქმის უხიფათოდ ავიდე?

— თავს დავდებ, ბატონო ტარტარენ... მეგზურს მიენდეთ და ეგ არის!

— თავბრუ რომ დამეხვას?

— დახუჭეთ თვალები.

— ფეხი რომ დამიცურდეს?

— რა არის მერე? ყველაფერი ისეა მოწყობილი, როგორც თე-ატრში... შიში ნურაფრისა გაქვთ!

— აჰ, ნეტავი იქა მყოლოდით, რომ წარამარა გეთქვათ, გაგემე-ორებინათ ეგ ჩემთვის... ქენით სიკეთე, ჩემო კარგო, წამომყუთ!

უკეთესს ვერას ინატრებდა, ღმერთმანი, ბომპარი! მაგრამ თავი-სი პერუელები ჰყავდა სეზონის დამთავრებამდე აკიდებულნი. ტარ-ტარენმა რომ გაიკვირვა, როგორ დათანხმდით და შიკრიკის, თით-ქმის მსახურის მოვალეობა იკისრეთო, ბომპარმა უპასუხა:

— რას იზამ, ბატონო ტარტარენ?.. ასეთია ჩვენი სამსახუ-რი ... კომპანიას უფლება აქვს როგორც მოეპრიანება, ისე გვიმსახუ-როს.

ბომპარმა თითებზე ჩამოთვალა, ამ სამ წელიწადში რამდენჯერ მოუხდა გარდასახვა. ვინ არ იყო იგი: მეგზური ობერლანდში, ალ-პური ბუკის დამკვრელი, გამოცდილი არჩვზე მონადირე, მეომა-რი—ჯერ კიდევ კარლოს X დროს ნამსახურევი, პროტესტანტული მოძღვარი — მთებში მოქადაგე...

— ეგ რაღა არის? — კითხულობს გაკვირვებული ტარტარენი.

ბომპარი კი არხეინად განაგრძობს:

— ჰო! დიას! თუ თქვენ გერმანულ შვეიცარიაში მოგიხდებათ მოგზაურობა, შეამჩნევთ იქ ზოგჯერ თავბრუდამხვევ სიმაღლეზე შემდგარ მოძღვარს, რომელიც უბრალოდ კლდიდან ან ხის კუნძის.

კათედრიდან ქადაგებს ცის ქვეშ. ირგვლივ ლამაზ-ლამაზად შემოკრებილან მწყემსები, ყველის ამომღებნი. — ტყავის ქუდებით ხელში, დედაკაცები — კანტონის ყაიდაზე ჩაცმულ-დახურულნი. მშვენიერი სანახავია საძოვრები, მწვანე თუ ახალმოთიბული, ჩანჩქერები — გზამდე თავქვე ჩამომდინარნი, ჯოგები — მთაზე შეფენილნი, მძიმე ზანზალაკებს რომ აქლარუნებენ, — და მერე რა! დეკორაციაა ეს ყველაფერი, ისინი კი, ყველანი, ფიგურანტები არიან. მაგრამ ეს ამბავი მხოლოდ კომპანიის მოსამსახურებმა, მეგზურებმა, მოძღვრებმა, შიკრიკებმა, სასტუმროების პატრონებმა იციან; მათივე ინტერესი მოითხოვს არ გათქვან საიდუმლო, რათა კლიენტები არ დააფრთხონ.

გაშეთებული მთამსვლელი მღუმარებს, რაიცა მუდამ მისი უაღრესი განცვიფრების მაჩვენებელია. გულში როგორღაც კიდევ ეეჭვება ბომპარის ნაამბობის სიმართლე, მაგრამ მაინც სიმხნე ემატება და ალპებზე ასვლას უფრო დამშვიდებით ეკიდება; მეგობრების ბაასიც უფრო მხიარული ხდება. ლაპარაკობენ ტარასკონზე, თავიანთ ახალგაზრდობისდროინდელ ოინბაზობაზე.

— მართლა, ოინზე გამახსენდა, — ამბობს უეცრად ტარტარენი, — კარგი მაგარი დამმართეს „რიგი-კულში“. წარმოიდგინეთ, ამ დილას...

და უამბობს სარკვეზე მიკრულ წერილზე, თან განსაკუთრებულ კილოთი წარმოთქვამს: „ეშმაკის კერძო ფრანგო...“

— მისტიფიკაციაა, არა? ჰე!

— ვინ იცის... შეიძლება... — უპასუხებს ბომპარი და ეს შემთხვევა უფრო სერიოზული ეჩვენება, ვიდრე მის თანამოსაუბრესა ჰგონია. მერე ტარტარენს ეკითხება, რიგიზე ყოფნის დროს ხომ არავისთან რა შეგმთხვევიათ, ზედმეტი რამ ხომ არ გითქვამთო.

— ზედმეტი რამეო! თქვენც ერთი! განა კრინტს დაძრავს კაცი მაგ ინგლისელებთან და გერმანელებთან? თევზებივით პირში წყალი აქვთ დაგუბებული, ვითომდა დიდი ზრდილობიანები ვბრძანდებითო.

მაგრამ დაფიქრდა ტარტარენი და მოაგონდა, რომ ბურთი ჩასჩარა პირში, და ზორბადაც, ვილაც კაზაკს, ვინმე მი...მილანოვს.

— მანილოვს, — უსწორებს ბომპარი.

— იცნობთ იმას? ჩვენ ორ შუა იყოს და, მე ვფიქრობ, რომ ეს

მანილოვი გამიგულისდა ერთი ახალგაზრდა რუსი'ი ქალიშვილიმ გამო...

— ოჰ, სონიასათვის... — ჯუჯღუნებს შეფიქრიანებული ბომპარი.

— იმასაც იცნობთ?... აჰ! ჩემო მეგობარო, ობოლი მარგალიტია, ლამაზი პაწია გნოლი!

— სონია ვასილევა... მაგან იყო, რომ მოკლა რევოლვერით პირდაპირ ქუჩაში სამხედრო-საველე სასამართლოს თავმჯდომარე გენერალი ფელიანინი, რომელმაც იმის ძმას სამუდამო გადასახლება მიუსაჯა.

სონია — მკვლელი! ეს ქერათმიანი ბაღლი... არა, ტარტარენს არა სჯერა. მაგრამ ბომპარი ზუსტ ცნობებს იძლევა, დაწვრილებით აწერს ამ მეტად გახმაურებულ საქმეს. ორი წელია სონია ციურისში ცხოვრობს, სადაც ციმბირიდან გამოქცეული იმისი ქლექიანი ძმა ბორისიც ჩამოვიდა მერე. მთელი ზაფხული დაატარებს ძმას მთის სუფთა ჰაერზე. ბომპარს ხშირად უნახავს ისინი თავიანთი მეგობრების წრეში, მეგობრებისა, რომლებიც იმათსავით გამოძევებულები და შეთქმულები არიან. ვასილევები, ეს მეტად ჰკვიანი, მეტად ენერგიული ხალხი, მასთან რაღაცა შეძლების მქონენიც, სათავეში უდგანან ნიჰილისტურ პარტიას. მათთან ერთად ამ პარტიას მეთაურობენ — ბოლიბინი — პოლიციის უფროსის მკვლელი, და მანილოვი, რომელმაც შარშან სასახლეში აფეთქება მოაწყო.

— დაიკარგეთ ერთი! — დასძახა ტარტარენმა. — კარგი მეზობლები არა მყოლია „რიგიში“?!

მაგრამ ეს კიდევ რა არის. დახედეთ, რა წარმოიდგინა ბომპარმა! ეგ მშვენიერი წერილი იმათი ხელიდანაა გამოსულიო. მეცნო მათი ნიჰილისტური ფანდებიო. მეფე ყოველ დილას პოულობს ასეთ გამაფრთხილებელ ბარათებს კაბინეტში, თავის ხელსახოც-ქვეშო...

— მაინც რისთვის მემუქრებიან? რა დავუშავე?

ბომპარი ფიქრობს, რომ ტარტარენი ჯაშუშად ჩათვალეს.

— ჯაშუშად? მე?

— დი ე ხ, თქვენ!

ყველა ნიჰილისტურ ცენტრში — ციურისში, ლოზანაში, ჟენევაში — რუსის მთავრობა დიდ ხარჯებსა სწევს და დიდძალ ფარულ მეთვალყურეს ინახავს. დიდი ხანი არ არის, რაც საფრანგეთის სამე-

ფო პოლიციის ყოფილი უფროსი ათიოდე კორსიკელითურთ ჩა-
აბა ამ საქმეში; ათასნაირად შენიღბულ-გადაცემულები. თვალს ადევ-
ნებენ და ზვერავენ განდევნილ რუსებს, ცდილობენ როგორმე ხელ-
ში ჩაიგდონ. მთამსვლელის ჩაცმულობა, სათვალე, ლაპარაკის
კილო, სხვა მეტი რაღა იყო საჭირო, რომ ტარტარენი ჯაშუშად
მიეღოთ.

— დასწყევლის ეშმაკი! თქვენ შემაფიქრიანეთ, მენიშნა, მართ-
ლაც, — ამბობს ტარტარენი, — იმათ კვალდაკვალ სდევდათ ვილაც
წყეული იტალიელი ტენორი. ეს ნამდვილად დამსმენი იყო! ყველა-
ფერი, ყველაფერი და, მაინც როგორ უნდა მოვიქცე?

— თავიდათავია, არ შეეყაროთ სადმე კიდევ. აკი თვითონ გაფრ-
თხილებენ, უბედურება მოგელითო!

— ეჰ, ერთი თქვენც! უბედურებაო!.. პირველსავე კაცს, ვინც
მომეკარება, ამ წერაყინით გაუფკვეთავ მაშინვე თავს.

გვირაბის სიბნელეში ტარასკონელმა თვალები გადააბრიალა.
მაგრამ ბომპარს ეს სულაც არ ამშვიდებს; იცის, რა საზარელიც
არის ნიჰილისტების სიძულვილი: მალულად მოქმედი, მანქანებათა
მომწყობი, ძირის ამომგდები. იყავ, თუ გინდა, დიდი ყოჩალი ვინმე,
როგორიც ჩვენი პრეზიდენტი ტარტარენია, მაინც ვერაფერს გახ-
დები! უნდა ფრთხილად იყო: კარგად გასინჯო საწოლი, რაზედაც
იძინებ სასტუმროში, სკამი, ზედ რომ ჯდები, გასინჯო ქიმი გემისა,
თორემ უეცრად გადაწვება მოაჭირი და სასიკვდილოდ გაგამგზავ-
რებს. ახლა კიდევ შემზადებული კერძებიც არ დაივიწყო, ჭიქები,
უხილავი საწამლავი რომ უსვიათ.

— ნუ ენდობით კირშვასერს, სამგზავრო მათარაში რომ ჩავის-
ხამენ, ქაფიან თბილ-თბილ რძეს, ხის ფეხსაცმელით მოსილი მწყემ-
სი რომ მოგიტანთ. ისინი ყველაფერს კადრულობენ, გეუბნებით
მე თქვენ!

— მაშ, როგორ მოვიქცე? რა მეშველება, დავდუპულვარ! —
დრტვინავს ტარტარენი; მერე თავის მეგობარს ხელს ჩასჰიდებს და
შესთხოვს: — მიჩიეთ რამე, გონზავ!

ბომპარი ერთ წაშს დაფიქრდება და გეგმას დაუხსნავს: გავიდეს
ხვალ დილაადრიან, გადასეროს ტბა, გადაიაროს ბრიუნჯის უღელ-
ტახილი, დამე ინტერლაკენში გაათიოს. მეორე დღე გრინდელვალდ-
სა და მკირე შეიდეკს მოახმაროს. მესამე — იუნგფრაუს! ხოლო

შემდეგ, წუთიც არ დაეარგოს და უკანმოუხედავად პირდაპირ ტარასკონისკენ გასწიოს.

— ხვალვე წავალ, გონზაგ... — წარმოთქვამს ტარტარენი მტკიცე ხმით და შიშით აღსავსე თვალებს მიაპყრობს იღუმალებით მოსილ პორიზონტს, ღამის წყვედიადით მთლად დაფარულს, და ტბას, რომლის მკრთალს ბზინვასა და ცივს გარინდებაში ასე ეჩვენება, თითქოს ყოველგვარი მუხანათობა იჩქმალებაო.

VI

ბრიუნისის უღელტახილი. ტარტარენი ხელში ჩაუკარგება ნიკილისტებს. იტალიელი ტენორისა და ავინიონის თოქის ბაჰრობა. ჟულზე მონადირის ახალი საგმირო საქმენი. ბაჰ! ბაჰ!

— ა დ ი ტ... ა დ ი ტ რ ა გ ა!

— მითხარით ერთი, ეშმაკსაც წაუღიხართ, სად უნდა ავიდე? ადგილი არ არის... არსად არ მიშვებენ...

ეს იყო ოთხი კანტონის ტბის სულ ბოლო კიდეზე, ალპნახის ნოტიო და დელტასავით გამოტოტილ ნაპირას, სადაც საფოსტო ეტლების ადალი გაგრძელებულიყო. ამ ეტლებს გემიდან გადმოსული მგზავრები ბრიუნისზე გადაჰყავდათ.

ღილიდან ნემსის წვერებივით წვრილი წვიმა ცრიდა; ჩვენი კეთილი ტარტარენი, — თავისი აღჭურვილობით შებოროკილი, ფოსტის მოსამსახურეებისა და საბაჟოს მეთვალყურეებისაგან ხელნაკრავ-ნაჭველემი, — ხან ერთ ეტლთან მიირბენდა, ხან მეორესთან, თანაც ისეთის ხმაურით დარახრახებდა, როგორც ჩვენი საბაზრო დღესასწაულების „კაც-ორკესტრი“ რომლის ყოველ მოძრაობაზეც ხან დოლი უკრავს, ხან ჩინური საკრავი, ხანაც წინწილა. ყველა ეტლის კართან სულ ერთი და იგივე შეშინებული წამოძახილით უხვდებოდნენ, იგივე უგემური „ადგილი არ არის“ ესმოდა — ბუზღუნით ყველა ენაზე წარმოთქმული. მაშინვე ყველა ერთნაირად გაიწვა-გამოიწვედა, გაიფაფრებოდა, რა არის, მეტი ადგილი დავიკავოთ და ასეთი სახიფათო, მოხრიგინე ვილაც არ დავიმგზავროთო.

საცოდავიშვილს ოფლი სდიოდა, ქოშინებდა, სასოწარკვეთილი ხელებს იქნევდა და „ეშმაკსაც წაუღიხართო“ გაიძახოდა პასუხად

მოთმინებადაკარგული მგზავრების წამოძახილზე: „გასწი! „All right“, „Andiamo“, „Vorwärts“¹. ცხენები ტორებსა სცემდნენ, მეეტლეები იგინებოდნენ. ბოლოს, საფოსტო ეტლის გამყოლი, მუნდირსა და ბრტყელ ქუდში გამოწყობილი სახეწითური აყლასუდა ჩაერია საქმეში, ძალით გამოალო ნახევრად გადმოხურული ლანდოს კარი და ტარტარენი ფუთასავით შეათრია შიგ. მერე გასწორდა წელში, დიდებულად გაჰიმული დადგა ეტლის ფრთის გვერდით და Trinkgeld²-ისათვის გაუწოდა ხელი.

დამცირებულსა და შეურაცხყოფილს, ეტლის იმ მეზობლებზე გაგულისებულს, რომლებიც manu militari³ დაუხედნენ, ტარტარენს ისე ეკირა თავი ვითომდა ვერც კი გხედავთო. საფულე ღრმად ჩაიდო ჯიბეში, წერაყინი გვერდით მოიყუდა; ყველაფერ ამას გუნებააღრენილი განზრახ უხეშად აკეთებდა, ასე იტყოდით, დუვრსა და კალეს შუა მიმომავალი გემიდან ჩამოვიდაო⁴.

— გამარჯობათ!.. — მოესმა უცბად ნაცნობი ნაზი ხმა.

ტარტარენმა აიხედა და შიშისზარი დაეცა, როცა სონიას ვარდისფერი ლამაზი პატარა სახე დაინახა. ქალი პირდაპირ უჭდა, ლანდოს გადმოსახურს ქვეშ, ხოლო იქვე მის გვერდით, ტანმალალი ახალგაზრდა კაცი მოკალათებულიყო, მთლად შალებსა და საბნებში გამოხვეული, ასე რომ მხოლოდ მკვდრისფერი შუბლიდა და ზედ ჩამოშლილი ქოჩრის ბუწუწები უჩანდა. კულულები ისეთივე წვრილი და ოქროსფერი ჰქონდა, როგორც რკალი თავისივე სათვალისა, ახლომხედველი ადამიანის სათვალისა. ქალის ძმა იყო უთუოდ. მათ მოჰყვებოდა ერთი კაციც, რომელსაც ტარტარენი იცნობდა და ძალიანაც კარგადაც იცნობდა, — მანილოვი, ზამთრის სასახლის ამფეთქებელი.

სონია, მანილოვი... ესეც შენი ხატანგი!

აი, ახლა კი აღასრულებენ თავიანთ მუქარას, ბრიუნიგის ციკაბო ულელტეხილზე, რომელსაც აქეთ თუ იქით სულ უფესკრული აკრავს. და ჩვენს გმირს, როგორც ზოგჯერ ხდება ხოლმე, შიშმა გონება ელ-

¹ „ჩინებულია“ (ინგ.), „წაიდეო (იტალ.), „გავსწიოთ“ (გერმ.).

² გადასაკრავი (გერმ.).

³ „იარაღით ხელში“ (ლათ.).

⁴ ხაგულისხმევია სიუხეზე და ზვიადობა, რასაც, ფრანგების აზრით, ინგლისელი ტურისტები იჩენენ.

ვასავით გაუნათა, საფრთხის სიღრმეში ჩაახედა. წარმოუდგა, როგორ გდია გაშხლართული დარტაფის ღორღიან ფსკერზე, როგორა ჰკილია და ქანაობს მისი სხეული მუხის მაღალ კენწეროზე. ვაიქცეს? საით, როგორ? აგერ დაიძრნენ ეტლები, მიქრიან ბუკის ხმაზე ერთი მეორის მიყოლებით და ბიჭუნები გუნდ-გუნდად აწყდებიან ეტლების კარს, ედღეღვისების პაწია თაიგულებს აწვრიან, სთავაზობენ მგზავრებს.

ჰკუაზე მთლად შემცდარი ტარტარენი სურვილმა აიტანა, აღარ დაეყოვნებინა და შეტევაზე თვითონ გადასულიყო, ალპენშტოკის ერთი დარტყმით გაეჩეხა თავი გვერდით მჭდომი კახაკისათვის; მაგრამ დაფიქრდა და თავის შეკავება ამჯობინა, ასე უფრო გონივრული ეჩვენა. უეჭველია, ეს ხალხი თავისი განზრახვის შესრულებას უფრო შორს, უკაცრიელ ადგილებში შეეცდებოდნენ და მანამდე ეგებ ჩამოსვლა მოვასწროო. თანაც აღარ ეჩვენებოდა, რომ ესენი მტრულად იყვნენ განწყობილნი. სონია წყნარად უდიმოდა ლამაზი ფირუზი თვალებით, მაღალი ფერმიხდილი ახალგაზრდა კაციც ყურადღებით უყურებდა, და მანილოვმა, აშკარად მომბალ-მოთვინიერებულმა, თავაზიანად მიიწია და სამგზავრო ჩანთა დაადებინა. ვინ იცის, იქნებ მიხვდნენ თავიანთ შეცდომას, როცა „რიგი-კულში“ ჩამოსულთა დავთარში ტარტარენის დიდებული სახელი ამოიკითხეს?.. ტარტარენს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ეს ასეც იყო და შინაურულად, მოკეთურად დაუწყო:

— დიდად მოხარული ვარ თქვეთან შეხვედრისა, მშვენიერო ახალგაზრდებო!.. ოღონდ, ნება მიბოძეთ, თავი გაავცნოთ. თქვენ ხომ არ იცით, ვინა ვარ მე, ჰე, მე კი მშვენივრად ვიცი, თქვენ ვინცა ხართ.

— ჩუ, — მოღიმარმა სონიამ ტუჩზე მიიღო. თითი, შვედური ხელთათმანი რომ ჰქონდა შემოტყეცილი, და ტარტარენს ანიშნა ეტლის კოფოზე, სადაც მეეტლის გვერდით მანუეტებიანი ტენორი და ერთიკ კიდევ სხვა ახალგაზრდა რუსი შეფარებოდნენ საწვიმარ ქოლგას; იცინოდნენ და იტალიურად ელაპარაკებოდნენ ერთიმეორეს.

პოლიციელი ერჩია თუ ნიჰილისტები, ამაზე ტარტარენს არ უყოყმანია.

— იცნობთ თუ არა ამ კაცს, სხვა არ იყოს რა? — და-

ეკითხა დაბალის ხმით სონიას და პირისაზე მის ნორჩ სახეს მიუახლოვა, ნათელ თვალებში ჩახედა, ქალმა წამწამი შეარხია დასტურის ნიშნად და თვალები ამ დროს სასტიკი და კუშტი გაუხდა.

გმირი ისე შეთრთოლდა, როგორც თეატრში მოსდის ხოლმე კაცს, კვანძი რომ იხლართება, საამო ჟრუანტელი რომ გივლის და შენ მოხერხებულად ჯდები სავარძელში, რათა უკეთ დაინახო და გაიგონო. პირადად მას უკვე აღარაფერი ესაქმებოდა ყველა ამასთან, გადაურჩა, როგორც იქნა, ღამინდელ საზარელ შიშსა და ზმანებებს, რამაც ხელი შეუშალა, გემრიელად შექცეოდა ყავას, შვეიცარიულად დამზადებულს, ყავას თაფლითა და კარაქით, აიძულა გემზე ყოფნისას, შორს სჭეროდა ქიმიანაგან თავი. ახლა ის მთელის გულმკერდითა სუნთქავდა და ეჩვენებოდა, რომ სიცოცხლე მშვენიერია, ხოლო ეს ახალგაზრდა რუსი ქალაშვილი თავისი სამგზავრო ქუდით, მაღალსაყელოიანი მოქსოვილი კერესით, მკლავებზე რომ ჰქონდა შემოტყეცილი და შემოსწეპოდა მის, ცოტა არ იყო, წვრილს, მაგრამ საუცხოოდ მოხდენილ ტანს — მეტად ტურფა და საყვარელი არსებაა. მერე რა სულ ბავშვი იყო ჯერ! ბავშვეური ჰქონდა წრფელი, უმანკო სიცილი, ბუსუსი ლოყებზე და ძმასაც სანდომიანი ბავშვეური სინატიფით ახურავდა შალს მუხლებზე, თანაც ეუბნებოდა: „ხომ კარგადა ხარ?.. გცივა, იქნებ?“ განა ვინმე იფიქრებდა, რომ ამ პატარა წვრილს ხელს, ნატის ხელთათმანით მოსილს, სულიერი ძალა და სიმხნევე ეყოფოდა, კაცი მოეკლა.

დანარჩენებიც აღარ ეჩვენებოდნენ ისე მძვინვარე ადამიანებად, როგორც წინათ. ყველანი უეშმაკოდ, გულმართლად იცინიან, მართო ავადმყოფს შეეყინება ხოლმე ცოტა დაჭიმული და ტანჯული სიცილი გაწვრილებულ ტუჩებზე; ყველაზე ხმაამაღლა და გულიანად მანილოვი იცინის; სულ ახალგაზრდაა, თუმცა აბურძგნისი წვერითაც შემოსილა, და ანცობს ისე, როგორც მოსწავლე არდადეგებზე; ზოგჯერ გოყური სიმსიარულე წამოუვლის ხოლმე.

მესამე თანამგზავრი გვარად ბოლიბინი, ეტლის კოფოზე რომ იჯდა და იტალიელს ელაპარაკებოდა, ისიც კარგა ბევრს მხიარულობდა; სად იყო და სად არა მობრუნდებოდა ხოლმე და თავის მეგობრებს უთარგმნიდა ცრუ მომღერლის მოყოლილ ამბებს, რაცა შეეხებოდა მის წარმატებას პეტერბურგის ოპერაში, სამიჯნურო შემთხვევა — გამარჯვებებს, იმას, თუ წამოსვლის დროს, რო-

გორ მოაჩვენეს მის გასტროლებზე ნიადაგ მოსიარულე ქალებმა არაჩვეულებრივი საკინძეები მანუეტებისათვის, ზედ ამოკვეთილი სამი ნოტი: Ia, do, ré ანუ l'adoré¹. ეს კალამბური პირიდან პირში გადადიოდა და დიდ მხიარულებას იწვევდა ლანდოში. ტენორი თვითონ უფრო გაიქიმა-გამოიქიმა, გამოშტერებული შეჰყურებდა სონიას და ისე თავმომწონედ იგრებდა ულვაშებს, რომ ტარტარენი უკვე გულში ამბობდა, იქნება, მართლაც ჩვეულებრივი ტურისტები არიან და ესეც ნამდვილი ტენორი არისო?

ეტლები ისევ გამალებით მიქროდნენ, მიგრიალებდნენ ხილებზე, ჩაუქროლებდნენ ხოლმე პატარა ტბებს, აყვავებულ-ამწვანებულ მინდვრებს, მშვენიერ ხეხილის ბალებს, წვიმისაგან დაბზინებულთ და ამჟამად უკაცრიელთ, რადგან კვირადღე იყო და შემხედურ გლეხებსაც სადღესასწაულო ტანსაცმელი ეცვათ, ხოლო დედაკაცებს გრძელი ნაწნავები და ვერცხლის ძეწკვები შეენოდათ. გზა აღმა მიიკლაკნებოდა მუხისა და წიფლის ტყეებს შორის მთაში. ყოველ მოსახვევში, რაც მაღლა ადიოდი, მარცხნივ თანდათან უფრო თვალწარმტაცი ბუნების სურათები იშლებოდა მდინარეებისა თუ ხეობებისა, სადაც ეკლესიების აზიდული სამრეკლოები მოჩანდა და, შორით შორს, უჩინარი მზით განათებული ფინსტერააჩპორნის დათრთვილული მწვერვალი ქათქათებდა თეთრად.

მაღე გზა უფრო პირქუში გახდა, უფრო უდაბური, ველური. ერთ მხარეს, მუქი ჩრდილები გაწოლილიყო დაქანებულ ფერდობზე. ერთმანეთში გადაბარჯვული მრუდე, კორძიანი ხეების ტევრში ნიაღვარი ბრღვინავდა, აღქაფებული; მარჯვნივ კი, ვეებერთელა კლდე წამოშვერილიყო, თვისივე ნაპრალებში ამოხეთქილი ხის ტოტებით აფოფრილი.

ალარავინ იცინოდა ლანდოში; ყველანი გაკვირვებული იყურებოდნენ, თავი უკან გადაეგდოთ და ცდილობდნენ თვალთ გაესინჯათ, სადა ჰქონდა მაღლა დასასრული ამ გრანიტის ხეობას.

— ზედგამოქრილი ატლასის მთებია!.. ასე გეგონებათ, იქა ვართო!.. — დიდის ამბით წარმოთქვა ტარტარენმა, და რაკი მისი ნათქვამისათვის ყურადღება არავის მიუქცევია, დაატანა: — ლომის ზრღღვინვადა აკლია, მეტი არაფერი!

¹ სათაყვანო (ფ რ ა ნ გ.)

— გაგიგონიათ კი, როგორა ბრდღვინავენ ლომები?
მაშ სხვა ვილას გაუგონია!..

მერე შემწყნარებელის ღიმილით, კეთილად წარმოთქვა:

— ტარტარენ ტარასკონელი გახლავართ, ქალბატონო!..

მაგრამ არა ჰყურობთ ამ ბარბაროსებს! „დიუპონი ვარო“, რომ ეთქვა, ორივე ერთი იყო იმათთვის, ასევე გაირჩებოდნენ. თავის დღეში არ გაეგონათ ტარტარენის სახელი.

ჩვენს გმირს ეს მაინც არა სწყენია და როცა ქალიშვილმა ჰკითხა, ლომის ღრიალისა ხომ არ გეშინოდათო, უპასუხა:

— არა, ქალბატონო... ჩემი აქლემი ცახცახებდა ციებცხელე-ბიანსავით, მე კი ისევე მშვიდად ვსინჯავდი ფაღიას, თითქოს წინ ძროხების ჯოგი ყოფილიყოს... შორიდან ეს დაახლოებით აი ასე ისმის, ჰე!

სონიას რომ ნამდვილად წარმოედგინა, ლომი როგორ ღრიალებდა, ტარტარენმა მთლად გაიბოხა ხმა და საზარელი „ღრუ-უ-უ“ ამოუშვა, რამაც, კლდის გამოძახილით გაზრდილ-განვრცობილმა, გრიალით გააყრუა იქაურობა. ცხენები ყალყზე შედგნენ, შიშით შეპყრობილი მგზავრები ზეზე წამოვარდნენ, ცდილობდნენ გაეგოთ, რა მოხდა, უნდოდათ ეპოვათ მიზეზი ამ გამაყრუებელი ხმაურისა. რაკი ლანდო მხოლოდ ნახევრად იყო გადმოხურული, უცებ იცნეს ჩაფხუტიანი მთამსვლელი თავისი ყოვლის მხრიდან გამოჩრილი საჭურველით და ერთხელ კიდევ დაეკითხნენ ერთმანეთს: „ვინ არის, ბოლოს და ბოლოს, ეს მხეციო?“

ის კი ისევე წყნარად და უშფოთველად დაწვრილებით აღწერდა, თავს როგორ უნდა დაესხა ნადირს, როგორ უნდა მოუღო ბოლო, გაატყავო და ნაჭრებად აკუწო; ისიც უთხრა, თავისი შაშხანა რომ დაამშვენა აღმასის ნიშნით, რათა აუცდენლად შეძლებოდა ღამით სროლა. ახალგაზრდა ქალიშვილს მისკენ დაეხარა თავი და გულისყურით უსმენდა, თან ოდნავ უთრთოდა ნესტოები.

— ამბობენ, ბომპონელი კვლავ ისევე ნადირობსო! იცნობთ თუ არა იმას? — ჰკითხა ახალგაზრდა ქალიშვილის ძმამ.

— დიახ, — მიუგო ტარტარენმა და, რომა ვთქვათ, დიდი აღტაცება არ გამოუხატავს. — ცუდი მონადირე არ არის... მაგრამ ჩვენ იმაზე უკეთესები გვყავს.

კარგმა გამგონმა გაიგოსო! მერე ნაღვლიანად განაგრძო:

— მართალია, დიდრონ მხეცებზე ნადირობა დიდ მღელვარებასაც იწვევს, მაგრამ უამისოდ სიცოცხლე გამოფიტული მეჩვენება. აღარც კი იცი, რით შეავსო.

მანილოვს ესმოდა ფრანგული, თუმცა ლაპარაკით ვერ ლაპარაკობდა, დიდის ცნობისმოყვარეობით უსმენდა ტარასკონელს და შუბლი, უბრალო ხალხის შვილის შუბლი, ნაჭრილობებივით ღრმად გადაესვრა, მერე გაიცინა და რაღაცა უთხრა თავის მეგობრებს.

— მანილოვი გაიძახის, ჩვენ თანამოძმენი ვართო, — განუმარტა ტარტარენს სონიამ... — ჩვენც თქვენსავით დიდ მხეცებზე ვნადირობთ.

— დიახ, მართალია... მგლებზე, თეთრ დათვეებზე...

— ოღონდაც, მაშ!.. მგლებზე, დათვეებზე და კიდევ სხვა მანებებელ ცხოველებზე...

და სონიამ ისევ დაიწყო სიცილი ხმიანი, გაუთავებელი, მაგრამ ამჯერად როგორღაც გამსჭვალავი და სასტიკი, სიცილი პირდაღრენილი, რამაც ერთხელ კიდევ მოაგონა ტარტარენს, რა სავეალლო და სხვაგვარ ხალხთან უხდებოდა მოგზაურობა.

უეცრად ეტლები შედგნენ. გზა უფრო ციცაბო ხდებოდა, და ამ ადგილას შორს უნდა მოგველოთ, რომ ბრიუნის უღელტეხილის უმაღლესი წერტილისათვის მიგელწიათ; მოკლე გზით კი, აღმართით, იქ სულ რაღაც ოც წუთში მიხვიდოდით, მშვენიერი წიფლის კორმით. თუმცა დიდის წვიმისაგან დამბალ მიწაზე კაცს ფეხი უცურდებოდა, მაგრამ მგზავრებმა ისარგებლეს გამოდარებით და თითქმის ყველანი ჩამოვიდნენ ეტლებიდან და გაუყვნენ ვიწრო გზას, რა გზითაც შეშას ეზიდებიან ხოლმე მთიდან ციგებით.

იმ ლანდოდან, სადაც ტარტარენი იჯდა და რომელიც ყველაზე ბოლოს მოდიოდა, კაცები გადმოვიდნენ. სონიას გზა მეტად ტალახიანი ეჩვენა და ჩამოსვლის მაგივრად, უფროც მოიკალათა შიგ. როცა მთამსვლელმა, თავისი საჭურველის გამო ცოტა შეგვიანებულმა, ყველაზე უკანასკნელმა დაიწყო გადმოსვლა ლანდოდან, სონიამ ხმადაბლა უთხრა:

— დარჩით აქ!

ეს ისე აღერსიანად, შემპარავად თქვა, საწყალ კაცს ისე შეერყა გული და სული, რომ მაშინვე მომხიბლავი, მაგრამ დაუჭერებელი რომანი წარმოუდგა და ბებერმა გულმა ბაგაბუგი დაუწყო.

მალე კი ჩაუქრა სიხარული, როცა დაინახა: ახალგაზრდა ქალი-შვილი გადმოყუდებულყოფი ლანდოდან და შეწუხებული ადევნებდა თვალს ბოლიბინსა და იტალიელს, რომლებიც ციგების სავალი ბილიკის თავში გაცხოველებით საუბრობდნენ; მანილოვი და ბორისი კი უკვე ბილიკს შესდგომოდნენ და აღმა-აღმა მიდიოდნენ. ცრუ ტენორი, ეტყობა, ყოყმანობდა. თითქოს ინსტინქტი აგრძნობინებდა, ამ სამი კაცის საზოგადოებაში ყოფნა კარგს არას გიქადისო. ბოლოს, როგორც იყო, გადაწყვიტა; და სონია დიდხანს გაჰყურებდა მიმავალს, თან ფუნთუშა ლოყაზე ითათუნებდა პატარა კონას ყოჩივარდებისას, ამ მთის ია-იასი, რომლის ფოთოლსაც ცალ მხარეს ყვავილების ხასხასა ფერი დაჰკრავს.

ლანდოს ცხენები ნაბიჯით მიდიოდნენ, მეეტლე ძირს ჩამოსულიყო და თავის ამხანაგებთან ერთად წინ მიაბიჯებდა; თხუთმეტზე მეტი ეტლი, აღმართის გამო ერთი-ერთმანეთზე მიჯრილი, ცარიელი მიემართებოდა სიჩუმეში. ფრიად აღელვებულ ტარტარენს რაღაც ავი წინათგრძნობა აწუხებდა და თანამგზავრი ქალისაკენ თვალის გაპარება ვერ გაეხდა — რა არის, სულ უბრალო რამ სიტყვას თუ შეხედვას არ გაეხდა იგი მთავარ მოქმედ პირად თუ არა, თანამონაწილედ მაინც იმ დრამისა, საცაა რომ უნდა გათამაშებულიყო, — გუმანი ასე ამცნობდა. მაგრამ სონია ამას ყურადღებას სულაც არ აქცევდა, თვალგაშტერებული უაზროდ იცაცუნებდა ყვავილებს ბუსუსით ოდნავ დაფარულ ლოყაზე.

— ამრიგად, — თქვა ქალმა კარგა სიჩუმის შემდეგ, — თქვენ ახლა იცით, ვინცა ვართ, მე და ჩემი მეგობრები... მერე! რას ფიქრობთ ჩვენზე? რას ფიქრობენ ჩვენზე ფრანგები?

ჩვენს გმირს ხან ფერი მისდიოდა, ხან წითლდებოდა. შიში აკრთობდა, გაუფრთხილებელი რამ სიტყვით არ ავიმხედრო ეს შურისმგებელი ხალხიო; არადა, მეორეს მხრივ, როგორ უნდა შეკავშირებოდა მკვლევებს? ამიტომაც იგავური პასუხით დაიძვრინა თავი:

— მაშ და მე, ქალბატონო, თქვენ წელან მეუბნებოდით, რომ ჩვენ თანამოძმენი ვართ ყველანი, — გველეშაპებზე, ურჩხულებზე, მტარვალეებზე და ონავარ ცხოველებზე მონადირენი. მე თქვენ ისევე გიპასუხებთ ამაზე, როგორც წმიდა ჰუბერის ძმობის კაცი გიპასუხებდათ... მხეცებზე საჭიროა აღამიანმა კანონით დაწესებული იარაღი იხმაროს. ყიულ ქერარი, სახელოვანი მომსვრელი ლომებისა,

სასკდომ ტყვიებს იყენებდა... მე ეს არ მიმაჩნია მოსაწონად, თავის დღეშიაც ასე არ მიმოქმედნია... ლომზე და ავაზაზე სანადიროდ რომ მივიდიოდი ხოლმე, მხეცს პირდაპირ წინ დავუდგებოდი, ერთი კარგი, პატიოსანი ორლულიანი შაშხანა მქონდა თან, და — ბაჰ! ბუჰ! — თითო თვალში თითო ტყვიას დავუტყლიდი.

— თითო თვალში!.. — წამოიძახა სონიამ.

— არასოდეს დამიცილებია!

ეუბნებოდა ასე ტარტარენი და თავისი ნათქვამისა თვითვე სჯეროდა.

ახალგაზრდა ქალიშვილი გულუბრყვილო აღტაცებით შეჰყურებდა და ხმამალა ფიქრობდა:

— ეს მართლაც რომ ყველაზე უეჭველი იქნება.

უეცრად ტოტებისა და ბუჩქების ლაწალუწი გაისმა, ზემოთ ვიდაც მოარღვევდა ტევრს, თანაც ისეთის სისწრაფითა და სიმარჯვით, რომ ტარტარენს, სამონადირო ამბებით თავგამოტენილს, მოეჩვენა — ზაქარაში ვარ და მხეცს ვუდარილებო. მანილოვი ზედ ეტლთან ჩამოხტა უჩუმრად ფლატეზე. ეკლით მთლად დახოკილ სახეზე პატარა თვალები უბრწყინავდა, წვერსა და გაბურძგნულ თმაზე ტოტებიდან მონასხური წყალი ჩამოსდიოდა. სუნთქვაშეკრული, მოკლე და მსხვილი ბანჯგვლიანი ხელით დაებჯინა ეტლის კარს და რუსულად რაღაც უთხრა სონიას. ესეც მიუბრუნდა ტარტარენს და მოჭრით მიმართა:

— თქვენი თოკი... ჩქარა!..

— ჩე...მი...თოკი? — წაილულლულა გმირმა.

— ჩქარა, ჩქარა!.. მალე უკანვე დაგიბრუნდებათ.

სიტყვა აღარ გაუგრძელებია და ხელთათმანით მოსილი პატარა ხელებით დაეხმარა ტარტარენს როგორმე შეეხსნა განთქმული თოკი, ავინიონში დამზადებული. მანილოვმა მხიარული ღრუტუნით გამოართვა შეკრულა და გარეულ კატასავით მოქნილად ორი ნახტომით აიბლოტა ისევ და ტევრში შეიმალა.

— რა ხდება იქ?.. რას ებირებინან?.. რა მძვინვარე სახე აქვს!.. — დუღუნებდა ტარტარენი და თავისი ფიქრი ახდილად ვერ გამოთქვა.

მანილოვი და მძვინვარე?! აჰ! როგორ ეტყობა, რომ ვერ იცნობს! მაგაზე უფრო კარგს, უფრო დამყოლი ხასიათის პატრონს, უფრო

გულმტკივნეულს ვერვის ნახავთ ქვეყანაზე. სონიამ ნათელი ლურჯი თვალები მიაპყრო ტარტარენს და ამ განსაკუთრებული ბუნების ადამიანის დასახასიათებლად ეს უამბო: ერთხელ ერთ მეტად სახიფათო დავალებას ასრულებდა ჩემი მეგობარი და იმ. მარხილს შეახტა, რომელსაც უნდა გაეპარებინა და მღვევებისაგან დაეხსნა იგი. თურმე მაშინვე დაემუქრა მეეტლეს, გადმოვხტები, თუ კიდევ დაარტყამ და ილაჯს გაუწყვეტ ცხენსაო, თუმცა პირუტყვის სწრაფ სიარულზე იყო დამოკიდებული მისი გადარჩენა.

ტარტარენმა ეს საქციელი ანტიკური გმირის შესაფერის საქციელად მიიჩნია. მერე რომ დაფიქრდა, რამდენი სიცოცხლე შეიწირა ამ მანილოვმა, ისევე უდანაშაულომ, როგორც მიწისძვრა და ამოხეთქილი ვულკანია თავის მსხვერპლთა მიმართ, მანილოვმა, რომელიც ამავე დროს ვერ იტანდა, იმის წინ რომ პირუტყვს აწვალებდნენ, ჩვენი გმირი გულუბრყვილოდ დაეკითხა ახალგაზრდა ქალიშვილს:

— ბევრი ხალხი დაიღუპა ზამთრის სასახლის აფეთქების დროს?

— ძალიან ბევრი, — ნაღვლიანად უპასუხა სონიამ. — ის ერთადერთი კი, ვინც უნდა დაღუპულიყო, გადარჩა.

შეურვებული ქალი დადუმდა, თავი დახარა და ოქროსფერი გრძელი წამწამები მის მკრთალ მოვარდისფრო დაწვებს ელამუნებოდა. ისეთი ლამაზი იყო ამ დროს, რომ ტარტარენი მოიხიბლა ამ ახალგაზრდული სილამაზით, მოიხიბლა ამ უცნაური პატარა ქალწულის ირგვლივ მოფენილი სინორჩის სურნელით და ინანა კიდევაც, გული რად ვატკინე, რად დავანადგვლიანეო.

— მაშ, ბრძოლა, რომელსაც ჩვენ ვეწვევით, უსამართლო, არაადამიანური გეჩვენებათ?

— ქალი ამას რომ ამბობდა, ტარტარენისკენ გადაიხარა, სუნთქვითა და თვალით უალერსებდა; ჩვენი გმირი შეტოკდა...

— როცა ხალხს ილაჯი უწყდება, სული ეხუთება, განა ყოველი იარაღი გამოსადეგი და კანონიერი არ არის, რათა ის გამოიხსნა?

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა...

და რაც უფრო სუსტობდა ტარტარენი, მით უფრო დაჟინებით იცავდა თავისას ქალი:

— ახლახან მეუბნებოდით, სიცარიელე რით უნდა შევავსოო? არა ფიქრობთ, განა, რომ უფრო კეთილშობილური და საინტერე-

სოც იქნებოდა, სიცოცხლე გაგეწირათ დიდი რამ საქმისათვის, ვიდრე საფრთხეში ჩაგეგდოთ ლომებზე ნადირობით, ანდა მყინვარებზე ძვრომით?

— მართლაც... — წარმოთქვა თავდავიწყებულმა, გაბრუებულმა ტარტარენმა. გიჟური, დაუძლეველი სურვილი მოერია აელო და დაეკოცნა ეს პაწია ცხელი ხელი, რომელსაც ქალი ლაპარაკში თითქოს იშველიებდა, — მეტი დამაჯერებლობა რომ მიეცა თავისი სიტყვებისათვის, — და მკლავზე დაადო, როგორც მაშინ ღამით, იქ, რიგი-კულმიზე, როდესაც ტარტარენი ნაპოვნ ფეხსაცმელს აწვდიდა. ბოლოს ტარტარენმა ვედარ მოითმინა და თავის ხელებში ჩაბლუჯა ეს ხელთათმანიანი პატარა ხელი.

— ყური მიგდეთ, სონია, — უთხრა ქალს თავისი კეთილი ბოხი ხმით როგორღაც შინაურულად და მამობრივად, — ყური მიგდეთ, სონია...

ღანდო უეცრად გაჩერდა და ტარტარენს სიტყვა პირში გაუწყვდა. ბრიუნის უღელტეხილის უმაღლეს ადგილზე მოსულიყვნენ. მგზავრებიცა და მეეტლეებიც თავ-თავიანთი ეტლებისაკენ მიეშურებოდნენ, რათა დაკარგული დრო აენაზღაურებინათ და ქროლვა-ქროლვით მიედწიათ მახლობელი სოფლისათვის, სადაც უნდა ესაუზმათ და ცხენები გამოეცვალოთ. სამმა რუსმა თავ-თავისი ადგილი დაიკირა; იტალიელის ადგილზე არავინ იყო.

— ერთ-ერთ წინა ეტლში ჩაჯდა, — უთხრა ბორისმა მეეტლეს, როცა ამ კაცმა იტალიელი მოიკითხა; მერე ტარტარენს მიუბრუნდა, რაკი შეატყო, შფოთავდა:

— უნდა მოჰკითხოთ თქვენი თოკი. დაიტოვა; მქონდესო.

ამას ისევ სიცილი მოჰყვა, ღანდოში ყველანი გამოცოცხლდნენ. მამაც ტარტარენს კი, ვერაფერი გაეგო და საშინლად იტანჯებოდა, არ იცოდა, რა ერწმუნა, რა ეფიქრა ამ გუმანმიტანილ მკვლევებზე, ასე გულმხიარულად რომ იყვნენ, თანაც ასე გულუბრყვილოდ რომ გამოიყურებოდნენ. სონია თავის ავადმყოფს ფუთინდა ლაბადასა და შალის მოსასხამებში, რადგან მაღალი მთის ისედაც ცივი ჰაერი, ეტლების სწრაფ სვლაზე, კიდევ უფრო ცივდა სცემდა; თან რუსულად უამბობდა ტარტარენთან თავის ნალაპარაკებს; მეტად საამოდ გამოსდიოდა ეს „ბაჰ! ბუჰ!“, რასაც ხან ერთი, ხან მეორე თანამგზავრი იმეორებდა გმირით აღტაცებული, მარტოოდენ მანილოვი უნდობლად აქანებდა თავს.

აგერ გაჩერება!

მოზრდილი სოფლის მოედანზე დგას ფუნდუკი დამპალი ხის აივნითა და დაჟანგებულ ბრჯენზე ჩამოკიდებული აბრით დამშვენებული. აქ გრძელ მწკრივად ჩერდება ეტლები და, სანამ გამოხსნიან და გამოუშვებენ ცხენებს, დამშეული მგზავრები გაჩქარებული გარბიან და დაედებიან ხოლმე მეორე სართულის მწვანედ შელებილ, შმორიან დარბაზს, სადაც გრძელი საერთო მაგიდაა გაშლილი ოცსა თუ მეტ კაცზე. მაგრამ ახლა აქ სამოცს მოუყრია თავი და ამიტომაც ხუთიოდე წუთს გრძელდება ერთი საშინელი ზედახოცვა და ყვირილი; გააფთრებით ერთმანეთს პირში ებმიან საკომპოტეების ირგვლივ თავმოყრილი შავქლიაველები და ბრინჯის მოყვარულნი. თავგზადაკარგულ მეფუნდუკეს ქაჯი შეჰყრია, — თითქოს ეს პირველი იყოს და საფოსტო ეტლებს მუდამდღე ერთსა და იმავე საათზე არ უხდებოდეს აქ ჩამოვლა, — იგი აჩქარებს, ერეკება მოახლე ქალებს, თავიანთი პატრონივით მუდამ დაფეთებულებს. ეს ქალებიც აქეთ-იქით ეხლებიან და მშვენიერი შემთხვევა ეძლევათ, რათა სუფრაზე მხოლოდ ნახევარი მოიტანონ საქმელების ნუსხაში აღნიშნული კერძებისა და მგზავრებს ჰკუაზე შესარყევი ხურდა დაუბრუნონ, ისე რომ შვეიცარიული თეთრი სუ ორმოცდაათ სანტიმად იქნეს გასაღებული.

— ეტლში ხომ არ გვესადილა? — ამბობს სონია, ამ აღიაქოთით გაბეზრებული.

რაკი მათთვის სხვას არავისა სცალია, ახალგაზრდა კაცები თვითონ ირჯებიან. მანილოვი ბრუნდება და თან ცივად მოხარშულ ცხვრის ბარკალს მოაქნევს, ბოლიბინს გრძელი პური და წვრილწვრილი ძეხვი მოაქვს. სურსათით ყველაზე უკეთესი მომმარაგებელი მაინც ტარტარენი გამოდგა. სწორედ რომ ვთქვათ, შესანიშნავი შემთხვევა ეძლეოდა — ესარგებლა ამ ორომტრიალით და თავი დაეღწია თავისი თანამგზავრებისათვის, ან ის მაინც გაეგო დარწმუნებით, გამოჩნდა თუ არა იტალიელი, მაგრამ ამაზე როდი უფიქრია, „ბალდის“ საუზმის მეტი სხვა აღარაფერი ახსოვდა და ისიც უნდოდა ეჩვენებინა მანილოვისათვის და სხვებისათვისაც, თუ რის შემძლეა ყოჩაღი, გერგილიანი ტარასკონელი.

როცა დინჯად მომზირალი ტარტარენი დიდის ამბით ჩამოდიოდა ფუნდუკის პარმალზე და ღონიერი ხელებით დიდი სინი მოჰქონდა,

რაზედაც თეფშები, ხელსაწმენდები, საუკეთესო საქმელი და ოქროსთავიანი შვეიცარიული შამპანური ელაგა, სონიამ ტაში შემოჰკრა და დიდად მოუწონა:

— როგორ მოახერხეთ, ნეტა?

— მე თვითონაც არ ვიცი... მოხერხდა როგორღაც!.. ასეთები გახლავართ ტარასკონელები.

ოჰ, ეს ნეტარი წუთები! არ ამოიშლება გმირის ცხოვრებაში ეს საამო საუზმე, თითქმის კალთაზე რომ მიართვა ქალს, საუზმე, რომელსაც ფონად საოპერეტო დეკორაცია ჰქონდა: სოფლის მოედანი, ჰადრაკულად არიგებულ-ჩარიგებული მწვანე ხეები და მათ ჩეროში მბზინავი ოქროს ვარაყი და აბრეშუმი მოპრანჭული, თოჯინებივით წყვილ-წყვილად მოსეირნე შვეიცარიელი ყმაწვილი ქალებისა.

რა გემრიელი ეჩვენა პური, რა ყუათიანი ეს წვრილი ძხვები! თვით ცამაც რომ ხელი შეუწყოს, — მოწყალე თვალით გადმოხედა, ნახად დაბინდულმა თანამოსუფრეთ. წვიმს, მართალია, მაგრამ ყინულლავს მხოლოდ მეჩხერ წვეთებად და თითქოს სწორედ იმდენი მოდის, რომ წყლით გააზავოს შვეიცარიული შამპანური, სამხრეთელი კაცისათვის, ცოტა არ იყოს, მოსარიდალი. აივნის ქვეშ ტიროლურ კვარტეტს მოუკალათია, — ორ გოლიათსა და ორ ჯუჯაქალას, მძიმე, ჭყეტელა ძონქებში გამოხვეულებს. იტყვიო, გაკოტრებული საბაზრო ბალაგანის მონარჩენები არიანო. ოთხივენი თავდაუზოგავად იხლეჩენ ყრონტს. მათი გაბმული „ოუ... ოუ...“ თეფშებისა და ჭიქების წკრიალ-ჩხარუნში ირევა. უჯმაჯურები და ჩერჩეტები არიან. მიბრუნ-მიბრუნებას ვერ ახერხებენ, გამხმარი კისრის ძარღვები თოკებივით დასჭიმვიათ. მაგრამ ტარტარენი მათ მეტად კარგ თვალზე ხედავს და ბლუჯა-ბლუჯა ესერის ხურდა ფულს, რითაც მეტად ანცვიფრებს სოფლელებს, ცხენებგამომეებული ლანდოს ირგვლივ რომ მოუყრიათ თავი.

— გა უ მ ა რ ჩ ო ს ს ა პ რ ა ნ გ ე ტ ს, — ისმის ვილაციის აკანკალებული ხმა და ხალხის ბრბოდან გამოდის მაღალი მოხუცი, ვერცხლისღილებიან არაჩვეულებრივ ცისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი; ორი ჩაგრძელებული კალთა ფეხებში დასთრევს. თავზე მაღლააშვარილი ჯილით დამშვენებული უშველებელი სამხედრო ქუდი ხურავს, კომბოსტოს მწნილის ჩასადები კასრის მსგავსი, და თანაც ისეთი მძიმე, რომ მოხუცი იძულებულია წონასწორობის დასაცავად ხელები ჯამბაზივით აქეთ-იქით აქნიოს.

— ზველი სალდათი... მეფის გვარტიისა. კარ-
ლოს მეატე...

ტარასკონელს ბომპარის ნაამბობი ჯერაც არ გაჰქარვებია, ამი-
ტომაც იცინის, მოხუცს თვალს ჩაუკრავს და სულ დაბალის ხმით
ეუბნება:

— ეგ ჩვენც ვიცით, ძველო...

მაგრამ მაინც აძლევს ვერცხლის ფულს და ჭიქას პირთამდე უვ-
სებს. მოხუციც არ უარობს და თვითონაც სიცილით თვალს უშვრე-
ბა, არ კი იცის — რატომ. მერე გამოიღებს პირის კუთხეში გაჩრილ
უშველებელ ფაიფურის ჩიბუხს, მაღლა ასწევს ჭიქას და სვამს
„კომპანიის კეთილდღეობისას“, რაც საბოლოოდ არწმუნებს ტარ-
ტარენს, რომ იმის წინ ბომპარის ერთ-ერთი თანამოსაქმეა.

რა უშავს მერე, სადღეგრძელო სადღეგრძელოა!

ტარტარენი ფეხზე წამოდგება ლანდოში, მაღლა ასწევს ჭიქას
თვალზე ცრემლმომდგარი, და ხმამაღლა წარმოსთქვამს სადღეგრ-
ძელოს ჯერ „საფრანგეთისას, თავისი სამშობლოსი...“, მერე პურა-
დი, სტუმართმოყვარე შვეიცარიისას. ამბობს, ბედნიერადა ვთვლი
თავს, რაკი შემიძლია საჯაროდ, ყველას გასაგონად მადლობა გამო-
ვუცხადო იმ გულთბილი მიღებისათვის, რასაც ეს მხარე ყველა
დამარცხებულსა და ყველა დევნილს უწევსო. ბოლოს ხმას დაუმ-
დაბლებს და თავის თანამგზავრებს მიუბრუნდება, უსურვებს, მალე
დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ქვეყანაში, მალე ენახოთ მშობლები,
ერთგული მეგობრები, მოჰკიდებოდნენ საპატიო საქმიანობას,
უსურვებს, ბოლო მოჰკიდებოდეს ამ შინაბრძოლას, — მართლაც,
ერთმანეთის მოსპობაში ხომ არ უნდა გაატარო შენი წუთასოფე-
ლიო!

სანამ ტარტარენი სადღეგრძელოს ამბობს, სონიას ძმას ცივი
და დამცინავი ღიმილი უჭრის ოქროსფერ სათვალის უკან. მანი-
ლოვს თავი წინ წაუწევია, წარბი შეუკრავს, რის გამოც შუბლზე
ღარი უფრო გაჰლრმავებია, თითქოს თავს ეკითხება, როდის მორ-
ჩება, ნეტა, ყბედობას ეს სქელი ვაჟბატონიო? ხოლო კოფოზე დას-
კუპებული ბოლიბინი უშნოდ მანკავს ისედაც სასაცილო, თათარი-
ვით ყვითელსა და მოთელილ სახეს და პატარა საზიზღარ მაიჟუნსა
ჰკავს, ტარასკონელის მხრებზე აცოცებულს.

მარტო ახალგაზრდა ქალიშვილი უგდებს ყურს მეტად დაღინჯე-

ბულად, ცდილობს გაიგოს, რას წარმოადგენს ეს უცნაური ჯურის ყაცი. ნეტა თუ ფიქრობს იმას, რასაც ამბობს? ან ჩაუდენია განა ყველაფერი, რაცა აქვს ნაამბობი? ჭკუაზეა შემცდარი, მასხარა, თუ მხოლოდ ყბედი, როგორც ირწმუნება მანილოვი. მანილოვი ამ სიტყვას მეტად საძულველ აზრს აქსოვს, რაკი თვითონ ნამოქმედარსა და ნათქვამს ერთმანეთისაგან არა თიშავს.

გამოცდის ჟამიც მაშინვე დაუდგა. სადღეგრძელო რომ წარმოთქვა ტარტარენმა, კვლავ თავის ადგილზე დაბრძანდა, მაგრამ აი, სროლის ხმა გაისმა, ერთი, მეორე, მესამე, სადაც სულ ახლოს ფუნდუკიდან, და ჩვენი გმირი საშინლად აღელვებული, ყურებდა-ცქვეტილი წამოხტა და ჰაერს ყნოსვა დაუწყო.

— ვინ ისრტლა?.. სად იყო?.. რა მოხდა?

და როგორცა სჩვეოდა ათასგვარი ამბების შემთხვევლ მის თავს, მაშინვე მთელი დრამა წარმოიდგინა: თითქოს შეიარაღებული თავდასხმა მოეწყობო ეტლებზე და მარჯვე შემთხვევა ეძლეოდა დაეცვა ღირსება და სიცოცხლე ამ მომხიბლავი ახალგაზრდა ქალიშვილისა. მაგრამ რის თავდასხმა! ეს სროლის ხმა უბრალოდ Stand-დან მოდიოდა, სადაც სოფლის ახალგაზრდობა ყოველ კვირა დღე სროლაში ვარჯიშობს. ცხენები ჯერ არ შეუბამთ და ტარტარენი, ვითომც აქ არაფერიაო, სთავაზობს თანამგზავრებს, გავისეირნოთ იქით და ვუყუროთ, როგორ ისვრიანო. ამას რომ აბობს, ტარტარენს თავისი მოსაზრება აქვს და სონიას კიდევ თავისი, როცა თანხმდება. წინ გაიძლოეს მოხუცი მეფის გვარდიელი, უშველებელი ქუდი რომ ეხურა და სიარულში აქეთ-იქით რომ ირხეოდა, მასთან ერთად გადაჭრეს მოედანი, ცნობისმოყვარეთა ბრბო გაარღვიეს და მათივე თანხლებით განაგრძეს გზა.

ახალგაშალაშინებულ ნაძვის ძელებზე შემდგარი, ჩალისსახურავიანი „შტანდი“, სულ მთლად ჩვეულებრივ საბაზრო ტირს წაავავს, იმ განსხვავებით, რომ აქ მოყვარულნი თავთავიანთი იარაღით მოდიან — ძველი სისტემის ზუმბოიანი თოფებით, — და მარჯვე მსროლელებიც არიან. გასუდრული, გულზე ხელდაკრეფილი ტარტარენი არჩევს თითოეულ გასროლას, ხმამალა შენიშნავს ნაკლს,

1 ბალაგანი (გერმ).

რჩევას იძლევა, მაგრამ სროლით კი არ ისვრის. რუსები თვალყურს ადევნებენ და ერთმანეთს რალაცას ანიშნებენ.

— ბაჰ!.. ბაჰ!.. — იკრიჭება ბოლიბინი, ხელს ლოყაზე ისე იღებს, ვითომც თოფი უჭირავს და თანაც ტარასკონულ კილოსა ჰბაძავს.

ტარტარენი უცებ მოუბრუნდება, სახელეწილი და ბრაზმორეული.

— დიახაც რომ, ახალგაზრდავ... ბაჰ! ბუჰ!.. და რამდენჯერაც გენებოთ.

მსწრაფლ დატენის თავის ძველ ორლულიან შაშხანას, რომელსაც ალბათ შველზე მონადირეთა არა ერთი თაობისათვის გაუწევია სამსახური!.. ბაჰ! ბუჰ!.. და მზად არის, ორივე ტყვია ნიშანს ზედება. ყოველი მხრიდან აღფრთოვანებული ვაშას ძახილი გაისმის. სონია ხარობს, ბოლიბინს აღარ ეცინება.

— ეგ რა არის, — ამბობს ტარტარენი, — თქვენ ახლა მიყურეთ...

„შტანდი“ როდიღა ჰყოფნის, სხვა რამ საგანს დაეძებს, რომ ესროლოს და მიღეწოს. შეშინებული ბრბო უკან-უკან იხევს ამ არნახული, ჩასხმული, მძვინვარე მთამსვლელის წინაშე, შაშხანა რომ დაუბლუჯავს და მოხუც მეფის გვარდიელს უცხადებს, კბილებში გაჩრილ მავ ჩიბუხს ვესვრი ახლავ და მივამსხვრევ ორმოცდაათ ნაბიჯზეო. მოხუცი შემზარავი ყვირილით გარბის და ბრბოში იმალება; მხოლოდღა მისი ჯიღა მიცახცახებს სოფლელების მკიდროდ მიტყუპებული თავების ზემოთ. მაგრამ ტარტარენი თავისას არ იშლის, უნდა უეჭველად რასმე ჰკრას ეს ტყვია:

— ჯანდაბას მისი თავი, აბა, ტარასკონულად ვუმარჯვოთ...

და გამობრძმედილი ქულზე მონადირე დაძაგრავს, რაც ძალი და ღონე აქვს, თავის ორკეც კუნთებს, ჰაერში შეისვრის თავსამკაულს, ესვრის და გახვრეტს კიდევაც.

— ბრავო! — შესძახებს სონია და მაუდის ქუდის ნატყვიარ ადგილას დაარკობს მთის ყვავილების კონას, რომელსაც ლოყაზე იცატუნებდა ამ ცოტა ხნის წინათ.

ამ ტურფა ნადავლით ბრუნდება უკან და ჩაბრძანდება ეტლში ტარტარენი. საყვირი უკრავს და ეტლებიც ადგილიდან იძვრიან, ცხენები კენებ-კენებით ეშვებიან ბრიენცის თავდადმართზე — ამ

მშვენიერ გზაზე, ლავგარდანივით რომ არის გაჭრილი კლდეებში და ათას მეტრზე უფრო ღრმა უფსკრულს მხოლოდ ბოძკინტები აშორებს, ერთიმეორისაგან ორ-ორი მეტრის მანძილზე დასობილი. მაგრამ ტარტარენს განაღა ახსოვს საშიშროება? არც არემარე იზიდავს მის თვალს. არ უყურებს იგი მეირინგენის ველს, წვიმის ნათელი ნისლის საბურში განვეულა, არც ლარივით გაქიმულ მდინარეს, ტბასა თუ სოფლებს, ერთიერთმანეთს რომ ეკვრიან შორით, არც მთებით დაფარულ პორიზონტს, არც მყინვარებს, ზოგჯერ ღრუბლებში რომ ვერ გამოარჩევთ და გზის ყოველ მოსახვევში რომ გადაინაცვლებენ ხოლმე ადგილს, — ხან უკან დაიხვევენ, ხან კვლავ გამოჩნდებიან, თითქოს დეკორაცია გამოიცვალაო.

ნაზი ფიქრებით გულაჩვილებული ჩვენი გმირი შეფრფინვით უმზერს მის პირდაპირ მჭდომ საყვარელ ნორჩ არსებას და ფიქრობს: დიდება სანახევრო ბედნიერებაა მხოლოდ, გულში სევდის დამბუღებელია მოსესავით ეულად და მორჭმულად დაბერება, და რარიგ გაახალისებდა ჩრდილოეთის ეს სუსტი ყვავილი მის პატარა ბაღს ტარასკონში, როგორ გამოაცოცხლებდა იქ გამეფებულ ერთფეროვან ცხოვრებას, თანაც ბევრად უფრო საამო სახილავი და სურნელოვნების მომფენი იქნებოდა, ვიდრე ციციქნა ქოთანში მოთავსებული მარადიული ბაობაბი, *arbos gigantea*. სონიასაც მიუპყრია ტარტარენისათვის თავისი ბავშვური თვალეები, ფიქრიანად შეუყრავს სიჯიუტის მამხელი შუბლი და რალაც ოცნებაში წასულა; მაგრამ ვინ გაიგებს, რაზედ ოცნებობენ ახალგაზრდა ქალიშვილები?

VII

ტარასკონის ლაშქარი. სად არის იგი? წახილი. ჰრიპინოგელევი ქალაქის სასაირნო წრისა უკან უხმოგან ტარტარენს. წამებანი ტარასკონელი დიდი მოწამისა. ალკინელევი კლუბი. რა მოხდა აფთიაქში, მსირი მოედანზე? მიხველეთ, გზიუპა!

— წერილია თქვენთან, ბატონო ბეზიუყე!.. შევიცარიიდან მოვიდა, ჰე... შევიცარიიდან! — გაჰკიოდა მხიარულად საღამო ჟამს ფოსტალიონი მცირე მოედნის ერთ ბოლოში, ჰაერში რალაცას მოაქნევდა და აფთიაქისაკენ მოეშურებოდა.

მეაფთიაქე სუფთა ჰაერის ჩასაყლაპავად გამოსულიყო ყილეტის

ამარა თავის კარწინ და ფოსტალიონი რომ დინახა, წამოხტა უცებ ზეზე, გიჟივით გამოჰგლიჯა ხელიდან წერილი და თან წარიტაცა თავის ბუნავში, სადაც სხვადასხვა ელექსირებისა და ხმელი ბალახების ნაირ-ნაირი სუნი იდგა, მაგრამ არ გახსნა მანამ, სანამ წერილების დამტარებელს სამახარობლოს საზღაურად ერთი ჭიქა სანაჭებო მაგრილებელი მკვდრის სიროფი არ გადააჯვრევინა და არ გაისტუმრა.

თხუთმეტი დღე მოელოდა ბეზიუკე ამ წერილს შვეიცარიიდან, ძალზე მოუსვენარს თხუთმეტი დღე ეჭირა იქით ყური და თვალი. და, აჰა, მოვიდა ბოლოს ეს წერილიც! დახედა თუ არა კონვერტზე წერილად და მიჯრით, მაგრამ მტკიცე ხელით დაწერილ მისამართს, დინახა თუ არა ზედ საფოსტო განყოფილების „ინტერლაკენის“ სახელწოდება და იისფერი დიდი შტემპელი: „ოტელი იუნგფრაუ, მგლობელი მეიერი“, თვალებზე ცრემლით აევსო, გაბარჯღული უღვაში ბერბერიელი მეკობრისა აუთამაშდა და შიგ რალაცნაირმა კეთილმა სტვენამ გამოატანა.

„კონფიდენციალურია. წაიკითხეთ და დახიეთ“.

ფურცლის თავში დიდრონი ასოებითა და სარეცეპტო წიგნების მოკვეთილ-სადეპეშო სტილით დაწერილმა ამ სიტყვებმა — მსგავსად ამისა: „გარეგანია. შეაჭანჭყარეთ დალევის წინ“, — ისეთნაირად ააღლევეს და გადაარიეს შეაფთიაქე, რომ ხმამალა დაიწყო კითხვა, თანაც ისეთის ხმით, როგორც მძიმე სიზმრის დროს იცის ხოლმე კაცმა:

„საშინელება რალაც დამემართა...“

მეზობელ ოთახში დედას, ქ-ნ ბეზიუკეს, თავის ჩვეულებისამებრ ნავახშმევს თვლემდა და შეეძლო ყველაფერი გაეგონა. ასევე ყველაფრის გაგონება შეეძლო მოწაფესაც, რომლის სანაყსაც ლაბორატორიაში თანაბარი რაწკუნი გაჰქონდა მარმარილოს მოზრდილ ფილში. ამიტომ ბეზიუკემ ხმას დაუდაბლა და ისე გააგრძელა კითხვა, ორჯერ თუ სამჯერ ისევ დაუბრუნდა წაკითხულს საშინლად გადაფითრებული და, გადაუჭარბებლად რომა ვთქვათ, თმა ყალყზე ჰქონდა დამდგარი... მერე უცებ თვალი მოატარა იქაურობას და — ფხრიწ... ფხრიწ... — ნაკუწ-ნაკუწად ჰქეულ წერილს კალათა-

ში ჩაუძახა. მერე, რომ შეაერთონ ეს ნაკუწები?! და ბეზიუკე ის იყო ნაკუწების ამოსაღებად დაიხარა, რომ ამ დროს მოხუცი ქალის აკანკალებული ხმა შემოესმა:

— ჰე, ფერდინანდ, შენა ხარ?

— დიახ, დედილო... — უპასუხებს საცოდავი მეკობრე და, შეძრწუნებულს, მაგიდის ქვეშ წახრილი ვეება სხეული ადგილზევე გაუშეშდება.

— რას აკეთებ მანდ, ჩემო საუნჯევე?

— რას ვაკეთებ?... მ-მ... თვალის წვეთებს ვამზადებ მადმუაზელ ტურნატუარისათვის.

მოხუცი დედა კვლავ თვლემს; მოწათის სანაყი კი, წუთით მიყუჩებული, ისევ მოჰყვება თავის აუჩქარებელ, ქანქარისებურ მოძრაობას და ნანინას მაგიერობას უწევს სახლსა და მცირე მოედანს, ზაფხულის მიღეული დღით მოქანცულ-მიბნედილს. ბეზიუკე ახლა აფთიაქის კარების წინ დაალაჩებს და ხან ვარდისფერი, ხანაც მწვანე ჩანს, იმისდა მიხედვით, თუ რომელი მინის სფეროს შუქი ეცემა. ხელებს ადაპყრობს და უთავბოლო სიტყვებს ბურღლუნებს: „უბედური... დაიღუპა... საბედისწერო სიყვარული... რანაირად გამოვიხსნათ?“ და თუმცა მთლად დაბნეულ-არეულია, მაინც მხიარული სტვენით მიაცილებს დრაგუნებს, რომლებიც მეცადინეობიდან ბრუნდებიან და ქალაქის სასეირნო წრის კადრებში იკარგებიან.

— გაგიმარჯოთ, ბეზიუკე!.. — გამოსძახებს ნაცრისფერ ბინდში ვიდაცის გაჩქარებული ლანდი.

— საით მიხვალთ, პეგულად?

— კლუბში, სხვაგან სად!.. საღამოს სხდომაა. ტარტარენზე და პრეზიდენტის არჩევაზე იქნება ლაპარაკი... უნდა მოხვიდეთ.

— მოვალ, მაშ არ მოვალ!.. — უპასუხებს მოჭრით მეაფთიაქე, რომელსაც ზეგარდმო ნიჭით შთაგონებული აზრი გაუელვებს გონებაში.

შინ შებრუნდება, სერთუკს ჩაიცვამს და ჯიბეებს ისინჯავს, რომ დარწმუნდეს, შიგ აქვს თუ არა გასაღები და ამერიკული კასტეტი, ურომლისოდაც ვერც ერთი ტარასკონელი ვერ გაბედავს ქუჩაში გაშოსვლას საღამოს ბუკის დაკვრის შემდეგ. მერე იძახის: „პასკალონი!.. პასკალონი!..“ — იძახის დაბალის ხმით, ეშინია, მოხუცებულ ქალი არ გავადვიდო.

ყერ სულ ჰაბუქსა და უკვე გამელოტებულს, — თითქოს ბუნე-
ბით მინიჭებულ მთელ მის თმას ქერა ხუჭუჭა წვერში გადაენაცე-
ლებინოს, — მეაფთიაქის მოწაფე პასკალონს ფანატიკოსივით შე-
ფრფინული სული, გუმბათივით წამოდგმული შუბლი, ფეთიანი
თხის თვალები და ბოკერულ ფუნთუშასავით ნაზი, დაბრაწული
ლოყები ჰქონდა. დიდ ალპურ დღესასწაულებზე კლუბი მუდამ მას
ანდობდა ხოლმე დროშის ტარებას. ყმაწვილ კაცში პ. ა. კ. იწვევდა
რალაც აღფრთოვანებულ თაყვანისცემასა და მგზნებარე, თანაც
უტყვე მოკრძალებას, — კრძალვას სანთლისას, საკურთხეველის წინ
რომ იწვის აღდგომა დღეს.

— პასკალონ, — უთხრა სულ ჩუმად მეაფთიაქემ და ისე ახლოს
მიუტანა სახე. რომ თავისი ძუასავით უღვაშის წვერი ყურში გა-
უჩარა, — ტარტარენისაგან ამბავი მომივიდა... საეგვლახო ამბავი...

და რომ დაინახა, მოწაფე გაფითრდა, დაატანა:

— ნუ შიშობ, შვილო, ბოლო კეთილია... აფთიაქს, მაშ, შენს
ანაბარა ვტოვებ... დარიშხანს თუ მოგთხოვენ, ნუ მისცემ; არც
ოპიუმში მისცე ვისმე, არც რევანდი... არაფერი მისცე... ათი საათი-
სათვის თუ არ დავბრუნდი, დარაზე ყველაფერი და დაწევი... აბა,
შენ იცი!

და გაბედულად გასწია წინ, ისე რომ უკან ერთხელაც არ მოუ-
ხედავს; ქალაქის სასეირნო წრის გარემომცველ წყვილიდს შეერია.
პასკალონმა კი დრო იხელთა — კალათს დააცხრა, გახელებულმა
ხარბი ხელები აფათურა შიგ, მერე მაღალი საწერი მაგიდის ტარსი-
კონზე გადმოაბირქვა, რათა ნაფხრეწი რამ ეპოვა ფოსტალიონის
მოტანილი იმ საიდუმლო წერილისა.

ვინც იცის ტარასკონელებს აფურფურების ამბავი, ადვილად
წარმოიდგენს რა ჩოჩქოლი შეუდგებოდათ ტარტარენის უეცარი
გაქრობისა გამო. ჰე, ჰე, და გარდა ამისა, სხვა არ
იყო რა, — სულ ეს ისმოდა. მთლად დაკარგა ყველამ ერთიანად
გონება, მით უფრო, რომ შუა აგვისტო იყო და თავში ტვინი ისე
დუღდა, რომ ლამის არის სარქველი აეხადა, ამოეხსნა! დილიდან
სალამომდე მეტი სალაპარაკო არა იყო რა, მარტო ეს სახელი „ტარ-
ტარენი“ ეკერა მოპრუწულ ტუჩებზე თავსაბურჩიან მანდილოსნებს
და ალაყაყებულ ბაგეებზე — ხავერდის ყაითნით თავდამშვენებულ
გრიზეტ ქალებს: „ტარტარენი, და ტარტარენი“... მხოლოდ ეს სა-

ხელი გაისმოდა ქალაქის სასიერნო წრის თეთრი მტვრით დამძიმებულ ქადრებში, სადაც თავდაკარგულ კრიტიკობელებს, ცხელ ჰაერში თრთოლით მოკრიპინეთ, ანჩობდა ეს ორი მარცვალი: „ტარ-ტარ... ტარ-ტარ...“

ნამდვილი არავინ არ იცოდა, თითოეულს ამიტომ, რაღა თქმა უნდა, საკუთარი ცნობა მოეპოვებოდა და პრეზიდენტის წასვლის მიზეზს თავისებურად უხსნიდა სხვებს. არაჩვეულებრივი რამ ხმები დადიოდა. ერთნი ამბობდნენ, ტრაპისტებთან შევიდა მონასტერი, მეორენი — დიუგაზონი¹ გაიტაცაო; სხვები ირწმუნებოდნენ — კუნძულებზე წავიდა, რომ იქ კოლონია დააარსოს, სახელად „პორტ-ტარასკონიო“, ზოგნიც კიდევ გაიძახოდნენ ცენტრალურ აფრიკასა ქსელავს და ლივინგსტონს დაეძებსო.

— დახე ერთი, ლივინგსტონსაო!.. ბარე ორი წელია, ლივინგსტონმა თქვენი ჰირო წაიღო...

მაგრამ ტარასკონელები როცა რასმე წარმოიდგენენ, განა დროსა და სივრცეს სათვალავში აგდებენ! საყურადღებო რამ ის არის სწორედ, რომ ეს ლაპარაკი ტრაპის ძმობაში შესვლაზე, კოლონიის დაარსებაზე, შორეულ მოგზაურობებზე — თვით ტარტარენის იდეაზრახვანი გახლდათ, ოცნებანი ამ გამოფხიზლებული მძინარასი; გაეზიარებინა ოდესღაც გულისნადები ახლო მეგობრებისათვის და ახლა იმათ აღარ იცოდნენ, რა ეფიქრათ; სწყინდათ და შეურაცხყოფილნი იყვნენ, რომ ტარტარენმა არაფერი შეატყობინათ, მაგრამ ხალხს ისე აჩვენებდნენ თავს, ვითომ ვიციტ ყოველი, ოღონდ საიდუმლოს ვინახავთო, და ერთმანეთს ჩუმ-ჩუმად გააპარებდნენ ხოლმე თვალს. ექსკურბანიესი ფიქრობდა, ალბათ ბრავიდამ ყველაფერი იცის ამ საქმისაო, ბრავიდა კი ამბობდა:

— ბეზიუკეს, უთუოდ, გაგებული ექნება სუყველაფერი. როგორღაც ქეშად იყურება; ძალი რამ ძვალს მოიგდებს ისე.

მართალი უნდა ითქვას, ეს საიდუმლოება მეაფთიაქისათვის ბალნის ფლასით შემოსვა იყო. ჯოჯოხეთურად ტანჯავდა. საშინელი ქავილი ჰქონდა ატეხილი, ხან წითლდებოდა, ხან ყვითლდებოდა და ერთთავად თვალები აცაბაცა მიუღიოდა. ნუ დაივიწყებთ, რომ

¹ დიუგაზონი (1775 — 1821) — ცნობილი ფრანგი მომღერალი ქალი „ოპერა კომიკოსის“ მსახიობი. სახელი მისი საზოგადო სახელად იქცა ამ თეატრის საუკეთესო მსახიობებისათვის.

უბედური კაცი ტარასკონელი იყო, და თქვენ თვითონა თქვით — მოიძებნება განა მოწამეთა ცხოვრებაში ამაზე საზარელი სატანჯველი, როგორც წმიდა ბეზიუკეს წამება იყო: იცოდა რალაც და არ კი შეეძლო გაემხილა.

ამიტომაც იმ საღამოს, თუმცა შემადრწუნებელი ამბავი გაიგო, მაინც როგორღაც შეღავათი მისცემოდა და უფრო მხნედ მიეშურებოდა სხდომაზე. ძლივს არ ეღიროსა! ახლა შეუძლია ილაპარაკოს, გული გადმოშალოს, ჩამოიშოროს ის, რაც ლოდივით აწვა; ისე ჩქარობდა მძიმე ტვირთის ჩამოხსნას, რომ ველარ ითმენდა და გზადაგზა ქალაქის სასეირნო წრის გამვლელ-გამომვლელთ გადაკრულად რალაცას ეუბნებოდა. მთელი დღე ძალიან ცხელოდა და თუმცა გვიანი ჟამი იყო, — რვას თხუთმეტი უკლდა ქალაქის სამართველოს საათზე და ჩამოწოლილი სიბნელეც შიშსა ჰგვრიდა კაცს, — მაინც უამრავი ხალხი გამოფენილიყო გარეთ, ქუჩებში; მღაბიო მოქალაქეთა ოჯახები მერხებზე ჩამომსხდარიყვნენ, სანამ მათს სახლებს ჰაერი დაურბენდა, ქსელის დამხვევი ქალიშვილები გუნდ-გუნდად დასეირნობდნენ, ხუთ-ხუთი თუ ექვს-ექვსნი ერთად, ხელი-ხელს ჩაეკიდათ და სიცილ-ტარტარისაგან ტალღასავით ირხეოდნენ. ყველგან, საცა კი რამდენიმე კაცს შეეყარა თავი, ტარტარენზე იყო ლაპარაკი.

— რაო, ბ-ნო ბეზიუკე, წერილი არ არის და არ არის? — გზაზე აჩერებდნენ და ეკითხებოდნენ მეაფთიაქეს.

— გახლავთ, ჩემო კარგებო, გახლავთ... ხვალინდელი „ფორუმი“ წაიკითხეთ...

ბეზიუკემ ნაბიჯს უმატა, მაგრამ ვინღა ეშვებოდა, უკან მისდევდნენ, აცივდებოდნენ, და მთელი ქალაქის სასეირნო წრეზე ერთი ბუბუნნი იდგა, ფეხის ტყაპატყუბი გაისმოდა და არც მინელებულა მანამ, სანამ ეს ჯგრო ხალხი არ შეჩერდა კლუბის გაღებულ ფანჯრებთან, საიდანაც ოთხკუთხედებად სცემდა ჩალი სინათლე.

სხდომები იმ დარბაზში ტარდებოდა, სადაც უწინ ბუიოტს თამაშობდნენ, ხოლო მაგიდა, იმავ მწვანე მაუდით გადაფარებული, ახლა კანცელარიის მაგიდის მაგივრობასა სწევდა. შუაგულ ადგილას პრეზიდენტის სავარძელი წამოჭიმულიყო, ზურგზე პ. ა. კ. ჰქონდა ამოქარგული; გვერდით მდივნის სკამი იდგა. როგორც დაქვემდებარებულისა. უკან, გაშლილი დროშა ეკიდა, მის ქვეშ კი — გრძე-

ლი კრიალა რუკა, სადაც ალპინები გამოყოფით აღენიშნათ თავ-
თავიანთი სახელწოდებებითა და სიმაღლით. კუთხეებს ამშვენებდა
კონად შეკრული ბილიარდის ჯოხებივით აყუდებული საპატიო
აღპენშტოკები, სპილოს ძვლით ინკრუსტირებული, ხოლო ვიტრი-
ნაში გამოეფინათ მთაში ნაპოვნი იშვიათობანი, კრისტალები, კაჟი,
ნამარხები, ორი ექინი და სალამანდრა.

ტარტარენის არყოფნაში სავარძელში დაბრძანებულიყო გაახალ-
გაზრდავებული, სახეგაბრწყინებული კოსტეკალდი. სკამი ექსკურ-
ბანიესს, მდივნის მოვალეობის შემსრულებელს ეკუთვნოდა; მაგრამ
ამ გაჩეჩილ, ბანჯგვლიანსა და წვერიან ადლაზიჯას მოთხოვნილებად
გადაჰქცეოდა — ეხმაურა და ემოძრავა, სრულიად ვერ ეწყობოდა
ჯდომას და ასე საქმიანობას. სად იყო და სად არა, მკლავ-ფეხს აიქ-
ნევდა, საშინელ ღმუილს მორთავდა, შმაგ მხიარულებას „ჰა!“ ჰა!
ჰა!“-ს ძახილით გამოხატავდა, რაც მუდამ მთავრდებოდა ხოლმე
საომარი ყიყინით ტარასკონულ ენაზე: „ვი ხ მ ო უ რ ო თ!“ ვიხმაუ-
როთ! მეტსახელად „გონგი“ შეარქვეს, რადგან ყელი მოკალულივი-
თა ჰქონდა და მისი გაუთავებელი როხროხისაგან ყურებიდან ლამის
არის სისხლი დაგდნოდით.

ღარბაზის კედლების ირგვლივ მდგომ ქუის დივანებზე აქა-იქ.
პრეზიდენტის წევრები ისხდნენ.

უპირველესად თვალში მოგხვდებოდათ — ყოფილი კაპტენარ-
მუსი ბრავიდა, რომელსაც ტარასკონში ყველა მეთაურს უძახდა; ეს
ციცქნა კაცი, სუფთა, პეწენიკა, პოლკის ნაშვილევ ბიჭუნას რომ
მოგაგონებდათ, ცდილობდა რითიმე დაეფარა თავისი პატარა ტანი
და ამიტომ ვერცინგეტორიქსივით¹ გრძელი უღვაშები მოეშვა,
რათა მასავით ველური შესახედაობა მისცემოდა.

მერე ლოყებჩაცვივნილი, გრძელი ავადმყოფური სახის პეგუ-
ლადი მოდიოდა, გადასახადების ამკრები, უკანასკნელი ადამიანი
იმათში, ვინც „მედუზას“ დალუპვას გადაურჩა. ტარასკონში თავის

¹ ვერცინგეტორიქსი (გარდ. 46 წ. ძ. წ.) — ხელმძღვანელი გალების
საყოველთაო აჩანუბისა რომის წინააღმდეგ. იულიუს კეისარმა დაამარცხა იგი
და ექვსი წლის პატიმრობის შემდეგ დასაჯა რომში. ჩვენთვის ცნობილი არ არის,
რა შესახედაობისა იყო ვერცინგეტორიქსი, მაგრამ მოქანდაკე მილემ ქეგლზე
(1865) ის უღვაშებიანი გამოსახა.

დღეში არ დალეულა „მედუზას“¹ დალუპვას თავდადწეული მგზავრები. ერთი ხანობა იქ სამიცი იყო ასეთი, მაგრამ ერთმანეთს ისინი ცრუმარქვიაობასა სწამებდნენ და არასდროს ერთად არსად გამოჰყოფდნენ ხოლმე თავს. სამთავან ნამდვილი მარტოოდენ პეგულადი იყო. „მედუზაზე“ თავის მშობლებთან ერთად გამგზავრებულს, მას სულ ჩვილს, ექვსი თვის ბავშვს შეემთხვა გემზე უბედურება, მაგრამ ეს გარემოება ხელს სულაც არ უშლიდა აეწერა ყველაფერი de visu², დაწვრილებით: შიმშილი, კანჯობები, ტივი და ისიც, როგორა სწვდა ყანყრატოში გემის უფროსს, რომელსაც უნდოდა თავისთვის ეშველა, და დაუძახა: „საგუშაგოზე გასწი, არამზადაო!..“ ექვსი თვისამ დაიძახა ეს, გესმით!.. უზომოდ მოაბეზრა თავი ყველას ამ დაუსრულებლად ერთი და იგივე ამბის მოყოლით; ორმოცდაათი წლის განმავლობაში ეს ამბავი ზეპირად დაესწავლა, გადაედება ყველას, და მანც თავისას არ იშლიდა პეგულადი, ისე ჰყვებოდა, იმეორებდა, რათა ნაღვლიანის, ცხოვრებაზე ხელჩაქნეული კაცის იერით ჩაერთო: „მას აქეთ, რისი მნახველიც მე გავხდი...“ — და სულ ტყუილად კი ამბობდა ამას, რადგან ყველა რეჟიმის დროს სწორედ ამ გარემოების წყალობით შეენარჩუნებინა თავისი თანამდებობა გადასახადების ინსპექტორისა.

მის გვერდით ისხდნენ ძმები რონონასები, სამოცი წლის ტყუპები, მუდამ ერთად რომ იყვნენ, თანაც სულ რომ ჩხუბობდნენ და ერთმანეთზე საზარელ რამეებს ამბობდნენ. მათი მობერებულ-გაქუცული, უსწორო ფორმის თავები, — ერთუთრის ანტიპათიის გამო საპირისპირო მხარეს რომ ჰქონდათ უმეტესად მიბრუნებული, — ისე ჰგავდნენ ერთმანეთს რომ თამამად შეგეძლოთ მედალზე ორთავიანი იანუსიცი³ ამოგეკვეთათ.

1 „მედუზა“ — ფრანგული ხომალდი; დაიღუპა 1816 წლის 2 ივლისს სენეგალის გზაზე. მგზავრები და ეკიპაჟი ცდილობდნენ გადაარჩენილიყვნენ სასწრაფოდ შეკრული უზარმაზარი ტივით, რომელიც მშვიერ-მწყურვალ აღამიანებს თორმეტი დღე დააქროლებდა ზღვაზე. როცა ბრიგმა „არგუსმა“ ტივი შეამჩნია და ზედმყოფნი შეიფარა, 149 სულიდან თხუთმეტილა დარჩენილიყო, ისინიც ცოცხალ-მკვდრები იყვნენ.

2 როგორც თვალით ნახული.

3 ორთავიანი იანუსიცი — კართა ღმერთი ძველ რომაელებთან. მას ორსახოვნად წარმოადგენდნენ; სახეები საპირისპირო მხარეს ჰქონდა მიბრუნებული.

მოშორებით დამსხდარიყვნენ სასამართლოს თავმჯდომარე ბე-
დარიდი, ვეჭილი ბარჯაველი, ნოტარიუსი კამბალალეტი და ეჭიმი
ტურნატუარი, რომელზედაც ბრავიდა ამბობდა, ეს კაცი თალგამსაც
კი სისხლს გამოუშვებსო.

ისედაც გამასავათებელ სიცხეს გაზის განათება უფრო აუტანელ-
სა ხდიდა. და ეს ვაჟბატონები უპიჯაკოდ დაბრძანებულიყვნენ,
რაიცა შეკრებილობას საზეიმო ელფერს საგრძნობლად აკლებდა. ეს
კია, რომ სხდომა ვიწრო წრეში მიმდინარეობდა და ამ შემთხვევით
უნდოდა ესარგებლა სულმდაბალ კოსტეკალდს, რათა რაც შეიძ-
ლება ადრე დაენიშნა არჩევნების დღე და ტარტარენის ჩამოსვლის-
თვის აღარ დაელოდნა. რაკი დარწმუნებული იყო, ვარაუდი
გამიმართლდებო, წინათვე ხარობდა, ზეიმობდა, და როცა ექს-
კურბანიესმა დღის წესრიგის კითხვა მოათავა, გაიძვერა მაშინვე
წამოდგა სახრიკოდ, ვერაგული ღიმილი წვრილ ტუჩებზე შეუთა-
მაშდა.

— ერიდე იმას, ვინც, სანამ დაილაპარაკებდეს, იცინის, — წაი-
დუდუნა მეთაურმა.

კოსტეკალდს წარბიცი არ შეუხრია, თვალი ჩაუკრა თავის
ერთგულ მეგობარ ტურნატუარს და ღვარძლიანი კილოთი დაი-
წყო:

— ბატონებო! უმაგალითოა საქციელი ჩვენი პრეზიდენტისა,
ამბავი მისი არა ვიციტ რა!..

— ტყუილია!.. პრეზიდენტმა წერილი მოიწერა...

მთლად აკანკალებული ბეზიუკე მაგიდისაკენ გაემართა, მაგრამ
მაშინვე მიხვდა, რომ ასეთი საქციელით წესრიგს არღვევდა; ხელი
ასწია, როგორც ეს იყო დაწესებული, და სიტყვა ითხოვა გადაუდებ-
ელი ამბის შესატყობინებლად.

— თქვით! თქვით!

კოსტეკალდს ზაფრანისფერი დაედო, ყელში რალაც გაეჩხირა
და თანხმობის ნიშნად თავი დააკანტურა. მაშინ, და მხოლოდ მაშინ
დაილაპარაკა ბეზიუკემ:

— ტარტარენი იუნგფრაუსს ძირშია... მალლა ასვლას აპირებს...
კლუბის დროშასა თხოულობს!..

ჩამოვარდნილ სიჩუმეს მხოლოდ დამსწრეთა აჩქარებული, ნა-
წყვეტ-ნაწყვეტი სუნთქვა და გაზის ტკაცატკუცი არღვევდა. ერთბა-

შად ამას ყურთასმენის წამლები „ვაშა“, „ბრავოს“ შეძახილები, ფეხის ბრაგაბრუგი მოჰყვა, ყველაფერს კი ექსკურბანიეისის გონგი ფარავდა. მის საბრძოლო ყიჟინას: „ჰო! ჰო! ჰო! ვ ი ხ მ ო უ რ ო თ!“ აჩოჩქოლებული აღელვებული ბრბო აძლევდა გარედან ბანს.

კოსტეკალდი უფრო და უფრო ყვითლდებოდა და სასოწარკვეთილი აწკარუნებდა პრეზიდენტის ზანზალაკს; ბოლოს, როგორც იყო, ბეზიუკემ შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და ქაქანით, თითქოს ეს არის ახლა ამოქანდა მეექვსე სართულზეო, განაგრძო ლაპარაკი.

ნუთუ ამ დროშას, პრეზიდენტი რომ თხოულობს, რათა აღმართოს აუღებელ მწვერვალზე, შეკრავენ, შეფუთავენ და გაგზავნიან, როგორც უბრალო რამ ნივთს, დიდის სისწრაფით?

— არასოდეს!.. ჰო! ჰო! ჰო!.. — შეპღრიალა ექსკურბანიესმა.

არ ემჯობინება, გაიგზავნოს ტარტარენთან დეპუტაცია, პრეზიდენტის სამი წევრისაგან შემდგარი, — წილისყრით ვისაც შეხვდება, ისინი?!

მეაფთიაქეს სიტყვა აღარ დაათავებინეს. ერთი კი შესძახეს „აგრე, აგრეო!“ წინადადებას მაშინვე ხმა მისცეს და აღფრთოვანებითაც მიიღეს; ქაღალდები, სამი დეპუტატის სახელით, შემდეგი თანრიგით ამოიღეს. 1, ბრავიდა; 2, პეგულადი; 3, მეაფთიაქე.

მეორე ნომერმა უარი განაცხადა. ეს გრძელი მოგზაურობა მაშინებსო: მეტად სუსტად და შეუძლოდა ვგრძნობ თავს, „მედუზაზე“ შემთხვეული უბედურების შემდეგო.

— მე წავალ თქვენ მაგივრად, პეგულად... — დაიგრუხუნა ხელფეხამოძრავებულმა ექსკურბანიესმა.

ბეზიუკესაც აფთიაქის მიტოვება არ შეეძლო. მთელი ქალაქის კარგამყოფობა იმას ებარა! მოწაფეს სულ მცირე დაუდევრობა რომ მოუვიდეს, მთელი ტარასკონი ხომ უნდა მოიწამლოს და განანადღეს.

— და ი კ ა რ გ ე თ ე რ თ ი! — წამოიძახეს პრეზიდენტის წევრებმა და ყველანი ერთბაშად წამოდგნენ.

მეაფთიაქეს, რალა თქმა უნდა, წასვლა არ შეუძლია, მაგრამ სამაგიეროდ პასკალონს გაგზავნის, პასკალონი იტვირთებს დროშის

წაღებას. ეს მაგის საქმეა! კვლავ ახალი შეძახილები გაისმა, კვლავ იქუხა „გონგმა“ და ქალაქის სასეირნო წრეზე ისეთი ვაი-უშველვებელი შეიქნა, რომ ექსკურბანიესი იძულებული გახდა ფანჯარაში გადაყუდებულიყო და თავისი სწორუპოვარი ხმით დაეფარა, ჩაენ-შო საერთო ღრიალი.

— მეგობრებო, ტარტარენი გამოჩნდა! საცაა, დიდებით შეი-მოსება!

ამას ესლა დაუროთ: „გაუმარჯოს ტარტარენს“ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავისი საბრძოლო ყიჟინა ამოაქუხა, მერე ერთი ხანი ტკებებოდა სასეირნო წრის ხეებს ქვეშ შეფარებული ბრბოს საზარელი ღრიალით. ბრბო ირხეოდა, ღელავდა და ძლივსლა ჩანდა, მტკრის ბუჩქით გარემოცული, თანაც ჰრიჟინობელებსაც აემუშავებინათ თავიანთი საჰრიჟინოები და ყურთასმენა ლამის არის წაელთ, თითქოს ეს დღისით, მზისით ყოფილიყო.

ამის გამგონე კოსტეკალდი, სხვებთან ერთად ფანჯარასთან მიმდგარი, გამობრუნდა უკან და ბარბაციო მიუახლოვდა სავარძელს.

— უყუთ ერთი, კოსტეკალდს, — თქვა ვილაცამ... — რა მოსდის?.. როგორი ყვითელია!

ყველანი მას მისცივიდნენ. საშინელმა ექიმმა ტურნატუარმა ის იყო გამოილო კიდევ ხელსაწყობით სავსე თავისი ჩანთა, რომ ამ დროს შეიარაღემ, ტკივილისაგან საზარლად დადმეჰილმა, გულახდილად წაიდუღუნა:

— არაფერია... არაფერი... დამეხსენით... ვიცი, რაცა მკირს... შურისაგან მომდის!

ბელშავი კოსტეკალდი, ეტყობა, მეტად იტანჯებოდა.

სანამ აქ ეს ამბავი ხდებოდა, ქალაქის სასეირნო წრის მეორე ბოლოში, აფთიაქში, მცირე მოედანზე, ბეზიუკეს მოწაფე პატრონის მალალ საწერ მაგიდას მისჯდომოდა და მოთმინებით აერთებდა, ერთმანეთს აწებებდა ფარატინა ქალაღებს, წერილის ნაფლეთებს, ბეზიუკეს რომ ჩარჩენოდა კალათაში. ბევრი ნაკუწი აკლდა და აზრი გაწყვეტილი იყო, ამიტომაც ეს ეპისტოლე უცნაურ და ავბედიო ქარაგმად გადაშლილიყო მის წინ და ჰგავდა როგორაც ცენტრალური აფრიკის რუკას თავისი ცარიელი ადგილებით, terra in-

cognita-ს¹ ხარვეზებით, — რასაც იკვლევდა მიამიტი მედროშის
შეშფოთებული გონება, — და გამოიყურებოდა ასე:

მიყვარს გაგიეებით
სპირტქუ ჩიკაგოს კონსერვებ.
არ შემიძლია დავალწუ ნილილისტ
სიკვდილით დასჯ პირობები საშინ სამაგიეროდ
იმის თქვენ მიცნობთ, ფერდი
იცით ჩემი ლიბერალური აზრები
მაგრამ აქედან მეფის მკვლელობამდე
საზარელი შედეგები
ციმბირი სახრჩობელა ვალმერთებ
აჰ! გართმევ ერთგ ხელს
ტარ ტარ

VIII

*ღირსსახსრვარი ბაბასება იუნგფრაუსა და ტარტარენს შორის. ნიკილისტების სასტუმრო
ოთახში. დუელი სამონადირო დანებით. საშინელი გაკლავება. „თქვენ ჩემთანა ხართ,
ბატონებო?“ ობელუს პატრონი მხიერი უჩვეულოდ უხვდება ტარასკონელთა დეჰუ-
ტაციას*

როგორც ყველა საუკეთესო ოტელი ინტერლაკენისა, მეიერის¹
ოტელი „იუნგფრაუც“ ჰოევეგზეა აგებული — კაკლის ხეებით ორ
მწკრივად შემორგულ ფართო ქუჩაზე, რომელიც ტარტარენს
როგორღაც აგონებდა თავის ძვირფას სასეირნო წრეს ქალაქისას,
ოღონდ აქ არსად იყო მზე, მტვერი და ჰრიჭინობელები; მთელი
ერთი კვირაა, რაც აქ არის, გადაუღებლად წვიმდა.

ტარტარენს ეკვირა მშვენიერი, აივნიანი ოთახი მეორე სართულ-
ზე. დილაობით, როცა წვერს იპარსავდა ფანჯარაზე მომარჯვებული
ხელის სარკის წინ, როგორც ეს ძველადვე მგზავრობის დროს სჩვე-
ოდა, პირველი რამ, რაც თვალში მოხვდებოდა ხოლმე პურის ყანე-
ბის, იონჯების, ნაძვნარებისა და ტერასებად ასული ქუფრი მწვანე

¹ უცნობი მიწა (ლათ).

მცენარეულობის ზემოთ, ეს იყო იუნგფრაუ, ღრუბლებში რქასავით რომ ამოეშვირა თეთრად მოქათქათე თოვლით დაფარული მწვერვალი, რომელზედაც მუდამ შეყოვნდებოდა ხოლმე უხილავი განთიადის მალული სხივი. მაშინ თეთრ-მოპირისფრო ალპურ მწვერვალსა და ტარასკონელ მთამსვლელს შორის მოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი გაბაასება გაიმართებოდა ხოლმე.

— პირობაზე როგორა ხართ, ტარტარენ? — მკაცრად ეკითხებოდა იუნგფრაუ.

— ახლავე, ახლავე... — უპასუხებდა ჩვენი გმირი, ცერით ცხვირის წვერს ჩასწევდა და ჩქარობდა მოეთავებინა პარსვა.

მერე სასწრაფოდ მისწვდებოდა თავის უჯრულა ალპინისტურ ტანსაცმელს, ეს რამდენიმე დღეა სულ მივდებულნი რომ ჰქონდა, ფათაფუთით გადაიცვამდა ტანზე, თანაც ლანძღვა-გინებას არ დააკლებდა საკუთარ თავს.

— ეშმაკსაც წაუღიხარ! რა ჰქვია ახლა ამას, ერთი მიბრძანე...

მაგრამ იმავე დროს ტვიების მწვანე ტოტებში, მეორე სართულის ფანჯრებს რომ არშისავით გასდევდა, ქვემოდან ამოაღწევდა ხოლმე შეკავებული, მაგრამ წკრიალა ხმა.

— დილა მშვიდობისა... — უძახდა სონია, როცა აივანზე გამოსულ ტარტარენს დაინახავდა... — ლანდო გველოდება... იჩქარეთ, იჩქარეთ, თქვე ზარმაცო...

— გეახლებით, გეახლებით...

და ხელად შალის უხეში პერანგი გახამებული წმინდა საცვლით შეიცვლებოდა, ხოლო მთამსვლელი ნიკერ-ბოკერი¹ — გველისფერი მწვანე კურტაკით, კვირადღეობით მუსიკალურ საღამოებზე ტარასკონელ ქალებს ჰკუთას რომ აკარგვინებდა.

ოტელის წინ გაჩერებულ ლანდოში შებმული ცხენები ადგილზე ტოკავდნენ. სონია უკვე ეტლში იჯდა ძმის გვერდით, ინტერლაკენის საღი ჰაერის მიუხედავად, დღითიღე უფრო და უფრო რომ კარგავდა ფერს და ხდებოდა. მაგრამ სწორედ მაშინ, როდესაც ეტლი უნდა დაძრულიყო, სახელგანთქმული გრინდელვალდელი მეგზურნი — რუდოლფ კაუფმანი და ქრისტიან ინებნიტი ხეივნის მერ-

¹ ნიკერ-ბოკერი — განიერი, მოკლე შარვალი, მუხლებამდე რომ სწვდება.

ხიდან მუდამ ერთნაირად წამოდგებოდნენ ხოლმე და მთის დათვე-
ბივით ბაჯბაჯით გამოემართებოდნენ ტარტარენისაკენ. ესენი ჰყავდა
დაბანდებული იუნგფრაუზე ასასვლელად და ყოველ დილა მოადგე-
ბოდნენ ხოლმე ეს ვაჟბატონები იმის საკითხავად, ინებებდა თუ არა
პატივცემული ბატონი შესდგომოდა გზას.

ამ ორი მიამიტი და სერიოზული სახის კაცის გამოჩენა თა-
ვიანთი ნალდაკრული მაგარი ფეხსაცმლითა და ბამბაზიის კურტა-
კებით, ზურგსა და მხრებზე რომ ჰქონდათ ჩანთებისა და თოკები-
საგან გადახეხილი, მათგან ორი-სამი დამტკრეული ფრანგული სი-
ტყვის მოსმენა, თან ხელში განიერფარფლებიანი თეჟის ქულების
წვალება, — ნამდვილი წამება იყო ტარტარენისათვის. რამდენსაც
არ ეუბნებოდა: „ნუ შეწუხდებით... მე თვითონ შეგატყობი-
ნებთ...“ — დღემუდამ მაინც იმავე ადგილას უხვდებოდნენ და
თავიდან რომ მოეშორებინა, მსხვილ რამ ფულს გაიღებდა ხოლმე,
თავისი სინდისის ქენჯნის საღირალთან შეფარდებულს. მეგზურე-
ბი მეტად კმაყოფილი რჩებოდნენ „იუნგფრაუს დაპყრობის“ ასეთი
ხერხით, დინჯად ისტუმრებდნენ ჯიბეებში Trinkgeld-ს და დადგ-
როძილის ნაბიჯით გაუდგებოდნენ ხოლმე თქორში თავიანთი სოფ-
ლის გზას, ხოლო ტარტარენს, დარცხენილსა და თავისი ხასიათის
სისუსტის გამო გამწარებულსა ტოვებდნენ. მერე კი — მშვენიერი
ჰაერი, აყვავებული ველები, სონიას წყლიანს თვალის გუგებში
არეკლილნი, პაწაწკინტელა ფეხის შეხება მის უხემ ფეხსაცმელ-
თან ეტლში, — თავისასა შერებოდა... ეშმაკსაც გადაულოცავდა
ხოლმე იუნგფრაუს! ჩვენი გმირი აღარაფერზე ფიქრობდა, თვი-
ნიერ თავისი აფეთქებული გრძნობისა, უკეთ, თვინიერ მტკიცედ
დასახული მიზნისა — სწორ გზაზე გამოებრუნებინა საბრალო
პატარა სონია, უნებური დამნაშავე, რომელსაც ძმის სიყვარულმა
კანონსა და ბუნებას გადაახვევინა.

სწორედ ეს აკავებდა ინტერლაკენში, ერთ ოტელში ვასილე-
ვებთან ერთად. იმის ხნის ძია კაცს ოცნებაც არ შეეძლო, ამ ბაღდ
ქალწულს შევავარებ თავსო. მაგრამ სონია ისეთი სათნო, ისეთი
გაბედული იყო, ისეთ დიდსულოვნებას რჩენდა თავის ტანჯულ
თანამოსაგრეთა მიმართ, ისეთი თავდადებული იყო თავისი ძმისა-
თვის, ციმბირის მალაროებიდან სხეულდაწყულლებული, ჟანგაროთი
მოწამლული რომ დაბრუნდა და ვისთვისაც ქლექს ყველა სამხედ-

რო სასამართლოზე უფრო უღმობელად მიესაჯა სიკვდილი! განა გულისამაჩვილებელი არ იყო ეს ყველაფერი!

ტარტარენი სთავაზობდათ, ტარასკონში წაგიყვანთო, მზით მოფენილ სოფელურ სახლში გაცხოვრებთ იმ საუცხოო პატარა ქალაქის მისაგალთანო, სადაც არასდროს არა წვიმს, სადაც სიცოცხლე სიმღერა-დღესასწაულებში გადის. თანდათან უფრო და უფრო აღტყინებულ-აღტაცებულ ტარტარენი დაირასავით უტყაპუნებდა თავის ქუდს და ფარანდოლის ხმაზე ამღერებდა რაღაც მხიარულ ჰანგს:

ნუ ექანები დაღმართსო,
ტარასკო, ტარასკო,
ჩაყარდები უფსკრულში,
ტარასკო, ჯურღმულში!

ავადმყოფს ირონიული ღიმილი უწვრილებდა თხელ ტუჩებს და სონიაც უარის ნიშნად თავს აქანებდა. არც დღესასწაულებსა და არც მზეს აქვს მისთვის ფასი, სანამ რუსი ხალხი მტარვალის უღელქვეშ გმინავს. როგორც კი მმა მოუჩიება, — ქალის ნაღვლიანი თვალები კი სულ სხვას ამბობდნენ, — აღარაფერი შეეშლით ხელს მაშინვე დაბრუნდნენ სამშობლოში, რომ იტანჯონ და დიადი საქმისათვის თავი დასდონ.

— მაგრამ, მოიცათ ერთი! — გაჰყვიროდა ტარტარენი, — თქვენ რომ ერთ მტარვალს ესვრით ყუმბარას, იმის მაგივრად ახლა მეორე გამოგეცხადებათ... თავიდან უნდა დაიწყოთ ყველაფერი!.. წლები კი მიდიან, ჰე! მიდის ბედნიერების დრო, ახალგაზრდული ტრფობის ხანა...

სიტყვა „ტრფობას“ ტარასკონულ ყაიდაზე სამი „რ“-თა გამოთქვამდა, თანაც თვალებს გადმოკარკლავდა, რაც მეტად აცინებდა სონიას, მერე კი ქალი დადინჯებით იტყოდა: მხოლოდ ისეთ კაცს შევიყვარებ, ვინც ჩემს სამშობლოს გაათავისუფლებსო, დაე, ეს ვილაცა თუნდაც ბოლიბინივით უსახური, მანილოვზე უფრო გაუფორტნავი და ტლანქი იყოს, ერთია მაინც, — მზად ვარ მთლად დავენებდე, ვიცხოვრო მასთან — თავისუფალი სიყვარულით დაკავშირებულმა, და ვიცხოვრო იმდენ ხანს, სანამ ჩემი ყმაწვილქალობა გასტანს, სანამ ეს კაცი მინდომებსო.

„თავისუფალ სიყვარულს“ ნიჰილისტები უწოდებდნენ უქორ-

წინო კავშირს, ურთიერთშეთანხმებით შეკრულს. ამ პრიმიტიულ შეუღლებაზე სონია ლაპარაკობდა მშვიდად და უბრალოდ, უმანკო სახით. როგორც მუდამა სჩვეოდა, ეუბნებოდა ამას ტარასკონელს, წესიერსა და მშვიდობიანს ბუტყუა-მოქალაქეს, რომელიც, უნდა კი ითქვას, მზად იყო თავისი დარჩენილი დღენი ამ მომხიბლავი ქალიშვილის გვერდით გაეტარებინა. თუნდაც ხსენებული თავისუფალი სიყვარულის პირობით შეკრულს, თუ რომ ნაზ არსებას ასეთი საზარელი და მომაკვდინებელი სხვა პირობები არ წამოეყენებინა.

ასე საუბრობდნენ ამ უაღრესად სათუთ, საჩოთირო საგნებზე, მათ თვალწინ კი იშლებოდა მინდვრები, ტბები, ტყეები, მთები, და ყოველ მოსახვევში. ამ შეუწყვეტელი წვიმის ცივსა ცივსა ცივსა, — ჩვენს გვირს რომ სულ თანა სდევდა მთელი მოგზაურობის დროს. — იუნგფრაუ ამჟვეიტებდა ერთთავად თავის თეთრ მწვერვალს, თითქოს უნდოდა ტარასკონელისათვის სინდისის ქენჯნა გაემწვავებინა და წარმტაცი გასეირნება მოეშხამა. სასაუზმოდ დაბრუნებულნი მოუხსნდებოდნენ ვეებერთელა საერთო მავიდას, სადაც ბრინჯის მოყვარულებისა და შაექლიაველების ჩუმი შუღლი კვლავ გრძელდებოდა, მაგრამ ტარტარენის ყურადღებას ეს ოდნავაც აღარ იზიდავდა. სონიას გვერდით მჯდომს, მამობრივად მზრუნველს, ყურადღებრიანს, იმაზედა ჰქონდა გულისყური მიპყრობილი, რომ ფანჯარა ღია არ ყოფილიყო და ბორისისათვის ზურგში არ დაეებრა. ქალის წინ იჩენდა საზოგადოებაში გამოსული კაცის მთელს თავის მომხიბლაობას, თანაც ამას უერთებდა კარგი მეურნის ღირსებებს, — ჰემმარიტი კომბოსტოს კურდღლის შესაფერისს.

მერე ჩაისა სვამდა რუსებთან, პატარა სასტუმრო ოთახში პირველ სართულზე. ღია ფანჯრები ამ ოთახისა ერთ მტკაველა ბაღში გადიოდა ბულვარის პირას. სანამ დივანზე ბორისი თვლემდა, ტარტარენს სონიასთან ჩუმი, გულითადი ბაასის ნეტარი წუთები ელოდა. სამოვარი შიშინებდა; ნაწვიმარი ყვაილების სურნელება ატანდა გლიცინიების ბრკილთან ერთად ოდნავ შეღებილ კარში, რომელსაც ეს გლიცინიები ჩარჩოსავით შემოვლებოდნენ. ცოტა მეტი მზე, მეტი სითბო რომ ყოფილიყო, აღსრულდებოდა თითქოს ოცნება ტარასკონელისა: რუსი ქალიშვილი იქ, მასთან ერთად, უვლის ბაობაბიან პატარა ბაღს.

უეცრად სონია შეთრთოლდებოდა ხოლმე:

— ორი საათია უკვე!.. წერილები სადაა?

— მე წავალ, — ეუბნებოდა კეთილი ტარტარენი; და საკმარისი იყო გაგეგონათ, რა ხმით ამბობდა ამას, დაგენახათ, რა მტკიცე და თეატრალური მიმოხრით იკრავდა კურტაკს და იმარჯვებდა საბიჯჯ ჯოხს, რომ მიხვედრილიყავით, რაოდენ მნიშვნელოვანსა და პასუხსააგებ დავალებას კისრულობდა, გარეგნულად თითქოს უბრალოს, — წასულიყო ფოსტაში და მოეკითხა ვასილეების სახელზე მიღებული წერილები.

ადგილობრივი ხელისუფლება და რუსეთის საიდუმლო პოლიცია შეუწელებლად ადევნებდნენ თვალყურს ნიჰილისტებს, მეტადრე იმათ მეთაურებს, ამიტომაც ესენი იძულებულები იყვნენ სიფრთხილისათვის მიემართათ; ასე მაგალითად, წერილები და გაზეთები მოკითხვამდე ეგზავნებოდათ და ზედ უბრალოდ მხოლოდ ინიციალები იყო აღნიშნული.

ინტერლაკენში ჩამოსვლის შემდეგ, ბორისი ძლივსა ლასლასებდა. ტარტარენს უნდოდა სონიასთვის თავიდან აეშორებინა ხანგრძლივი ლოდინი პატარა სარკმელთან და ცნობისმოყვარეთა მიშტერებული ცქერა, ამიტომ არ მიხედა ხიფათსა და შიშს და თავს იდო ეს ყოველდღიური სამძიმო საქმე. ფოსტა ათი წუთის სავალზე იყო ოტელიდან, ფართო, ხმაურიან ქუჩაზე, რომლის ორსავე მხარეს ჩარიგებულყო კაფეები, ლუდხანები, მალაზიები უცხოელთათვის, სადაც ვით გამოფენაზე, ელაგა — ალპენშტოკები, გეტრები, ღვედები, შავი სასათვალე მინები, ღურბინდები, მათარები, სამგზავრო ჩანთები, — თითქოს განგებ ყველაფერი ისეთი შეერჩიათ, რასაც უნდა დაერცხვინა განდგომილი მთამსვლელი. ქუჩაში ტურისტთა გაუთავებელი რიგები იძვროდა, მიდიოდნენ ცხენები, მეგზურები, ჯორები, მიელავდნენ ლურჯი პირსაბურები, მწვანე პირბადეები, ისმოდა ჩხარუნი სამგზავრო ყუთებისა — ჯორების თხარისკს აყოლილი, რკინის კავეები ყოველ ფეხის გადადგმაზე ფხაქუნობდნენ რიყის ქვაზე; მაგრამ ამ მარადიულ დღესასწაულს ტარტარენი გულგრილად ხვდებოდა. ვერც კი გრძობდა, როგორ დაუბერავდა ხოლმე მთიდან ცივი ქარი, თოვლის სურნელებით გაჟღენთილი — მხოლოდ იმაზელა ჰქონდა ყურად-

ღება გაფაციცებული, კვალი აებნია ჯაშუშებისათვის, რომლებიც, ასე ეგონა, ფეხდაფეხ მდევნენო.

მეწინავე რაზმის მსროლელი ჯარისკაცი, ტყვიას რომ დაფენილის გასროლით უშენს მოწინააღმდეგის ქალაქის კედლებს, ისეთის სიფრთხილით არ მიიწევს წინ, რა სიფრთხილითაც ტარასკონელი გადიოდა ამ მოკლე მანძილს ოტელიდან ფოსტამდე. მოესმოდა თუ არა ზურგს უკან დეზების ოდნავი წქარუნი, გაჩერდებოდა მაშინვე და გულმოდგინედ დაუწყებდა სინჯვას გამოფენილ ფოტოგრაფიებს, ან არადა ზოგჯერ გადაფურცლავდა ინგლისურსა თუ გერმანულს წიგნს, რათა ამ დროს წინ გაეტარებინა პოლიციელი; ხანაც უეცრად მობრუნდებოდა და მძევნარედ თვალებმობრიალეს ხელში შერჩებოდა ხოლმე ფუნდუკის ვინმე ჩასუქებული მოახლე გოგო, სანოვავის სასყიდლად ბაზარს მიმავალი, ანდა უწყინარი ტურისტი, ძველი შავქლიაველი, რომელსაც ჩვენი გმირი გიჟი ეგონებოდა ხოლმე და ტროტუარიდან ქვაფენილზე გადაინაცვლებდა შეშინებული.

ფოსტასთან მისული ტარტარენი დიდხანს დააბიჯებდა სარკმლების წინ, რომლებიც უცნაურად პირდაპირ ქუჩაში გამოდიოდნენ, სახეში აცქერდებოდა გამვლელებს, მერე ეცემოდა რომელიმე სარკმელს, მხარ-ბეჭსა და თავს შერგავდა შიგ, წაიდუღუნებდა ორიოდ სიტყვას, რასაც მუდამ ხელახლა დაეკითხებოდნენ და ამით უარეს შიშს შეჰყრიდნენ ხოლმე. ბოლოს, საიდუმლო ამანათს რომ ხელში ჩაიგდებდა, უკანა ეზოებზე შორს-შორს მოვლით ოტელში ბრუნდებოდა, ამავე დროს ხელი მაგრად ჩაეჭიდა ჯიბეში ღრმად ჩადებული წერილებისა და გაზეთებისათვის და მზად იყო ერთიანად დაეხია ან თუნდაც მთლად გადაეყლაპა, თუკი სულ მცირედი რამ საფრთხე შეემთხვეოდა.

მანილოვი და ბოლიბინი საფოსტო გზავნილებსა და ცნობებს თითქმის ყოველთვის თავიანთ მეგობრებთან ელოდებოდნენ. ყაირათი და საფრთხე აიძულებდათ ბინად ოტელში არ გაჩერებულიყვნენ. ბოლიბინმა სამუშაო იშოვა ერთ სტამბაში, ხოლო მანილოვი მარჯვე, დახლოვებული დურგალი-მეავეჯე იყო და შეკვეთით მუშაობდა სამუშაოების ნარდად ამღებებისათვის. ტარასკონელს არ უყვარდა ეს ხალხი. ერთი თავგზას უბნევდა და გულს უწუხებდა თავისი მანჭვით, ხანაც დამცინავი გამოხედვით; მეორი-

სა კი კუმტი შესახედაობა აკრთობდა. ესეც არ იყოს, მათ მეტად დიდი ადგილი ექირათ სონიას გულში.

— გმირია! — ამბობდა ქალი ბოლიბინზე და მოჰყვებოდა ხოლმე, თუ ეს კაცი სამი წლის განმავლობაში როგორ ბეჭდავდა, მარტოდმარტო, პეტერბურგის ცენტრში რევოლუციურ ფურცელს. სამი წელიწადი ფეხი არ გაუდგამს გარეთ, ფანჯარაშიაც არ გამოუყვია თავი და ღამე დიდ განჯინაში ეძინა, სადაც ბინის დიასახლისი ყოველ საღამო ჩაჰკეტავდა ხოლმე საიდუმლო საბეჭდავი დაწვითურთ.

ახლა მანილოვის ამბავს არ იკითხავთ! — ექვსი თვე სასახლის სარდაფში გაატარა და მარჯვე შემთხვევის მოლოდინში ღამე დინამიტზე ეძინა. ძვირადაც დაუჯდა ეს: აუტანელი თავის ტკივილი დასჩემდა და ნერვებიც საშინლად მოეშალა, რაიც გამოწვეული იყო მუღმივი შიშითა და პოლიციის ხშირი თავდასხმით. პოლიციას გაგებული ჰქონდა ბუნდოვნად, რაღაცა მზადდებო, და ცდილობდა უეცრად წასდგომოდა თავს სასახლეში მომუშავე ხელოსნებს. ქუჩაში იშვიათად გამოსულ მანილოვს საადმირალოს მოედანზე რევოლუციური კომიტეტის წარმომადგენელი შემოხედებოდა ხოლმე, — არც კი შეჩერდებოდა, ჩურჩულით შეეკითხებოდა:

— მზად არის?

— არა ჯერ... — ტუჩშეუტოკებლად მიუგებდა მანილოვი.

ბოლოს, თებერვლის ერთ საღამოს, ამ მუღამ უცვლელ შეკითხვაზე, მან სრულის სიმშვიდით უპასუხა:

— მზად არის...

თითქმის იმავე წამს საშინელმა გრიალმა დაადასტურა მისი სიტყვები, მთელს სასახლეში სინათლე უეცრად ჩაქრა, მოედანი სრულმა სიბნელემ მოიცვა, ამ უკუნეთს მხოლოდ გმინვა, თავზარდაცემულთა ყვირილი, საყვირების ხმა ჰკვეთდა, და აგრეთვე კავალერიისა და საკაცეებით მოგრიალებული მესანძრეების თქარათქური.

აქ სონია სიტყვას შეწყვეტდა:

— რა საშინელებაა, არა? — კითხულობდა იგი. — ამდენი მსხვერპლი, ამდენი დახარჯული ძალ-ღონე, ასეთი გამბედაობა, ამოდენი მოფიქრება, მოსაზრება — და ყველაფერი ამოდ!.. არა, არა, არ ვარგა ეს ხერხი, ეს მასობრივი ხოცვა... ვინც მიზანშია ამოღე-

ბული, ის თავს უშველის ხოლმე მუდამ... ყველაზე ჰუმანურია მეფეზე წასვლა ისე, როგორც თქვენ მიღიხართ ლომზე სანადიროდ: მტყიცე გადაწყვეტილებით, კარგად შეიარაღებული, უნდა დადგეთ ფანჯარასთან ან ეტლის კართან... და როცა გამოივლის...

— დიახ, მაშ!.. რასაკერველია.. — ბურტყუნებდა დაბნეული ტარტარენი და თავი ისე ეკვირა, ვითომ არ ესმის გადაკრული სიტყვაო, მერე მაშინვე დაიწყებდა კამათს ფილოსოფიურ საკითხსა თუ სხვა რამ ჰუმანიტარულ თემაზე ვასილევებთან მრავლად მოსულ ერთ რომელიმე სტუმართან. მარტო ბოლიბინი და მანილოვი როდი დადიოდნენ დაძმასთან. დღეცისმარე იქ ახალ-ახალი პირები ჩნდებოდნენ: ყმაწვილი კაცები თუ ახალგაზრდა ქალიშვილები, შესახედავად — ღარიბი სტუდენტები, ალტაცებული მასწავლებელი ქალები, ქერათმიანები და ვარდისფერსახიანი, სონიასავით ჭიუტი შუბლისა და ბავშვურად სასტიკი გამომეტყველების მქონენი. ყველანი არაღეგალურნი, დევნილები იყვნენ, ზოგისათვის სიკვდილიც კი მიესაჯათ თავის დროზე, რაც ოღნავაც არ უნელებდათ ახალგაზრდულ ხალისსა და გზნებას.

ხმამალა იცინოდნენ, ხმამალა საუბრობდნენ, და, რაკი უმეტესობა ფრანგულსა ლაპარაკობდა, ტარტარენი მალე შეეთვისა მათ. „ძიას“ ეძახდნენ და მისი ბავშვური გულუბრყვილობა მოსწონდათ. იქნებ აჭარბებდა, ცოტა არ იყოს, ამ თავისი ნადირობის ამბებით, იმით, რომ სახელოებს აიკოტავებდა ორკეც კუნთებამდე, რათა მათთვის ეჩვენებინა ავაზას ნაბრჭყალევი მკლავზე, ანდა ხელით მოესინჯინებინა ნაჩვრეტები კისერზე წვერქვეშ — ატლასის ლომის ნაეშვარები; ეგებ, მართლაც მეტად მალე უშინაურდებოდა ხალხს, როცა წელზე მოხვევდა, ანდა მხარზე ჩამოსდებდა ზელს და ხუთი წუთის გაცნობილიც არ იყო, რომ უბრალოდ სახელით მიმართავდა: „ყური მიგდეთ, დმიტრი... თქვენ მე მიცნობთ, ფეოდორ ივანოვიჩ...“ ყოველ შემთხვევაში, ძალიან მალე უახლოვდებოდა ყველას, მაგრამ მაინც როგორღაც თვალში მოსდიოდათ მისი ჩაგოდრებული სხეული, მოსწონდათ მისი თავაზიანი მიმნდობელი ბუნება და ის, რომ გულით უნდოდა მათთვის თავი მოეწონებინა. დაურიდებლად კითხულობდნენ მასთან წერილებს, სახავდნენ გეგმებს, იგონებდნენ პაროლებს, პოლიციისათვის რომ თავგზა აებნიათ, და ათას საკონსპირაციო რამეს, რაც მეტად იზიდავდა ტარტარენის აღზნებულ გო-

ნებას. თუმცა ძალმომრეობა ეუცხოვებოდა მის ბუნებას, მაინც ზოგჯერ თავს ვერ იმაგრებდა და მათს ტერორისტულ განზრახვათა განსჯას შეუდგებოდა ხოლმე, იწონებდა, ხანაც იწუნებდა, რჩევადარიგებას აძლევდა, დიდი მთავარსარდლის გამოცდილებით ნაკარნახევს, იმ ადამიანის გამოცდილებით, ვისაც ომის გზები გაეწვლო, ემარჯვებოდა ყველა სახის იარაღის ხმარება და მსხვილ ონავარ მხეცებთან ხელდახელ შებმა.

ერთხელ კიდევაც, როდესაც იმასთან ჟანდარმერიის ვილაც მსახურის მკველელობაზე ჩამოაგდეს ლაპარაკი, ნიპილისტს რომ ხანჯლით მოეკლა თეატრში, ტარტარენმა თვალნათლივ დაუმტყიცა მოსაუბრეთ ხანჯალი ცუდად ჩაუციათო მისთვის, და დანის ხმარების წესი აჩვენა.

— აი, ასე, ჰე! ქვევიდან ზევით! შიში აღარ გექნებათ, რომ საკუთარ თავს დაიჭრიოთ.

და თავისივე მოქმედებით აგულიანებული განაგრძობდა:

— ვთქვით და, მე თქვენს დესპოტს პირისპირ შევხვდი დათვზენადირობის დროს. ის იქა დგას, საცა თქვენა ხართ, ფეოდორ; მგ კი — აჰ, ამ პატარა, მრგვალ მაგიდასთან; ორთავეს სამონადირო დანა გვიჭირავს ხელში: „ჩვენ ორს, თქვენო უმაღლესობავ, ხელჩართული ბრძოლა გვიწევს...“

ამის თქმა იყო და, ის უკვე შუაგულ სადარბაზო ოთახში გაიქრებოდა, თავის მოკლე ფეხებს დაებჯინებოდა გადასახტომად მომზადებული. მეფურნესა და შეშისმკრელივით მქმინავს ნამდვილი წარმოდგენა გაემართა ბრძოლისა, გამარჯვების ყივილით დასრულებული, და ეს ყივილი სწორედ მაშინ აღმოხდებოდა ხოლმე, როდესაც ვითომ, დასწყევლის ეშმაკი, ქვევიდან ზევით აუტარებდა მოწინააღმდეგეს — ნაწლავებში ვადამდე ჩასობილ იარაღს.

— აი, როგორ უნდა, მაშ, ჩემო ყმაწვილებო!

სამაგიეროდ სინდისი ქენჯნიდა, როდესაც სონიას თილისმა-ეშხსა და იმ გამაბრუებელ ძალას მოშორდებოდა ხოლმე, ამ ერთად შეყრილი თავზხელაღებული ახალგაზრდებისაგან რომ მოსჩქეფდა, და სადამური ჩაჩით თავზე მარტო დარჩებოდა თავის ფიქრებთან, თან წინ მოედგა ერთი ქიქა დაშაქრული წყალი, რომელსაც ყოველ სადამოსა სვამდა.

მართლაცდა, რას წაეჩარა ნეტა? რა ესაქმებოდა ვითომ სხვის მეფესთან ბოლოს და ბოლოს? რა ეკითხებოდა სულაც ეს ამბები? ვნახოთ და, ერთ მშვენიერ დღეს ხელი სტაცონ, გაბოქონ, გადასცენ მოსკოვის ხელისუფლებას... წაეიდნენ ერთი! ხუმრობა როდი უყვართ მაგ კაზაკებს... და ოტელის ოთახის სიბნელეში მწოლარეს, პორიზონტალურ მდგომარეობაში მყოფს, ისე ძალუმად აუბუშავდებოდა ხოლმე ისედაც უცნაური ფანტაზია, რომ თვალწინ, როგორც ბავშვობაში ახალწლის პირველ დღეს ნაჩვენებ „დასაკეც სურათებზე“, გადაეშლებოდა სხვადასხვაგვარი ჯოჯოხეთური წამებანი, რომელნიც ელოდნენ. აგერ, ბორისივით მალარობეშია და უანგარო უნდა მოიპოვოს, წელამდე წყალში მომუშავემ; მთელი სხეული დაქმულ-მოშხამული აქვს. გარბის, იმალება თოვლით დაბურულ ტყეებში. უკანა სდევენ თათრები, საგანგებოდ ადამიანებზე სანადიროდ გაწვრთნილი ძაღლებით. სიცივითა და შიმშილით გასავათებულს შეიპყრობენ და ორ კატორღელს შუა ჩამოახრჩობენ. სიკვდილით დასჯის წინ აზიარებს და გადალოშნის ვილაც თმადაბზინებული ხუცესი, რომელსაც არყისა და სელაპის ქონის სუნი უდის. ამ დროს კი იქ, ტარასკონში მზით გაკაშკაშებულ დღეს, უმადური და მუხანათი ბრბო პ. ა. ძ-ის სავარძელში დაამკვიდრებს სახეგაბრწყინებულ კოსტეკალდს.

ერთი ასეთი საძაგელი სიზმრით ბოდმაშემოწოლილს აღმოხდა სწორედ სასოწარკვეთილი ყვირილი: „მიშველეთ, ბეზიუკე...“, და მეთფითაქვს ის თავისი კონფიდენციალური წერილი გაუგზავნა, მთლად დალტობილი, რადგან ღამის მაჯლაქუნასაგან ოფლი ისევა სდიოდა. მაგრამ საკმარისი იყო, სონიას მისთვის ფანჯარაში „გამარჯობათო“ შეეძახა, რომ ჯადო-თილისმას კვლავ თავისი ექნა და ყოყმანის საშინელ საწამებელს ისევ დაერია მისთვის ხელი.

ერთ საღამოს, ვასილევებსა და ბოლიბინთან ერთად კურზალიდან რომ ბრუნდებოდა, სადაც მთელი ორი საათი უსმინა ამაღლებებელ მუსიკას, უბედურმა კაცმა დაივიწყა ყოველგვარი სიფრთხილე და უნებურად წარმოთქვა დიდხანს შეკავებული სიტყვები: „სონია, მე თქვენ მიყვარხართ“. თან ხელს მკლავზე უქერდა, რომელიც ქალს იმის მკლავზე დაენდო. სონია არ შემკრთალა, მხოლოდ თვალი მიაშტერა ტარტარენს; მთლად ფერმკრთალი ჩანდა გაზის სინათლეზე ოტელის მისავალთან, სადაც ისინი გაჩერდნენ.

— მერე რა! ეცადეთ დამიმსახუროთ... — უთხრა მან მომხიბლავის, თანაც იღუმალის ღიმილით და თლილი, თეთრი კბილები გამოაჩინა.

ტარტარენს ის იყო უნდა ეპასუხა, ფიცი დაედო და დანაშაულებრივი თავზნებლადებული საქციელის ჩადენა ეკისრა, რომ ამ დროს ოტელში მომსახურე შიკრიკი მიუახლოვდა და უთხრა:

— თქვენ გკითხულობენ ზევით... ვილაც კაცები... დაგეძებენ!

— დამეძებენ! დაიკარგონ ერთი! რა გვინდაო, ნეტა?

და სურათი № 1 დასაკეცი სურათების წყებისა დაეხატა თვალწინ ტარტარენს: ხელი სტაცეს ვითომ, შებოქვს და გადასცეს ხელისუფალთ... განა საკითხავია, რომ ეშინოდა, მაგრამ გმირულად დაიპირა თავი. უცებ მოსცილდა სონიას და ყრუ ხმით წარმოთქვა:

— თავს უშველეთ, გაიქეციოთ...

მერე თავაწეული, ამაყად თვალშემართული, თითქოს სასჯელწამებისათვის ეშაფოტზე მიდისო, კიბეს შეუყვავა, მაგრამ იმდენად დეღავდა, რომ ერთთავად მოაჯირს ებლაუქებოდა.

ზევით რომ ავიდა, დერეფნის სიღრმეში შეამჩნია, ვილაცები შეგჯუფებულიყვნენ მის კარებთან და საკეტის ღრულში იჭვრიტებოდნენ, აბრაზუნებდნენ, იძახდნენ: „ეი, ტარტარენ!..“

— თქვენ ჩემთანა ხართ, ბატონებო?

— თქვენთან! მაშ სხვა ვისთან, ძვირფასო პრეზიდენტო!..

ნაცრისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი პატარა, მოფუსფუსე, ხმელ-ხმელი მოხუცი, რომელსაც თავის კურტაკზე, ქულზე, გეტრებზე, უღვაშზე მოჰყოლოდა თითქოს მთელი მტვერი ქალაქის სასეირნო წრისა, ყელზე ჩამოეკიდა ჩვენს გმირს და მის გადატყეცილ, გასათუთებულ ლოყებს ყოფილი კაპტენარმუსის უხეში კანი გაუხანუნა.

— ბრავიდა!.. საიდან სადაო? ექსკურბანიესიცი აქ არის!.. ეს ვილაა?

პასუხად ვილაცამ ამოიკიკინა:

— მე ვარ, ძვირფასო მასწავლებლო!..

და წინ წამოდგა შეათთიქის, მოწაფე. კედელზე რაკუნით მოქონდა გრძელი ანკესის მსგავსი რაღაც, რუხ ქალაღდა და მუშაობაში გამოხვეული, თანაც ბაწარშემოკრული.

— ჰე! ვე, ეს ხომ პასკალონია!.. ვაკოცოთ ერთმანეთს, ბიჭუნი... ვე რა აქვს ხელში, ნეტა? დაღე საღმე, რა არის!..

— ქალაღდი... ქალაღდი შემოხსენი! — უჩურჩულა მეთაურმა.

ქაბუკმა სწრაფად შემოხსნა სახვევი და გულდამძიმებული ტარტარენის წინ ტარასკონის დროშა გაიშალა.

ღეპუტატებმა ქული მოიხადეს.

— ძვირფასო პრეზიდენტო, — წარმოთქვა ბრავიდამ მტკიცედ და დიდებულად, თუმცა, ცოტა არ იყოს, აკანკალებულის ხმით. — თქვენ დროშა მოითხოვეთ, ჩვენც მოგვკარეთ, აგერ!..

პრეზიდენტს თვალევი ვაშლებივით გაუდიდდა და დაუმრგვალდა:

— მე? მე ვითხოვე დროშა?..

— როგორ! არ მოგიტხოვიათ, განა?

— ჰო! დიახ, რა სკვრელია, — წარმოთქვა ტარტარენმა და ბეზიუკეს სახელმა გაუელვა გონებაში. მაშინვე გაიგო ყველაფერი, მიხვდა ყოველს და, გულაჩვილებულმა მეთაურის უწყინარი ტყუილით, — რითაც ეს კაცი მოვალეობისაკენ, სახელის დაცვისაკენ მიუხმობდა, — ძლივს ქაქანით წაილულლულა:

— აჰ! ჩემო მეგობრებო, რა კარგი ჰქენით! რა სიკეთე მიყავით!

— გაუმარჯოს პრეზიდენს! — შესწკმუვლა პასკალონმა და ორიფლამა! შეარხია.

გაისმა ექსკურბანიესის გონგი და მისმა საბრძოლო ყიყინამ: „ჰო! ჰო! ჰო! ვიხმოურათ...!“ ოტელის სარდაფებამდე ჩაიგრიალა. ყველგან კარი გაიღო, ყველა სართულზე ცნობისმოყვარეებმა გამოყვეს თავი, მაგრამ აღმითა და ამ ბანჯგელიანი შავი კაცებით დაშინებულები, — უცნაურ სიტყვებს რომ ყვიროდნენ და მკლავები მალლა აეშვირათ, — მაშინვე გაქრნენ. მშვიდ ოტელ „იუნგფრაუში“ მსგავსი სოდომ-გომორის მომსწრე არავინ ყოფილა თავის ღღეში.

— შევიდეთ ჩემთან, — თქვა ტარტარენმა, რაკი უხერხულად იგრძნო როგორღაც თავი.

ხელები ცეცებით მიდიოდნენ ისინი ბნელ ოთახში და ასანთს

¹ ორიფლამა — საფრანგეთის მეფეთა ალამი. აქ — წმიდა დროშის ნიშნავს.

ეძებდნენ, რომ უეცრად ძლიერი დარტყმით კარი დგრიალით გაიღო და ზღურბლზე გამოჩნდა ოტელის პატრონი მეიერი, ზვიადი, ვაზლენძილი და ყვითელი სახის კაცი. უნდოდა შესულიყო ოთახში, მაგრამ შედგა, — სიბნელეში მოელვარე საშინელმა თვალებმა ადგილზე შეაყენეს, — და ზღურბლიდანვე კბილებში გამოცრა უხეში გერმანული კილოთი:

— აბა წყნარატ, ტუ შეიძლება, ტორემ პოლისიაში ამოგაყოფინებტ ტავს.

კამეჩის ბლავილივით რაღაც მოისმა პასუხად ამ უდიერი გაფრთხილებისა: „ამოგაყოფინებტ ტავსო“. ოტელის პატრონმა ერთი ნაბიჯი უკან წასდგა, მაგრამ მაინც კიდევ მიახალა:

— გიცნობთ, ვინცა ბრძანდებით! თქვენ გითვალთვალებენ, მე არა მსურს ასეთი ხალხი მყავდეს ოტელში!

— ბატონო მეიერ, — უთხრა მშვიდად და ზრდილობიანად, მაგრამ კი მტკიცედ ტარტარენმა, — უბრძანეთ, ანგარიში წარმომიდგინონ!.. მე და ეს პატივცემული ბატონები ხვალ დილას იუნგფრაუზე მივემგზავრებით.

ო, მშობლიურო მიწავ, ო, პატარა სამშობლოვ, ნაწილო დიდი-სავ! საკმარისი იყო ტარასკონული კილო გაეგონა და ტარასკონული დროშის ლაქვარდოვანი ნაკეცებიდან მშობელი მხრის ჰაერი დარხეულიყო, რომ ტარტარენი ერთბაშად დასხლტომოდა სიყვარულის ხლართებს, და თავის მოვალეობას, დიდებას დაჰბრუნებოდა.

ახლა კი, ო უ!.. გავსწოთ წინ!

IX

„მოშინაურებულ ჟარსიკში“

თვალწარმტაცი იყო მეორე დღეს ეს ფეხით გავლილი გზა ინტერლაკენიდან გრინდელვალდამდე, სადაც მეგზურები უნდა აეყვანათ მცირე შეიდეკზე ასასვლელად; მშვენიერი იყო ეს დიდებული სვლა კვლავ გეტრებსა და სამგზავრო ტანსაცმელში გამოწყობილი ბ. ბ. ბ. — ისა ერთ მხარეს მეთაურ ბრავიდას გამხმარ მხარს რომ დაჰყარდნობოდა, ხოლო მეორე მხარეს — ექსკურბანისის ლონიერ მკლავს; ორივეს ეამაყებოდა, ასე მათზე დანდობილი რომ მიჰყავდათ თავიანთი ძვირფასი პრეზიდენტი, მიჰქონდათ მისი წერაყინი;

სამგზავრო ჩანთა, ალპენშტოკი, ამავე დროს კი, ხან წინა და ხან უკან, ხანაც გვერდით, მოზრდილი ლეკვივით მოკუნტრუშობდა ფანტიკოსი პასკალონი; გუშინდელი აურზაურის მსგავსი შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, დროშა საგულდაგულოდ დახვეული და შეფუთული მიჰქონდა.

თანამგზავრების მხიარული გუნებაგანწყობილება, შესრულებული მოვალებების შეგნება, თეთრად მოქათათე იუნგფრაუ, კვამლივით ცაში აკვალთული, — კმაროდა ეს ყველაფერი, რათა ჩვენს გმირს დავიწყებოდა ის, რასაც აქა ტოვებდა, ეგებ სამუდამოდ და მშვიდობის უთქმელადაც კი. ინტერლაკენის უკანასკნელ სახლებს რომ გასცდა, ტარტარენს ქუთუთოები დაებერა. და, გზაზე შეუჩერებლად, რიგ-რიგად ჯერ ექსკურბანიესის მეკრდზე წაიხარა გულაჩვილებული და ცოტა წაიტირა: „ყური მიგდეთ, სპირიდიონ“, მერე ბრავიდასი: „თქვენ მე მიცნობთ, პლასიდ...“ უნდა აღინიშნოს, რომ ბედის დაცივნისა გამო, ამ გულოვან მეომარს პლასიდს¹ ეძახდნენ, ხოლო ამ სქელკანა კამერს, მდაბალი ინსტინქტების მექონს — სპირიდიონს².

სამწუხაროდ, ტარასკონელებს უფრო ზრდილობა-თავაზიანობა ახასიათებთ, ვიდრე სანტიმენტალობა, და გულის ამბებს ისინი მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. „ვინცა კარგავს ქალსა და თხუთმეტ სუსს, მარტო ფული უზარალია“, — ამბობდა ხოლმე დამოძღვრებით პლასიდი და სპირიდიონიც სწორედ ამ აზრისა იყო. რაც შეეხება უბიწო პასკალონს, იმას რაღაც საშინელი შიში ჰქონდა ქალებისა და ყურის ძირებამდე წითლდებოდა, როცა იმის წინ მცირე შეილდეს ახსენებდნენ ხოლმე, — ასე ეგონა, ვილაც მსუბუქი ყოფაქცევის სულიერზე ლაპარაკობენო. საბრალო შეყვარებული იძულებული იყო გულში ჩაეთხრო სათქმელი და უფრო უტყუარი ხერხისათვის მიემართა — თავი თვითონ ენუგეშებინა.

ან კი რომელ დარდს არ განუქარვებდა კაცს ეს თვალშესაქცევი გზა, ვიწრო და ღრმა, ბნელი ხეობით მიმავალი, გზა, რომლის გასწ-

¹ პლასიდო (ფრანგ.) — მშვიდი. წყნარი.

² სპირიდიონი — პერსონაჟი ეოზე სანდის ამავე სახელობის რომანისა (1839); მოაზროვნე ბერი, სიმართლის მაძიებელი, რელიგიურ დოგმაზე გულგატეხილი.

ვრივაც აღქაფებული მდინარე მიიკლავებოდა და ამ მდინარის გრიალი მეხის ხმასავით მისკვექავდა მის ორსავ დამრეც ნაპირზე შეფენილ ფიქვენარში!

ტარასკონელი დეპუტატები თავაწეულები მიაბიჯებდნენ, როგორც წმიდა ძრწოლითა და თავყვანებით შეპყრობილნი. ასეთი გრძნობა ჰქონდათ ალბათ სინდბად ზღვაოსანსა! და მის თანამგზავრებს, როდესაც პირველად წაადგნენ მანგოს ხეებს, მთელს გიგანტურს ფლორას ინდოეთის ნაპირებისას. მანამდე ტარასკონელები იცნობდნენ მხოლოდ თავიანთ მოტიტველებულ, კბოდოვან გორაკებს, და როგორ იფიქრებდნენ, ერთბაშად ამდენი ხე თუ იქნებოდა ასეთ მაღალ მთებზე.

— ეს კიდევ რა არის!.. თქვენ იუნგფრაუ ნახეთ! — ამბობდა პ. ა. პ. და ტყებოდა, რომ დეპუტატები განცვიფრებულნი შეპყურებდნენ, თანაც გრძნობდა, როგორ იზრდებოდა მათ თვალში.

ამაგ დროს, თითქოსდა ბუნების სურათის გამოსაცოცხლებლად და მისი მკაცრი დიდებულების შესარბილებლად, კავალკადები მიმოქროდნენ გზაზე, დიდრონი ტევადი ლანდოები მიგრიალებდნენ და მათს ფანჯრებში თხელი პირსაბურები მიფრიალებდა; მგზავრებს თავი გადმოეყოთ და ცნობისმოყვარეობით ათვალეერებდნენ დეპუტაციას, თავიანთი ბელადის ირგვლივ შემტკიცებულს. ალაგ-ალაგ გამოეფინათ წვრილმანი მოსართავი ნივთები, ხეზე ამოჭრილი; გზის პირას გოგოები დარჭობილიყვნენ. — გაშეშებული იდგნენ ფართობათთან ჩალის ქუდებსა და ფერად-ფერად დაბლა-კაბებში გამოწყობილნი, სამხმიან სიმღერებსა მღეროდნენ, თანაც ყოლოსა და ედელვეისის კონებს სთავაზობდნენ მგზავრებს. ყამით-ყამად, ალპური ბუკი წარაელენდა ხოლმე მთებში თავის ნაღვლიან რიტურნელს, ხეობაში გაძლიერებულსა და გამჭექარებულს, მერე კი თანდათან მინელებულს, თითქოს ღრუბელი ორთქლად იქცაო.

— რა მშვენიერებაა, ორლანი გეგონებათ... — ბუტბუტებდა თვალბმონამული და ატაცებულ-აღფრთოვანებული პასკალონი და ძალიან ჰგავდა ამ დროს ეკლესიის საკმელებზე მოხატულ წმიდანებს.

1 „ათას ერთი ღამის“ ერთ-ერთი ზღაპრის გმირია.

ექსკურზიის იხტიბარს არ იტყვია, გარდა, გარდა, გარდა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, და ექის შორს-შორს გაჰქონდა მისი ტარასკონული კილო:

— ჰო! ჰო! ჰო!.. ვ ი ხ მ ო უ რ ო თ!

მაგრამ მომქანცველია მაინც ორი საათი სიარული, როცა ირგვლივ ბუნების ერთი და იგივე სურათები გაკრავს. თუნდაც ზურმუხტი ფირუხს ენაცვლებოდეს, შორით სიღრმეში მყინვარები მოჩანდეს და ყველაფერი გარშემო ისე უღერდეს, თითქოს მუსიკადრანებული საათი უკრავსო. ღვარების ზათქი, სამხმოვანი გუნდები, სამშენისების გამყიდველები, მეთაიგულე გოგონები, — ყოველივე ეს აუტანელად მობეზრდა ჩვენს მოგზაურებს, მეტადრე ქანტი, ორთქლი, ამ ძაბრის ფსკერზე ჩამოწოლილი, ეს რბილი, ფეხქვეშ მოშლაპუნე, აყვავებული მცენარეებით დაფარული ნიადაგი, სადაც მზე არასდროს არ შეიჭვრეტდა.

— აქ პლევრიტი დაემართება კაცს, — ამბობდა ბუზღუნით ბრავიდა და თან კურტაკის საყელს იწევდა.

მერე ამას დაღლილობა, შიმშილი, უგუნებობა მოემატა. არსად ფუნდუკი არ ჩანდა. ულოთი გამოტენილი კუჭი თანდათან საშინელ სატანჯველში აგდებდა ექსკურზიისსა და ბრავიდას, თვით პასკალონსაც კი, ამ ცით ჩამოფრენილ ანგელოზს, ვისთვისაც დანარჩენებს უსინდისოდ ჩამოეკიდათ მხარზე მარტო ალაში კი არა, — თა-
ვიანთი წამოსაღები — წერაყინი, ალპენშტოკი, სამგზავრო ჩანთა, — იმასაც გაჰქრობოდა სიმხიარულე და აღარ ეკუნტრუშებოდა.

გზის მოსახვევეში, როცა ის იყო გადაიარეს ლუჩინენის გადახურული ხიდი (ასეთ ხიდს ხშირად შეხვდებით ამ მხარეში, სადაც დიდი თოვლი იცის), ბუკის ყურთასმენის წამლები ხმა მოესმათ.

— აჰ! ერთი თქვენც!.. აღარ გეყოფათ? — შეჰღრიალა გამწარებულიმა დეპუტაციამ.

გზის პირას ჩასაფრებულმა გოლიათმა კაცმა ხელი უშვა ნაძვის უზარმაზარ ბუკს, მიწას რომ სწვდებოდა და ბოლოში რაღაც საჩხერი ყუთი ჰქონდა, რაც ამ ისტორიულ საკრავს საარტილერიო იარაღის ხმიანობას აძლევდა.

— დაეკითხეთ ერთი, სადმე აქ ფუნდუკი ხომ არ არის? — უთხრა პრეზიდენტმა ექსკურზიისს, რომელსაც უდიდესი რიხი და პაწაწუნა ჯიბის ლექსიკონი ჰქონდა და, რაკი გერმანულ შევიცარი-

ში შედგეს ფეხი, ასე ფიქრობდა, დეპუტაციას თარჯიმნად გამოვადგებიო.

მაგრამ, სანამ ექსკურბანიის ლექსიკონს ამოიღებდა, ბუკის დამკვერელმა მშვენიერი ფრანგულით უპასუხა:

— ფუნდუკი, ბატონებო?.. რა თქმა უნდა... „მოშინაურებული ქურციკი“ სულ ახლოს არის აქედან. ნება მიბოძეთ, გააყვეთ.

და გზაზე უამბო, პარიზში მიცხოვრია წლების მანძილზე და კომისიონერად მიმსახურია ვივიენის ქუჩის კუთხეშიო.

„ესეც, მაშ, კომპანიის სამსახურში ყოფილა, ეშმაკსაც წაუღია!“ — გაიფიქრა ტარტარენმა, მეგობრებს კი ხელი არ შეუშალა, გაეოცებინათ უცნობის ნათქვამი. ამასთანავე ბომპარის თანამოსამსახურე ძალიან გაშოადგათ; რადგან, მართალია, აბრაზე ფრანგული წარწერა იყო, მაგრამ „მოშინაურებულ ქურციკში“ საშინელ ადგილობრივ გერმანულ კილოკავზე ლაპარაკობდნენ.

სულ მალე ტარასკონელთა დეპუტაცია კარტოფილიან ტაფა-მწვარს უჯდა, რამაც ძალ-ღონეც დაუბრუნათ და კარგი გუნება-განწყობილებაც. ეს კი ისევე აუცილებელია სამხრეთელი კაცისათვის, როგორც მზე მათი სამშობლო მხრისათვის. კარგად გადაკრეს და კარგადაც დანაყრდნენ. პრეზიდენტისა და მისი წამოწყების წარმატებისათვის წარმოთქმული მრავალი სადღეგრძელოს შემდეგ, ტარტარენმა, რომლის ყურადღებაც მოსვლისთანავე მიიზიდა ფუნდუკის აბრამ, ჰკითხა ბუკის დამკვერელს, იქვე ოთახის კუთხეში მათთან ერთად რომ საუზმობდა:

— მაშ აქ თქვენ ქურციკები გყოლიათ?.. ასე მეგონა, შვეიცარიაში გადაშენდნენ-მეთქი.

— არ ითქმის, რომ ბევრი იყოს, მაგრამ მინც შეიძლება გაჩვენოთ, — თვალი ჩაუკრა კაცმა.

— სროლა მონატრა პრეზიდენტს, აი რა!.. — შეჰყვირა აღფრთოვანებულმა პასკალონმა. — თავის დღეში არ დაუცდენია.

ტარტარენმა ინანა, რატომ მაშინა არ წამოვიღეო.

— მომითმინეთ, ფუნდუკის პატრონს მოველაპარაკები.

პატრონს მართლაც ბევრი ენადირა თურმე ქურციკზე; თავისი თოფი, თოფისწამალი, საფანტი შესთავაზა მგზავრებს და მათი მეგზურობაც იკისრა, შეჰპირდა — ქურციკის ერთი ბუნაგი ვიცი და იქ წაგიყვანთო.

— აბა, წინ გივსწიოთ! — შესძახა ტარტარენმა და მიუშვა ალპინისტები, რათა მათ თავი მოეწონებინათ თავიანთი პრეზიდენტის ჩუბინი სროლით და ამით სიამოვნება ეგრძნოთ. ცოტა კი შეაგვიანდებათ, მართალია, მაგრამ არაფერია, იუნგფრაუ დაუცდით!

ფუნდუკიდან უკანა კარით გავიდნენ, გაიარეს ხეხილის პაწია ბალი, რომელიც სიდიდით სადგურის უფროსის ყვავილნარს არ აღემატებოდა, გააღეს ქიშკარი და ერთბაშად ქანგისფერი დიდი ნაპრალეებით დახეთქილ მთაში აღმოჩნდნენ, სადაც ნაძვები და ეკლიანი ჯაგნარი იზრდებოდა.

ფუნდუკის პატრონი დაწინაურდა და ტარასკონელებმა დაინახეს, რომ ის სულ მაღლა ავიდა, ხელებს აქნევდა, ქვეებს ისროდა, ალბათ იმისათვის, რომ ქურციკი ფეხზე წამოეგდო. დიდის გაჭირვებით ისინიც აპყენენ ამ ციცაბო, კლდოვან ფერდობებს და იმ ადგილას მიაღწიეს, სადაც ეს კაცი ასულიყო; მეტადრე ძნელი იყო ეს გზა სუფრიდან ახალამდგარი და მთაზე ბლოტვას მიუჩვეველი ადამიანებისათვის, როგორებიც ჩვენი კეთილი ტარასკონელი მთამსვლელები ბრძანდებოდნენ.

ამას ემატებოდა დახუთული ჰაერი, მოახლოებული ქექა-ქუხილის მძიმე სულთქმა, საავდრო ღრუბლებს რომ მიერეკებოდა ზანტად მთათა თხემებზე, ზედ ჩვენი მგზავრების თავს ზემოთ.

— დაიკარგოს! — ოხრავდა ბრავიდა.

— წავიდეს იქით! — ბუზღუნებდა ექსკურბანიისი.

— უკაცრაული პასუხია! — კიკინა ხმით ბოდიშობდა უწყინარი პასკალონი.

მეგზურმა მათ უეცრად ანიშნა, ჩუმად და გაუნძრევლად მდგარიყვნენ.

— შეიარაღებულს ლაპარაკი ეკრძალება! — მკაცრად შენიშნა ტარტარენ ტარასკონელმა და ყველამ ეს ყურად იღო, თუმცა შეიარაღებული მართო ტარტარენი იყო.

ყველანი ადგილზე შედგნენ, სუნთქვაშეკრულნი. უცბად პასკალონმა დასკვივლა:

— ვ ე! ქურციკი, ვ ე!

მართლაცდა, ას მეტრზე მათ ზემოთ ღია წაბლისფერი, რქებაშვერილი ლამაზი ცხოველი დამდგარიყო და უშიშრად გადმოჰყურებდა მოსულებს; ოთხივ ფეხით დაბრჯენოდა კლდის კიდეს და

ხიდან გამოთლილსა ჰგავდა. ტარტარენმა ჩვეულებისამებრ დინჯად მიიტანა თოფი მხართან და უნდოდა კიდეცა დაემიზნებინა, რომ ქურციკი უცბად გაქრა.

— შენი ბრალა, — უთხრა მეთაურმა პასკალონს. — შენ დაუსტვინე... მაგიტომ დაფრთხა.

— აბა როდის დაუსტვინე?

— მაშ, სპირიდიონი იქნებოდა.

— თავის დღეში, ფიქრადაც არ მომსვლია!

ასე იყო თუ ისე, ყველამ კი ნამდვილად გაიგონა სტვენა, ხანგრძლივი, ყურთასმენის წამლები. ტარტარენმა დააშოშმინა მეგობრები, უთხრა, ქურციკები საფრთხის მოახლოებას იგრძნობენ თუ არა, ხმაურით უშვებენ ნესტოებიდან ჰაერსო. ამ ეშმაკის ფეხ ტარტარენს, სხვა ცხოველებზე ნადირობისა არ იყოს, ქურციკზე ნადირობისაც კარგად გაეგებოდა ყველაფერი! მეგზურის დაძახებაზე ყველანი კვლავ გზას გაუდგნენ; მაგრამ ფერდობი უფრო და უფრო ციცაბო ხდებოდა, კლდე უფრო ფრიალო, მარცხნივ და მარჯვნივ ყბა დაედრინათ ხრამებს. ტარტარენი წინ მიდიოდა, ერთთავად კი უკან ეჭირა თვალი, — დეპუტატებს დავეხმარო, ხელი ან შაშხანა გავუწოდო.

— ხელი! თუ შეიძლება, ხელი! — შესთხოვდა მხნე ბრავიდა, რადგან ძალიან ეშინოდა გატენილი იარაღისა.

მეგზურმა კვლავ ნიშანი მისცათ, კვლავ შეჩერდა დეპუტატია, კვლავ ყველამ თავი მაღლა ასწია.

— წვიმის წვეთი დამეცა! — წაიბურღლუნა შეწუხებულმა მეთაურმა.

მაშინვე დაიქუხა, მაგრამ ქუხილზე უფრო უმეტესად დასჭექა ექსკურბანიესის ხმამ:

— აბა, ჩქარა, ტარტარენ!

სულ ახლოს მათგან ოქროსფრად გაიელვა ქურციკმა და ისეთი სისწრაფით გადაეცლო ხრამს, რომ ტარტარენმა თოფის მომარჯვებაც კი ვერ მოასწრო; ეს არის მხოლოდ ყველამ გაიგონა გაგრძელებული სტვენა, ცხოველის ნესტოებიდან წამოსული.

— ერთი მე მაგას! მოუხდება შეჩვენებულს! — შესძახა პრეზიდენტმა.

მაგრამ დეპუტატებმა არ დაანებეს. ექსკურბანიესს უეცრად

ბრაზიც კი მოერია და დაეკითხა პრეზიდენტს, ფიცი ხომ არ დაგიდ-
ვიათ, ბოლო მოგვიღოთო.

— ძვირფასო მას...წაე...ლე...ბელო, — ამოიყივნა მორცხვად
პასკალონმა, — გამიგონია, თუ ქურციკს უფსკრულის პირას მიაგ-
დებ, მონადირეს მოუბრუნდება და შეიძლება ხიფათი დაატე-
ხოს.

— მაშ, ნუ მივაგდებთ უფსკრულის პირას! — შეჰყვირა მრისხა-
ნედ ბრავიდამ და ქუდი გვერდზე მოიგდო.

ტარტარენმა თავის თანამგზავრებს გლახაკები უწოდა. ამ გაცხა-
რებულ დაეაში რომ იყვნენ, უეცრად გოგირდის სუნით გაუღენთი-
ლი რაღაც ხშირი და თბილი ღრუბელი ჩამოწვა და თანამგზავრები
ერთმანეთისაგან გათიშა.

— ეი, ტარტარენ!

— სადა ხართ, პლასიდ?

— მასწა...ვლე...ბელო!

— მშვიდად იყავით! მშვიდად!

ნამდვილმა შიშისზარმა აიტანა მგზავრები. მოვარდნილმა ქარმა
ღრუბელი გაარღვია და ვით მოგლეჩილი ლეჩაქი, თან წარიტაცა,
ბუჩქნარზე ააფარფატა; იქიდან ელევა გამოიკლაცნა საზარელი ჰექით
და მეხი შიგ ფეხებქვეშ დაეცა მოგზაურებს.

— ჩემი ქუდი!.. — დაიყვირა ქარიშხლისაგან თავმოშვლეპილმა
სპირიდონმა; მის აბურძგნულ თმებზე ელექტრულ ნაპერწკლებს
გაჰქონდათ ტკრციალი.

მგზავრები შუაგულ ჰექა-ქუხილში, შიგ ვულკანის სამჰედურში
მოხვდნენ. ბრავიდამ პირველმა გაკურცხლა; დანარჩენებიც ის იყო
უკან უნდა დასდევნებოდნენ, რომ ყველასათვის მზრუნველი პ. ა.
ბ. — ის ყვირილმა შეაჩერათ.

— უბედურებო!.. ერიდეთ ელვას!..

ამ აშკარა საშიშროების გარდა, რაზედაც ტარტარენი წინასწარ
აფრთხილებდა, მათ ერთი სხვა რამ საფრთხეც ელოდათ: შეუძლე-
ბელი იყო სირბილი ამ დაქანებულ, ღრანტოვან ფერდობებზე,
რომლებიც თქეშს ნიაღვრებად, ჩანჩქერებად ექცია. უკან დაბრუ-
ნებაც აუტანელი ძნელი შეიქნა; ნელის ნაბიჯით მიდიოდნენ ჩვენი
მგზავრები ამ ჩამოქცეული ცის ქვეშ, ხშირ ელვა-გრიალში; ფეხი
ერთთავად უსხლტებოდათ, ვარდებოდნენ, ჩერდებოდნენ ძალაუნე-

ბურად. პასკალონი პირვეარს ისახავდა, ტარასკონული ჩვეულები-სამებრ ხმამაღლა უხმოზდა „წმიდა მართასა და წმიდა ელენეს, წმი-და მარიამ-მაგდალინელს“, ექსკურბანიისი იგინებოდა: „დასწყევ-ლის ღმერთით“, ხოლო ბრავიდა, არიერგარდში მყოფი, უკან იხე-დებოდა, შეშფოთებული:

— ეს რა ეშმაკებია, ჩვენს უკან რომ ისმის?.. უსტვენს, დახტის ქენებით, მერე უცებ ჩერდება...

ფიქრი გაათრებულ ქურციკზე, რომელიც თურმე მონადირე-ებს ეცემა ხოლმე, თავიდან არა შორდებოდა მამაც მხედარს. სულ ჩუმად, მეგობრები არ დავაშინოო, თავისი შიში ტარტარენს გაუ-ზიარა. ტარტარენმაც ვაუკაცურად დაიკავა ბრავიდას ადგილი არიერგარდში და თავაწეულმა გასწია, ძვლებამდე გალუმპულმა, იმ მტკიცე გადაწყვეტილებით, რასაც კაცს აძლევს გარდაუვალი საფრ-თხის შეგნება. მაგრამ როდესაც ფუნდუკში დაბრუნდა და ნახა, რომ იმისი ძვირფასი მთამსვლელები ქერქვეშ არიან, იმშრალევენ სხეულს და იშრობენ ტანსაცმელს შორენკეცის უშველებელ ღუ-მელთან მეორე სართულის ერთ-ერთ ოთახში, სადაც ქვემოდან ამო-დიოდა სუნი ადრევე დაკვეთილი გროგისა, — მოეჩვენა უცებ, რომ აჟრიალებს, და ძალზე გადაფითრებულმა გამოაცხადა:

— როგორღაც ვერა ვარ კარგად...

„ვერა ვარ კარგად“ ადგილობრივი ტარასკონული გამოთქმაა, მე-ტად საშიში თავისი მოკლედ მოჭრილი ბუნდოვანებით და ნიშნავს ყველა ავადმყოფობას: შავ ჭირს, ქოლერას, vomito neg-ros“-ს, შავ ყვავილს, ყვითელ ციებ-ცხელებას, წვეთის დაცემას. ყველა ეს დაავადება ელანდება მუდამ ტარასკონელს, ცოტა უქეი-ფოდ გახდება თუ არა.

ტარტარენი როგორღაც ვერ არის კარგად! მაშ, გზის გაგრძელე-ბაზე ფიქრი სადღა იქნებოდა, თანაც დეპუტაციას უამისოლად დასვენების მეტი სხვა აღარა ენატრებოდა რა. ტარტარენს მაშინვე გაუთბეს ლოგინი, სასწრაფოდ მოუტანეს ცხელი ღვინო, და მეორე ჭიქა დალია თუ არა, მთელ სხეულში სითბომ დაუარა და საამოდ შეუღიტირა, რაიცა უთუოდ კეთილის მომასწავებელი ნიშანი იყო. ზურგში ორბალიშამოდებულს, ფეხებზე ყუითუკი დაეფარებინა, თავზე შალის ჩაფხუტი ჩამოეცვა და ნეტარებდა, ქარიშხლის ზუ-ზუნს რომ უსმენდა. და ტკბებოდა ნაძვის სურნელებით, რასაც პა-

ტარა ტყვისფერსარკმლებიანი ოთახის ხის კედლები გამოსცემდა. სიამით უმზერდა თავის ძვირფას მთამვლელებს, ჭიკჭიკით ხელში რომ გარსშემოდგომოდნენ. ამ გალური, სარკინოზული, რომაული სახეების პატრონთ კიდევ უფრო უცნაურ იერს აძლევდნენ მიჩიგ-დანები, ხალიჩები, ფარდები, რომლებშიაც ისინი გამოხვეულიყვნენ, იმ დროს, როდესაც ღუმელის წინ ჩამოფენილ მათს ტანსაცმელს, ორთქლი ასდიოდა. ტარტარენს საკუთარი თავი ავიწყდებოდა და გულმტკივნეულად ეკითხებოდა მეგობრებს:

— როგორა ხართ, პლასიდ?.. თქვენ როგორღაც კარგად ვერ იყავით, წელან?..

არა, სპირიდიონს აღარაფერი აწუხებდა, ყოველმა სატივიარმა გაუარა, როცა პრეზიდენტი ასე ცუდად მყოფი ნახა.

ბრავიდამ, მუდამ მზად რომ ჰქონდა ტარასკონული სიტყვის მასალა და როცა დასკირდებოდა, გამოიყენებდა ხოლმე, ცინიკურად დაატანა:

— სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი!..

მერე ახლა თავიანთ ნადირობაზე მოჰყვენენ ლაპარაკს და ძლიერ გახალისდნენ, როცა ზოგიერთი სახიფათო ეპიზოდი გაახსენეს: აი ის, მაგალითად, გამძვინებული ქურციკი მათეკნ რომ გამოეჩანა. პირიც არ შეუტრავთ ჩვენს მოგზაურებს — მოდი ტყუილი ვთქვათო — ისე, სრულიად გულწრფელად შეთხზეს ამბავი, რომელიც შინდაბრუნებულებს უნდა ეამბნათ თანამემამულეთათვის.

ოთახში უეცრად შემოვარდა მთლად დაფეთებული პასკალონი, რომელიც გროგის მოსატანად ჩასულიყო ქვემოთ. შიშველი ხელი გამოეჩარა და პოლიეკქტის მორცხვი მოძრაობით ცდილობდა კვლავ შემოეხვია ცისფერყვავილებიანი ფარდა. სუნთქვა შეჰკვროდა, ძლივს-ძლივს მოახერხა და ოდნავ გასაგონად წარმოთქვა:

— ქურციკი!..

— რა იყო მერე!

— ძირს არის, სამზარეულოში... თბება!..

— კარგი ერთი!

— რას ტუტუცობ!..

— წასულიყავით, გენახათ, პლასიდ!

ბრავიდა შეყოყმანდა. ექსკურბანიესმა იკისრა წასვლა და ფეხაკრეფით გასწია, მაგრამ თითქმის მაშინვე გამობრუნდა, სახე-

შეცვლილი... საკვირველს ზედ საკვირველი დაემატა!.. ქურციკი თბილ ღვინოსა სვამდა.

ალალი იყო ეს ღვინო საცოდავ ცხოველზე, მთაში გამართული გიჟური მარულის შემდეგ, ხან რომ გაიჭრებოდა, ხან მოიჭრებოდა პატრონის ძახილზე, მაშინ როდესაც ეს კაცი ჩვეულებრივად მხოლოდ იმასა სჯერდებოდა, რომ ოთახში უჩვენებდა ხოლმე მოგზაურებს ქურციკის სხვადასხვა ილეთებს, — აქაოდა ნახეთ, რა ადვილი გასაწვრთნელი რამ არისო.

— ვერა გამიგია რა! — შეჰყვირა ბრავიდამ და არცა ცდილობდა გაეგო რამე.

ამ დროს კი ტარტარენმა ჩაფხუტ-ჩაჩი თვალბზე ჩამოიფხატა, დუბუტატებისათვის რომ არ შეემჩნევიანებინა ის მშვიდი სიხარული, რომელიც თანდათან ერეოდა, რადგან ყოველ ნაბიჯზე ბომპარის მისანდო, უხიფათო შვეიცარიას აწყდებოდა თავისი სტატისტებითა და თვალთმაქცი ფანდებით.

X

იუნგზრაუმი ასვლა. ვმ, ხარბი კენედის წრიაკვი უპარბისია, არს სათურა ვარბა. მთავალელთა კლუბის კატარა სახლში შენიღბული კაცები მოდიან. კრეზიდენტი ნაკრალში ვარდება. იმ სამთავალესა კარბავს. მწვერვალში! ტარტარენი დემრონდ იმსევა

ამ დილას ოტელ „ლამაზ ხედს“ მცირე შეიდეკზე დიდძალი ტურისტი მოაწყდა. თუმცა წვიმა და ქარიც უბერავდა, მაგრამ სუფრა გარეთ, ვერანდის გადმოხურულს ქვეშ გაეშალათ, იქ, სადაც ხროვა-ხროვად ელაგა ალპენშტოკები, მათარები, ჰოვრიტები და კრილი ხის ფუგულიანი საათები. საუზმის დროს ტურისტებს შეეძლოთ მარცხნივ გაეხედათ და დამტკბარიყვნენ გრინდელვალდის თვალწარმტაცი ველის ცქერით, ორი ათასი მეტრის ქვემოთ რომ იყო ვერანდიდან, ხოლო მარჯვნივ — ლაუტერბრიუნენის ველით, პირდაპირ კი თითქმის თოფის გასროლის მანძილზე, მოჩანდა იუნგფრაუს უბრყვილო, დიდებული ფერდობები, მისი მყინვარები, ფირნის ველები, მთლად მისი ცისკროვანი სითეთრე, შუქს რომ ჰფენდა იქაურობას და ჭიქებს უფრო გამჭვირვალეს აჩენდა, ხოლო სუფრებს — უფრო ქათქათას.

მაგრამ ამჟამად საერთო ყურადღებას მაინც ხმაურით მომავალი წვეროსნების ქარავეანი იზიდავდა, ეს კია, ზოგი ცხენით ჩამოსულიყო, ზოგი ჭორითა თუ ვირით და საკაცითაც კი. მთაზე ასასვლელად ემზადებოდნენ, ჯერ კი ყუათიან საუზმეს მისხდომოდნენ და მხიარულად შეექცეოდნენ კიდევაც. მათი ყაყანი და ღრიანცელი სრულს წინააღმდეგობას წარმოადგენდა იმ დიდებული მოწყენილობისას, რომელიც გამეფებული იყო მცირე შეიდეკზე თავპოყრილი შავქლიაველებისა და ბრინჯის მოყვარულთა წრეში, სადაცა ბრძანდებოდნენ ისეთი სახელგანთქმული პირები, როგორცაა ლორდ ჩიმნდელი, ბელგიელი სენატორი ოჯახითურთ, ავსტრია-უნგრელი დიპლომატი და კიდევ სხვანი. კაცი იფიქრებდა, ერთი მაგიდის ირგვლივ მსხდომი ეს წვეროსნები ყველანი ერთად აპირებდნენ მთაზე ასვლასო, რადგან ყოველი მათგანი მონაწილეობას იღებდა გამგზავრების სამზადისში; სად იყო და სად არა, ხან ერთი წამოხტებოდა, ხან მეორე, განკარგულებას აძლევდა მეგზურებს, სინჯავდა სანოვაგეს და ტერასის ერთი ბოლოდან მეორეში გაპლრი-ალებდნენ ერთმანეთს:

— ეი, პლასიდ, ნახეთ ერთი, ჯამი ჩანთაშია თუ არა? არ დაგავიწყდეთ სანთურა, სხვა არ იყოს რა!

მარტო წასვლის დროს გამოირკვა, რომ ყველანი გამცილებლები ყოფილიყვნენ უბრალოდ, მთელი ამ ქარაენიდან მხოლოდ ერთი კაცი აღიოდა მთაზე. მაგრამ კაციც არის და კაციც!

— აბა, მეგობრებო, როგორ არის საქმე? — იკითხა გამარჯვებული და მხიარული კილოთი ტარტარენმა და ხმაში შიშის ნატამალიც არ ემჩნეოდა მოგზაურობაში თუ რამ ხიფათი მოელოდა. უკანასკნელი ეჭვი იმის თაობაზე, რომ შვეიცარიაში ყველაფერი ნამდვილად თვალის ასახვევად არის გაკეთებული, ამ დილითვე გაეფანტა, როცა გრინდელვალდის ორი მყინვარის წინ სალარო და ტურნიკეტი დაინახა წარწერით: „მყინვარზე ასვლა — 1 ფრანკი და 50 სანტიმი“.

ამრიგად, ჩვენს მთამსვლელს შეეძლო გულმშვიდად დამტკბარიყო საზეიმო გამგზავრებით და ლხენა განეცადა, რომ ყველა უყურებს, ყველასა შურს იმისი, რომ ეს ურიდი ახალგაზრდა ინგლისელი ასულები, ბიჭურად თმაშემოკნაწულნი, ასე საყვარლად რომ დასცინოდნენ „რიგი-კულში“, ახლა აღტაცებულნი არიან და ამ პა-

ტარა კაცს უშველებელ მთას ადარებენ, მთას, რომელზედაც ის უნდა ავიდეს. ერთი მის პორტრეტს იხატავდა ალბომში, მეორემ დიდ პატივად მიიჩნია, ხელი დაეკარებინა მისი ალპენშტოკისათვის.

— ჩიმპენისა!.. ჩიმპენისა!.. — დაიყრანტალა უცბად აწოწილმა, პირკუშტმა ინგლისელმა, აგურისფერი სახის კაცმა და ტარტარენტან მივიდა ჭიქითა და ბოთლით ხელში. არ მოეშვა, სანამ ჭიქა ჭიქას არ მიურაწყუნა და მერე გაეცნო.

— ლორდ ჩიპნდელი, სერ... და თქვენ?

— ტარტარენ ტარასკონელი გახლავართ.

— Oh! yes...¹ ტარტერინი... ძალონ კარგი სახელია ცხენისათვის, — თქვა ლორდმა, რომელიც, ეტყობა, მაგარი სპორტსმენი უნდა ყოფილიყო ლამანშის იქითა მხრისა.

აგსტრია-უნგრელი დიპლომატიც მიუახლოვდა ტარტარენს, რათა თავის თათმანიან ხელში მისი ხელი ჩაებღუჭა და ბუნდოვნად იხსენებდა, რომ სადღაც ენახა იგი.

— მოხარული ვარ!.. მოხარული!.. — წაილულულა რამდენჯერმე და, სხვა რომ ვეღარა მოახერხა რა, დაუმატა: — გულითადი მოკითხვა თქვენს მეუღლეს... — ასე იცოდა, ამ თავაზიანი ფრაზით დასრულებდა ხოლმე ერთბაშად გაცნობის ცერემონიას.

მაგრამ მეგზურებს ეშურებოდათ, საჭირო იყო დაბინდებამდე მისულიყვნენ ალპინისტთა კლუბის პატარა სახლამდე, სადაც მთაზე ამსვლელები პირველად ჩერდებიან და ღამეს იქ ათევენ ხოლმე. წუთის დაკარგვაც აღარ შეიძლებოდა. ტარტარენმა შეისმინა ეს, თავი დაუკრა, გამოეთხოვა ყველას, მამობრივად გაუღიმა ანგალ ინგლისელ მისებს, მერე კი მქუხარე ხმით წარმოთქვა:

— პასკალონ, დროშა!

დროშა აფრიალდა, სამხრეთელებმა ქუდი მოიხადეს, — ტარასკონში უყვართ თეატრალური ეფექტები, — გაუთავებელი შეძახილები გაისმა: „გაუმარჯოს პრეზიდენტს!.. გაუმარჯოს ტარტარენს!.. ჰო!.. ჰო!.. ვ ი ხ მ ო უ რ ო თ!..“ კოლონა დაიძრა, წინ ორი მეგზური მიდიოდა, და ჩანთა, სურსათი, შეშის გუდურები მიჰქონდათ, უკან პასკალონი მოჰყვებოდათ, ორიფლამით. სულ ბოლოს პ. ა. ა. და დეპუტატები მიდიოდნენ; ამათ გუგის მყინვარამდე უნდა მიეცილე-

¹ დახეთ, ერთი... (ი ნ გ.).

ბინათ პრეზიდენტი. ამ მწყობრად მიმავალ ხალხის მსვლელობა. თავიანთი დროშის ფრაშფრაშით მყინვარის სველ ძირზე, მის შიშველსა თუ დათოვლილ თხემებზე, შორეულად მოგაგონებდათ სოფლის პროცესიას მიცვალებულთა მოსახსენებელ დღეს.

უეცრად ძლიერ დაფეთებულმა მეთაურმა შეჰყვირა:

— ვე, ხარები!

მართლაც, რამდენიმე ხარი ბალახსა სძოვდა დაბლობში. ძველი სამხედრო კაცი შიშით აღარ იყო ხოლმე ამ პირუტყვის დანახვაზე და ახლა თავს ვერაფრით მორეოდა. რაკი დეპუტაციას მისი მიტოვება არ შეეძლო, იძულებული გახდა შემდგარიყო. პასკალონმა დროშა ერთ-ერთ მეგზურს გადასცა. მერე გადაეხვივნენ პრეზიდენტს, რჩევა-დარიგება, დალოცვა დაატანეს საჩქაროდ: „ნახვამდის, ჰე“, ფრთხილად იყავით, სხვა არ იყოს რა!..“ თან თვალი სულ ხარებისკენ გაურბოდათ; განშორდნენ ბოლოს. ერთსაც არ მოსვლია თავში, მოდი შევთავაზო, თან გამოგყვებიო: მეტისმეტად მძლავრად იყო ასასვლელი, და იკარგოს ერთი! რაც უფრო უახლოვდები, მით უფრო ზემოთ იწევს მთა, უფრო ჩათხრილან უფსკრულები, თეთრი, როგორც იტყვიან, გაუვალი ქაოსიდან თავი ამოუყვიათ წვეროებს. ნამდვილად სჯობდა მთაზე ასვლისათვის მცირე შეიდეკიდან ექიჩრათ.

რა თქმა უნდა, ალპინელთა კლუბის პრეზიდენტს თავის დღეში არ დაეკარებინა ფეხი მყინვარზე. რასაც ირგვლივ ხედავდა, ოდნავადაც არ წააგავდა ტარასკონულ გორაკებს, ვეტივერიის¹ პაკეტივით სურნელოვანთა და მშრალთ. და მაინც გუგის მისადგომები ისეთ გრძნობასა ბადებდნენ, თითქოს უკვე ენახა სადღაც, აგონებდნენ ნადირობას პროვანსში, კამარგის განაპირას, ზღვის შორიანხლოს. აქაც იგივე ბალახი იყო, თანდათან დამდბლებული, ჭუჭა, გადაბუგული, თითქოს ცეცხლით გადაუტრუსავთო. აქა-იქ გუბეები, ქანჭრობები მოჩანდა, მათ არსებობას სუსტი ლერწამი ამხელდა. იქით მორენა იყო და ჰგავდა იგი სილისა, დამტვრეული ნიჟარებისა თუ უიკმატი ქვანახშირის მოძრავ დიუნას, შორით კი მყინვარი კიაფობდა თეთრქოჩორა მომწვანო-მოცისფრო ტალღებით, რომლებიც

¹ ვეტივერია — ინდოეთის მცენარე; მის სურნელოვან ძირებს, ეთეროვანი ზეთით მდიდართ, იყენებენ საპარფიუმეროო წარმოებაში.

ნამდვილ ზვირთებს ედრებოდნენ, თავიანთი მღუმარე გარინდებულნი ფრთონით. მყინვარიდან სივილით მონაბერი ქარი ისეთივე ჟანსადი, მაცოცხლებელი ძალით ატანდა სხეულში, როგორც ზღვაური.

— არა, გამაღობთ... მე წრიაპები მაქვს... — უთხრა ტარტარენმა მეგზურს, როდესაც ამან შესთავაზა, შალის წინდები ფეხსაცმლის ზემოთ ჩაიცივითო. — კენედის წრიაპებია... გაუმჯობესებული, ძალიან მოხერხებული...

და ამას ისე გაპყვიროდა, თითქოს ყრუს ელაპარაკებო, რომ ქრისტიან ინებნიტისათვის უკეთ გაეგებინებინა. ამ კაცს კი ფრანგულისა ისევე არა ესმოდა რა, როგორც მის მეგობარ გაუფმანს. ქვაზე ჩამომჯდარი ტარტარენი თასმით იკრავდა ამ დროს ხის ფეხსაცმლის მსგავს რაღაც ფეხსამოსს, რომელსაც სამი უშველებელი წვეტი ჰქონდა ძირზე დაკრული. ასჯერ მაინც გაუსინჯავს ეს კენედის წრიაპები, შეუმოწმებია ბაობაბით დამშვენებულ თავის ბაღში, მაგრამ ახლა მაინც სულ მოულოდნელი შედეგი მიიღო. გმირის სიმძიმეს ველარ გაუძლეს და ისეთის ძალით ჩაიჭრნენ ყინულში, რომ ყოველი ცდა მათი ამოძრობისა ტყუილი გამოდგა. და აი ტარტარენი, ყინულზე დამსკვალული, ქშინავს, იგინება, გახვითქული, გამწარებული იქნევს ხელებსა და ალპენშტოკს და ბოლოს იძულებული ხდება მეგზურებს დაუძახოს. მეგზურები წინ მიდიოდნენ, რაკი დარწმუნებული იყვნენ, გამოცდილ მთამსვლელთან გვაქვს საქმეო. ვერასგზით რომ ვერ დაძრეს ადგილიდან ტარტარენი, თასმები შეხსნეს წრიაპებს და — ყინულში ჩატოვეს, სანაცვლოდ კი შალის წინდები ჩააცმევინეს პრეზიდენტს. მან ცოტა არ იყოს, დაღლილმა, დიდის გაკვირვებით განაგრძო გზა. ჯონით სიარულს არ იყო მიჩვეული და სულ ფეხებში ედებოდა. რკინის ბუნიკი, როგორც კი ჯონს ძალა დაადგებოდა ხოლმე, სხლტებოდა და ტარტარენი ლამის წაქცეულიყო. ახლა წერაყინი სცადა, მაგრამ უფრო გაუძნელდა მისი მომარჯვება, რადგან ყინულოვანი ზვირთცემა უფრო და უფრო მძლავრობდა, ერთ უძრავ ტალღას მეორეზე მოაგორებდა, ასე გეგონებოდათ, გააფთრებული გრიგალი გაქვავებულაო.

მოჩვენებითი იყო, თუმცაღა, ეს უძრაობა, რადგან ყრუ ჭახანი, შესაზარი ბუყბუყი, უზარმაზარი ლოდების ძვრა, მათი ნელი გადაადგილება, მსგავსად დეკორაციის ნაწილებისა, მოწმობდნენ იმას, რომ ამ გარინდებული მასის შიგნით თავისებური სიცოცხლე ბუ-

დობდა, სტიქიონის ვერაგობანი ჩამალულიყო. და ჩვენი მთამსვლე-
ლის თვალწინ, სწორედ იმ ადგილას, სანამდეც ალპენშტოკი მიუწვ-
დებოდა, წარმოიქმნენ ნაპრალები, უძირო ქები, სადაც გაუთავებ-
ლად ცვიოდა ყინულის ნაწიხვრევები. ჩვენი გმირი რამდენჯერმე
დაეცა, ერთხელ წელამდე ჩავარდა კიდევ ერთ ასეთ მომწვანო
ძაბრში და მხოლოდ თავისმა დიდრონმა მსრებმა შეაკავეს, რომ
თავფეხიანად შიგ არ მოქცეულიყო.

როცა ნახეს, ტარტარენი ასეთი მოუხერხებელია, თანაც ასეთი
მშვიდი, დადგრომილი და გულდაჯერებულია, იციანის, ლიღინებს,
ხელებს იქნევს, რაგორც ეს არის ახლა საუზმის დროს სჩადიოდა,
მეგზურებმა ასე წარმოიდგინეს, შვეიცარიული შამპანური მოეკი-
დაო. ან კი სხვა რა უნდა ეფიქრათ ალპინელთა კლუბის პრეზი-
დენტზე, სახელგანთქმულ მთამსვლელზე, ვიზედაც მისი ამხანაგები,
სიტყვას ისე არ დასძრავდნენ, ხელები ფართოდ არ გაეშალათ და
აღფრთოვანებული შეძახილები არ მიეყოლებინათ? მეგზურებმა
ხელი აქეთ-იქიდან გაუყარეს. მოკრძალებითა და თანაც მტკიცედ,
როგორც პოლისმენებმა იციან, როდესაც ეტლში სვამენ შეძლებუ-
ლი დედ-მამის პატრონ ახალგაზრდას, ცოტა არ იყოს შეზარხო-
შებულს; ცდილობდნენ ნიშნებითა და შორისდებულებით ემცნოთ
მისთვის გზის საშიშროება, შეესმინათ, თუ რა აუცილებელია, სად-
გომ ქოხში დაღამებამდე მისულიყვნენ; აშინებდნენ დარანებით,
სიცივით, ზვავებით. წერაყინის ბოლოებით უჩვენებდნენ უზარმაზარ
ყინულის მთებს, მათკენ გადმოქანებულ თოვლის კედელს, ცაში
აზიდულს, თვალისმომკრელად მოელვარეს.

მაგრამ კეთილ ტარტარენს სიცილადაც არ ჰყოფნიდა ეს ყვე-
ლაფერი.

— დიდი ამბავი კია, დარანები... დიდი ამბავი კია, ზვავები... —
სიცილით იგუდებოდა იგი, თვალს უშვრებოდა მეგზურებს, მუჯ-
ლუგუნებსა სთავაზობდა გვერდებში, ვითომდა, ვერ გამაბრყი-
ვებთ — მაგის საიდუმლოება ხუთი თითივით ვიცო.

მეგზურებიც ემზხე მოიყვანა მხიარულმა ტარასკონულმა სიმღე-
რებმა და როდესაც წუთით შეჩერდებოდნენ ხოლმე ყინულის რთ-
მელიმე მყარ ლოდზე, რათა პატივცემულ ბატონს სული მოეთქვა,
აკრიმანჭულებდნენ შვეიცარიულ ყაიდაზე, მაგრამ ხმადაბლა კი,
რადგან ზვავებისა ეშინოდათ, და არც დიდხანსა მღეროდნენ, რაკი

წარგა მოგვიანებული იყო. საღამოს მოახლოებას ამხელდა მომეტებულიად სუსხიანი სიცივე, მეტადრე კი, უცნაური დაბინდვა ამ თოვლისა ამ ერთიერთმანეთზე აზვინული, გადმოკიდული ყინულებისა, რომლებიც ცრიატი ცის ქვეშაც კი ცისარტყელის ფერებად ელვარებენ მუდამ; მაგრამ მიიღევა თუ არა დღე, კვლავ თვალშეუვალ მწვერვალებში აღზევებული, მათ მკრთალი, უსიცოცხლო, როგორიღაც მოჩვენებითი შუქი ეფინებათ, მსგავსი მთვარის მცხრალი ცილისა. მქრქალი ნათება, გაყინული სამყარო, მღუშარება, — ყველგან სიკვდილი. კეთილ ტარტარენს, ასეთ ხალისიანსა და ასეთ გულმხურვალეს, თანდათან მაინც მოწყენილობა შეეპარა, რომ ამ დროს ფრინველის შორეული ყივილი, „თოვლის კაკაბის“ ძახილი გაისმა ამ უდაბნოეთში და ამ ყივილმა თვალწინ წარმოუდგინა გადახრუკული მინდორი, ვარვარა მზის ჩასვენება და ზეთის ხის გამსჭვირ ჩრდილში სამონადირო ჩანთებზე ჩამომსხდარი მონადირენი, ოფლს რომ იწმენდდნენ შუბლზე. ამ მოგონებამ სიმხნე შემატა.

ამავ დროს კაუფემანმა მალლა აახედა და თოვლზე დაგდებული შეშის გუდურის მსგავსი რაღაცა დაანახვა:

— Die Hütte ¹.

ბთამსკლელთა სადგომი ქობი იყო. გეგონებოდნათ, ორი ფეხის ნაბიჯზე არისო, ნამდვილად კი კარგა ნახევარი საათის სავალი გზა იყო კიდევ. ერთი მეგზური დაწინაურდა, რომ ცეცხლი. დაენტოლამდებოდა, მსუსხავი ქარი დათარეშობდა გათოშილ მიწაზე. ტარტარენს აღარაფერი გაეგებოდა, რა ხდებოდა მის გარშემო; მეგზურს მაგრად ჩაეჭიდა ამისთვის ხელი, მაგრამ ის მაინც ხტომა-ბორძიკით ძლივს მიდიოდა, და თუმცა სიცივემ უმატა, ერთი ძაფიც კი აღარ შერჩენოდა მშრალი. უცებ რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე შუქმა იბრიალა და ხახვის შეჭამადის საამო სუნი წამოვიდა.

მოსულიყვნენ უკვე.

ვერაფერს ნახავს კაცი იმაზე უფრო პირველყოფილს, ვიდრე ეს სადგომებია მთაში, შვეიცარიული ალპინისტური კლუბის მზრუნველობით მოწყობილი. ეს მარტოდმარტო ერთი ოთახია, სადაც დახრილ ხის ტახტს, საწოლის მაგივრობას რომ სწევს, მთელი ფართობი უკავია და მხოლოდ პატარა ადგილია რჩება ღუმელისა და გრძელი

¹ ქობი — (გ ე რ მ.).

მაგიდისათვის, რომელიც ისევე დაკრულია იატაკზე, როგორც მის ირგვლივ შემორიგებული სკამები. სუფრა უკვე გაშლილი იყო; სამი ფინჯანი, კალის კოვზები, გაზის სანთურა — ყავის ასადუღებელი, ჩიკაგოს კონსერვების ორი გახსნილი კოლოფი ელაგა ზედ. ტარტარენს სადილი მეტად ეგემრიელა, თუმცა ხახვის შექამადს კვამლის სუნი კარგა მაგრა დაჰკრავდა, ხოლო ქებით აკლებული პეტენტიანი სანთურა, რომელსაც ერთი ლიტრა ყავა უნდა სამ წუთში აედუღებინა, სულაც არა მოქმედებდა.

ჩაროზის დროს ტარტარენმა სიმღერა შემოსძახა: ეს ერთადერთი საშუალება იყო მეგზურებთან ურთიერთობისა. იმღერა თავისი მშობელი მხარის სიმღერები: „ტარასკი“, „ავინიონელი ქალები“. მეგზურებმაც ადგილობრივი სიმღერებით უპასუხეს უხეირო გერმანულ ენაზე: „Mi Vater isch en Apenzeller... aou... aou...“¹. ამ ორ ვაჟკაცს მკვეთრი და ტლანქი სახის ნაკვთები კლდეში გამოკვეთილს უგავდა; წვერი ჩაცვივულ ლოყებს უფარავდათ და ხავსს მოგაგონებდათ; რაღაც ისეთი ღია ფერის, ფართო სივრცეებს ნაჩვევი თვალები ჰქონდათ, მეზღვაურებს რომ აქვთ ხოლმე. ის გრძნობა, რაც ტარტარენს გუვისთან მიახლოებისას დაეებადა — ზღვა გადაშლილიყო თითქოს მის წინ — ახლაც დაეუფლა, ახლა, როცა ამ მყინვარების ზღვაოსნებს უყურებდა და ვიწრო, ჰერდაბალსა და გაკვამლულს, გემის ნამდვილ ქვედა ერდოს მსგავს ქოხში იჯდა, სადაც სახურავიდან თოვლი წვეთავდა, სიცხისაგან გამდნაბი, ხოლო ქარი მძაფრად ასკდებოდა კედლებს და ყველაფერს აზანზარებდა, აპრიალებდა ფიცრებს, აპარპალებდა ლამპის ალს და მერე ერთბაშად მიყუჩდებოდა, რაღაც უზომო, შემადრწუნებელს მღუმარებაში გადასული, თითქოს ქვეყნის დასასრული დადგაო.

პურის ჭამას ათავებდნენ, როდესაც ჩამობნელებულ მიწაზე მათკენ მომავალ ადამიანთა მძიმე ნაბიჯები და ლაპარაკის ხმა გაისმა. მაგარი მჯიღების დარტყმაზე კარი შეინჯღრა. შემფოთებულმა ტარტარენმა თავის მეგზურებს გადახედა: თავდასხმა ღამით ამ სიმაღლეზე?!.. ბრაზუნს უმატეს.

— ვინ არის?... — გასძახა გმირმა და წერაყინს წასტაცა ხელი.

¹ მამაჩემი ალპების განდევლილია... უ-უ-უ...

მაგრამ ქოხში უკვე შემოჭრილიყო ორი უზარმაზარი იანკი; მათ თეთრი ტილოს ნიღბები ეკეთათ, ტანსაცმელი ოფლისა და თოვლისაგან მთლად დასველებოდათ; თან მეგზურები, მზიდველები მოჰყავდათ. მთელი ეს ქარავანი ეს არის ახლა დაბრუნებულიყო იუნგფრაუდან.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მილორდებო, — უთხრა ტარტარენმა და ხელები ფართოდ გაშალა სტუმართმოყვარე მასპინძელივით.

მილორდებს მისი მოპატიება არა სჭირდებოდათ, უამისოდაც კარგად მოიკალათეს თავიანთ ნებაზე. წუთში მაგიდა დაკავებული იყო, სუფრა ალაგებული, ჯამები და კოვზები ცხელი წყლით დარეცხილი და ახალმოსულთათვის მომზადებული, როგორც ამას ყველა ალპურ პატარა სახლში შემოდებული წესი მოითხოვდა; მილორდების ფესაცმელს ღუმელის წინ ორთქლი ასდიოდა, თვითონ მილორდებს კი ამ დროს ფეხზე ჩალა შექოხვითა და ხელმეორედ შემზადებულ ხახვის შექამადს მისხდომოდნენ.

ამერიკელი მამა-შვილი ორივენი მწითური გოლიათები იყვნენ, ნამდვილი პიონერებივით ტლანქი და ნებისყოფის გამომეტყველი სახე ჰქონდათ. მამას შეუშუპებულსა და მზემოკიდებულ, გაქერცილ სახეზე ფართოდ გახელილი, მთლად თეთრი თვალები უსხდა. იგი როგორღაც გაუბედავად აფათურებდა ხელს ჯამისა და კოვზის ირგვლივ, შვილიც მზრუნველობით ეპყრობოდა, და ტარტარენი მაშინვე მიხვდა, ეს ის სახელმძოვნილი უსინათლო მთამსვლელი იყო, ვისზედაც ოტელ „ლამაზ ხედში“ ელაპარაკნენ და მაშინ არ დაიჯერა, ნამდვილად თუ არსებობდა ასეთი ვინმე. ეს კაცი სიჭბუტეშივე განთქმული მთამსვლელი ყოფილა და ახლაც, თუმცა სამოცი წლისა და თანაც მხედველობას მოკლებული იყო, შვილთან ერთად მაინც ყველა თავის ძველს ლაშქრობას იხსენებდა. ასულიყო ამრიგად ვეტერპორნსა და იუნგფრაუზე და ახლა სერვენისა და მონბლანის საიერიშოდ ეპირებოდა, — სჯეროდა, მწვერვალების ჰაერი, ცივი და თოვლის გემოს მქონე გამოუთქმელი სიხარულის მომნიჭებელი, წარსულ სიმხნეს დაუბრუნებდა.

— და მე ინც, — ეკითხებოდა ტარტარენი ერთ-ერთ მზიდვას, რაკი იანკები უცხვირპირონი გამოდგნენ და მის შეკითხვებზე მხო-

ლოდ yes-სა და no-ს! უპასუხებდნენ, — და მეინც, რომ ვერა ხედავს; როგორღა ახერხებს სიარულს სახიფათო ადგილებში? ჰე?

— ო! ნამდვილი მთიელივით დადის, მერე ვაჟიც ხომ სულ თანა ჰყავს! თვალყურს ადევნებს, ფეხს იქ ადგმევინებს, სადაც საჭიროა... ასეა თუ ისე, ფათერაკი არასოდეს შემთხვევია.

— მით უფრო, რომ ფათერაკი აქ თავის დღეში ძალიან სახიფათო არ არის, არა? ჰე!

ტარასკონელმა ჩაუღიმილა მზიდავს, ვითომ ერთმანეთისა გვესმისო, და კაცი გაშტერებული დატოვა. ტარტარენი ახლა უფრო მეტად დარწმუნდა, რომ „ეს ყველაფერი ლაყაფია მარტო და სხვა არაფერი“, ტახტზე გაიშოტა, საბანში გაეხვია, მოქსოვილი ჩაფხუტი თვალეზზე ჩამოიჩაჩა და გულის ძილს მისცა თავი, თუმცა სინათლე ენთო, ხმაურობდნენ და თუთუნის ბოლი და ხახვის სუნი იდგა.

— მოსიე!.. მოსიე!..

შეაჯანჯლარა ერთმა მეგზურმა ტარტარენი: საცაა, გზას უნდა გასდგომოდნენ. მეორე ამ დროს ფინჯნებში ცხელ-ცხელ ყავას ასხამდა. ტარტარენმა ჯერ მაგიდისაკენ გასწია, მერე კარებისაკენ წავიდა და გზად ხან ვისა და ხან ვის ადგამდა ფეხს, რის გამოც მძინარენიც ლანძღვა-ბუზღუნით ისტუმრებდნენ. გარეთ გაჩნდა თუ არა, სიცივემ შეიპყრო, თვალი მოსკრა საარაკო მთვარის შუქმა, თოვლის საბურველსა და შეყინულ ჩანჩქერებზე მოფენილმა; ამ შუქში შავ ჩრდილებად გაძონაკეთულიყვნენ წვეტები, წვეროები, ხორგები ყინულისა. ეს აღარ იყო ნაშუადღევის მოელვარე ქაოსი, არც ფერმკრთალი, უსიცოცხლო შეხამება საღამოს რუხი ფერებისა; მთელი ქალაქი გადაშლილიყო, ბნელი ქუჩებით, საიდუმლო გასასვლელი გზებით, მარმარილოს ძეგლებსა და ჩამომწვლეულ ნანგრევებს შორის მოქცეული ყრუ შესახვევებით დასერილი, მკვდარი ქალაქი, განიერი უდაბური მოედნებით.

ორი საათია! ჩქარა თუ ივლის კაცი, შუადღისათვის შეიძლება მწვევრვალს ააღწიოს.

— აბა, ჰა! — ყოჩაღად თქვა პ. ა. ბ.-მა და წინ წაიწია, თითქოს იერიში უნდა მიიტანოსო.

მაგრამ მეგზურებმა შეაჩერეს: უნდა გადაბმულიყვნენ, — სახიფათო გადასასვლელები ელოდათ.

— გადაბმაო! არა, ეგლა მაკლია!.. თუმცაღა, თუ ძალიან გინდათ...

ქრისტიან ინებნიტი წინ წავიდა, სამი მეტრი თოკი მოიტოვა თავისსა და ტარტარენს შუა. ასეთივე მანძილი აშორებდა ტარტარენს უკან მომავალი მეორე მეგზურისაგან. ამ კაცს სურსათი და დროშა მოჰქონდა. ტარასკონელს უფრო მედგრად ეჭირა თავი, ვიდრე გუშინ, რაკი საბოლოოდ დარწმუნებულიყო ყველაფერში და გზის სიძნელეებს არად აგდებდა, — თუკი შეიძლება გზა ვუწოდოთ ამ საშინელ ყინულის თხემს, რაზედაც ისინი სიფრთხილით მიაბიჯებდნენ. ეს თხემი სიგანით მხოლოდ რამდენიმე სანტიმეტრი იყო და მასთან ისეთი მოლიპული, რომ ქრისტიანი იძულებული ხდებოდა ზედ საფეხურები ამოეჭრა.

თხემის ზოლი ბრკიალებდა ორ უფესკრულს შორის. მაგრამ, იქნება გგონიათ, ტარტარენს რისამე ეშინოდა? იოტის ოდენაც არა! ოდნავი ყრყოლა ეკიდებოდა მხოლოდ, როგორც ფრანკმასონთა ლოჟაში შემავალთ, პირველი გამოცდის დროს. ზედმიწევნით ზუსტად აღგამდა ფეხს, სადაც წინა მეგზურს ამოეკვეთა ყინული, აკეთებდა ყველაფერს, რასაც კი ის კაცი სჩადიოდა, თანაც ისევე გულდინჯად, როგორც თავის ბაობაბიან ბაღში, აუზის კიდეზე სიარულში რომ ვარჯიშობდა და შიშის ზარსა ჰგვრიდა წითელ თევზებს. ერთ ადგილას თხემი ისე დავიწროვდა, რომ ზედ გადაჯდომა დასჭირდათ, და იმ დროს, როდესაც ისინი ასე ნელი-ნელ მიიწევდნენ წინ და თან ხელებსაც იშველიებდნენ — მარჯვნივ, მათ ქვემოთ, რაღაცამ საზარლად იგრიალა.

— ზეავია! — თქვა ინებნიტმა და ადგილზე გაშემდა, მანამდე არ დაძრულა, სანამ არ ჩათავდა გამოძახილის გრუხუნნი, ათასჯერ, უთვალავჯერ გამეორებული, ცის თაღის მომცველი და ბოლოს გრძელს ქუხილში გადასული, ქუხილში, რომელიც ხან შორს-შორს მიიწევდა, ხანაც სულ იკარგებოდა. მერე კი კვლავ სულდარასავით გადაეფარა იქაურობას მდუმარება.

თხემი რომ გაიარეს, არცთუ ისე დამრეც, მაგრამ გაუთავებლად გრძელ ფირნის ველს შეუდგნენ. საათზე მეტი მილოდავდნენ ასე. როცა სულ მაღლა, მათს თავს ზემოთ წვრილმა ვარდისფერმა ზოლ-

მა მათა მწვერვლები მონიშნა. შეცისკროვნდა დილა. ვითარცა
"შუმმა სამხრეთელმა და ბინდის მოძულემ, ტარტარენმა მხიარული
სიმღერა დაავუგუნა:

კაშაშა მზე პროვანსისაო,
მხიარული ხარ, დოსტი მისტრალის...

უეცრად თოკი წინ და უკან რაღაცამ ძლიერად დაქაჩა და ტარ-
ტარენს შუა კუბლეტზე სიტყვები ბაგეზე შეეყინა.

— ჩუ!.. ჩუ!.. — დაჩუმდა ინებნიტმა და წერაყინის ბოლოთი
დაანახა მრისხანე მწყრივი ბუმბერაზი, ერთიერთმანეთზე ახორგილი,
თითქოს ჰაერში დაკიდებული ყინულებისა. სულ მცირე შერხევა
ჩამომზღვლევის უქადდა ამ ხორგებს.

მაგრამ ტარასკონელს მშვენიერად ესმოდა, როგორ უნდა მოჰ-
კიდებოდა დანახულს. მოსატყუარი კბილი დიდი ხანია მოცვლილი
ჰქონდა, ამიტომ უფრო ზარიანად დასძახა:

გადაკრავ ისე ღურანის წყალსა,
ვით ერთ ყლუპ ღვინოს, ეშხითა მთვრალი...

რაკი მეგზურებმა ნახეს, რომ ვერაფრით დააოკებდნენ საღერ-
ლელაშლილ მომღერალს, — შორით მოუარეს ყინულების ხორგებს,
მაგრამ გზად მათ მალე ვეება ნაპრალი გადაეღობათ, რომლის ზღვის-
ფერ კედლებშიც უკვე შეედწია პირველ სხივს განთიადისას და ზედ
დასთამაშებდა. ნაპრალს ზემოთ გადებულოყო ეგრეთ წოდებული
„თოვლის ხიდი“, იმდენად მლივი და მყიფე, რომ პირველსავე და-
ბიჯებაზე დაიმსხვრა და თეთრი მტვრის კორიანტელად გარდაიქცა,
თან გადაიტანა თოკზე დაკიდებული პირველი მეგზური და ტარტა-
რენი. თოკი მარტოს ეჭირა უკანა მეგზურს, რუდოლფ კაუფმანს.
მთიელის მთელის ძალ-ღონით დაბლაუქებოდა იგი ყინულში ღრმად
ჩასობილ წერაყინს. იმას ჭერ კიდევ შეეძლო ორი კაცი სკეროდა
უფსკრულზე. მაგრამ ძალი აღარ შესწევდა იქიდან ამოეთრია ისინი;
კუნთებდაჰიმულს კბილი კბილზე დაეჭირა, ნაპრალის კარგა მოშო-
რებით ჩაყუნთულოყო და ვერა ხედავდა, რა ხდებოდა იქ, ქვემოთ.

ჩავარდნით გაშეთებული და თოვლისაგან დაბრმავებული ტარ-
ტარენი ერთხანს უთავბოლოდ იქნედა ხელ-ფეხს, მოშლილი სათა-
მაშო ჯამბაზივით; მერე თოკმა წელში გაასწორა, გამართა და იგი
უფსკრულზე დაეკიდა, ცხვირით ყინულის კედელს მიბრჭენილი, ისე



თითქოს მსურავი ყოფილიყოს და საწვიმარ ღარსა რჩილავსო. მის სუნთქვაზე ყინული კრიალებდა. ტარტარენი ხედავდა, როგორ იცრებიოდა ცა მის თავზემით, ქრებოდნენ უკანასკნელნი ვარსკვლავნი, ძირს კი პირი დაეღო უფსკრულს, უქუნით მოსილს, და იქიდან ცივი ჰაერი სცემდა.

თავს რეტი მაინც მალე გადაეყარა და კვლავ გულდაჭერებულობა და ჩვეული სიხალისე დაუბრუნდა.

— თქვენ ეი, მანდ, ძრა კაუფმან, კი არ დაგვამყავოთ აქ, ჰე! ორკოლი ქარია, თანაც ეს შეჩვენებული თოკი გვერდებს გვაჭრის.

კაუფმანს არ შეეძლო მისთვის პასუხი გაეცა: კრიჭას გახსნიდა თუ არა, მაშინვე ძალა გამოეღეოდა. ქვემოდან კიდევ ინებნიტი ყვიროდა.

— მოსიე!.. მოსიე!.. წერაყინი!

თავისი წერაყინი ხელიდან გავარდნოდა, როცა დატემულიყო. დაკიდებულებს კარგა მანძილი აშორებდათ და ტარტარენმა დიდის გაჭირვებით გადასცა მეგზურს მძიმე იარაღი. ინებნიტმა თავის წინ ყინულზე საფეხურები ამოჭრა, რათა ამ საფეხურებს ხელებითა და ფეხებით ჩასკიდებოდა. თოკზე დაკიდებული ტვირთი ამრიგად სანახევროდ შესუსტდა, და რუდოლფ კაუფმანმა მოზომილი მოძრაობითა და დიდის სიფრთხილით თავისკენ მოზიდა პრეზიდენტი, ასე რომ, ბოლოს, ტარასკონული ქუდი ნაპრალის კრდეზე გამოჩნდა. ინებნიტმაც თავის მხრივ ამოაღწია, როგორც იყო, და ორმა მთიელმა ერთმანეთს მოკლე წინადადებებით მიმართეს, როგორც ეს ჩვეულებრივად იციან სიტყვაძუნწმა ადამიანებმა, როდესაც დიდ საფრთხეს უკან მოიტოვებენ ხოლმე. აღელვებულები დაძაბულობისაგან ჯერ ისევ კანკალებდნენ. ტარტარენმა მათ კირშეასერით სავესე მათარა მიაწოდა, რათა მუხლში ძალა მისცემოდათ. თვითონ მხნედ და არხეინად იყო, იბერტყავდა საცემელს და ფეხებს აბაკუნებდა, თანაც თავისთვის ღიღინებდა, რითაც ღიღად ანცვიფრებდა მეგზურებს.

— ყო ჩა ყ... ყო ჩა ყ... ფ რ ა ნ ცო ზ... — ეუბნებოდა კაუფმანი და მხარზე ხელს უთათუნებდა.

ტარტარენს მხიარულად ეცინებოდა. „ხუმარა!.. — ამბობდა გულში. — განა მე არ ვიცოდი, სახიფათო რომ არა იყო რა...“

მეგზურებს მსგავსი მთამსვლელი არსად ენახა.

სამივენი გზას გაუდგნენ. აბლოტება დაიწყეს ექვსასიდან რვაასი მეტრის სიმაღლის უზარმაზარ ფრიალო კედელზე, რომელზედაც საფეხურ-საფეხურ ყინული უნდა ამოეკრათ, რაც მეტად ბევრ დროს ართმევდათ. ჩახჩახა მზეში მიდამო თვალისმომკრელი სითეთრით ელვარებდა. მზესა და ჩაღ სინათლეზე ტარტარენს ძალ-ლონე ეღეოდა, ხედვაც უმძიმდა, მით უფრო, რომ სათვალე უფესკრულის ძირზე დარჩენოდა. მალე საშინელი სისუსტე იგრძნო — მთის ავადმყოფობამ დარია ხელი. ზღვის ავადმყოფობისა არ იყოს, ესეც ძლიერ მოქმედებს ადამიანზე. ღონემიხდილი, დარეტიანებული მილასლასებდა და მუხლები ეკეცებოდა, ასე რომ, მეგზურები იძულებულები გახდნენ ხელი აქეთ-იქიდან გაეყარათ მისთვის, როგორც წინა დღეს, და ასე შველებ-შველებით აეთრიათ ყინულის კედლის თავზე. იუნგფრაუს მწვერვალამდე ასი მეტრიღა თუ იყო. თუმცა თოვლი უფრო მაგარი და მკვრივი გახდა და გზა უფრო ადვილი სავალი, მაგრამ ამ უკანასკნელ გადასვლას უსასრულოდ დიდხანს მოუნდნენ, რადგან პ. ა. ბ.-ს დაღლილობა ემატებოდა და ქანცი უწყდებოდა.

უეცრივ მეგზურებმა ხელი გაუშვეს მთამსვლელს და გაშმაგებით დააკრიმანჭულეს, თანაც ქულებს აქნევდნენ ჰაერში. მოსულიყვნენ თურმე! ეს წერტილი უბიწო სივრცეში, ეს ოღნავ მომრგვალებული თეთრი თხემი მათთვის მგზავრობის მიზანი იყო, ხოლო კეთილი ტარტარენისათვის — დასასრული სომნაბმულური გაშეშებისა, რა მდგომარეობიდანაც აგერ ერთი საათიც არის ვერ გამოსულიყო.

— შეიდეკი! შეიდეკი! — გაიძახოდნენ მეგზურები და სულ დაბლა, ძალიან შორს, ამწვანებულ ზეგანზე უჩვენებდნენ. იქ ნისლში გახვეული ოტელი „ლამაზი ხედი“ კამათლისოდენად მოჩანდა.

ოტელსა და მათ შუა განფენილს სივრცეში საუტცხოო პანორამა გადაშლილიყო: საფეხურებად მაღლა-მაღლა აზიდული თოვლიანი მინდვრები, მზეში ნარინჯისფრად შეფერილნი, ან კიდევ ცივი მუქლურჯი ფერისანი აზორზოხებული ყინულები, მეტად უცნაური აღნაგობისა — მსგავსი კოშკებისა, ისრებისა, წვეტებისა, ნეკნებისა და უზარმაზარი კუჭებისა, თითქოს იქ დაბლა, მათ ქვემოთ, უხსოვარ დროშივე დედამიწის ზურგზე გამქრალი მასტოდონტი ანდა მეგატერიუმი განისვენებდა. ყოველნი ფერნი ცისარტყელისანი იქ იყრიდნენ თავს, ბრკიალებდნენ ამ ვრცელი მყინვარების სარეცელ-

ზე, უძრავ ჩანჩქერებს რომ გადმონახევდნენ. ეს ჩანჩქერები შერ-
თვოდნენ სხვა მცირე გაყინულ ნაკადებს, რომელთა ზედაპირსაც,
უფრო გასიპულსა და უფრო მოელვარეს, მზის სიცხოველე თანდა-
თან ალღობდა. მაგრამ დიდ სიმაღლეზე ეს ელვარება ნელდებოდა, აქ
ბნდუ და ცივი შუქი დაციალებდა და ტარტარენს ისეთსავე ყრუან-
ტელსა ჰგვრიდა, როგორც სიჩუმე და მარტოობა, მთელს ამ თეთრს
უდაბნოში და მის იღუმალს ნაკეცებში გამეფებული.

ოტელის თავზე მცირე კვამლი გამოჩნდა და სროლის ყრუ ხმა
გაისმა. იქ, ქვემოთ, ჩვენი მთამსვლელები დაინახეს და იმათ პატივ-
საცემად ზარბაზანი გაისროლეს. იმ ფიქრმა, რომ მისი ალპინელები
იქ არიან და რომ მას უყურებენ ღურბინდმომარჯვებული მისსები,
წარჩინებული ბრინჯის მოყვარულნი შავქლიაველები, ტარტარენს
თავისი მისიის სილიადე გაახსენდა. ო, დროშავ ტარასკონისავ! ტარ-
ტარენმა გამოსტაცა შენი თავი ხელიდან მეგზურს და ორჯერ თუ
სამჯერ აგაფრიალა. მერე ამ დროშით ხელში თავისი წერაყინი დაასო
და ზედ დაჯდა დიდებული, ხალხისაყენ პირმიბრუნებული. იგი
მზესა და თავის უკან ასულ ნისლს შუა იმყოფებოდა. უეცრად, მის-
და შეუმჩნევლად, სინათლის სხივების არეკლისა გამო, რაიცა ხშირს
მოვლენას წარმოადგენს მწვერვალებზე, ზეცაზე გამოისახა უზარმა-
ზარი ტარტარენი. ჩასკენილსა და მხარბეჭიანს ჩაფხუტიდან წვერი
გამოშლოდა; იგი ჰგავდა რომელიღაცა სკანდინავურ ღმერთს, ლე-
გენდა ღრუბლებში დაბრძანებულს რომ წარმოგვიდგენს.

XI

*კვლავ ტარასკონისაკენ! მინევის ტბა. ტარტარენი სთაჰაზრის მემორირებს ინახულონ
ბონივარის დიღები. მოკლე საუბარი ვარლავს შორის. მთელი კრებული გამოფხავლე-
ულია საყვრობილვში. შავსვიანი ბონივარი. სად იოშვს აჰინიონის თოჯი*

მთაზე ასვლის შემდეგ ტარტარენს გაუსივდა და გადაეყვლითა
ცხვირი, ლოყებზე კანი დაუსკდა. ხუთი დღე ისე გაატარა ოტელ
„ლამაზ ხედში“, რომ თავისი ოთახიდან ფეხი არ მოუცვლია. მთელი
ხუთი დღე სულ კომპრესი იკეთა და მალამო იცხო. ამ დღეების
უქმურ, გულისგადამლევ მოწყენილობას დეპუტატებთან ჯვრების
თამაშში იქარვებდა, ანდა დროს იმით კლავდა, რომ უკარნახებდა

მათ მეტად ვრცელ, დაწვრილებითსა და ზუსტ ანგარიშს თავისი მოგზაურობისას. ეს ანგარიში ალბინელთა კლუბის სხდომაზე უნდა ყოფილიყო წაკითხული, ანდა „ფორუმში“ დაბეჭდილი. მერე, როდესაც საერთო მოთენთილობა გაუქრა და პ. ა. ბ.-ის კეთილშობილ სახეს, ეტრუსკული თიხის ჭურჭლის საამო ფერი რომ გადაჰკრავდა, რამდენიმე ბებერაღა შერჩა და აქ-იქლა ჰქონდა კანი დამსკდარი და ცოტათი დაფუფხული, დეპუტაცია თავისი პრეზიდენტიურთ უკან, ტარასკონს გამოემართა, უენევის გზით.

გვერდზე მოვიტოვოთ ამ მგზავრობის ფათერაკები, ის არეულობა თუ ჩოჩქოლი სამხრეთელთა კრებული რომ იწვევდა ვიწრო ვაგონებში, გემებზე, გრძელ საერთო მაგიდებთან თავისი სიმღერით, ყვირილით, ნაპირებგადასული მოსიყვარულე გულითადობით, თავისი დროშებითა და ალპენშტოკებით. უნდა ითქვას, რომ პ. ა. ბ.-ის იუნგფრაუზე ასვლის შემდეგ, მისი მეგობრებიც ალპური ჯოხებით აღიჭურვნენ. ამ ჯოხებზე ხვიებივით ამოეწვათ, რითმებზე შეწყობილად, იმ მწვერვალთა სახელები, რომლებიც სახელგანთქმულ მთამსვლელებს დაეპყროთ.

მონტრე!

აქ დეპუტატებმა, თავიანთი მოთავის წინადადებით, გადაწყვიტეს ერთი-ორი დღე გაჩერებულიყვნენ და მოენახლეზინათ ლემანის სანაპიებო ნაპირები და, უმთავრესად კი, შილონი თავისი ლეგენდარული დილეგით, სადაც ტანჯვა-წამება გამოიარა დიდმა პატრიოტმა ბონივარმა, ხოლო ბაირონმა და დელაკრუამ¹ სახელოვანწყვეს იგი.

მართალი რომა ვთქვათ, ტარტარენს ბონივარის ჯავრი სულაც არა ჰქონდა — ვიღველმ ტელის ამბავმა შუქი მოჰფინა საზოგადოდ შვეიცარიულ ლეგენდებს და სულ სხვა თვალთ. დაანახვა ისინი; ოღონდ ინტერლაკენში გავლისას შეიტყო, რომ სონია ახლახან წასულიყო მონტრეში თავის ძმასთან ერთად, რომელიც თურმე უარე-

¹ ბონივარი ფრანსუა (1493—1570) — წინამძღვარი სენ-ვიქტორის სააბატოსი უენევის მახლობლად; მონაწილეობდა უენევის მოქალაქეთა ბრძოლაში სავოიის ჰერცოგის წინააღმდეგ. ექვსი წელი გაატარა პატიმრობაში შილონის ციხე-დარბაზში უენევის ტბის (ლემანის ტბის) ნაპირას. ბაირონმა სახელი გაუთქვა ბონივარს თავის პოემაში „შილონის ტუსანი“. გამოჩენილ ფრანგ მხატვარ დელაკრუას ამავე სახელწოდების სურათი ეკუთვნის, სადაც ბონივარი პატიმარია წარმოდგენილი.

სად გრძნობდა თავს, და ტარტარენმა ახლა ეს მოხილვა ისტორიული ადგილისა იმიტომ აიტეხა, რომ საბაბი ჰქონოდა კვლავ ენახა ახალგაზრდა ქალიშვილი და, ვინ იცის, ეგებ დაეყოლებინა კიდევაც წაჰყოლოდა ტარასკონს.

იმის თანამგზავრებს, რა თქმა უნდა, გულწრფელად სჯეროდათ, რომ დიდი შენეველი მოქალაქის ხსოვნასა სცემდნენ პატივს, ხსოვნას იმ ადამიანისას, ვისი ამბავიც მათ პ. ა. ბ.-მა მოუთხრო. თეატრალური ეფექტების სიყვარულმა სურვილი აღუძრათ კიდევაც, მონტრეში ჩასვლისთანავე გაეშალათ დროშა, მწკრივში ჩამდგარიყვნენ და შილონისაყენ დაძრულიყვნენ გაუთავებელი შეძახილებით: „გაუმარჯოს ბონივარს!“ პრეზიდენტი იძულებული შეიქნა დაეშოშმინებინა ეს ხალხი.

— ჯერ ვისაუზმოთ და მერე ვნახოთ, — უთხრა პრეზიდენტმა მეგობრებს და ისინიც ჩასხდნენ მიუღერის პანსიონის ომნიბუსში, ნავტიკთან რომ იდგა სხვა ომნიბუსებთან ერთად.

— შეხეთ, პოლიციელი როგორ გვიყურებს! — თქვა პასკალონმა; საცოდავი კაცი დროშის გამოისობით სუყველაზე ბოლოს ადიოდა ომნიბუსში; მგზავრობაში ეს დროშა დიდად უჭირვებდა საქმეს.

ბრავიდაც შეშფოთდა.

— მართლაც ეგრეა... რა უნდა ნეტა ჩვენგან მაგ უნდარმს? რას მოგვჩერებია?

— მიცნო, სხვა არაფერი, — თქვა თავმდაბლად ტარტარენმა და შორიდან გაუღიმა გრძელ ლურჯ ლაბადაში გამოწყობილ ვაადელ¹ პოლიციელს, რომელიც მიბრუნებულყო და დაეინებით გასცქეროდა სანაპიროს აღვის ხეთა შორის მიმქროლავ ომნიბუსს.

ამ დილას ბაზრობა იყო მონტრეში. ტბის გასწვრივ გამწკრივებულიყო პატარა-პატარა ღია დუქნები, სადაც იყიდებოდა ხილი, მწვანილი, იაფფასიანი მაქმანები, ძეწკვები, ბალთები, საკინძები, — თითქოსდა თოვლისაგან ანდა ყინულისაგან გამოძერწილი ის სამკაულები, რითაც ტანსაცმელს იმშვენებენ შვეიცარიელი ქალები. ირგვლივ ღრიანცელი იდგა პატარა ნავსაყუდლისა, — წინ და უკან დასრიალებდნენ ჩალი ფერებით შეღებილი სასეირნო ნავეები, ტომარები და კასრები გადმოჰქონდათ იალქნიანი ბრიგანტინებიდან, პა-

¹ ვ ა ა დ ი (ვო) — შვეიცარიელი კანტონი.

კებოტების ზარების და საყვირების ხრინწიანი ხმა ისმოდა, სანაპიროზე გამწვარიებული კაფეების, ლუღხანების, საყვავილეებისა და საძველმანოების წინ ხალხი ირეოდა. მზის შუქი რომ გადავლებოდა ამას ყველაფერს, ხმელთაშუა ზღვის რომელიმე ნავსადგურში გეგონებოდათ თავი, მენტონსა და ბორდიგერას შუა. მაგრამ მზე არსად იყო და ტრასაკონელები ამ ლამაზ მხარეს ნისლში კვრეტდნენ. ნისლი კი ცისფერი ტბიდან სულ მაღლა-მაღლა მიიწევდა, მილოდავდა ზევით მოკირწყლულ პატარ-პატარა ქუჩებში და სართულ-სართულ განლაგებულ სახლებს ზემოთ უერთდებოდა შავ ღრუბლებს, მთის მუქმწვანე მცენარეულობას ბოლქვ-ბოლქვად რომ ჩამოსწოლოდნენ და სადაც არის წვიმად უნდა გადმონთხეულიყვნენ.

— ეშმაკსაც წაუღია! არ მიყვარს, სწორედ გითხრათ, ეს ტბები... — ამბობდა ექსკურბანიესი და თან სარკმლის მინასა სწმენდდა, რათა შორს მყინვარებისათვის შეეხებდა და თეთრი ორთქლი დაენახა, ცის დასალიერს რომ ფარავდა.

— არც მე მიყვარს... — ამოიოხრა პასკალონმა, — ეს ბურუსი, ეს მდგარი წყალი... სულ მეტირება, როცა ვუყურებ.

ბრავიდაც წუწუნებდა, — ეშინოდა, საჭდომი ნერვი არ გამიცვიდესო.

ტარტარენმა სასტიკად დათათხა ყველანი. კარგი არ არის, მაშ, შინ რომ დავბრუნდებით და თანამემამულეებს ვუამბობთ, ბონივარის დილეგში ვიყავით და მის ისტორიულ კედლებზე — რუსოს, ბაირონის, ვიქტორ ჰიუგოს, ჟორჟ სანდის, ეყენ სიუს სახელების გვერდით — ჩვენი სახელებიც მივაწერეთო? შუა ტირადის თქმამი იყო, რომ უეცრად სიტყვა გაუწყდა და ფერი ეცვალა... ეს კია მის წინ გაელვებულ პატარა ქუდსა და ქერა კულულებს მოჰკრა თვალი. აღმართში ნელა მიმავალი ომნიბუსიდან გადმოხტა და გაოცებულ აღბინელებს მიაძახა: „ოტელში შევხვდებით ერთმანეთს!“

— სონია!.. სონია!..

ეშინოდა, ვერ დავეწვიო, ისე სწრაფად მიდიოდა ქალი; მისი მოხდენილი სილუეტი ლანდივით მისრიალებდა სახლების გაყოლებით. სონია მოტრიალდა, შედგა.

— აჰ, თქვენა ხართ?.. — უთხრა მან, ხელი ჩამოართვა და გზა განაგრძო.

ტარტარენი აქოშინებული გაჰყვა გვერდით და ბოდიშობდა, ისე

უეცრად მიგატოვებ მაშინ, მეგობრები ჩამომივიდნენ, უსათუოდ უნდა გაემგზავრებულეყავი... მთაზე რომ ავედი, იმის ნაკვალევი ჭერაც მეტყობა სახეზეო... ქალი უსიტყვოდ უსმენდა, არც მობრუნებულა იმისკენ, მხოლოდ ნაბიჯს უჩქარებდა და თვალგაშტერებული შორს გაიყურებოდა. პროფილში რომ უყურებდა, ტარტარენს ეჩვენა, თითქოს სონია გაფერმკრთალებულიყო, ნაკვებებს მისას ბავშვური მიამიტობა, ნაზი ხავერდოვნება ჩამოსცლოდა და შკაცრი, მტკიცე რალაც დასჩნეოდა, აქამდე მარტო ხმაზე რომ ეტყობოდა; ეს იყო მისი უდრეკი ნებისყოფა. ოღონდ იგივე ქალწულებრივი მოხდენილობა და იგივე ოქროსფერი ხუჭუჭი თმა კვლავინდებურად ამაკობდა.

— ბორისი როგორღა არის? — დაეკითხა ტარტარენი, რომელსაც ქალის დუმილი და სიცივე როგორღაც უხერხულობას აგრძნობინებდა.

— ბორისი?.. — სონია შეკრთა. — ჰო, მართლა, თქვენ ხომ არაფერი იცით... მაშ, მომყევით, წავიდეთ!..

და ისინი გაუყვნენ სოფლური ყაიდის პატარა ქუჩას, რომელსაც ტბამდე ორსავე მხარეს ვენახები და სილით მოფენილი მშვენიერი ბაღებითა და ტერასებით დამშვენებული ვილები ჩასდევდა. ამ ტერასებს სურო ბურავდათ და მთლად აყვავებულ ვარდებსა და გეჯაში ჩასმულ პეტუნებსა და ტვიებში ჩაფლულიყვნენ. დროგამოშვებით მათ ავადმყოფური, დაღლილი ნაბიჯით მომავალი უცხოელეები ხვდებოდნენ, — ლოყებჩაცვივნილი, მოღუშვით მზირალი ადამიანები; მსგავს სახეებს ხშირად შეხვდებით მენტონში, მონაკოში; ოღონდ იქ მზის შუქი შნოს აძლევს ყველაფერს, მაშინ როდესაც აქ, ჩამომხობილი, ღრუბლიანი ცისა ქვეშ, ტანჯვა უფრო საჩენია და ყვავილნი უფრო ხასხასა.

— შებრძანდით... — უთხრა სონიამ და თუჯის ცხაური კარი შეაღო, თეთრი ქვის ფრონტონის ქვეშ დატანებული. ფრონტონზე ოქროს ასოებით რალაც ეწერა რუსულად.

ტარტარენმა ერთბაშად ვერ მოისაზრა, სად იმყოფებოდა... პატარა ბაღი, სათუთად მოვლილი, ღორღმოგებული ხეივნებით მკობილი, მთლად სავსე იყო ხვიარა ვარდებით. მწვანე ხეებს შორის გადაკიდებული დიდრონი თაიგულები ამ თეთრი და ჩალისფერი ვარდებისა თავიანთ სურნელოვნებასა და სიკაშკაშეს ჰფენდნენ ვი-

წრო არეს. ამ ყვავილწუნულებსა და საუცხოო ყვავილოვნებაში საფლავის ქვები ჩანდა — ზოგი აყუდებული, ზოგიც მიწაზე მდებარე. ზედ სახელები და თარიღები იყო აღნიშნული; ერთ ასეთ ქვაზე, ეტყობა, სულ ახლახან ამოეკვეთათ:

„ბორის ვასილავი, 22 წლისა“.

რამდენიმე დღეა, დაუსაფლავებიათ. მონტრეში ჩასვლისთანავე გარდაცვლილიყო. ამ უცხოელთა სასაფლაოზე მან თითქოს თავისი სამშობლოს პატარა კუნძული ჰპოვა, აქ ყვავილთ საფარქვეშ განისვენებენ რუსები, პოლონელები, შვედები — ცივი ქვეყნების ის გულმკერდსუსტი შვილნი, რომელთაც აქ, ამ ჩრდილოურ ნიცაში გზავნიან, რადგან სამხრეთის მზე მეტად ცხარეა მათთვის და ადგილგადანაცვლება მეტად მკვეთრი.

ტარტარენი და მისი თანამგზავრი ერთ ხანს უძრავად იდგნენ, დადუმებულნი ამ ახალი საფლავის ქვის წინ, თეთრად რომ კიაფობდა ახლად აფუტქნულ შავ მიწაზე. ახალგაზრდა ქალიშვილს თავი ჩაეკიდა და სუნთქავდა გაბარდული ვარდების სურნელს, თანა ცდილობდა შეწითლებულ თვალებზე მომდგარი ცრემლი დაეოკებინა.

— საბრალო ბაღლი!.. — წარმოთქვა გულაჩვილებულმა ტარტარენმა და თავის ღონიერ ტლანქ ხელებში ჩაბლუჯა სონიას თითები: — თქვენ რაღასა იქმთ ახლა?

ქალმა ბრწყინავი თვალები მიაშტერა. ამ თვალებში ცრემლი სულ აღარ კრთოდა.

— მე ერთ საათში მივემგზავრები...

— თქვენ მიდიხართ?

— ბოლიბინი უკვე პეტერბურგშია, მანილოვი საზღვართან მელიოდება... კვლავ გავარვარებულ ცეცხლში უნდა გადავეშვა. ჩვენ კიდევ შეგახსენებთ თავს.

მერე სონიამ გაიღიმა, ტარტარენს ლურჯი თვალები გაუყარა თვალებში, მას რომ გაუბროდნენ, ემალებოდნენ, და სულ ხმადაბლა დაატანა:

— ვისაც მე ვუყვარვარ, თან გამომყვება!

ადვილი სათქმელია — თან გამომყვებაო! სონიას აღფრთოვანება უზომო შიშა ჰკვირიდა ტარტარენს. მასთან. ეს სასაფლაოს გარე-

მო ტრფობის აღს უნელეგბდა. მაგრამ ქალს ლაჩრად ხომ არ აჩვე-
ნებდა თავს? აბენსერაევიოთ! ხელი გულზე დაიდო ჩვენმა გმირმა
და ასე დაიწყო:

— თქვენ მიცნობთ მე. სონია...

ქალმა სიტყვა აღარ დაათავებინა.

— ყბედო!.. — წარმოთქვა და მხრები აიჩეჩა.

მერე წელში გამართულმა ამაყად გასწია ვარდების ბუჩქებზე შო-
რის და უკან ვრთოელაც არ მოუხედავს... „ყბედო!..“ ამის მეტი სი-
ტყვა არ უთქვანს, მაგრამ ხმის კილოში ისეთი ზიზღი იგრძნობო-
და, რომ კეთილი ტარტარენი ფეხის ფრჩხილებამდე გაწითლდა და
მიიხედ-მოიხედა, რათა დარწმუნებულიყო, ახლომახლო ხომ არა-
ვინ იყო და არავის არ გაუგონია.

ტარასკონელს, საბედნიეროდ, განცდა-შთაბეჭდილებანი უმაღვე
უკვალოდ უქრებოდნენ. ხუთი წუთის შემდეგ იგი უკვე მხიარულად
მიიბიჯებდა აღმა-აღმა მონტრეს ქუჩებში და მიუღერის პანსიონს
დაეძებდა, ზადაც თავისი ალბინელები ელოდებოდნენ საუზმეზე;
მთელ არსებას მისას ნამდვილი შვება და სიხარული ემჩნეოდა იმის
გამო, რომ ამ სახიფათო ტრფიალებას ბოლო მოუღო. სიარულში
ენერგიულად შეარხევდა ხოლმე თავს, რითაც თითქოს უნდოდა გა-
ნემტყიცებინა მკვერმეტყველური საბუთები, რომელთა მოსმენაც
სონიამ არ ინდომა და რომლებითაც გონებაში თავს იმართლებდა:
რალა თქმა უნდა, დესპოტიზმი... საწინააღმდეგო არავის რა აქვს...
მაგრამ სიტყვიდან საქმეზე გადასვლა... — ეშმაკსაც წაუღია!.. მერე-
და, ეს რა ხელობაა — დესპოტების ხოცვა? რა იქნება, ყველა ჩაგ-
რულმა ხალხებმა მას რომ მოუხმონ, ვითარცა არაბებმა მოუხმეს
ბომბონელს, როდესაც ავაზა მათი მომთაბარე ბანაკის ირგვლივ და-
ენებებოდა? ყველას ხომ ვერ გასწვდება, ბოლოს და ბოლოს!

უეცრად დაქირავებულმა ეტლმა ჩაუქროლა და შეაწყვეტინა ეს
გაბაასება საკუთარ თავთან. ტარტარენმა ტროტუარზე გადახტომა
ძლივს მოასწრო.

— ვერა ხედავ, თუ რა არის, ნადირო?

1 აბენსერაეი — გმირი X!X საუკ. ფრანგი მწერლის შატობრიანის ისტო-
რიული მოთხრობისა „უკანასკნელი აბენსერაეი“. მოქმედება ნაწარმოებისა მიმ-
დინარეობს XVI საუკუნის გრენოლაში.

მაგრამ მისი მრისხანე შეძახილი განცვიფრების ყვირილმა შე-
ცვალა უცებ:

— ვინ არის ეს?.. ღმერთო დიდებულო!.. შეუძლებელია!..

სანაძლეოს დავდებ, ვერ გამოიცნობთ, ვინ დაინახა ტარტარენმა
ამ ძველს ეტლში! დეპუტაცია, დეპუტაცია მთელის თავისი შემადგ-
გენლობით. ბრავიდა, პასკალონი, ექსკუტრბანიესი, — მკვიდროდ შე-
ქუჩიებულნი ისხდნენ უკანა სკამზე, ფერწასულები, დაბნეულები და
ბრძოლაგამოვლილებსა ჰგავდნენ, ხოლო მათ პირდაპირ ორ პოლი-
ციელს მოჰკრა თვალი; ხელში შაშხანები ეჭირათ. ამ უძრავმა, და-
მუნჯებულმა პროფილებმა — ფანჯრის მინის ვიწრო ჩარჩოში რომ
გამოკრთნენ, კომპარული სიზმარივით გაუელევეს თვალწინ ტარტა-
რენს. და როგორც ამას წინათ დაემართა — კენედის წრიაპებმა რომ
მიმსკვალეს ყინულზე, — ახლაც გაქვავებულიყო ერთ ადგილზე და
გასცქეროდა მიმკროლავ ფანტასტიკურ ეტლს, რომელსაც სკოლი-
დან გუნდად გამოშლილი მოწაფეები დასდევნებოდნენ, ზურგზე
ჩანთამოკიდებულები; ამ დროს ზედ მის ყურთან ვილაცამ დაიყვირა:

— აი, მეოთხეც!..

ტარტარენს მაშინვე ხელი სტაცეს, გაბოჰქეს და ესეც, სხვებისა
არ იყოს, დაქირავებულ ეტლში, ჟანდარმებთან შეაგდეს. ერთ-ერთი
ჟანდარმი ოფიცერი იყო; უშველებელი ორპირი ხმალი მუხლებშუა
აემართა, ისე რომ ტარი ეტლის ზედა ნაწილსა ხვდებოდა.

ჩვენს გმირს უნდოდა რაღაც ეთქვა, ახსნა-განმარტება დაეწყო:
ეპვი არ არის, გაუგებრობა რამ იქნებაო... უთხრა ვინც იყო და სა-
დაური, დაიმოწმა კონსული, შვეიცარიული თაფლით მოვაჭრე ვინ-
მე იშენერი, რომელსაც ბოკერში შეხვედროდა ბაზრობაზე. მაგრამ,
რა ნახა, მცველები დაჟინებითა დუმდნენ, გადაწყვიტა, ყოველივე
ეს ბომპარის ფერიის ახალი თვალთმაქცობა იქნებაო, და ეშმაკუ-
რის იერით მიმართა ოფიცერს:

— ყასიდად სჩადიხართ ამას არ არა?.. ოოჰ, მასხარავ! განა
არ ვიცი, სეირს გინდათ უყუროთ.

— ხმა გაკმინდეთ, თორემ ახლავე დაგიმუწავთ მაგ პირს! —
შეპღრიალა ოფიცერმა და თვალები საზარლად გადაუბრიალა, გე-
გონებოდათ, სადაც არის ხმლით განგმირავს პატიმარსო.

ტარტარენი ერთბაშად მიყუჩდა, იჯდა გაუნძრევლად და ერთ-
თავად სულ ეტლის ფანჯარაში იყურებოდა. ფანჯრიდან ზოლ-ზო-

ლად მოჩანდა ტბა, მოჩანდნენ მთანი მალაღნი — სველი მწვეანით მოსიღნი, ოტელები ნაირ-ნაირ სახურავებიანი, მოოქროვილი აბრე-ბით დამშვენებულნი, აბრებით, შორიდანვე რომ თვალში მოხვდებოდა კაცს; ხოლო ფერდობებზე, რიგისა არ იყოს, აქაც წარამარა ადი-ჩადიოდა გოდრებ და კალათებაკიდებული ხალხი და ისევე, როგორც რიგისზე, სასაცილო რკინიგზაზე სახითათო მექანიკური სა-თამაშო მიბობლავდა ფრილოზე ვიდრე გლიონამდე; დასასრულს, „Regina montium“ — ს გადაუღებელი, კოკისპირული წვიმიტაც ჰგავდა, — განუწყვეტელი გაცვლა-გამოცვლა იყო ნამისა და ბურუსისა ცასა და ლემანს შორის, ლემანსა და ცას შორის; ღრუბლები ეხე-ბოდნენ ტალღებს.

ეტლმა გადაიგრიალა ასაწევი ხიდი, საწვრილმანო დუქნებს შო-რის, სადაც ვაპრობდნენ იატის ნახელავს, ჯაყვებს, ჯიბის სავარც-ხლებს, გაიარა კოშკის ფარული ჭიშკრის დაბალ თაღებქვეშ და გა-ჩერდა ციხე-დარბაზის ეზოში. ბალახმოვლილი ეზოს ყოველ კუთხე-ში, სადარაჯოიანი კოშკი ამართულიყო. სადარაჯოების სარკმელთ ხის კოჭებზე დაყრდნობილი შავი გისოსები ფარავდათ. სად იმყო-ფებოდა, ნეტა ახლა იგი? ტარტარენმა ეს მხოლოდ მაშინ გამოაჩ-კვია, როცა გაიგონა პოლიციის ოფიცრისა და ციხის ზედამხედვე-ლის ლაპარაკი. ციხის ზედამხედველი, ბერძნული ქუდიით მოსილი მსუქანი კაცი, დაყანგებული გასაღებების ასხმულას აჩხარუნებდა.

— საიდუმლო საკანში... საიდუმლო საკანშიო... მაგრამ ადგუ-ლი რომ აღარა მაქვს, ყველა დაკავებულია... ბონივარის დილეგში თუ ჩავსვამ, თორემ სხვაგან ვერსად...

— აიღეთ თქვენცა და ბონივარის დილეგში ჩასვით: ეგრეც ეკადრება! — უბრძანა ოფიცერმა.

და როგორცა ბრძანა, ისეც მოიქცნენ.

შილონის ციხე — რომლის შესახებაც პ. ა. ბ. ორი დღე არა ცხრებოდა და ელაპარაკებოდა თავის ძვირფას ალპინელებს, ციხე, სადაც ცამოწმენდილზე დამცინავმა ბედმა ჩაავდო და თანაც არ იცოდა, რატომ, — ისტორიული ძეგლია, რომელსაც ყველაზე მეტი მნახველი ეტანება მთელს შვეიცარიაში. ოდესღაც იგი სავოიის გრაფების საზაფხულო ადგილსამყოფელი იყო, შემდგომ — ციხე-საპატიმრო სახელმწიფო დამნაშავთათვის, მერე — იარაღისა და საომარ მასალათა საწყობი, ამჟამად კი ექსკურსიის საბაზს წარ-

მოადგენს, ისევე როგორც რიგი-კულმი ან ტელსპლატე. ასეა თუ ისე, აქ მაინც დარჩენილა საპოლიციო საგუშაგო და „ვირის აბანო“ ლოთებისა და ჩხუბისთავებისათვის. მაგრამ ასეთნი იმდენად ცოტანი არიან ვადის მშვიდს კანტონში, რომ ვირის აბანო მუდამ ცარიელია და ზედამხედველი იქ შეშას ინახავს საზამთროდ. ამიტომაც იყო, ეს ტუსალები რომ მოიყვანეს, მეტად საძაველ გუნებაზე დადგა ზედამხედველი; მას უფრო რე ის აწუხებდა. რომ ვერ შექლებდა მნახველებისათვის ეჩვენებინა სახელგანთქმული დილეგი. მაშინ როდესაც, წელიწადის ამ დროს, ის ყველაზე მეტ შემოსავალს იძლევა ხოლმე.

ბრანზმორეული ზედამხედველი გაუძღვა ტარტარენს; ესეც უკან მიჰყვა უჩუმრად, ოდნავი წინააღმდეგობის გაწევის თავიც კი არა ჰქონდა. რამდენიმე საფეხური ჩაათავეს, სარდაფივით შმორის სუნით გაქდნთილი ტალანი გაიარეს, უშველებელ ანჯამებზე ჩამოკიდებული მთელი კედლის სისქის კარი გააღეს და ისინი აღმოჩნდნენ ვრცელს მიწისქვეშეთში, რომელსაც სოხანე და მძიმე რომაულ სვეტებზე დანდობილი კამაროვანი ჰერი ჰქონდა. ამ სვეტებს დღემდე შერჩენოდათ შიგ ჩაკეთებული რკინის რგოლები, რაზედაც ოდესლაც სახელმწიფო დამნაშავეთ მიბორკავდნენ ხოლმე. ვიწრო სოთოფურებში, საიდანაც ცა ოდნავ თუ მოჩანდა, მკრთალი სინათლე ატანდა ტბის ჩქამსა და შხაპუნთან ერთად.

— ესეც თქვენი ბინა, — უთხრა სატუსალოს ზედამხედველმა. — ოღონდ ღრმად კი ნუ გახვალთ, იქ ქვის ხარობია.

თავზარდაცემულმა ტარტარენმა უკან დაიწია.

— ქვის ხარობი? ღმერთო ძძლიერო!..

— რას იზამ, ძმობილო! მიბრძანეს, ბონივარის დილეგში ჩასვოთო... მეც ბონივარის დილეგში გამწყვდევთ. ახლა, თუ რამ სახსარი გაგანიათ, შეიძლება ცოტაოდნად გიშედავათოთ — მოგიტანოთ, მაგალითად, საბანი და დოშაკი ღამისათვის.

— უპირველესად, საქმელი მომიტანეთ! — შესთხოვა ტარტარენმა, რომლისთვისაც, მისდა საბედნიეროდ, საფულე არ ჩამოურთმევიათ.

ზედამხედველმა მოუტანა ახალი პური, ლუდი, ძეხვი, რასაც ვუშინდელს აქეთ უქმელი და გამოვლილი მღელვარებისა და ფორიქისაგან გასავათებული შილონის ახალი ტუსალი ხარბად დააცხრა.

სანამ ქვის სყამზე იჯდა და საჰმელს შეექცეოდა. ციხის ზედ-მხედ-ველი მას კეთილის თვალთ სინჯავდა.

— ღმერთს გეფიცებით, ვერ გამოვივა, რა ჩაიღინეთ, ასე მკაც-რად რისთვის გეკიდებთან... — უთხრა მან.

— დასწყევლის ეშმაკი, არც მე ვიცი რაზე, სულ არაფერი ვი-ცი, — მიუგო საჰმლით პირგამოტენილმა ტარტარენმა.

— ერთი რამ კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ცუდი კაცი არა ჩანხართ და უთუოდ არ ინდომებთ, ოჯახის პატრონ მამას ხელი შეუშალოთ, ცოტა რამ ფული იშოვოს, ხომ მართალია? პოდა, ზაშ, აი რა... იქ მალლა ბონივარის დილეგის სანახავად ზლომა ხალხია მო-სული... ქენით სიკეთე, ჩუმად იჯექით და ნუ შეეცდებით თავს უშ-ველოთ...

კეთილი ტარტარენი უმაღ ფიცით შეეკრა და ხუთი წუთის შემ-დეგ დილეგი აავსეს მისმა ძველმა რიგი-კულმელმა და ტელსპლა-ტელმა ნაცნობებმა: მტკნარმა სულელმა შეანტპალერმა, ინებტისო-მუსმა¹ ასტიე-რეიუმ, ჟოკეი-კლუბის წევრმა თავისი დისწული-თურთ (ჰმ! ჰმ!..) — ერთი სიტყვით, ყველა იმან, ვინც კი კუკის ირგ-ვლივი მარშრუტით მოგზაურობდა. ტარტარენს შიში ჰქონდა, არა-ვინ დამინახოსო და საცოდავი კაცი სირცხვილით სვეტებს ეფარე-ბოდა, უკან-უკან მიიწევდა, მიიპარებოდა, ამ დროს კი ტურისტების ჯგუფი თანდათან უახლოვდებოდა. წინ ციხის ზედამხედველი მო-უძლოდათ და შებრალების აღმძვრელი კილოთი ათასგზის გადაღე-ქილ, გასაგლიან სიტყვებს წარმოთქვამდა:

— აი აქ შავსვიანმა ბონივარმა...

ტურისტები ნელი-ნელ იძვროდნენ: მათ მუდამ ერთმანეთს მო-ჭიშვე მეცნიერების დავა აყოვნებდათ. ეს ორი ადამიანი მზად იყო სცემოდა ერთიმეორეს; ერთი საკეც სკამს აქნევდა; მეორე — სამგ-ზავრო ჩანთას, ხოლო მათი ჩრდილები, სასულედან შემოსულ ბნელ სინათლეზე. უცნაურად წაგრძელებულიყვნენ თალებზე.

ასე უკან-უკან რომ იხევდა, ტარტარენი პირდაპირ წაადგა ქვან ხართა ხერელს — შავად პირდაბჩენილ ქას, ახდილსა და შემოუ-ზღულდავს. ამ ქიდან გარდასულ საუკუნეთა სუნთქვა მოპბერდა, ცივი და დამყაყებული. ზარდაცემული ტარტარენი შედგა, კუთხეში

¹ Ineptissimus — ყვეეჩი (ლათ.).

მიიბლუნდა და თვალეზზე ქუდი ჩამოიფხატა, მაგრამ კედლების სინესტემ თავისი ქნა და ჩვენმა გმირმა უეცრად ისე ღონივრად დააცემინა ცხვირი, რომ ტურისტებმა უკან-უკან დაიხიეს და ისიც გაავეს, აქ ვილაც იყო.

— შეხეთ, ბონივარი... — შეჰყვირა ლირფმა ახალგაზრდა პარიზელმა ქალმა, დირექტორის დროინდელი სტილის ქუდი რომ ეხურა და ჟოკეი-კლუბის წევრი თავის დისწულად რომ ასაღებდა.

ტარტარენი არ დაბნეულა.

— მაინც რა კარგი რამ არის, ეს ქვის ხარობი! ჰე! — თქვა მან სრულიად ბუნებრივის კილოთი, თითქოს ისიც სჩვენსავით ცნობის-მოყვარეობამ მოიყვანა აქ დილეგის დასათვალთვარებლად, და უმაღლესი შეერია დანარჩენ მგზავრებს; ესენიც უღიმოდნენ, რაკი მაშინვე იცნეს „რიგი-კულმის“ მთამსვლელი, რომელმაც მაშინ საცეკვაო საღამო გაუმართა მოულოდნელად.

— ე, მოსიე! ვიფუნდრუკოტ... ვიტამაშოტ!..

მას წინ გამოექიმა გაფუნთუშებული, სასაცილო ფერია შვანტ-ჰალერი, რომელიც მზად იყო ახლავე კადრილი ეცეკვა. ტარტარენს სწორედ ცეკვისათვის სცხელოდა! რომ აღარ იცოდა, თავიდან როგორ მოეშორებინა ეს აცუნტრუკებული კიქნა დედაკაცი, ტარტარენმა მკლავი გაუწოდა და მეტად თავაზიანად უჩვენა თავისი დილეგი და ის რგოლი, რაზედაც მიჯაჭვავდნენ ხოლმე პატიმარს, უჩვენა ამ პატიმრის ნათესურებიც, ქვის ფილებზე აღბეჭდილი ერთი და იმავე სვეტის გარშემო. კეთილ ქალბატონს თავის დღეში აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ეს კაცი, ვინც ასე თამამად და თავისუფლად ლაპარაკობდა და მას დაატარებდა, ისიც სახელმწიფო დამნაშავე იქნებოდა, მსხვერპლი ადამიანთა უსამართლობისა და ავგულობისა. საზარელი იყო, სამაგიეროდ, განშორების წუთები, როდესაც ბედკრულმა ბონივარმა თავისი მოცეკვავე ქალბატონი კარამდე მიაცილა და გამოემშვიდობა დარბაისელი კაცის ღიმილით.

— არა, გმადლობთ... მე აქ პატარა ხანს კიდევ დავრჩები...

მან თავი დახარა ნიშნად გამოთხოვებისა! სატუსალოს ზედამხედველი ტუსაღს ერთთავად თვალს ადევნებდა, მერე კარი მიკეტა და ურდული გაუდო, რითაც ყველანი გაანციფრებული დატოვა. შერცხვენა მეტილა გინდათ?! ბედშავს სულ სიმწრის ოფლს ასხამდა, როცა მიმავალი ტურისტების შეძახილები სწვდებოდა ყურ-

ში. საბედნიეროდ, ეს წამება იმ ღამეს აღარ განმეორებულა. უამინდობის გამო დილეგის სანახავად აღარავინ მოსულა. საზარელი ქარი დაქშუტუნობდა ძველს ცალფიცრებქვეშ საპყრობილეში, ქვიშხარობიდან თითქოს ცოცხლად დამარხულ მსხვერპლთა გმინვა ამოდიოდა. შხუოდა ტბა — წვიმით დაცხრილული, ტალღები კედლებსა სცემდა, სასულემდეც კი აღწევდა და იქიდან შხეფებს აყრიდა პატიმარს. საბრალო ტარტარენს დროადრო გემის ზარი და წყალში ბორბლების შლააუნს უმძიმებდა ფიქრებს; თანაც საღამო დგებოდა ლეგა, პირქუში და ჩამოწოლილ ბინდში საბრალო კაცს დილეგა გადიდებული ეჩვენებოდა.

ნეტავ რა მიზეზით დაპატიმრეს, ამ შემზარაც ადგილას რისთვის გამოამწყვდიეს? იქნებ ეს კოსტეკალდის ამბავია... მისი უკანასკნელი ფანდი არჩევნების წინ?.. ან თუ რუსეთის პოლიციამ შეიტყო გაუფრთხილებლად ნათქვამი მისი სიტყვები, ნაცნობობა სონიასთან და მოითხოვეს, ეს კაცი ჩვენ გადმოგვეცითო... მაგრამ მაშინ, დეპუტატების დაპატიმრება რაღა საქიროა? რის დამნაშავენი უნდა ყოფილიყვნენ ეს უბადრუკები... ერთბაშად წარმოიდგინა, რა შიში და სასოწარკვეთილება აიტანდათ, თუმცა ისინი ტარტარენივით არ გამოუმწყვდევიათ ამ ქვის თაღებქვეშ, ბონივარის დილეგში, სადაც შეღამებისას თარეშობდნენ ხოლმე უშველებელი ვირთხები, აბანოს ქიები, ჩუმი ბაბაქუები, უჯმაჯურ ბლაუქა ფეხებს რბილად რომ აღგამენ.

მაგრამ რას ნიშნავს, სინდისი რომ სუფთა გაქვს კაცს! თუმცა ამ ყოფაში იყო, ცალკე ვირთაგვები და ბაბაქუები, ცალკე სიცივე აწუხებდა, დიდმა ტარტარენმა სახელმწიფო დამნაშავეთათვის განკუთვნილ ამ საშინელ ციხეში, სადაც ნაწამებ ადამიანთა აჩრდილები სახლობდნენ, გულის ძილით დაიძინა. პირდაღებულმა, მუშტებმოკუშმულმა ისეთივე ღონიერი ხვრინვა ამოუშვა, როგორც მაშინ, ცასა და უფსკრულს შორის, მთამსვლელთა კლუბის ქოხში. თავი ისევ ძილში ეგონა, როცა ციხის ზედამხედველმა დილაადრიანად გააღვიძა:

— ადექით, პრეფექტი მობრძანდა. უნდა დააკითხოთ... რაკი თვითონ პრეფექტი შეწუხებულა, ეტყობა, კვი მაგარი ავაზაკი იქნებით, — დასძინა მან როგორღაც პატივისცემის კილოთი.

რის ავაზაკი! მაგრამ როცა ამ ქუჭყიან, ნესტიან დილეგში გაა-

თვე ღამეს, მერე არ შეგეძლება, ცოტათი მაინც მოიყვანო თავი წესრიგში — იქნებ მართლაც, ვისმე ავაზაკად ეჩვენო! და ციხე-ღარბაზის ყოფილ საჯინბოში, ყაზარმად რომ გადაეკეთებინათ და სადაც მობათქაშებულ კედლებთან ჯოჯგინად შაშხანები ეყუდა, ტარტარენმა შედგა თუ არა ფეხი, ჯერ გამამხნეველი თვალით გადახედა პოლიციელებს შორის მსხდომ თავის ალპინელებს და მერე კი სირცხვილი იგრძნო შავ ტანსაცმელში გამოჯგიმული, სათუთად მოვლილი წვერით დამშვენებული პრეფექტის წინაშე, ასე უსუფთაოდ რად გამოვიყურებო. ხოლო პრეფექტმა მაშინვე მკაცრად დაუწყო დაკითხვა:

— მანილოვი ხართ, ხომ ასეა?.. რუსეთის ქვეშევრდომი... თქვენ მოაწყვეთ აფეთქება პეტერბურგში!... მერე თავი შეაფარეთ შვეიცარიას და აქ მკვლელობა მოახდინეთ.

— ჩემს დღეში არაფერი... ეს შეცდომაა, გაუგებრობა...

— კრინტი, თორემ ხმას გაგაკმენდინებთ!.. — გააწყვეტინა ოფიცერმა.

— უარზე დგომა ვერას გიშველით... — განაგრძობს ჩინებულად გამოწყობილი პრეფექტი, — ეს თოკი ხომ არ გეცნობათ?

თოკი, მართლაც, იმისია, წაილოს ეშმაკმა! მავთულის თოკი — ავინიონში არ დააწვნივინა საგანგებოდ?! ტარტარენი თავს ჩააკიდებს გაოცებული დეპუტატების წინაშე და ამბობს:

— დიახ, მეცნობა.

— ამ თოკით კაცი იყო ჩამოხრჩობილი უნტერვალდის კანტონში...

ტარტარენი ძრწოლით ფიცულობს, — ღმერთი, რაჯული, არაფერ შუაში ვარო.

ახლავე გავარკვევთ მაგას!

შემოჰყავთ იტალაელ ტენორი, პოლიციის აგენტი. ნიპილისტებმა იგი მუხის რტოზე ჩამოჰკიდეს ბრიუნინგის უღელტეხილთან, მაგრამ რაღაც სასწაულით შეშის მჭრელებს გადაერჩინათ.

ჯაშუში-მაძებარი უყურებს ტარტარენს და ამბობს:

— არა, ეს არ არის!

მერე დეპუტატებს შეხედავს:

— ესენიც სხვები არიან... შეცდომა მოგსვლიათ.

გაათრებული პრეფექტი ტარტარენს მოუბრუნდება:

— მაშ აქ რა გინდათ?

— მეც მაგას არა ვკითხულობ, ჰე!.. — უპასუხებს ტარტარენი უდანაშაულო კაცის რიხით.

მოკლე ახსნა-განმარტების შემდეგ ტარასკონელ მთამსვლელებს ათავისუფლებენ, და ისინიც ტოვებენ შილონის ციხეს, რომლის გულის დამამძიმებელი, მასევედიანებელი რომანტიკაც მათზე უფრო მეტად არავის უგრძნია. შეუხვევენ მიუღერის პანსიონში, წამოიღებენ თავიანთ ბარგს, დროშას, გადაიხდიან ფულს გუშირდელი საუზმისას, რომლის შეკვაც არ დასცალდათ, და მატარებლით გაქროლდებიან ენევეაში. წვიმს. წვიმის ცრემლებით მტირალს ფანჯრებში გაიეღვებენ სახელწოდებანი არისტოკრატიული სააგარაკო ადგილებისა — კლარანი, ვევე, ლოზანა; კრთიან პატარ-პატარა სახლები, მეჩხებუჩქებიანი ბალები. ხის ტოტებიდან, წოპწოპა სახურავებიდან და ოტელების ტერასებიდან ჩამონადენი წყალი მათ ნამიან საბურველში ხვევს.

მთამსვლელები გრძელი შეეცარიული ვაგონის კუთხეში, ორ მერხზე, ერთმანეთის პირდაპირ მოთავსდნენ; სახე სუყველას შემკრთალი, გაბეჩავებული ჰქონდა. დამმარებული ბრავიდა ტკივილს უჩიოდა და ერთთავად ვკითხებოდა ტარტარენს მომსვრელის ირონიით:

— ეგეც თქვენი ბონივარის დილეგი! რასა იქმთ, ხო კარგად დაათვალიერეთ? თქვენ ისე ძალიან გინდოდათ იმის ნახვა! მოიგერეთ გული, ჰე?

თავის სიცოცხლეში პირველად დაყუჩებული ექსკურბანიესი საცოდავად გაჰყურებს ტბას, ფანჯარაში მათს გაუთავებელ მადევარს:

— რამდენი წყალია, ღმერთო ძლიერო!.. მე აღარასდროს ვიბანავებ ამას იქით...

ჯერ ისევ შიშით გაბრუებულ პასკალონს დროშა მუხლებში მოუმწყვდევია, უკან ეფარება და დამფრთხალი კურდღელივით თვალებს აქეთ-იქით აცეცებს. ტარტარენი? ო, იგი მუდამ დინჯია, აღუშფოთველი, ღირსებით უჭირავს თავი, ზის და ტკებება გაზეთების კითხვით. ეს გაზეთები დასტად მიიღო მიუღერის პანსიონში სამხრეთ საფრანგეთიდან. ყოველ მათგანში გადმობეჭდილია „ფორუმში“ მოთავსებული იუნგფრაუზე მისი ასელის ამბავი, ამბავი მისივე ნაკარნახევი, მაგრამ გაზრდილ-განვრცობილი და თავებრუ-

დამხვევი უცხო ხოტბით შემკობილ-შელამაზებული. უეცრად ჩვენს გმირს ყვირილი აღმოხდება, შემაზრიალებელი ყვირილი, რაც ვაგონის მეორე ბოლომდე ჩაიგრიანებს. მგზავრები წამოცვივდებიან. მატარებელი ხომ არაფერს დაეჯახაო? არა, უბრალოდ, შენიშვნაა „ფორუმში“, და ტარტარენი მას მთამსვლელებს უკითხავს:

— ყური მიგდეთ: „ამბობენ, რომ მ. პ. ა. ბ. კოსტეკალდი, სულ ახლახან მომგობინებულა ზაფრისაგან, (რითაც რამდენიმე დღეს იყო ავად) და მონბლანზე ასასვლელად მიემგზავრება. ტარტარენზე უფრო მალლა ასვლას აპირებს...“ აჰ, ავაზაკი! უნდა, გამიხუნოს იუნგფრაუზე გამარჯვება. დამაცა მე შენ, როგორ თვალსა და ხელ-შუა გამოგაცალო ეგ შენი მთა... შამონი რამდენიმე საათის სავალზეა ქენევიდან, მონბლანზე მე იმაზე უწინ ავალ! წამოხვალთ ჩემთან ერთად, მეგობრებო?

ბრავიდა უარზეა. წადით ერთი!.. ეყოფა ფათერაკები.

— ეყოფა და მეტი არა... — ბრდღვინავს ხმაწასული ექსკურსანტისი.

— შენ, პასკალონ? — ეკითხება ტკბილად ტარტარენი.

— მას-წავ-ლე-ბელო... — კოკინებს მოწაფე და ტარტარენისათვის თვალი ვერ გაუმართავს.

ესეც გადაუდგა!

— მაშ, კარგი! — წარმოთქვამს მრისხანედ და ზეიმურად ჩვენი გმირი — მე მარტო წავალ, და დიდებაც არავისთან მექნება გასაყოფი... აბა, მიბოძეთ აქეთ, დროშა!

XII

ბალტუს მტელი შამონიში. ნიორის სენი მოდის! საპიროს თუ არა მოკი ალკაპეზი ასპლასს? Shake hands! შოპენკაპერის მოწაფე. შესაწინებო ბრან-მიულერი. „ტარტარენ, უნდა მოგელაპარაკოთ...“

შამონის სამრეკლომ ცხრაჯერ დარეკა ცივი წვიმისა და ქარისაგან მოცახცახე საღამოს ბინდში. ქუჩებში ყველგან ბნელოდა, სახლებში შუქი არ კიაფობდა, აქა-იქ მხოლოდ ოტელების წინა მხარე და ეზოები გაენათებინათ. ეზოებში ფხიზლობდა გაზი და ირგვლივ

¹ ხელის ჩამორთმევა (ინ გ.).

ყველაფერი თოვლიანი მთებისა და ღამის ცის ცთომილის მქაჩალ შუქზე უფრო ბნელი ჩანდა.

ბალტეს ოტელში, ამ ალპური სოფლის ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო და ხალხმრავალ ოტელში, დღის ექსკურსიებით გასათვთებული მოგზაურები და პანსიონერები თავ-თავიანთ ოთახებზე აფარებდნენ ნელ-ნელა თავს; ბოლოს დიდ დარბაზს შემორჩნენ მხოლოდ ინგლისელი პასტორი, თავის მეუღლეს უჩუმრად შაშა რომ ეთამაშებოდა, და მისი უთვალავი ქალიშვილი, რომლებსაც წინსაფრები, გულისპირები ეკეთათ და ფაცაფუცით აჭრელებდნენ უახლოეს ევანგელიკურ ღვთისმსახურებაზე მოსაწვევ ბარათებს, დარბაზში იყო კიდევ ერთი შვედი, გამხდარი, უფერული ახალგაზრდა; იგი გახურებულ ბუხართან დამჯდარიყო, სვამდა კირშვასერის, გროვისა და სელტერის წყალს და სახემოდუშული ჩაყურებდა მოგიზგიზე ალს. დროდადრო ვინმე შეგვიანებული ტურისტი, რომელსაც სველი გეტრები ეცვა და ლაბადიდან წურწურით ჩაშოსდიოდა წყალი, შეჩერდებოდა კედელზე ჩამოკიდებულ დიდ ბარომეტრთან. ჩაუკაყუნებდა თითს, შეიტყობდა ვერცხლისწყალზე ხვალინდელი დღის ამინდს, და დაძმარებული მიდიოდა დასაძინებლად. მძას არავინ იღებდა, სიცოცხლის არც სხვა რამ ნიშანი იგრძნობოდა, მხოლოდ ცეცხლი ტკრციალებდა ბუხარში, ხორხომელა ეყრებოდა ფანჯრებს და ოტელიდან რამდენიმე ნაბიჯზე ხის ხიდქვეშ ბრაზიანად გრგვინავდა არვი.

უცბად კარი გაიღო და დარბაზში შემოიჭრა ვერცხლის ყაითან-დავლებულ ტანსაცმელში გამოწყობილი მეკარე, ჩემოდნებითა და საბნებით დატვირთული, თან მოჰყვებოდა ოთხი აბაბანებული მთამსვლელი. ესენი გაშტერებულები ჩანდნენ, სიბნელისა და სიცივის შემდეგ რომ ერთბაშად სინათლესა და სითბოში მოხვდნენ.

- ღმერთო ძლიერარო, ეს რა ამინდია...
- აბა ერთი, საკმელი მოგვიტათ!
- დაგვითბეთ ლოგინები, ვ ე!

ყველა ერთად ყაყანებდა, და ეს ხმები ყელსახვევებიდან. შალის ჩაფხუტებიდან, ყურსაფრიანი ქუდეებიდან ამოდიოდა. ოტელიმ მოსამსახურებმა აღარ იცოდნენ, ვისთვის დაეგდოთ ყური, სანამ, ბოლოს, ერთმა ჩაგოდრებულმა კაცმა, რომელსაც დანარჩენებმა

„პრეზიდენს“ ეძახდნენ, სხვებზე მაღლა არ დაიდრიალა და არ დააჩუმა ყველანი.

— უპირველესად წიგნი გვიბოძეთ ჩამოსულთათვის! — ბრძანა მან.

გათოშილი თითებით გადაფურცლა წიგნი და ხმამაღლა ამოიკითხა მოგზაურთა გვარები, რომ: გაეგო, ვინ იყო ნამყოფი ამ უკანასკნელი რვა დღის განმავლობაში ოტელში:

— „ლოქტორი შვანტპალერი მეუღლითურთ...“ ისევ და ისევ „შვანტპალერი! „საფრანგეთის აკადემიის წევრი ასტიე-რეიუ...“

ამოიკითხა ამგვარად ორი თუ სამი გვარი, თანაც ერთთავად ფიქრდებოდა, როგორც კი იმის მსგავს გვარს წააწყდებოდა, რომელსაც დაეტებდა. ბოლომდე რომ ჩავიდა, წიგნი მაგიდაზე გადაისროლა, ზარიანად გადაიხარხარა და ანცი ბიჭუქელსავით შეხტა-შეიკუნტრუშა, რაც სწორედ რომ გასაშტერებელი იყო ასეთი ჩასუქებული სხეულის პატრონისაგან.

— ჯერ არ ჩამოსულა, გეყურებათ? სხვა სად უნდა ჩამომხდარიყო, მაშ, თუ არა აქ. კოვზი ნაცარში არ ჩაგივარდა, კოსტეკალდ?.. მიწაც გაგსკდომია და ქვესკნელსაც ჩაუტანიხარ! ახლა კი ჩქარა წვენი შევხვრიბოთ, ჩემო მეგობრებო!..

კეთილმა ტარტარენმა თავი დაუკრა მანდილოსნებს და სასადილო ოთახისაკენ გასწია, დამშეული და მოქაქანე დეპუტაციის თანხლებით.

დიახ! მთელი დეპუტაციის თანხლებით, უკლებლივ, თვით ბრავიდას თანხლებითაც კი... განა სხვანაირად შეიძლებოდა ყოფილიყო? აბა, თქვენ თვითონ გასინჯეთ! რას იტყოდნენ იქ, სამშობლოში, უტარტარენოდ დაბრუნებულებს როცა ნახავდნენ? ყოველ მათგანს ეს ზედმიწევნით კარგადა ჰქონდა წარმოდგენილი. განშორების უამს უენევის სადგურზე, მთელი ბუფეტი გახდა მოწმე ამაღელვებელი სცენისა: იყო ცრემლი, სლუკუნი, ჩაკონება, გულგამგმირავი გამოთხოვება დროშასთან. ამ გამომშვიდობებას კი ის მოჰყვა, რომ ყველანი ერთად გაიქედნენ ლანდოში, რომელიც პ. ა. ბ.—მა ის იყო შამონიმდე დაიჭირავა. უებრო გზა ტარასკონელებმა თვალდახუჭულებმა გაიარეს, გამოხვეულიყვნენ თავიანთ საბნებში და ეტლს აყრუებდა მათი მაგარი ხვრინვა. სულაც არ დაუნახავთ ბუნებებს მშვენიერი სურათები, რაც რომ სალანშს აქეთ წვიმის საბუ-

რველში გადაიშალა: უფსკრულები, ტყეები, აქაფებული ჩანჩქერები და ღრუბლებს ზემოთ აწვდილი — ხან მჩენი, ხან მიღეული მწვერვალი მონბლანისა. ბუნების მსგავსი სილამაზით თავშეწყენილი ტარასკონელები მარტო ერთ რამეზედა ფიქრობდნენ, როგორც კარგად გამოეძინათ შილონის კლიტურებში გატარებული საძაგელა უძილო ღამის შემდეგ. აი ახლაც კი, ბალტეს ოტელის გრძელი სასადილო ოთახის ერთ ბოლოში რომ მოეკალათათ და გამგებლები ჩუმად ჭამდნენ შემთბარ სუფსა და სადილის ნარჩენებს, სულ იმის მონატრულნი იყვნენ, მალე ჩაგორებულ იყვნენ ლოჯინში. უეცრად, სპირიდიონ ექსკურბანიესმა, მონუსხულივით რომ შეექცეოდა საქმელს, თავი ანება თეფშს, ჰაერი მოყნოსა თავის ირგვლივ და შეჰყვირა:

— ვაჰ! ნივრის სუნი მოდის!

— მართლაც რომ იმის სუნია... — კვერი დაუკრა ბრავიდამ.

მშობლიური კერძების საამო სუნმა, რითაც ტარტარენი დიდი ხანია აღარ დამტკბარიყო, სამშობლო მხარე გაახსენა ტარასკონელებს, გაახალისა ისინი და მუცლის პატივის მოყვარულნი საღერღელაშლილნი აცმუტდნენ სკამებზე. ეს სუნი დარბაზის მომიჯნავე პატარა ოთახიდან მოდიოდა. ოთახში საქმელს მარტო მიირთმევდა ერთი მოგზაური. ეტყობა, დიდი ვინმე უნდა ყოფილიყო, რადგან სამზარეულოში გამავალ პაწია სარკმელში წარამარა გამოჩნდებოდა ხოლმე მთავარი მზარეულის ჩაჩი, და მოსამსახურე ქალიც მზარეულის გადმოცემულ პატარა თავდახურულ ლანგრებს მშშინვე იმ ცალკე ოთახში უკრავდა თავს.

— ვინმე სამხრეთელი იქნება, უთუოდ, — წაიდუდუნა ჩუმმა პასკალონმა.

პრეზიდენტს მკვდრისფერი დაედო, კოსტეკალდი ხომ არ არისა, და მაშინვე განკარგულება გასცა:

— წადით, ნახეთ, სპირიდიონ... მერე ჩვენც შეგვატყობინეთ...

მჭკეპარე ხარხარი მოისმა იმ განცალკევებული ოთახიდან, სადაც თავისი მეთაურის ბრძანებით წარგზავნილმა დიდებულმა „გონგმა“ ის იყო შედგა ფეხი... წამიც არ გასულა, რომ იქიდან ხელჩაკიდებული გამოიყვანა დიდცხვირა, მოეშმაყო თვალების პატრონი აყლახულა კაცი, რომელსაც ნიკაპქვეშ ხელსახოცი გაეკეთებინა, როგორც ეს ნაღდ პირის პატივის მოყვარულს შეჰფერის:

— ბიკოს, ბომპარი!

— ვა, „ცრუპენტელა!“

— ვა, ვა, ვა, გონზავ, გაგიმარჯოს!.. რაა იქმ?

— მე, ესე იგი, ბატონებო, მზადა ვარ თქვენი სამსახურისათვის... — თქვა შიკრიკმა, ყველას ხელი ჩამოართვა და ტარასკონელების სუფრას მიუჯდა, რათა მათთან ერთად მიერთმია ნივრით შემზადებული თეთრი სოკო, ქ-ნ ბალტეს ნახელავი. ეს ქალი, თავის ქმრისა არ იყოს, საშინელი მოძულე იყო საერთო სუფრისა.

თავიანთი მხრის საკმელმა იქონია გავლენა, თუ მხიარულმა შეხვედრამ თანამემამულესთან — წარმოსახვის საუცხოო ნიჭით დაჯილდოებულ მშვენიერ ბომპართან, — ეს კია, რომ დაღლილობა და რული ერთბაშად გადაეყარათ. მაშინვე გახსნეს შამპანური და ჩვენი ტარასკონელები იცინოდნენ, გაჰყვიროდნენ, ხელეზს იქნევდნენ და ერთმანეთს ეხვეოდნენ, ესიყვარულებოდნენ.

— მე თქვენ აღარ მიგატოვებთ, აღარა! — ეუბნებოდა ბომპარი. — ჩემი პერუელები აიბარგნენ... ახლა თავისუფალი ვარ...

— თავისუფალი?.. მაშ, ხვალ, მონბლანზე წამოხვალთ ჩემთან ერთად?

— როგორ, ხვალ მონბლანზე მიდიხართ? — დაეკითხა ბომპარი და დიდი აღტაცება არ დასტყობია.

— დიახ, მე მიინდა იგი ფეხქვეშ გამოვაცალო კოსტეკალდს. მობრძანდება, და, ფაფუ!.. სად არის შენი მონბლანი... ხომ წამოხვალთ, გონზავ, ჰა?

— წამოვალ, წამოვალ... აი, თუ ამინდმა მოგვიმართა ხელი... წლის ამ დროს ასვლა მუდამ მოსახერხებელი როდია!

— კარგი ერთი, მოსახერხებელი არ არისო!.. — წარმოთქვა ტარტარენმა და პატარა თვალები მოწყურა, ვითომდა, კარგად მესმის ყველაფერიო, მაგრამ ბომპარმა ვერა გაიგო რა.

— წავიდეთ, ყავა დავლიოთ დარბაზში... მოვეთათბიროთ მოხუც ბალტეს. მაგის მცოდნე კაცი ის არის, ძველი მეგზურია, ოცდაშვიდჯერ ასულა მწვევრავალზე.

— ოცდაშვიდჯერ!.. დახე, შენ! — შესძახეს ერთხმად დეპუტატებმა.

— ბომპარი მუდამ აზვიადებს, — წარმოთქვა მოღუშულმა პ. ა. ბ. — მა და კილოში შურმა გაჰკრა.

დარბაზში ისევ პასტორი დაუხვდათ თავისი ოჯახით. ქალოშვილები კვლავ განაგრძობდნენ მოსაწვევი ბარათების წერას, დედ-მამას ძილი თავს ართმევდა შაშის თამაშის დროს, ხოლო აწოწილი შეკვდი კვლავაც დაძმარებული აჯანჯლარებდა თავის გროგს, სელტერის წყლით შეზავებულს. შამპანურით შეხურებული ტარასკონელი მთამსვლელების თავდასხმამ, უნდა ვიფიქროთ, ცოტა არ იყოს, გამოაცოცხლა ბარათების ნორჩი დამწერნი. ამ მშვენიერ არსებათ თავის დღეში არ უნახავთ, ყავის სმის დროს ვისმე სახეზე ასე წარამარა შესაცვლოდეს გამომეტყველება და თვალები ებრიალებინოს.

— შაქარი, ტარტარენა?!

— რასა ბრძანებთ, მეთაურო... განა არ იცით, რომ აფრიკის მერე...

— ჰო, მართლა, ბოდიში... ავე, ბატონი ბალტეც!

— გაუმარჯოს ბატონ ბალტეს!.. ჰო! ჰო! ვ ი ხ მ ო უ რ ო თ!

— აბა, დაბრძანდით, ბატონო ბალტე!

მოხუცი ბალტე, რომელსაც ისეთი ხალხი შემოსჯარვოდა, თავის სიცოცხლეში რომ არ ენახა, წყნარად იღიმებოდა. ჯანმგარი სავოიელი, ახოვანი და მსარბეკვანიერი, წელში ოდნავ მოხრილი იყო და დინჯად დააბიჯებდა; გაპარულ ფართო სახეზე წყვილი ეშმაკური თვალი ესხდა, რაც სრულებიც არ ეხამებოდა მის გაქუცულ თავს. თმა მას შემდეგ დასცვენოდა, როცა ერთხელ გათენებლას კინდამ თოვლში გაყინულა.

— თქვენ, ბატონებო, მონბლანზე ასვლა გწადიათ? — დაეკითხა იგი ტარასკონელებს და მოკრძალებით, თანაც დამკინავად მოავლო მათ თვალი.

ტარტარენს ის-იყო პასუხი უნდა გაეცა, მაგრამ ბომპარმა აღარ დააცალა:

— სამაგისო დრო ახლა არ არის, ზომ მართალია?

— არა, რატომ? — მიუგო ყოფილმა მეგზურმა. — აი ეს შევედი კაციც ხეალ მიუმგზავრება, ამ კვირის ბოლოს კიდევ ორ ამერიკელს მოველი; ისინიც ასვლას აპირებენ. ერთი მათგანი უსინათლოც კი არის!

— ვიცი ის კაცი. გუგინზე შევხვდი.

— ა! თქვენ გუგინზე იყავით?

— ერთი კვირის წინათ, იუნგფრაუზე რომ ავდიოდი...

ამ სიტყვების გაგონებაზე პასტორის ქალიშვილები შეირხნენ, კალამი შეაყუნეს და თავი ტარტარენისაკენ მიიღეს. ამ გატაცებულ მთაძვლელებისა და სტორტის ყველა სახის მიმყოლი ინგლისელი ასულების თვალში ჩვენს გმირს განსაკუთრებული ფასი ენიჭებოდა. ხუმრობა საქმეა, იუნგფრაუზე ავიდა!

— ურიგო ლაშქრობა არ გახლავთ! — თქვა მოხუცმა ბალტემ და გაკვირვებულმა აავლ-ჩაავლო თვალი პ. ბ. ბ.-ს.

ხოლო პასკალონი, ქალთა საზოგადოებაში მუდამ დამორცხვე-ბული, გაწითლდა და ენის ბორძიკით წაილულლულა:

— მა-ასწავ-ლებე-ლო, უამბეთ... იმაზე... ნაპრაღზე...

პრეზიდენტმა გაიღიმა:

— ბალო!

და მინც მოჰყვა თავის წაქცევის ამბავს, — ჯერ როგორღაც დაუდევარის გულგრილობით, მერე კი თანდათან უფრო და უფრო მეთის გატაცებით, თანაც სხეულის მოძრაობაც ააყოლა; წარმოადგინა, როგორ ეკიდა უფსკრულის პირას, ფეხებს რომ იქნედა, ხელებგაკრული შეელას რომ ითხოვდა. ქალიშვილები შეძრწოლდნენ და თვალებითა ქამდნენ ტარტარენს — ინგლისელთა ცივი თვალე-ბით, გაოცებისას რომ დამრგვალებიან ხოლმე.

ჩამოვარდნილი სიჩუმე ბომპარმა დაარღვია.

— ჩიმბორასოზე, ნაპრაღს რომ გადავდიოდით, თოკით არ გადავბმულვართ.

დეპუტატებმა ერთმანეთს შეხედეს. ამ ტრასკონადით ბომპარ-მა ყველა ჩააჩუმა.

— ოჰ, ეს ბომპარი, რა არის... რა!.. — წაიჩურჩულა პასკალონმა, მიამიტურად განცვიფრებულმა.

მაგრამ მოხუცმა ბალტემ ნაღდად მიიღო ბომპარის ჩიმბორასოზე ასვლის ამბავი და შეეპასუხა კიდევაც: თოკგადაუბმელად ნაპრაღებ-ზე გადასვლა ვის გაუგიაო? ამტკიცებდა, რომ უთოკოდ მყინვარზე ასვლა შეუძლებელია, თანაც საჭიროა ქერელის მაგარი თოკი; თუ ერთს ფეხი დაუცდა, მეორენი შეიმავრებენო.

— იმ პირობით, თუ თოკი არ გაწყდა, ბატონო ბალტე, — თქვა ტარტარენმა და სერვენის კატასტროფა გაახსენა.

— თოკი არ გამწყდარა სერვენში... მეგზურმა, უკან რომ მი-ჰყვებოდით, გადაჭრა იგი თავის წერაყინით.

ტარტარენი აღშფოთდა.

— ბოდინს ვითხოვ, ბატონო, — მიუგო ბალტემ, — მაგრამ მეგზურს უფლება ჰქონდა ასე მოქცეულიყო... მიხვდა, შეუძლებელი იყო დანარჩენების შეკავება, და თოკი გადაკვეთა, რათა საკუთარ სიცოცხლესთან ერთად გადაერჩინა თავისი ვაჟიშვილისა და იმ მოგზაურის სიცოცხლე, რომელსაც თან ახლდნენ... ასეთ გადაწყვეტილებას რომ არ დასდგომოდა, მაშინ ხომ მსხვერპლი, ოთხიმ მაგივრად, შვიდი იქნებოდა.

ატყდა ერთი დავა. ტარტარენი ასე ფიქრობდა, თუ თოკით გადებშები ვისმე, ეს იმას ნიშნავს, რომ ფიცით შეეკრა — სიცოცხლე თუ სიკვდილი მასთან ერთად გაიზიარო. ქალთა საზოგადოებით ატაცებული, ის სულ უფრო მეტად გახალისდა და თავის ნათქვამს ფაქტებით ადასტურებდა, თანაც დამსწრეთ იმოწმებდა:

— ასე, მაგალითად, ხვალ რომ მე ერთი თოკით ბომპარს გადავებმები, მარტო სიფრთხილისათვის კი არ ვიზამ ამას, — არა, ამით მე ფიცს ვდებ ღვთისა და კაცთა წინაშე, რომ ჩემს თანამგზავერთან ერთ სისხლს და ხორცს ვიქნები და უწინ სულს დავლევ, ვიდრე უომისოდ დავბრუნდები, დასწყევლის ღმერთი!

— მეც თქვენთან ერთად ვდებ ფიცს, ტარტარენ! — შეპყვია ბომპარმა, რომელიც პატარა მრგვალი მაგიდის მეორე მხარეს იჯდა.

ამაღელვებელი წუთი იყო!

აღტყინებული პასტორი წამოდგა და ხელი ჩამოართვა ჩვენს გმირს, ინგლისურ ყაიდაზე ისე, თითქო ტუმბო აემოძრავებინოს, ცოლმაც მიჰბაძა, იმას მიჰყვენენ ქალიშვილებიც, ერთიანად ყველანი, და ისე ღონივრად განაგრძობდნენ shake hands, იტყოდით, წყალსა ტუმბავენ მეექვსე სართულზე ასაყვანადო. რა დასამალია, რომ დეპუტატებს დიდი ხალისი არ გამოუჩენიათ.

— მეც ბატონი ბალტეს აზრისა ვარ, — წარმოთქვა ბრავიდამ. — მაგისთანა დროს ყველამ, ოღონდაც რომ, თავისი საკუთარი თავი უნდა დაზოგოს; მე ძლიერ კარგად მესმის აი იმისი, წერაყინით თოკი რომ გადაკვეთა...

— თქვენი საქმე მაკვირვებს, პლასიდ, — მკაცრად შენიშნა ტარტარენმა; თავს ძლიერს იკავებდა და დაბალის ხმით წასჩურჩულა:

— დაჩუმდით, უბედურო, ინგლისი გვიყურებს...

მამაცმა მეთაურმა, რომელიც, რაღა სალაპარაკოა, ბრაზს იმა-
ლადა გულში შილონის ექსკურსიის გამო, როგორღაც ისეთის მო-
ძრაობით უპასუხა, რაც ნიშნავდა: „ფეხებზედაც არა მკიდია შენი
ინგლისიო...“ ვინ იცის, იქნებ ის მაგრადაც გაეჭორა ამოდენი ცი-
ნეზმით აღშფოთებულ პრეზიდენტს, რომ ამ დროს მკმუნვარე ახალ-
გაზრდას, გროგითა და მოწყენილობით გაბეზრებულს, ამ ლაპარაკში
თავისი უხეირო ფრანგული არ ჩაერთო. ისიც იმ აზრისა იყო, რომ
შეგზური სწორედ მოიქცა, როდესაც თოკი გადაკვეთა: სიცოცხლე
მოუსწრაფო ოთხ უბედურ ადამიანს; ჯერ ისევ ახალგაზრდებს, ესე
იგი, განწირულთ ერთხანს კიდევ საარსებოდ, მოასვენო ისინი ერთი
ხელის დაკვრით და არყოფნაში დანთქა, — რაოდენ დიდსულოვანი
და კეთილშობილური საქციელი!

— მაგას რას ამბობთ, ყმაწვილო კაცო! — შეჰყვირა ტარტარე-
ნმა. — განა შეიძლება სიცოცხლეზე ასე გულგრილად, ასეთის მძულ-
ვარებით ლაპარაკი, და ისიც თქვენს ასაკში... რა დაგიშავათ, ნეტავ,
ასეთი?

— არაფერი, მომბეზრდა მხოლოდ...

იგი სწავლობდა ფილოსოფიას ქრისტიანიაში¹ და, შოპენჰაუ-
ერისა² და ჰარტმანის³ იდეებით გამსჭვალულს, ცხოვრება ბნელით
მოცული, უაზრო და უთავბოლო ეჩვენებოდა. თვითმკვლელობას
პირას მდგომმა, მშობლების დაყინებული თხოვნით მიატოვა წიგნები
და სამოგზაუროდ გასწია, მაგრამ ყველგან ისევ ცხოვრების შე-
ბნელს უბადრუკობასა და მოწყენილობას ხედავდა. ტარტარენი და
მისი მეგობრები ერთადერთ გულმხიარულ, კმაყოფილ არსებებად
ეჩვენებოდნენ იმათ შორის, ვინც კი სადმე შეხვებდრია.

¹ ქ რ ის ტ ი ა ნ ი ა — ძველი სახელწოდება ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოსი.

² შოპენჰაუერი არტური (1788—1860) — გერმანელი ფილოსოფოსი;
რეალურ სამყაროს განიხილავდა, როგორც ნაკლოვანობისა და ტანჯვის შეუფე-
ბას. გამოსავლად კი სასიცოცხლო ინტერესებსა და მოღვაწეობაზე უარის თქმა
მიიჩნდა.

³ ედუარდ ფონ ჰარტმანი (1842—1906) — გერმანელი ფილოსოფოსი.
რომლის აზრითაც ყოველი ადამიანი განწირულია იტანჯოს, ვინაიდან ის არსე-
ბობს, როგორც ინდივიდუუმი; ტანჯვიდან ხსნა მარტოდენ „არარსებობააო“.

— ასეთი ჯილაგისანი გახლავართ, ყმაწვილო კაცო. სულ ასეთე-
ზი ვართ ტარასკონელები. კურთხეული ნხარეა. დილიდან საღამომ-
დე იქ სიცილი და ჭიმღერა ისმის, დანარჩენ დროს კი ფარანდოლასა
ციკვავენ... აი, ასე!.. ასე!.. ჰე!

და დაიწყო ხტომა, ფეხი ფეხზე შემოჰკრა, თანაც ისე მსუბუ-
ქად და მოხდენილად, ვით მაისის ხოქომ იცის ფრთების გაშლა.

მაგრამ დეჰუტატებს როდი ჰქონდათ ფოლადის ნერვები და
დაულევნელი სიმხნე თავიანთი წინამძღოლისა.

— პ რ ე ზ ი დ ე ნ ი ისევ წრეს გადავიდა... — ბურღლუნებდა
ექსკურბანიეტი. — უკვე თითქმის თორმეტი საათია ღამისა...

გაცეცხლებული ბრავიდა წამოდგა:

— წავიდეთ ერთი, დავწვეთ, დავიძინოთ, ვ ე! წელი ისე ამტკიე-
და, რომ მეტი არ შეიძლება...

ტარტარენს გაახსენდა, ხვალ რომ მთაზე იყო ასახვლელი, და
დაეთანხმა. ტარასკონელებიც, შანდლით ხელში, დაადგნენ ოთახებში
ამავალ გრანიტის ფართო კიბეს, ხოლო მოხუცი ბალტე სანოვაგის
დასამზადებლად და ჯორებისა და მეგზურების დასაქირავებლად
წავიდა.

— ოჰო! თოვლი მოდის!

ეს იყო კეთილი ტარტარენის პირველი სიტყვები, გამოიღვიძა
თუ არა და შეჰკირხლული მინები და ოთახი თეთრად გაკაშკაშებული
დაინახა. მაგრამ, როცა წვეერის ფასაპარსავად მოემზადა და პატარა
სარკე ფანჯრის საკვალთზე დაამაგრა, მიხვდა თავის შეცდომას: ეს
მონბლანი ელვარებდა მის წინ საუცხოო მზეში და შუქსა ჰფენდა
იქაურობას. ტარტარენმა ფანჯარა გააღო, ოთახში შემოიჭრა მყინვე-
რებიდან მონაქროლი მსუსხავი, მაცოცხლებელი ქარი, რომელსაც
თან მოჰქონდა ფარა-ნახირის ურიცხვი ზანზალაკის ყლარუნი და
მწყემსთა ბუკების ზმუილი. რაღაც ჯანსაღი, პასტორალური მოჰ-
ბერდა ჰაერში, რაც ამდენ ხანს ტარტარენს შვეიცარიაში არ უგრ-
ძნია.

ქვევით მეგზურებსა და მებარგულებს მოეყარათ თავი და ტარ-
ტარენს ელოდებოდნენ. შეედი უკვე თავის ჯორზე იჯდა. გარშემო-
ხვეულ ცნობისმოყვარეთა შორის პასტორის ოჯახიც იყო; ეს მარჯ-
ვე ქალიშვილები, დილის შესაფერისად გამოწყობილები, მოსულნი

ყვენს უკლებლივ, რათა კიდევ ერთხელ shake hands-ით დაე-
ჯილდოებინათ გმირი, — მათი ოცნების მომტაცებელი.

— მშვენიერი ამინდია! აბა, იჩქარეთ! — გაჰყვიროდა ოტელას
პატრონი, რომელსაც მელოტი კინჩხი რიყის ქვასავით უბზი-
ნავდა.

ტარტარენი კი არ აყოვნებდა, მაგრამ ადვილი საქმე როდი იყო
დეპუტატების გამოფხიზლება; ესენი ხომ პიერ-პუანტიუმდე უნდა
გაჰყოლოდნენ, იმ ადგილამდე, სადაც თავდებოდა ჯორების სავალა
გზა. არც ხვეწნა, არც მუდარა, არც შეგონება არა სჭრიდა მეთაურ-
თან; იგი ლოგინიდან არ იძროდა, ჩამოეფხატა ყურებზე სალაჟ-
რი ჩაჩი, პირი კედლისაკენ ექნა და, თუმცა პრეზიდენტი მუნათს არ
აკლებდა, პასუხად მარტო ერთი ტარასკონული ცინიკური სიტყვის
მასალას იძლეოდა:

— ვიზეც ამბობენ, აღრე დგებო, იმას შეუძლია შეუადღემდე
ლოგინი ლესოს...

ბომპარი კი ერთთავად იმეორებდა:

— მოგვაშორეთ ეგ მონბლანი!.. მიქარვაა...

და მარტო მაშინლა ადგა, როცა პ. ა. ა.-მა გადაჭრილი ბრძანება
მისცა.

ბოლოს, როგორც იყო, ქარავანი დაიძრა და შამონის ვიწრო ქუ-
ჩებით გზას გაუდგა. სწორედ დიდებული სანახავიც იყო: წინ, ჯო-
რზე, პასკალონი წამოსკუბებულიყო გაშლილი დროშით ხელში, სულ
ბოლოს ჩინეთის მანდარინივით მზვობარი, თავის ჯორზე დინჯად
დაბრძანებული კეთილი ტარტარენი მიირწეოდა. მის ორსავ მხარეს
მეგზურები და მებარგულები მოაბიჯებდნენ. თავის დღეში არა ყო-
ფილა ჩვენი გმირი ასე ნამდვილი მთამსვლელოვით გამოწყობილა.
თვალეზე ამოზნექილმინებიანი ახალი შავი სათვალე ეკეთა და თავს
იწონებდა სახელგანთქმული ავინიონური თოკით, რომელიც, თქვენც
იციით, რა ფასად ჩაიგდო კვლავ ხელში.

ყველანი თითქმის ისევე თვალგაშტერებულნი შესცქეროდნენ,
ტარტარენს როგორც დროშას, და ისიც ხარობდა, თუმცა სახეზე
დარბაისლურ იერს არ იშორებდა. ტკებოდა სავოიური სოფლის
წარმტაცი ქუჩების ხილვით. ეს სოფლები სულ არა ჰგავდა სუფთა,
კრიალა შვეიცარიულ სოფლებს, ახალ სათამაშოსა და ბაზრის ალა-
ჩუხს რომ მოაგონებდა კაცს. იგი შეჰყურებდა მიწას ძლივს აცილე-

ბულ ქობმახებს, სადაც მეტი ადგილი გომურს ეკავა, და ვეება დიდებულ ექვსსართულიან ოტელებს, რომელთა მოელვარე აბრებიც, მეკარის ვერცხლით მოსირმული ქუდისა და მეტროტელის ფრაკის თუ ფეხსაცმლისა არ იყოს, თვალსა გკრიდათ სავოიელი დედაკაცების თავსაბურების, ბამბაზიის კურტაკებისა და მენახშირეთა განიერფარფლებიანი თექის ქუდების გვერდიტ. მოედანზე ჩარიგებულიყვენ ცხენებგამოშვებული ლანდოები, სამგზავრო კარეტები და ნეხვის საზიდი ურიკები; ღორების კოლტი დასეირნობდა მზის გულზე საფოსტო კანტორის წინ. კანტორიდან ტილოსქუდიანი ვადაც ინგლისელი კაცი გამოვიდა, ხელში წერილების დატა და „ტაიმსის“ ერთი ნომერი ეჭირა. გაზეთს გზა-გზა კითხულობდა, სანამ კორესპონდენციას გახსნიდა. ტარასკონელთა კავალკადა იძვროდა, მას თან სდევდა ჯორების ფეხების თქაფათქუფი, საბრძოლო ძახილი ექსკურბანიისისა, ვის გონგსაც მზეზე წინანდელი ძალა მისცემოდა, თანა სდევდა ფერდობებზე შეფენილი ფარა-ნახირის ზანზალაკების წკარუნი და გრიალი მყინვარიდან გამომხეთქილი მდინარისა, თუკრად რომ აღქაფებულიყო და ისეთ წინწყლებს ისროდა, თითქოს თავის ტალღებზე თოვლსა და მზეს მიაქროლებსო.

სოფლის ბოლოს, ჯორზე ამხედრებული ბომპარი მიუახლოვდა ტარტარენს და თვალების უცნაური ბრიალით უთხრა:

— ტ ა რ ტ ა რ ე ნ ს, უნდა მოგელაპარაკოთ...

— მერე იყოს... — მიუგო პ. ა. ა. — მა; ამ დროს ის ფილოსოფიურ კამათში გართულიყო ახალგაზრდა შვედთან და ცდილობდა შეემუსრა მისი პირქუში პესიმიზმი მათ ირგვლივ გადაშლილი საუცხოო სანახაობით: სამოვრებით, სადაც ჩრდილისა და სინათლის დიდი სივრცეები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ამ მუქმწვანე ტყეებით, მყინვარების თვალის მომჭრელი თოვლით რომ დაგვირგვინებულიყვენ.

ორჯერ შეეცადა ბომპარი მიახლოებოდა ტარტარენს, მაგრამ ამაოდ. ბოლოს იძულებული შეიქნა თავი მიენებებინა. არვზე გადებული პატარა ხიდი რომ გადაიარეს, ქარავანმა გასწია ნაძენარშა მიხვეულ-მოხვეული ვიწრო გზით, სადაც ჯორები თითო-თითოდ მიიწვედნენ წინ და თავიანთი უცნაური, სასაცილო ფლოკვების ნაკვალევს აჩნევდნენ უფსკრულთა თავზე ყველა გრეხილ-ხვეულს. ჩვენი ტარასკონელებიც დაბავდნენ მთელ ყურადღებას, რათა წონას-

წარობა დაეცვათ, და ჯორები რომ შეემაგრებინათ, წარამარა შეს-
ძახებდნენ ხოლმე: „აბა, აბა... ნე... ლა... ნე... ლა...“

პატარა სახლში პიერ-პუანტიუში, სადაც პასკალონი და ექსკურ-
ბანიესი უნდა დალოდებოდნენ მთამსვლელებს, ტარტარენი მოპყვა
საუზმის დაკვეთას, მეგზურებისა და მებარგულების მოწყობაზე
ზრუნვას, და ისე გაერთო, რომ ყური კვლავ არ ათხოვა ბომპაროს
ჩურჩულს. მაგრამ უცნაური ამბავია, და ამას მოგვიანებით მიაქციეს
ყურადღება: თუმცა კარგი ამინდი იდგა, ლეინოც ისეთივე კარგი
იყო და ჰაერი სუფთა, დაწმენდილი, როგორც ზღვის დონიდან ორ-
ათასი მეტრის სიმაღლეზე უნდა იყოს, მაგრამ საუზმემ მაინც უხ-
ლისოდ ჩაიარა. იქვე ცოტა მოშორებით, მეგზურები იცინოდნენ,
მხიარულობდნენ, ტარასკონელების სუფრაზე კი სიჩუმე სუფევდა.
ამ სიჩუმეს მხოლოდ ჩვეულებრივი ხმაური არღვევდა, პურის ჭამის
დროს რომ იცის: კიჩების წკარუნი, ჭურჭლის ჩხარაჩხური ხის
თეთრად გარანდულ მაგიდაზე. დაღვრემილი შვედის მიზეზით იყო,
თუ გონზავის აშკარა მოუსვენრობით, — მთამსვლელებს, როცა ისი-
ნი ბოსონის მყინვარისაკენ დაიძრნენ, საიდანაც ასვლა უნდა დაე-
წყოთ, ისე დამპარებოდათ სახე, თითქოს უმუხსიკოდ მიმავალი ათა-
სეული ყოფილიყო.

ყინულს რომ ფეხი დაადგა, ტარტარენს უნებურად გაელიმა, —
გუგი და თავისი გაუმჯობესებელი წრიაპები გაახსენდა. რა დიდი
ზღვარი იყო მაშინდელს ახალბედასა და იმ პირველხარისხოვან მთა-
მსვლელს შორის, როგორადაც ახლა მიაჩნდა თავი! ისე გულმშვე-
დად და მტიციედ მიაბიჯებდა ფეხსაცმლით, ამ დილას ოტელის მე-
კარემ დიდრონი ლურსმნით რომ დაუქედა, ისე მარჯვედ ესწავლა
წერაყინის ხმარება, რომ არც ერთ მეგზურს მისთვის ხელის შეშ-
ველება თითქმის არა სჭირდებოდა, — გზას თუ აჩვენებდა, თორემ
სხვაფრივ დახმარება არ უნდოდა. შავ სათვალეში ისე აღარა ბრკია-
ლებდა მყინვარი, რომელიც ამას წინათ ჩამოწოლილ ზვავს ახალი
თოვლით გადაექათქათებინა. — თოვლში აქა-იქ პირი დაელოთ მო-
ლიპულ, მუხანათ პატარა ტბებს, მოლურჯო-მომწვანო ფერისას. რა-
კი გამოცდილებით იცოდა, არავითარი საფრთხე არ ელოდა, ტარ-
ტარენი მეტად გულდინჯად ადგამდა ფეხს ბზინვარე და გლუვკედ-
ლებიან ნაპრალთა კიდეებს, რომელთაც ბოლო არ უჩანდათ: მიდი-
ოდა ჩამომზღვლეული ყინულების გორბებში და მარტოოდენ ერ-

თი ფიქრი აწუხებდა, როგორმე არ ჩამორჩენოდა შვედ სტუდენტს, ამ მოუღალავე მოსიარულეს. ახალგაზრდა კაცს ვერცხლის ბალთუ-ბიანი გრძელი გეტრები მკიდროდ შემოსტევეოდა გამხდარს, წვრილ კანკებზე, და ეს კანკები მოძრაობდნენ ალპენშტოკთან ერთად, რო-რომელიც თითქოს მესამე ფეხი იყო მისი; ორი მთამსვლელის ფილო-სოფიური კამათი, მძიმე გზის მიუხედავად, კვლავ გრძელდე-ბოდა; მდინარის კიდე-განივით ზარიან, ყინულად ქცეულ სივრცეზე ნებიერად ბუბუნებდა, ცოტა არ იყოს აქაქანებული, ბოსი ხმა:

— თქვენ მე მიცნობთ, ოტო...

ბომპარს კი ამ დროს ათასი გასაკვირი ადგა. ჯერ ისევ. დილას მტკიცედა სჯეროდა, რომ ტარტარენს ბაქიაობა ბაქიაობად დარ-ჩებოდა და მონბლანზე ისევე ვერ ავიდოდა, როგორც იუნგფრაუ-ზე ასვლით არ შეუწუხებია თავი. ამიტომ საწყალმა შიკრიკმა ჩვე-ულბერივი ტანსაცმელი ჩაიცვა, ფეხსაცმლის ძირებზე ლურსმნები არ დაიკრა და თავისი განთქმული გამონაგონიც არ გამოიყენა, — სამხედროებს რომ ფეხების დაქედვას ურჩევდა, — არც ალპენშ-ტოკი წამოუღია თან, ჩიმბორასოს მთიელები ალპენშტოკებს არა ხმარობენო. მარტო წვრილი საბიჯგი ჯოხით შეიარაღდა, რაც მეტად უხდებოდა მის ცისფერყაითნიან ქუდსა და ულსტერს. შიშით შეძ-რწოლდა, როცა მყინვარს მიუახლოვდა. ხომ კარგად გესმით რატო-მაც? „ცრუპენტელას“ თუმცაღა ბევრი რამ ჰქონდა დანაყბელი, მაგრამ მთაზე თავის დღეში არ ასულიყო. მაინც როცა მორენიდან გადაიხედა დაინახა, რა ადვილად იძვროდა ყინულზე ტარტა-რენი, ბომპარს გული მოეცა და გადაწყვიტა მაშინვე გრან-მიულეს სადგომამდე გაჰყოლოდა, სადაც ღამე უნდა გაეთიათ. გაუჭირდა კი, ცოტა არ იყოს, იქამდე მისვლა. გადადგა თუ არა ნაბიჯი, გულაღმა დაებერტყა, მერე ხელებსა და მუხლებზე დაეარდა.

— არა, გძაღლობთ, მე ისე, განგებ... — არწმუნებდა იგი მეგ-ზურებს, რომლებიც მის წამოყენებასა ცდილობდნენ. — ამერიკუ-ლად, ვე!.. როგორც ჩიმბორასოზე იცინან!..

ამგვარ მდგომარეობაში მოძრაობა უფრო მოხერხებული ეჩვენა და ასე ბორღღვით განაგრძო გზა; ქუდი კეფაზე მოქცეოდა და ისე ხვეტდა თოვლს ულსტერით, ვითარცა რუხი დათვი თავისი ბეწვით. ამასთან სიმხნეს და სიმშვიდეს არა კარგავდა და თავის მახლობლად მავალთ უამბობდა, ასე ამგვარად როგორ აბლოტდა ანდებში ათი

ათასი მეტრის სიმაღლე მთაზე. ის კი აღარა თქვა, რამდენ ხანს მო-
ვუნდი ამ ასვლასო; ეტყობა, ბევრი დრო კი დასჭირდებოდა, თუ
იმას გავითვალისწინებთ, რომ გრან-მიულეში ტარტარენზე ერთი
საათით გვიან, მივიდა, თანაც თოვლსა და ტალახში მთლად ამოსვ-
რილიყო და თხელ ხელთათმანებში თითები გასთოშოდა.

გუგის ქოხმახთან შედარებით, შამონის თემის ხარჯზე გრან-
მიულეში აშენებული სადგომი, ნამდვილად კომფორტაბელურა
იყო. როცა ბომპარი სამზარეულოში შევიდა, სადაც ღუმელში
ცეცხლს ერთი ამბავი გაქმნდა, ტარტარენი და შევდი უკვე იქ
დაუხვდნენ, ფეხსამოსს იშრობდნენ, ხოლო ფუნდუკის პატრონს,
გრძელქაღარათმიან, მოკრუნჩხულ მოხუცს გადმოელაგებინა მათ
წინ თავისი პატარა მუზეუმის საგანძური.

გულშემზარავი იყო ეს მუზეუმი, მოხუც მეფუნდუკეს იმ ორ-
მოცი წლის განძილზე, რაც აქ ფუნდუკი ეჭირა, შეეკრიბა მონბლან-
ზე მომხდარ კატასტროფათა სამახსოვრო ნივთები. გადმოჰქონდა
ვიტრინიდან ნივთები და მათს სავალალო ამბავსა ჰყვებოდა... აქ
მაუდის ნაფლეთსა და ჟილეტის ღილებთან დაკავშირებული იყო
მოგონება ერთ რუს მეცნიერზე; ბრენეას მყინვარზე იგი გრი-
გალს გაეტაცა. ხოლო ეს ყბა ნარჩენი იყო სახელგანთქმული ექსპე-
დიციის ერთ-ერთი მეგზურისა; თერთმეტი მოგზაური და მეზარგუ-
ლე ქარბუქში დაღუპულიყო... მიწურული დღის ბინდბუნდსა და
ფანჯრების მინებზე მყინვარის თოვლის მოციალე მქრქალ ანაბზინ-
ში, საიქიოს ამ ნაშთების გამოფენა, რასაც თან მოსდევდა ერთფე-
როვანი ამბები, რაღაც სამძიმო შთაბეჭდილებასა ტოვებდა, მით
უფრო, რომ პათეტიკურ ადგილებში მოხუცი ხმას შეტად გულის
ამაჩუყებლად აქლერებდა და თვალში ცრემლიც კი დაიდინა, როცა
ერთი ინგლისელი ქალის მწვანე დოლბანდის ნაგლეჯსა შლიდა. ეს
ქალი 1827 წელს ზეავს ქვეშ მოეყოლებინა.

ტყუილად ცდილობდა ტარტარენი თავი დაემშვიდებინა, ეს ყვე-
ლაფერი დიდი ხნის წინათ მომხდარაო, ტყუილად არწმუნებდა თავს,
იმხანად კომპანიას არ ჰქონდა მოწყობილ-მოგვარებული მთაზე უხი-
ფათო ასვლის საქმეო; ამ მოხუცი სავოიელის მოთქმა-გოდება გულს
უკუემშავდა და სულს მოსათქმელად ჰაერზე გავიდა.

ხშირბინდი ჩამოწოლილიყო და მოეცვა დაბლობები. უსულგუ-
ლო ბოსონები. სულ ახლოს გამონაკვეთულიყვნენ, ხოლო მონბლანს

მალა აეზიდა ჩასვენებული მშით ნალერსევი, ჯერ ისევ მოვარდისფრო მწვერვალი. სამხრეთელი თითქოს გაამხნევა ბუნების ამ ღიმილმა, რომ ამ დროს უკან ბომპარის ჩრდილი აეტუნა.

— აჰ, ეს თქვენა ხართ, გონზაგ!.. მე, როგორცა ხედავთ, ჰაერის ჩასაყლაპავად გამოველ... გამაბეზრა მოხუცმა თავისი ამბების მოყოლით...

— ტარტარენ!.. — უთხრა ბომპარმა და ხელი მუხრუჭავით მოუჭირა. — გვეყო, ასე მგონია, დროა მოვეშვათ მაგ სულელურ ექსპედიციას.

შეშფოთებულმა დიდმა კაცმა თვალები დააქყიტა, შეუბღერა:

— რას მივდ-მოვდებით?

მაშინ ბომპარმა დაუხატა სურათი საშინელი განსაცდელისა, რაც მათ წარამარა ელოდათ: ნაპრალები, ზევეები, ქარბუქი, გრიგალები...

— მასხარას არ უყურებთ! — გააწყვეტინა სიტყვა ტარტარენმა. — მაშ, კომპანია რილასია?.. განა მონბლანი ისევე არ არის მოწყობილ-მომარჯვებელი, როგორც სხვა მთები?

— მოწყობილიო? — წარმოთქვა გაშეთებულმა ბომპარმა: მას სულაც აღარ ახსოვდა თავისი ტარასკონანა.

მაშინ ტარტარენმა სიტყვა-სიტყვით გაუმეორა ის, რაც ბომპარმა თავის დროზე უამბო შვეიცარიულ კომპანიაზე, დაიჯარებულ მთებზე; თვალისასახვევ ნაპრალებზე. ამის გამგონე ყოფილ გამგებელს კლუბისაჟ სიცილი აუვარდა:

— როგორ! თქვენც მართლა დაიჯერეთ!... მე ხომ ვიხუმრე, მოვროშე... მეტი რალა იციან ტარასკონელებმა, თუ არ ერთმანეთში ეგვრეთი ლაპარაკი.

— მაშ, იუნგფრაუც მოუწყობელი ყოფილა?

— რალა თქმა უნდა!

— მერე თოკი რომ გამწყდარიყო?

— აჰ, ჩემო საბრალო მეგობარო!

ჩვენმა გმირმა თვალები დახუჭა, ნაკვიანვეი შიშისაგან გადადიო-ბრებულმა, და ერთ წამს თითქოს შეეყოყმანდა...

ეს პეიზაჟი, თავისი მრისხანე სტიქიონით, ცივი, ჩამობნელებული, უფსკრულებით გადათხრილი, ეს ურვა მოხუცი მეფუნდუესა, ყურებში რომ უზმუოდა... „ერთი თქვენც! უკაცრული პასუ-

ხია..!“ მაგრამ უცებ გაახსენდა თავისი თანამემამულენი, დროშა, რომელიც იქ, მალა, მწვერვალზე უნდა აეფრიალებინა, და იფიქრა, კარგ მებრძოლთან, ნაცად ამხანაგთან, როგორც ბომპარია... ..ესეც არ იყოს, ავიდა ხომ იუნგფრაუზე... რატომღა არ უნდა სცადოს მონბლანზე ასვლაც?

ტარტარენმა ფართო ხელი მხარზე ჩამოადო მეგობარს და მტკიცე ხმით მიმართა:

— ყური მიგდეთ, გონზაგ...

XIII

კ ა ტ ა ს ტ რ ი შ ა

ბნელ, უკუნეთ ღამეში, უმთვარო, უვარსკვლავო, უცისთალო ღამეში, თეთრად მოციმციმე თოვლით დაფარულ ვრცელ ფლატეზე ნელა მიიწელება გრძელი თოკი და ზედ პაწაწინა შიშნეული ჩრდილები ჩაუბამს ერთიმეორის უკან, ხოლო წინ, ასი მეტრის მოშორებით, წითელ ლაქასავით მილოღავს თოვლზე ფარანი. მარტოოდენ წერაყინის ზარიანი ცემა გამაგრებულ თოვლზე და დაქანებული ყინულის ხორაგები არღვევენ მდუმარებას ფირნისას, სადაც ინტემება ქარავნის ფეხის ხმა. ჟამით ჟამად ვილაც წამოიყვირებს ხოლმე, ჩახშობილი კენესა და ყინულზე დაცემული სხეულის ტყაპან გაისმის. ამას მოსდევს ომახიანი ხმა, თოკის ბოლოდან წამოსული:

— ფრთხილად, არ წაიქცეთ, გონზაგ!

საცოდამა ბომპარმა გადაწყვიტა თავის მეგობარ ტარტარენს მონბლანის მწვერვალამდე გაჰყოლოდა. ღამის ორი საათიდან — ახლა კი პრეზიდენტის ჯიბის საათზე უკვე ოთხია — უბედური შიკრიკი დაოთხილი მილოღავს, ნამდვილი კატორღელივით ჯაჭვზე მიბმულს მიათრევენ, ხელსა ჰკრავენ, ის კი ფეხს ვერ იმაგრებს, ბორძიკობს, თავს ძალას ატანს, რომ არ აღმოხდეს ყოველ ხიფათზე პირზე მომდგარი რამ შეძახილი. ყველა მხრიდან ზვაგი უდარაჯებს, ოღნავი შენძრევა, ოღნავ მეტი შერხევა დაწმენდილი ჰაერისა ჩამოამზღვლევს თოვლსა თუ ყინულს. უსიტყვო წამება — განა მეტი სატანჯველიდა გინდათ ტარასკონელისათვის!

მაგრამ აი, ქარავანი მოულოდნელად ჩერდება ტარტარენი მი-

ზეზს კითხულობს. ისმის ჩუმი შედაცება, გაცხოველებული ჩუჩო-
ჩული:

— თქვენს მეგობარს აღარა სურს გზის გაგრძელება, — აგებო-
ნებს შევდი.

მოდრაობის წესი დარღვეულია. აღაძიანთა ასხმულა გაიწ-გამოი-
წვეს, ერთი მეორეს აწყდება. აგერ ყველანი უზარმაზარი დარანის
პირას არიან, რასაც მთიელები „ნაპობს“ ეძახიან. აქამდე ნაპობებ-
ზე ზედ გადებული კიბით მუხლებზე ბობლვით გადიოდნენ. ამჯე-
რად ნაპობი მეტად განიერი აღმოჩნდა და თანაც მისი მოპირისპი-
რე კიდე ოთხმოცი თუ ასი ფუტით უფრო მაღალი აქეთაზე. სხვა
გზა არ არის: ქვემოთ მოვიწროებულ ორმოს ძირში წერაყინით ამო-
კვეთილი საფეხურებით უნდა ჩავიდნენ და ოსეთივე ხერხით ავიდ-
ნენ მაღლა. მაგრამ ბომპარი დაყინებით ამბობს უარს.

იგი დახრილა უფესკრულზე, რომელსაც სიბნელე უძიროს აჩენს,
და ჩაპყურებს, როგორ ციალებს ბნელ ბურტუსში საფეხურების
ამოკვეთი მეგზურის პატარა ფარანი. თვითონ ტარტარენიც არ
არის მთლად დამშვიდებული და გულს იმით იკეთებს, რომ მეგო-
ბარს შეაგონებს:

— აბა, ყოჩაღად, გონზაგ!

მერე სულ დაბალი ხმით ასინდისებს, მოაგონებს ტარასკონს,
ალამს, ალპინელების კლუბს.

— მოაშორეთ ერთი ეგ თქვენი კლუბი!.. მე იმასთან აღარაფე-
რი მესაქმება!.. — ცინიკურად უპასუხებს იგი.

მაშინ ტარტარენი კისრულობს, თვითონ გადაადგმევინოს ფეხე-
ბი — ამაზე ადვილი არაფერიაო.

— ეგებ თქვენ გეადვილებათ, მე კი სულაც არა!..

— აკი ამბობდით, მივეჩვიეო...

— მივეჩვიე, მაშ არა... მაგრამ რას? ბევრ რასმე მივეჩვიე... თაჩ-
ბაქოს წვევას, ძილს...

— და მომეტებულად, ტყუილს, — სიტყვას აწყვეტინებს პრე-
ზიდენტი.

— არა, გაზვიადებას, მეტი არაფერი! — უპასუხებს ბომპარი და
წარბსაც არ შეიხრის.

მაინც, ბევრი ყოყმანის შემდეგ, რაკი შიში კლავს, მუქარა არ
შეასრულონ და აქ მარტო არ მიმატოვონო, კადრულობს ბოლოს

დინჯად, ნელ-ნელა ჩავიდეს ამ საშინელს, წისქვილებში რომ აქვთ ზოლმე, ისეთ კიბეზე... კიდევ უფრო ძნელია მოპირისპირე კედელზე ასვლა. სალია ეს კედელი, მარმარილოსავით მოლიპული და ხელმწიფე რენეს ტარასკონულ კოშკზე მაღალი. პირველი მეგზურის პატარა ფარნის მოციმციმე შუქი ციციანთელასავით მოძრაობს. მაგრამ მეტი რა გზაა, უნდა გაბედოს; ფეხქვეშ თოვლი მყარი როდია, დაბლა იწევს; ყინულის კედლის ძირში, განიერს ხმორდლოში თოვლის დნობისა და მორაკრაკე წყლის ჩქამი გაისმის. ამ ხმორდლოდან, რომლის არსებობასაც უფრო გრძნობს, ვიდრე თვალითა ხედავს კაცი, მიწისქვეშეთის ცივი სუნთქვა მობერავს.

— ფრთხილად, ფეხი არ დაგიცდეთ, გონზაგა!..

ეს სიტყვები, რომელთაც ტარტარენი აღერსითა და ამავე დროს თითქმის მუდარით წარმოთქვამს, მეტად მნიშვნელოვანს აზრს იძენენ, თუ მთაშვლელთა ურთიერთგადაჯაჭვულ მდგომარეობას წარმოვიდგენთ. ერთიმეორეზე აჩხორილნი, ისინი ხელ-ფეხით ებლაუჭებიან სულ უმცირეს გაშონაშვერს და მაღლა მიიწევენ. მათ მარტო თოკი კი არ აკავშირებთ, მსგავსი თანაბარი მოძრაობაც, ასე რომ, თუ ერთი დაეცემა, ან უბრალოდ უხერხულად გაინძრევა, ყველანი საფრთხეში ჩაყვებიან. მერე რა საფრთხეში, დასწყევლის ეშმაკი! საკმარისია ყური დაუგდოთ, როგორა სხლტებიან, ქვევით როგორ მიეჩანებიან ყინულის ნამტვრევები, რა გამოძახილს ბადებენ დავარდნისას მთელ იმ უცნობელ დარაბებში, რომ წარმოიდგინოთ, რა ურჩხულის ხახა გიდარაჯებთ და შთანთქმას გიპირებთ, თუ ოდნავ შეგეშალათ ნაბიჯი.

მაგრამ ნეტავ იქ რა ამბავია? აწოწილი შვედი, რომელიც სწორედ ტარტარენის წინ აღიოდა ზევით, შეჩერებულა. მისი ფეხსაცმლის რკინით დაჭედილი ქუსლები პ. ა. ბ.—ის ქუსდს ეხება. ტყუილად უყვირიან მეგზურები: „წინ წადიო!..“, პრეზიდენტიც არ ასვენებს: „ვასწით, ყმაწვილოო!..“ — ის კი ადგილიდან არ იძვრის. მთელის სხეულით ამოტილი, ხელი რომ არაფერზე უკიდია, იხრება, გარიჟრაჟის სხივები მის თხელ წვერს დასთამაშებს და უცნაურად გამომეტყველ ფართოდ გაღებულ თვალებს უნათებს.

— რა უფსკრულია, ჰა! აქედან რომ გადაეშვებოდეს კაცი, — ეუბნება იგი ტარტარენს და ქვემოთკენ იშვერს ხელს.

— დაიკარგეთ! კარგად წარმომიდგენია... როგორ გადავიტან-
ლით თან... აღით ერთი, ზევით!..

შვედი ფეხს არ იცვლის და განაგრძობს:

— რა კარგი შემთხვევაა, ბოლო მოულო სიცოცხლეს და დედა-
მიწის წიალიდან არყოფნაში გადაინაცვლო, ასე ნაპრალიდან ნაპრა-
ლამდე ჩაქანდე, როგორც აი ეს ყინულის ნატეხი, რომელსაც მე
ფეხსა ვკრავ და ვისვრი. .

შვედი საოცრად დაბლა იხრება, რომ ყური უგდოს, როგორა
ხტის ეს ყინულის ნატეხი და რა დაუსრულებელი ხმაური გააქვს
სიბნელეში.

— რასა სჩადით, უბედურო? — შეჰყვირებს შიშით გადაფით-
რებული ტარტარენი და გამწარებული ჩაეჭიდება სველ კედელს;
მგზნებარებით განაგრძობს თავის გუშინდელს სიტყვას, სიცოცხლის
სადიდებელს: — ბევრი რამ კარგი არის ამ სიცოცხლეში, დასწყევ-
ლის ღმერთი! თქვენი ხნის კაცს და ასეთ ლამაზ ახალგაზრდას...
ნუთუ მართლა არა გჯერათ სიყვარულისა, ჰე?

არა, შვედ ახალგაზრდას არა სჯერა სიყვარულისა: იდეალური
სიყვარული — პოეტების მონაგონია; სხვაგვარი სიყვარული კი —
მოთხოვნილებაა, რომელიც არასდროს უგრძნია...

— ოლონდაც! ოლონდაც!.. ეგ მართალია: პოეტები ყველანი ცო-
ტათი ტარასკონელები არიან; რომ არ მოუმატონ, არ იქნება... მაგ-
რამ მინც დი ა ცი, როგორც ჩვენში დედაკაცებს ეძახიან, კარგი
რამ არის. მერე გაჩნდებიან მალხაზი პაწაწუნები, თქვენ რომ გემ-
გვანებიან.

— აჰ! დიახ, ბავშვები, წყარონი მწუხარებისა! დედაჩემს, რაც
მე დავიბადე, ცრემლი არ შეშრობია თვალზე...

— ყური მიგდეთ, ოტო, თქვენ ხომ მიცნობთ, კეთილო მეგობა-
რო...

ტარტარენი თავისი მგრძობიარე, სიმხნით აღსავსე სულის მთე-
ლი სიმხურვალით ცდილობს, თავს არ იზოგავს, რათა სი-
ცოცხლე შთაბეროს, გამოათხიზლოს ეს მსხვერპლი შოპენჰაუე-
რისა და პარტმანისა, ამ ორი ტაკიძასხარასი, რომელთაც გულითა
სწადდა, სადმე ბნელ კუთხეში შეჰყროდა და საკადრისად გასწორე-
ბოდა იმ ვნებისათვის, რაც მათ ახალგაზრდობას მოუტანეს, — და-
სწყველით ეშმაკი!

წარმოიდგინეთ ეს ფილოსოფიური კამათი ალიონის მკრთალი სხივით ოდნავ განათებულ, ცივსა და სველ, მოლურჯო-მომწვანო ფერის ყინულის უზარმაზარ კედელზე; წარმოიდგინეთ ამ კედელზე გაკრული, თითქოს შამფურზე დაცმული ადამიანები, რომლებიც საფეხურ-საფეხურ მიიწევენ მაღლა; ამას დაუმატეთ ხახადაღებულ, თეთროვან უფესკრულებში ავად მობუყბუყე წყალი და მეგზურები! ლანძღვა-მუქარა, თოკს გამოეხსნით და მიგატოვებთო. ბოლოს, რაკი ტარტარენი ხედავს, არავითარი შეგონება არა კრის ამ უგუნურთან და ვერაფერი უნელებს თავის მოკვლის წადილს, ურჩევს გადმოვარდეს მონბლანის ყველაზე მაღალი წვეროდან.

— ღირს, მართლაც, იმ სიმაღლიდან... ხელიც მოგემართოთ, ემგვანება რასმე. ლამაზი სიკვდილია შუაგულ სტიქიონში... მაგრამ აქ, ამ სარდაფში... რა კვუის სიღარიბეა!..

ტარტარენი ამას ისე მეტყველად წარმოთქვამს, ისე მოქრით და მასთან ისე შთამაგონებლად, რომ შვედი დაემორჩილება, და აი ისინი ერთიმეორის მიყოლებით ძვრებიან საზარელი „ნაპობის“ თავზე.

მგზავრები იხსნიან თოკს და შესასვენებლად ჩერდებიან, რომ ყელი ჩაისველონ და წაიხემსონ. ინათა. ცივი, უსხივო მზე ადგას წვეროებისა და შუბების სამყოფელს. აქედან მონბლანი ჯერ ისევ ათას ხუთასი მეტრის სიმაღლეზეა აზიდული. ცოტა განზე მეგზურები ხელებსა შლიან, თავს აქნევენ და თავისთვის რალაცაზე ბჰობენ. ქათქათა თოვლზე წამოწოლილი, ზორზოხა და ზურგმომრგვალებული მეგზურები თავიანთი ყავისფერი კურტაკებით ზაზუნებსა ჰგვანან, ზამთრის ძილისათვის გამზადებულთ. ბომპარი და ტარტარენი შვედს ტოვებენ, პურის ჭამა ჯერ რომ არ დაუთავებია, და გათოშულები, შეწუხებულნი მიდიან მეგზურებთან სწორედ იმ დროს, როცა უფროსი მეგზური, მოღრუბლული, დანარჩენებს ეუბნება:

— ჩიბუხსა სწევს, ამას ლაპარაკიც არ უნდა!

— ვინა სწევს ჩიბუხს? — კითხულობს ტარტარენი.

— მონბლანი, ბატონო, აბა, შეხედეთ!

მეგზური ზედ მაღალი მწვერვალის თავზე ანიშნებს, სადაც ჯილასავით მოჩანს თეთრი კვამლი და ქარი მას იტალიის მხარეს იტაცებს.

— მონბლანი რომ ჩიბუხსა სწევს, რას ნიშნავს ეს, კეთილო მეგობარო?

— ეს იმასა ნიშნავს, რომ მწვერვალზე მძვინვარე ქარია და მალე აქ, ჩვენამდეც მოაწევს. ეხუმრებით მაგას!

— დაებრუნდეთ, — ამბობს ბომპარი და მწვანე ფერი დაედება.

— დიახ, დიახ, რა სკვრელია! სულელური თავმოყვარეობა იქით იყოს! — სიტყვას ჩამოართმევს ტარტარენი.

მაგრამ ახლა შვედი ჩაერევა ლაპარაკში. ფული მიუტია, მონბლანზე ამიყვანეთო, და ვერა ძალა ვეღარ დააშლევინებს. მარტო წავალ, თუ არავინ წამომყვავო.

— ლაჩრებო! ლაჩრებო! — ეუბნება იგი მეგზურებს იმავ საიქიოს ხმით, როგორითაც წელან თავს სასიკვდილოდ აქეზებდა.

— გაჩვენებთ, როგორი ლაჩრებიცა ვართ... აბა, შემოვიკრათ თოკი და გავსწიოთ! — გაჰყვირის უფროსი მეგზური.

ახლა ბომპარი ამბობს გადაქრილ უარს. მორჩა! ეყო, რაც გადახდა. მტკიცედ ითხოვს, უკან წამიყვანეთო. ტარტარენი თავგამეტებით უკერს მხარს.

— განა ვერა ხედავთ, რომ ეს ახალგაზრდა ჰკუთხე არ არის!.. — ყვირის იგი და შვედზე უჩვენებს, რომელმაც გასწია კიდევაც დიდრონი ნაბიჯებით ყოველი მხრიდან ავარდნილი ფიფქების კორიანტელში. მაგრამ რაკი მეგზურებს სილაჩრე დასწამეს, იმათ რაღა შეაჩერებთ? გმირობით აღვსილმა ზაზუნებმა ერთბაშად გამოიღვიძეს, ტარტარენმა ვერც ერთი მეგზური ვერ დაიყოლია, გრან-მიულეში ბომპართან ერთად დამაბრუნეთო. თუმცა, რა შორი გზა ეგ იყო: სამი საათი დასკირდებოდათ, ოცი წუთიც იმაზე წავიდოდა, რომ დიდ ნაპობს მოუვლიდნენ, თუკი მარტოდ მისი გავლა შეეშინდებოდათ.

— და იღუპოს! შეგვეშინდება მა რა! — გულახდილად ამბობს ბომპარი და სულაც არა რცხვენია! ჩვენი მთამსვლელები ორად იყოფიან და ერთმანეთსა შორდებიან.

ტარასკონელები ახლა მარტონი დარჩნენ. ერთი თოკით გადაბმულნი ფრთხილად მიიკვლევენ გზას თოვლის უდაბნოში; ტარტარენი წინ მიდის და დინჯად სინჯავს წერაყინით გზას. ნაკისრი მოვალეობის შეგნება ძალასა მატებს.

— ყოჩაღად! ნუ შეშინდებით!.. გავალწევთ! — უყვირის იგი წარამარა ბომპარს. ასე იფრთხობს ბრძოლაში შიშს შეთაური, როცა

ხმალს აქნევს და ჭარისკაცებს ეძახის: „აბა, წინ! რა ღმერთი გიწყობათ! ყველა ტყვია კი არა კლავს!“

ბოლოს, როგორც იყო, უკან მოიტოვეს ეს საზარელი ნაპრალო. ამას იქით, ვიდრე განზრახულ ადგილამდე მივლენ, დიდად დამაბრკოლებელი რამ აღარ შეხვდებათ. მაგრამ ქარი უბერავს, თვალეში თოვლს აყრის და აბრმავეებს მიმავლებს. სიარული შეუძლებელი ხდება, შეიძლება გზა აებნეთ.

— გავჩერდეთ ცოტა ხანს! — ამბობს ტარტარენი.

უზარმაზარი ყინულის ხორგი შეიფარებთ თავის ძირში წარმოქმნილ ფოსოში. მგზავრები შიგ ძვრებიან, შლიან პრეზიდენტის დარეზინიანებულ საბანს და ხსნიან რომიან მათარას — სურსათიდან ესლა დაუტოვეს მგზავრებმა, სხვა ყველაფერი თან წაიღეს. საამო სითბო უვლით სხეულში, მაშინ როდესაც მალლიდან წერაყინის სულ უფრო და უფრო სუსტი ცემა აუწყებთ, რომ ექსპედიცია წარმატებით მიიწევს წინ. პ. ა. კ.-ის გულში წერაყინის ხმა სინანულს აღძრავს, მონბლანის მწვერვალამდე რად ვერ ავალწიეო.

— მერე ვინ გაიგებს! — ცინიკურად მიუგებს სიტყვას ბომპარი. — მებარგულებმა თან წაიღეს დროშა, და შამონიში იფიქრებენ, ვითომ თქვენ აღმართეთ იგი.

— თქვენ მართალი ხართ, ტარასკონის სახელი და ღირსება დაცულია, — დაასკვნის ტარტარენი და ბომპარის სიტყვა ჭკუაში მოსდის.

სტიქიონი მძინევარებს, ქარი ბორგავს, თოვს, ბარდნის. მეგობრები დუმან, შავბნელი ფიქრებით მოცულნი; ახსენდებათ მოხუცი მეფუნდუკის სასაფლაოს ვიტრინა, მისი მოყოლილი მწუხარე ამბები, ლეგენდა ამერიკელი ტურისტისა, რომელიც სიცივისა და შიმშილისაგან გაქვავებული ენახათ, ხელში დაკუმშული უბის წიგნაკით. ამ წიგნაკში იწერდა იგი თავის ტანჯვა-ვაგლახს, ვიდრე უკანასკნელად არ დაიკრუნხხა და ფანქარი გვერდზე არ წაუვიდა, ასე რომ ხელის მოწერა დაუთავებელი დარჩა.

— უბის წიგნაკი გაქვთ, გონზაგ?

ბომპარს განმარტება არა სჭირდება, ისედაც იცის, რად ეკითხება ამას ტარტარენი.

— უბის წიგნაკიო, ეგლა მაკლია!.. ხომ არა ფიქრობთ, აქ დავე-

ლოდები სიკვდილს იმ ამერიკელივით?.. ჩქარა, გავსწიოთ აქედან! წავიდეთ ახლავე!

— წარმოუდგენელია... ნაბიჯს გადავდგამთ და ქარი ჩალის ღეროსავით აგვიტაცებს, უფსკრულში გადაგვისვრის.

— მაშ, საშველად უნდა ვიხმოთ ვინმე — ფუნდუკი შორს არ არის აქედან.

და ბომპარი მუხლებზე დგება, თავს გარეთა ყოფს და, როგორც საძოვარზე იცის ბლავილი პირუტყვემა, იათი ხმით ღრიალებს.

— მიშველეთ! მიშველეთ! აქეთ!..

— არიქა! — აგუფუნებს მძლავრად თავის ბანს ტარტარენი და მეხის გრიალივით გაისმის ეს ხმა მღვიმეში.

ბომპარი ხელსა სტაცებს:

— რასა სჩადით? ხორგი!..

მართლაც, შეინძრა მთელი ეს ყინულის მთა. ასე გეგონება, ერთი რომ შეუბერო, ეს ჩამომზღვლეული ყინულების ხროვა თავზე დაგეძხობაო. ჩვენი მგზავრები სულსა ნაბავენ, ადგილზე შეშდებიან, შემზარავი სიჩუმით გარემოცულები. მაგრამ მალე ამ მღუმარებას შორეული გრგვინვა არღვევს. ეს გრგვინვა თანდათან ახლოვდება, იზრდება, არემარეს ავსებს და, ბოლოს, უფსკრულიდან უფსკრულში ჩაქანებული, მიწისქვეშეთში იკარგება.

— უბედური ხალხი!.. — ბუტბუტებს ტარტარენი და აგონდება შვედი თავის მეგზურებით, რომლებიც უთუოდ ზევამა ჩაიტანაო; ბომპარი კი თავს აქნევს:

— არც ჩვენა ვართ იმათზე უკეთეს დღეში.

მართლაც, საშინელ მდგომარეობაში არიან: ვერც განძრევა გაუბედავთ თავიანთ ყინულის მღვიმეში, ვერც ფეხი გაუდგამთ გაფლიერებულ ქარიშხალში.

თანაც ამ დროს, თითქოს განგებო, რომ გული უფრო დაეწუროთ, შუაგული ველიდან ძაღლის ყმული მოისმის, სიკვდილის მომასწავებელი. უცებ ტარტარენი ცრემლით აღსავსე თვალებით, ტუჩებაკანკალებული, ხელებში იჭერს თავისი თანამგზავრის ხელებს, მშვიდად უცქერის და ეუბნება:

— მპატიეთ, გონზაგ, გეხვეწებით, მპატიეთ! მე თქვენ მკვანხი სიტყვა გითხარით, ცრუპენტელა დაგიძახეთ!..

— აჰ! ერთი თქვენც! რა არის მერე!

— ყველაზე ნაკლებ მე მქონდა ზაგის უფლება, იმდენი ტყუილი მითქვამს, და ამ საშინელ ჟამს მოთხოვნილებასა ვგრძნობ, გული გადაგიშალთ, შვება მივსცე თავს და საქვეყნოდ გავამქლავნო ჩემი სიცრუის ამბები.

— თქვენი სიცრუის ამბები?

— ყური მიგდეთ, მეგობარო... — უწინარეს ყოვლისა, მე ჩემს დღეში არ მომიკლავს ლომი.

— მაგით ვერ გამაკვირვებთ... — მიუგებს მშვიდად ბომპარი. — მოგცლიათ ერთი, მაგისთანა ცოტა რამისათვის წუხილი? ეპ ჩვენი მზე სჩადის მაგას, მატყუარობა თან დაგვეყვება... აი, თუნდაც მე... განა მითქვამს ოდესმე მართალი მთელს ჩემს სიცოცხლეში? დავალებ პირს თუ არა — ჩემი სამხრეთი შემიჯდება თავში და ისა ლაპარაკობს ჩემს მაგივრად. თვალითაც არ მინახავს ის ადამიანები და სულაც არა ვყოფილვარ იმ ქვეყნებში, რომელთა ამბავსაც ეყვები ხოლმე. ყოველივე ამიდან ისეთი დახლართული ტყუილი გამოდის, რომ, ბოლოს და ბოლოს, მევე გავებმები ხოლმე შიგ.

— მაგას სულ წარმოსახვის ძალა შვრება, ის ჩვენი ცოდვით სავსე! — ხენეშის ტარტარენი. — ტყუილებს ის გვათხვევინებს.

— მაგრამ ჩვენს მოგონილ ამბებს ჯერ ენება არაგისთვის მოუტანია, მაშინ როდესაც ბოროტი მოშურნე, როგორც კოსტეკალია...

— ნუ მომაგონებთ მაგ არამზადას, — სიტყვას აწყვეტინებს ბრაზმორეული პ. ა. ბ. — დასწყევლის ღმერთი! დასანანია, მაშ რა არი!..

მაგრამ ამ დროს შეშინებული ბომპარი ხელს იქნევს და ტარტარენი უეცრად ხმას უდაბლებს:

— აჰ! მართლა, ხორგი!..

საბრალო კაცი იძულებულია რისხვა ჩურჩულით გამოხატოს, და ასე ოდნავ გასაგონი ხმით განაგრძობს თავისი მოსისხლის შეჩვენებას, თან ამ დროს პირს უშველებელზე ალებს და სასაცილოდ ამოძრავებს.

— დასანანია როგორღაც, ჯერ ისევე ახალგაზრდული ძალ-ღონით სავსე რომ მოკვდე ვილაც უკეთურის, წუბაკის გულისათვის, რომელიც ამ დროს არხეინად მიერთმევს ყავას ქალაქის სასეირნო წრეზე.

მგვრამ სანამ ის ასე ცხარობს და ერთ ყოფაშია, ცრიატი დღის ჰაერს ნათელი შეჰპარვია. აღარც თოვლის კორიანტელია, ქარიც ჩამდგარა, რუხი ცა აქა-იქ ლაყვარდს გაუზღვევია. ჩქარა, უნდა გზას გაუდგნენ! და ორივენი, თოკით გადაბმულნი, გასწევენ წინ. ტარტარენი ისევ პირველი მიაბიჯებდა, მერე უკან მოიხედავს და თითს ტუჩებზე მიიღებს:

— იცოდეთ, გონზაგ, რაცა ვთქვით, ჩვენს შორის უნდა დარჩეს.

— რა სალაპარაკოა!..

ისინი მხნედ მიკაფავენ გზას და მუხლებამდე იფლობიან ფაფუკ თოვლში, რომელსაც წმინდა ბამბასავით დაუფარავს ქარავნის ნაკვალევი. ტარტარენი ხუთ წუთში ერთხელ კომპასს უყურებს. მგვრამ ცხელ ჰავას მიჩვეული ეს ტარსკონული კომპასი, რაც შევიცარიში მოხვდა, ყინვამ გააფუჭა. ისარი „ოთხ კუთხესა“ თამაშობს, ხტის და ტორტმანებს. მგზავრები უგზო-უკვლოდ მიდიან და იმ მოლოდინში არიან, რომ საცაა მათ წინ აიმართება გრან-მიულეს შავი კლდეები, ირგვლივ გარშემორტყმული წვეტების, წვეროებისა და ბორცვაკების ერთფეროვანსა და მდუმარე სითეთრეში. თვალსა სჭრით, თანაც აშინებთ ეს სითეთრე: იგი შეიძლება ფარავდეს მათ ფერხთა ქვეშ საშიშ დარანებს.

— სიმშვიდე, გონზაგ, სიმშვიდე იქონიეთ!

— სწორედ ეგ არის, რომ მაკლია! — უპასუხებს შეურვებულო ბომპარი: — ვაიმე, ფეხი! ვაიმე, ტერფი!.. დავიღუბეთ!.. აქედან ვეღარ გავალწევთ...

ორი საათის სიარულის შემდეგ, უეცრად, თოვლით დაფარული მეტად ციცაბო ფერდობის შუაგულზე ბომპარი შეშინებული წამოიძახებს:

— ტ ა რ ტ ა რ ე ი ნ, ჩვენ ხომ ზევით ავდივართ!

— დასწყევლის ეშმაკი, განა მე ვერა ვხედავ, რომ ზევით ავდივართ, — მიახლოს ტარტარენი და სიღინჯე საცაა უღალატებს.

— მე ასე მგონია, თავდაღმართი უნდა ყოფილიყო.

— დ ი ე ხ! მგვრამ, რა ვქნათ ახლა? ავიდეთ სულ ზევით, ეგებ მეორე მხარეს დაიწყოს თავდაღმართი.

მართლაც, დაიწყო საშინელი თავდაღმართი, ჯერ მოსიბუღლ თოვლზე, მერე თითქმის ფრიალო მყინვარზე, ხოლო იქით, სულ ბოლოს, სადაც მუხანათი თეთრი ელვარება თავდებოდა, ქოხი მოჩან-

და, კლდეზე დაყუნტული, მოჩანდა ისეთ ღრმა ხნარცეში, რომელიც აქედან მიუვალი და უძირო გეჩვენებდათ.

დაღამებამდე უნდა მიეღწიათ ამ თავშესაფრამდე, რაკი გრან-მიულეს გზა დაპკარგვოდით, მაგრამ რა ძალ-ღონის და, ვინ იცის, რამდენი საფრთხე-საშიშროების ფასად უნდა დასჯდომოდით იქამდე მისვლა.

—თავიდათავია, მაგრად ჩამეკიდოთ, გონზაგ, ჰე!

— თქვენ კიდეც მე, ტარტარენ.

ამ რჩევა-დარიგებას ისე აძლევენ ერთმანეთს, რომ უკვე ვერა ხედავენ ერთიმეორეს. მათ თხემი ჰყოფთ. ერთი კვლავ ზევით მიებლოტება, ხოლო მერე შიშნეულად ეშვება ძირს. სულაც აღარ ლაპარაკობენ, მთელი ძალ-ღონე დაუჭიმავთ, შიშობენ ფეხი არ დაუსხლტეთ. უცებ, თხემიდან ერთ ნაბიჯზე, ბომპარს მეგობრის შემზარავი ყვირილი მოესმის; ამავე დროს იგრძნობს, თოკი საშინლად შეინძრა და დაიჭაჩა... ბომპარი ფეხს აბჯენს, ცდილობს რამეს დაებლაუქოს და თანამგზავრი უფესკრულზე შეაკავოს. მაგრამ, ეტყობა, თოკი ძველი ყოფილა, ძლიერად დაიჭიმა თუ არა, გაწყდა.

— დალახვროს!..

— ჯანდაბა!..

ეს ორი საზარელი შეძახილი ერთად გაისმის და ირგვლივ გამეფებულ მღუმარებასა და უკაცრიელებას გაარღვევს; მერე კი შემზარავი სიჩუმე ჩამოვარდება და აღარაფერი შეარხვევს მას ამ სპეტაკი თოვლის საბრძანებელში.

საღამო უამს ვიღაც კაცი, როგორღაც ბომპარს რომ მოგაგონებდათ, ტალახში ამოსვრილი, გაზუნზლული და თმაბუტრძენილი, მოჩვენებასავით მიადგა გრან-მიულეს ფუნდუკს, სადაც ის დაზილეს, გაათბეს და ლოგინში დააწვინეს. ყველა შეკითხვაზე, სლუკუნ-სლუკუნით და ზეცისკენ ხელაპყრობილი, მხოლოდ ამის თქმას ახერხებდა:

— ტარტარენი... დაიღუპა... თოკი გაწყდა...

ბოლოს ერთი რამ გაიგეს: უბედურება მომხდარიყო.

სანამ მოხუცი მეფუნდუკე მკმუნვარებდა და მონღლანზე მომხდარ უბედურ შემთხვევებს კიდეც ერთ თავს უმატებდა და იმ მოლოდინში იყო, რომ ახალ ნიმუშს შესძენდა თავის „ძვალთსაკრძალავს“, შვედი და მისი მეგზურები უკვე დაბრუნდნენ კიდეც ექსპე-

დიციოდან და ბედშავი ტარტარუნის საძებნელად გაემართნენ; თან წაიღს თოკები, კიბეები, მთელი მამველი საჭურველი. მაგრამ ვაი, რომ მათი მეტადინეობა უნაყოფო გამოდგას!

ბომპარი თითქოს გაშეშდაო, — გარკვევით ვერადფერი თქვა ვერც თვით დრამისა, ვერც შემთხვევის ადგილისა. ეს იყო მხოლოდ დომ-დიუ-გუტეში იპოვეს თოკის ნაგლეჯი, ღრმულში გაჩრილი. მაგრამ საკვირველი რამ არის! ამ თოკს ორივე ბოლო გადაპრტილი ჰქონდა რაღაც ბასრი იარაღით. შამბერის! გაზეთებში ამ თოკის სურათი მოათავსეს. ბოლოს, ერთი კვირის ზიარულისა და გულმოდგინე ძებნის შემდეგ, როცა ყველანი დარწმუნდნენ, საბრალო პ რ ე ზ ი დ ე ნ ი დაიკარგა, სამუდამოდ დაიღუპაო, გულდათუთქული დეპუტატები ტარასკონს გაემგზავრნენ, თან წაიყვანეს ბომპარი, რომლის შერყეულ გონებაშიც ვერ ამოშლილიყო კვალი გამოვლილი საშინელებისა.

— ნუღარ მომაგონებთ, — ამბობდა იგი, როდესაც ლაპარაკი იმ უბედურ ამბავზე ჩამოვარდებოდა.

ექვი არ არის, მონბლანს ერთი ახალი მსხვერპლიც მიმატებოდა; მერე როგორი მსხვერპლი!

XIV

გ ე ლ ო თ ა მ ა

არასად მთელს ქვეყანაზე არცა ყოფილა და არც არის ქალაქი, რომელზედაც ნახული და გაგონილი უფრო მეტს შთაბეჭდილებას ახდენდეს, ვიდრე ტარასკონზე. ზოგჯერ, სადღესასწაულო დღეს, როცა ყველანი უკლებლივ გარეთ გამოფენილან, როცა გრიალებენ ტამბურინები, როცა ქალაქის სასეირნო წრე ხალხითა და ხმაურით არის სავსე, მთლად აჭრელებულია მწვანე თუ წითელი დაბლა-კაბე-ბითა და არლური თავშლებით, ხოლო დიდრონი ფერად-ფერადი აფიშები იუწყებიან კიდაობას დიდებისას და მოზრდილებისას. იუწყებიან კამარგულ ხართა ბრძოლას, საკმარისია, რომელიმე ლაზ-დანდარამ დაიძახოს „არიქა, ცოფიანი ძაღლი!..“ ან „ხარიო!..“, რომ

¹ შ ა მ ბ ე რ ი — დეპარტამენტ სავოიის მთავარი ქალაქი.

ყველანი გარბიან, ერთმანეთს ეჯახებიან, დამფრთხალნი აქეთ-იქით ეხლებიან, ყველა კარს ურდულზე კეტავენ; გარეთ დარაბები ჯახუნობენ, როგორც ქარიშხლის დროს, და აი, ტარასკონი დაცარიელებულია, დადუმებული, ბაიბური არსად ისმის და კრიკინობელებიც კი, აბა მეტი რაღა გინდათ, შეყუყულან და განაბულან.

ასე გამოიყურებოდა ტარასკონი ერთ დილას, თუმცა ეს არც უქმე დღე იყო, არც კვირადღე: დუქნები გამოკეტილი იყო, სახლები ჩამკვდარი, ქუჩები და მოედნები სიჩუმისა და უკაცრიელობისაგან თითქოს გაზრდილ-გაფართოებულებიყვნენ. *Vasta silentio!*, ასე ამბობს ტაციტი, როცა აღწერს რომს გერმანიკუსის² დაკრძალვის დღეს. ისტორიკოსის ეს შედარება, ძაძით მოსილ თავის რომზე თქმული, მით უფრო შეეფერებოდა ტარასკონს, რომ დღეს ტარასკონის ეკლესიაში ტარტარენის სულის მოსახსენებელი ლოცვა მიდიოდა, მთელი მოსახლეობა დასტიროდა თავის გმირს, თავიზღვთაებას, ორკეცი კუნთების უძლეველ მფლობელს, რომელმაც მონბლანის მყინვარებში სამუდამო ბინა ჰპოვა.

და აი, როცა სამგლოვიარო ზარის მძიმე ხმა ედებოდა გამოცარიელებულ ქუჩებს, მადემუაზელ ტურნატუარი, ექიმის და, — ავადობის გამო რომ შინიდან არსად გადიოდა, — ახლაც როგორც ყოველთვის მოწყენილობისაგან გულგადაღებული თავის დიდ სავარძელში ფანჯრის წინ იჯდა, გარეთ იყურებოდა და ზარების რეკვას უგდებდა ყურს. ტურნატუარის სახლი ავინიონის შარაგზაზე, თითქმის ტარტარენის სახლის პირდაპირ დგას. ეს სახელგანთქმული საღვამომი, რომლის პატრონიც აღარასოდეს აღარ უნდა დაბრუნებულიყო, სამუდამოდ დაგულული ჭიშკარი ბალისა, სუყველაფერი, კარების წინ ჩამწყკრივებული თვით ფეხსაცმლის საწმენდი ყუთები პატარა სავიიელებისა, დარდით უვსებდა გულს გაუთხოვრად დარჩენილ ხიზმუზიან საბრალო ქალს. აგერ ოცდაათი წელიწადია ტრფობის ალი სწვაავდა ტარასკონელი გმირისა. ჰოი, გაუთხოვრად დაბერებული ქალწულის გულის საიდუმლოებაჲ! უზომო სიხარულსა გრძნობდა იგი, როცა თავის სახლიდან დაწესებულ საათებში გამო-

¹ უსასრულო მდუმარება (ლათ.).

² გერმანიკუსი (ძვ. წ. 15 წ. — ახ. წ. 19 წ.) — იმპერატორ ტიბერიუსის შვილობილი, გამოჩენილი რომელი მთავარსარდალი.

სულ გმირს დაინახავდა, გულში იკითხავდა ხოლმე: „ნეტა, სად მადისო?...“, და ყურადღებით დააკვირდებოდა, რა ეცვა: მთამსვლელის ტანსაცმელი, თუ თავისი მწვანე კურტაკი, რუხფერდაკრული. ახლავი ველარა ნახავს ვერასოდეს. იმ ერთადერთ ნუგეშსაც მოკლებულია, რომ წავიდეს და ილოცოს იმისათვის ტრასკონის სხვა ბანოვანებთან ერთად.

უეცრად თეთრ ცხენისთავა მადემუაზელ ტურნატუარს გრძელი სახე ოდნავ შეუწითლდა, წითელ ქუთუთოებში ჩამსხდარი თვალეზი ფართოდ დაედო და დანაოკებული ხელით პირჯვარი გამოსახა. დიახ, ეს ის იყო, ქვაფენილის მეორე მხარეს კედლის გასწვრივ ის მიდიოდა. პირველად მოჩვენება, ჰალუცინაცია ეგონა... მაგრამ ეს ხამდვილად ტარტარენი იყო, ხორცშესხმული ტარტარენი, ოღონდ ფერწასული, გასაცოდავებული, ჩამოგლეჯილ-ჩამოფლეთილი; კედელ-კედელ მიიპარებოდა გლახასავით თუ ქურდივით, მაგრამ გასაგები რომ გახდეს, როგორ გაჩნდა იგი მალულად ტრასკონში, ამისათვის ჩვენ მონბლანს უნდა დავუბრუნდეთ, და დავუბრუნდეთ სწორედ იმ წუთში, როდესაც ორი მეგობარი დომ-დიუგუტეს ორ მოპირდაპირე მხარეს იმყოფებოდა და ბომპარმა იგრძნო, რომ მათი დამაკავშირებელი თოკი უცებ დაიჭიმა, შეინძრა, თითქოს მასზე მიბმული სხეული დაეცაო. სინამდვილეში თოკი ორ ხორვს შუა გახირულიყო, და რაკი ტარტარენი სწორედ ისევე შექანდა, როგორც მისი თანამგზავრი, იმანაც ასე იფიქრა, — მეგობარი დაეცა და საცაა მეც თან გადამიტანსო. და მაშინ, იმ საშინელ წამს, — აბა. როგორა ვთქვა ეს, ღმერთო ჩემო! — ორივენი საზარელმა შიშმა აიტანა. დაივიწყეს დადებული ფიცი, ბალტეს ოტელში რომ მისცეს ერთმანეთს, ინსტინქტური მოძრაობით ერთდროულად გადაჭრეს თოკი: ბომპარმა — დანით, ტარტარენმა — წერაყინით. მერე კი ორივეს თავზარი დასცა საკუთარმა დანაშაულმა; ერთიცა და მეორეც დარწმუნებული იყო, მეგობარი გავწირეო, და გაქანდნენ ერთიმეორის საწინააღმდეგო მიმართულებით.

იმ დროს, როდესაც ბომპარის აჩრდილი გრამ-მიულეში გამოცხადდა, ტარტარენის ლანდმა ავესეილის ჯიხურს მიაღწია. როგორა და რა სასწაულით გადარჩა ტარტარენი, რამდენჯერ დაუსხლტა ფეხი და წაიქცა, მარტოოდენ მონბლანს შეეძლო გაეცა ამაზე პასუხი, რადგან საბრალო პ. ა. პ. ორ დღეს სრულიად გამტყრებული იყო

და სიტყვის წარმოთქმას ვერ ახერხებდა. გონს მოეგო თუ არა, კურ-
მაიერში გაისტუმრეს, რაღაც იტალიური შაშონის მსგავს ადგილას.
ოტელში, სადაც ის გაჩერდა, სანამ საბოლოოდ მომჯობინდებოდა,
სხვა სალაპარაკო არა იყო რა, გარდა მონბლანის საშინელი კატას-
ტროფისა, რაც ყველას სერვენში მომხდარ უბედურ შემთხვევას
ახსენებდა. კიდევ ერთი მთამსვლელი შთაინთქა უფსკრულში იმის
გამო; რომ თოკი გაუწყდაო.

ტარტარენი დარწმუნებული იყო, ეს ლაპარაკი ბომპარს შეეხე-
ბაო, და სინდისი ქენჯნიდა; ვერც იმასა ბედავდა, დასწეოდა დეპუტა-
ციას, ვერც კიდევ იმას, რომ სამშობლო მხარეში დაბრუნებულიყო.
წინასწარვე კითხულობდა ყველას ბაგესა და თვალეში მხოლოდ
ერთ კითხვას: „კაენ, სად არს ძმა შენი, აბელი?...“ მაგრამ ამასობა-
ში ფული შემოეხარჯა, საცვალ-ტანსაცმელი დაუცვდა, თანაც ენკე-
ნისთვის სიცივემ მოატანა და ოტელებიდან ხალხი გაიკრიფა, — მე-
ტი გზა არ იყო, შინ უნდა გამგზავრებულიყო. კაცმა რომა თქვას,
ვინ იყო მნახველი მისი ჩადენილი დანაშაულისა? რა უშლიდა ხელს,
შეეთხზა როგორიც უნდა ამბავი? გულს ასე როგორღაც უკვე იმშვი-
დებდა და გზაშიაც ცოტათი გაერთო; მაგრამ ტარასკონს რომ უახ-
ლოვდებოდა და ლაევარდ ცაზე ნაზად გამოინაკეთა ნაირფერად
მოლივლივე ალპინები, ტარტარენი კვლავ აიტანა სირცხვილმა, სი-
ნდისის ქენჯნამ, სასამართლოს შიშმა; და რომ საქვეყნოდ არ გამო-
ჩენილიყო ქალაქის სადგურზე, ტარასკონამდე ერთი ბაქნით ადრე
ჩამოხტა მატარებლიდან.

ო, რამდენჯერ გაუვლია მას, დიდებით მოსილა, თავისი ალპინე-
ლებისა და ქუდზე ჭონადირეთა თანხლებით ამ მშვენიერ, ხრაშუნა
სილით გადათეთრებულ ტარასკონის გზაზე, რომელსაც მარტო ტე-
ლეგრაფის ბოძებისა და მავთულების ჩრდილი ეცემა! ახლა ვილა
შეიცნობდა უშიშარს, სალუქად ჩაცმულ ტარტარენს ამ ჭუჭყიანს,
დაბრანძულ კაცში, მატანტალას გადაარაჭებულ თვალს რომ აქეთ-
იქით აცეცებდა, პოლიციელი ხომ არსადა ჩანსო? თუმცა შემოდგო-
მა იყო, მაგრამ მზე მაინც ძალიან აცხუნებდა, და მებოსტნესთან
ნაყიდი საზამთრო, რომელსაც ის ფორნის მოკლე ჩეროში შეექცა,
მეტად ეგემრიელა. ამ დროს კი გლეხი კაცი მის წინაშე გულს იოხე-
ბდა და გააფთრებითა თათხავდა ტარასკონელ დიასახლისებს, — ამ
ღილით ბაზარში არც ერთი არ მოვიდაო, „რაკი ვილაც ქალაქის მკვი-

დრის სულის მოსახსენებელი წირვა მიდისო. ეს კაცი თურმე სად-
ღაც მთებში გადაიჩეხა. არ გეყურებათ, ზარები რეცენ!.. აქაც ის-
მისო...“

ექვი არ არის, ბომპარის გარდაცვალების გამო რეკდენ სეუ-
დიანად სამგლოვიარო ზარები და თბილს ნიაექარს მოჰქონდა მათი
ხმა დაცარიელებულ სოფელში.

ეს რა ჰანგი ეგებებოდა სამშობლოში დაბრუნებულ დიდ ადა-
მიანს!

ოცა ტარტარენმა შეაღო და სწრაფედვე მიხურა ქიშკარი პატა-
რა ბალისა და თავის სამყოფელში აღმოჩნდა, როდესაც დაინახა და-
სუფთავებულ-დაწმენდილი ვიწრო ხეივანები — ორსავ მსრივ ბზით
შემორგული, როცა თვალი დაჰკრა აუზს, შადრევანს, თევზებს, ერთ-
ბაშად რომ გაცეცდნენ, როგორც კი მათი პატრონის ფეხებქვეშ სი-
ლამ ოდნავ გაიხრაშუნა, როცა დახედა გიგანტურ ბაობაბს, რეზედან
ქოთანში ლამაზად ჩარგულს, ნეტარებით აღესილი გული ერთ
წამს აუჩვილდა. ამდენი განსაცდელისა და ფათერაკის შემდეგ, კომ-
ბოსტოს შინაური კურდღლის ამ სადგომმა სული გაუთბო, თავი სა-
მშვიდობოს აგრძნობინა. მაგრამ ზარებმა, წყეულმა ზარებმა უფრო
ძალუმად იწყეს კელავ რეკა, და ეს მკმუნვარე გუგუნნი გულს ისევე
მძიმე ლოდად დააწვა. სამგლოვიარო ზარების ხმაში ასე ესმოდა,
თითქოს ვიღაც ეკითხებოდა: „კაენ, რა უყავი ძმა შენი, აბელი? ტარ-
ტარენ, რა დაეპართა ბომპარს?“ მაშინ ის მზეზე გახურებული აუ-
ზის კიდეზე უმწეოდ დაეშვა, დაბეჩავებული, მიწასთან გასწორებუ-
ლი, და პატარა წითელ თევზებს დიდი ჩოჩქოლი შეუყენა.

ზარების რეკა მიწყდა. ტარტარის სტოვა, ჯერ წელან ისევე ხალხის
ხმაურით სავსე, დაცარიელდა, დაყუჩდა. მხოლოდღა მარცხენა მხა-
რეს ჩამომჯდარი მთხოვარა დედაკაცის ღუღუნის ისმოდა და წმა-
დანთა ქვის ქანდაკებათა გარინდება სუფევდა ირველივ. საეკლესიო
წესი შესრულებულა, მთელი ტარასკონი აღპინელთა კლუბისაკენ
დაძრულა. იქ საზეიმო ვითარებაში ბომპარმა უნდა მოუთხროს დამ-
სწრეთ კატასტროფაზე, დაწვრილებით უნდა აწეროს პ. ა. ბ.—ის
უკანასკნელი წუთები. სხდომათა დარბაზში, გარდა კლუბის წევრე-
ბისა, ადგილს იკავებენ პრივილეგიური წოდების წარმომადგენლე-
ბი — სამხედრონი, სასულიერო პირნი, დიდკაცობა, მსხვილი კომერ-
სანტები. ყურთამდე ღია ფანჯრებში ქვემოდან, პარმალიდან, აღწევს

და პატივცემული გვამების სიტყვებს ექსოვება ქალაქის ორკესტრის ხან ომახიანი, ხანაც მოზუზუნე ბგერები. დიდძალი ხალხის გროვა მოსწყდომია მუსიკოსებს; ფენის თითებზე შემდგარნი, კისერწაგრძელებულები ცდილობენ სულ ცოტა რასმე მაინც მოჰქრან ყურა სხდომაზე ნალაპარაკევს, მაგრამ ფანჯრები ძალიან მაღლაა, და ვერც ვერავინ რამეს გაიგებდა, დარბაზში რა ხდებოდა, ორი-სამი ლაციონტარა რომ არ აბობლებულიყო დიდი ქადრის ხის ტოტზე და იქიდან, თითქოს ალუბლის კურკებიაო, არ გადმოესროლათ ცნობები.

— უ ყ უ ე რ თ ი, კოსტეკალდი თავს ისე აჩვენებს, ვითომდა ტირის, ეგ გაიძვერა, ეგა. თავმჯდომარის სავარძელში კი მშვენივრად ჩაბრძანებულა... საცოდავი ბეზიუკე, როგორ იხოცავს ცხვირს! თვალები როგორ დასწითლებია! არა ხედავ, შავი არშია შემოუვლიათ დროშისათვის! აგერ ბომპარი მიდის სამ დეპუტატთან ერთად, რადაცასა დებს გრძელ მაგიდაზე... ლაპარაკობს... ეტყობა, ზორბა რამეს ამბობს! ცრემლად იღვრებიან ყველანი...

მართლაც, ბომპარის ფანტასტიკური ნაამბობი სულ უფრო და უფრო გულს უჩვილებდა ყველას. მეხსიერება დაჰბრუნებოდა ბომპარს და მასთან ერთად წარმოსახვის ნიჭიც... მონბლანის მწვევრვალზე მარტო ჩვენ ავედით, მე და ჩემი სახელოვანი მეგობარი, რაკი მეგზურებმა, უაზინდობის გამო, გაყოლაზე უარი გვითხრესო. ხუთი წუთი ვიდექით გაშლილი დროშით ხელში უმაღლეს წვეროზეო. შემდგომ ბომპარი ღრმა მღელვარებით მოჰყვა ამბავს იმისას, თუ რა სახიფათო იყო უკან დაბრუნება, რანაირად გადაიჩეხა ტარტარენი დარანში, და მერე მან, ბომპარმა, როგორ შემოიკრა ორასი ფუტის სიგრძე თოკი, დაეშვა ძირს და მთელი უფსკრულის გაყოლებაზე გულდაგულ ძებნა მეგაზარი.

— ოცჯერ და კიდევ მეტჯერ, ბატონებო, არა, რას ვამბობ? ორმოცდაათჯერ და ალბათ მეტჯერაც ავედ-ჩავედი ამ ყინულის უფსკრულში, და ვერ იქნა, ვერა ვნახე ჩვენი უბედური პ რ ე ზ ი დ ე ნ ი. თუმცა მე მაინც ვადასტურებ, რომ ჩავარდნით ნამდვილად იქ ჩავარდა, რადგან ყინულის ღრმულში ეს ნარჩენები აღმოვაჩინე...

ესა თქვა და გადასათარებელიან მაგიდაზე გადმოალაგა ყბის ძელის ნატეხი, რამდენიმე ღერი წვერის ბალანი, ყილეტის პატარა ნაფლეტი, აქიმის ყულფი, ერთი სიტყვით, სულ ისეთი რამეები, რაც გრანმიულეს ძვალთსაყრძალავში იყო დაცული.

ამ გამოფენის დანახვაზე შეკრებილთ ველარ დაოკებინათ შემო-
წოლილი ნაღველი. ყველაზე უფრო გულქვანიც, — კოსტეკალდიზ
მომხრენი, — და ყველაზე უფრო დარბაისელნიც, — ნოტარიუსი
კამბალაღეტი და ექიმი ტურნატუარი, — ისინიც კი, ნამდვილად
სურის საცობისოდენა ცრემლებს აფრქვევდნენ. სხდომაზე მოწვე-
ულმა მანდილოსნებმაც გულგამგმირავი კივილი მორთეს; ამ კივილს
ფარავდა ექსკურბანიისის ასლუქსლუქებული ბლუილი, პასკალონის
კიკინი და ორკესტრის სამგლოვიარო მარში, ნელი და სეველიანი ბა-
ნით შესრულებული.

როცა ბომპარმა ნახა, დამსწრეთა მღელვარებამ და ნერვების
დაჭიმულობამ უკიდურეს საზღვარს მიადწიათ, მოათავა თავისი აზ-
რის მოყოლა და ღრმა დანანებით გაიშვირა ხელი ქილებში დატული
ნაშთებისკენ, მის ნაამბობს რომ ადასტურებდნენ.

— აი, ბატონებო და ძვირფასო თანამოქალაქენო, ყოველივე ის,
რაც დამთა ჩვენი სახელოვანი და დიდად საყვარელი პრეზიდენტი-
საგან... დანარჩენს, ორმოცი წლის შემდეგ, მყინვარი დაგვიბრუ-
ნებს...

ის-ის იყო უნდა ეამბნა დამსწრეთათვის, რომელთაც ჯერ არაფე-
რი იცოდნენ ამასწინანდელი აღმოჩენისა, რაიცა მყინვარების თა-
ნაბარზომიერას მოძრაობას ეხებოდა, რომ ამ დროს დარბაზის სიღრ-
მეში პატარა კარების კრაჭუნმა სიტყვა გააწყვეტინა — ვილაც შემო-
დიოდა... და უეცრად სწორედ ორატორის წინ თვითონ ტარტარენი
წარმოდგა, მოჩვენებასავით ფერმკრთალი.

— ვე! ტარტარენ!..

— ჰე! გონზაგ!..

ასეთი უცნაური თვისება სჭირს ამ მოდემას, ისე ნამდვილად ირ-
წმუნებს ხოლმე დაუჯერებელ ამბებს, ყველაზე წარმოუდგენელ
ტყუილებს და ასევე ადვილად იცის მათი უარყოფა, რომ დიდო
ადამიანის გამოცხადებას, მაშინ როცა მისი ნარჩენები ჯერ ისევ შა-
გიდაზე განისვენებდა, შთაბეჭდილება თითქმის არ მოუხდენია და-
მსწრეებზე.

— გაუგებრობა მოხდა, — თქვა გულდამშვიდებულმა, სახეგაბა-
დრულმა ტარტარენმა და ხელი მხარზე დაადო იმას, ვინც თავისი
დაღუპული ეგონა. — ორსავე მხრიდან დავიარე მონბლანი, ავედი
ერთი ფერდობიდან, ჩამოვედი მეორიდან — ამიტომაც გეგონათ,
დავილუპე.

ტარტარენმა დამალა, რომ მოპირდაპირე ფერდობიდან ის ზურგით დაეშვა.

— მიწა გაუსკდეს ბომპარს! — თქვა ბეზიუკემ. — გულეები არ ამოგვიბრუნა თავისი ნაამბობით!..


ყველას გაეცინა და ურთმანეთს ხელი ჩამოართვეს. გარეთ კი ორკესტრი, რომლის გაჩერებასაც ტყუილად ლამობდნენ, დაჟინებით განაგრძობდა სამგლოვიარო მარშის დაკვრას გარდაცვლილი ტარტარენის პატივსაცემად.

— შეხედეთ, რა ყვითელი ფერი დაედო კოსტეკალდს!.. — ჩასჩურჩულა პასკალონმა ბრავიდას და მეიარაღეზე ანიშნა. მეიარაღე წამომდგარიყო და სავარძელს უთმობდა ძველ პრეზიდენტს, რომელსაც კეთილ სახეზე სხივი გადასდიოდა.

ანდაზების მოყვარულმა ბრავიდამ კოსტეკალდი დამდაბლებული რომ დაინახა, თავისებურად ჩუმად ჩაუნისკარტა:

— აბატი მანდერს რა ბედი დაჰყვა: მღვდელი იყო, დიაკონი გახდა.

და სხდომა ისევ გაგრძელდა.



პირველი ტერორიზმი



უკანასკნელი თევზადავალი სახელმწიფო

ტარტარენისკ

ლევონ ალქარს,

ნატიყსა და ღრმა რომანისტს,
„სიჩქურთა“ და „მდუმარე ცხოვრებათა“ ავტორს,
მისი მოძმე და მეგობარი ალფონს დოდე უძღვნის ამ
იუმორისტულ წიგნს

ენკენისთვე იყო და პროვანსში ხდებოდა ეს ამბავი, რთვლობიხ დროს, ამ ხუთიოდ-ექვსიოდ წლის წინათ.

ორ კამარგულ ცხენშებმული დიდი ეტლი გამალებით მიგვაქროლებდა — პოეტ მისტრალს, ჩემს უფროს ვაჟსა და მე ტარასკონის სადგურისაკენ, სწრაფ მატარებლისთვის პარიზი-ლიონი-მარსელი უნდა მიგვესწრო. ჩვენი ეტლიდან ღვთაებრივი გვეჩვენებოდა მიწურული დღე, პაპანაქებისაგან ფერმიღეული, მქრქალი დღე, ძალამიზდილი, მთრთოლარე და ვნებიანი, ვით მშვენიერი სახე იქაური ასულისა.

პერი ოდნავაც არ იძვროდა, თუმცა ეტლი ნიავეპარივით მიგვაქანებდა. გზას ორსავ მხარეს ესპანური ლერწამი გასდევდა, ტანაყრილი და წელგამართული, ბაფთებივით გრძელ-გრძელფოთლებიანი. ყველგან სასოფლო გზებზე, თოვლივით ქათქათა, საოცნებოდ თეთრ გზებზე, სადაც ქვიშა უდრტვიწველად ხრამუნობდა თვლების ქვეშ, გრძელ მწკრივად მიიზლაზნებოდნენ ფორნები, მარტო შავი ყურძნით დატვირთულნი. ფორნებს დინჯად და უჩუმრად მოჰყვებოდნენ მალალ-მალალი, ტანადი, გრძელფეხება. შავთვალწარბა ახალგაზრდა ბიჭები და გოგოები. ყველგან, საითაც კი გაიხედავდით, შავი ყურძნის მტევნებს დაინახავდით — გეჯასა თუ გოდრებში; ყოველის მხრიდან შავ-შავი თვლები მტევნები შემოგანათებდათ — მევენახეთა თქვის ქულების აკეცილ ფარფლებქვეშიდან თუ თავშლებიდან, რომელთა ბოლოებიც ქალებს კბილით ეჭირათ.

ალაგ-ალაგ, გზის მოსახვევში, თითქოს თვით მოწმენდილ ცაშა აუყუდებიათო, ჯვარი იყო აღმართული და ამ ჯვრის კადონზე აქეთ-იქით შავი ყურძნის ძიძმე, მსხვილი მტევანი დაეკიდა ვილაცას, როგორც ეს ჰქონოდა შეთქმული.

— ერთი შეხედე!.. — მეუბნებოდა გულაჩვილებული მისტრალი და თითქმის მშობლიური სიამაყის ღიმილი ეფინებოდა სახეზე, როდესაც თავისი პროვანსელების ამ გულუბრყვილო წარმართობის გამოვლინებასა ხედავდა; მერე კვლავ განაგრძობდა რომელიმე მომხიბლავ, სურნელოვანსა და ოქროვან ზღაპარს, რონის პირას დაბა-

დებულს. ვით პროვანსელი გოეთე, იგი გულხალვათად აბნევდა გზა-გზა ამ ზღაპრებს ორსავე ხელით, რომელთაგანაც ერთი არს პოეზია, ხოლო მეორე — სინამდვილე.

ო, სიტყვათა სასწაულმოქმედო ძალავ, ჯადოსნურო შეხამება დღის დროისა, გარემო ბუნებისა და ზვავი ხალხური დეგენდისა, რომელთაც პოეტი გრაგნილივით გვიშლიდა, ვიღრე ვიწრო გზაზე მცვეავდით ეტლს, ზეთის ხეებსა და ვაზებს შორის!.. რა ამოდ ვგრძნობდი მაშინ თავს, რა სხივნათელი და მსუბუქი მეჩვენებოდა ცხოვრება!

უეცრად თვალები დამებინდა, გული სევდამ შემიკუმშა.

— რა გაფითრებული ხარ, მამა! — მითხრა ჩემმა ვაჟმა.

მე ძლივს მოვიკრიბე ღონე და ჩურჩულით ხელი გავიშვირე ხელმწიფე რენეს ციხე-დარბაზისაკენ, რომლის ოთხივე კოშკი მიშხერდა, გაშლილ ველზე მათკენ ეტლით როგორ მივქროდი:

— ტარასკონი!

საქმე ის არის, რომ ჩვენ სასტიკი ანგარიშები გექონდა გასასწორებელი, მე და ტარასკონელებს. მე ვიცოდი, რომ ისინი გულში ჩემზე დიდ ჯავრს იმაღავდნენ: ჩვენი ქალაქი და ჩვენი დიდი, სახელოვანი ადამიანი, უებრო ტარტარენი ოხუნჯობის საგნად რად გაახადეო. ხშირად მოდიოდა უსახელო წერილები, სადაც მემუქრებოდნენ: „გაბედე ერთი, და ტარასკონზე გამოიარე!“ სხვანი კიდევ თავზე მატებდნენ გმირის შურისგებას: „ძრწოდე, ბებერ ლომს ჯერ კიდევ აქვს ნისკარტი და ბრჭყალები!“

ლომი და ნისკარტი, ესეც ახლა გავიგე!

ეს კიდევ არაფერია: საოლქო საპოლიციო მმართველობის უფროსისაგან შევიტყვე, რომ ერთ პარიზელ კომივოიაჟერს, რომელიც მისდა საუბედუროდ, ჩემი მოგვარე ყოფილა, ანდა, ვინ იცის, უბრალოდ უნდოდა თვალი აეხვია სასტუმროში ჩამომხდარი ხალხისათვის, აეღო და ჩამომსვლელთა წიგნში „ალფონს დოდე“ მოეწერა. ამ კაცს კაფეს კარში უხეშად დასხმიან თავს ვილაც-ვილაცები და ლამის რონის წყალში არ ჩაუყურყუმელავებიათ, ადგილობრივი ზნე-ჩვეულების შესაბამისად:

სურვილითა თუ ძალითა,
კოშკთაგან ტარასკონისა,
სულ ყირამალა ცვივიან
პირდაპირ წყალში რონისა.

ეს ძველებური კუბლეტი 93 წელს ეკუთვნის და მას იქ ახლავ : მლეოიან, თანაც იმ დრამის აებედითი კომენტარებით აქმაფრებენ, რის მოწმენიც ხელმწიფე რენეს კოშკები გახდნენ იმხანად.

რაკი არაფრად მექაშნიკებოდა ტარასკონის კოშკიდან თავდა-ყირა გადავეშვი ვისმე, სამხრეთში მოგზაურობისას მულამ შორს მოვუვლიდი ხოლმე ამ საამურ ქალაქს. მაგრამ ამჯერად კვიმატი ბე-დი, სურვილი—გულში ჩამეყრა ჩემი ძვირფასი მისტრალი, და ის გა-რემოება, რომ ტარასკონს გარდა სწრაფ მატარებელში ვერსად მო-ვხვდებოდი — ყოველივე ეს პირდაპირ მაგდებდა ნისკარტიანი ლო-მის ყბაში.

მარტო ტარტარენი რომ ყოფილიყო, კიდევ პო: პირისპირ მას-თან შეხვედრა, დუელი მოწამლული ისრებით ქალაქის სასეირნო წრის ხეთა ჩრდილში დიდად არ მაშინებდა. მაგრამ ხალხის რისხვა, და მერე რონა, ვრცელი, ღრმა რონა!..

აჰ! დამიჭერეთ, სულ მთლად ვარდ-ყვავილებით როდი არის მო-მოფენილი რომანისტის ცხოვრება...

მაგრამ უცნაური ამბავია! რაც უფრო მეტად ვუახლოვდებო-დით ქალაქს, გაზეთები უფრო უკაცრიელი ხდებოდა და იშვიათად-და გვხვდებოდა ხოლმე ყურძნით სავსე ფორნები. მალე ჩვენს თვა-ლწინ სხვა არა იყო რა, გარდა უდაბური, თეთრი გზისა, ირგვლივაც გაშლილი სივრცე და სიმარტოვე სუფევედა.

— საკვირველია! — თქვა დაბალი ხმით როგორღაც შეფიქრია-ნებულმა მისტრალმა. — გეგონება, კვირა დღეაო.

— კვირა რომ იყოს, ზარების ხმას გავიგონებდით... — მიუგო ისევე ხმადაბლა ჩემმა ვაჟმა, რადგან ქალაქისა და გარეუბნის მო-ცველ სიჩუმეში იყო რაღაც გულის დამამძიმებელი. არც ზარის რე-კა, არც ყვირილი, არც სანალბანდოს ხმაური ისმოდა, ასე მკაფიოდ რომ უღერს ხოლმე სამხრეთის მთრთოლარე ჰაერში. მაგრამ გზა რომ დასრულდა, განაპირა უბნის პირველი შენობები გამოჩნდა — ზეთსახდელი, ახლად მობათქაშებული საბაჟო. მოვსულიყავით უკვე.

რარიგ განცვიფრებულები დავრჩით, როდესაც წვრილი ქვიშა მოკირწყულულ გრძელ ქუჩაში შევიჭერით ჩვენი ეტლით და იქ ვე-რავენ ვნახეთ! კარ-ფანჯრები გამოკეტილი დავგვხვდა, არსად არც კა-ტა, არც ძაღლი, არც ბავშვები, არც ქათამი — არავინ ჩანდა; სამკედლოს გაქვარტლულ შესავალთან თვალში აღარ მოგხვდებო-

დათ ის ორი ბორბალი, ჩვეულებრივად აქეთ-იქით რომ ეყუდა; ზღურბლებიდან აეცალათ დიდრონი, ბადეებიანი საფარები, რომლებიც ტარასკონელების სახლებს ბუზებისაგან იცავდნენ, — გამქრალიყვნენ ეს საფარები, როგორც თვით ბუზები და მშვენიერი ნივრისანი სუბის სუნი, ამ დროს ბოლქვა-ბოლქვად რომ უნდა სცემდეს ყველა სამზარეულოდან.

ტარასკონს აღარ უდიოდა ნივრის სუნი, წარმოგიდგენიათ თქვენ ასეთი რამ!

მისტრალმა და მე ელდანაკრავებმა გადავხედეთ ერთმანეთს, გვექონდა კიდევაც საამისო მიზეზი. ელოდებოდე გამძვინვარებული ბრბოს ღრიალს, და სანაცვლოდ პომპეის ეს სამარისებური სიჩუმე პოვო!

ქალაქში, სადაც ჩვენ შეგვეძლო დაგვესახელებინა ყოველი სახლის პატრონი და სადაც ყველა დუქანს ბავშვობიდანვე შეჩვეულა გვექონდა თვალი, სიცარიელისა და უკაცრიელობის გრძნობამ უფრო დაგვიმორჩილა. გამოოკეტათ მცირე მოედანზე ბეზიუქეს აფთიაქი, კოსტეკალდის იარაღის მაღაზიაც ასევე იყო გამოოკეტილი და მასთან ერთად რებიუფას საკონდიტროც, სადაც „საუკეთესო შაქარყინული“ იყიდებოდა. გამქრალიყო ღერბიანი ფირფიტა ნოტარიუს კამბალალეტის კარზე და დაჩითულ ტილოზე დაწერილი ფირნიში მარი-ქოზეფ-სპირიდონ ექსკურბანიესისა, არლური ძეხვის დამამზადებლისა. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ძეხვი მუდამ ტარასკონში მზადდებოდა; გაკვრით აღვნიშნავ აქ ამ ისტორიული სიმართლის უდიდეს დარღვევას.

მაგრამ რა მოუვიდათ მაინც ტარასკონელებს?

ჩვენს ეტლს სასეირნო წრეზე მივყავდით ნელგრილს ჩრდილში ჭადრებისა, მაღლა რომ აეზიდათ ერთმანეთისაგან თანაბრად დამორებული თეთრი და გლუვი ზროები. ჭრიჭინობელების ჭრიჭინიც აღარ ისმოდა. გაფრენილიყვნენ. ტარტარენის დარაბებდახურული და სხვა მეზობელი სახლებივით დაბრმავებულ-დამუხჩებული სახლის წინ, სახელგანთქმული ბალის დაბალ გალავანთან აღარ იდგა აღარც ერთი ფეხსაცმლის საწმენდი ყუთი და ერთი პატარა მწმენდავიც აღარ გაჰკიოდა „გ ა ვ წ მ ნ დ ო თ, ბ ა ტ ნ ო?“

— ქოლურა ხომ არ გაჩენილა, ნეტა, აქ? — შენიშნა ერთმა ჩვე-განმა.

მართლაც, ტარასკონში ეპიდემია რომ გაჩნდება, მცხოვრებნი ქალაქის კარგა მოშორებით იხიზნებიან, კარვებსა დგამენ და მანამდე რჩებიან იქ, სანამ ავადმყოფობისაგან ჰაერი არ გაიწმინდება.

გაიგონა თუ არა სიტყვა ქოლერა, რომლისაც საზარელი შიში აქვთ ტარასკონელებს, მეეტლემ სწრაფად გარეკა ცხენები, რამდენიმე წუთში ჩვენი ეტლის სადგურის კიბეს მიადგა და გაჩერდა. სადგური ერთ დონეზეა მაღალ ვიადუკთან, რომელიც ქალაქს გასდევს და ზევიდან გადმოჰყურებს.

აქ კვლავაც ძალუმად ჩქეფდა სიცოცხლე, ხალხის ხმას გაიგონებდით, ადამიანებს დაინახავდით. აქეთ-იქით მიმავალი რკინიგზის ლიანდაგზე განუწყვეტლივ მისდევდა და მოსდევდა მატარებელს მატარებელი, აღმართს აღიოდნენ, დაღმართს ჩადიოდნენ, ჩერდებოდნენ, და მაშინ ჭახუნობდნენ ვაგონთა კარები და გაისმოდა სადგურთა სახელწოდებანი:

— ტარასკონი! გაჩერება ხუთი წუთი! გადაჯდომა ნიმზე, მონპელიეზე, სეტზე...

მისტრალი მაშინვე გაიქრა სადგურის ზედახედველთან, ძველ მომსახურე კაცთან, რომელიც ოცდათხუთმეტი წელი სადგურს იყო მიჯაჭვული.

— რა არის ეს, ბატონო პიკარ!.. სად არიან, რა იქნენ ტარასკონელები? რა უყავით იმათ?

ჩვენმა გოგნებამ განაცვიფრა ზედამხედველი.

— როგორ!.. მაშ, თქვენ არა იცით რა? ციდან ხომ არ ჩამოფრენილხართ?.. ნუთუ არაფერსა კითხულობთ?.. რა ვიცი, ქვეყანა კი გააყრუეს თავიანთი პორტ-ტარასკონის კუნძულით. დიახ, ბატონო ჩემო, წაბრძანდნენ ტარასკონელები... კოლონიის დასაარსებლად, სახელოვანი ტარტარენის წინამძღოლობით... და ყველაფერი თან წაიღეს, ტარასკიცი კი თან წაიტანეს!..

იგი გაჩუმდა და ხაზზე წავიდა, რათა განკარგულება გაეცა, ან ვინმე დაეშურებინა. ჩვენ კი ქვემოთ ვიყურებოდით, სადაც დამავალ მზის სხივებში ამართულიყო კოშკები, დიდი და პატარა საპრეკლოები მიტოვებული ქალაქისა და მისი ძველი გალავანი, რომელიც მზეს ისე მშვენივრად დაეფერა, რომ ნამდვილად ტყის ქათამას პაშტეტის დაბრაწულ ქერქსა ჰგავდა.

— მითხარიბთ ერთი, ბატონო პიკარ, — დაეკითხა მისტრალი ზე-

დაშედეგელს, ჩვენკენ კეთილად მომღიმარი რომ ბრუნდებოდა და, ეტყობოდა, სულაც არ იყო დადარდიანებული ტარასკონელების აბარგებით, — დიდი ხანია გადასახლდნენ?

— ექვსი თვე იქნება.

— მერე, ცნობა რამე გაქვს იმათი?

— არავითარი.


ვაი რომ, რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ მივიღეთ დაწვრილებითი და ზუსტი ცნობები, რამაც საშუალება მომცა მომეთხრო ამბავი ამ გულადი ხალხის ერთბაში გადახვეწისა, ხალხისა, რომელიც გაპყ-ვა თავის გმირს და თავს საშინელი უბედურებანი დაიტეხა.

პასკალს უთქვამს: „საჭიროა საამოც იყოს და ნამდვილიც; მაგრამ თვით ეს საამო სინამდვილეს უნდა ეფუძნებოდეს“. პორტ-ტარასკონის ისტორიაში მე შევეცადე მივყოლოდი მის მოძღვრულ სიტყვას.

ჩემი ნაამბობი სინამდვილეზეა დაფუძნებული, შედგენილია ემიგრანტების წერილების, ტარტარენის ახალგაზრდა მდივნის „მემორიალისა“ და „სასამართლოს გაზეთიდან“ ამოწერილი მოწმეების ჩვენებების მიხედვით, და თუ თქვენ აქა-იქ არაჩვეულებრივ რამ ტარასკონადას მაინც წააწყდეთ, კალიის მსხვერპლი შევიქნე, თუ ის ჩემი მოგონილი იყოს!“¹

ავტორი

¹ გადახედეთ გაზეთებს, სადაც ამ თორმეტი წლის წინათ იბეჭდებოდა პროცესი „ახალი საფრანგეთისა“ და პორტ-ბრეტონის კოლონიისა, და ნახეთ აგრეთვე დრეფუსის გამოცემული საყურადღებო წიგნი ექიმ ბოდუენისა, ექსპედიციის მონაწილისა. (ავტორის შენიშვნა.)



წიგნი პირველი

I

ტარასონი უჩივის არსებულ წესს. ხარბი. „თეთრი მამები“. ტარასონელი საზოგადოებრივი პაპაპირისუბნის საპატრონო ალყა და კაპიტულაცია

— ბრანკებალმ, ჩემო ძვირფასო... მე უკმაყოფილო ვარ საფრანგეთისა!.. ჩვენი მთავრობა ყველაფერში ერევა.

ეს ღირსსახსოვარი სიტყვები, რომლებიც ერთ საღამოს ბუხრობ წინ ტარტარენმა ჯეროვანი მოძრაობითა და კილოთი წარმოთქვა, ნათლად წარმოგვიდგენს იმას, თუ რასა ფიქრობდნენ და ლაპარაკობდნენ რონის ტარასკონში ორი-სამი თვით ადრე ემიგრაციამდე. ტარასკონელი ჩვეულებრივად არ მისდევს პოლიტიკას: იგი ბუნებით უზრუნველია და გულგრილი ყოველივე იმისადმი, რაც უშუალოდ მის ქალაქსა და მას არ ეხება, მხარს უჭერს, თავისი თქმისა არ იყოს, არსებულ წესს. თუმცა კი, რამდენიმე ხანია, ამ არსებულ წესს საყვედურს არ აკლებს.

— ჩვენი მთავრობა ყველაფერში ერევა — გაიძახოდა ტარტარენი.

ამ „ყველაფერში“ პირველ ყოვლისა იგულისხმებოდა ხარებზე ბრძოლის აკრძალვა.

თქვენ, ეჭვი არ არის, გეცოდინებათ ამბავი ერთი ტარასკონელისა, უვარგისი ქრისტიანისა და ჯიბიდან გავარდნილი არამზადასი, რომელიც სიკვდილის შემდეგ შემთხვევით სამოთხეში გაძვრა სწორედ იმ დროს, როცა პეტრე მოციქულმა პირი მიიბრუნა, და მერე აღარ უნდოდა იქიდან გამოსულიყო, თუმცა უზენაესი მეკლიტული ბევრს ემუდარა. რა იღონა მაშინ დიდმა მოციქულმა? წარგზავნა ანგელოზთა მთელი გუნდი, რომელსაც, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უნდა ეყვირა სამოთხის კართან: „ჰეი, ჰეი.. ხარები... ეი ეი.. ხარები!..“ ასე ყვირიან ხარების ბრძოლის დაწყების წინ ტარასკონში. ეს რომ გაიგონა ავაზაკმა, სახე შეეცვალა:

— განა აქ, თქვენთან, ხარების ბრძოლა იმართება ხოლმე, პეტრე მოციქულო?

— ხარების ბრძოლა?.. მაშა, რაღა თქმა უნდა! თანაც საუკეთესო, ჩემო კეთილო!

— მერე, სად იმართება ეს ბრძოლები?

— სამოთხის წინ... ხალვათობაა იქ, ხომ გესმის.

ტარასკონელი ფიცხლავ გავარდა გარეთ, და სამუდამოდ დახურუნენ მისთვის კარნი ცისანი.

ეს ლეგენდა, ისეთივე უძველესი, როგორც მერბები ქალაქის სასეირნო წრისა, იმისათვის გავიხსენე, რომ მეჩვენებინა, რა ძლიერ უყვართ ტარასკონელებს ხართა ბრძოლა და როგორ აღშფოთდნენ, როცა ეს სანახაობა აიკრძალა.

მერე მოვიდა ბრძანება, „თეთრი მამების“ გასახლებისა და მათა მშვენიერი პამპერიგუსტის მონასტრის დახურვისა. უკვე რამდენიმე საუკუნეა დაარსებული ეს მონასტერი, ლავანდისა და ურცისაგან მთლად ნაცრისფრად ქცეულ ერთ პატარა ბორცვზე იდგა ქალაქის მისავალთან. აქედან ფიქვებში მოჩანდა მაქმანი მისი სამრეკლოსი, რომლის ზარების რეკვაც დილის ნიავში ტოროლების გალობას ერთვოდა, ხოლო ბინდისას — ღალღების სევდიან ყივილს..

ტარასკონელებს ძლიერ უყვარდათ თავიანთი ტუბილი, კეთილი, უწყინარი „თეთრი მამები“, რომლებმაც იცოდნენ გორაკზე უხვად გაზრდილი სურნელოვანი ბალახებისაგან საუცხოო ელექსირის გა-

მოხდა. უყვარდათ ისინი აგრეთვე მერცხლის პაშტეტისა და საუკეთესო პამპერისათვის, რაც ნიშნავს კომშით გამოჩურთულ ღვეზელს, ზედ რომ კვერცხის გული აქვს გადასმული; აქედან მოდის ამ სააბატოს სახელიც — პამპერიგუსტი.

როდესაც ოფიციალური განკარგულება მოუვიდათ მამებს, დაეტოვებინათ სავანე, რაზედაც ამათ უარი თქვეს, მდაბიო ტარასკონელები, ათას ხუთას-ორი ათასამდე კაცი, — მებარგულები, ფეხსაცმლის მწმენდავები, მტვირთავები რონის გემებისა, — ისინი, ვისაც ჩვენ „წვრილფეხობას“ ვეძახდით, შეიკეტნენ პამპერიგუსტში კეთილ ბერებთან ერთად.

ტარასკონელ ბურჟუაზიას, კლუბის ერთგულებს, ტარტარენის მეთავეობით, რა თქმა უნდა, უნდოდათ გამოსარჩლებოდნენ წმიდა საქმეს. ამაზე წუთიც კი არ უყოყმანიათ. მაგრამ ამგვარ რამეს ვინ შეუდგება, თუ საამისოდ არ მოემზადა. ასე განუსჯელად მოქცევა მარტო წვრილფეხობას თუ შეჰფერის.

პირველ ყოვლისა საჭირო იყო სათანადოდ შემოსილიყვნენ და კიდევაც შეუკვეთეს ჩინებული ჩასაცმელი, ჯვაროსნულ ლაშქრობათა დროის შესაფერისი — გრძელი შავი სერთუკები, მკერდზე დიდო თეთრი ჯვრითა და ყველგან, წინა თუ უკან — სირმით ამოქარგულა გადაჯვარედინებული ძელებით დამშვენებული. მოსირმვამ განსაკუთრებით ბევრი დრო წაიღო.

როცა ყველაფერი მზად იყო, მონასტერს უკვე ალყა ერტყა. სამმაგ რკალში მოემწყვდიათ იგი ჯარებს, მინდვრებსა და პატარა ბორცვის ქვიან ფერლობებზე დაბანაკებულთ.

მათი წითელი შარვლები ურცსა და ლავანდში ისე მოჩანდა, თითქოს ყაყაჩოებს უფეთქიათო.

გზებზე ცხენოსანი პატრული შეგხვდებოდათ წარამარა. მხედარს თემოსთან კარაბინი უჩანდა, რევოლვერის ბუდე ქამარში გეჩარა. ხმლის ქარქაში ცხენს ფერდზე სცემდა.

მაგრამ ძალთა ეს გამოჩინება ვერ შეადრკობდა უშიშარ ტარტარენს. კლუბის წევრთა უმრავლესობასთან ერთად მან გადაწყვიტა როგორმე უთუოდ გაეღწია მონასტრამდე.

დაწალიკებით მიბობლავდნენ ისინი მძინარე მოქიშპეთა კარვების გასწვრივ, გზას უქცევდნენ გუშაგებსა და გზირებს, თანაც ფრინველთა ყივილს უხეიროდ ბაძავდნენ და ერთმანეთს ამგვარად

ატყობინებდნენ საფრთხეს. ასე, დიდის სიფრთხილითა და ფენიმოზ კუპერის ველურების კლასიკური ხერხების გამოყენებით გასცდნენ მოწინააღმდეგის გარშემორტყმული ჯარის შენაერთებს.

განა სიმპაყე არ უნდოდა, ამ დღესავით ნათელ დამეგებში მსგავსი რამ გაებედა კაცსი თუმცა კი სიმართლე მოითხოვს იმის თქმას, რომ ალყის შემომარტყმელებისათვის მეტად ხელსაყრელი იყო, რაც შეიძლება მეტი ხალხი გაეტარებინათ მონასტერში.

მათ უნდოდათ, უფრო რე შიმშილით ამოეწყვიტათ, ვიდრე ძალით შეეპყროთ საფანეში გამომწყვდეულები. ამიტომაც ჯარისკაცები პირს მაშინვე მიიბრუნებდნენ ხოლმე, მოხეტიალე ლანდებს რომ დაინახავდნენ მოკაშკაშე მთვარისა და ვარსკვლავების შუქზე. თუმც უჩვეულოდ ეცვა, მაგრამ არა ერთმა ოფიცერმა, ვისთანაც კი კლუბში აბსენტი დაელია ლომების სახელმობხვეჭილ მომსვრელს, იცნო იგი შორიდან და შინაურულად მიესალმა.

— დამე მშვიდობისა, ბატონო ტარტარენი!

ადგილს მიაღწია თუ არა, ტარტარენმა უმაღ დაცვა მოაწყო.

ამ ეშმაკის ფეხ კაცს წაკითხული ჰქონდა ყოველგვარი წიგნი ალყასა და ბლოკადაზე. ტარასკონელთაგან ლაშქარი ჩამოაყალიბა, მამაც მეთაურ ბრავიდას წინამძღოლობით, სევასტოპოლისა და პლეგნისა არ იყოს, მოლაშქრეებს მიწა ათხრევინა, მერე რამდენი ათხრევინა, სააბატოს ყრილები, ხანდაკები და ნაირ-ნაირი საფორტიფიკაციო ნაგებობანი გარსშემოარტყმევინა. მათი რკალი სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა, სუნთქვა ჰკირდა და ალყაშემორტყმულები ამოქოლვილებივით იყვნენ ამ სიმაგრეებში. მოალყეებსაც მეტი არა უნდოდათ რა!

ციხესიმაგრედ ქვეულ მონასტერში სამხედრო დისციპლინა იქნა შემოღებული. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. საალყო წესები მოიხზოვდა ამას. ყველაფერი დაფის ცემასა და ბუკის ხმაზე სრულდებოდა.

გარიერაჟიდან ხალხის გასადვიძებლად დაფი გრიანებდა ეზოებში, ტალანებში, მონასტრის თალებქვეშ. ბუკის ხმა ისმოდა დილიდან საღამომდე — მოუხმობდა ლოცვაზე: ტ ა რ ა-ტ ა, მოუწოდებდა ხაზინადარს: ტ ა რ ა-ტ ა-ტ ა, მამა-მნეს: ტ ა რ ა-ტ ა-ტ ა-ტ ა-, ეს ხმა, ზარანი, ბრძანებითი, მკვეთრი, ჰაერს აპობდა. ბუკსა ჰკრავდ-

ნენ ანეელუსისას¹ ცისკრისა და მწუხრის ლოცვისას. თავსლადის დასხმა იყო ეს მოალევე ჯარისათვის, რომელიც ბევრად უფრო ნაკლებად ხმაურობდა გაშლილ მინდვრებში, მაშინ როდესაც ბორცვების წვერზე, ციხესიმაგრე-სააბატოს წვრილი ქონგურების უკან. ბუკი და დაფი, ზარების რეკვასთან შერწყმული, რაღაც დიდებულ ჟრიამულსა ქმნიდნენ და შორს გაჰქონდათ, ვით დაპირება გამარჯვებისა ეს მხიარული სიმღერა, ნახევრად საბრძოლო და ნახევრად წმიდა.

ამე დროს კი მოალეენი, ეშმაკმა ნუ იცის იმათი თავი, მშვიდად იდგნენ ბანაკად, თავს სრულიადაც არ იწუხებდნენ, ადვილად შოულობდნენ სურსათ-სანოვანებს და მთელი დღე ნადიმობდნენ. პროვანსი, სანეტარო მხარე, იმდენ სანუკვარ რასმე წარმოშობს! ღვინოები, ანკარა და ოქროვანი, არღური ძეხვი, მსხვილი და წვრილი, უებრო ნესვი, პირის ჩასატკბარუნებელი საზამთრო, მოტელიმარის ნუგა — ყოველივე ამით სახელმწიფო ჯარები ზარობდნენ, წვეთი და ნაპცევი ამისა არა რგებიანთ ალყაშემორტყმულ სააბატოში.

ამგვარად, ერთ მხარეს მსგავსი ზარზეიმის არმოშწრე ჯარისკაცები ისე სივდებოდნენ, რომ ლამის არის მუნდირები ზედ შემოსკდომოდან, მათს ცხენებს გავა დამრგვალებოდან, დაპზინვოდან, მეორე მხარეს კი — საცოდობა იყო პირდაპირ! საბრლო ტარასკონელები, მეტადრე წვრილფეხობა — ესენი აღრე დგებოდნენ, გვიან წვებოდნენ, ქანცი უწყდებოდან, მუდამ გადაარჯებულებს, დღე-დაღამ მიწასა თხრიდნენ და აქეთ-იქით ეზიდებოდნენ ურიკებით, მზითა თუ ჩირალდნების სიცხოველით გარუჯულები, ხორცსა ჰყრიდნენ და ხმებოდნენ ისე, რომ იმათ მაცქერალს გული გეტკინებოდან.

ამას ისიც დაუმატეთ, რომ კეთილ მამებს სურსათი ელეოდან: მერცხლის პაშტეტი და პამპერი სადაცაა გაუთავდებოდან.

გაუძლებდნენ, განა. კიდევ დიდხანს?

აი ამ საკითხზე ბკობდნენ დღეცისმარე გვალვისაგან დამსკდარ მიწაყრილებზე.

— შემოტევაზე რომ არ გადმოდინ ეს ლაჩრები! — ამბობდნენ ეს ჩვენი ტარასკონელები და მუშტს უღერებდნენ წითელშარვლოსნებს, ფიქვებქვეშ რომ წამოწოლილიყვნენ ბალახში... აზრადაც არ

¹ ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ლოცვა კათოლიკურ მღვდელმსახურებაში.

მოსდიოდათ თვით გადასულიყვნენ შეტევაზე, ისე აქვს გამჭდარი ამ მამაც პატარა ხალხს თავდაცვის გრძნობა.

ერთადერთხელ ექსკურბანიესმა, ბორგნეულმა ადამიანმა, წინადადება შემოიტანა, ერთიანი თავდასხმა მოვაწყოთ ალყად მომდგარ ლაშქარზე, ბერები წინ გავიძლოლოთ და პირქვე დავამხოთ მთელი დაქირავებული ჯარით.

ტარტარენმა განიერი მხრები აიჩეჩა და მარტო ესა თქვა პასუხად:

— ბალო!

მერე ხელი მკლავში გაუყარა ფიცხელ ექსკურბანიესს, აიყვანა კონტრესკარპის თავზე, და დაანახა ბორცვზე საფეხურებად ფართოდ განლაგებული ჯარის ნაწილები და პატრულები, ყოველ ბილიკზე რომ იდგნენ.

— ალყა ჩვენ გვარტყია, თუ იმათ? მერე განა ჩვენ უნდა მივუტანოთ იერიში?

ირგვლივ მოწონების ჩურჩული გაისმა:

— რაღა თქმა უნდა... ის მართალია... იმათ უნდა დაიწყონ, რაკი ალყა შემოგვარტყეს.

ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ ყველანი: არავინ იცოდა საომარი წესები ტარტარენზედ უკეთ.

მაგრამ მანაც რაღაც უნდა გადაეწყვიტათ საბოლოოდ.

და ერთ დღეს, საბჭო შეიკრიბა კაპიტულის¹ დიდ დარბაზში, რომელიც მაღალი სარკმლებიდან შემოსული შუქით იყო განათებული და ჩუქუროთმიანი ხის პანელი ამშვენებდა. მამა-მნემ წარმოადგინა საანგარიშო მოხსენება ციხესიმაგრის სახსრებზე. თეთრი მამები უსმენდნენ უჩუმრად, თანაც ისე გაკვირულნი ისხდნენ თავიანთ მოგვიტევე-უფალოებზე, — ამ ფარისევლურ ნახევარკსამებზე, — რომ გეგონებოდათ, კი არა სხედან, დგანანო.

სავალალო მდგომარეობას ამხელდა მამა-მნეს ანგარიში! რამდენი რამ შეესანსლათ ტარტარენლებს მას აქეთ, რაც მათ ალყა შემოარტყეს! ასობით მერცხლის პაშტეტი, ათასობით პამპერი, ამდენი ეს, ამდენი ის! ყველა იმ ნაკეთობიდან, რასაც მამა-მნე ჩამოთვლიდა

¹ კ ა პ ი ტ უ ლ ი — სასულიერო პირთა საბჭო მონასტრის წინამძღვართან; ზოგჯერ — საერთო ყრილობა მთელი სამონასტრო ძმობისა.

და რითაც დასაწყისში ასე კარგად იყვნენ მომარაგებულნი, ისე ცოტადა იყო დარჩენილი, ისე ცოტა, ნამდვილად რომა ვთქვათ — აღარაფერი.

წმიდა მამებს სახე დაეჭიმათ და ერთიმეორეს გადახედეს. გულში ყველა ამას ფიქრობდა: ჩვენს საშველად რომ არავინ მოსულიყო, თანაც მტერს უკიდურესი ზომებისათვის არ მიემართა, ამ მარაგით წლობით გავიტანდით თავს და არაფერი დაგვაკლდებოდაო. მამამენე მონოტონურად და უნიათოდ განაგრძობდა კითხვას, რომ ამ დროს ყვირილი მოიხმა და სიტყვაც გაუწყდა.

დარბაზის კარი ხმაურით გაიღო და ტარტარენი გამოჩნდა, სახე-აღეწილი, აღელვებული ტრაგიკული იერიით; აბურძგნალი წვერი ტანსაცმლის თეთრ ჭვარზე აჰფაფრებოდა. დაშნით მიუსალამა წინამძღვარს, რომელიც თავის მომიტევე-უფალოზე წელგამართული იჯდა, შემდგომ წმიდა მამებს მიუბრუნდა სათათაოდ და დინჯად წარმოთქვა:

— თქვენო მალაღირსებავ, ველარაფერს ვუხერხებ ჩემს ხალხს... კვდებიან შიმშილით... ყველა წყალსატევი ცარიელია... სხვა მეტი არაფერი დაგვრჩენია, ან უნდა დავთმოთ სიმაგრე, ანდა დავიმარხოთ მისი ნანგრევების ქვეშ.

ტარტარენი მალაჲდა და არ ამბობდა ერთ რამეს, თუმცა ესეც საკმაო მიზეზი იყო: ორი კვირა იქნებოდა, შოკოლადი არ დაელია დილით, სიზმრად კი ხედავდა — სქელს, მოლივლივე, აბოლებულ შოკოლადს, რომელსაც ზედ ერთ ჭიქა კამკამა ცივ წყალს დააყოლებდა ხოლმე ჩვეულებრივ, ბროლივით ანკარას, წყალსატევებაზ მომლაშო წყალს კი არა, ახლა რომ სვამდა, რაკი მეტი გზა არა ჰქონდა.

საბჭო მაშინვე ფეხზე წამოდგა, ყველანი ერთად ალაპარაკდნენ, აბუბუნდნენ, და ერთსულოვანი აზრი გამოთქვეს: „ჩავაბაროთ სიმაგრე... უნდა უთუოდ ჩავაბაროთ სიმაგრეო“. მარტოდმარტო ჰამა ბატალიემ, უკიდურესობის მომხრე კაცმა, წინადადება შემოიტანა — აეფეთქებინათ მონასტერი დენტის ნარჩენებით. დენტს მე თვითონ წავუყიდეო ცეცხლს; ამბობდა.

ყური არავინ დაუგდო მამა ბატალიეს. ღამე ჩამოწვა თუ არა, ბერები, ლაშქრის მხედარნი და მათთან ერთად ექსკურბანიესი, ბრავიდა და ტარტარენი ერთგულეზბითურთ, უკეთ რომა ვთქვათ, ჰამ-

პერიგუსტის დამცველნი ამჯერად, უდაფ-უბუკოდ გამოვიდნენ მონასტრიდან, გასაღებები კარებში ჩატოვეს და მდღუპარე ლანდებივით ჩამოიარეს ბორცვი; მტრის გუშაგნი კეთილი თვალით მიაცილებდნენ მთვარის შუქით განათებულებს.

სააბატოს ამ ღირსსახსოვარმა დაცვამ დიდი პატივი და სახელი მოუხვეჭა ტარტარენს; მაგრამ ჯარებმა რომ მათი „თეთრი მამების“ მონასტერი დაიკავეს, ტარასკონელებმა ჯავრი ჩაიმარხეს გულშა.

II

აჟთიანი მცირე მოედანზე. ჩრდილოელი კასის გამოსახლება. „ნება ღმერთსა, გაბრუნო კერძოვო!“ სამოთხე ზღვათა გაღაღა

მონასტრის დახურვიდან რამდენიმე ხანმა განვლო. ბეზიუკე თავის მოწაფე პასკალონსა და წმინდა მამა ბატალიესთან ერთად აფთიაქის კარწინ საღამოს ფრილ ჰაერსა ყლაპავდა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ტარასკონელმა ოჯახებმა შეიფარეს დაქსაქსული ბერები. ყოველმა მათგანმა ინდომა, შინ თეთრი მამა ჰყოლოდა. შეძლებულ ხალხს, მედუქნეებს, ბურჟუათა ოჯახებს თითო ჰყავდა საკუთრივ შესანახად ნაკისრი; ხელოსნები კი ოჯახობით ერთდებოდნენ და ასე თანაზიარად ინახავდნენ წმინდა კაცებს.

დუქნებში ყველგან დაინახავდით თეთრს ანაფორას, კაპიშონიანს. მფიარადე კოსტეკალდთან, თოფებში, კარაბინებსა და სამონადირო დანებს შორის თუ გალანტერიის ვაჰარ ბომბეილის დახლთან, აბრეშუმის ძაფის კოჭებს უკან, ყველგან აგელანდებოდათ იგივე დიდი თეთრი ფრინველი, მოშინაურებულ პელოკანს რომ მოგაგონებდათ. თეთრი მამების შინ ყოლა კურთხევა იყო სახლისათვის. ზრდილები, უწყინარები, მორიდებულები, დამყოლები, ისინი არავის აწუხებდნენ, სახლში მათ ვერც კი შეამჩნევდით, ამავ დროს რაღაც სიწყინარეს, სათნოებას ჰფენდნენ ირგვლივ, ტარასკონელთათვის არჩეულს.

გვგონებოდათ, შინ თვით კეთილ ღმერთს დაესადგურებინოს: მამაკაცები თავს იკავებდნენ და აღარ იგინებოდნენ, სალანძღავ სიტყვებს აღარ ამბობდნენ; ქალები აღარა ცრუობდნენ, თითქმის სულ არა; პატარები ჭკვიანად და სწორად ისხდნენ თავიანთ მომცრო მაღალ სკამებზე.

დილა-საღამოს ლოცვის უამს, საუზმის წინა თუ ვახშმის შემდეგ, „დამლოცე, უფალო“-სი და „მადლობა შენდა“-ს თქმისას, დიდი თერთი სახელოები მფარველი ფრთებივით გაიშლებოდნენ ხოლმე ქამად შეკრებილი ოჯახის თავზე, და ამ მუდმივი დალოცვით შთაგონებულ ტარაკონელებს სხვა არანაირად აღარ შეეძლოთ ეცხოვრათ, თუ არ როგორც კეთილმორწმუნე და ქველ ადამიანებს.

ყველა თავისი წმინდა მამით ამყობდა, აქებდა, ფასსა სდებდა მას, მეტადრე მეაფთიაქე ბეზიუკე, რომელსაც კეთილმა ბედმა მამა ბატალიე არგუნა.

ცეცხლოვანი, ფიცხი, წმინდა მამა ბატალიე, ხალხის აღმგზნები მქადაგებლის ნიჭით დაჯილდოებული, განთქმული იყო აგრეთვე, როგორც იგავებისა და ლეგენდების საუცხოო მთხრობელი. მშვენიერი ვაჟკაცი იყო, — ბრვე, ტანადი, სახეგარუჯული, ნაღვერღლებივით თვალბანთებული, ნამდვილი კაბესილას¹ შესახედობისა. გრძელნაკეცებიანი სქელი სამოსი უფრო მეტად წარმოსადევს აჩენდა, თუმცა ცალი მხარე მეორეზე მაღალი ჰქონდა და გვერდულადც დადიოდა.

მაგრამ ამ წვრილმან ნაკლს ვინღა ამჩნევდა, როცა ის ქადაგებას დაამთავრებდა, კათედრიდან ჩამოვიდოდა, ბრბოს გააპობდა, დიდ ცხვირს მაღლა აიშვერდა და, ჯერ ისევ მთლად ათრთოლებული, საკუთარი მშვერმეტყველებით ატაცებული, საფილონესაკენ გაეშურებოდა. ქალები, მისი მოთაყვანენი, გზად მიმავალს მაკრატლათ ნაკუწებს აჭრიდნენ ხოლმე თეთრ ანაფორაზე. ამიტომაც შეარქვეს „კუწუბებიანი მამა“. სამოსელი ისე ხშირად ჰქონდა დაჭრილი, აღარ ჩაიცმებოდა, და მონასტერს ძალიან უჭირდა ბატალიეს ხელახლა შემოსვა.

ამრიგად, ბეზიუკეს პასკალონითურთ აფთიაქთან მოეკალათათ: ხოლო მათ წინ სკამზე მხედარივით გადალაჯული ბატალიე იჯდა. ტკბებოდნენ ნეტარი, უშფოთველი თავისუფალი წუთებით, რადგანაც დღის ამ დროს ბეზიუკესათვის აფთიაქი აღარ არსებობდა. ღამეც ასევე არ იყო? ავადმყოფები რამდენიც უნდა დაკრუნჩხულიყვნენ, დაკლაქნილიყვნენ ტკივილისაგან ლოგინში, მეაფთიაქე არაფრის გულისათვის თავს არ შეიწუხებდა: ღამე რა დროს ავადმყოფობაო?

¹ კ ა ბ ე ს ი ლ ა — წინამძღოლი (ე ს პ.).

ბეზიუკე პასკალონთან ერთად უსმენდა ერთ იმ მშვენიერ ამბავთაგანს, რის მოყოლაც წმიდა მამამ ასე საგანგებოდ იცოდა. ამ დროს კი შორით, ქალაქის განაპირას, საღამოს ბუკის ხმა ისმოდა და ზაფხულის მზის ჩასვლის მშვენიერ ბგერებს უერთდებოდა.

ერთბაშად მოწაფე წამოხტა, მთლად აწითლებული, ხელი მცირე მოედნის მეორე მხარეს გაიშვირა და წაილულლულა:

— აგერ ბატონი ტარ-ტარ-ტარენი!

მოგეხსენებათ, რა განსაკუთრებულსა და არაჩვეულებრივ თავ-ვანისცემასა გრძნობდა პასკალონი დიდი ადამიანისადმი, ვისი აჩრდილიც გამონაკვეთულიყო საღამოსპირის ნათელმოსილ ბინდში. ხელებსა შლიდა და ისე მიდიოდა, გვერდით ვიღაც უცხო კაცი მოჰყვებოდა, რუხთათმანიანი, სალუქად ჩაცმული, მოჰყვებოდა გაჭვიმული და, ეტყობოდა, ყურს უგდებდა ჩვენს გმირს.

ჩრდილოელი იყო, — აშკარად ჩანდა.

სამხრეთ საფრანგეთში ჩრდილო მხარის კაცს მაშინვე იცნობთ დინჯ მიმოხრაზე, აუჩქარებელს, სიტყვაძუნწ ლაპარაკზე, ისევე როგორც სამხრეთის მკვიდრი ჩრდილოეთში წამსვე გამოამყდავენებს ხოლმე თავს გადაჭარბებული ხელების მოძრაობითა და თავისებური სხაპასხუპა ლაპარაკით.

ტარტარენის დანახვა უცხოელების საზოგადოებაში ტარასკონელთათვის უჩვეულო რამ არ იყო, რადგან გზად ტარასკონზე არავინ ისე არ გაივლიდა, რომ თავი მოვალედ არ ეცნო, ენახულებინა, ვით რამ ატრაქციონი, სახელოვანი მომსრველი ლომებისა, განთქმული მთამსვლელი, თანამედროვე ვოზანი¹, ადამიანი, რომელსაც პაპმერიგუსტის ალყის ამბავმა ახალი დიდება შემატა.

მისი ნახვის მსურველთა ამ მოზღვავებამ თან მოიყოლა ტარასკონში ერა მანამდე არნახული ჰვესვიანობისა.

სასტუმროთა პატრონები მდიდრდებოდნენ; წიგნის მაღაზიებში იყიდებოდა ბიოგრაფია დიდი ადამიანებისა; ვიტრინებში ყველგან მის პორტრეტებს დაინახავდით, სადაც ის სხვადასხვა სახით იყო აღბეჭდილი თავისი გმირული არსებობის მანძილზე: თუ „თურქად“, თუ მთამსვლელად, ზოგან კიდევ ჯვაროსნის კოსტიუმით.

¹ ვოზანი სებასტიენ ლე პრეტრი (1633—1707) — გამოჩენილი ფრანგი სამხედრო ინჟინერი.

მაგრამ ამჟერად ტარტარენს ჩვეულებრივი სტუმარი როდი ახლდა, გზად გავლილი ვინმე.

მცირე მოედანს რომ გადმოსცდნენ, გმირმა დიდის აზრით ხელი გაშალა და სტუმარს მიუთითა თავის თანამგზავრზე:

— ძვირფასო ბეზიუკე, წმიდა მამაო, გთხოვთ გაიცნოთ ბატონი პერცოგი დე მონსი...

პერცოგი!.. კარგიოთ ერთი!

თავის დღეში პერცოგები არა სწვევიან ტარასკონს. უნახავთ იქ აქლემი, ბაობაბი, ლომის ტყავი, მოწამლული ისრების კოლექციაც და საპატიო ალპენშტოკებიც... მაგრამ პერცოგი, არასოდეს!

ბეზიუკე წამოდგა და პერცოგს მიესალმა. იგი ოდნავ შემთვრალი იყო, რადგან არავის გაუფრთხილებია და ასე პირისპირ კი შეეჩეხა ცხოდენ დიდ პიროვნებას.

— ბატონო პერცოგო... ბატონო პერცოგო... — ბურღუნებდა ბეზიუკე.

ტარასკონელმა სიტყვა შეაწყვეტინა:

— შევიდეთ, ბატონო, დიდად საჭირო და მნიშვნელოვან საქმეზე უნდა მოვილაპარაკოთ.

თვითონ პირველი შევიდა იღუმალი სახის გამომეტყველებით აფთიაქის პატარა შესავალ ოთახში, რომლის ფანჯარაც მოედანს გაჰყურებდა და ვიტრინის მაგიერობასა. სწვედა. ვიტრინაში გამოდგმული იყო მინის ქილები დასპირტული ჩანასახებითა და გრძელა სოლიტერებით, აგრეთვე ქაფურით სავსე ფრთის ღეროების პატარა პაკეტები.

კარი ისე გაიხურეს, თითქოს ნამდვილი შეთქმულები ყოფილიყვნენ. აფთიაქის წინა ოთახში ერთადერთი პასკალონი დარჩა. ბეზიუკემ დაუბარა, მოსულებს პასუხი გაეცი და არამც და არამც არავინ შემოუსვა დარბაზშიო.

მოწაფე, დიდად საგონებელში ჩავარდნილი, შეუდგა თაროებზე უნაბის ყუთების, sirupus gummi-ს შუშებისა და სხვა სააფთიაქო საქონლის დაწყობას.

ღროდაღრო მის ყურთასმენამდე აღწევდა ხმები, ის საგანგებოდ არჩევდა დაბალ ბანს ტარტარენისას, მის წარმოთქმულ უცნაურ სიტყვებს: „პოლონეზია, ამქვეყნიური სამოთხე... შაქრის ლერწამო, არყის სახდელი ქარხნები... თავისუფალი კოლონია“. მერე უეცრად

მამა ბატალიემ წამოიძახა: „ბრავო! მეც თქვენთანა ვარო“. რაიცა შეეხება ჩრდილოელ კაცს, ის ისე ჩუმად ლაპარაკობდა, რომ ვერაფერი გაიგონებდით.

პასკალონმა ის იყო ყური საკეტის ქუჭრუტანას მიაღო, რომ ერთბაშად წმიდა მამამ ლონიერი მჯილის manu militari¹ კარი ყურთამდე გააღო და მოწაფე წაგორდა აფთიაქის მოპირდაპირე ბოლოში. მაგრამ საერთო არეულობაში მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

კარის ზღურბლზე ტარტარენმა თითი ყაყაჩოს თავების შეკრულებისაკენ გაიშვირა, აფთიაქის ჰერქვეშ რომ შრებოდნენ, და მახვილამართული მთავარანგელოზივით სახედადინჯებულმა შეპყვირა:

— ნება ღვთისაა, ბატონო ჰერცოგო! ჩვენ დიადი საქმე გველის! და აი ერთმანეთში აირია გაწვდილი ხელები, გადაიხლართნენ, მაგრად მოუჭირეს ერთიმეორეს, თითქოსდა სურდათ საუკუნოდ განემტკიცებინათ ურღვევი ვალდებულებანი. გრძნობათა ამ აღფრთოვანებული გაზიარებით აღტყინებული ტარტარენი, წელში გაიმართა, თითქოს გაიზარდაო, და აფთიაქიდან გამოვიდა ჰერცოგ დე მონსთან ერთად, რათა ქალაქის შემოგლა კვლავ გაეგრძელებინა.

ორი დღის შემდეგ „ფორუმი“ და „სალამური“, ორი გაზეთი ტარასკონისა, სავსე იყო დაწყებულ კოლოსალურ საქმესთან დაკავშირებული წერილებითა და რეკლამებით. საერთო სათაური დიდი ასოებით იუწყებოდა: „თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი კ ო ლ ო ნ ი ა პ ო რ ტ - ტ ა რ ა ს კ ო ნ ი“. ამას მოსდევდა ჰკუთისდამკარგავე განცხადებები: „იყიდება მიწები, ხუთ ფრანკად ჰექტარი, რომელიც ათას ფრანკ შემოსავალს იძლევა წელიწადში... ქონების შექმნა სწრაფად და დაუბრკოლებლად შეიძლება... გვესაჭიროება კოლონისტები“.

მერე მოდიოდა ამბავი და აღწერილობა კუნძულისა, სადაც უნდა დამკვიდრებულიყო საგულგებელი კოლონია, თანაც აღნიშნული იყო: ამ კუნძულს, რომელიც ხელმწიფე ნეგონკოსაგან ჰერცოგ დე მონსს შეუსყიდია ერთი თავისი მოგზაურობის დროს, სხვა მიწა-წყალიც აკრავსო. მომავალში მისი შექმნაც შეიძლება, რათა კოლონიამ გაითვართოს თავის სამფლობელოთა ფარგლებიო.

¹ აქ — ძლიერი დარტყმით (ლ ა თ.).

ჰავა სამოთხისა, ტემპერატურა ოკეანისა, მეტად ზომიერი, ეკვატორთან სიახლოვის მიუხედავად, მერყეობს მხოლოდ 2-3 გრადუსამდე, 25 და 28 შუა. ქვეყანა ძლიერ ნაყოფიერია, საუცხოო ტყეებით გარშემორტყმული, დიდებულად მორწყული. მხარე ზღვის დონიდან მაღლა-მაღლა იწევს, რაც შესაძლებლობას აძლევს თითოეულს, აირჩიოს, სიმაღლე, თავისი ტემპერამენტის სავსებით შესაფერისი. დაბოლოს, სანოვაგე თავზესაყრელია, ხეები ნუგბარი ხილითა და ხუნძლული, ტყეებსა და მინდვრებში რაგინდარა ფრინველი თუნადირი არ ბუდობს, წყლებში კი უამრავი თევზიაო. კომერციული და საზღვაოსნო თვალსაზრისით თუ ვიტყვი, იქ ჩინებული რეიდი არის, მთელ ფლოტს დაიტევს, საიმედო ნავსაყუდელია, ჭებირებით დაცული, არიერ-პორტი, მშრალი დოკი, სანაპირო, დებარკადერა, შუქურა, სასიგნალო ანძა, ორთქლის ამწეები, — რა გინდა, სულო და გულო.

სამუშაოები უკვე დაწყებული აქვთ ჩინელ და კანაკ მუშებს, ყველაზე უფრო თვალსაჩინო ინჟინრების ხელმძღვანელობითა და გამოჩენილი არქიტექტორების გეგმების მიხედვით. ჩამოსულ კოლონისტებს დახვდებათ კომფორტაბელური საცხოვრებლები, და თუ 50 ფრანკსაც დაამატებენ, საზრიანი კომბინაციის საშუალებით სახლი ვის როგორც უნდა, ისე შეუძლია მოაწყოსო.

წარმოიდგინეთ, როგორ აუმუშავდათ ფანტაზია ტარასკონელებს, როცა ეს საკვირველებანი წაიკითხეს! ყოველ ოჯახში გეგმებს ადგენდნენ. ერთი მწვანე დარაბებზე ოცნებობდა, მეორე — ლამაზ პარმაღზე. ამას აგური უნდოდა, იმას — ქვიშიანი მიწა.

ხატავდნენ, აფერადებდნენ, ხან რას უმატებდნენ და ხან კიდევ რას: რა კარგი იქნებოდა სამტრედე, ფლუგერიც არაფერს დაამატებდაო.

— აჰ! მამა, ვერანდა?

— იყოს ვერანდაც, შვილებო!

რაც იქნება, ვითომ, იქნებაო..

იმ დროს, როდესაც ტარასკონის კეთილი მცხოვრებნი თავს ნებას აძლევდნენ იდეალურ კეთილმოწყობაზე ოცნებით გართულებულს, სამხრეთის ყველა გაზეტმა მოასწრო და გადმობეჭდა „ფორუმსა“ და „სალამურში“ გამოქვეყნებული წერილები, ხოლო ქალაქები და სოფლები წალეკეს ვინიეტებიანმა პროსპექტებმა. ამ ვინიე-

ტებში გამოსახული იყო პალმები, ქოქოსი, ბანანები, ხანაც ლატანიები, — ერთი სიტყვით, მთელი ეგზოტიკური ფაუნა. გაცხოველებული პროპაგანდა გაჩაღებულყოფილ მთელს პროვანსში.

ტარასკონის გარეუბანთა მტვრიან გზებზე გაშლილი ჩორთით მიჰქროდა ტარტარენის კაბრიოლეტი; პატრონი თვითონ მართავდა კაბრიოლეტს. გვერდით წინარზე მამა ბატალიე უჯდა. მჭიდროდ მიჰკვროდნენ ესენი ერთიმეორეს, რათა თავიანთი სხეულით საყრდენისა და საფარველის მაგიერობა გაეწიათ ჰერცოგ დე მონსისათვის, რომელსაც მწევანე პირბადე მოებურა და ქინქლებსაგან იცავდა თავს. ეს ქინქლები ბზუილით შემოსეოდნენ გუნდ-გუნდად ყოველის მხრიდან, მოსვენებას არ აძლევდნენ, სისხლი სწყუროდათ ჩრდილოელი კაცისა, უნდოდათ მწარედ დაეკბინათ, დაესივებინათ.

ო, ეს ნამდვილი ჩრდილოელი იყო, სწორედ! გარინდებული, სიტყვაძუნწი, აღუშფოთველი!.. ცრუ ოცნებით გატაცება არ იცოდა... საგნებს ფხიზელი თვალთ უყურებდა, ხედავდა ისე, როგორც ისინი არიან! ფიქრი არაფრისა გქონდათ იმასთან, შეგეძლოთ ნდობოლით.

ქადრებით მოჩრდილულ პატარა მოედნებზე, ძველ გარეუბნებსა თუ ბუზებისაგან აკლებულ სამიკიტნოებში, საცეკვაო დარბაზებში — ყველგან, იყო ერთი საზეიმო სიტყვები, ქადაგებანი, ბჭობა-თათბირები.

ჰერცოგი დე მონსი ნათლად და მოკლედ, ხალასი ჭეშმარიტებათ ნაკარნახევი უბრალოებით, გადმოშლიდა პორტ-ტარასკონის სანეტარო მხარეებს და ამ საქმის სარფიანობას. ბერი მხურვალე დამოძღვრებით მოუწოდებდა ყველას საემიგრაციოდ, პეტრე მეუღადანოელის¹ ყაიდაზე. ტარტარენი, გზაში დამტვრიანებული, ვით ახალწომარი, თავისი ომახიანის ხმით მაღალფარდოვან სიტყვებს ისროდა: „გამარჯვება, დაპყრობა, ახალი სამშობლო“, და ამ სიტყვებს ის რაღაც მტკიცე მოძრაობით თითქოსდა სადღაც შორსა გზავნიდა, მსმენელთა თავს ზემოთ.

ზოგჯერ კამათი იმართებოდა და კითხვა-პასუხის სახე ჰქონდა:

¹ პეტრე ამიენელი, მეუღაბნონელ წოდებული (XI ს.) — ფრანგი ბერი; ქადაგებდა ჭვაროსნულ ლაშქრობას „უფლის კუბოს დასახსნელად“ და პირველი ჭვაროსნული ლაშქრობის დროს წინამძღოლობდა გლეხთა ლაშქარს.

— რაო, იცის იქ შხამიანი ცხოველები?

— სულ არა. გველს ერთსაც ვერა ნახავთ. ქინქლასაც კი. ნამდვილად რომა ვთქვათ, გარეული ნადირი იქ სრულებით არ იყო.

— აი, რომ ამბობენ, ოკეანეთში კაციქამიები ცხოვრობენო?

— რაჟა ბრძანებთ! იქ სუყველანი ვეგეტარიანელები არიან.

— მართალია, ველურები ტიტლიკანები დადიანო?

— ეს სიმართლეს არ არის მოკლებული, მაგრამ ყველანი როდი დადიან ასე. მერეა და, ჩვენ შევმოსავთ იმათ.

წერილებს, სხდომებს, ყველაფერს არგავონილი წარმატება ჰქონდა. მიმნდობი ხალხი ასობით და ათასობით დაიძრა ადგილიდან. ემიგრანტები მოზღვავდნენ, და განა მართო ტარასკონის მკვიდრნი? მოდიოდნენ მთელი სამხრეთიდან, ბოკერიდანაც კი! მაგრამ, შევდგეთ აქ, რაკი სიტყვამ მოიტანა! ტარასკონი მეტად თავხედებადა თვლიდა ბოკერის მცხოვრებლებს.

ამ ორ მეზობელ, მარტო რონით გაყოფილ ქალაქს შორის, ძველის-ძველი ყრუ სიძულვილი გურგურებს, და ამ სიძულვილს ბოლოც არ უჩანს. მიზეზთა ძებნას თუ შეეუდგებით, ორივე მხარე ისეთ რასმე გეტყვით, რომ ვერაფერს გაუგებთ.

— ვიცნობთ მაგ ტარასკონელებს... — იდუმალი კილოთი ამბობენ ბოკერელები.

ტარასკონელები კიდევ ეშმაკურად ჩაგვირავენ თვალს და მოგიგებენ:

— ყველამ კარგად იცის, ვინცა ბრძანდებიან ვაჟბატონი ბოკერელები.

მართლაც, მიმოსვლა ერთი ქალაქიდან მეორეში სრულებით არ არის და ხიდი ტყუილადა ცდება... თავის დღეში ზედ არავინ გადის. შუღლი უშლით ხელს, ჭერ-ერთი, და მერე კიდევ ისიც, რომ ქარის სიმძაფრე და მდინარის სიფართოვე ამ ადგილას ხიდით სარგებლობას სახიფათოსა ხდის.

მაგრამ თუ ბოკერელ კოლონისტებზე უარს ამბობდნენ ტარასკონელები, ფულს ყველასაგან მშვენიერად იღებდნენ. საქოჰმანები ხუთფრანკიანი ჰექტრები (წელიწადში რამდენიმე ათასი ფრანკის შემოსავალს რომ იძლეოდნენ) ფრენა-ფრენით საღდებოდა. ყოველის მხრიდან მოდიოდა აგრეთვე საჩუქრები კოლონიის საქიროებისათვის ამ საქმის თავგამოდებული თანამგრობლებისაგან.

„ფორუმი“ აქვეყნებდა მათ შეწირულებათა სიას. ამ შენაწირებს შორის იყო არაჩვეულებრივზე არაჩვეულებრივი რამეები:

უ ს ა ხ ე ლ ო დ გ ა მ ო გ ზ ა ვ ნ ი ლ ი: კოლოფი წვრილი თეთრი მძივებით. „ფორუმის“ ნომერთა კომპლექტი.

ბ-ნ ბ ე კ უ ლ ე ს ა გ ა ნ ო რ მ ო ც დ ა ხ უ თ ი თ მ ის ბ ა დ ე ხ ა ვ ე რ დ ის ყ ა თ ნ ის ა და მძივები ინდიელი ქალებისათვის.

ქ-ნ დ უ რ ლ ა დ უ რ ი ს ა გ ა ნ: ექვსი ცხვირსახოცი და ექვსი დანა საეკლესიო კრებულისათვის.

უ ს ა ხ ე ლ ო დ გ ა მ ო გ ზ ა ვ ნ ი ლ ი: მოქარგული ალამი მგალობელი გუნდისათვის.

ა ნ დ ი უ ზ ი დ ა ნ, მ ა გ ე ლ ო ნ ა ს ა გ ა ნ: ფლამინგოს ფიტული.

მ ა რ გ ის ო ჟ ა ხ ის ა გ ა ნ: სამოცდათორმეტი ძალის საყელო.

უ ს ა ხ ე ლ ო დ გ ა მ ო გ ზ ა ვ ნ ი ლ ი: მოსირმული კურტაკი.

ე რ თ ი მ ო რ წ მ უ ნ ე მ ა რ ს ე ლ ე ლ ი მ ა ნ დ ი ლ ო ს ნ ის ა გ ა ნ: შესამოსელი, ოქრომკედით ნაკერი ნაკერი მესაცეცხლურესათვის და სანაწილეს გადასაფენი.

მ ი ს გ ა ნ ვ ე: ხეშეშფრთიანთა კოლექცია, მინის ქვეშ მოთავსებული.

და ყოველ სიაში უქვეველად აღნიშნული იყო მადემუაზელ ტურხნატუარის შემოწირული: „ტანსაცმლის კომპლექტი, ველურის შესაძოსავი“. ასეთი რამ მუდმივ საზრუნავს წარმოადგენდა ამ კეთილი, გაუთხოვრად დაბერებული ასულისა. მთელი ეს საკვირველი ფანტასტიკური საბოძვარნი, რომლებშიაც გადმოფარჩული იყო სანხრეთული წარმოსახვის ნიქის უცნაური თავისებურებანი, იგზავნებოდა ჰავსე ყუუბებით მარსელს — დოკებში, თავისუფალი კოლონიის საწყობებში. ჰერცოგმა დე მონსმა იქ დაიმკვიდრა ცენტრი თავისი საქმიანობისა. საუცხოოდ მოწყობილი კანტორების საშუალებით ის საქმეებს ატრიალებდა; აყალიბებდა საზოგადოებებს; შაქრის ლერწმის წარმოებისას, ანდა ტრეპანგის დამამუშავებელს. ტრეპანგი ერთგვარი მოლუსკია, რომელიც ძალიან უყვართ ჩიჩელებს და იმაში ფულს არ ზოგავენო, — ეწერა განცხადებაში. ყოველი დღე მოუღალავი ჰერცოგისა მოწმე იყო ახალი იდეის აღმოცე-

ნებისა და იმ უდიდესი მანქანიერი წამოწყებისა, რასაც იმავ საღამოს ხორცი შეესხმებოდა ხოლმე.

ამავ დროს მან დააარსა მარსელელ აქციონერთა კომიტეტი, ბერძენი ბანკირის კავარასაკის თავმჯდომარეობით. ამ კომიტეტის შემოსავალი მოათავსებინა პამენიან-ბენ-კაგას თურქულ ბანკში, სრულიად საიმედო ადგილას.

ტარტარენი ახლა თავის მოუსვენარ ცხოვრებას მგზავრობაში ატარებდა: მიდი-მოდლოდა ტარასკონიდან მარსელში, მარსელიდან ტარასკონში. აგულიანებდა, ცეცხლს უკიდებდა თანამოქალაქეთ, კვლავ პროპაგანდას ეწეოდა მათ შორის, და მერე უეცრად მოსწყდებოდა და მიქროდა სწრაფი მატარებლით აქციონერების რომელიმე თათბირსა ან სხდომაზე დასასწრებად.

ყველას ჰერცოგ დე მონსის აღუშფოთველობას, ჰერცოგ დე მონსის კეთილგონიერებას მოუყვანდა ხოლმე მაგალითად.

— შიში ნუ გაქვთ, გაზვიადება არა სჩვევია! მირაჟების ტყვეობაში არ ვიქნებით იმასთან, ასე რომ გვისაყვედურებდა დოდე.

სამაგიეროდ, ჰერცოგი იშვიათად თუ ეჩვენებოდა ვისმე, ქინკლებისაგან დასაცავად მუდამ პირბადე ებურა და თითქმის სულ არა ლაპარაკობდა. ჩრდილოელი თავს იჩქმალავდა, მუდამ სამხრეთელს სწევდა წინ და მის დაუშრეტელ სიტყვას აქისრებდა განმარტებების, დაპირებების მიცემას და ყოველგვარ ვალდებულებათა აღებას. ამის მეტს ის არას ამბობდა:

— მარტო ბატონმა ტარტარენმა იცის ჩემი განზრახული.

ახლა წარმოგიდგენიათ, როგორ ეამაყებოდა ტარტარენს ჰერცოგის ნათქვამი!..

III

„პორტ-ტარასკონის გაჯეთი“. კეთილი აგაგი კოლენიიდან. კოლიბაშიაში. ტარასკონი დოზის ასაშვებად ვიზაღება. „ნუ წამოხვალთ, ღმთის გულინათვის, ნუ წამოხვალთ!“

ერთ დილას, ტარასკონელებმა რომ გამოიღვიძეს, ქუჩის ყოველ კუთხეში ეს დეპეშეა დახვდათ გაკრული:

„ფარანდოლა“, დიდი იალქნიანი ხომალდი ათას ორასი ტონის წყალწყვისა, გავიდა მარსელიდან გარიჟრაჟზე, თან წაიღო მთელი ხალხის ბედ-იღბალთან ერთად, ხაზბუბა ველურებისათვის და ერთი წყება სამიწათ-

მოქმედო იარაღი. ხომალდზე რვაასი ემიგრანტია, სუყველა ტარასკონელი. მათ შორის არის ბომპარი, დროებითი გუბერნატორი კოლონიისა, ბეზი-სკე, ექიმი-ფარმაცევტი, წმინდა მამა ვეზოლი და ნოტარიუსი კამბალა-ლეტი, მიწისმზომელი. მე თვითონ გავაცილე ისინი გაშლილ ზღვაში. ყველაფერი რიგზეა. ჰერცოგს სახე უბრწყინავს. დააბეჭდვინეთ.

ტ ა რ ტ ა რ ე ნ ტ ა რ ა ს კ ო ნ ე ლ ი.

ამ ტელეგრამამ, პასკალონს რომ გამოუგზავნეს და მანვე მთელ ქალაქში რომ გააკრევეინა, ლხენით აავსო ყველანი. ასე გეგონებოდათ, დღესასწაულიაო, ისეთი ელფერი დაედო ქუჩებს. მცხოვრებნი გარეთ გამოშლილიყვნენ, ჯგუფ-ჯგუფად იყრიდნენ თავს ნეტარი დეპეშის აფიშების წინ და პირიდან პირში გადადიოდა: „ხომალდზე რვაასი ემიგრანტია... ჰერცოგს სახე უბრწყინავს...“ ერთი ტარასკონელიც არ დარჩენილა, ჰერცოგსავით სახე რომ არ უბრწყინავდა.

ემიგრანტების ეს უკვე მეორე წყებას, — პირველი წყება ერთი თვის წინ გემ „ლუციფერი“ გაემგზავრა, — მარსელიდან აღთქმულ მიწაზე ისტუმრებდა ტარტარენი, რომელსაც მიებოდა მაღალი წოდება და დაეკისრა უდიდესი ვალდებულებანი პორტ-ტარასკონის გუბერნატორისა. კიდევ ორჯერ მოვიდა დეპეშა; შიგ ისეთივე აღტაცება იყო გამოთქმული და ისევე ბოლოვდებოდა — ჰერცოგს სახე უბრწყინავსო. საუბედუროდ, „ლუციფერი“ ვერ გასცილდებოდა სუეცის შესავალს. ფათერაკი დამართოდა: ღერძი გასტყდომოდა, და ეს ძველი, შემთხვევით ნაყიდი გემი, იძულებული გამხდარა დაეცადა, ვიდრე „ფარანდოლა“ წამოეწეოდა და დახმარებას გაუწევდა, რათა კვლავ გზა გაეგრძელებინა.

ეს ამბავი ავის მომასწავებლად შეიძლება თითქოს ჩათვლილიყო, მაგრამ მან ოდნავაც ვერ შეანელა ტარასკონელების კოლონიზატორული გზება. ეს კია, პირველ ხომალდზე მარტოოდენ წვრილფეხობა იყო და, განა არ იცით, უბრალო ხალხს მუდამ რომ წინა გზავნიან? „ფარანდოლაზეც“ წვრილფეხობა იყო, მაგრამ შიგადაშიგ ისეთი ფიცხი ადამიანებიც ერია, როგორც ნოტარიუსი კამბალალეტი, კოლონიის მიწისმზომელი.

მეაფთიაქე ბეზიუსკე, მშვიდი ბუნების ადამიანი, თავისი უშველებელი უღვაშის მიუხედავად, მყუდრო ცხოვრების მოყვარული, სიცხისა და ზიცივის მოშიშარი, სულაც არ იყო განწყობილი გრძელ

ხიფათიან მოგზაურობას შესდგომოდა და დიდხანს ვერ დაიყოლიეს გემზე დამჯდარიყო.

ვერც ვერაფერი გადააწყვეტინებდა ამ ნაბიჯის გადადგმას, თუ არა ეჭიმის დიპლომი, რისი მონატრულიც მთელი თავისი სიცოცხლე იყო და რაც ახლა პირადი უფლებით პორტ-ტარასკონის გუბერნატორმა მიანიჭა.

ნუნა იტყვიოთ, რა დიპლომები, რა მოწმობები თუ რწმუნებულებანი არ გასცა გუბერნატორმა, ვის რა თანამდებობა არ არგუნა: დანიშნა მეუფროსეები, მდივნები, რწმუნებულები, წარჩინებულები პირველი კლასისა და მეორე კლასისა, და მით გული შეუსრულა თავის თანამემამულეებს, რაჟი იცოდა, როგორ უყვარდათ მათ ეს პატივი, ზარისხები, წარჩინების ნიშნები, სათანადო სამოსელი და ყაონები..

მამა ვეზოლის გამგზავრებას კი მსგავსი არა დასჭირებია რა. ექ კეთილი, გულითადი ადამიანი წინააღმდეგობას თავის დღეში არ გაგიწევდა. კმაყოფილი იყო ყველაფრისა და, რაც უნდა მომხდარიყო, მუდამ ასე იტყოდა ხოლმე: „მადლობა შენდა, უფალო“ მონატერი დაატოვებინეს — „მადლობა შენდა, უფალო!“ დიდ იაღქნიან ხომალდზე შეაგდეს, წვრილფეხობასთან ერთად, მთელი ხალხის ბედობა და ველურებისათვის განკუთვნილ რამერუმებთან, მიიწე „მადლობა შენდა, უფალოს!“ გაიძახოდა.

„ფარანდოლას“ წასვლის შემდეგ ტარასკონში მარტო მაღალი წოდების წარმომადგენლები და ბურჟუაზია ოჯახები დარჩნენ. საშურველი ამათ არა ჰქონდათ რა: ჩავიდეს ჯერ ავანგარდი და ამბავი გვაცნობოს იქიდან, რომ ვიცოდეთ, რა გზას დაეადგეთო.

ტარტარენი, ესეც, რა თქმა უნდა, ვითარცა გუბერნატორი, ორგანიზატორი, ჰერცოგ დე მონსის თანამზრახველი, ვერ დატოვებდა საფრანგეთს, თუ არ გასამგზავრებელთა უკანასკნელ წყებასთან ერთად. ამ სასოებით ნანატრი დღის მოლოდინში, ძალ-ღონეს არა ზოგავდა, გულის სიმხურვალეს არ აკლებდა საქმეს, როგორც მუდამ სჩვეოდა და რაც ყოველთვის აღტაცებას იწვევდა ხოლმე ხალხში.

ტარასკონსა და მარსელს შუა ერთთავად გზაში გაკრული, მოუხელებელი ვით მეტეორი, რომელსაც უძლეველი ძალა თან წარიტაცებს ხოლმე, ის ხან აქ გაჩნდებოდა და ხან — იქ.

— იღლე-ებით მეტის-მეტად, მა... მა... სწა... ვლებელო!.. —
ლულულულებდა ენის ბორძიკით პასკალონი, როდესაც საღამოობით
აფთიაქში მოვიდოდა ოდნავ მოხრილი დიდი ადამიანი, რომელსაც
გახურებულ შუბლზე ოფლი სდიოდა.

მაგრამ ტარტარენი მაშინვე გასწორდებოდა წელში:

— მე იქ დავისვენებ. გავისარჯოთ, პასკალონ, გავისარ-
ჯოთ!

ბეზიუკეს გამგზავრების შემდეგ, მოწაფეს აფთიაქის მცველობა
დააკისრეს და ამ პასუხსაგებ საქმეს სხვა ბევრ სხვა მნიშვნელოვან
თანამდებობას უთავესებდა.

ასე წარმატებით დაწყებული პროპაგანდა რომ კვლავაც გაეწია,
ტარტარენმა ითავა „პორტ-ტარასკონის“ გაზეთის გამოცემა. ამ გა-
ზეთს პირველიდან ბოლო სტრიქონამდე გუბერნატორის მითითებე-
ბითა და მისი უზენაესი ხელმძღვანელობით მარტო პასკალონი
წერდა.

მოვალეობათა ასეთი შეჯგუფება ვნებდა, ცოტა არ იყოს, აფთი-
აქის საქმეს. წერილების წერა, საკორექტურო ფურცლების სწორე-
ბა, სტამბაში სირბილი — ყველა ეს განაღდა ტოვებდა დროს წამ-
ლების დასამზადებლად, — მაგრამ... პორტ-ტარასკონი, პირველ
ყოველსა!

გაზეთი ყოველდღე აწვდიდა მეტროპოლიის მცხოვრებთ ცნო-
ბებს კოლონიზე; წერილებში აღწერდა მის ბუნებრივ სახსრებს,
სილამაზეს, საუკეთესო მომავალს. იბეჭდებოდა იქ აგრეთვე სხვა-
დასხვა ამბებიც, ნარევიც, მოთხრობებიც — ყველა გემოვნების შე-
საფერისი.

მოთხრობები კუნძულების აღმოსაჩენად მოწყობილ მოგზაუ-
რობებზე, დაპყრობანი, ბრძოლები ველურებთან — გულოვნებან
მოყვარულთათვის იყო ნავარაუდევი. სოფლად მცხოვრებ აზნაურ-
თაათვის განეკუთვნებინათ ტყეებში ნადირობის ამბები, თევზჭერის
საკვირველი შემთხვევები თევზით არაჩვეულებრივად უზვ მდინა-
რეებზე; ამას დართული ჰქონდა აღწერა თევზაობის ხერხებისა
და ხელსაწყოებისა, რითაც ადგილობრივი მკვიდრნი სარგებ-
ლობდნენ.

უფრო მშვიდობიანი გუნების ხალხი, მედუქნეები, დარბაისელა
ფეხმოუცვლელი ბურკუანი, ტკებოდნენ აღწერილობით რამ საუზ-

მისა სუფთა, ჰაერზე, მოლზე, მოჩუხჩუხე ნაკადულის პირას, დიდ-რონი ეგზოტიკური ხეების ჩრდილში. წამკითხავთ თავი იქ ეგონათ და პირში თითქოს გრძნობდნენ კიდევ წვესს ჩაკეტილი გემრიელი ხილისას — მანგოსი, ანანასის, ბანანისა.

„თანაც ბუზს წამლადაც ვერ იშოვი!“ — ირწმუნებოდა გაზეთი, ბუზები კი, კარგად მოგეხსენებათ, მუდამ ჩაუმწარებდნენ ხოლმე ქალაქკარგთ სასეირნოდ გასულ ტარასკონელებს მხიარულებას.

გაზეთი რომანსაც კი ბეჭდავდა. რომანს „მშვენიერი ტარასკონელი ასული“ ერქვა. აქ აღწერილი იყო ერთი კოლონისტი ქალის ამბავი. იგი პაპუასთა ხელმწიფის შვილს გაეტაცა. პერიპეტეები ამ სასიყვარულო დრამისა დიდ გასაქანს აძლევდა ახალგაზრდების ფანტაზიას. საფინანსო განყოფილება ბეჭდავდა ცნობებს კოლონიური საქონლის მაზანდაზე, აცხადებდა მიწის ქვითრებისა და შაქრის და სპირტსახდელი ქარხნების აქციების გამოშვებას, აგრეთვე ხელისმომწერთა გვარებსა და შეწირულებათა სიებს, რომელნიც კვლავ შემოდდიოდნენ. ამ შეწირულებებს ერთთავად ახლდა ხოლმე მადმუაზელ ტურნატუარის მუდმივი „ტანსაცმელი ველურისათვის“.

ამგვარი ამანათებისათვის თავი რომ გაერთვა, კეთილ ქალწულს დასჭირდა თავის სახლში მზად შეკერილი ტანსაცმლის ნამდვილი სახელოსნო გაეხსნა. თუმცაღა მარტო ამას არ გასჩენია უცნობ და ეგზომ შორეულ კუნძულზე გახიზვნასთან დაკავშირებით უჩვეულო საზრუნავნი.

ერთხელ ტარტარენი, ფოსტლებში ფეხებწადგმული და საშინაო ხალათში საამოდ შეფუთენილი, მშვიდად ისვენებდა თავის პატარა სახლში, მაგრამ უმოქმედოდ როდი იყო. ამას მოწმობდა მის გვერდით, მაგიდაზე, მიყრილ-მოყრილი ქალღაღებები და წიგნები: მოგზაურობათა აღწერილობა ბუგენვილისა, დიუმონ-დიურვილისა¹, ნაშრომები კოლონიზაციაზე, სხვადასხვაგვარ სამიწათმოქმედო კულტურათა დამხმარე სახელმძღვანელოები. იგი მოწამლულ ისრებში, იქვე ბაობაბის მახლობლად იჯდა. ბაობაბის პაწია ჩრდილი

¹ ბუგენვილი ლუი-ანტუანი (1729—1811) — ფრანგი ზღვაოსანი. ცნობილი თავისი აღმოჩენებით ოკეანეთში. დიუმონ-დიურვილი ვიულ-სებასტიან-სეზარი (1790-1842) — სახელგანთქმული ფრანგი ზღვაოსანი.

თრთოდა ფარდებზე. ტარტარენი თავისი „კოლონიის“ შესწავლაში ჩანთქმულიყო და თავს იტენიდა წიგნებში ამოკითხული ცნობებით. მუშაობისას დროდადრო ხელს მოაწერდა ხოლმე რამე მოწმობას, დანიშნავდა ვისმე პირველი კლასის წარჩინებულად, ანდა იგონებდა ახალ თანამდებობას, რათა რამდენადაც კი შეეძლო დაეკმაყოფილებინა თანამოქალაქეთა პატივმოყვარული ეჩინი.

ასე მუშაობაში ჩაფლულს, თვალებს რომ აბრიალებდა და ლოყებსა ბერავდა, მოახსენეს: ვილაც ქალი მოვიდა, შავვუალიანი, ვინაობას არ ამბობს და თქვენთან ლაპარაკი უნდა; შინ შემოსვლა არ ისურვა და ბაღში გელოდებათო. ამის გამგონე ტარტარენი, სასწრაფოდ გაქანდა, როგორც იყო ისე, ფლოსტებითა და საშინაო ხალათით.

დღე იწურებოდა და ბინდში საგნები გაურკვეველნი ჩანდნენ; მაგრამ ვერც ჩამოწოლილმა სიბნელემ, ვერც სქელმა ვუალეტმა ვერ შეუშალეს ტარტარენს ხელი, მაშინვე იცნო სტუმარი მარტოდენ ცეცხლოვან თვალთა ელვარებაზე, ტიულში რომ გამოუკრთოდა:

— ქალბატონო ექსკურბანიეს!

— ბატონო ტარტარენ, თქვენ წინაშე დგას ძალიან უბედური ქალი.

ხმა უკანკალებდა, ცრემლი ყელში ებჭინებოდა. ჩვენს კეთილკაცს გული აუჩვილდა და მამობრივი კილოთი დაეკითხა:

— ჩემო საბრალო ეველინა, რა ამბავია თქვენს თავს?.. მითხარით...

ტარტარენი ასე სახელით მიმართავდა თითქმის ყველა მანდილოსანს ქალაქში, რადგანაც ბავშვობიდანვე იცნობდა მათ; მერე, ქალიშვილობაში, ის ათხოვებდა ხოლმე, როგორც მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, და შემდგომ კი მათი ახლო მეგობარი და ბიძია იყო.

ჩვენმა გმირმა მკლავში ხელი გაუყარა ეველინას და წითელთევზებიანი აუზის ირგვლივ შემოატარა. ქალი კი ამ დროს უამბობდა თავის დარღს, თავის ოჯახურ წუხილს უზიარებდა.

რაც ამ შორეულ მხარეს გადასახლებაზე შეიქნა ლაპარაკი, ჩემი ქმარი დიდ სიამოვნებასა გრძნობს, სად არის და სად არა, ხუმრობა-მუქარის კილოთი მეტყვის ხოლმე:

„აი, შენ ნახავ, შენ ნახავ, ჩავიდეთ ერთი იმ პოლიგამი-
აშიო...“

ვევლინას, ექვიანს, თანაც მიამიტსა და ცოტათი მოსულელო
ქალს ეგონა, კი არ მეხუმრება, ამას სერიოზულად მეუბნებაო.

— მართალია ეს, ბატონო ტარტარენ, რომ იმ საშინელ ქვეყა-
ნაში კაცებს შეუძლიათ რამდენჯერმე შეირთონ ქალი?

ტარტარენმა დინჯად დაამშვიდა:

— არა, ჩემო ძვირფასო ვეველინა, თქვენ სცდებით!.. ველურე-
ბი ჩვენს კუნძულებზე ერთცოლიანები არიან. მათი ზნე-ჩვეულება
სრულიად წესიერია და კანონს ექვემდებარება. თანაც ახლა ჩვენი
„თეთრი მამების“ წინამძღოლობაც რომ ელით, საშიში ამ მხრე
აღარაფერია.

— აბა, მაშ, ამ ქვეყნის სახელი... პოლიგამია...!

მარტო მაშინ ჩახედა ტარტარენი ამ უდიდესი ქილივის ოხუნ-
ჯობის არსს და მხიარულად გადაიხარხარა:

— თქვენნი ქმარი დაგცინით, ჩემო პატარა. პოლიგამია კი
არა, პოლინეზია ჰქვია იმ ქვეყანას, რაც ნიშნავს კუნძულები
ჩვეუფს, და თქვენ ნურაფრისა გედარდებთ.

ბევრი იცინეს მერე ამაზე ტარასკონში!

ამასობაში დღეები დღეებს მისდევდა, ემიგრანტებისაგან კი წე-
რილები არ მოდიოდა; მარტოდენ დეპეშებს თუ გადმოგზავნიდა
ხოლმე ჰერცოგი მარსელიდან. ამ ლაკონიურ დეპეშებს გამგზავრე-
ბულები გზავნიდნენ აღენიდან, სიდნეიდან, ერთი სიტყვით, იმ ნავ-
სადგურებიდან, სადაც კი „ფარანდოლა“ შეივლიდა ხოლმე.

ბოლოს და ბოლოს, ეს გასაკვირველიც არ იყო, თუ მხედველო-
ბაში მივიღებთ ტარასკონელთა დაუდევრობას, სიზარმაცეს.

ან კი რისთვის უნდა მოეწერათ წერილები! დეპეშებიც საკმარისი
იყო სრულიად. „გაზეთში“ რეგულარულად ბეჭდავდნენ ამ დე-
პეშებს, რომლებიც მუდამ კეთილ ცნობებს შეიცავდნენ.

„მოგზაურობა მშვენიერია, ზღვა მოლივლივე, ყველანი ჯანსა-
ლად არიან“.

ენტუზიაზმი რომ არ ჩაჰქრობოდათ. მეტიც არ იყო საჭირო.

1 პოლიგამია — მრავალცოლიანობა, მრავალქმრიანობა.

ბოლოს, ერთ დღეს, გაზეთის თავში გაჩნდა შემდეგი დეპეშა, როგორც ყოველთვის მარსელიდან გადმოგზავნილი:

„ჩამოვედით პორტ-ტარასკონს. ტრიუმფალური შესვლა ნავსა-ყუდელში. მეგობრობა ჩვენს შესახვედრად ნავსადგურში გამოსულ ადგილობრივ მკვიდრებთან. ტარასკონული დროშა ფრიალებს ქა-ლაქის რატუნაზე. საარქიეპისკოპოსო ეკლესიაში პარაკლისი გადა-ვიხადეთ. ყველაფერი მზად არის. ჩქარა წამოდით“.

ქვემოთ თვით ტარტარენის ნაკარნახევი აღფრთოვანებული წე-რილი დაებეჭდათ ახალ სამშობლოზე, ახალგაზრდა ქალაქზე, ღვთის ნამდვილ წყალობაზე, გაუტეხელ მიწაზე აღმართულ ცივილიზა-ციის დროშაზე, ყველასათვის ხსნილ მომავალზე.

მორჩა, აღარავინ ყოყმანობდა. ახალი გამოშვების ასტრანკიანი ბონები, თითოეული—ერთი ჰექტარის შესასყიდლად სამყოფი, ფუ-ნთუშებივით სალდებოდა.

მესამე წოდება, სამღვდლოება, აზნაურობა — მთელი ტარას-კონი მოსურნე იყო გამგზავრებისა. ნამდვილმა ციებ-ცხელებამ, გადასახლების სურვილმა აიტანა და გააგიჟა მთელი ქალაქი. კოსტეკალდევით ჭირვეულები, უხალისონი თუ უნდობელნიც კი, ყველანი მხურვალე მომხრენი შეიქნენ შორეული კოლონიზა-ციისა.

ყველგან დიდიდან სადამომდე ერთი სამზადისი გაეჩაღებინათ. ყუთებს პირდაპირ ქუჩებში ჰედავდნენ, ბზითა და თივით დაფარულ ქუჩებში, და გაუთავებლად უჩაქუნებდნენ ჩაქუჩს.

გახალისებული მამაკაცები უპიჯაკოდ მუშაობდნენ, მღეროდნენ, უსტვენდნენ, ერთმანეთს იარაღს ართმევდნენ და ქილიკაობდნენ მხიარულად. წასაღებად ამზადებდნენ ქალები თავიანთ მოკაზმუ-ლობას, „თეთრი მამები“ — სანაწილეებს, პატარები — სათა-მაშობებს.

ტარასკონის მაღალი საზოგადოების წასაყვანად დაფრახტული და „ტუტუ-პანპანად“ მონათლული (როგორც ტარასკონელები დაირას ეძახიან) დიდი რკინის გემის მართვა იკისრა შორი ნაოსნობის

კაპიტანმა, ტულონელმა სერაპუშინამ. ჩაბარგებით თვით ტარასკონში უნდა ჩაბარგებულიყვნენ.

რაკი რონის წყალი ხელს უწყობდათ და ხომალდიც დიდი წყალწყვისა არ გახლდათ, მან თავისუფლად გაიარა მდინარე ქალაქამდე. სანაპიროზე დატვირთვა-ჩაბარგებას კი მთელ თვეს მოუხდნენ.

სანამ მეზღვაურები ტრიუმში ყუთებს დგამდნენ, მომავალი მგზავრები წინათვე ეწყობოდნენ კაიუტებში. ახლა როგორის გატაცებით, როგორის თავაზით ცდილობდა თითოეული სამსახური გაეწია და ეამებინა დანარჩენებსათვის.

— ეს ადგილი გირჩეენიათ? შაგაზე გაწყენინებთ!

— ეს კაიუტა უფრო მოგწონთ? როგორც გენებოთ!

და ასე ყველაფერზე.

ტარასკონელი დიდკაცობა, ჩვეულებრივად ასე ქედმალო, ცხვირაწეული დ'ეგებულები და დ'ესკიუდებლები ახლა ბურჯუაზიას უძმობილდებოდნენ.

შუა ტვირთვაში და ერთ ყოფაში რომ იყვნენ, ერთხელ დილაოწერილი მოვიდა მამა ვეზოლისაგან, — პირველი კორესპონდენცია, პირდაპირ პორტ-ტარასკონიდან:

„მადლობა შენდა, უფალო, ჩვენ ჩამოვედით, — იუწყებოდა ერთილი მამა. — ბევრი რამ გვაკლია... მაგრამ მაინც მადლობა შენდა, უფალო...“

აღარც აღტაცება, აღარც სხვა რამ დაწერილებითი ცნობა. წმინდა მამა მარტო ხელმწიფე ნეგონკოზე ლაპარაკსა სჯერდებოდა და ლიკირიკოზე, ხელმწიფის პატარა ქალიშვილზე, მომხიბლავ პატარა გოგონაზე, ვისთვისაც ვეზოლს მძივის ბაღე ეჩუქებინა, თმაზე გასაკეთებელი. წმინდა მამა თხოულობდა ბოლოს, უფრო პრაქტიკული რამეები გამოგზავნეთ, ვიდრე ეს ხელისმომწერთა შემონაწირებიაო. ეს იყო და ეს.

თვით პორტზე, ქალაქზე, კოლონიტების დასახლკარებაზე, ერთი სიტყვაც არ იყო თქმული, მამა ბატალიე ავობდა, ილანძლებოდა გააფთრებული:

„თქვენი მამა ვეზოლი დოყლაპია ვინმე ყოფილა. ჩავიდე ერთი, მაგრად შეგიჯოროთო!“

ამ კეთილმოსურნე კაცისაგან ასე ცივი წერილის მიღება, მარ-

თლაც რომ, მეტად მოულოდნელი იყო. მაგრამ ის ცუდი შთაბეჭდილება, რაიცა წერილს შეიძლება მოეხდინა, დაინთქა ფაცაფუცში, აურზაურსა და მთელი ქალაქის გადასახლების გამაყრუებელ ხმაურში.

გუბერნატორი — ყველა ასე ეძახდა ახლა ტარტარენს — ერთთავად სულ „ტუტე-პანპანზე“ იყო. ხელები ზურგზე დაედო და მოლიმარი წინ და უკან დადიოდა ამ დახაფრულ უცნაურ საგანთა ხროვაში — შულდაკებში, პატარა კარადებში, სათბურებში, ტრიუჟში ჯერ კიდევ რომ ვერ დაეტიათ, და ყველას ბრძნულად არიგებდა კჳუას:

— რად გინდათ, ამდენი რამ რომ მიგაქეთ? იქ ყველაფერს იშოვით, რაცა გჭირდებათ.

თვითონ მან მიატოვა თავისი ისრები, ბაობაბი, წითელი თევზები, მარტო ამერიკული ოცდათორმეტმუხტიანი კარაბინი წაიღო თან და ერთი საპალნე ფლანელი.

ახლა არ იტყვიოთ ყველაფერს როგორ პატრონობდა, თვალყურს როგორ ადევნებდა, მარტო ხომალდზე კი არა, ქალაქშიაც! არც საგუნდო საზოგადოების რეპეტიციებს აკლდებოდა, არც ლაშქრის მხედართა სამწყობრო მეცადინეობას ქალაქის სასიერნო წრეზე.

პამპერიგუსტის ალყას გადარჩენილი ტარასკონელთა ეს სამხედრო ორგანიზაცია გაძლიერებულ იქნა იმ მიზნით, რომ დაეცვათ კოლონია და ეწარმოებინათ დაპყრობითი ბრძოლები, მის გასაფართოებლად ნავარაუდევი. ტარტარენი, მოლაშქრეთა მხედრული გამართულობით აღტაცებული, კმაყოფილებას გამოთქვამდა და ხშირად ბრძანებებში მადლობას უცხადებდა როგორც თვით მხედართ, ასევე იმათ მეთაურ ბრავიდასაც.

მაინც კი ზოგჯერ გუბერნატორის შუბლს მკმუნვარების მამხელი ღარი გადასერავდა ხოლმე.

ორი დღით ადრე გამგზავრებამდე, ბარათორმა, რონელმა მეთევზემ, ნაპირის ტირიფნარში იპოვა ჰერმეტულად დაცობილი ცარიელი ბოთლი, რომლის ჯერ კიდევ საკმარისად გამჟვირგალე შუშაში შეიძლებოდა დახვეული ქალაქის მავგარი რაღაც გაგერჩიათ.

რომელმა მეთევზემ არ იცის, მსგავსი ნამუსრევი რომ ხელი-

სუფალთ უნდა გადაეცეს, და ბარათორმაც გუბერნატორ ტარტარენა მოუტანა საიდუმლო ბოთლი, მეტად უცნაური ეპისტოლეს შემცველი:

„ვეროპა,
ტარასკონი,
ტარტარენს.

საშინელი სტიქიური უბედურება პორტ-ტარასკონში. კუნძული, პორტი, ყველაფერი დაინთქა წყალში, გაქრა. ბომპარი, უებრო, როგორც ყოველთვის, ახლაც, როგორც ყოველთვის, ემსხვერპლა თავისივე თავგანწირულებას. ნუ წამოხვალთ, ღვთის გულისათვის! ნურავინ იფიქრებს წამოსვლას!“

ეტყობოდა, ვილაცას ეეშმაკა, თორემ შუაგულ ოკეანიდან ტალღა-ტალღა როგორ მოაღწევდა ბოთლი გულდაგულ ტარასკონამდე?

თანაც ეს: „როგორც ყოველთვის ემსხვერპლა“—განა მისტიფიკაციას არა ჰგავდა? ასეა თუ ისე, წინამოსწავება ესე ტარტარენის ტრიუმფს ანელებდა.

IV

ბარასკის დაბარება. აბა, ხომალდი წინ! ფუტარები ბოვებენ სკას. სუნი ინდოეთისა და სუნი ტარასკონისა. ტარტარენი სწავლობს კაპუანურს. შუაგულ გზაში.

აი თქვენ ხატულობაზე იცით ხოლმე ლაპარაკი.

გენახათ ერთი „ტუტუ-პანანის“ გემბანი 1881 წლის ამ მაისი¹ დილას — ხატულიაო, ამაზე ითქმოდა სწორედ! ყველა ნაწილის მეუფროსე საზეიმო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი: ტურნატუარა, მთავარი მეუფროსე ჯანმრთელობის დაცვისა, კოსტეკალდი, მეუფროსე სოფლის მეურნეობის ნაწილისა, ბრავიდა, მთავარსარდალი ლაშქრისა, და ოცი კიდევ სხვა, თვალში მოგხვდებოდათ ოქრო-მკედითა და ვერცხლით ნაქარგი თავიანთი ნაირფერი სამოსელით. ბევრს ჰქონდა აგრეთვე პირველი კლასის წარჩინებულის წითელი მოსასხამი, ოქროთი მოსირმული. ამ მოპრანჭულ ხალხში თეთრ ლაქსავით კიაფობდნენ ჯარის მღვდელი და გუბერნატორის კაპელანი მამა ბატალიე.

მეტადრე ლაშქარი ბრწყინავდა. უბრალო მხედართა დიდი ნაწილი სხვა გემებით გაემგზავრებინათ და მარტოოდენ ოფიცრები

ბრძანდებოდნენ აქ: გვერდზე ხმალი ჩამოეკიდათ და მაგრად დობლუჯათ, ქამარში რევოლვერი გაეჩარათ. წინწამოწეულ მკერდს ყაითანმოვლებული, აქსელბანდებიანი კოხტა დოლომანი უმშვენებდათ, გაწსაყურებით კი თავს იწონებდნენ საჩკესავით მოელვარე ჩინებული ჩექმებით.

ამ სამხედრო თუ ჩვეულებრივ ტანსაცმელში გამოკრთოდა ნაირ-ნაირად მოლივლივე, ღია, მხიარული ფერის კაბები ბანოვანთა, ჰაერში მოფარფარე მათი ბაფთები ან შარფები, აქა-იქ კიდევ — ტარსკონული თავსაბურები მოახლე გოგოებისა. ყოველივე ამის თავზე, სპილენძმოლაპლაპე ხომალდის ზემოთ, ცადაპყრობილ ანძებზე წარმოიდგინეთ ბღღვრიალა მზე, უქმე დღის მზე, მერე ირგვლივაც ცის დასალიერთან გაერთებული ვრცელი რონა, ზღვასავით ატალღებული, მისტრალით აქოჩრილი, და თქვენ ადვილად წარმოისახავთ „ტუტუ-პანპანს“, პორტ-ტარსკონში წასასვლელად გამზადებული.

ჰერცოგი დე მონსი არ დასწრებია ხომალდის გამგზავრებას, — ახალმა ემისიამ შეაყოვნა იგი ლონდონში. ვინ მოთვლის, რამდენი ფული იყო საჭირო ხომალდების, ეკიპაჟების, ინჟინრების და, საზოგადოდ, გადასახდლებსათვის საჭირო ხარჯების გასაძლოად! ჰერცოგმა დღეს დილითვე შეატყობინა დეპეშით, რა სახსრები ჰქონდათ. ყველანი აღტაცებულნი იყვნენ ამ ჩრდილოელი კაცის გერგილიანობით.

— ჩვენთვის ეს მაგალითია, ბატონებო! — იძახდა აღტყინებულის ტარტარენი და თანაც მუდამ დასძენდა: — მივბაძოთ მას... ნუ ავმჩატდებით!

თვითონ, მართლაც, მეტად დინჯი იერი ჰქონდა. თავ-თავიანთ სამოსში მოკაზმულ მეუფროსეებში გარეულს სულ უბრალოდ ჩაეცვა, ცდილობდა არავინ გაეოცებინა. მხოლოდ სერთუჯზე გაეკეთებინა პირველი ხარისხის ორდენის ლენტი.

„ტუტუ-პანპანის“ გემბანიდან შორით ჩანდნენ ქუჩის მოსახვევებში ჯგუფ-ჯგუფად მამავალი კოლონისტები, რომლებიც მერე სანაპიროზე გაიშლებოდნენ ხოლმე, და გემზე მყოფნიც იცნობდნენ ბოლოს, მიუსალმებოდნენ, სახელით დაუძახებდნენ:

— აგერ, როკტაილადები!

— შეხეთ! ბატონი ბრანკებალმი!

იყო ერთი ყვირილი, აღფრთოვანებული ვაშას ძახილი! დიდა ოვაციებით შეხვდნენ გრაფ ეგბულიდის მიხრწნილ ქვრივს, ას წელს მიტანებულ მოხუცს. წითელმურა აბრეშუმის მანტილით მოსილს ცალ ხელში სათბური ეპირა, ხოლო მეორეში — ბებერს თუთიყუშის ფიტული. იგი თავის კანტურით შეუდგა გემბანზე მარჯვედ ასვლას.

ქალაქი ყოველ წუთს უფრო ცარიელდებოდა. სახლები გამოეკეტათ, დუქნების დარბაზებიც დაეგმანათ, ყველგან ჟალუზები თუ ფორფიტანები ჩამოეშვათ, და ქუჩები თითქოს ამიტომ ფართონი გამოჩნდნენ.

როდესაც ყველანი ხომალდზე ავიდნენ, დადგა წამი საყოველთაო ჩაფიქრებისა, რაღაც დიადი დუმილისა. შეჭირვებული ორთქლის მძიმე ქშენა ისმოდა მხოლოდ ამ მდუმარებაში ასობით თვალმისჩერებოდა კაპიტანს, გემბანის ჯიხურში რომ იდგა და აგერ-აგერ ბრძანება უნდა გაეცა, ღუზა აუშვითო. უეცრად ვილაცამ დაიძახა: — მერე ტარასკი?

არ შეიძლება, არა გაეგეონოთ რა ტარასკზე, ზღაპრულ ურჩხულზე, რომლის სახელიც დაერქვა ქალაქ ტარასკონს. გაგახსენებთ მოკლედ იმის ამბავს: ჟამსა დიდი ხნის წინათ გარდასულსა, საზარელი გველშაპი აპარტახებდა რონის შესართავს. წმინდა მართა, ქრისტეს მიცვალების შემდეგ პროვანსს რომ მოვიდა. თეთრად მოსილი გაემართა ნადირის საძებრად ქანჭრობში. სულ მალე წმინდა ასულის უბიწოებითა და ღვთისმოშიშობით მოდრეკილი ნადირი მარტო ცისფერ ბაფთაზე მიბმული წამოჰყვა წმინდანს ქალაქში.

მას აქეთ ტარასკონელები ყოველ ათ წელიწადში ერთხელ დღესასწაულსა მართავენ. იმ დღეს ქუჩებში დაატარებენ ხისა და შეფერადებული მუყაოს ურჩხულს, რომელიც როგორღაც ხელიჭაყი ჰკავს, გველსაც და ნიანგსაც. ეს რაღაც ტლანქი და საცინელი გამოსახულებაა უწინდელი ტარასკისა. ახლა ის კერპად არის მიჩნეული, სახელმწიფოს ხარჯზე ცხოვრობს და მთელს მხარეში ცნობილია „დიდი-დედას“ სახელწოდებით.

უდიდიდედოდ წასვლას ტარასკონელები წარმოუდგენელ რამედ თვლიდნენ. რამდენიმე ახალგაზრდა გაქანდა უმაღლ და სასწრაფოდ მოაბრძანეს სანაპიროზე.

ყველას ცრემლი წასკდა, აღფრთოვანებული შეძახილები გაისმა, თითქოსდა სული ქალაქისა, თვით სამშობლოს სული ფეთქავდა მუყაოს ამ ზორზოხ, ძნელად დასაბარებელ ურჩხულში.

ხომალდში რაკი ვერ დაეტეოდა, გემბანზე მოათავსეს. სასაცილო, ვეებერთელა, ტილოსმუცლიანი და მოხატულფარფლებიანი, თანაც ქიბს ზემოთ თავი რომ ამოსჩროდა, ფეერიის ურჩხულსა ჰგავდა. იგი ჩინებულად ავსებდა გემის დატვირთვის სურათოვანსა და უჩვეულო სანახაობას და ხომალდის ცხვირზე გამოქანდაკებულ ქიმერას მოგაგონებდათ, ქიმერას, რომელიც განაგებს მოგზაურობას ბედ-იღბალს. მოწიწებით გარს ევლებოდნენ; ზოგნი ელაპარაკებოდნენ კიდევაც, ხელს უსვამდნენ, უალერსებდნენ.

ტარტარენმა რომ დაინახა, ხალხი აღელდაო, შეეშინდა, სინანული არ აღძვროდათ გულში, სამშობლოსა ვტოვებთო, და კაპიტანს სკრაპუშინას ანიშნა. კაპიტანმაც უეცრად ერთი საშინელი ჰქექის ხმით ბრძანება გასცა:

— აბა, ხომალდი წინ!

მაშინვე ფანფარების გრიალი და სტვენა გაისმა, ხრახნის ქვეშაც წყალი აბუებუყდა, მაგრამ ყველაფერი დაფარა ექსკურბანიეისის ხმამ:

— ვ ი ხ მ ო უ რ ო თ!..

ნაპირი მსწრაფლ დაშორდა ხომალდს. ქალაქმა, ხელმწიფე რენეს კოშკებმა უკან-უკან დაიხიეს, უფრო და უფრო დაპატარავდნენ და თითქოს დაინთქნენ მზის მთრთოლვარე შუქში, რონას რომ დასთამაშებდა.

გემის ქიშზე მშვიდად გადახრილიყვნენ სახემღიმარი ტარასკონელები, გულგრილად, აუღელვებლად გაჰყურებდნენ იმას, თუ როგორ შორდებოდა, უჩინარდებოდა მათ წინ სამშობლო. ახლა, რაკი საყვარელი ტარასკი თანა ჰყავდათ, სამშობლოს მოშორება ისევე არ ედარდებოდათ, როგორც ფუტკარს არ ედარდება, კარდლების ჩხარუნში სკას რომ იცვლის, ანდა შოშიათა მოზრდილ გუნდს, აფრიკაში რომ მიფრენს.

და, მართლაც, მათ ტარასკი მფარველობდა. მშვენიერი დარი, მოლაპლაპე ზღვა, არც ქარიშხალი, არც თქეში — საგანგებოდ შეწყობთ მგზავრებს ხელი.

სუეცის არხში მხოლოდ, ცოტა არ იყოს კი, გადმოაგდებინათ

ენა გავარჯერებული მზის სიმხურვალემ, თუმცა ყველას უკლებლივ ტარტარენის წამბაძველობით კოლონიალური თავსაბურები წამოეცვა — კორპის ზუჩები, რომელთაც თეთრი ტილო ჰქონდათ გადაკრული და მწვანე გაზის ვუალი ეკეთათ. მაგრამ ძალიან არ შეუწყუხებია ისინი ზვატს, ამ ბრძმედის სიცხოველეს, რასაც პროვანსის ცამ კარგა ხანია მიაჩვიათ.

პორტ-საიდი და სუეცი, მერე ადენიც უკან რომ მოიტოვეს და მქწამული ზღვაც გადალახეს, „ტუტუ-პანპანი“ წავიდა სწრაფად და თანაბარზომიერი სვლათ ინდოეთის ოკეანით. ზემოდან ცა გადმოსცქეროდათ — თეთრი, ღძისფერი, ხავერდოვანი, მსგავსი იმ ერთი რომელიდაცა ი ო ლ ი ს ი ს ა, კარგად გაქნილი ნივრის საწებელასი, გადასახლებულები ყოველი პურის ჭამის დროს რომ შეექცეოდნენ.

რალაც უზომოდ ბევრი ნიორი იხარჯებოდა ხომალდზე! წამოელთ ნივრის დიდი მარაგი, და მისი დამატკობელი სურნელი ხომალდის კიჩოს უკან ადენილ ჭავლსა ჰგავდა, — ასე რომ, სუნი ტარასკონისა ინდოეთის სუნში ირეოდა.

მალე ხომალდმა კუნძულებს ჩაუარა, — საკვირველ ყვავილთა კალათებად რომ ამოტივტივებულებიყვნენ ზღვის ზედაპირზე. — სადაც საუცხოო, თითქოსდა ძვირფასი თვლებით მოოქვილი ფრინველები დაგოგმანებდნენ. წყნარ, გამქვირვალე, უთვალავი ვარსკვლავით განათებულ ღამეებში, ასე გეგონებოდათ, რალაც შორეული, ბუნდად გასაგონი მუსიკა და ბაიადერთა ცეკვა-როცვის ხმა ისმისო.

რა მშვენიერება იქნებოდა, მალდივის კუნძულების, ცეილონის, სინგაპურის ნავსადგურებში შეველოთ, მაგრამ ჩვენი ტარასკონელი მანდილოსნები, ქ-ნ ექსკურბანიესის მოთავეობით, თავიანთ ქმრებს ხმელეთზე ჩასვლას არ ანებებდნენ.

ექვიანობის მძვინვარე ინსტინქტი აიძულებდათ, ფხიზლად ყოფილიყვნენ ინდოეთში, რომლის სახიფათო ჰავის მომთენთავი ანაორთქლი „ტუტუ-პანპანის“ გემბანზედაც კი დაფარფატებდა. გენახათ ერთი, ძალამო უამს, მორცხვი პასკალონი, ხომალდის ქიმზე მადემუაზელ კლორინდა დეზ ესპაზეტის გვერდიო, როგორ დაიხრებოდა ხოლმე ამ ტანადი, ლამაზი ქალიშვილისაკენ, მისი არისტოკრატული სანდომიანობით მოხიბლული.

ტარტარენი შორიდან უღიმოდა მათ გულში და გრძნობდა წინათვე, რომ ჩავიდოდნენ თუ არა, ქორწილი არ ასცდებოდათ.

ისიც დაესძინოთ, რომ მგზავრობის დასაბამოდანვე, გუბერნატორი სიტკბოსა და სათნოებას არ აკლებდა ყველას, რითაც სრულიად გახსნევედებოდა ტლანქ და პირქუშ კაპიტან სკრაპუშინასაგან, რომელიც ხომალდზე ნამდვილი მტარვალი იყო. სიტყვას დასძრავდით თუ არა, იფეთქებდა ხოლმე მაშინვე და გაჰყვიროდა: „დახვრიტეთ, როგორც წუნკალი მაიმუნიო!“ სულგრძელი და გონიერი ტარტარენი არ ეწინააღმდეგებოდა უხიაკ კაპიტანს, ცდილობდა კიდევაც გაემართლებინა როგორმე ყველას თვალში, და, ლაშქრის მხედართა რიგზე რომ შეენელებინა, მათ მოუღალავი საქმიანობის მაგალითს უჩვენებდა.

დილის საათებს პაპუასური ენის შესწავლას ანდომებდა: ამ საქმეში მას თავის კაპელანი, წმინდა მამა ბატალიე ხელმძღვანელობდა, რომელმაც, როგორც ყოფილმა მისიონერმა, ეს ენაც იცოდა და ბევრი კიდევ სხვაც.

დღისით ტარტარენი მთელ თავის ხალხს გემბანზე ანდა მთავარ დარბაზში შეკრებდა ხოლმე და საუბარს უტარებდა. გადმოუშლიდა მომსმენთ თავის სულ ახლად მიღებულ ცოდნას იმისას, თუ როგორ უნდა გაშენდეს შაქრის ლერწამი და რისი ჯაკეთება შეიძლება ტრეპანგებისაგან.

კვირაში ორჯერ ნადირობის წესებს ასწავლიდა, რაკი იქ, კოლონიაში, ნადირი, იცოცხლეთ, მოიპოვებო; ტარასკონივით არ გახლავთ, სადაც, მეტი გზა რომ არ იყო, ზევით აგდებულ ქუდებს ესროდნენ.

— თქვენ კარგად ისვრით, ჩემო ყმაწვილებო, მაგრამ კი მეტად მოსწრაფებით ისვრით, — ეუბნებოდა ტარტარენი.

ტარასკონელებს სისხლი უღუღლათ — თავის დამორჩილება იყო საჭირო.

ტარტარენი მათ აძლევდა საგანგებო რჩევას, ასწავლიდა, რა ტემპი უნდა შეერჩიათ იმისდა მიხედვით, თუ რომელ ნადირს ესროდნენ, — მეთოდურად უნდა დავთვალათ, როგორც მეტრონომი თვლისო.

— მწყერს — სამი ტემპი უნდა: ერთი, ორი, სამი... ჭახ! გათავე-ბულია... კაკაბს, — და ტარტარენი გაშლილ ხელს აფარფატებდა,

ფრინველის ფრენასა ჰბაძავდა, — კაკაბისათვის მარტო ორჯერ დათვალეთ: ერთი, ორი — ქახ!.. აიღეთ — მკვდარია.

ასე გადიოდა ერთფეროვანი საათები მგზავრობისა და ხრახნის ყოველი მობრუნება თავიანთი ოცნების განხორციელებას უახლოვებდა ამ კეთილ ხალხს, ადამიანებს, რომლებიც მთელი გზა ტყბილბურანში იყვნენ და მომავლის სატყუბოთ გვემებს აწყობდნენ, თავი ირთობდნენ ნეტარი ფიქრით: რა საამო რამეები გველის იქ, კოლონიაში რომ ჩავალთო. ერთთავად სულ იმაზე ლაპარაკობდნენ, როგორ დასახლდებოდნენ ახალ ადგილას, ყამირს როგორ გატეხდნენ და რანაირად გაამშვენიერებდნენ თავიანთ კარმიდამოს.

კვირა დასვენების დღე იყო, უქმე დღე.

მამა ბატალიე დიდებულად წირავდა, კიჩოზე მდგომი. ბუკი გრიალებდა და საბრძოლოდ სცემდნენ დაფდაფები, როდესაც მღვდელმსახური სანაწილეს ასწევდა ხოლმე. წირვის შემდეგ, წმინდა მამა უამბობდა მგზავრებს რაიმე წარმტაც იგავს, რომელსაც ისე ქადაგებდა არ იყენებდა, როგორც რამ პოეტურ მისტიკიას, სამხრეთელთა მგზნებარე რწმენით გამთბარს.

აო, ერთი ასეთი ამბავი, გულუბრყვილო, ვითარცა წმიდანის ცხოვრება, ძველებური ეკლესიის სარკმელთა მინებზე დასურათხატებული. მაგრამ ამ მონათხრობის სიმშვენიერე რომ შეიტკბოთ, უნდა წარმოიდგინოთ ახლად გარეცხილი გემი, სპილენძის ნაწილებით მოლაპლავე, წრედ დამსხდარი მანდილოსნები, მოწულ სავარძელში დაბრძანებული გუბერნატორი, — საპარადო ტანსაცმელში გამოწყობილი მეუფროსეებით გარშემორტყმული, ორ მწკრივად ჩარეგებული ლაშქრის მხედრები. ვანტებზე მდგომი მეზღვაურები. — ყველანი რომ გარინდებულან, სმენად ქცეულან, თვალები წმიდა მამისაკენ მიუპყრიათ. იგი საქადაგებლოს საფეხურებზე დგას. ხრახნის რაკუნის მის ხმას ეხმატკბილება. ნათელი, შეუვალი ცისკენ ხომალდის ორთქლი აზიდულა, სწორსა და წვრილს სვეტად. დელფანები კუნტრუშობენ ტალღებში. ზღვის ფრინველები — თოლიება, ალბატროსები — ყივილით მიჰყვებიან უკან ხომალდს, და მხარმოქცეული „თეთრი მამა“ თვითონაც, ხელს როდესაც ასწევს ხოლმე და განიერ სახელოებს აქნევს, ერთ იმ დიდრონ ფრინველთაგანს წაავს, ფრთებს რომ აფარფატებს, გასაფრენად გაშხადებული.

კვლავაც სამოთხეში მიმყავხართ, შვილნო ჩემნო, იმ ხალვათ-ლაყვარდოვან საწინაოში, სადაცა სუფევს უზენაესი პეტრე, ქამარში გასალეგების ასხმულა რომ უკეთია და მზად არის რჩეულ სულებს კარი გაუღოს, როცა კი ისინი გამოცხადდებიან. სავალალოდ, კარგადიდი ხანია უკვე, კაცთა მოდგმა სიბოროტით ისე აივსო, რომ უკეთესნიც კი მათ შორის, სიკვდილს შემდეგ, სალხინებელს ვერ ასცილებიან, უფრო მალლა ადიან, და კეთილ წმიდა პეტრეს სხვა გასარჯელი არა აქვს რა იმის მეტი, რომ უანგმოკიდებული გასალეგები ზუმბარას ქალღმერთს ხეხოს და თავის კარზე გაბმული ობობას ქსელი მოაშოროს, სასამართლოს ბეჭედივით რომ აკრავს. დროდადრო ეზმანება, ვილაც აკაკუნებსო და თავისთვის ამბობს:

— ძლივს არ მოვიდა ვილაც არის... ველირსე, როგორც იყო...

მერე სარკმელს გააღებს, მაგრამ მარადიული სიჩუმით მოცული, ჭვრეტს მარტოოდენ უსასრულობასა და უძრავ პლანეტებს, ანდა ისეთებს, სივრცეში რომ მიცურავენ ყუჩი ხმაურით, როგორსაც ტოტს მომწყდარი მწიფე ფორთოხალი გამოსცემს, და არსად ჩანს რჩეულის აჩრდილი.

წარმოგიდგენიათ, რანაირად უკვდება გული, დღედაღამ რარივ მწუხარებს ჩვენი მოსიყვარულე კეთილი წმიდანი, ცხარე ცრემლებით როგორ იმდულდება, ცრემლებით, რომლებმაც თანდათან დაწვეები ჩაულარეს, მსგავსად ბორბლების ნაკვალევებისა საეტლე გზაზე, ტარასკონს და მონმაყურს შუა რომ არის!

და აი, ერთხელ, თავის საწინაოში მარტოობით გულგადაღეულ საბრალო მეკლიტულს წმიდა იოსები ინახულებს და ეტყვის:

— რა გესაქმება ან რა გენადვლება, მართლა და მართლა, თუ საიქიოს ხალხი აღარა ცხადდება შენი კარის პატარა სარკმელთან? გონა გეტქმის აქ სამდურავი, როცა ყურთაშმენას უნაზესი მუსიკაი ხმები გიტკობს და ყნოსვას კიდევ უამესი სურნელი?..

და ამას რომ ამბობდა წმიდა იოსები, სწორედ ამ დროს შვიდი განხმული ციდან თბილი სიო მოჰბერდა და ამ სიოს თან მოჰქონდა ისეთი ბგერები და სურნელი, რის წარმოდგენასაც ვერარა მოგცემთ,

ჩემო ძვირფასო მეგობარო, თვით ლიმონისა და ჟოლოს სუნიც კი ვერა, ეს ერთი ხანია სახეში რომ გვცემს, ზღვით მონადენი, იმ ნაქარევ პირისფერ კუნძულთა დიდი თაიგულიდან.

— ეჰ! — ამოიოხრა კეთილმა წმიდა პეტრემ, — უკეთესი რომ არ იქნება, ისე ვარ ამ კურთხეულ სამოთხეში, მაგრამ საბრალო შვილნი ჩემნიც აქ მინდოდა მყოლოდა...

და ერთბაშად რისხვით აენტო!

— აჰ, არდასარჩენები! აჰ, რეგვენები! არა, ნამდვილს ვაძობ, იოსებ, უფალი მეტად ღმობიერად ეკიდება მაგ არაშხადებს... იმისი ვიყო, მე ვიცი, როგორც მოვიქცეოდი...

— რას იზამდი მაინც, ჩემო საყვარელო პეტრე?

— რასა და, ღმერთს გეფიცები, ერთ მაგარ პანღურს ამოვთხლემდი მაგ ჭიანჭველების ბუდეს და სულაც აღვგვიდი პირისაგან მიწისა კაცთა მოდგმას...

წმიდა იოსებმა გააქნია ჰალარა წვერი... მაინც რა საზარელო ძალისა უნდა იყოს ეგ პანღური, რომელიც დააქცევს ქვეყანას!.. თურქები, ურჯულოები, აზიელები რომ ყოფილიყვნენ, ჯანდაბას... მათ ისედაც სიღამპლე მორევიათ. მაგრამ საქრისტიანოს მკვიდრი საფუძველი აქვს ჩაყრილი, მტკიცეა, ძეს ღვთისას აუგია...

— სწორედაც რომ... — მიუგო წმიდა პეტრემ. — მაგრამ, რაც ქრისტეს აუშენებია, ქრისტესვე შეუძლია დაანგრიოს. მე მეორედ გავუგზავნიდი ძეს ღვთისას იმ ამოსავარდნებს, და ეს ანტიქრისტე, იგივე გადაცმული ქრისტე, არ დააყოვნებდა და ნაცარმტვრად აქცევდა იმათ.

კეთილი წმიდანი ამას გაბრაზებულ გულზე ამბობდა, დიდად არ უკვირდებოდა ნათქვამს და სულაც არა ფიქრობდა, თუ იმისი სიტყვები ღვთიურ მოძღვარს მიუვიდოდა. რარივ განცვიფრდა მოხუცი, როდესაც ანაზღად წინ დაუდგა ძე კაცისა; მხარზე გადებული მწირის კვერთხის ბოლოზე პატარა ფუთა ეკიდა. რბილად, თანაც მტკიცე ხმით უთხრა მან წმიდანს:

• — წამოდი, პეტრე... მიმყავხარ.

ქრისტეს გაფითრებულ სახეზე, ელვარებაზე ამოღამებულ დიდრონ თვალთა, რომლებიც შარავანდელზე უფროვე უბრწყინავდნენ, პეტრე მაშინვე მიხვდა მისახვედრს და ინანა, ზედმეტი რამეები დაუროშეო. რას არ მისცემდა ახლა, რომ ეს მეორედ მოვლინება ღვთის

ძისა დედამიწაზე არ მომხდარიყო, მეტადრე კი, არა ჰხლებოდა მას ამ მგზავრობაში! თავგზააბნეული წმიდანი აქეთ-იქით ეხლებოდა, ხელები უკანკალებდა:

— აჰ, ღმერთო ჩემო... აჰ, ღმერთო ჩემო!.. გასაღებებს რაღა ვუყო?

მართლაც, ასეთ გრძელ მგზავრობაში ეს მძიმე ასხმულა ზედმეტი ტვირთი იქნებოდა.

— ჩემს კარებს ვინლა დაიკავს?

ქრისტემ გაიღიმა, რაკი იმის გულში კითხულობდა, და უთხრა:

— გასაღებები საკეტის კუჭკრუტანაში დატოვე, პეტრე... საშიში არაფერია, არავინ მოვა აქ ჩვენთან, შენც კარგად იცი.

წყნარად ლაპარაკობდა მაცხოვარი, მაგრამ მაინც რაღაც უღმობელს იგრძნობდა კაცი მის ხმაშიც და ღიმილშიაც.

* * *

როგორც საღმრთო წერილშია ნათქვამი, ნიშნებმა ცისამან აუწყეს მოსვლა ძე კაცისა ქვეყნად, მაგრამ დიდი ხანია უკვე მოკვდავნი, ქვე წახრილნი, თვალთ აღარ აღაპყრობდნენ ხოლმე ცაში. თავიანთი ვნებებით გართულებმა, მათ ვერაფერზე ინიშნეს გამოცხადება მაცხოვრისა და მისი თანმხლები წმიდა მოწაფისა, იმიტომაც კიდევ, რომ თანამგზავრებს წამოეღოთ თან სხვადასხვანაირი ტანი-სამოსი და შეეძლოთ როგორადაც უნდოდათ, ისე გადაცმულიყვნენ.

მაინც კი, პირველსავე ქალაქში, სადაც ოსინი მივიდნენ სწორედ წინა დღეს, ვიდრე დასჯიდნენ განთქმულ ავაზაკს, სისხლის მწყურვალედ წოდებულს, საზარელ დანაშაულთა ჩამდენს, მუშებმა, რომლებიც ფიცარნავს აგებდნენ, სასჯელის აღსასრულებლად, გაიოცეს, რომ მათთან მხარდამხარ, ჩირაღდნების შუქზე, ორი ვიღაცა მუშაობდა წყვილად, კაცმა არ იცის, საიდან მოსული. ერთი ტანად ტალიკი იყო და ამაყი, ვითარცა თავადის უკანონო შვილი, ორად გაყოფილი წვერი მოსავდა, თვალები ძვირფასი თვლებივით უბრწყინავდა, მეორე წელში იყო უკვე მოხრილი, მისი კეთილი სახე მოღლილობას ამხელდა, ორი გრძელი ღარი ნაკვალევით დასჩნეოდა დამქანარ ლოყებზე. შემდგომ, გათენებისას, როცა ეშაფოტი ამართული იყო, როცა ხალხი და ხელისუფალნიც, დასჯაზე მოსულნი, მას

უკვე გარსშემოდგომოდნენ, ის ორი უცნობი კაცი აღარსად ჩანდა, გამქრალიყვნენ, მაგრამ თავიანთი საქმე აღესრულებინათ, დასჯის მთელი მოწყობილობა-მექანიზმისათვის უცნაური რამ ჯადო ექნათ, — ასე რომ, მისჯილი ფიცარნაგზე როცა გამოტეს, დანა, კარგად მოპირტული და სანაქებო ფოლადისა, ოცჯერ მაინც ზედიზედ ისე დაეცა, რომ დამნაშავეს კანიც არ გაუჯაწრა.

წარმოიდგინეთ სურათი! დაბნეული მოსამართლენი, შეძრწუნებული ხალხი, ჯალათი, — გვერდებს რომ უხუტრებს თავის თანაშემწეთ და ოფლისაგან დასველებული თმას იგლეჯს, — სისხლისმწყურვალად თვითონ — ეს ავხელი ბოკერელი ბრძანდებოდა, რა თქმა უნდა, და ყველა სხვა სიკეთესთან ერთად რაღაც საშინელი თავმოყვარე იყო, — ძლიერ განაწყენებული ატრიალებს ხარის კისერს გილიოტინის თავის გასაყოფში და იძახის:

— ეს ჩემს თავს რა ამბავია? სხვებსავით არა ვყოფილვარ, მაშ, შექმნილი, რაკი ვერაფერი მომიხერხეს!

ბოლოს და ბოლოს პოლიციელები იძულებული გახდნენ იგი ძალით უკან წაეყვანათ და კვლავ შეეგდოთ თავის დილეგში. ამ დროს კი ბრბო ღმუროდა და ცეკვაგდა ნამსხვრევებად ქვეული, აალებული ეშაფოტის ირგვლივ, ტკაცატკუცი რომ გააქონდა და ნაპერწყვლებს აწვდენდა ცას, როგორც კოცონი წმიდა იოანეს დღესასწაულის დამეს.

მას აქეთ ამ ქალაქში და საზოგადოდ მთელი ცივილიზებული დედამიწის ზურგზე უმაღლესი განაჩენი მართლმსაჯულებისა თითქოს ვილაცამ დანახსაო.

მახვილი კანონისა აღარა კვეთდა და რადგან მკვლელებს მართოდენ სიკვდილისა ეშინიათ, სულ მალე ბოროტმოქმედებათა ზღვამ დაფარა მთელი ქვეყნიერება. ქუჩებსა და გზებზე აღარ გაესვლებოდა დაშინებულ პატიოსან ხალხს, ამავე დროს კი საპატიმროები გამოკედილი იყო ავაზაკებით, რომლებიც ყუათიანი ხორცის წვნიანით სუქდებოდნენ, ხის ფეხსაცმლით უჩინდნენ სახეებს თავიანთ მცველებს, ცერით უგდებდნენ ხოლმე თვალებს. ან არადა, თავშესაქცევად, უპობდნენ თავის ქალას — ვნახოთ ერთი, შიგ რა ყრიაო.

დიდად გაჩანავდა კაცთა მოდგმა, და მხოლოდ იმის გამო, რამე მართლმსაჯულება განიარაღებული იყო. ამის შემხედვარე კეთილწმიდა პეტრეს სიბრალულთ ევსებოდა გული. ეყოთო, ფიქრობდა

მოხუცი, და ამიტომ ერთხელ გულიანი, თანაც პირმოთნე სიცილით წარმოთქვა:

— გაკვეთილს ტყუილად არ ჩაუვლია, მოძღვარო... ვგონებ, დიდხანსაც ემახსოვრებათ... ახლა კი, ავბრუნებულთაგან ვიყავით ზემოთ... საქმე ის არის, რომ ვშიშობ, იქ, ზევით, არ ვიყო საჭირო.

ძეს კაცისას ოღნავი ღიმი გაუკრთა სახეზე.

— გაიხსენე, — მიუგო მან და თითო მალა ასწია, — რაც ქრისტეს აუშენებია, მხოლოდ ქრისტესვე შეუძლია დაანგრეოს!

პეტრემ თავი ჩაჰკიდა და გაიფიქრა:

„მეტი მომივიდა, საბრალო შეილნო ჩემნო, ზედმეტი დამცდა!“



ამ საუბრისას ისინი იმყოფებოდნენ ყანებით დაფარულ ფერდობებზე, რომელთა ძირშიაც დიდმშვენიერ სატახტო ქალაქს, თვალუწვდენ მანძილზე გაჰიშულს, აეზიდა თავისი გუმბათები, სახურავები, ჩუქურთმიანი სამრეკლოები, კოშკები და ისრები ტაძრებისა, სადაც ყველა ფორმის ჯვრები ბრწყინავდნენ, მარმარილოსი თუ ოქროსა; მშვიდად ჩამავალი მზის სხივებში.

— აქ, ეტყობა, მონასტრებიცა და ეკლესიებიც აქვთ! — თქვა კეთილმა მოხუცმა. — საამოა, რაც უნდა იყოს!

მაგრამ თქვენ ხომ მოგეხსენებათ, ქრისტეს სძაგს უმეტეს ყოვლისა მოთნე და მდიდრული ღვთისმსახურებანი ფარისეველთა, სძაგს ეს ეკლესიები, სადაც დადიან იმიტომ, რომ ასეა მიღებული, და მონასტრები, სადაც ამზადებენ გარიუსის ელექსირსა და შოკოლადს. ამიტომაც მოუჩქარა მან ნაბიჯს, ისე რომ მრისხანე გამანადგურებლისა მხოლოდ ხაბახუბას პატარა შეკრულა მოჩანდა, მოგზაურის კვერთხის ბოლოზე მოქანავე. იმ ქალაქში, სადაც ისინი შევიდნენ, ცხოვრობდა ერთი მოხუცი, ღრმად მოხუცი იმპერატორი, ევროპის ხელმწიფეთა თავად მიჩნეული, რაკი იყო იგი ყველაზე სამართლიანი, ყველაზე ძალოვანი; ომი მას მიჯაჭვული ჰყავდა ზარბაზნთა ღერძზე, და თავს არ იზოგავდა, რომ ძალით იყო თუ რწმუნებით, ხელი შეეშალა ხალხებისათვის — ერთმანეთი არ მოესპოთ.

სანამ იმპერატორი იბრძანებლებდა, ძაღლსა და მგელს შორის ჩუმი თანხმობა იქნებოდა: ცხვარს შეეძლო მშვიდად ეძოვა. აი, მე-

რე კი, — თქვენ თქვენი იცითო! ამიტომაც ყველა იმის სიცოცხლეს დაჰკანკალებდა. ისეთი დედა არ იყო, რომ მზად არა ყოფილიყო — ვენები გადაეჭრა, რათა იმპერატორის სისხლისთვის ალისფერი და მჩქეფარე სისხლი შეემატებინა.

ძერე, უეცრად, დიდი სიყვარული სიძულელიად გადაიქცა, და ჯოჯოხეთურმა მოწოდებამ დაიარა ყველგან:

„მოვკლათ იგი... ეს კეთილი მტარვალი — საზარელთაგან უსაზარლესი, რადგან უფლებაც კი წაგვართვა ამბოხებისა“.

და იმპერატორის სასახლის ქვეშ, სადაც ხერელი გაეყვანათ და დინამიტი შეედოთ, იქ, სადაც მიწისქვეშეთის სიბნელეში მოქმედებდნენ წელამდე წყალში ჩამდგარი შეთქმულები, — თქვენთვის მოჰინდვია გამოიცნოთ, ვინ იყო ის თვალბმეოვლარე იდუმალი თანამოსაქმე, რომელიც ხელმძღვანელობდა ამ სიცოცხლის დამთრგუნავ სამუშაოს, შიშსა და სიბრალულს სდევნიდა ადამიანთა გულიდან, და, როდესაც აფეთქების ხმა გაისმა, ამ ხმას ალტყინებული „ვაშა“ მოაყოლა...

აჰ! საცოდავი იმპერატორი, ცოტა რამლა ნახეს მისგან დაშთენილი ნანგრევების ქვეშ: რამდენიმე ბლუჯა გარუჯული წვერისა და სამართლისმყოფელი ცალი ხელი, აღისაგან დაკრუნჩხული. მაშინვე იღრიალა ლაგამაწყვეტილმა ომმა, ცა ჩამოაბნელეს საზღვართა ზემოთ მოჯრილმა ყვაეების გუნდებმა, დიდი, დაუსრულებელი ხოცვა-ჟლეტა დაიწყო.

* * *

იმ დროს, როდესაც ხალხები ერთმანეთსა წყვეტდნენ საშინელი ქურვებით და ყველგან, ცის დასალიერამდე, საითაც კი თვალი მიუწვდებოდა კაცს, იერიშით აღებული ქალაქები ჩირალდნებივით ბრიალებდნენ, უმზიდავებოდ დარჩენილი ურიკებით და დამფრთხალი, ოტებული პირუტყვით გაჭედულ გზებზე ქრისტე მოდიოდა. დასვენებული მინდვრების, სისხლით წითლად შეღებილი მდინარეების, შეუბრალებლად გაქელილი ზვრებისა და ნათესების გაყოლებით მიდიოდა იგი მსუბუქი ნაბიჯით, კვლავ მხარზე კვერთხგადებული, და მას ფეხდაფეხ მისდევდა კეთილი მოხუცი წმიდანი. რომელიც ცდილობდა, მაგრამ კი ამაოდ, მოეღბო იგი. ქრისტე შორად შორეულ

ქვეყანაში მიეშურებოდა, იქ, სადაც მოღვაწეობდა სახელგანთქმული ექიმი მოვი.

მოვი, უებრო მკურნალი ადამიანთა და ცხოველთა, მთელ თავის ცოდნას ახმარდა იმას, რომ დაემორჩილებინა ბუნების ყველა ძალა. მან თითქმის იპოვა საშუალება სიცოცხლის გახანგრძლივებისა, და, სულ ცოტას გაწყდა, მიატანა, მიაღწია კიდევ მიზანს, რომ ერთხელ ღამით, მისმა ახალმა დამხმარემ, მეტად ლამაზმა, მეტად ფერმკრთალმა ყმაწვილმა, — მას შემდეგ იგი აღარც არავის უნახავს, — გაუფრთხილებლობით თავდაუცობელი დატოვა აქროლადი შხამით სავსე რამდენიმე შუშა და დილით მოვმა კარი რომ გააღო, გაგუდული დაეცა უსულოდ.

ასე, ამრიგად, ადამიანთა სიცოცხლე კი არ გახანგრძლივდა, პირიქით, შემოკლდა, რადგან ექიმი თავის ლაბორატორიაში შესასწავლად აგროვებდა უამრავ ძველ ჰერს, კეთრის განსაკუთრებულ სახეობებს — ეგვიპტისას და საშუალო საუკუნეებისას, და ამ სენთა ჩანასახები, ამბუხებიდან ამოვიდნენ და მოედნენ მთელს ქვეყნიერებას, მუსრი გაავლეს მის ბინადართ.

გაჩნდა სნების გამავრცელებელი უთვალავი საზიზღარი გომბეშო, როგორც იუდეველთა დროს იყო; მერე — ციება: ყვითელი, ავთვისებიანი, დროგამოშვებითი და ისეთები, რომლებმაც შებრუნება იცოდნენ მესამე, მეორე დღეს; გაჩნდა მრავალნაირი შავი ჰერი, ტიფი, მთელი ხროვა გამქრალ ავადმყოფობათა, — ახლა უკვე ახლებზე დამყნობილთა, და აგრეთვე ისეთი ავადმყოფობები, აქამდე რომ არავის გაეგონა. ხალხში ამას ყველას „მოვის სენს“ ეძახდნენ.

ღმერთი გფარავდეთ ამ საშინელი სენისაგან, შვილნო ჩემნო! ძელები ღღვებოდნენ, როგორც რომ მინა, კუნთები ძაფ-ძაფად იძენძებოდნენ. ეს ისეთი რამ სატანჯველი იყო, რომ ყვირილის თავიც აღარა ჰქონდა დაავადებულს. სიკვდილის წინ ავადმყოფები ნაწილ-ნაწილ იშლებოდნენ, ფაფასავით მიიზღაზნებოდა გზებზე მათი დაფუშული სხეული და გზათა ზედამხედველობას არც ნიჩბები ჰქონდა საკმარისი და არც საზიდები, რათა ეს ყველა აეხვეტინებინა.

— არა ჰყურობთ!.. რა სანაქებო ამბავი გამოვიდა!.. — ამბობდა წშიდა პეტრე მოჩვენებითის მხიარულებით და თან ცრემლი უკრთოდა ხმაში, — ახლა კი, მასწავლებლო, არ ავსულისყავით განა საჩვენოსა?.. როგორღაც გული გადამელია...

ქრისტემ კარგად იცოდა, ამ მომიზნებულ გულის გადაღევაში დიდი სიბრალული იფარებოდა ადამიანთა მიმართ და თვითონ თუნცაღა სათნოებით იყო საესე, დაფიცებული ჰქონდა, გაეწყვიტა ყველანი უკლებლივ. უნდა კი ითქვას, რომ ძალიან ბევრი რამ დაუშავეს, სწორედ!.. მოთმინების ფიალა ივსება ბოლოს და ბოლოს!

ამჯერად მას პასუხი არ გაუცია და თავის მოხუც მსახურთან ერთად სოფელზე გზა გააგრძელა. სისხამი დილა იყო, ვარდიანფერ-ხურმუხტოვანი. უცებ მზის ამოსვლის მაუწყებელ მამალთ ყვილია და პირუტყვეთ ბლავილში მათ მოესმათ გოდება ადამიანისა, ყვირალი ქალისა. ეს ყვირილი ხან ტალღასავით ადიდდებოდა, აიზიდებოდა და, ძალოვანი, ლამის ცის კიდეს არღვევდა. ხანაც მინელდებოდა, მიუჭრდებოდა, გრძელ კვნესადღა ისმოდა. ამ კვნესას ყველა მაშინვე იცნობს, ერთხელაც თუ გაუგონია. გათენებისას ახალი არსება ჩნდებოდა ქვეყნად. ქრისტე დაფიქრებული შეჩერდა: თუკი კვლავ მაინც იბადებიან, რაღა აზრი აქვს იმათ მოსპობას?.. იგი მიბრუნდა ქოხისაკენ; საიდანაც ყვირილი ისმოდა, თეთრი ხელი მუქარით ალაპყრო.

— შეიბრალეთ!.. მასწავლებლო, შეიბრალეთ სულ პაწიები! — ამოისლუკუნა კეთილმა წმიდა პეტრემ.

უფალმა წამსვე დაამშვიდა: ეს ძუძუთა ბაღი და ასევე ყველა, ვინც კი ამას იქით დაიბადება ქვეყანაზე, ეს-ეს არის დავასაჩუქრე, ნიშნად ამა სოფლად კეთილად მოსვლისაო. პეტრემ ვერ უაბედა და ვერა ჰკითხა, რა არის მაინც ეს საჩუქარიო, მაგრამ მე კი შემძლია გითხრათ. ქრისტემ გამოცდილება დაანჯღრა ამ საბრალბელ კრავებს, — და ეს საშინელება რამ იყო!

მართლაც, მანამდე, როდესაც კაცი კვდებოდა, იმის გამოცდილება მასთანვე ერთად იღუპებოდა. ახლა კი, მაცხოვრის საბოძვარის წყალობით, ქვეყნად გამოცდილებამ იწყო დაგროვება. ბავშვები იბადებოდნენ ნაღვლიანები, მობერებულები, უხალისონი. თვალს აახელდნენ თუ არა, ყოველივე არსებულის დასასრულს მაშინვე ხედავდნენ. საზარელი რამ დატრიალდა: თავს იკლავდნენ ბავშვებო, სულ პაწაწინები გამწარებულნი ცდილობდნენ თავიანთი თათუნებით მოესპოთ სიცოცხლე.

ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი: კაცთა დაწყევლილ მორღმას არ

უხდოდა აღვეილიყო პირისაგან მიწისა და ჭიუტად განაგრძობდა სიცოცხლეს.

მაშინ, ამ მოდგმისთვის რომ მალე მოელო ბოლო, ქრისტემ წაართვა მამაკაცებსა და დედაკაცებს ნიჭი სიყვარულისა, გრძნობა მშვენიერებისა. სიხარული ყოველი გაქრა დედამიწაზე, შვებას აღარცა ლოცვა და აღარცა ხორციელი ვნება აძლევდა ადამიანს. მარტოდენ თავდავიწყება, მარტოდენ ძილი იყო სანატრელი... ოჰ, სანეტარო დამძინებავ..., რომ აღარ იფიქრო, აღარ იცოცხლო!

ცუდ დღეში იყო, როგორცა ხედავთ, საწყალი კაცობრიობა, და ველარც გაუძლებდა დიდხანს უთუოდ ამ ყოფას, რადგან მოუღალავი გამანადგურებელი აშურებდა უფრო და უფრო თავის საქმეს. იგი კვლავ ისევ უვლიდა ქვეყანას, ვითარცა ყარიბი ვინმე, კვერთხზე პატარა ბოხჩაჩამოკიდებული, უკან კი მისავათებული, წელში ორად მოხრილი თანამგზავრი მისდევდა, რომელსაც ცრემლი ლაწვებზე ორ ღარს სულ უფრო უღრმავებდა, როცა ხედავდა. მასწავლებელი თავის ჯანვლილ გზაზე რომ ამოხეთქილ ვულკანებს, აშვებულ ციკლონებსა და მიწისძვრებსა ტოვებდა.

და აი, ერთ მშვენიერ დილას ღვთისმშობლის მიძინების დღისას, როდესაც ქრისტე მიდიოდა ზღვაზე, თანაც ძლივს რომ ეხებოდა ტალღებს, როგორც ეს საღვთო წერილშია ნათქვამი, იგი მოხვდა ოკეანეთის კუნძულთა შორის, სწორედ იმ ადგილებში წყნარი ოკეანისა, ჩვენ რომ ახლა გავდივართ გემით.

ძთლად ამწვანებულ კუნძულთ თაიგულიდან ნიავს ზღვისას მოჰქონდა ხმები ქალებისა და ბავშვებისა, რომელნიც პროვანსულ საგალობელსა გალობდნენ.

— ე! — შესძახა წმინდა პეტრემ, — ტარასკონულ ჰანგებსა ჰგავს როგორღაც!

— ცუდი ქრისტიანები არიან, ვგონებ, ეს ტარასკონელები!

— აჰ, მასწავლებლო, ისინი, კარგა დიდი ხანია, გამოსწორდნენ, — მიატანა მაშინვე კეთილმა მოხუცმა, რაკი ეშინოდა, რომ ღვთიური ხელის ერთის მოქნევით კუნძული, რომელსაც ისინი უახლოვდებოდნენ, ტალღებში არ დანთქმულიყო.

ეს კუნძული, ალბათ მიხვდებოდით, პორტ-ტარასკონი იყო, სადაც მცხოვრებნი, ღვთისმშობლის მიძინების დღის აღსანიშნავად, საზეიმოდ დაწყობილნი მოაბიჯებდნენ.

და მერე როგორ დაწყობილნი, შვილნო ჩემნო!

ჯერ პირველად მონანიენი მოდიოდნენ, ყველანაირი მონანიენი: ლურჯები, თეთრები, ნაცრისფერები, ყველა ფერისანი; მათი წინ წა-მძღვარებული ზანზალაკების ბროლისა და ვერცხლის ხმები ერთ-მანეთს ერწყმოდნენ. მონანიეთ უკან მოჰყვებოდნენ დიაცნი. ამ მთლად თეთრად მოსილ ქალებს გრძელი მოსასხამები ფარავდათ, როგორც წმიდანებს სამოთხეში. მათს უკან მოჰქონდათ ძველებური დროშები, და იმდენად მაღლები, რომ ზედ გამოსახული წმიდანები, აბრეშუმზე ოქრომკედით ნაქარგი თავიანთი შარავანდებით, ასე გეგონებოდათ, ციდან დაშვებულან ხალხის ბრბოზეო. მერე ძლიერ დინჯად, ძლიერ მძიმედ მიმოიძვროდა სანაწილე, წითელი ხავერდის გავალაკვეშ მოქცეული; გავალაკს მაღალი ჯილები ამშვენებდა. მის გვერდით გუნდის ბავშვებს მოჰქონდათ გრძელ მოოქრულ ჯოხებზე ჩამოკიდებული დიდი მწვანე ფარნები და ამ ფარნებში წვრილ-წვრილი ალი ენთო. სულ ბოლოს კიდევ მთელი ხალხი მოაბიჯებდა, ახალგაზრდა თუ მოხუცი; ყველანი გალობდნენ, ლოცულობდნენ თავამეტებით.

პროცესია გარს უვლიდა კუნძულს,—ხან ნაპირზე გაიშლებოდა, ხან ბორცვზე ავიდოდა და ხანაც უფრო მაღლა, მწვერვალებზე მიეჩქეოდა, სადაც დიდრონი დარხეული საცეცხლურები მტრედისფერ კვამლს უკმევდნენ პირდაპირ მზეს.

— რა მშვენიერებაა! — წაიჩურჩულა ამ სანახაობით გაოგნებულმა წმიდა პეტრემ და მეტი სიტყვა აღარ დაუძრავს, რადგან ამოდენი ფუჭი ცდის შემდეგ, იმედი აღარა ჰქონდა მოეღბო თავისი თანამგზავრის გული. მაგრამ ამჯერად ის შეცდა.

ძე კაცოსა, ამ მიამიტი რწმენის მგზნებარებით გულაჩვილებული, დაფიქრებით უმზერდა პორტ-ტარასკონის მოფარფარე დროშებს, და ტალღათა ქოჩორზე გარინდებით მდგომმა პირველად ინანა, ეს სიკვდილის საქმე რომ დაიკისრა.

ერთბაშად ფერმიხდილი და სათნო სახე მაღლა აღაპყრო და დაუჩიებელი ზღვის სიჩუმეში ძლიერის ხმით, რომელმაც მთელს ქვეყნიერებაზე დაიგუგუნა, ასძახა ზეცას:

— მამაო! მამაო, დაახანე!..

და ნათელი სივრცით განყოფილმა მამამ და შვილმა სიტყვის უთქმელად გაუგეს ერთიმეორეს.

ამით დაასრულა მამა ბატალიემ ამბის თხრობა. მდუმარე აუღა-ტორია, მეტად აღელვებული, გაუნძრევლად იჯდა ადგილზე, რომ ამ დროს ერთბაშად „ტუტუ-პანპანის“ ბოგირიდან კაპიტანმა სკრაპუ-შინამ დაიძახა:

— პორტ-ტარასკონის კუნძული გამოჩნდა, ბატონო გუბერნატო-რო! ერთი საათიც არ გავა, რომ ჩვენ რეიდზე ვიქნებით.

მაშინ მთელი ხალხი ზეზე წამოვარდა და შეიქნა ერთი საშინელი გაგანი.

VI

პორტ-ტარასკონის მისვლა. ძმურსიმილი არა ჩანს, ლაშქარს გადმოსხამენ. ბეზიუ... აჟთია... ბრაჰიდა კაპიტანის აჟარაგბს. საზარბლი კატასტროფა. დასვირინებულნი მ-აჟთიამ

— ეს რა ეშმაკებია?.. ჩვენს წინ კაციშვილი არა ჰქანებს, — თქვა ტარტარენმა, როდესაც აღფრთოვანებული შეძახილები და გნიასი შეწყდა.

ეტყობა, ხმელეთიდან ჯერ არ შეუნიშნავთ ხომალდი.

უნდა ვაცნობოთ როგორმეო, და ზარბაზნის სროლის ხმამ სამ-ჯერ გადაუგრიალა მწვანე ფერის, ნესტის მწვანე ფერის ორ გრძელ კუნძულს, რომელთა შორისაც გემი გაჩერდა.

თვალი ყველამ მიაპყრო უახლოეს ნაპირს, ქვიშის რაღაც ვიწრო ზოლს, არა უგანესს რამდენიმე მეტრისა. ამ ქვიშიანი ნაპირის ზე-ძოთ ციცაბო ფერდობები ამართულიყო, მწვერვალებიდან თვით ზღვამდე მუქმწვანე მცენარეულობით წალეკილი.

ზარბაზნის გრუხუნ-გურგური რომ მიწყდა, ისევ უჩვეულო სი-ჩუმემ მოიცვა ეს პირყამი კუნძულები. კვლავაც არსად ჩანდა ძე-ხორციელი. ყველაზე უფრო საკვირველი კიდევ ის იყო, რომ არც ხავსადგური მოგხვდებოდათ თვალში, არც ფორტი, არც ქალაქი, არც ჯებირი, არც მშრალი დოკები — არაფერი!

ტარტარენი მიუბრუნდა სკრაპუშინას, რომელსაც უკვე მიეცა ბრძანება, ჩაეშვათ ღუზა:

— დარწმუნებულად ბრძანდებით, კაპიტანო?..

გულფიცმა ზღვაოსანმა მოხსნა გუდას პირი და ლანძღვა-გინება დაიწყო. დარწმუნებული თუ ხარო, დასწყევლის ეშმაკი! სხვათ ვილას ესმის, მაშ, თავისი საქმე, დალახვროს მეხისმტეხელმა! ხომალდის წაყვანის მეტრ რაღა იცის!

— პასკალონ, მომიტანეთ ერთი კუნძულის რუკა, — თქვა ტარტარენმა ისევე ისე გულდინჯად.

ბედად, მას რუკა ჰქონდა ძალიან დიდი მასშტაბისა და ამ რუკაზე საგულდაგულოდ იყო აღნიშნული — კონცხები, ყურეები, მდინარეები, მთები და თვით მთავარი მონუმენტები ქალაქისა.

რუკა მაშინვე გაშალეს. ტარტარენი, თავისი ხალხით გარშემორტყმული, შეუდგა მის შესწავლას; ზედ თითს დააცოცებდა.

ასეა, ასე; აქ კუნძული პორტ-ტარასკონია... მეორე კუნძული, პირდაპირ, აგერ ისიც... მაღალი კონცხი... ჩინებულია... მარცხნივ მარჯნის ბრაგები... საუცხოოა... მაშ, რა მოხდა, რა ამბავია? ქალაქი, პორტი, მცხოვრებნი — რა იქნენ?

ოდნავის ენის კიდებით, პასკალონმა მორიდებულად გამოთქვა აზრი, ეგებ ეს ბომპარმა გვიეშმაკა, ვინ არ იცის ტარასკონში მაგისი ოინბაზობის ამბავიო...

— ბომპარს მართლაც რომ არ გაუჭირდებოდა, — მიუგო ტარტარენმა, — მაგრამ ბეზიუე არ იკადრებდა, ის ისეთი კეთილგონიერი, ისეთი დარბაისელი ადამიანია. მერეა და რაც უნდა იეშმაკო, იხუმრო, სად დამალავ ქალაქს, პორტს, გემთშესაკეთებელ დოკებს?

ჰოგრიტში ბარაკის მსგავსი რაღაც მოჩანდა ნაპირზე, მაგრამ მარჯნის ბრაგები ხომალდს უფრო ახლოს მისვლას არ ანებებდნენ, ხოლო ასეთ მანძილზე კიდევ ყველაფერს ფოთოლთ შავ-მწვანე საბურველი ჰფარავდა.

ხომალდიდან ჩასასვლელად გამზადებული ტარასკონელები, ბორჩები რომ დაეჭირათ ხელში, მათთან ერთად თვით გადაბერებულად ეგებულის ქვრივიც, თავის პატარა სათბურს რომ დაებლუჯა, გაცბუნებულნი ავლებდნენ იჭაურობას თვალს. ასე გაშეშებულები რომ იყვნენ ყველანი, გაიგონეს, თვით გუბერნატორმა ხმადაბლა როგორ წაიდუღუნა:

— მართლაც რომ ძალიან საკვირველია!..

მერე ერთბაშად წელში გასწორდა, გაიჭიბა:

— კაპიტანო, შეაქურვინეთ დიდი კანჯო! მეთაურო ბრავიდა, მოუწოდეთ ბუკით მოლაშქრეთ!

სანამ მებუკე ატრუ-ტუ-ტუ-ნებდა, ბრავიდა კიდეც სიით იძახებდა მხედრებს, ტარტარენი სულ არხეინად აწყნარებდა მანდილოსნებს:

— შიში ნურაფრისა გექნებათ. ყველაფერი, ექვი არ არის, გამოირკვევა!

ხოლო იმ მამაკაცებს, ხომალდზე რომ რჩებოდნენ, ეუბნებოდა:

— ჩვენ ერთ საათში დავბრუნდებით. აქ დაგველოდეთ, ჩვენს მოსვლამდე ადგილიდან არ დაიძრათ.

მგზავრებს ფიქრადაც არა ჰქონიათ, მოეცვალათ ფეხი აქედან; თავიანთ გმირს გარს ეხვეოდნენ და მის ნათქვამს იმეორებდნენ:

— დიახ, დიახ, ბატონო გუბერნატორო, ყველაფერი გამოირკვევა... ექვი არ არის...

ამ წუთში ტარტარენი რაღაც დიდზე დიდი ჩანდა მათს თვალში.

დიდ კანჯოში ტარტარენთან ერთად ჩასხდნენ — მისი მდივანი პასკალონი, კაპელანი მამა ბატალიე, ბრავიდა, ტურნატუარი, ექსკუტრბანიეისი და ლაშქრის მხედარნი. ყველანი უკლებლივ თავით ფეხამდე შეიარაღებულნი იყვნენ ხმლებით, ჩუგლუგებით, რევოლვერებთან და კარაბინებით. ტარტარენს ამასთანავე თავისი სახელგანთქმული ოცდათორმეტმუხტიანი ვინჩესტერიც არ დავიწყებოდა და თან წამოედო.

როცა კანჯო უახლოვდებოდა მღუშარე ნაპირს, სადაც არაფერი ოდნავადაც არ ჩუჩუნებდა, ფიცრებისა და ძელების ნაემისადგომი გამოჩნდა. წყალში ჩამდგარ ამ ნაემისადგომს მთლად ხავსი მორეოდა; ნუთუ ის მოლი იყო, სადაც ადგილობრივი მცხოვრებნი გამოდიოდნენ და „ფარანდოლას“ მგზავრებსა ხვდებოდნენ. ამის დაჭერება ძნელად თუ შეიძლებოდა. ცოტა მოშორებით რაღაც ძველი ბარაკი მოჩანდა; ფანჯრები ამ ბარაკს რკინის დარაბებით ჰქონდა დახურული. სურინჯით შეღებილი ის წითელი დარაბები სისხლისფრად ირეკებოდნენ დამდგარ წყალში. ბარაკის სახურავს ფიცრები დასკდომოდა, დაშირიშორებოდა.

კანჯოდან გადმოვიდნენ თუ არა ახალმოსულები, მაშინვე ბარაკს მიაშურეს. რაც გარედან იყო, შიგნიდანაც ისევე ნანგრევ-ნამზღვლევი გამოდგა ეს ბარაკი. გამეჩხერებულ სახურავში ცის დიდრონი ნაფლეთები იხედებოდა, დააფრაკებული იატაკი სიდამპლით დაფუ-

ტურობებულიყო; უზარმაზარი ხვლიკები იხიზნებოდნენ ფუტურა ადგილებში, კედლების გაყოლებით უცნაური ღრიალკელი ფუთ-ფუთებდა, კუთხეებში ლიპი გომბეშოები იღორბლებოდნენ. ტარტარენი პირველი შევიდა შიგ და ფეხი კინალამ მკლავის სისპო გველს დაადგა. ყველგან ნესტისა და შმორის ამაზრუნენი, გულისამრევი სუნი იდგა.

შერჩენილი ტიხრების ნარჩენები მოწმობდნენ, რომ ბარაკი რამდენიმე ვიწრო სადგომად ყოფილიყო დანაწილებული. ეს სადგომები რაღაც საჭინობოს ახურებსა თუ კაბინებს ჰკავდა. ერთ ტიხარზე დიდრონი ასობით ეწერა: „ბ ე ზ ი უ... ა ფ თ ი ა...“ დანარჩენი გამქრალიყო, ობს შეეკამა. მაგრამ რა დიდი ჰკუა უნდოდა იმის გამოცნობას, რომ ეს ნიშნავდა—„ბეზიუკეს აფთიაქი“.

— მესმის, რა ამბავიც მოხდა,—თქვა ტარტარენმა,—ციდილან, ეტყობა, აქ დასახლებულიყვნენ, მაგრამ კუნძულის ეს ფერდობა რაკი არაჩანსალი გამოდგა, საბოლოოდ გაღმა მხარეს დამკვიდრებულან.

მტკიცე ხმით ტარტარენმა მყის ბრძანება მისცა მეთაურ ბრავოდას, დახვერვავზე წაეყვანა მოლაშქრენი: მაღალ მთაზე ადით და იქიდან მოათვალიერეთ გარემო; ზემოდან დაინახავთ, უთუოდ, ქალაქის სახურავების საკვამურებიდან ასულ ბოლსო.

— კავშირს დაამყარებთ თუ არა, მაშინვე თოფის სროლით გვაცნობებთ. მე კი, დაბლა დავრჩები. აქ მეყოლება ჩემი მდივანი, კაპელანი და სხვები,—განაგრძობდა ტარტარენი.

ბრავიდამ და ლეიტენანტმა ექსკურბანიესმა დააწყვეს თავიანთი ხალხი და გზას გაუდგნენ. მოლაშქრენი ჯერ მწყობრად მიდიოდნენ, მაგრამ ბლანტი და სლიკინა ხავსით დაფარული აღმართი სიარულს აძნელებდა, — დაწყობილი რიგები მალე დაიშალა.

პატარა ნაკადული რომ გადაიარეს, მეორე ნაპირზე სამრეცხაო ღარი და ვილაცის დავიწყებული საზეპელი ნახეს. ღარსაც და საზეპელსაც მოსდებოდა, უღმობელად მორეოდა ის მწვანე ხავსი, ყოველ ფეხის გადადგმაზე მოძალებულად რომ ხვდებოდა კაცს. ცოტა მოშორებით რაღაც შენობის, ეტყობა, ბლოკჰაუსის ნანგრევები მოჩანდა.

როცა მოლაშქრენი წააწყდნენ ერთიმეორესთან სულ ახლო განლაგებულ ასეულ ორმოს, ლიანებითა და ეკლის ბარდებით მუხანა-

თურად შენიღბულთ, მათი კარგი მწყობიარობა საბოლოოდ დაირღვა.

რამდენიმე კაცი ჩავარდა ამ ორმოებში, იარაღისა და საჭურველის მაგარი ჩხარაჩხურით; მათ დააფრთხეს დიდრონი ხელიკები, სწორედ ისეთები, ბარაკში რომ ნახეს. ეს ორმოები მაინცდამაინც ღრმა არ აღმოჩნდა. პატარაზე გათხრილი ფოსოები რიგ-რიგად მისდევდა ერთიმეორეს.

— ძველ სასაფლაოსა ჰგავს, — შენიშნა ლეიტენანტმა ექსკურბანიესმა.

ეს იმიტომ მოუვიდა ფიქრად, დაინახა ჯვრისებურად გადახლართული ტოტები, რომლებიც ახლა კვლავ ამწვანებულ იყვნენ, ბუნებრივი სახე მიეღოთ და უსურვავსა ჰგავდნენ. ყოველ შემთხვევაში, აქ წინათ ალბათ სასაფლაო იყო; მერე კი, ეტყობა, სხვაგან გადაუტანიათ, რადგან ძვლის ნატამალიც არსად მოიძებნებოდა.

დიდის გაქირვებით აღიოდნენ ჩვენი მოლაშქრენი ხშირი ჩირგვნარით დაფარულ მთას, სანამ, ბოლოს, სულ მაღლა არ ააღწიეს. აქ ჰაერი უფრო საღი იყო, ნიავეთ გამოცოცხლებული და ზღვის სურნელებით გაყდენილი. შორით ფართო ვაკე გადაშლილიყო; თანდათან, შეუმჩნევლად ეს ვაკე ზღვისაკენ ეშვებოდა. ეტყობა, ქალაქიც სწორედ იქ იყო.

ერთმა მოლაშქრემ თითი გაიშვირა და კვამლის სვეტებზე ანიშნა, ექსკურბანიესმა კიდევ მხიარულად შეჰყვირა:

— გესმით!.. ტამბურინები!.. ფარანდოლა!..

ვის შეიძლებოდა, მართლაც, შეშლოდა და არ ეცნო ფარანდოლას როკვითი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ჰანგი. პორტ-ტარასკონი მოდიოდდა მათ შესახვედრად.

გამოჩნდა უკვე ქალაქის ხალხი, ყველგან: ფერდობებზე, ზეგანის ბოლოში, მთელი ბრბო წამოიშალა.

— გაჩერდით! — შესძახა უცებ ბრავილამ. — ველურები არიან, ვგონებ!

ხროვის თავში, მეტამბურინეთა წინ, ცუკვავდა და თან ტომპაკვს აქნევდა მაღალი გამხდარი შავკანიანი; ტანთ მეზღვაურის მაისურა ეცვა და თვალებზე ლურჯი სათვალე ეკეთა.

ორსავე მხარეს მყოფნი შედგნენ და ერთმანეთს შორიდან დაუწყეს სინჯვა. ბრავილამ უცებ გადაიხარხარა:

— მეტიმეტი კი მოსვლია!.. აჰ, ეს ოინბაზი... — ხმალი ქარქაშში ჩააგო და წინ გაიჭრა.

თავისი მხედრები უკან უხმობდნენ:

— მეთაურო!.. მეთაურო!..

მაგრამ ბრავიდა მათ. ყურს არ უგდებდა, სულ წინ გაბოდა და, რაკი დარწმუნებული იყო ბომპარს მივმართავო, მოცეკვავეს რომ უახლოვდებოდა, დაუყვირა:

— გიცანი, ძმობილო... გადაგიქარბებია... ძალზე ველური ხარ... პირწავარდნილი ველური...

შავკანიანი კი ცეკვას განაგრძობდა და თავის იარაღს ატრიალებდა. როდესაც უბედური ბრავიდა მიხვდა ბოლოს, რომ მის წინ ნამდვილი კანაკი დაცეკვავდა, გვიანდა იყო, — ველარაფერი ააცილებდა ჩატყვიებულ კეტს, რის საშინელმა დარტყმამაც ჩაურგვევა კორპის ჩაჩქანი, თავიდან ამოუგდო საცოდავ კაცს მოკლე ქეუა და გამოტა მიწაზე.

უმალ ქარიშხალივით ავარდა ზმუილის ხმა, ტყვია და ისარი. თავიანთი მეთაური უსულოდ დაცემული რომ ნახეს. ინსტინქტურად სროლა დაიწყეს, მერე კი მოკურცხლეს და ვერ შეამჩნიეს, რომ ველურებმაც იმათსავით თავს უშველეს.

ტარტარენმა გაიგონა სროლა.

— ეტყობა, კავშირი დაამყარეს! — თქვა მან მხიარულად.


მაგრამ სიხარული მალე ელდად ექცა, როცა დაინახა თავისი პატარა ჯარის მხედრები, ერთმანეთში არეულნი, სულ ჩირგვებზე ხტომით ტყე-ტყე როგორ გარბოდნენ, ზოგი უქუდოდ, ზოგიც უფეხსაცმლოდ, და შემადრწუნებლად გაჰყვიროდნენ.

— ველურები!.. ველურები!..

შეიქნა რალაც საშინელი პანიკა. კანჯო დიდის სისწრაფით გავიდა გაშლილ ზღვაში. გუბერნატორი გარბი-გამორბოდა ნაპირზე.

— მშვიდად იყავით! მშვიდად!.. — მოუწოდებდა იგი ყრუ ხმით, შეშინებული თოლიას ხმით, რითაც შიშს უორკეცებდა ყველას.

ვიწრო ქვიშოვან ზოლზე რამდენიმე წუთს გრძელდებოდა თავისა საშველად. ატეხილი ორომტრიალი. ყველანი გარბოდნენ, მაგრამ რაკი არავინ იცოდა, საით გაქცეულიყო, ბოლოს ისევე ერთად შეჯგუფდნენ. ამასთანავე არც ერთი ველური არ გამოჩენილა და შესაძლებელი გახდა შემოწმება-გამოკითხვა.



— მერე მეთაური სადღაა?

— მოკლულია!

ექსკურბანდის ბრავიდას საბედისწერო შეცდომის ამბავს რომ მოჰყვა, ტარტარენმა შესძახა:

— უბედური პლასიდი! მაინც რა გაუფრთხილებლობაა... მტრულ მხარეში!.. მაშ, ვერ მოუხდენია დაზვერვა!..

ტარტარენმა დაუყოვნებლივ ბრძანება გასცა — დაეყენებინათ გუშაგები. საამისოდ გაწესებულნი, წყვილ-წყვილად, ნელს ნაბიჯით დაიძრნენ ადგილიდან მტკიცე გადაწყვეტალებით — არ ჩამორჩენოდნენ ჯარის მთავარ ძალებს. მერე ყველანი სათათბიროდ შეიკრიბნენ, ტურნატუარი კი ამასობაში შეხვევას შეუდგა დაჭრილისას, რომელსაც მოწამლული ისარი მოხვდა და ყველას თვალწინ საშინლად სივდებოდა.

ტარტარენმა აიღო სიტყვა:

— უპირველეს ყოვლისა, ვერიდოთ სისხლისღვრას.

მან წინადადება მისცა, გაეგზავნათ მამა ბატალიე პალმის ტოტით. წმიდა მამა, შორიდან დააქნევს ამ ტოტს, ამავე დროს კი გაიგებს, რა ხდება მტრის ბუნაგში და რა ბედი ეწიათ კუნძულის პირველ ახალმოშენეთ.

— ეჰ, ერთი თქვენც! რის პალმა!.. — წამოიძახა მამა ბატალიემ. — გირჩევნიათ, თქვენი ოცდათორმეტმუხტიანი ვინჩესტერი მიბოძოთ.

— რას იზამ, თუკი წმიდა მამას არა სურს წასვლა, მაშინ მე თვითონ წავალ, — წარმოთქვა გუბერნატორმა. — ოღონდ თქვენ მაინც წამობრძანდებით ჩემთან ერთად, ბატონო კაპელანო, თორემ პაპუასური ენა მე ხომ სუსტად ვიცი.

— მერე მე კი ვიცი?!

— დალახვროს ეშმაკმა! მაშ რაღას მასწავლიდით მთელი სამი თვე?.. რა ენის გაკვეთილებს მაძლევდით მგზავრობის დროს?

მამა ბატალიემ, ვითარცა კეშმარიტმა, ტარასკონელმა, მონახა მდგომარეობიდან გამოსავალი და განაცხადა, აქაური პაპუასების ენა კი არა, იქაური პაპუასებისა ვიციო.

ამ შელაპარაკებამ კვლავ დიდი პანიკა გამოიწვია. იმ მხარეს, საითაც გუშაგები წავიდნენ, თოფებმა იგრილა და ტყის ტევრიდან გამწარებით ვილაცამ დაიძახა ტარასკონულ კილოზე:

— არ ისროლოთ!.. — არ ისროლოთ!.. დაგწყევლოთ ღმერთმა!..

ბუჩქებიდან ფიცხლავ რაღაც არაჩვეულებრივი, საზარელი არსება გამოხტა, თავით ფეხებამდე წითლად და შავად დასვირინებული, თითქოს ჭამბაზის ტანსაცმელი სცმოდეს. ბეზიუე გახლდათ.

— ვაა!.. ეს ხომ ბეზიუეა!

— როგორაა, ე, საქმეები?

— აქ რა ამბავია?

— დანარჩენები. სად არიან?

— სად არის ქალაქი, პორტი, მშრალი ღოკი?

— ქალაქიდან, — უპასუხა მეთათიქემ, თან დანგრეულ ბარაკზე მიუთითა, — აი, რა დარჩა; მცხოვრებთაგან — აი, ვინ, — თავის თავზე მიუთითა. — მაგრამ ჯერ რამე მომახურეთ სხეულზე, რომ დაეფარო ის სისაძაგლენი, რითაც ამ ოხრებმა შემაძვეს.

და, მართლაც, ველურებს ბასრი საჩხვლეტელით მის კანზე ისეთი სიბინძურეები დაესატათ, რის მოფიქრებაც კი მათ გავარყარებულ წარმოდგენას შეეძლო.

ექსკურბანისემა თავისი პირველი კლასის წარჩინებულის მოსახსამი მიაწოდა. ბედუქუდმართმა ბეზიუეკემ შესახურებლად არაყი გადაჰკრა და ჯერ კიდევ შერჩენილი ტარასკონული კილოთი და სიტყვის საქცევით დაიწყო თავისი ამბავი:

— ამ დილით თქვენ მკმუნვარედ განცვიფრდით, როს იხილეთ, რომ ქალაქი პორტ-ტარასკონი მარტოოდენ რუკაზე არსებობს. წარმოიდგინეთ ახლა ჩემი მდგომარეობა, როდესაც „ლუციფერიო“ და „ფარანდოლიო“ ჩამოვედით...

— ბოდიში, შეგაწყვეტინებთ, — თქვა ტარტარენმა, როცა შენიშნა, რომ ტყის პირას მდგომი გუშაგები საგანგაშო სიგნალებს იძლეოდნენ. — მგონია, უმჯობესი იქნება, ეგ თქვენი საამბობელი გემზე მოგვითხროთ. აქ შეიძლება კანიბალები წამოგვადგნენ თავს.

— თავი: წამოგვადგნენ კი არადა... თქვენი თოფების ბათქაბუთქმა სულ კუდით ქვა ასროლინათ... ერთიანად მიატოვეს კუნძული, მე კი დრო ვიხელთე და აქეთ ვძურწე...

ტარტარენი თავის ნათქვამზე იდგა: უმჯობესია, ბეზიუეკემ ყველაფერი დიდი საბჭოს წინაშე თქვასო; მდგომარეობა ძალიან სერიოზულიაო.

ნაპირთან უხმეს კანჯოს, შეტაკების დასაწყისისთანავე გახტე

მხდალად რომ გამდგარიყო. ჩასხდნენ შიგ და დაბრუნდნენ გემზე, სადაც ყველანი შეწუხებულნი ელოდნენ, რით დამთავრდებოდა პირველი დაზვერვა

VII

*მანამრმთ, გვირუკა... მატყუარაა თუ არა კმრსობი ღე მონსი? აღვოატი გრანაშალ-
ში. „Verum enim vero“, „მინაილან და რაღბან“ კლპისსიტი. „ბაბუ-კანანო“
ისი ღასაქალზე ქრება.*

ავბედითი იყო პორტ-ტარასკონის პირველ ახალშოშენეთა ოდი-
სეა, რასაც ბეზიუყე საბჭოს უამბობდა „ტუტუ-პანანის“ კაუტ-კომ-
პანიაში, სადაც ესწრებოდნენ უხუცესნი, გუბერნატორი, მეუფრო-
სეები, პირველი და მეორე კლასის წარჩინებულები, კაპიტანი სკრა-
პუშინა და მისი შტაბი. ზემოთ კი, გემბანზე, დანარჩენ მგზავრებს
მოუთმენლობითა და ცნობისმოყვარეობით გული ელეოდათ, მაგრამ
მათ ყურთასმენას მარტო მეაფთიაქის ბანის შეკავებული გუგუნო
და მისი აუდიტორიის ხმამაღალი შეძახილები აღწევდა.

თავიდანვე, დატვირთვის უმალ, როგორც კი „ფარანდოლა“ მარ-
სელის პორტიდან გამოვიდა, გუბერნატორის მოვალეობის დროე-
ბით შემსრულებელს, ამასთანავე ექსპედიციის უფროსს ბომპარს,
მოულოდნელად რაღაც უცნაური, მისი სიტყვით რომ ეთქვათ, გა-
დამდები ავადმყოფობა შეეყარა თურმე და თავი ნაპირზე ჩამოას-
მეინა, ხოლო რწმუნებულებანი თვისი ბეზიუყეს გადასცა. იღბლი-
ახი ბომპარი!.. ალბათ, წინათვე გრძნობდა, რა ელოდათ კუნძულზე.

სუეცში, „ლუციფერი“ ისეთ სავალალო მდგომარეობაში უნა-
ხავთ, რომ მას გზის გაგრძელება არ შეეძლო, ამიტომ მგზავრები
ისედაც უკვე გადატვირთულ „ფარანდოლას“ ქიმზე გადაუყვანიათ.

ახლა როგორ აღონებდათ სიცხე ამ წყეულ გემზე! გარეთ მზე
ბუგავდათ, ქვევით ჩავიდოდნენ და, ერთმანეთზე ძიკრულებს. სუ-
ლი ეხუთებოდათ.

პორტ-ტარასკონს რომ ჩააღწიეს, მართალია, იმედი გაუცრუვ-
დათ და ვერაფერი ნახეს — ვერც ქალაქი, ვერც ნავსადგური, ვერც
სხვა რამ ნაგებობა — მაგრამ ისე ძალიან ეწადათ წელში თავისუ-

1 კეშმარიტად (ლათ.).

ფლად გაშლა, რომ თვით უდაბურ კუნძულზე გადმოსულებმაც კი შვეებით ამოისუნთქეს, გულით გაიხარეს. ნოტარიუსმა კამბალალეტმა, მიწისმზომელმა, ოკეანის მიწათმოწყობაზე შეთხზული სახუმარო სიმღერითაც კი შეაქცია ისინი. მერე სერიოზულ რამეებზე დაიწყო ფიქრი.

— მაშინ გადავწყვიტეთ, — ამბობდა ბეზიუკე, — გემი სამშენებლო მასალაზე გაგვემგზავრებინა სიდნეიში და თქვენთვის გამოგვეგზავნა სასოწარკვეთილი დეპეშა, რაც თქვენ, რა თქმა უნდა, მიიღეთ.

ყოველი მხრიდან უარის ძახილი ისმოდა:

— სასოწარკვეთილი დეპეშა?..

— რა დეპეშა?

— არავითარი დეპეშა არ ვიგვიღია.

— ძვირფასო ბეზიუკე, — დაიბუბუნა ამ საერთო ჩოჩქოლში ტარტარენმა, — ჩვენ მივიღეთ მხოლოდ ერთი დეპეშა, სადაც იუწყებოდით, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ძალიან კარგად მიგვიღეს და ტაძარში პარაკლისი გადავიხადეთო.

— პარაკლისი ტაძარში? რომელ ტაძარში?

— მერე ყველაფერი გაირკვევა... განაგრძეთ, ფერდინანდ... — თქვა ტარტარენმა.

— მე განვაგრძობ... — მიუგო ბეზიუკემ.

ამასობაში მისი მონათხრობი სულ უფრო პირქუში ხდებოდა.

კოლონისტები მხნედ შეუდგნენ საქმეს. რაკი სამიწათმოქმედო იარაღი ჰქონდათ, ყამირი მიწის მოხვნა დაიწყეს; მაგრამ ნიადაგი საშინელი გამოდგა, არაფერი ხარობდა, მერე წვიმები დაიჭირა...

აუდიტორიის ღრიალმა მთხრობელს კვლავ სიტყვა გააწყვეტინა:

— განა აქ წვიმა იცის?

— იცის, და მერე როგორ!.. ლიონზე უარესად, შვეიცარიაზე უარესად... წელიწადში ათი თვე წვიმს და წვიმს.

შეძრწუნდნენ ყველანი. თვალი მიაპყრეს ილუმინატორებს, საიდანაც სანაპიროს მუქმწვანე, ტენიანი მცენარეულობის ზემოთ ხშირი ნისლი და უძრავი ღრუბლები მოჩანდა.

— განაგრძეთ, ფერდინანდ, — თქვა ტარტარენმა.

ბეზიუკემაც განაგრძო.

გადაუღებელი წვიმები, დაგუბებული წყალი, ტიფი, მალარია, — ყოველივე ამან უცებ წამოზარდა სასაფლაო. ავადმყოფობებს დამატა მოწყენილობა, სევდა-ნაღველი. ყველაზე მედგარნიც კი ველარ მუშაობდნენ, — ისე უსუსტდებოდათ სხეული ამ ხაშმიან ჰავაში.

იკვებებოდნენ კონსერვებით; ამას გარდა, კუნძულის მეორე მხარეს დაბანაკებულ პაპუასებს მათთან გასაყიდად მოჰქონდათ ხელიკები, გველები და, საერთოდ, ყველაფერი, რასაც ისინი თევზაობასა და ნადირობაში მოიპოვებდნენ ხოლმე. ამ საბაბით პაპუასები ვერაგულად შემოძვრნენ კოლონიაში, ისე რომ არავის მათზე ეჭვი არაფერზე აუღია.

ენახოთ, ერთხელ ღამით, ველურები ბარაკს შემოესიენ, — შემოიჭრნენ ეშმაკეულებივით კარ-ფანჯრებში, სახურავიდანაც კი იპარებოდნენ, ხელთ იგდეს იარაღი, გაჟლიტეს ყველა, ვინც წინააღმდეგობა გაუწია, დანარჩენები კი თავის ბანაკში წაასხეს.

მთელი ერთი თვე ამის შემდეგ საზარელი ორგიები არ შეწყვეტილა. პატიმრებს კეტებსა სცხებდნენ თავში და რიგ-რიგობით სულს ანთხევივებდნენ, გავარვარებულ ქვებზე ძუძუს გოჭებევით წვაოდნენ და სანსლავდნენ ეს ნადირი კანიზალები.

საშინელი ყვირილი აღმოხდა მთელ საბჭოს, და ამ ყვირილმა გემბანზე მყოფ მგზავრებსაც კი შიშისზარი დასცა; გუბერნატორმა ძლივსლა მოახერხა და წაილულლულა:

— განაგრძეთ, ფერდინანდ!

მეაფთიაქეს თვალწინ დაეღუპნენ მთელი თავისი ამხანაგები: უწყინარი მამა ვეზოლი, მუდამ პირმოღიმარი, ბედის მორჩილი, ბოლომდე რომ სულ ამას გაიძახოდა: „მადლობა შენდა, უფალო!“, და ნოტარიუსი კამბალალეტი, მხიარული მიწისმზომელი, რომელიც იწვოდა და ძალა მაინც მოიცა, რომ გაეცინა.

— ამ მტარვალებმა მაიძულეს შემეჭამა უბედური კამბალალეტის ხორცი! — დაატანა ამ მოგონებით მთლად შეძრულმა ბეზიუქემ.

სიჩუმე ჩამოვარდა, მერე კი ღვარძლიანი კოსტეკალდი, უცებ რომ გაყვიტლდა და სიბრაზით სახე მოედრიცა, გუბერნატორს მიუბრუნდა და უთხრა:

— მაშ როგორღა გვეუბნებოდით, გვეწერდით და სხვებსაც აწერინებდით, აქ კაციჰამიები არ არიანო?

შეწუხებულმა გუბერნატორმა თავი ჩაქინდრა.

— კაციჰამიები არ არიანო! — ჩამოართვა სიტყვა ბეზიუკემ.— სულაც ყველანი კაციჰამიები არიან. ადამიანის ხორცი მათი ყველაზე საყვარელი საქმელია, განსაკუთრებით კი ჩვენი ხორცი, ხორცი თეთრი ტარასკონელებისა. ისე ეგემრიელებათ, რომ ცოცხლებს როცა ბოლო მოუღეს, ახლა მკვდრებს მიაღვნი. არა ნახეთ ძველი სასაფლაო? იქ აღარაფერი დარჩენილა, ერთი ძვალიც კი არა, სულ პირწმინდად დაფხიკეს, დაღრღნეს, მოასუფთავეს ყველაფერი, როგორც ჩვენ თეფშებს მოვასუფთავებთ ხოლმე გემრიელი წვნიანისა, ანდა ნივრით შეზავებული, ნაკვერცხალზე შემწვარი ხორცის მერე.

— თქვენ თვითონ როგორღა გადარჩით, ბეზიუკე? — ჰკითხა პირველი კლასის ერთმა წარჩინებულმა.

მეაფთიაქე ასე ფიქრობდა: რაკი ის წამლების შუშებს შორის ცხოვრობდა და ერთთავად ფარმაცევტულ მასალასთან ჰქონდა საქმე, როგორიცაა პიტნა, დარიშხანა, არნიკა, იპეკო, ბოლოს, ეტყობა, სამკურნალო ბალახების სუნით გაიჟღინთა, და კაციჰამიებმა დაიწუნეს. ან ეგებ, პირიქით, სწორედ ამ აფთიაქის სუნის გამო, ბოლოსთვის შემოინახეს.

— ახლა რა უნდა ვიღონოთ? — იკითხა მარკიზ დეზ ესპაზეტმა, ამბავი რომ მოისმინა.

— როგორ თუ რა? — ჩვეულებრივ ბრაზიანად ალაპარაკდა სკრაპუშინა. — იმედი მაქვს, თქვენ აქ არ დარჩებით?

— არა, ბატონო, არა! რა თქმა უნდა, არა! — იყვირეს ყოველი მხრიდან.

— თუმცა მე მარტო თქვენი აქ მოყვანისა გადამიხადეს, — განაგრძო კაპიტანმა, — მაინც მზადა ვარ, ვინც კი მოისურვებს, ყველა უკან დავაბრუნო.

ამ წუთს ტარასკონელებმა ცუდი ხასიათი აპატიეს კაპიტანს. დაივიწყეს, რომ ყველას „წუნკალ მაიმუნებს“ ეძახდა და დახოცვას უპირებდა. გარშემოეხვივნენ, მადლობასა სწირავდნენ, ჩამოსართმევად ხელს უწვდიდნენ. მაგრამ უცებ ამ საერთო ხმაურში დიდად ღირსეულად დაიწყო ლაპარაკი ტარტარენმა:

— თქვენ თქვენი იცით, ბატონებო, მე კი ვრჩები. მე მაკისრია მოვალეობა გუბერნატორისა და იგი პირნათლად უნდა შევასრულო.

— გუბერნატორისა! რის გუბერნატორისა?...—დაიდრიალა სკრა-პუშინამ. — აქ რომ არაფერია?!

— კაპიტანი მართალია... აქ ხომ არაფერია!..

ტარტარენი თავისას გაიძახოდა:

— ჰერცოგ დე მონსთან პირობით ვარ შეკრული, ბატონებო.

— თქვენი ჰერცოგ დე მონსი ჯიბგირია! — წარმოთქვა ბეზიუ-კემ. — მუდამ საეჭვოდ მეჩვენებოდა, ჯერ სამავისო საბუთიე რომ არა მქონდა.

— ახლა სადღა გაქვთ ეგ საბუთი?

— ჯიბეში არ მიდევს, რაღა თქმა უნდა! — ეს რომ თქვა, მეაფ-თიაქემ როგორღაც მორცხვად შემოიხვია პირველი კლასის წარჩინებულის მოსასხამი, რითაც ის თავის დასვირინგებულ სიშიშვლეს იფარავდა. — ტყუილად კი არ მითხრა მომაკვდავმა ბოშპარმა, „ფარანდოლას“ რომ ტოვებდა: „უფრთხილდით მაგ ბელგიელს, მატყუარაა...“ ლაპარაკი რომ შესძლებოდა, მეტსაც მეტყოდა, მაგრამ ავადმყოფობამ მთლად ძალა გამოაცალა. თუმც, მეტი რაღა საბუთი გინდათ? განა ის არ კმარა, რომ ჰერცოგმა ამ უნაყოფო, არა-ჯანსაღ კუნძულზე გადმოგვხვეწა, რათა აქ დავსახლდეთ და ყამირი გადავხნათ. ახლა კიდევ მისი ცრუ დეპეშები იანგარიშეთ!

საბჭო აღელდა, ყველანი ერთად აყაყანდნენ, მხარს უჭერდნენ ბეზიუეკს, შეურაცხმყოფელ სიტყვებს არ აკლებდნენ ჰერცოგს:

— მატყუარა!.. ცრუ!.. წუპაკი ბელგიელი!..

ტარტარენი ყველას გამირულად უმაგრდებოდა:

— ვიდრე დამაჯერებელ საბუთებს არ მივიღებ, ჰერცოგ დე მონსზე აზრი არ შემერყევა.

— ჩვენ კი უკვე შევადგინეთ მასზე აზრი... ის ქურდია!..

— შეიძლება ის წინდაუხედავად მოიქცა, ეგებ, კარგად არ იყო საქმეში ჩახედული...

— ნუ იცავთ, მაგის ადგილი კატორღაშია...

— მე მან პორტ-ტარასკონის გუბერნატორად დამნიშნა, და პორტ-ტარასკონში ვრჩები.

— ბრძანდებოდეთ, მაშ, აქ მარტოდმარტო!

— რა გაეწყობა, მარტო დავრჩები, თუკი თქვენ მიმატოვებთ. ოღონდ სამიწათმოქმედო იარაღები თან არ წაიღოთ...

— აკი გეუბნებიან, აქ არაფერი მოდისო, — მიახალა ბეზიუკემ.

— ეტყობა, თქვენ თავი ვერ გაართვით მაგ საქმეს, ფერდინანდ!

ამის გამგონე გაგულისებულმა სკრაპუშინამ ერთი მაგრა დასთხლიშა მუშტი მაგიდას, რომელსაც საბჭო უჯდა:

— ჭკუიდან შეიშალა! მე მაგას ძალით წავიყვან აქედან და, თუ წინააღმდეგობა გამოწია, როგორც წუნკალ მაიმუნს, ისე ვესვრი და გავაგორებ.

— აბა ერთი სცადეთ, შეჩვენებულო!

გაცეცხლებული, მუქარით ხელშემართული, წამოიჭრა და ტარტარენს გვერდში ამოუდგა მამა ბატალიე. დაიწყო გააფთრებული ლანძღვა, სეტყვასავით დააყარეს ერთმანეთს ტარასკონელთა საყვარელი გამოთქმები: „გამოშტერდით... სისულელეებს როშავთ... მოუკრეფავში გადადიხართ...“

უფალმა უწყის, რით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი, იუსტიციის მეუფროსე, ადვოკატი ბრანკებალმი რომ არ ჩარეულიყო საქმეში.

ბრანკებალმი მეტად ენამჭევრი ადვოკატი გახლდათ, თავის საბუთებს მუდამ მოოკავდა ხოლმე მსგავსი მშვენიერებებით: „იმდენჯერ რამდენჯერაც, ერთის მხრივ, მეორეს მხრივ“, ხოლო წარმოთქმულ სიტყვას ისე შეკრავდა და შეადუღებდა რომაული წესით, რომ გარის ხიდის¹ აკვედუკზე მყარს განდიდა: ლათინურში მაგრად გაწაფულმა, ციცერონის მჭევრმეტყველებასა და ლოგიკაზე აღზრდილმა ამ ადამიანმა, რომელსაც *verum enim vero*-თი გამოჰყავდა მუდამ „ვინაიდგან და რადგან“, ისარგებლა დროებით ჩამოვარდნილი სიჩუმით და სიტყვა აიღო. ლამაზი გრძელი პერიოდები მიაყოლა და

¹ გარის ხიდი — ნაწილი რომაული აკვედუკისა, რომელიც აშენდა 19 წელს ძვ. წელთაღრიცხვით და წყლით ამარაგებდა ქალაქ ნიმს (სამხრეთი საფრანგეთი). მდინარე გარის ხეობაზე გადებული 299 მეტრის სამიარუსიანი არკადი ღვემდე კარგად არის შემონახული.

მიყოლა ერთიმეორეს და, ბოლოს, გამოთქვა აზრი, პლებისციტს მიემართოთ.

დაე, მგზავრებმა თქვან „ჰო“ თუ „არა“. ერთის მხრივ, ისინი, ვინც დარჩენას ინდომებენ, დარჩებიან; მეორეს მხრივ, ისინი, ვინც დაბრუნებას მოისურვებენ, გემს გაჰყვებიან, როგორც კი ხუროები ბარაკსა და ბლოკჰაუსს შეაკეთებენო.

ბრანკებალმის ეს ყველას მომრიგებელი წინადადება მიღებულ იქნა და მაშინვე კენჭისყრას შეუდგნენ. მაგრამ გაიგეს თუ არა საქმის ვითარება იმათ, ვინც გემბანსა და კაიუტებში იმყოფებოდნენ, საშინლად შეშფოთდნენ. სულთქმა და ჩივილი გაისმა ყველგან. ამ საცოდავმა ადამიანებმა მთელი თავისი ავლადიდება ყბადაღებულ ჰექტარებს შეაღიეს. ნუთუ ახლა უნდა დაკარგონ ყველაფერი, გამოეთხოვონ შესყიდულ მიწებს, კოლონიზაციის იმედს? ნივთიერი მოსაზრებანი დარჩენას უკარნახებდნენ, მაგრამ თვალს შეავლებდნენ თუ არა უღიმღამო პეიზაჟს, ჰოქმანს იწყებდნენ. დანგრეული ბარაკი, მუქი, ნამიანი მცენარეულობა, რის მიღმაც ეზმანებოდათ უდაბნო და კანიბალები, რომლებიც მომავალში, ალბათ, მათ ისევე შეჭამდნენ, როგორც შეჭამეს კამბალალეტი, — ყოველივე ეს სასიკეთოს არას უქადდა გადმოსახლებულებს და გულმა ასე მოუფიქრებლად მიტოვებული პროვანსისაკენ გაუწიათ.

ემიგრანტების ხროვით საესე ხომალდი ჭიანჭველების დარბეულ ბუდეს მოგაგონებდათ. მოხუცი ქვრივი დ'ეგბულიდისა, სათბურსა და თუთიყუშს რომ ვერ იცილებდა, გემბანზე დაყიალებდა.

კენჭისყრისწინა ფორიაქსა და აურზაურში ერთთავად გაისმოდა ბელგიელის, წუპაკი ბელგიელის წყევლა-კრულვა. ახლა ის უკვე ჰერცოგი დე მონსი კი აღარ ბრძანდებოდა, „წუპაკი ბელგიელი“ იყო. ამ სიტყვებს ისინი, მუშტმოდერებულნი სტრიდნენ კბილებში.

ასეა თუ ისე, ათასი ტარასკონელიდან ტარტარენტან დარჩენაზე ხმა ას ორმოცდაათმა მისცა. უნდა მოგახსენოთ, რომ უმეტესობას შეადგენდნენ წარჩინებულნი, რომელთაც გუბერნატორი შეჰპირდა, თანამდებობასა და წოდებას შეგინარჩუნებოთ.

სურსათის განაწილებას რომ შეუდგნენ, წამსვლელთა და დამრჩენთა შორის კვლავ განხეთქილება ჩამოვარდა.

— თქვენ მომარაგდებით სიდნეიში, — ეუბნებოდნენ კუნძულზე დამრჩენები ხომალდით გასამგზავებლებს.

— თქვენ კიდეც, ინადირებთ და თევზს დაიჭერთ, — უბასუხებდნენ ხომალდელები. — რად გჭირდებათ ამოდენა კონსერვი?

ტარასკვაც საშინელი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. დაბრუნდება ტარასკონსო? დარჩება კოლონიაშიო?..

ცხარე კამათი ატყდა. სკრაპუშინა რამდენჯერმე დახვრეტით დაემუქრა მამა ბატალიეს.

მშვიდობა რომ ჩამოეგდო, ადვოკატი ბრანკებალში იძულებული გახდა კვლავ მოეხმარა მთელი თავისი ნესტორისებური სიბრძნე და შიგადაშიგ თავისი „გაჭირვების ტალ-კვესი“ *verum enim vero* მოეშველებინა.

მაგრამ დიდად გაუჭირდა და ძლივს დაამოშმინა მლიქვნელი ექსკურბანიესისაგან ისედაც გონებააფორიაქებული ადამიანები. ეს კაცი მარტო ქვეშ-ქვეშ შუღლის გაჩაღებასა ცდილობდა.

ბანჯგვლიანი, აბურძგნილი, მყვირალა, ერთგული თავისი დევიზისა — „ვიხმოუროთ“, ლაშქრის ეს მხედარი იმდენად იყო სამხრელი, რომ ზანგადაც კი ჩაითვლებოდა. ზანგსა ჰგავდა მარტო მუქი ფერის კანითა და ხვეული თმით კი არა, სულიერი სიმდაბლით, მამებლობით, იმით, რომ მუდამ გუნდრუქს უკმევდა გამარჯვებულსა და ძლიერს: ხომალდზე — თავისი ეკიპაჟით გარშემორტყმულ კაპიტან სკრაპუშინას; ხმელეთზე — ლაშქრის მხედრებით გარშემოხვეულ ტარტარენს. თითოეულ მათგანს ის სხვადასხვაგვარად უხსნიდა, რატომ ირჩია პორტ-ტარასკონი. სკრაპუშინას ეუბნებოდა:

— მე ვრჩები, რადგან ჩემმა მეუღლემ უნდა მოიმშობიაროს, ეს რომ არა...

ხოლო ტარტარენს:

— არაფრით აღარ წავეყვები მაგ ბარბაროსს.

საბოლოოდ, ბევრი დავიდარაბის მერე, გაყოფა, ავად თუ კარგად, მოხერხდა. ტარასკი ხომალდით გასამგზავრებლებს დარჩათ, კუნძულებებმა სანაცვლოდ თუჯის ზარბაზანი და კარაპა მიიღეს.

ტარტარენმა ნაწილ-ნაწილ გამოჰგლიჯა წამსვლელებს სურსათიარალი და ხელსაწყოთა ყუთები.

რამდენიმე დღე განუწყვეტლივ მიდი-მოდდიოდნენ ათასი რამით — თოფებით, კონსერვებით, თინუსისა და სარდინის კოლოფ-

ბით, გალექით, მერცხლის პაშტეტითა და პამპკრით სავსე ყუთებით დატვირთული კანჯოები.

ამავ დროს ცულის ხმა გაისმოდა ტყეში, სადაც ბლომად ჩეხავდნენ ხეებს, რათა ბარაკი და ბლოკპაუზი შეეკეთებინათ. საყვირის ხმაც უერთდებოდა ცულებისა და ჩაქუჩების რაკუნს. დღისით, ლაშქრის მხედრები ველურების თავდასხმისაგან იცავდნენ მომუშავეებს; ღამით, ბანაკების ირგვლივ ჩასაფრდებოდნენ ხოლმე ნაპირზე. „შეეჩვიონ სალაშქრო ცხოვრებასო“, ამბობდა ტარტარენი.

როცა ყველაფერი მზად იყო, ერთმანეთს გამოეთხოვნენ, და, ცოტა არ იყოს, ცივადაც. წამსვლელებს შურდათ დამრჩენებისა, რაიცა მაინც ხელს არ უშლიდათ, დამცინავად ჩაენიკარტათ:

— საქმე თუ კარგად წაგივათ, მოგვეწერეთ, ჩვენც დავბრუნდებით.

თავის მხრივ, თუმც იხტიბარს არ იტენდნენ და ყოჩაღობდნენ კოლონისტები, მაგრამ გულის გულში მრავალი მათგანი, დიდის სიხარულით, თვითონაც ამ ხომალდს გაჰყვებოდა.

აუშვეს ბოლოს ღუზა. ხომალდიდან ზარბაზნის სალუტმა იგრიალა, ხმელეთიდან მამა ბატალიეს დატენილი დიდი ზარბაზანი გამოეპასუხა, ექსკურბანიესმა კი კლარნეტზე დაუკრა: „კეთილი მგზავრობა, ძვირფასო დიუმოლე“.

და მაინც, როცა „ტუტე-პანპანმა“ შემოუარა კონცხს და გაუჩინარდა, ბევრს, სანაპიროზე მყოფს, თვალი ცრემლით მოენამა, — პორტ-ტარასკონის რეიდი მათ უცებ უკიდევანო ეჩვენათ.

წიგნი მეორე

I

პორტ-ტარასკონის მემორიალი. მიღიან პასალონის დღიური, სადაც მოხსენებულია ყველაფერი, რაც ითამოდა და ამტკიცებდა თავისუფალ კოლონიებში ტარტარენის მხართველობის ქამს

ენკენისთვის 20, 1881 წლისა. განზრახული მაქვს აღვწუსხო კოლონიაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი ამბები.

თავს ზევით გზა არა მაქვს, ისე ვარ დაძალული საქმეებით: კან-

ცელარისის გამგებლობა მაქისრია, ამოდენა ადმინისტრაციული ქალაქების ასავალ-დასავალი, და მერე თავისუფალი წუთი გამოერევა თუ არა, ვწერ ნათუბათევიდ ლექსებს პროვანსულად — ხომ არ უნდა ჩაკლას ჩემში მგოსანი ოფიციალურმა საქმიანობამ.

ვციდი, რაც უნდა იყოს; რა საინტერესო წასაკითხავი იქნება ოდესმე დიადი ხალხის ისტორიის საწყისები. არა მითქვამს რა ვისთვისმე დღევანდელ წამოწყებულ შრომაზე, თვით გუბერნატორისათვისაც არ გამიმხელია.

აღვნიშნო უნდა, პირველ ყოვლისა, რომ მდგომარეობა, ეს ერთი კვირაა, გამოსწორდა, სწორედ მას შემდეგ, რაც „ტუტე-პანპანი“ გაბრუნდა უკან. ნელ-ნელა ვიკიდებთ ფეხს, ვეწყობით. პორტტარასკონის ალაში, იგივე ფრანგული დროშა, ოღონდ რაზედაც ტარასკია გამოსახული, ფრიალებს ბლოკპაუზის თავზე.

ბლოკპაუზში მოიკალათა მთავრობამ, ესე იგი, ჩვენმა ტარტარენმა, მეუფროსეებმა და ნაწილებმა, რომლებსაც ისინი თავში უდგანან. ჩემსავით უცოლო მეუფროსეები, ჯანმრთელობის ნაწილის მეუფროსე ბ-ნი ტურნატუარი და მთავარსარდალი არტილერიისა და ფლოტისა მამა ბატალიე, ბინად სამმართველოში არიან, ჰამით კი ტარტარენთან მიიერთმევეენ საქმელს. ბ-ნი კოსტეკალდი და ბ-ნი ექსკურბანიესი, ცოლიანი კაცები, ქალაქში იძინებენ და პურსაც იქვე ჰამენ.

ქალაქს ვეძახით დიდ სახლს, „ტუტე-პანპანის“ ხურობებმა რომ შეაკეთეს. ამ სახლს ირგვლივ რაღაც ბულვარი შემოაღლეს და მას ქალაქის სასეირნო წრე დაარქვეს, როგორც ტარასკონში ჰქვია. მივეჩვიეთ და ასე ვეტყვით ხოლმე ერთმანეთს: „ამ საღამოს ქალაქში მივდივარ... იყავით თუ არა ამ დილას ქალაქში?.. წავსულიყავით ქალაქს!..“ და ყველას ბუნებრივად მიაჩნია, ასე როცა ამბობს.

ბლოკპაუზსა და ქალაქს რუ ყოფს. ამ რუს პატარა რონა ვუწოდეთ. ჩემი კანცელარიის დია ფანჯარაში მესმის ხოლმე სატყეპელების ცემა ფერდობის ძირში წყალზე მწკრივად წახრილი მოსარეცხე დედაკაცებისა, რომლებიც მღერიან, გასძახ-გამოსძახიან ერთიმეორეს თავიანთ პროვანსულ ენაზე, ამ ელფეროვან, კაზმულ ენაზე, და თავი სამშობლოში მგონია.

ერთი რამ მიშნაშავს არსებობას სამმართველოში: დენტის სარდაფი. დენთი დიდი რაოდენობით დაგვიტოვეს და სარდაფის სართულში ინახება სხვადასხვა სურსათ-სანოვავესთან ერთად, როგორცაა: ნიორი, კონსერვები, სასმელები. იქ ავრეთვე სათადარიგო იარაღიცაა და. სამუშაო ხელსაწყო-იარაღები. სარდაფს ბოქლონი ადევს და ყველაფერი გულმოდგინედ არის დაცული. მაგრამ რა გინდათ, იფიქრებთ თუ არა, ფეხებქვეშ ამდენი მწვადი და ფეტქეზალი ნივთიერება მაქვსო, შიში შეგიპყრობთ მაშინვე, მეტადრე ღამით.

ენკენისთვის 25. გუშინ ქალბატონმა ექსკურბანიესმა ბედნიერად დაიბადა! ჩასუქებული ბიჭი, პირველი მოქალაქე, პორტარასკონის სამოქალაქო მდგომარეობის აქტებში შეტანილი. დიდის ამბით მონათლეს იგი ბამბუკით ნაგებ, ფართო ფოთლებით გადახურულ პატარა დროებითს ეკლესიაში წმიდა მარკა ლატანიერისა.

ბედმა ნათლიაობა მარგუნა, თანაც მადემუაზელ კლორინდა დეზესპანეტთან ერთად. ნათლია ქალი; ცოტა არ იყოს, ჩემზე მალაღია, მაგრამ ისეთი პირლამაზი, ისეთი სანდომიანია! მეტადრე მაშინა ჩანდა მშვენიერი, როცა ბამბუკის ცხაურში და სახურავის შეტყუებულ ფოთლებში გამოსხლეტილი სხივი სახეზე ეფინებოდა. მთელს ქალაქს მოეყარა იქ თავი. ჩვენმა კეთილმა გუბერნატორმა კარგი რამ სიტყვა წარმოთქვა და ყველანი აგვადლევა, ხოლო მამა ბატალიემ თავისი ერთ-ერთი უღამაზესი ლეგენდა გვიამბო. ამ დღეს მუშაობა ყველგან შეწყვეტილი იყო, როგორც რომ უქმე დღეს. ნათლობის შემდეგ სეირნობა გაიშართა ქალაქის წრეზე. ყველა ხარობდა. ახალშობილს თითქოსდა იმედი და სასოება მოჰქონდა, ბედნიერებას ზქაღდა კოლონიას. მთავრობამ ორმაგი ულუფა დაარიგა თინუსისა და პამპერისა; მაგიდაზე ყველას დამატებითი კერძი ედგა. ჩვენ კი გარეული ღორი შევაწვევინეთ ჩვენთვის. ეს ღორი მარკიზმა მოკლა. მარკიზი ტარტარენის შემდეგ ყველაზე კარგი მსროლელია კუნძულზე. როცა სადილი გათავდა და მარტო დავრჩი ჩემს მასწავლებელთან, მან ისეთი მა-

1 ტარასკონელი სიტყვის საქცევაია. „მემორიალი“ სახეა მსგავსი გამოთქმებით: მათი გასწორება, როგორც ეტყობა, საპიროდ არა ცნეს. (ავტ. შენიშვნა).

მობრივი სითბო მაგრძნობინა, მე გამოვეუტყდი: მადემუაზელ კლო-
რინდა მიყვარს-მეთქი. მან ჩაიღიმილა, სცოდნოდა თურმე ეს და
შუამდგომლობა აღმოთქვა, არა ერთი მშვენიერი სიტყვით გამამზ-
ნევა.

საუბედუროდ, მარკიზა წარმოშობით დ' ესკიუდელ დე ლამ-
ბესკია და მეტად თავი მოაქვს ჩამომავლობით, მე კი ხომ სულ
უბრალო წრიდან ვარ გამოსული. ოჯახი დასაწუნი არა გვქონია;
მართალია, აუგს. ვერავინ იტყოდა ჩვენზე, მაგრამ მუდამ კი მდა-
ბიო მოქალაქენი ვიყავით. ხელს მიშლის აგრეთვე ჩემი მორცხეო-
ბა და ის, რომ ცოტათი ენას ვუკიდებ. ესეც არ იყოს, მელოტი
შემეპარა კინკრიხოზე. მართლაცდა, ხუმრობა საქმეა, განა, ასე
ახალგაზრდა ვარ და კანცელარიის გამგებლობა მაბარია!

მარკიზი რომ ყოფილიყო მარტო, კიდევ რა უშავს! ანადირე,
იმას მეტი არა უნდა რა. ღმერთმანი, მარკიზას კი არა ჰვავს, თა-
ვისი გვარტომობით გაამაყებულს. ყოყლოჩინობა მეტი გინდათ!
ქალაქში ყველანი საერთო დარბაზში იყრიან თავს საღამომობით.
ისეთი კარგი რამ არის: მანდილოსნები საქსოვს არ იცილებენ, მა-
მაკაცები ვისტსა თამაშობენ. კუდაბზიკა ქ-ნი დეზ ესპანეტი კი ამ
დროს გამომწყვდეულია თავის ქალიშვილებთან ერთად თავიანთ იმ
ზომამდე ვიწრო ბუდრუგანაში, რომ, თუ არ რიგრიგობით, ქალები
ისე კაბას ვერ გამოიცვლიან. მერე რა! მარკიზა რჩეობს მაინც იქ
გაატაროს საღამო, მიიღოს სტუმრები, რომლებსაც დასაჯდომი ად-
გილი ვერ მოუნახავთ, და გაუმასპინძლდეს იმათ გვირილისა თუ
ცაცხვის ნაყენით, ვიდრე ვილაც-ვილაცეებში გაერიოს,—ასე ესაზარ-
ლება წვრილფეხა ხალხი. გეუბნებით მე თქვენ!

ასე თუ ისე, მე მაინც იმედს არა ვკარგავ.

ენკენისთვისე 29. გუშინ გუბერნატორი ქალაქს ჩავიდა.
დამპირდა, შენს საქმეზე მოვილაპარაკებ და რომ დავბრუნდები,
შეგატყობინებ რასმეო. წარმოდგენილი გექნებათ, რა მოუთმენლად
მოველოდი! მაგრამ დაბრუნდა და სიტყვა არ დაუძრავს.

საუზმეზე ძალიან ნერვიულობდა; თავის კაპელანთან საუბარში
უცებ წამოსცდა:

— რაც გინდა თქვით, და პორტ-ტარასკონში ჩვენ ძალიან გვა-
კლია წვრილფეხობა.

რაკი ქ-ნ დეზ ესპანეტ დე ლამბესკს პირზე მუდამ ეს ზიზღნა-

რევი სიტყვა „წერილფეხა ხალხი“ ეყერა, ამან მაფიქრებინა. რომ გუბერნატორმა ინახულა იგი და ჩემი თხოვნა უარეყოთ. ნამღვილის გაგება მაინც ვერ მომიხერხდა, რადგან გუბერნატორმა მაშინვე კოსტეკალდის მოხსენებაზე დაიწყო ლაპარაკი; ეს მოხსენება სასოფლო-სამეურნეო კულტურებს ეხებოდა.

უბედურ ამბავს ამხელდა მომხსენებელი. ყოველი ცდა უნაყოფო გამოდგაო: სიმინდი გინდა, ხორბალი, კარტოფილი თუ სტაფილო — არაფერი მოსულაო. არც შავი მიწაა სადმე, არც მზე ჩანს, ზევიდან წყალი დგას ჭარბად. ქვენიდავში ვერ ატანს და ნათესები წაუღეკავსო. ერთი სიტყვით, ბეზიუქემ რაცა თქვა, ის კიდეც ცოტაა!

უნდა კი ითქვას, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მეუფროსე შეიძლება განგებ უარესად წარმოგვიდგენს საქმეს, ამლამებს ძალიან და ფერებს ამუქებს. ბოროტი კაცია ეს კოსტეკალდი! შურს იმას მუდამ ტარტარენის დიდება და სიძულვილს იმაღავს გულში.

წმიდა მამა ბატალიემ, მიხვეულ-მოხვეული გზების მოძულემ, პირდაპირ მოითხოვა მისი გადაყენება, მაგრამ გუბერნატორმა ჩვეულის კეთილგონიერებითა და თავშეკავებით უპასუხა:

— სიფიცხე არ გემართებს!..

მერე წამოდგა მაგიდიდან, შევიდა კოსტეკალდის კაბინეტში და, ვითომცდა არაფერიცაო, დაეკითხა:

— როგორ არის, მაშ, ამ კულტურების საქმე, ბ-ნო მეუფროსე? კოსტეკალდი არ განძრეულა და გესლიანად უპასუხა:

— მე წარმოვუდგინე ჩემი მოხსენება ბატონ გუბერნატორს.

— კარგით ერთი, მოიცათ, ბატონო კოსტეკალდ, რაღაც მეტად ჩაუამებულია ეგ თქვენი მოხსენება!

კოსტეკალდს მთლად ყვითელი ფერი დაედო:

— რაც არის ეგ არის, და, თუ თქვენ ჭავრი მოგდით...

კადნიერი, რაღაც თავხედური კილოთი იყო ეს ნათქვამი, მაგრამ იქ სხვებიც იყვნენ და ტარტარენმა თავი შეიოკა.

— კოსტეკალდ, — უთხრა მან და პატარა ნაცრისფერი თვალები გააკვესა, — მოველაპარაკებით, მარტონი როცა ვიქნებით.

სამინელება რამ ჟღერდა ამ სიტყვებში, მე ოფლმაც კი დამახს...

ენკენისთვის 30. რასაც ვშიშობდი, ის გამოდგა: ღებ ეს-
პაზეტებმა უარი მითხრეს, გამაწბილეს. დაბალი წარმოშობისა ვარ
მეტად. სიარული იმათთან არ მეკრძალება, ოღონდ იმედი ნურაფ-
რისა გექნებაო...

თვითონ კი რიდას იმედი აქვთ, ნეტა?.. გვაროვანი მეტი არა-
ვინ არის კუნძულზე. ვის უნდათ რომ მისცენ თავიანთი ქალიშვი-
ლი?.. აჰ! ბატონო მარკიზო, ძალიან ურიგოდ ირჯებით ჩემთან...

რა ვქნა?.. როგორ მოვიქცე?.. კლორინდას ვუყვარვარ, ვიცი;
მაგრამ ძალზე კეთილგონიერია და თავს არ გაატაცებინებს ყმაწვილ
კაცს, არ გაიპარება, რომ სადმე სხვაგან დაიწეროს მასთან ჯვარი...
ან კი როგორ გინდა! ჩვენ ხომ კუნძულზე ვიმყოფებით, მთელს
ქვეყანას მოწყვეტილები.

მაშინ რომ ეთქვათ ჩემთვის უარი, როცა უბრალო შეგირდი
ვიყავი მეთფთიასისა, კიდევ ჰო. მაგრამ დღეს, ასეთი მდგომარეო-
ბის პატრონი როგორ მომიშორეს, კარგი მომავალი რომ მიჩანს...

რამდენი სხვა ქალიშვილი თავს ბედნიერად იგრძნობდა, ასეთი
ვინმე მთხოულობსო! შორს წასვლანუ გვინდა, აი თუნდაც პაწა-
წკინა ბრანკებალში, მშვენიერი დამკვრელია პიანინოსი, თავის ღებ-
საც ასწავლის მუსიკას. კრინტი კი დამეძრა — მისი მშობლები ცას
დაეწეოდნენ სიხარულით!

აჰ! კლორინდა, კლორინდა!.. დასრულდნენ დღენი ბედნიერე-
ბისა!

მერე ახლა, რა გულსაკლავად წვიმს დილიდან, წვიმს განუწყ-
ვეტლივ, წვრილად სერავს ჰაერს, შეუტბორავს ყოველი და ზედ
რუხი დოღბანდი გადაუხურავს.

ბეზიუკეს არ უტრუნვია. წვიმს და წვიმს პორტ-ტარასკონში...
წვიმა ყოველმხრივ შემოგვლებიათ, გეკვრით, თითქოსდა ჰრიკინო-
ბელები გალიის ხშირ ბადეში გამწყვდევთ. სადღაა ცის დასალიე-
რი! წვიმაა, მხოლოდ და მხოლოდ წვიმა. წაუღეკავს მიწა, ცხრი-
ლავს, აქავლიანებს ზღვას; და ზღვაც ჩამონადენ წვიმას უერთებს
წინწყლებისა და შხეფების ზეასხურებულ წვიმას...

ღვინობისთვის 3. გუბერნატორმა მართალი თქვა: ნამდ-
ვილად გვაკლია წვრილფეხა ხალხი! ნაკლები იყოს გვარიშვილი,
წარჩინებული კაცი, და მეტი მეწყალსადენე, მხურავი, კალატოზი,
ხურო, — მაშინ კარგად წაგვივიდოდა საქმე კოლონიაში.

წუხელ გადაუღებლად წვიმდა და წყლის დაუცხრომელმა ღვა-
რებმა გაარღვიეს დიდი სახლის სახურავი; ქალაქი წყალში დგას.

განყოფილებები ერთიმეორეს აკისრებდნენ ვალდებულებას. სოფლის მეურნეობის წარმომადგენლები ამბობდნენ, საქმე სამდიენოს ეხებაო, სამდიენო ამტკიცებდა, საკითხი ჭანმრთელობის დაცვას ექვემდებარებაო; ჭანმრთელობის დაცვა კიდევ მომჩივანთ საზღვაო უწყებაში გზავნიდა, რაკი აქ სახურაო სამუშაოა საქიროო.

ქალაქში ემდუროდნენ, უჩიოდნენ „არსებულ წესს“, და არა ცხრებოდნენ.

ამასობაში ჰერში გამორღვეული ადგილი ფართოვდებოდა, ღვარად მოდიოდა წყალი და კაბინებში გაშლილი ქოლგებით ტბორში ჩამდგარი ადამიანები იგინებოდნენ, ყვიროდნენ, ადანაშაულებდნენ მთავრობას გააფთრებულები.

ბედი ჩვენი, რომ საწვიმარი ქოლგები არ გვაკლია! ყარტაყურტა საქონელში, ველურებთან გადასაცვლელად რომ ჩამოვიტანეთ, ბლომად ყრია ეს ქოლგები, — თითქმის იმდენივე, რამდენიც ძალის საყელო.

წყალდიდობისათვის რომ ბოლო მოეღო, მადემუაზელ ტურნატურათან მომსახურე გოგო აღრიკე აიჩხორა სახურავზე და ზედ დააკრა თუთიის ფურცელი, რომელიც საწყობში ეთხოვა. გუბერნატორმა დამავალა — აღრიკისათვის მადლობის ბარათი მიმეწერა.

ეს შემთხვევა იმიტომ ვახსენე, რომ ასეთმა ვითარებამ დამანახა ჩვენი კოლონიის სუსტი მხარეები.

ადმინისტრაცია ჩინებული გვყავს, გამრჯე, მონდომებული, განვრცობილიც კია მეტად, ქეშმარიტად ფრანგული, მაგრამ საკოლონიზაციოდ ძალები არა გვყოფნის: ბევრს ვუნდებით საკანცელარიო ქაღალდების მიწერ-მოწერას და მუშახელი კი გვაკლია.

ერთი რამაც მანკვიფრებს: ყოველ ჩვენს ღირსეულ გვამს ისეთი საქმე აქვს დაკისრებული, რა საქმისთვისაც ის ყველაზე ნაკლებად არის მომზადებული და გამოსადეგი. აი, თუნდაც მეიარადე კოსტეკალდი: მთელი ცხოვრება დამბაჩებში, ხმლებსა და სამონადირო საქურველში გაატარა, ახლა კი სამეურნეო საქმე აბარია. ექსკურბანისს ბადალი არა ჰყავდა არლური ძხვების დამზადებაში, და მერე რა: ბრავიდას უბედური შემთხვევის შემდეგ, სამხედ-

რო უწყების უფროსად და ლაშქრის მეთაურად დანიშნეს. მამა ბატალიემ არტილერია და საზღვაო ფლოტი დაიქვემდებარა, აქაოდა, მეზობელი ხასიათის პატრონიაო. ნამდვილად კი რომ ვთქვათ, წირვა იცის, მეტი არაფერი, და სხედასხვა ამბის მოყოლა.

ქალაქშიაც იგივე ხდება. ბლომად გვყავს იქ კარგი ხალხი — წვრილი რანტიეები, მეფართოეები, ბაყლები, მეშაქარლამეები, რომელნიც ჰექტარების მფლობელები არიან და არ კი იციან, რა უყრნ ამ მიწის ნაკვეთებს, არა გაეგებათ რა სოფლის მეურნეობისა.

გუბერნატორის მეტს ვერავის ვხედავ, ნამდვილად ჩახედული იყოს საქმეში. ო! ამას ყველაფერი ესმის, ყველაფერი უნახავს, ყველაფერი წაუჯივთხავს და გასაოცარი სიცხოველით წარმოუდგება ხოლმე ყოველი!.. სავალალოდ, მეტად კეთილი ადამიანია და უნდა მუდამ ყველგან კარგი დაინახოს. აი, მაგალითად, მას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს იმ არამზადა, თვალთმაქცი ბელგიელის, ჰერცოგ დე მონსის რწმენა. სულ იმედოვნებს, ეს კაცი ერთიც არის გაჩნდება კოლონიზატებითურთ და სურსათ-სანოვაგითო. ყოველდღე, გუბერნატორის ოთახში რომ შევდივარ, ამასა მკითხავს ხოლმე მამინვე:

— ხომალდი არ გამოჩენილა ამ დილით, პასკალონ?

და დაიჯერებ განა, რომ ასეთ გულმოწყალე ადამიანს, ასეთ შესანიშნავ გუბერნატორს მტერი ჰყავს! დიახ, მტრები გაუჩნდა უკვე. იცის ეს კიდევაც და ეცინება მხოლოდ.

— ბუნებრივიც არის, თუ ამითვალისწინებს, — მეტყვის ხოლმე, — იმათ თვალში მე ხომ „არსებული წესი“ ვარ.

დ ვ ი ნ ბ ის თ ვ ი ს 10. მთელი დილა მოსახლეობის ცხრილის შედგენას მოვანდომე და მომყავს აქ ეს ცხრილიც. დოკუმენტი ესე კოლონიის დაარსებას ეხება და იმითაც არის ყურადსაღები, რომ იგი შეადგინა მისმა ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, ადამიანმა, რომელიც დასაბამიდან იღვწოდა მის შექმნაზე.

ყოველი სახელის გასწვრივ მცირე შენიშვნაა, იმის ცხადსაყოფად, თუ ვინ არის მომხრე და ვინ წინააღმდეგი გუბერნატორისა. სიაში წარმოდგენილნი არ არიან ქალები და ბავშვები, რაკ, ესენი არჩევნებში არ მონაწილეობენ.

კოლონია კორტ-ბარასკონი
ცხრილი მოსახლეობის აღწერისა

გვარი და სახელი	თანამდებობა და ხარისხი	შენიშვნები
მისი აღმ. ტარტარენი	გუბერნატორი, კავალერი პირველი ხარისხის ორდენისა.	
ტიმტანიერი (პასკალი) პასკალონად წოდებული	მმართველი კანცელარიისა, მე-2 კლასის წარჩინებული.	შესანიშნავი კაცი, ებუდავ და ვაძობამას.
წმინდა მამა ბატალინი	მეუფროსე არტილერიისა და საზღვაო ფლოტიისა, კაპელანი გუბერნატორისა, 1-ლი კლასის წარჩინებული.	ახრუნებს კარგად, მაგრამ ძალიან შეფრფოწულად.
მძსკურბანიენი (სპირიდონი)	მეუფროსე სამხედრო უწყებისა, მეთაური ლაშქრისა და ხელმძღვანელი საგუნდო საზოგადოებისა, 1-ლი კლასის წარჩინებული.	თვალყურის დევნებას საჭიროებს.
ექიმი ტურნატუარი	მოუფროსე ჩანმრთელობის დაცვის ნაწილისა, მთავარი ექიმი კოლონიისა, 1-ლი კლასის წარჩინებული.	შესანიშნავი კაცი.
კოსტეპალდი (ფაბიუსი)	მეუფროსე სოფლის მეურნეობის ნაწილისა, 1-ლი კლასის წარჩინებული.	სამაგელი კაცი.
ბრანამბალში (ციცერონი)	მეუფროსე სამართლის ნაწილისა, 1-ლი კლასის წარჩინებული.	ძალიან კარგი, მაგრამ მოსაწყენი კაცი.
ტორკაბიო (მარუსი)	თანამეშვე კანცელარიის მმართველისა, მე-2 კლასის წარჩინებული.	კარგი კაცი.
ბენიშკა	თანამეშვე ჩანმრთელობის დაცვის ნაწილის მეუფროსისა, კოლონიის მთავარი ექიმის მოადგილე და ფარმაცევტი.	კარგი კაცი.

გვარი და სახელი	თანამდებობა და ხარისხი	შენიშვნები.
ბალოფრი	გამგე საფილონესი და ზე- დაწმენდელი არტილერი- ისა.	ძალიან კარგი კაცი.
რიუშიგაბო ანტონინი	მომუშავე სოფლის მეურ- ნეობის ნაწილისა.	ძალიან ცუდი კაცი.
ბარბანი (სენეკა)	მომუშავე სოფლის მეურ- ნეობის ნაწილისა.	•
მარკიზ დე მსაპაზბი	ლეიტენანტი ლაშქრისა.	კარგი კაცი.
ბომბეილი (დოსითე)	კოლონისტი.	•
კოსმილი	•	• •
მსპარა	•	• •
ბრაფორი (ალფონსი)	•	საეკვო.
რაბინა (მეზლეაური)	•	კარგი კაცი
კუდონია (მეზლეაური)	კოლონისტი	საეკვო.
რემენბასი	•	•
დულადური	•	კარგი კაცი.
მეშვილი	•	• •
მენფორი	•	• •
ბუსკე	•	•
ლაფრანკი	•	•
ტრაპერსიერი	•	•
ბუფარტიზი (ნერონი)	მეღვებელე	
პერტიუსი	მეყავახანე	ძალიან ცუდი კაცი.
რბიუშა	მეშაქარლამე.	კარგი კაცი.
ბირდულა მარკი	მედოლე	• •
ფურკალი	მეზუქე	•

გვარი და სახელი	თანამდებობა და ხარისხი	შენიშვნები
ბეკუღუ	მეზუკე	ცული კაცი.
ვიზანე	მოლაშქრე	საეკეო.
ვალგოსი	"	კარგი კაცი.
ქესარბი	"	ძალიან ცული კაცი.
ბულარბი	"	ძალიან ცული კაცი
აბილოსი	"	კარგი კაცი.
ბრუიასი	"	"
რეირანგლადი	"	"
ბოლოზანი	"	"
მარბუტი	"	საეკეო
პრუ	"	"
ბრუში	"	კარგი კაცი
სევი	"	საეკეო.
სორბი	"	კარგი კაცი.
კადი	"	ძალიან კარგი კაცი.
პიუეუი	"	"
ბოსკი	"	" "
უუვი	"	კარგი კაცი.
ბრიუფენიუსი	"	საძაგელი კაცი.
როკტანილადი	"	" "
ბარბიუსი	"	საძაგელი კაცი
ბარბუენი	"	ცული კაცი.
რუნიონასი	"	ძალიან კარგი კაცი.
სოსინი	"	" "

გვარი და სახელი	თანამდებობა და ხარისხი	შენიშვნები
სოზი	მოლაშქრე	კარგი კაცი.
რშირი	"	" "
ბარბიბალი	"	" "
მირენიანი	"	საქვე.
ვინტბერენი	"	კარგი კაცი.
ბავო	"	ცული კაცი.
მარკ-ამრელიშისი	"	ძალიან კარგი კაცი.
ძოკ და მირი	ორფეონის გუნდის მომ- ღერალი.	კარგი კაცი.
კონეი (უფროსი)	"	"
ბარბასი	"	"
ლაკალუდი	"	"
ბაზუსი	"	" "
კონეი (უმცროსი)	"	ცული კაცი.
კიურალი	"	კარგი კაცი.
მეზული	მონადირე	" "
უხტალე	"	"
ბერონი (მ.-ა.)	"	"

დ ვ ი ნ ბ ი ს თ ვ ი ს 10. მარკიზ ღებ ესპანეტმა და რამდენიმე მარჯვე მსროლელმა, წვიმის გამო გარეთ რომ ვეღარ გამოდიოდნენ, მოიგონეს და მოაწყვეს სამიზნეები თუჯის კოლოფებისა, რომლებშიაც უწინ თინუსი, სარდინები ან პამპერი იყო ჩაწყობილი; და მთელი დღე ფანჯრებიდან ესროდნენ ამ სამიზნეებს.

ჩვენი ძველი ქუღზე მონადირეები, ახლა რაკი ჩაჩქნებსა და ქუღებს ადვილად ვეღარ შეიძენდნენ, კონსერვის კოლოფებზე მონა-

ღირებდალ გადაიქცნენ. მშვენიერი ვარჯიშია თავისთავად. მაგრამ კოსტეკალდმა დაარწმუნა გუბერნატორი, ამას დენთის დიდი ხარჯი მოსდევსო, და ეს-ეს არის ბრძანება გამოვიდა, კოლოფებს ნუ ესვრით — აკრძალულიაო! ქედზე მონადირენი ბრაზით აღარ არიან, დიდკაცები წყრებიან; მარტო კოსტეკალდი და მისი დამქაშები ხელებს იფშენებენ.

ბოლოს და ბოლოს, რა უნდა ვუსაყვედუროთ ჩვენს საბრალო გუბერნატორს? იმ არამზადა ბელგიელმა ისიც ჩვენსავით მოატყუა. რა გუბერნატორის ბრალია, თუ ერთთავად წვიმს და უაჰინდობის გამო არ შეიძლება ხარები არბენინო?

ბედი არა სწყალობს ამ საცოდავ ხართა ბრძოლას. ჩვენს ტარაკონელებს კი ეგონათ, მოლოდინს გაგვიმართლებსო. ჩამოიყვანეს აქ საგანგებოდ რამდენიმე ძროხა და ერთიც კამარგული ხარი, „რომაელი“, რომელსაც პროვანსულ სააღთქმო დღეობებზე გაეოქვა სახელი.

წვიმის მიზეზით საბალახოდ ვერ გაჰყავდათ პირუტყვი და ბოსელში დაემწყვდიათ; ვნახოთ და ერთხელ, არავინ იცის რანაირად, — ისიც არ გამოიკვირდება, აქაც კოსტეკალდის ხელი ერიოს, — „რომაელი“ გაიპარა.

ტყეში დაეხეტება ამჟამად, გაველურდა, გარეულ ხარად იქცა. ახლა ის მოაქუსვლინებს ხოლმე და არბენინებს ხალხს, იმის ნაცვლად, რომ ის არბენინონ.

ესეც ვითომ ჩვენი ტარტარენის ბრალია?..

II

ხართა ბრძოლა კირტ-ტარაკონენი. თავბადასაკალი და შეტაკება. ჩამოსვლა ხელწიფა ნემრნაოსი და მისი ქალიშვილი ლიკირიისა. ტარტარენი სხვირს სხვირსა წაუხახუნებს ხელწიფას. დიდი დიპლომატი

დღე-დღეურად, ფურცელ-ფურცელ, იმ გულოდინებით, როგორითაც რუხად. ცრიდა წვიმა, იმ მქრქალი, გამაბეზრებელი ერთფეროვნებით, როგორადაც ის ისახებოდა რეიდზე, მემორიალი, ჩვენს თვალწინ მდებარე, აგრძელებს მატთანეს კოლონიის ცხოვრებისას, მაგრამ ჩვენ ვშიშობთ არ დავდლოთ მკითხველი და ამიტომ შემოკლებით გადმოგცემთ მეგობარ პასკალონის დღიურის შინაარსს.

ურთიერთობა ქალაქსა და გუბერნატორს შორის უფრო და უფრო მწვავედებოდა. პოპულარობა ხელიდან არ გამოშვებულაო, ტარტარენმა გადაწყვიტა, ბოლოს, ხართა ბრძოლა გაემართა, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, „ურომაელოდ“, — დაბურულ ტყეში რომ გახიზნულიყო, — მარტო სამი დარჩენილი ძროხით.

ხორცი სულ დაეყარათ, გაძვალტყავებულნიყვნენ ეს საცოდავი კამარგის მკვიდრნი მას აქეთ, რაც ვამილ ჰაერსა და კაშკაშა მზეს ჩვეულები, პორტ-ტარასკონში ჩამოიყვანეს და ნოტიო, ბნელი ბოსლიდან გარეთ თავი არ გამოაყოფინეს! რა მოხდა მერეო! არა-რაობას მაინც ესა სჯობიაო.

სილიან ადგილზე, ზღვის პირას, სადაც ჩვეულებრივად ლაშქარი ვარჯიშობდა ხოლმე, წინასწარ ფიცარნაგი გააკეთეს, ირგვლივ ისრები დაასვეს, ამ ისრებს შუა თოკი გაკიმეს და ასე ამგვარად ცირკი შემოზღუდეს.

ოდნავ რომ გამოიდარა, ისარგებლეს შემთხვევით და „არსებულმა წესმა“, ჩაცმულ-მოკაზმულმა, საზეიმოდ გამოწყობილი თავისი წარჩინებულებით გარშემორტყმულმა, ფიცარნაგზე მოიკალათა, იმ დროს, როდესაც კოლონისტები, მხედრები, მათი ცოლები, ქალიშვილები და მოახლეები თოკებთან მიქუჩებულნიყვნენ, ბავშვები კი წრეში დარბოდნენ და გაჰყვიროდნენ:

— ჰეი!.. ჰეი!.. ხარები!..

ალარავის ახსოვდა ამ წუთს გრძელი წვიმიანი დღეების მოწყენილობა, აღარც ის, რომ საძაგელ ბელგიელზე იყვნენ გაბოროტებულნი. „ჰეი!.. ჰეი!.. ხარები!..“ მარტოდმარტო ეს ძახილი აბრუებდა სიხარულით ყველას.

მაგრამ უეცრად დოლის ხმა მოისმა.

ეს ნიშანი იყო. გარშემოხვეულმა ბრბომ თვალის დახამხამებაზე უკან დაიხია და გახელებული „ვაშას“ ძახილში ერთი ძროხა გამოვიდა ასპარეზზე.

შეშისმგვრელი არა ჰქონდა რა საბრალოს. ერთი ფერდებჩაცვინული ძროხა იყო, დაბნეული ავლებდა აქეთ-იქით სინათლეს გადაჩვეულ თვალებს; რქებშუა ბაფთებჩამოშლილი ცირკის შუაგულში გაჩერებულყო, შესაბრალისად გაბღაოდა და არც აქეთ იძვროდა, არც იქით, სანამ, ბოლოს, აღშფოთებულმა ბრბომ არენიდან კეტებით არ გააგდო.

მეორე ძროხა კიდევ სხვაგვარად გაისარჯა. ვერასგზით ვერ გამოიყვანეს საჭინიბოდან. რამდენი არა სჯგვლემეს, კუდითა და რქებით ეწიენ, ორთითი დრუნჩში სჩარეს, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს, ადგილიდან ფეხი ვერ მოაცვლევინეს.

ახლა მესამე ძროხა ენახოთ, რას იზამს! ამაზე ამბობდნენ, ძალიან ბრაზიანია, ადვილი გასახელებელიაო. მართლაც: დაოთხებით შემოვარდა ცირკში, თავისი ორად გაყოფილი ფლოქვებით სილასა თხრიდა, კუდს ფერდებზე შოლტივით იცემდა, თავს ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ ასობდა. ხალხს ეგონა, ახლა კი გვეღირსა საუცხოო ბრძოლის ყურებაო... მეტი არ არის ჩვენი მტერი! პირუტყვი გაექანა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გადაახტა თოკს, რქებლადრეკილმა გაარღვია ბრბო და პირდაპირ ზღვისკენ ქნა პირი.

წყალი ჯერ ცოტა მუხლებს ქვემოთ ხედებოდა, მერე ჯიდაომდე მოუდიოდა, ის კი არა ჩერდებოდა და სულ წინ, წინ მიიწევდა. მალე ზღვის ზედაპირზე მარტო ნესტოებიდა მოჩანდა იმისი და ახალ მთვარესავით მოზნეკილი ორი რქა. ასე დარჩა იქ საღამომდე, მღუმარე და პირქუში, ხოლო მთელი კოლონია ნაპირიდან თათხავდა, აგინებდა, უსტვენდა, ქვებს ესროდა, და ამ სტვენით, ყიყინით როგორღაც თავისას უზღავდა საწყალ „არსებულ წესს“, რომელიც ფიცარნაგიდან ჩამობრძანებულიყო.

რაკი ხართა ბრძოლა ვერ მოხერხდა, საჭირო იყო ახალმოშენეთა წამხდარად გუნებისათვის რითიმე ეშველათ და საუკეთესო საშუალებად ომი იქნა მიჩნეული, — გალაშქრება ხელმწიფე ნეგონკოს წინააღმდეგ. ბრავიდას, კამბალალეტის, მამა ვეზოლისა და მრავალი სხვა დარბაისელი ტარასკონელის სიკვდილის შემდეგ, ეს ყალთაბანდი თავის პაპუასებთან ერთად გაპარულიყო და მას აქეთ იმისი აღარაფერი ისმოდა. ამბობდნენ კი, ვითომ აქედან ორი თუ სამი მილის დაშორებით ბინადრობსო, სადღაც მეზობელ კუნძულზე. რომლის მომქარალებულ მოხაზულობასაც მხოლოდ მზიან ამინდში თუ გაარჩევს კაცი, თორემ ისე, უმეტეს დროს, განუწყვეტელი წვიმების ნისლოვანი რიდე ფარავს და უჩინარს ხდისო.

ტარტარენს, მშვიდობისმოყვარე გუნების ადამიანს, დიდხანს ვერ გადაეწყვიტა ლაშქრად წასვლა, მაგრამ ამჯერად პოლიტიკურმა მოსაზრებამ დასწონა და საბოლოო ნაბიჯი გადაადგმევინა.

კანჯო რომ მოაწესრიგეს, შეაკეთეს, სათანადოდ მოამარაგეს და ცხვირი კულევრინით¹ დაუმშვენეს, რომლის ამოქმედებაც მამა ბატალიესა და მის მესაფილონე გალოფრს დაეკისრათ, ოცი კარგად შეიარაღებული მოლაშქრე, ექსკუტრბანიეისისა და მარკიზ დეზ ესპანეტის მეთაურობით, გაშლილ ზღვაში გავიდა.

სამი დღე დაჰყვეს ლაშქრობაში, და ეს სამი დღე მეტად ეგრძელა კოლონიას. მესამე დღის მიწურულში, კულევრინის სროლის ხმამ, ზღვიდან რომ მოდიოდა, ნაპირზე გამოშალა ყველანი. დაინახეს, კანჯო მოცურავდა გამალებით, აფრებგაშლილი, ოდნავ ცხვირ-აყირავებული, — მოჰქროდა ისე, თითქოს გამარჯვების ქარი მოაქანებსო.

ჯერ ნაპირს არ მოსდგომოდა, რომ უკვე შიგ მყოფთა მხიარულმა შეძახილებმა და ექსკუტრბანიეისეულმა ვ ი ხ მ ო უ რ ო თ შორიდანვე ამცნეს ნაპირზე მყოფთ ლაშქრობის წარმატება.

კანიბალების ჭავრი ამოეყარათ და მერე როგორ: დაეწვათ მრავალი სოფელი, დაეხოცათ, — ასე ამბობდნენ ყველანი უკლებლივ, — ათასობით პაპუასი. რიცხვს ყოველთვის ერთსა და იმავეს არ ასახელებდნენ, მაგრამ მუდამ კი საგულისხმოს. ნაამბობიც ერთისა მეორის ნაამბობისაგან განსხვავდებოდა. უეპველი ერთი რამ იყო მხოლოდ: მხედრებს ჩამოეყვანათ ხუთი თუ ექვსი ფარსაგი ტყვე, მათ შორის, თვით ხელმწიფე ნეგონკო და მისი ქალიშვილი ლიკირიკი. ისინი მაშინვე სამმართველოში წარავლინეს და იმ ხროვად შეყრილი ხალხის წინ ჩაატარეს, ტაშს რომ უკრავდა გამარჯვებულებს.

მხედრები მოდიოდნენ ზეიმური ნაბიჯით და შემკულნი იყვნენ, ქრისტეფორე კოლუმბის სალდათებისა არ იყოს, — ახალი ქვეყნის აღმოჩენის შემდეგ რომ ბრუნდებოდნენ, — ათასნაირი რამერუმეებით; ჰყეტელა ფრთებით, ნადირთა ტყავებით, ველურების იარაღითა და ჩიხიმიხითი.

მაგრამ ყველას განსაკუთრებით ტყვეთა ნახვა ეშურებოდა, კეთილი ტარასკონელები მძულვარე ცნობისმოყვარეობით სინჯავდნენ შეპყრობილებს. შიშველი შავტუხა სხეული რომ დაეფარათ, მამა ბატალიემ თავისებს უთხრა, საბნები მიეცითო. ეს საბნები მათ

¹ კულევრინი — ძველებური ზარბაზანი.

მხოლოდ სანახევროდ შემოიხვიეს. ამ სასაცილოდ მორთულ ველურებს რომ უყურებდნენ, თანაც რომ წარმოიდგინეს, ამ ადაშიანებმა შექამეს მამა ვეზოლი, ნოტარიუსი კამბალაღეტი და მრავალი კიდევ სხვაო, — კუნძულელებს ისეთივე ზიზლით ევსებოდათ გული და ძრწოლა იტანდათ, თითქოს აგერ სამხეცეში არიან და იმათ წინ მახრჩობელა გველები თავიანთი შალის საგებლის ნაკეცებში საქმელს ინელებენო.

ხელმწიფე ნეგონკო პირველი მიაბიჯებდა. მაღალი, შავი მოხუცი იყო, მუცელი ძუძუთა ბავშვივით გამოჰბერვოდა, ხუჭუჭი, მთლად თეთრი თმა არახინივით ადგა თავზე, მარცხენა მკლავზე მარსელური თიხის ყალიონი ბაწრით ჩაშოკიდა. გვერდით ქალიშვილი მიჰყვებოდა, პატარა ლიკირიკი; ეშმაკუნსასავით უელავდა თვალები, მარჯნის მანიაკებითა და ვარდისფერი ნიჟარების სამაჯურებით მორთულიყო. მამა-შვილის უკან ორი დიდი, გრძელხელე-ბა შავი მაიმუნი მოდიოდა და საზარელი ღრეკით წვეტიან კბილებს აჩენდნენ.

დამხვდურებმა ჯერ პირველად თავს ნება მისცეს და ცოტათი წაიხუმრეს:

„მადემუაზელ ტურნატუარს საქმე გაუჩნდაო!“

საბრალო კეთილი შინაბერა, თავისი აკვადტებულის აზრით შეპყრობილი, ფიქრობდა, მართლაც შეემოსა ყველა ეს ველური, მაგრამ ცნობისმოყვარეობა ერთბაშად მძვინვარებად ექცათ ტარასკონელებს, როცა მოაგონდათ ამ კანიბალების შექმული თანამემამულენი.

— სიკვდილი!.. სიკვდილი მაგათ!.. ამოწყვეტა!.. — გაისმა ყვირილი.

ექსკურბანიესს უნდოდა უფრო ნამდვილ მხედრად ეჩვენებინა თავი და სკრაპუშინას სიტყვებს გაჰღრიალებდა:

— დაიხოცოს უნდა ყველანი, როგორც წუნჯალი მაიმუნები!..

ტარტარენი მიუბრუნდა და შეაჩერა გახელებული კაცი.

— სპირიდონ, — უთხრა მან, — პატივი ვცეთ ომის კანონებს.

ძალიან კი ნუ აღვითაცებთ ეს ლამაზი სიტყვები, მათ უკან მხოლოდ გუბერნატორის თავისებური პოლიტიკა იჩქმალებოდა.

ჰერცოგ მონსის თავგამოდებულ დამცველ ტარტარენს, გულში მაინც რაღაც ეექვებოდა: ვინ იცის, მართლაც, თაღლით ვისმე გა-

დავეციდო? საბუთი, მონსი რომ ამბობდა, ნეგონკოსაგან კუნძულის ნასყიდობის სიგელიაო, შეიძლება ტყუილი ამბავიც იყო, როგორც სხვა ყველაფერი: ეს მიწა-წყალი ტარასკონელებს არ ეკუთვნით და ტერიტორიის სყიდვის ქაღალდები ფასუქონელი ქაღალდებია.

ამიტომ გუბერნატორმა არათუ ამ „წუნკალი მაიმუნების“ დახოცვა განიზრახა, პაპუასების ხელმწიფეს დიდის ამბით შეხვდა.

იცოცხლეთ, იცოდა, როგორ უნდა გარჯილიყო, აკი წაითხული ჰქონდა ყოველგვარი წიგნები ზღვაოსნებისა, ზეპირად იცოდა კუკი, ბუგენვილი, დ'ანტრკასტო.¹

მივიდა ხელმწიფესთან და ცხვირი ცხვირზე მიუხახუნა. ველური ძლიერ გაცეხებული ჩანდა: ეს ზნე-ჩვეულება ხომ კარგა დიდი ხანია გამქრალიყო ამ ტომებში. ხელმწიფე მაინც დაჰყვა მის ნებას, — ასე იფიქრა, უთუოდ ტარასკონული რამ წესიაო. დანარჩენმა ტყვეებმაც ეს რომ დაინახეს, — თვით პატარა ლიკირიკიმ, რომელსაც ფისოსავით პაწაწინა ცხვირი ჰქონდა, უფრო კი, სულაც არა ჰქონდა ცხვირი, — ინდომეს უეჭველად შეესრულებინათ ტარტარენთან იგივე ცერემონია.

ცხვირების ხახუნით გული რომ იჯერეს, ახლა ამ ნადირებთან სიტყვიერ ურთიერთობაზე უნდა გადასულიყვნენ. მამა ბატალიე თავის „იქაურ“ პაპუასურ ენაზე დაელაპარაკა, მაგრამ რაკი ეს ენა სხვა იყო და „აქაური“ პაპუასური კიდევ სხვა, ველურებმა, რასაკვირველია, ერთი ბეწოც ვერაფერი გაუგეს. ციცერონ ბრანკებალმა ცოტაოდენი ინგლისური იცოდა და სცადა ამ ენაზე დალაპარაკებოდა ტყვეებს. ექსკურბანიესმა იმათ რამდენიმე ესპანური სიტყვა წაუბურდღუნა, მაგრამ სხვებზე მეტს ვერც ის გახდა რამეს.

— პური ვაჭამოთ მაინც, — თქვა მაშინ ტარტარენმა.

გახსნეს რამდენიმე კოლოფი თინუსი. ახლა ამჯერად კი მიხვდნენ მისახვედრს ველურები, ეცნენ მაშინვე კონსერვებს, ხარბად შესანსლეს, დააცარიელეს კოლოფები, გამოლოკეს ძირამდე თავი-

¹ დ'ანტრკასტო, ანტუან-რეიმონ-ჟოზეფ დე ბრიუნი (1739—1793)— ცნობილი ფრანგი ზღვაოსანი; ლაპერუზას სამეზნელად 1791 წელს გაგზავნილი ექსპედიციის მეთაური. გამოიკვლია პოლინეზიისა და მელანეზიის რიგი კუნძულები, ზღვით მოგზაურობის დროს ავად გახდა და იქვე გარდაიცვალა. დ'ანტრკასტოს დღიურები მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა.



ანთი ზეთში დათხვრილი თითებით. მერე, არაყი რომ ბლომად ხვრიპა ხელმძღვანელმა, — ეტყობოდა, იმისი მაგარი მუსუსიცი იყო. — განცვიფრებული ტარტარენისა და სხვათა წინაშე ჩახლეჩილი ხმით შემოსძახა:

სურვილითა თუ ძალითა,
კოშკთაგან ტარასკონისა
სულ ყირამალა ცვივიან
პირდაპირ წყალში რონისა.

ეს ტარასკონული სიმღერა, ამ დრუნჩა ველურის ბეტელით ჩაწვევებულ კბილებში გამოცრილ-ამობუყბუყებელი, რაღაც უხიაკად და მძვინვარედ ჟღერდა. მაინც საიდან იცოდა ნეგონკომ ტარასკონული?

განცვიფრებულ ტარასკონელებს დიდხანს არ დასკდრევებიათ ძიება, მაშინვე გამოირკვა ყველაფერი.

რამდენიმე თვე ეცხოვრათ პაპუასებს „ფარანდოლასი“ და „ლუციფერის“ ბიღურული მგზავრების მეზობლად და მაშინ ესწავლათ თურმე ლაპარაკი, როგორც რონის ნაპირებზე იციან. ამახინჯებდნენ, რაღა თქმა უნდა, ამ ენას, მაგრამ ხელებითა და მოძრაობით მაინც შეიძლებოდა ბოლოს რამე გაგეგებინებიათ.

და, მართლაც, როგორც იყო, გააგებინეს კიდევაც.

მონსის თაობაზე რომ დაეკითხნენ, ხელმწიფე ნეგონკომ განაცხადა, არც ეგ თეთრი კაცი, არც მსგავსი ვინმე ჩემს დღეში არ გამიგონიაო.

არც არასოდეს კუნძული გაყიდულაო.

არც არასოდეს ნასყიდობის საბუთი ყოფილაო.

ნასყიდობის საბუთი არა ყოფილაო!.. დიდი რამე! ტარტარენი ამაზე სულაც არ შეწუხებულა და ახალი შეადგენინა იქვე, მაშინვე. განსწავლულმა ბრანკებალმა ცდა არ დააკლო, რათა საბუთი საამისოდ ზედმიწევნით მკაცრი, ჩახუსტებული ყოფილიყო. კანონთა მთელი თავისი ცოდნა ჩააქსოვა შიგ, მრავალი „იმისა გამო, რომ...“ ჩაურთო, რომაული ცემენტით გაამაგრა და მით მკვიდრ, შემტყიცებულ საბუთად აქცია.

ხელმწიფე ნეგონკო თმობდა კუნძულ პორტ-ტარასკონს და საზღაურად იღებდა: ერთ პატარა კასრ რომს, ათ გირვანქა თამბაქოს,

ორ საწვიმარ ქოლგას ბამბის ქსოვილისას და თორმეტ ცალ ძაღლის საყელოს.

საბუთის საგანგებო მინაწერში დათქმული იყო, რომ ნეგონკოს, მის ქალიშვილსა და მათს თანმხლებებს შეუძლიათ დაბინავდნენ კუნძულის დასავლეთ ნაპირას, იქ, სადაც არაეინ დადიოდა იმის შიშით, „რომაელი“, სახელგანთქმული ხარი, გარეულ ხარად ქცეული და ერთადერთი სახიფათო ცხოველი მთელს კოლონიაში აწ შეგვეყაროსო.

ყოველივე ეს საიდუმლო სხდომაზე რამდენიმე საათში იყო გაჩარხულ-მოჭახრაკებული.

ასე ამნაირად, ტარტარენის დიპლომატიური გერგილის წყალობით, მიწის სყიდვის ქაღალდები ვარგის და ნამდვილი მნიშვნელობის მქონე ქაღალდებად იქცნენ, რაც არასდროს მანამდე არ მომხდარა.

III

კვლავ წვიმს. წყალმანკი. ნიშრისანი სუპი. გუბერნატორის ბრძანება. ნიორი არ გვეყრება ნიორი გვეყრება. ლიპირიკის ნათლრვა

ამასობაში კი სულ წუნწუხი, სულ ერთთავად რუხი ცა და წვიმა, კვლავ რომ ასხამს, ასხამს... დილაობით ქალაქში დაინახავდით, როგორ იღებოდა ფანჯრები და გარეთ იწვდიდნენ ხელებს:

— წვიმა მოდის!

— წვიმს!..

და წვიმდა გადაუღებლად, როგორც ბეზიუყე ამბობდა.

საცოდავი ბეზიუყე! ამდენი ჭირ-ვარამი გადაიტანა „ფარანდოლასი“ და „ლუციფერის“ მგზავრებთან ერთად და მაინც დარჩა პორტ-ტარასკონში; დაბრუნებას ვერა ბედავდა საქრისტიანო მიწაზე, თავისი დასვირინგებულნი სახე-სხეულის გამო. დროებითი გუბერნატორი ახლა კვლავ მეაფთიაქედ ქცეულიყო და ტურნატურის ხელქვეით მკურნალად უმდაბლესი თანრიგისა, მაგრამ ეს ერთი იქნა, ვიდრე საქვეყნოდ საჩენი გაეხადა ცივილიზებულ ქვეყნებში თავისი საზარელი სახე და მთლად დაწინწკლული, დაჭიაფრებული ხელები. ოღონდ ეს არის, რომ გამოვლილი უბედურობებით გაბოროტებული, ის როგორცაჲ ჯავრს იყრიდა მეგობარ-ამხანაგებზე და

მათ მეტად ავბედითს რამეებს უწინასწარმეტყველებდა. თუ ისინი უჩიოდნენ წვიმას, ლაფს, სიმყაყეს, მხრებს აიჩეჩავდა:

„ჯერ სადა ხართ!.. ზოგიც მერე ნახეთო!“

და არცა სცდებოდა. მუდმივმა უანტმა, ახალი ხორცისა და საერთოდ ნედლი საჭმლის უქონლობამ ავად დახადა ბევრი ხალხი.

ძროხები კარგა ხანია შეეჭამათ. მონადირეების იმედი აღარ იყო, თუმცა იყვნენ მათ შორის მარჯვე მსროლელებიც, როგორც მარკიზ დეზ ესპაზეტია, და თანაც ყველას ტარტარენის წესები კანონად მიედო, მწყერს ორ თვლაზე ესროდნენ, ხოხობს — სამზე.

უბედურებაც ის არის, რომ არც ხოხობი იყო აქ სადმე, არც მწყერი, მსგავსიც არაფერი, მეთოვლიაც არა ჩანდა, — დიდი იყო თუ პატარა, — ზღვის არც ერთი ფრინველი არ ეკარებოდა კუნძულის ამ მხარეს.

ნადირობისას მარტოოდენ რამდენიმე ღორი თუ შეხვდებოდათ, ისიც ძალიან იშვიათად! ანდა კენგურუ, რომელსაც ძნელად მოახვედრებს ტყვიას კაცი, რადგან ერთთავად ხტის და კუნტრუშებს.

ტარტარენს თვითონაც არ შეეძლო ზუსტად ეთქვა, რამდენი უნდა დაგეთვალათ, სანამ ამ ცხოველს ესროდით. ერთხელ როგორღაც მარკიზ დეზ ესპაზეტი ამ თაობაზე დაეკითხა, ტარტარენ-მაც ალაღბედზე უპასუხა:

— ექვსამდე დათვალეთ, ბატონო მარკიზო...

დეზ ესპაზეტმაც ექვსამდე დათვალა და ვერაფერს ეწია, გარდა საშინელი სურდოსი ამ კოკისპირულსა და ბოლომოუღებელს წვიმაში.

— მე თვითონ უნდა წავიდე, სხვა გზა არ არის, — თქვა ტარტარენმა.

მაგრამ უამინდობის გამო მუდამ გადადებდა ხოლმე, არ მიდიოდა სანადიროდ და ნანადირევის ხორციც სულ უფრო გაიშვიათდა. მართალია, მომსხო ხვლიკები გემოთი მთლად არ დაიწუნებოდნენ, მაგრამ სულ ერთთავად რომ იმასა ჭამდნენ, შეეზიზღათ ბოლოს ეს თეთრი, ლუყუტი ხორცი, რასაც მელვეზელე ბუფარტიგი აკონსერვებდა თეთრ მამათა წესის მიხედვით.

ახალი ხორცის გაჭირვებას ისიც ერთვოდა, რომ კუნძულის ბინადარნი სიარულს, მოძრაობას იყვნენ მოკლებულნი. მართლაც-

და, რა უნდოდათ გარეთ, ამ წვიმაში, ირგვლივ გუბეებისა და წუჰპის მეტი რომ არა იყო რა?

ქალაქის სასივრთო წრე წყლით მოცული, წალეკილი იყო.

რამდენიმე მამაცი ახალმოშენე — ესკარა, დულადური, მენფორი, როკტილადი — გამოდიოდა ზოგჯერ, თავსხმის მიუხედავად, მიწის დასაბარავად, თავიანთი ჰექტარების სახენელად. სულ იმაზე იყვნენ გადაგებულნი, რომ დაერგოთ, მოეყვანათ რამე, მაგრამ მათ დაჟინებულ ცდას უცნაური რამ შედეგი მოსდევდა: ამ მუდამ ჟანტიანი მიწის სიმხურვალეში ნიახური ერთ ღამეში უზარმაზარ ხედ აიტყორცნებოდა, მერე რა ხეშეშად! კომბოსტოც სასწაულებრივად იზრდებოდა, მაგრამ მთლად ღეროდ იყო ქცეული, პალმის ზროს მინაგვარად. კარტოფილსა და სტაფილოზე სულაც ხელი აიღეს.

ბეზიუქემ კარგადა თქვა: აქ ან არაფერი იზრდებოდა, ანდა მეტიმეტი და რეტის რეტი იზრდებოდა.

სულით დაცემის მრავალგვარ მიზეზს მიუმატეთ კიდევ მოწყენილობა, ფიქრი შორეულ სამშობლოზე, სინანული მყუდრო ფანჯატურებზე, ოქროს შუქში განბანილი ძველი მიწაყრილის გაყოლებით რომ ჩარიგებულნიყვნენ, და ნუ გაგიკვირდებათ, თუ ავადმყოფთა რიცხვი დღითიდღე მატულობდა.

ბედი ამათი, რომ ჭანმრთელობის დაცვის უფროსს ტურნატუარს ფარმაკოპიისა არაფერი სწამდა და იმის მაგივრად, რომ ბეზიუქესავით წამლებით ექყიბა და ექღინთა თავისი ავადმყოფები, „კარგ ნივრიან სუჰს“ უწერდა ხოლმე წამლად.

რა სათქმელია და, ამ კაი კაცისათვის ამ საშუალებას ერთხელაც არ უმტყუენია: ადამიანი მთლად დასიებულა, ხმა წასვლია, სულს ძლივსდა დაფაგს, თხოულობს, მღვდელი და ნოტარიუსი მომიყვანეთო, ამ დროს მოუტანენ ლამაზად შეკმაზულ ნივრიან სუჰს — სამი კბილა ერთ პატარა თუჯიაზე, სამი კოვზი პროვანსის ზეთი, ზედაც მოშუშული პური — და ერთიც ვნახოთ, ის, ვისაც ლაპარაკის თავი არა ჰქონდა, უცბად წამოიძახებს:

— უჰ!.. რა კარგი სუნია!

სუნი კმაროდა, რომ ავადმყოფს მაშინვე გამოეხედა.

შეჰამდა ერთ მათლაფას, ორს, მესამეზე, უკვე ფენზე იდგა, სიჰსიგნე უცხრებოდა, ხმა ბუნებრივად აუქლერდებოდა და საღამოთი

საერთო დარბაზში ვისტს თამაშობდა. ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ ესენი ყველანი ტარასკონელები იყვნენ.

მარტო ერთადერთმა ავადმყოფმა, ბობოლა ავადმყოფმა, მეტად მაღალი წრის ბანოვანმა დეზ ესპაზეტმა, დ'ესკუდელ დე ლამბეკისის ქალმა, უარი თქვა ტურნატუარის სამკურნალო საშუალებაზე. ნივრიანი სუბი საწვრილფენოაო, განა საიმათოც არის, ვინც ჭვაროსნებს ჩამომავლობსო!.. ამ ამბავს ისევე ვერ გააგონებდით, როგორც კლორინდასი და პასკალონის ქორწილის გაგონება არ უნდოდა. უბედური მანდილოსანი კი ამავე დროს საცოდავს დღეში იყო. ნამდვილად ვერ იყო კარგად. იგულისხმეთ ამ ბუნდოვან თქმაში უცნაური, წყალმანკის მსგავსი ავადმყოფობა, რომელიც თავს დაატყდა ამ სამხრეთელთა კოლონიას. ვისაც ის დაემართებოდა, მაშინვე საშინლად დამახინჯდებოდა ხოლმე, თვალები ეცრემლებოდა, მუცელი და ფეხები მთლად უსივფებოდა. ჰვავდა როგორღაც ეს საზარელი სენი „ბ-ნ მოვის ავადმყოფობას“, რაზედაც წერია ლეგენდაში „ძე ადამიანისა“.

საბრალობელი მარკიზა მთლად „გაფიჟენებულიყო“, როგორც მემორიალის ავტორი წერს. ყოველ საღამოს, როდესაც უწყინარი და იმედმიხილი პასკალონი ქალაქში ჩავიდოდა ხოლმე, საწყალი ქალი ლოგინში მწოლარე ხედებოდა; ბამბის ქსოვილის დიდი ცისფერი ქოლგა, სასთუმალთან დამაგრებული, თავს ზემოთ ჰქონდა გაშლილი, კენესოდა და უჩიათად უარს ამბობდა ნივრიანი სუბის ჰამაზე. იქვე ტანმოსული კლორინდა ფუსფუსებდა, ცაცხვის ყვავილს ხარშავდა ყავადანში, ხოლო კუთხეში მარკიზი ფილოსოფოსივით დინჯად ვაზნებსა სტენიდა სახვალიოდ, მეტად სათუო ნადირობისათვის.

მეზობელ სორო-ოთახებში წყალი დასდიოდა გაშლილ საწვიმარ ქოლგებს, ბავშვები ჰყვიროდნენ, საერთო დარბაზიდან ხმაური გამოდიოდა, კამათობდნენ, მსჯელობდნენ, იყო ერთი შეხლა-შემოხლა პოლიტიკური შეხედულებებისა. წვიმა კი განუწყვეტლივ წკაპუნობდა მინებზე, თუთიის სახურავზე და ერთთავად ყურყურით ასხამდა საწვიმარი ღარებიდან.

კოსტეკალდი კი ძველებურად განაგრძობდა ქვებუდანობას, დღისით — თავის კაბინეტში სოფლის მეურნეობის ნაწილის მეუფროსისა, საღამოს — ქალაქში, საერთო დარბაზში, თავის ჯიბიდან გა-

ვარდნილ დამქაშებთან — ბარბანსა და რიუჟიმაბოსთან ერთად; ესენი ხელს უმართავდნენ და საუბედურო ხმებს ავრცელებდნენ, სხვათა შორის ასეთსაც: „ნიორი არ გვეყოფათ!“

რა საშინელი საფიქრებელი იყო, რომ სადაც არის დაღვებოდა დღე, როდესაც, ვინ იცის, მართლაც შემოაკლდებოდათ მხსნელი, საკურნებელი ნიორი, ეს უნივერსალური პანაცეა, მთავრობის საწყობებში დაცული, მთავრობისა, რომელსაც კოსტეკალდი ბრალსა სდებდა, ამ უებარ წამალს ის დაეპატრონა!

ექსკურბანიესი, — და მერე როგორის მქექარებით! — კვერს უკრავდა მეურნეობის მეუფროსის ცილისწამებას. ერთი ძველი ტარასკონული ანდაზა: „პიზელი ყაჩაღები დღისით ერთმანეთს დაერევიან ხოლმე, ღამით კი ერთად მძარცველობენო“. ეს სწორედ ორპირ ექსკურბანიესზე ითქმოდა, რომელიც სამმართველოში, ტარტარენის წინ, კოსტეკალდის საწინააღმდეგოს ლაპარაკობდა, ხოლო ქალაქში, საღამოს, გუბერნატორის მტრებს უბანებდა.

ტარტარენს, რომლის მოთმინებისა და კეთილი გულის ამბავიც ყველამ იცოდა, ეჭვი არ არის, გაუგებარი არ დარჩებოდა, ეს თავდასხმა-იერიშები. შეღამებისას, ჩიბუხს რომ სწევდა, ღია ფანჯარაში გადაყუდებული ღამის ხმაურსა, მცირე რონის ჩქამსა და თავსხმისაგან ფერღობებზე ჩამონადენი ნაკადულების ჩხრიალთან ერთად მის ყურთასმენას აღწევდა ხოლმე შორეული კამათის გამოძახილი, განარისხებული ხმები, ხოლო წვიმით დაბინდულ ჰაერში თვალი მისი მოციმციმე შუქს არჩევდა დიდი სახლის მინებში. ვაიფიქრებდა თუ არა, რომ მთელი ეს კიყინა — აყალმაყალი კოსტეკალდის ატეხილი იყო, ხელი შეუთრთოლდებოდა რაფაზე და თვლებს დააკვესებდა წყვილიაღში. მაგრამ რაკი მღელვარებას და მასთან კიდევ ნესტს შეიძლება მისთვის ეგნო, თავს მოერეოდა მაშინვე, მიხურავდა ფანჯარას და თავისთვის მშვიდად მიდიოდა დასაძინებლად.

ბოლოს საქმე მაინც იმ ზომამდე გამწვავდა, რომ ტარტარენი უკიდურეს გადაწყვეტილებას დაადგა. დაითხოვა კოსტეკალდი თავისი ორი თანამზრახველითურთ, ჩამოართვა მას აგრეთვე მოსასხამი პირველი კლასის წარჩინებულისა და იმის ადგილას ბომვეილი დანიშნა, ყოფილი მესაათე. ბომვეილი სოფლის მეურნეობის ცოდნაში იქნებ შორს კიდევაც არას წაუეიდოდა თავის წინამორბედს,

მაგრამ, ლაპარაკიც არ უნდა, მეტად პატიოსანი კაცი იყო. ტარტარენმა თანაშემწეებიც მშვენივრად შეუჩრია, რიუჟიმბოსი და ბარბანის სანაცვლოდ, — ლაბრანკი, მუშაბის ყოფილი მეფაბრიკე, და რებიუფა, ყინვარშაქრით განთქმული მოვაჭრე.

დადგენილება დილაადრიანად გამოაკრეს დიდი სახლის კარებზე, ისე რომ კოსტეკალდი, შინიდან რომ გამოვიდა სამსახურში წასასვლელად, პირდაპირ დაეტაკა ამ პანდურს. მაშინ ყველამ ცხად-ლივ დაინახა, რაოდენ მართალი იყო ტარტარენი, ასე გაბედულად რომ მოიქცა.

სულ ერთ-ორ საათში ოციოდ უკმაყოფილო კაცი, თავით ფეხებამდე შეიარაღებული, ყვირილით გაემართა რეზიდენციისაკენ.

— ძირს გუბერნატორი!.. სიკვდილი იმას!.. რონაში გადაუძახეთ!.. სამსახურიდან გადადგეს!.. გადადგეს!..

ამ ხროვას უკან მოჰყვებოდა პატივცემული ექსკურბანიესი და სხვებზე ხმამალა გაჰღრიალებდა:

— გადადგეს!... ვ ი ხ მ ო უ რ ო თ!.. გადადგეს!..

მათდა სამწუხაროდ წვიმდა, თანაც კოკისპირულად, და მოგანგაშენი იძულებულნი იყვნენ ცალ ხელში საწვიმარი ქოლგა დაეჭირათ, თოფი კი — მეორეში. მთავრობამ კიდევ თავის მხრივ ზომები მიიღო.

მცირე რონა რომ გამოიარეს, მემამბოხენი ბლოკჰაუზთან მივიდნენ და ასეთი სურათი ნახეს.

მეორე სართულის ყურთამდე ღია ფანჯარაში, თითქოს ჩარჩოში ჩაუსვამთო, ტარტარენი გადმომდგარიყო თავისი ოცდათორმეტმუხტიანი ვინჩესტერით ხელში, ხოლო უკან მისი ერთგული ქულზე, თუ უკეთ, კონსერვის კოლოფებზე მონადირენი უდგნენ, — მარკიზ დეზ ესპაზეტი პირველ რიგში, — მსროლელები, რომლებიც სამას ნაბიჯზე, ოთხ თვლაზე ჩაასობენ ტყვიას პამპერის კოლოფის ეტიკეტის პატარა წრეში.

ქვევით, მთავარი შესავლის საჩიხქვეშ მამა ბატალიე დახრილიყო სქელ თუჯის ზარბაზანზე და გუბერნატორის ნიშანს ელოდებოდა.

ისეთი შიშისმგვრელი იყო და ისე ეცათ მოულოდნელად თვალში ეს პატარუქანთებული არტილერია, რომ მოჯანყებმა უკან დაიხი-

ეს, და ექსკურბანიესი, უეცარ სახეცვალებას ჩვეული, მოჰყვა ბორგნეულივით რაღაც ცეკვას ზედ ტარტარენის ფანჯრის ქვეშ, — ამ ცეკვას ის „გამარჯვების როკვას“ ეძახდა ცინიკურად, — თანაც, რაც კი შეეძლო, გაჰღრიალებდა:

— გაუმარჯოს გუბერნატორს!.. გაუმარჯოს არსებულ წესს!.. ვიხმოუროთ!.. ჰო! ჰო! ჰო!

თავის პოსტზე მდგომმა ტარტარენმა, ვინჩესტერი კვლავ ხელში რომ დაებლუჯა, ზევიდან გადმოიძახა ზარიანის ხმით:

— შინ წავიდ-წამოვიდეთ, ბატონო უკმაყოფილონო! წვიმა მოდის და მე არ მინდა, ამ თავსხმაში სველდებოდეთ. ხვალ შემოვიკრებთ ჩვენს კეთილს ხალხს ამომრჩეველთა შემადგენლობით და დავეკითხებით, ვუნდიათ კიდევ თუ ალარა. მანამდე კი, წყნარად იყავით, თორემ წამოვიდა საკადრისი!

მეორე დღეს არჩევნები ჩატარდა და „არსებული წესი“ ხმის დიდის უმრავლესობით კვლავ თავის ადგილზე დარჩა.

რამდენიმე დღის შემდეგ, თათქოსდა საპირისპიროდ ამ არეულობისა, საუცხოო ამბავი მოხდა: მოინათლა ნორჩი ლიკირიკი, პატარა პაპუასი პრინცესა, ქალიშვილი ხელმწიფე ნეგონკოსი, აღზრდილი წმიდა მამა ბატალიესი, რომელმაც დაასრულა რჯულზე მოქცევის საქმე, „მადლობა შენდა, უფალო!“ მამა ვეზოლის დაწყებულნი.

მართლაც რომ მშვენიერი მაიმუნი იყო ეს ყვითელკანიანი პრინცესა, კარგად მოყვანილი, მთლად ჩამოსხმული, თანაც მოქნილი, შემრგვალებული. მარჯნის გულქანდები ამშვენებდა და ცისფერზოლება კაბა, მადემუაზელ ტურნატუარის ნახელავი.

ნათლებად გუბერნატორი და ქ-ნი ბრანკებალმი ჰყავდა.

ნათლობის სახელად მართა-მარია-ტარტარინა დაარქვეს. ოღონდ, ღვთის რისხვა ამინდის გამო, იმ დღეს რომ იყო, თუმცაღა ისევე, როგორც გუშინ და მომდევნო დღეებშიაც გახლდათ, ნათლობა ვერ მოხერხდა წმიდა მართა ლატანიერის ეკლესიაში, სადაც ფოთლოვანი სახურავი დიდი ხანია ჩამოქცეულიყო და ნიაღვარული წყალი იდგა.

ნათლობისათვის ყველანი დიდი სახლის დარბაზში შეიკრიბნენ. თქვენ წარმოგიდგენიათ, რა მოგონებები აღუძრა გულში ამ წესის

შესრულებამ მგრძობიარე პასკალონს, როცა თავისი ნათლიაობა გაახსენდა კლორინდასთან ერთად!

დღიურის ეს ადგილი, რასაც ჩვენ შემოკლებით გადმოგცემთ, ნაცრემლი ჩანს და თითქმის წარხოცილია იქ ეს სიტყვები:

„ვაგლახ-მე და ვაგლახ-იმას!“

ლიკირიკის ნათლობის მეორე დღეს საზარელი რამ კატასტროფა მოხდა... მაგრამ ამბავი მეტად უხუმარ ხასიათს იღებს, და „მემორიალს“ დაუთმობთ სიტყვა.

IV

გაგრძელება პასკალონის მემორიალისა

ქ რ ი ს ტ ე შ ო ბ ი ს თ ვ ი ს 4. დღეს მეორე კვირა დღეა შობის მარხვისა; საზღვაო უწყების ინსპექტორი, მესაფილონე გალოფერი გამოვიდა დილას ჩვეულებისამებრ კანჯოს დასახედად და ადგილზე ველარა ნახა.

რგოლი, ჭაჭვი, ყველაფერი ამოგლეჯილი დახვდა, ნავი აღარსად იყო.

პირველად ეს ნეგონკოსი და მისი გუნდის ახალი რამ ოინი ეგონა. — მათ კვლავინდებურად არ ენდობოდა, — მაგრამ ამოგლეჯილი რგოლის ადგილას თვალში შეეჩარა მთლად დალტობილი და ტალახში ამოსვრილი ფართო კონვერტი, გუბერნატორისათვის გამოგზავნილი.

კონვერტში კოსტეკალდის, ბარბანისა და რიუჟიმაბოს სადარბაზო ბარათები იდო, ბარბანის ბარათზე სამსახურიდან გადადგომას აცხადებდა და ხელს აწერდა აგრეთვე ოთხი მოლაშქრე: კესარგი, ბუილარგი, ტრიუფენიუსი და როკტილადი.

რამდენიმე დღით ადრე, სანამ ეს მოხდებოდა, კანჯო თითქოს საკანგებოდ გაამზადეს და სანოვაგით დატვირთეს, რადგან წმიდა მამა ბატალიეს ახალი ლაშქრობა განეზრახა. იმ ნამუსგარეცხილებს ნაპოვნევით შერჩათ კანჯო. ისარგებლეს შემთხვევით, წავიდნენ და თან წაიღეს ყველაფერი, კომპასიც კი, თავ-თავიანთი თოფებიც არ დავიწყებიათ.

თქვენ ის იფიქრეთ, რომ პირველი სამი ცოლიანია, მიუტოვე-

ბიათ ცოლები და მთელი ხროვა ბავშვები. ცოლები — კიდევ ჰო, მაგრამ ბავშვების აგრე ღვთის ანაბარა მიყრა გაგონილა?!

ამ ამბავმა მთელ კოლონიას დასცა თავხარი. სანამ კანჯოსა ფლობდნენ, იმედი ჰქონდათ, კონტინენტს ოდესმე კუნძულ-კუნძულ მივალწევთო. სჯეროდათ, შესაძლებლობა მიეცემოდათ, შეველა ვისთვისმე ეთხოვათ; ახლა კი, ასე ჰგავს, ქვეყნიერებასთან ყველა გზა მოჭრილია.

მამა ბატალიე გაშმაგდა. ცოფებსა ყრიდა, ზეცას შესთხოვდა — რისხვა დაატეხე თავზე: ამ ავაზაკებს, ქურდებს, ღეზერტირებს და კიდევ უარესს ვინმეებსო. ექსკურბანიესი, ისიც კი დადიოდა ყველგან და გაჰყვიროდა, უნდა დაიხოცონ, როგორც „წუნკალი მაიმუნები“, მათი ცოლები და ბავშვები ასევე დაისაჯონ, დაიხვრიტონო.

მარტოოდენ გუბერნატორი ოდნავაც არ ამხელდა მღელვარებას.

— ნუ გავცხარდებით, — ამბობდა იგი. — მაინც ხომ ტარასკონელები არიან. შევიბრალოთ ისინი. აბა, დაფიქრდით, რამდენი განსაცდელი ელით! მარტო ტრუფენიუსმა, და იმანაც კი, რიგიანად არ იცის იალქნის მოხმარება.

მერე მშვენიერი აზრი დაებადა ტარტარენს — კოლონიის ხარჯზე გაეზარდათ მიტოვებული ბავშვები. მე ასე ვფიქრობ, ტარტარენს გულში ძალიან უხაროდა, მოსისხლე მტერი და იმისი ამქარი ჩამოვიშორეო.

იმ დღესვე მისმა აღმატებულებამ მეორე დღის ბრძანება მიკარნახა და ეს ბრძანება მერე ქალაქში გამოაკრეს.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩვენ, ტარტარენ, გუბერნატორი პორტ-ტარასკონისა და ყველა მისი ადგილმამულისა, კავალერი პირველი ხარისხის ორდენისა და სხვ. და სხვ., მოვუწოდებთ მოსახლეობას სრულიად მშვიდად იყოს.

დამნაშავენი დადევნებულ იქნებიან ქმედითად და პასუხისგებაში მიეცევიან კანონის მთელის სიმკაცრით.

მეუფროსეს არტილერიისა და ფლოტისა ეკისრება ამა დეკრეტის შესრულება.

ცუდი ხმების გასაქარწყლებლად, ერთი ხანია რომ გავრცელდა, ბოლოში მიმაწერინა:

ნ ი ო რ ი გ ვ ე ყ ო ფ ა.

ქ რ ი ს ტ ე შ ო ბ ი ს თ ვ ი ს 6. გუბერნატორის ბრძანებამ საუკეთესო მოქმედება იქონია ქალაქში.

ისე კი რომ დაფიქრებულყო აღამიანი, საკითხავია: „დამნაშავენი დადევნებულ იქნებიანო?“ რანაირად? რა გზით? რითი? ტყუილად კი არ ამბობენ ჩვენში: „ხარს რქებში ჩასჭიდვ ხელი, კაცს სიტყვით მოუარეო“. ასეთი ჯურის ხალხია ტრასკონელები, ოღონდ შენ მოქარგული სიტყვა უთხარი, მეტი არა უნდათ რა. ამიტომაც გუბერნატორის ბრძანება საეჭვოდ არავის გაუხდია.

ახლა კიდევ მზემ გამოანათა ამ ჩამორღვეულ ცაში და ყველა აღფრთოვანებულა: ქალაქის სასეირნო წრეზე ერთი ცეკვაა, სიცილი. რა მალხაზი ხალხია, და რარიგ ადვილი გასაძლოლი!

ქ რ ი ს ტ ე შ ო ბ ი ს თ ვ ი ს 10. არგაგონილი პატივი მეღირსა: წარჩინებული გამხადეს პირველი კლასისა.

ამის დამადასტურებელი ქალაქი ამ დილას ვნახე საუზმის დროს ჩემი თეფშის ქვეშ. გუბერნატორი, ეტყობოდა, ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ ეს მაღალი ჩინებულება მომანიჭა. ბრანკე-ბალმს, ბომვეილსა და წმინდა მამას ჩემზე ნაკლებად არ უხაროდათ ჩემი ახალი წარჩინებულება, რაიცა მე იმათთან შატოლებდა.

სალამოს ესპაზეტებთან წაველ; იქ უკვე ყველაფერი იცოდნენ. მარკიზი გადამეხვია კლორინდას წინ, რომელიც სიხარულით მთლად აწითლებულიყო. ჩემს ახალს ღირსებას, ეტყობოდა, მარტო მარკიზა არად აგდებდა. იმის თვალში ეს წარჩინებულის მოსასხამი სულაც არ მამალღებს და ჩემს უაზრობას არ შველის. რაღა უნდა, მაშ, ნეტა?.. პატარა ამბავია, პირველი კლასის წარჩინებული!.. მერე ხომ სულ ახალგაზრდა ვარ!

ქ რ ი ს ტ ე შ ო ბ ი ს თ ვ ი ს 14. არაჩვეულებრივი რამ ხდება სამმართველოში, ისეთი არაჩვეულებრივი, რომ ძლივს ვბედავ განვანდო ეს ამბავი დღიურს.

გუბერნატორი ტრფიალით განიმსკვალა!

მერე ვისი? რაზედაც გინდათ დაგენაძლევებით, ვერ მიხვდეთ! თავის პატარა ნათლულისა, პრინცესა ლიკირიკისა!

დიახ, ტარტარენი, ჩვენი დიდი ტარტარენი, ამდენი მშვენიერი შემთხვევა რომ უკუაგდო, სხვა თანამგზავრი რომ არ ინდობა ცხოვრებაში, გარდა დიდებისა, ახლა გატაცებულია ამ მაიმუნით.

მაიმუნი მეფის სისხლისაა. დაგეთანხმებით, ემბაზის წყლით განწმენდილი, მაგრამ მაინც ბუნებით ველურად დარჩენილი — ცრუტუნა, მსუნავი, პარია, მერე რა სასაცილოზე სასაცილო ზნესაქციელისა. ტანსაცმელი მუდამ დაგლეჯილი აქვს; წვიმა გადაიღებს თუ არა, მაშინვე ქოქოსის პალმის კენწეროზე მოექცევა ხოლმე და იმით ერთობა, რომ იქიდან კენჭებივით მაგარ კაკალს ესვრის მოტიტვლებულ თავში ჩვენს ბერიკაცებს. ცოტას გაწყდა, დარბაისელი მიეფვილი არ შემოაკვდა.

მერე იმათ განსხვავებულ წლოვანებას არ იტყვიო! ტარტარენი სამოციხისა არის და არის. გაჭალარავდა, ქონი მოეკიდა. ის კი თორმეტისა, ბევრი-ბევრი თხუთმეტისა იქნება, პატარა ფლორენსას ხნისა, სიმღერა რომ არის ჩვენში:

წაიყვანა ისე ბაღი,
ვერ შემოუკრავს ქამარი.

და აი ეს გოგო, კუნძულთა ეს პატარა ველური გვეყოლება მეუფედ!

დიდი ხანია უკვე ვამჩნევდი რაღაც-რაღაცეებს. აი თუნდაც იმას, რომ გუბერნატორი მოწყალეს თვალით უყურებდა ამ ბებერ ავაზაკ ნეგონკოს; ხშირად მოიწვევდა ხოლმე ჩვენს სუფრაზე, თუმცაღა ეს მურდალი, საზიზღარი გორილა თითებითა ჭამს და ისე იბრუყება, რომ სკამზე თავს ველარ იმაგრებს, მიწაზე გაადენს ხოლმე ზღართანს.

ტარტარენი ამას, „ნებაზე მოლხენად“ უთვლიდა, და თუ პატარა პრინცესა მამის მიბაძვით უხიაც რასმე ჩაიდენდა, ისეთს, რომ ყველას ყრუანტელი დაგვივლიდა ხოლმე სხეულში, ჩვენი კეთილი წინამძღოლი ჩაიღიმებდა, მამობრივ თვალს მიაპყრობდა, თითქოსდა იმისთვის პატიებას ითხოვს და ამბობსო: „ბაღლია ჭერ...“

მაგრამ მიუხედავად ასეთი და სხვა უფრო სანიშნო რამეებისა, მე მაინც არ მინდოდა დამეკერებინა. ახლა კი ეჭვი სულ აღარ არის.

ქ რ ი ს ტ ე შ ო ბ ი ს თ ვ ი ს 18. ამ დილას თათბირზე, გამოგვიტყდა ყველას, პატარა პრინცესას შერთვა მაქვსო განზრახული.

დიპლომატიური მოსაზრებანი მოიმიზეზა, ამ ქორწინებას თავისი აზრი აქვს, ამას კოლონიის ინტერესები მოითხოვს; პორტ-ტარასკონი მოწყვეტილია მთელს ქვეყანას, ოკეანეში ჩაყარულა, მოკავშირე არ გააჩნია. პაპუასი ხელმწიფის ქალს რომ შევირთავ, ფლოტსა და არმიას შეგძენთო.

თათბირის არც ერთი მონაწილე არ შეჰპასუხებია.

ექსკუტრბანიეისი პირველი წამოვარდა და აღტაცებულმა ფეხების ბაკუნი დაიწყო!

— ბრავო!.. ჩინებულაია!.. როდის არის ქორწილი?.. ჰო! ჰო! ჰო!

კაცმა არ იცის, რა საზიზღრობებს მოროშავს ამ საღამოს ქალაქში.

ციცერონ ბრანკებალმა, როგორცა სჩვეოდა, გადმოალაგა თავისი ურყევი საბუთები, გამმართლებელიც, საწინააღმდეგოც: „თუ ერთის მხრივ კოლონია... ისიც უნდა ითქვას, რომ მეორეს მხრივ... ასეა თუ ისე... *verum enim vero*...“, და საბოლოოდ გუბერნატორის აზრს მიემხრო.

ბოშვეილი და ტურნატუარიც იმას მიჰყვნენ. მამა ბატალიეს რაც შეეხება, ეტყობა, ეს აღრევე სცოდნოდა, და განზრახვა არ დაუწუნა.

სასაცილო სანახავი ვიყავით ყველანი, ამ თანხმობის მამხელ დუმილში თავს როგორ ვიკატუნებდით, რა ფარისევლური სახე გვქონდა, ვითომცდა მართლაც გვჯეროდა, რომ ტარტარენი კოლონიის ინტერესებით სჩადიოდა ამას.

ანაზდეულად ტარტარენს კეთილი თვალები სიხარულის ცრემლით აევსო და სულ ხმადაბლა გვითხრა:

— თანაც იცით, ჩემო მეგობრებო, მარტო ესეც არ არის... მე მიყვარს ეს პატარა.

ეს ისე ბუნებრივად, ისე ამალეღვებლად თქვა, რომ გულში აგვიჩქროლა.

— ქენით, მაშ, თქვენი ნებისა, ბატონო გუბერნატორო, შეერთეთ!

და ყველანი გარშემოეხვივნენ, თან ხელს ართმევდნენ.

ქ რ ი ს ტ ე შ ო ბ ი ს თ ვ ი ს 20. გუბერნატორის განზრახვამ ბევრი სჯა-ბაასი გამოიწვია ქალაქში, თუმცა, საზოგადოდ, უფრო ნაკლების სიმკაცრით მოეკიდნენ ამ ამბავს, ვიდრე მე ვიფიქრებდი.

მამაკაცები ამაზე წახუმრებით ლაპარაკობდნენ, მხიარულის გაკენ-წვლით, როგორც ეს ტარასკონელებმა იციან, როცა სასიყვარულო ამბებზე მასლაათობენ.

მანდილოსნებმა, საერთოდ, უფრო ცუდის თვალით შეხედეს გუბერნატორის ნასურვილევს, განსაკუთრებით მადემუაზელ ტურნატუარის ჯგუფმა. ცოლის შერთვა თუ ინდომა, რატომ თავის ხალხში არ ამოირჩია ვინმეო? ასე რომ ლაპარაკობდნენ, ბევრი უფრო თავის თავზე ფიქრობდა, ანდა თავიანთ ქალიშვი-ლებზე.

ექსკურბანიესი, საღამოს ქალაქში რომ დაბრუნდა, ქალებს მიე-მხრო და ამ ქორწინების სუსტი მხარეები თქვა: სიმამრი—უა-ქციელო, ლოთი, კაციჟამია; საცოლესაც თვითონ, ყველაფერზე ეტყობა, ნაჟამი აქვს ტარასკონელების ხორცი. ტარტარენი ამაზე კიდევ კარგად უნდა დაფიქრდესო.

ამ მუხანათს ყურს რომ ვუგდებდი, ვგრძნობდი, ბრაზი როგორ მერეოდა და სასწრაფოდ გამოვედი დარბაზიდან, — მეშინოდა ძა-ლიან, სახეში სილა არ გავაწნა-მეთქი. ცხელი სისხლისანი ვართ, სწორედ, ტარასკონელები!

იქიდან წამოველ და დეზ ესპაზეტებთან შევიარე. მარკიზა მე-ტისმეტად დასუსტდა, მუდამ წევს საბრალო ქალი, ისევ ისე იზიზ-ღებს ტურნატუარის ნივრიან სუპს. დამინახა თუ არა, მკითხა:

— რაო, როგორ იქნება, ბატონო კამერაჰერო, ეყოლება სეფექა-ლები ახალ დედოფალს?

ეტყობა, უნდოდა ჩემთვის დაეცინა; მე კი მაშინვე გუნებაში საჩვენო რამ გავიფიქრე. კარის მანდილოსანი იქნება თუ სეფექა-ლი, კლორინდა რეზიდენციაში იცხოვრებს-მეთქი, და ჩვენ შეგვეძ-ლება ყოველთვის ვნახოთ ერთმანეთი... წარმოუდგენელი ბედნიერე-ბა იქნება!

როცა დავბრუნდი, გუბერნატორი ის-ის იყო დაწოლილიყო, მაგრამ მე არ მინდოდა სახვალიოდ გადამედო სათქმელი და ჩემი გეგმები გავუზიარე. მომიწონა, კარგად მოგიფიქრებიაო. გვიან ლა-მემდე დავრჩი, ვუჭექი საწოლთან და ვლაპარაკობდით იმის სიყვა-რულზე და ჩემსაზე.

ქ რ ი ს ტ ე შ ო ბ ი ს თ ვ ი ს 25. გუშინ საღამოს, შობის წინა დღეს, მთელი კოლონია შეიკრიბა დიდ დარბაზში. მთავრობა, წარ-

ჩინებულები, ყველანი ვდღესასწაულობდით ჩვენს მშვენიერს პროვანსულ უქმეს, ხუთი ათასი მილით სამშობლოს დაშორებულები.

მამა ბატალიემ რომ შობა ღამის წირვა გამოიყვანა, მერე „მი-აფარე ცეცხლი“ შეუდეს: უხანესმა ჩვენში შემოატარა შეშის ღერი დარბაზის გარშემო და ცეცხლში შეაგდო, თან თეთრ ღვინოს ასხურებდა ზედ.

პრინცესა ლიკირიკი აქ იყო, ძალიან გაერთო ცერემონიით, ტკბებოდა ნუგით, კაკლებით. შაქარლამითა და ნაირ-ნაირი ჩვენებური სასუსნავით, რითაც დახელოვნებულმა მეღვებულე ბუფარტიგმა სუფრა მოკაზმა.

ძველებური საშობაო სიმღერები თქვეს:

მავრთა ხელმწიფე, უველურესი,
დგას, უღვარებს თვალბში ღველფი;
ქვაბულში ტირის ჩვილი იესო,
მაგრამ იქ შესვლას ვერ ბედავს მეფე.

სიმღერები, ნამცხვრები, მოგიზგიზე ცეცხლი, ირგვლივ რომ შემოვსხდომოდით, ყველაფერი გვაგონებდა სამშობლოს, თუმცა წვიმა შხაპუნობდა სახურავზე და დარბაზის დახეთქილი ქერიდან გაშლილ საწვიმარ ქოლგებს დასდიოდა.

უცებ მამა ბატალიემ ფისპარმონიის ხმაზე მშვენიერი სიმღერა შემოსძახა ფრედერიკ მისტრალისა — „უან ტარასკონელი მგობრებმა შეიპყრეს“. ესაა ამბავი თურქების ხელში ჩავარდნილი ერთი ტარასკონელისა, რომელმაც ჩალმა დაიხურა ურცხვად და საცაა ფაშას ქალი უნდა შეერთო ცოლად, რომ უცხად ნაპირზე მდგომს მოესმა ნავიდან, ტარასკონელები მღეროდნენ პროვანსულად:

ვით შხეფებს ისვრის, ნიჩბების ქვეშ ბობოქრობს წყალი,
ესე სდის თვალთა საბრალთა ცრემლების ღვარი,
ო, უთვისტომოს მოაგონდა თავისი მხარე,
შედრკა ქვაგული,
რომ დაკარგა სითბო — მამული,
და თურქებს შორის უწერია ცხოვრება მწარე.

ამ სიტყვებზე — „ვით შხეფებს ისვრის, ნიჩბების ქვეშ ბობოქრობს წყალი...“ ქვითინი აღმოგვხდა ყველას. თვითონ გუბერნატორს თავი უკან გადაეგდო და ცრემლსა ყლაპავდა. ომახიან მკერდზე პირველი ხარისხის ორდენის ლენტი აუღ-ჩაუდიოდა.

ნახეთ რაოდენ სხვაგვარად შეუძლია ბევრი რამ წარმართოს მარტოოდენ ასეთმა სიმღერამ დიდი მისტრალისა!

ქ რ ი ს ტ ე შ ო ბ ი ს თ ვ ი ს 20. დღეს, დილის ათ საათზე, შეუღლება მოხდა პორტ-ტარასკონის გუბერნატორის, მისი აღმატებულიება ტარტარენისა და ხელმწიფის ასულ პრინცესა ნეგონკოსი.

საქორწინო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს: მისმა უდიდებულესობა ნეგონკომ — ჯვარი დაუსვა გვარის მაგივრად, მეუფროსეებმა და დარჩეულმა წარჩინებულებმა კოლონიისა; შემდგომ დიდს დარბაზში ჯვრისწერის წესის აღსრულება დაიწყო, — ცერემონია მარტივი, მაგრამ ღირსებას არმოკლებული, საზეიმო. ლაშქრის მხედრები იარაღსხმულნი იდგნენ. ყველა უკლებლივ საპარადო ტანისამოსში გამოწყობილიყო. მარტო ნეგონკო უშნოდ ეჩხირებოდა კაცს თვალში. უბედურად იქცეოდა, — არც მეფისა ეცხო რამ, არც მამისა.

პრინცესაზე კი ძვირი არ ითქმოდა. მეტად კარგი ჩანდა თეთრი კაბითა და მარჯნის სამკაულით.

სალამოს დიდი ზეიმი გაიმართა: საქმლის ორმაგი ულუფა დაარიგეს, იყო ერთი ზარბაზნის სროლა, თოფის ბათქაბუთქი კონსერვების კოლოფებში მსროლულებისა, „ვაშას“ ძახილი, სიმღერა, საერთო მხიარულება, მოლხენა.

და წვიმდა ისევ!.. და ასხამდა წვიმა!..

V

ჰერსოფ დე მონსიუ ბაჟონა. კუნძულს ყოველგვარად უშინა. ეს ჰერსოფ დე მონსი არ იყო. ჩამოუვრით ალაში, დასწყველის უშაკი! თორრები საათი მალევათ ტარასკონისას კუნძულის სანაპიროსი, თოფსა ხოვალდი კაა კვთ, ტარტარენთან სუფრაზე მსხრონი ფიცსა დეან, ბასდონ ტავერბაში თაჟიანთ ბაჟონატორს

ბერდულა კუს კვერცხების ძებნაში იყო გართული კოკისპირულ წვიმაში, რომ უეცრად წამოიძახა:

— ხომალდი, შეხეთ, შეხეთ! ხომალდი!

ამ ძახილზე ლამში მდგომი თავიანთი კიდობნის სამზირებში პორტ-ტარასკონის კოლონისტებმა გამოყვეს ერთბაშად თავი. ათასი ხმა ერთად ექოსავით იმეორებდა ბერდულას წამოყვარებულს და

ფანჯრებიდან იყო თუ კარებიდან, ხტუნვითა თუ კირწი-კორწა, როგორც ნამდვილ ინგლისურ პანტომიმშია ხოლმე, ბრბო ნაპირისკენ გაეშურა საშინელი ღრიალით, სელაპების ბლავილს რომ მოგაგონებდათ.

გუბერნატორს შეატყობინეს თუ არა, მაშინვე გამოიჭრა ნაპირზე, გზა-გზა იკრავდა ღილებზე კურტაკს და სახეგაბადრული ჩადგა ამ ჩამოღვარული ცის ქვეშ ქოლგაგაშლილ თავის ხალხში.

— რაო, შვილებო, აკი გითხარით ჩამოვა-მეთქი? ეს ჰერცოგია!..

— ჰერცოგი?

— მაშ, სხვა ვინ უნდა იყოს? დიახ, ეს ჩვენი დიდებული ჰერცოგია! ჩამოვიდა, რათა მოგვამარავოს სურსათით, ჩამოგვიტანა იარაღი, ხელსაწყოები და მუშახელსაც მოგვაშველებს. სულ ერთ-თავად მაგას არ ვითხოვდი!

უნდა გენახათ, რა შემკრთალ-შეცბუნებული ჩანდნენ ის ადამიანები, რომელთაც მანამდე ასე საშინლად აღშფოთებდათ „საძაგელი ბელგიელი“. ყველა ხომ შუბლგარეცხილი ექსკუტრბანიეისი არ იყო, რომ დამთხვეულივით ერბინა ნაპირზე და ეყვირა:

— გაუმარჯოს ჰერცოგ დე მონსს!.. ჰო! ჰო! ჰო! გაუმარჯოს ჩვენს მხსნელს.

ამასობაში წყალზე ამართული ვეებერთელა გემი დიდებულად დგებოდა რეიდზე. სტენა ამოუშვა, ორთქლი ამოანთხია, ზათქით ჩაუშვა ღუზა, ოღონდ ნაპირიდან ძლიერ მოშორებით, რაკი მარჯნის ბრაგა ეღობებოდა, მერე ხმა გაკმინდა, ადგილიდან აღარ დაძრულა და წვიმა ასხამდა ზემოდან.

კოლონისტები კვირობდნენ, გემის ხალხი რატომ ასე უხალისოდ ირჯებოდა და არა გვპასუხობს მისასალმებელ ყვირილზე, ქოლგები-სა და ქუდების სანიშნო ქნევავზეო. მეტად გულგრილი ეჩვენებოდათ ეს გვაროვანი ჰერცოგიც.

— იქნებ, ჩვენ არა ვგონივართ.

— ანდა, ეგებ, გაჯავრებულა, ამდენი რომ ვლანძღებ.

— ვლანძღეთ? მე არასოდეს ცუდი არა მითქვამს რა იმაზე.

— არც მე, რა სათქმელია!

— მე ხომ სულაც არაფერი...

ამდენ დაბნეულ და აჩოჩქოლებულ ხალხში მარტო ტარტარენს არ დაუკარგავს თავი. ბრძანება გასცა, რეზიდენციის თავზე აღამი

დაარხიეთ და ზარბაზნის სროლით დაადასტურეთ მისი ნამდვილობა.

ზარბაზანი გავარდა და ტარასკონული ალამი აფრიალდა ჰაერში. მყის საზარელი გრიალი გაისმა რეიდზე, ხომალდი კვამლის სქელ ღრუბელში გაეხვია, ხოლო კოლონისტებს თავზე შავი ფრინველის მსგავსმა რაღაცამ გადაუქროლათ ხრინწიანი ზუილით, დაეხეთქა საწყობის სახურავს და კუთხე ერთიანად ჩამოაცალა.

წამით გაშეშდნენ ყველანი.

— ჩვენ გვეს...ვრიან ისინი! — შესწივლა პასკალონმა.

გუბერნატორის მიბაძვით კოლონიის მთელი ხალხი პირქვე გაერთხო ნაპირზე.

— მაშ, ეს ჰერცოგი არა ყოფილა! — უთხრა ჩუმად ტარტარენმა ციცერონ ბრანკებალმს.

ეს კი იქვე მის გვერდით ტალახში გაშხლართულიყო და ეგონა, სწორედ ახლად საამისო დრო, მოვიყვანო ჩემი უცილობელი საბუთები:

— თუ, ერთის მხრივ, შეიძლება ვიფიქროთ... მეორეს მხრივ, არც ის არის შეუძლებელი, რომ...

უეცრად ახალი ჭურვი გასკდა და ბრანკებალმმაც შეწყვიტა მიეთ-მოეთობა.

ახლა კი მამა ბატალიე წამოვარდა ზეზე, საზარელი ხმით მოუხმო არტილერიის ზედამხედველს მესაფილონე გალოფრს და გაიძახოდა: იმათ ჩვენ ორნი უმალვე ვუპასუხებთ თუჯის ზარბაზნის სროლითო.

— გიკრძალავთ! ეგ არ იქნება! — შეჰყვირა ტარტარენმა. — რა უგუნურებაა!.. არ გაუშვათ!.. არ დაანებოთ!..

ტორკებომ და თვითონ გალოფრმა ჩასკიდეს წმინდა მამას აქეთ-იქით მკლავში ხელი და ძალით დაამხეს მიწაზე, სხვების მსგავსად, სწორედ იმ წუთში, როდესაც მესამედ გავარდა ხომალდის ზარბაზანი და კვლავაც ტარასკონული ალამის მიმართულებით. ეტყობოდა, ალამი აბრაზებდათ!

ტარტარენი მიხვდა ამას; მიხვდა იმასაც, ალამს თუ მოაშორებდნენ, ჭურვსაც აღარ დაუშენდნენ, ამიტომაც მთელის ძალ-ღონით დაიღრიალა:

— ჩამოუშვით ალამი, დასწყევლის ეშმაკი!

მაშინვე ყველანი აყვირდნენ:

— ჩამოუშვით ალამი!.. ჩამოუშვით ალამი!

შენც არ მომიკვდე, ალამს არავინა სძრავდა ადგილიდან, არც სამხედრონი, არც კოლონისტები თავს არ იწუხებდნენ, მალა ასულიყვნენ და ეს სახიფათო საქმე შეესრულებინათ.

კვლავაც მოახლე გოგო აღრიკმა გაწირა თავი.

„აიჩხორა“ სახურავზე და ჩამოიღო ეს დანავსული ალამი.

მაშინ შეწყვიტა მხოლოდ ხომალდმა სროლა.

რამდენიმე წუთის შემდეგ იარაღმოელვარე სალდათებით დატვირთული ორი კანჯო მოსწყდა ხომალდს და დიდრონი ნიჩბების მწყობრი ქნევით ნაპირისკენ წამოვიდა.

მოახლოებისთანავე ნაპირზე მდგომებმა კარგად გაარჩიეს კიჩოზე დასობილი, ქაფის ჭავლზე მოფრიალე ინგლისური ალამი.

ნაპირამდე კიდევ კარგა მანძილი იყო დარჩენილი, ტარტარენმა მოასწრო წამომდგარიყო, ტანისამოსიდან ტალახი ჩამოეწმინდა და ორდენის ლენტი მოეტანინებინა. ფაცაფუცით გაიკეთა ეს ლენტი ხელიკისფერი კურტაის ზემოდან.

როცა ორივე კანჯო ნაპირს მოადგა, ტარტარენი გუბერნატორს უკვე საკმარისად დამსგავსებოდა.

კანჯოდან ნაპირზე პირველი გადმოხტა კოლონიალური ჩაჩქანით მოსილი, ქედმაღალი ინგლისელი ოფიცერი; იმის უკან გამწკრივდნენ მეზღვაურები, უწინაფრო ქულებზე „ტომოჰავკი“ რომ ეწერათ, აგრეთვე მთელი სადესანტო ათეული.

ტარტარენი მედიდურად დამდგარიყო, ქვედა ტუჩი გადმოებრუნებინა, როგორც ეს საზეიმო შემთხვევის უამს იცოდა ხოლმე, და ელოდა; მარჯვნივ მამა ბატალიე ჰყავდა, მარცხნივ — ბრანკე-ბალმი.

ექსკურბანიესი კი, ნაცვლად იმისა, რომ ამათთან დარჩენილიყო, ინგლისელების დასახვედრად გაექანა და მზად იყო გამარჯვებულების წინ ბორგნეული როკვა დაეწყო.

მაგრამ მისი მოწყალე უდიდებულესობის ოფიცერს ყურადღებაც არ მიუქცევია ამ პამპულასათვის, მივიდა პირდაპირ ტარტარენთან და ინგლისურად დაეკითხა:

— რა ეროვნებისა ხართ?

ბრანკებალმა, რაჟი ინგლისური ესმოდა, ინგლისურადვე უპასუხა:

— ტარასკონელი.

ოფიცერს თვალები ლამბაქებივით დაუმრგვალდა, — მას არც ერთ საზღვაო რუკაზე არ შეხვედრია ამ ხალხის სახელი, — და უფრო კანდიერი კილოთი შეეკითხა:

— რა გესაქმებათ ამ კუნძულზე? რა უფლებით გიკავიათ იგი?

სახტად დარჩენილმა ბრანკებალმა გადაუთარგმნა ეს შეკითხვა ტარტარენს, და ამანაც ასე ბრძანა:

— გადაეცით, რომ კუნძული ჩვენ გვეკუთვნის, ციცერონ, რომ ჩვენ იგი ხელმწიფე ნეგონკომ დაგვითმო და საამისო ნასყიდობის სიგელიცა გვაქვს, დადგენილი ნიმუშის შესაბამისი.

ბრანკებალმს თარჯიმნობა სულაც აღარა სჭირდებოდა. ინგლისელი მიუბრუნდა გუბერნატორს და ჩინებულის ფრანგულით გამოეპასუხა:

— ნეგონკო? არ გამიგონია ეგრეთი... ხელმწიფე ნეგონკო სულაც არ არსებობს...

ტარტარენმა მაშინვე განკარგულება მოახდინა დაუყოვნებლივ ყველგან მოეძებნათ მისი ხელმწიფე-სიმამრი და აქ მოეგვარათ.

მანამდე კი, სანამ ნეგონკოს მოიყვანებო, ინგლისელ ოფიცერს შესთავაზა, წამობრძანდით სამმართველოში, საბუთებს იქ გაგაცნობთო.

ოფიცერი დათანხმდა და გაჰყვა, ხოლო კანკოების მცველებად მეზღვაური ჯარისკაცები დატოვა; ესენიც ჩამწკრივებულიყვნენ, დაბლა დაეშვათ თოფები, რომლებსაც კონდახებზე ხიშტები ჰქონდათ ჩამოცმული. მერე რა ხიშტები! ისე ელვარე და ისე მოპირუღლი, რომ ტანში გაბურძღლავდა იმათ შემხედვარეს.

— მშვიდად იყავით, ჩემო კეთილებო, მშვიდად! — დუღუნებდა გზად მიმავალი ტარტარენი.

ეს დარიგება არავის რად სჭირდებოდა, გარდა მამა ბატალიესი, რომელიც კვლავ ქოთქოთებდა, ლელავდა. მაგრამ მას თვალყურს ადევნებდნენ.

— თუ არ დაშოშმინდებით, თქვენო ღირსებავ, გაგთოკავთ ახლავ! — გაიძახოდა შიშისაგან ჰკუთადაკარგული ექსკუტრბანიესი.

ამ დროს ყველანი ნეგონკოს ძებნაში იყვნენ, გასძახოდნენ, სა-

ითაც ხმა მიუწვდებოდათ, და სულ კი ამოდ. ბოლოს, როგორც იყო, ერთმა ლაშქრის მხედარმა აღმოაჩინა იგი. ვამტყვერალიყო ნიკრით, ლამპის ზეთითა და საწვავი სპირტით, რომლის მთელი მარაგიც ჩაეცეცხლა და ახლა ორ კასრს შუა გაშოტილი ხვრინავდა.

ასე მყრალი და ზინზლიანი მოჰგვარეს იგი გუბერნატორს; მაგრამ პირიდან სიტყვა ვერ ამოჰგლიჯეს.

მაშინ ტარტარენმა წაიკითხა ხმამალა ნასყიდობის სიგელი, აჩვენა ზედ დაჩნეული ჯვარი, რომელიც მისი უდიდებულესობის ხელისმოწერის მაგივრობასა სწევდა, აჩვენა მთავრობისა და კოლონიის მთავარი წარჩინებული პირების დასმული ბეჭედი და მათი ხელმოწერა.

მაშ, სხვა რას შეეძლო ამაზე უტყუარად დაედასტურებინა ტარასკონელების უფლება კუნძულზე, თუ არ ამ საბუთს?

ოფიცერმა მხრები აიჩეჩა:

— ეს ველური, ბატონო ჩემო, უბრალოდ ჯიბგირი ვინმეა... მოგყიდათ ის, რაც მას არ ეკუთვნოდა. კუნძული დიდი ხანია ინგლისელების სამფლობელოს წარმოადგენს.

ტარტარენმა იგრძნო, რომ ამ განცხადებას, „ტომაჰაკის“ ზარბაზნებითა და მეზღვაური ჯარისკაცების ხიშტებით განმტკიცებულს, წინ ვერაფერი დაუდგებოდა, და ამიტომ აღარც შეჰპასუხებია ოფიცერს; ოღონდ ეს არის, საშინელი ამბავი დააწია თავის უღირს სიმაჰრს:

— შე ბებერო მატრბაზო!.. რად გვითხარი, კუნძული ჩემიო?.. რად მოგვიყიდე? რატომ არა გრცხვენია, ასე რომ გაგვაბრძვივე პატიოსანი ხალხი!..

გამოთაყვანებული ნეგონკო დუმდა; მისი მოკლე ჰკუა, ჰკუა ველური ადამიანისა, მთლად წარეტანა ნივრისა და სპირტის ბრუეს.

— წაიყვათ!.. — უბრძანა ტარტარენმა იმ მოლაშქრეებს, რომლებმაც ნეგონკო მოიყვანეს, მერე ოფიცერს მოუბრუნდა, ზვიადად და უცხვირპიროდ რომ გაჩერებულყო მთელი ამ ოჯახური სცენის დროს: — ყოველ შემთხვევაში, ჩემი ალაღმართლობა ექვს არ უნდა ბადებდეს, ბატონო ჩემო!

— მაგას ინგლისური სასამართლო დაადგენს.. — მიუგო მეტად ქედმაღლურად ოფიცერმა. — ამიერიდან ჩემი ტყვე ბრძანდებით.

რაც შეეხება მცხოვრებლებს, მათ უნდა ოცდაოთხ საათში დატოვონ კუნძული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველას დავხვრეტო.

— რა ბრძანებაა!.. დავხვრეტო!.. — შეჰყვირა ტარტარენმა. — ჯერ ერთი, როგორ გინდათ დატოვონ აქაურობა? სადა გვაქვს ხომალდი?.. ცურვით თუ...

ბოლოს, როგორც იყო, შეისმინა ინგლისელმა ტარტარენისა და დათანხმდა, კოლონისტები გიბრალტარამდე მიეყვანა. მაგრამ იმ პირობით, რომ მთელი იარაღი მათ ჩაჰბარდებოდათ, თვით სამონადირო თოფები, რევოლვერები და ოცდათორმეტმუხტიანი ვინჩესტერი.

შემდეგ ამისა, ოფიცერი გაბრუნდა ფრეგატზე სასაუბროდ, ხოლო გუბერნატორს შეიარაღებული ბადრაგი მიუჩინა.

სამმართველოშიაც ამ დროს ჩვეულებრივად პურსა ჰკამდნენ ხოლმე; რაკი პრინცესა რეზიდენციის ყველა ლატანიასა და ქოქოსის პალმაზე ძებნეს და ვერსად ნახეს, უმიხოდ შემოუხსდნენ სუფრას, იმას კი თავისუფალი ადგილი დაუტოვეს.

ისე აღელვებული იყო ყველა, რომ მამა ბატალიეს ტრაპეზის წინ ლოცვის თქმა დააფიწყდა.

უჩუმრად შეექცეოდნენ ერთხანს საკმელს, თეფშებში ცხვირჩარგულები, რომ ერთბაშად პასკალონი წამოდგა და ჭიქა ასწია;

— ბატონებო, ჩვენი გუ... ბერ... ნატორი სამხე... დრო ტყვეა. შეეფიცოთ, რომ ჩვენც გავყვებით ტყვე...ტყვე...ო...ბა...

სიტყვა აღარ დაათავებინეს; წამოცვიდნენ ყველანი, გაუწვდინეს ჭიქები და აღტყინებულებმა შესძახეს:

— უეჭველად!

— რისხვა ღვთისა დაგვატყდეს, თუ არ გავყვეთ!..

— რაღა თქმა უნდა!.. თვით ეშაფოტზე გავსდეთ!..

— ჰო! ჰო! ჰო!.. გაუმარჯოს ტარტარენს!.. — ღრიალებდა ექსკურბანიესი.

გავიდა ერთი საათი და ყველამ, გარდა პასკალონისა, მიატოვა გუბერნატორი, სუყველამ, თვით პატარა პრინცესა ლიკირიკიმაც, რაღაც სასწაულით რეზიდენციის სახურავზე ნაპოვნმა. იქ შეეფარებინა თავი ზარბაზნის პირველსავე გრიალზე, და ის კი ვეღარ განესაზღვრა, რომ მალღა უფრო მეტ საფრთხეში იგდებდა თავს. ისე იყო შიშით გონდაკარგული, რომ მისმა სეფექალებმა ძლივს

მარტო მაშინ დაიყოლიეს და ძირს ჩამოაბრძანეს, როდესაც სარდინის გახსნილი კოლოფი უჩვენეს, ვით გალიიდან გამოფრენილ თუთიყუშს ტკბილს რასმე რომ გაუწვდიან და მოინადირებენ ხოლმე.

— ჩემო საყვარელო ბალო. — ზეიმურის კილოთი მიმართა ტარტარენმა, როდესაც ლიკირიკი მიუყვანეს, — მე სამხედრო ტყვე ვარ. რას ირჩევდით? ჩემთან ერთად წამოსვლას, თუ აქ დარჩენას კუნძულზე? ფიქრობ, ინგლისელები აქ დარჩენას არ დაგიშლიან, ოღონდ მაშინ თქვენ მე ველარ მიხილავთ.

ლიკირიკიმ თვალი გაუშტერა და უყოყმანოდ დაიპროკინა თავისი ბავშვური ხმით:

— მე დარჩა კუნძულზე, ყოველთუნი.

— კარგი, თქვენ თავისუფალი ხართ, — უპასუხა ბედის მორჩილად ტარტარენმა, მაგრამ საწყალ კაცს ამ დროს გული გაგლეჯაზე ჰქონდა.

სალამოს, მეუღლისაგან და თავისი წარჩინებულებისაგან განწირულთ, ეულად შთენილი, მარტო პასკალონი რომ ჰყავდა გვერდით, დიდხანს იჯდა იგი გაუკაცრიელებული რეზიდენციის ღია ფანჯარასთან და ფიქრს მისცემოდა.

შორით ქალაქში სინათლე ბეუტავდა; ისმოდა გაგულისებული ხმები, ისმოდა სიმღერა ნაპირზე დაბანაკებული ინგლისელებისა და წვიმებისაგან აბურცული მცირე რონის ღურღური.

ტარტარენმა მიაგდო ფანჯარა და მძიმედ ამოიოხრა, თავზე შემოიკრა წინწკლებიანი, განიერი სალამური თავსახვევი და თავის ერთგულ მდივანს უთხრა:

— სხვა ყველამ რომ ზურგი მაქცია, ეს არც ძალიან გამიოცუბია, არც თუ ძალიან გულთან მიმიტანია, მაგრამ იმ ბაღმა რომ... მართალი ვითხრათ, მეგონა, უფრო მოჯაჭვული იყო ჩემზე.

კეთილი პასკალონი შეეცადა დაემშვიდებინა ტარტარენი: რაც ვინდა თქვით და, ასეთი ტვირთით ტარასკონს ჩასვლა, როგორც ეს ევლური პრინცესაა, მეტად უცნაური რამ იქნებოდაო, — ტარასკონში კი საბოლოოდ დავბრუნდებითო, — და როცა თქვენი ცხოვრება თავის ძველებურ კალაპოტში ჩადგება, პაპუასი მეუღლე შეგაწუხებთ, საქვეყნოდ გამოგაქენებთო...

— გახსოვთ, ძვირფასო მასწავლებლო, ალყირიდან რომ დაბრუნდით, რა საპალნედ დაგაწვათ, რარიგ გაგაბრაზათ თქვენმა აქლემმა...

პასკალონმა უცბად სიტყვა შეწყვიტა და ძალზე გაწითლდა. რა ჭკუაში მომივიდა აქლემის ხსენება, როცა ხელმწიფის შთამომავალ პრინცესაზე ვლაპარაკობდიო. ეს უდიერი შედარება რომ გაექარწყლებინა, შენიშნა, თქვენი მდგომარეობა წააგავს ნაპოლეონისას, როდესაც იგი ინგლისელებმა ტყვედ ჩაიგდეს და მარია-ლუიზამ¹ მიატოვაო.

— მართლაც ეგრეა, — თქვა ტარტარენმა, რომელსაც ძალიან ეამაყებოდა ასეთი მიმსგავსება; ისე ეამა, რომ ერთნაირი ბედი ხვდათ ორივეს, იმასა და დიდს ნაპოლეონს, რომ მთელი ღამე ტყბილად ეძინა.

მეორე დღეს კოლონისტებს დაატოვებინეს პორტ-ტარასკონი; ისინიც სიხარულით აღარ იყვნენ. დაკარგული ფული, მოჩვენებითი ჰექტარები, დიდი საბანკო წამოწყება „საძაგელი ბელგიელისა“, ვისი მსხვერპლნიც გამხდარიყვნენ, — აღარაფრად ეჩვენებოდათ იმ შვებასთან, რასაც ახლა გრძნობდნენ, რაკი საბოლოოდ თავს აღწევდნენ ამ კაობს.

თავიდან რომ აერიდებინათ ყოველგვარი შეტაკება „არსებულ წესთან“, ვისაც კოლონისტები თავიანთ უკუღმართად წასულ საქმეში ადანაშაულებდნენ, ინგლისელებმა ჯერ ესენი ჩასხეს გემში.

კანჯობთან რომ მიჰყავდათ ეს ხალხი, ტარტარენი თავის ფანჯარაში გამოჩნდა, მაგრამ იძულებული გახდა მაშინვე მოშორებოდა სარკმელს — ისეთი სტვენა და მუშტების ქნევა აუტეხეს.

რალა თქმა უნდა, მზიან დარში ტარასკონელები ასე არ გაბოროტდებოდნენ, მაგრამ ჩაბარგება საშინელ თავსხმაში ხდებოდა, უბედურები ტალახში აშლაპუნდნენ, ლანჩებზე მიჰყვროდათ ამ წყეული მიწის მძიმე კოშტები, ხოლო საწვიმარი ქოლგა ძლივს უფარავდა თითოეულს თავის ხელბარგს.

¹ 1815 წლის 15 ივლისს ნაპოლეონმა თავისი ბედ-იღბალი ინგლისელებს ჩააბარა; ინგლისელებმა ის ხომალდ „ბელეროფონტზე“ მიიყვანეს. ნაპოლეონის სასტიკი დამარცხების შემდეგ, მარია-ლუიზამ, ნაპოლეონის მეორე ცოლმა, (1791 — 1847) მიატოვა მეუღლე და პატარა ვაჟი და თავის მამასთან ავსტრიის იმპერატორ ფრანცისკ 1-თან წავიდა.

კოლონისტებმა კუნძული რომ დატოვეს, ტარტარენის ჯერიც დადგა.

დილიდან მოკიდებული პასკალონი ერთ მოუსვენრობაში იყო, წასაღებად ამზადებდა, კონავდა კოლონიის არქივს.

ზედ გამგზავრების წინ გენიალური აზრი დაეზადა. ტარტარენს დაეკითხა: გემზე რომ ავალ, ჩემი მოსასხამი ზომ არ მოვიცვა, პირველი კლასის წარჩინებულისაო.

— მოიცვი, მოიცვი, შთაბეჭდილებას იქონიებს იმათზე, — მიატანა გუბერნატორმა.

და თვითონაც გადაიკიმა ლენტი პირველი ხარისხის ორდენისა.

ძირს უკვე თოფების კონდახების ჩხარაჩხური ისმოდა და ოფიცერი უკმეხად იძახდა:

— ბატონო ტარტარენ აბა, აბა, დააჩქარეთ, ბატონო გუბერნატორო!

სანამ ქვევით ჩავიდოდა ტარტარენი, უკანასკნელად მიმოავლო ირგვლივ თვალი, შეხედა ამ სახლს, სადაც სიყვარულიცა პოვა და ტანჯვაც, სადაც ძალაუფლების საწამებელიც გამოიარა და ტრფობისაც.

ამ დროს დაინახა, რომ გამგებელი კანცელარიისა რაღაც რვეულს იმაღავდა მოსასხამში, დაეკითხა, რა არისო. პასკალონს ძალაუუნებურად უნდა ელიარებინა საყვარელი მასწავლებლისათვის, რომ ეს მემორიალი იყო.

— კარგია, კარგი, განაგრძე, ჩემო ძვირფასო ბალო, — უთხრა აღერსიანად ტარტარენმა და ყური ოდნავ მოსწია, როგორც ამას ნაპოლეონი უშვრებოდა თავის გრენადერებს, — შენ ჩემი პატარა ლას-კაზი¹ იქნები.

გუშინდელს აქეთ სულ ერთთავად იმაზე ფიქრობდა ტარტარენი, თუ როგორა ჰგავდა მისი ხვედრი ნაპოლეონისას. არა, ნამდვილად ასე იყო... ინგლისელები, მარია-ლუიზა, ლას-კაზი... ერთნაირი ვითარება და იგივე ხასიათი... თანაც ორივენი სამხრეთელები არიან, შეხეთ ერთი!

¹ ლას-კაზი ემანუელ-ოგიუსტენ-დიედონიე (1766 — 1842) — საზღვაო ოფიცერი, მეგობარი ნაპოლეონისა, რომელსაც ის გაჰყვა წმინდა ელენეს კუნძულზე. აქ მან 1816 წლის ნოემბრამდე დაყო. ლას-კაზი იწერდა ნაპოლეონის გამონათქვამებს. ეს ჩანაწერები მასალად გამოიყენა წიგნისათვის „წმ. ელენეს მემორიალი“, რაც ნაპოლეონის სიკვდილის შემდეგ გამოვიდა (1823).

წიგნი მესამე

I

ინგლისელთაგან ტარტარენის მიღება „ტომასაკვამ“. უკანასკნელი გამოგონილობა პორტ-ტარასპონთან. გუმბერატორი მსაუბრეა თავის კატარა ლას-ქაზს. კონსტანტინე მიონასა. მისულე კაპიტან-კომანდორისა. ტარტარენი კირველად მხრის ვეშაპს

ღირსებით აღსავსე და მედიდურმა იერმა ტარტარენისამ. როდესაც ის „ტომასაკვის“ გემბაზე ამოვიდა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისელებზე; ისინი მეტადრე გააშტერა ორდენის ლენტმა, ვარდისფერმა, ზედ ტარასკი რომ ჰქონდა ამოქარგული. ამ ლენტს გუმბერნატორი მასონური ნიშანივით მხარბლივ გადაჭიმულს ატარებდა. გააოცათ აგრეთვე პირველი კლასის წარჩინებულის შეეწითელმა მოსასხამმა, პასკალონს თხემით ტერფამდე რომ მოსავდა.

ინგლისელები, მართლაც, განსაკუთრებულ პატივსა სცემენ თანამდებობრივს ხარისხებს, სამსახურებრივ მდგომარეობას და აგრეთვე მამულიშობს (არაბული სიტყვისაგან მამული: შექანჯალებული, ახირებული).

გემის გარეგანი ტრაპის თავზე ტარტარენს მორიგე ოფიცერი დახვდა და ეახლა დიდის პატივისცემით პირველი კლასის კაიუტამდე. პასკალონიც უკან გაჰყვა და კარგი ჯილდოც მიიღო ერთგულებისა, — გუმბერნატორის გვერდით მისცეს კაიუტა, მაშინ როდესაც დანარჩენი ტარასკონელები ქვედა გემბანზე შეერეკათ, უბადრუკი ემიგრანტების ერთ ჯგროდ შეეჭურჩებინათ და მათთან აელფუხათ მთელი გენერალური შტაბი, რომელიც ასე დაისაჯა სულმოკლეობისა და ლაჩრობისათვის.

ტარტარენისა და მისი ერთგული მდივნის კაიუტებს შორის დივანებით გაწყობილი, კედელზე ჩამოკიდებული იარაღითა და ეგზოტიკური მცენარეებით დამშვენებული პატარა სალონი იყო, და აგრეთვე სასადილო ოთახი, რომლის კუთხეებშიაც დიდრონ ლარნაკებში ყინული იდო გროვად, რათა ჰაერი ერთთავად გრილი ყოფილიყო.

ერთი მეტრდოტელი და ორიც მსახური მიუჩინეს მის აღმატებულებას, მაგრამ ის მეტად გულგრილად იღებდა ამ პატივს და ყველა თავაზიანობაზე უპასუხებდა — „კარგა“, უპასუხებდა ამას კილოთი მბრძანებლისა, დიდად ჩვეული რომ არის პატივისცემის მიგებასა და ყურადღებას.

ლუზას რომ იღებდნენ, ტარტარენი, თუმცა წვიმდა, გემბანზე ავიდა, რათა კუნძულისათვის უკანასკნელად ეთქვა „მშვიდობით“.

კუნძული ბუნდად ისახებოდა ბურუსში, მაგრამ ამ ნაცრისფერ რიდეში კაცს მინც შეეძლო გაერჩია ხელმწიფე ნეგონკო და მისი ავაზაკები, რომლებიც საძარცვავად დარეოდნენ ქალაქს, რეზიდენციას და ნაპირზე გაშმაგებით ცეკვავდნენ ფარანდოლას.

მამა ბატალიემ და მისმა მხედრებმა წასვლა ვერ მოასწრეს, რომ კათაკმევლებს კვლავ თავიანთი ძლიერი ბუნებრივი ინსტინქტი აღეძრათ.

პასკალონმა მოცეკვავეებში ლიკირიკის მოხდენილი სილუეტები კი იცნო თითქოს, მაგრამ თქმით არაფერი თქვა, გული არ ვატყინო ძვირფას მასწავლებელსო, თუმცაღა ტარტარენი, ეტყობოდა, სრულიად განურჩევლად ეკიდებოდა ყოველივე ამას.

გარინდებული, ზურგზე ხელებდაწყობილი, თითქოს მარმარილოს ძეგლი ყოფილიყოს რომელიმე ისტორიული პიროვნებისა, ტარასკონელი გმირი თავის წინ იყურებოდა, მაგრამ ვერასა ხელავდა; მას თანდათან უფრო და უფრო იპყრობდა ფიქრი ნაპოლეონის ბედისა და საკუთარი ბედის თანაგვარობისა. გაკვირვებას მოდიოდა, რომ დიდ ადამიანსა და თავის თავს შორის ათას საერთო რასმე პოულობდა; გულუბრყვილოდ აღიარებდა, რომ სუსტი მხარეებიც ერთი ჰქონდათ.

— აი, აიღეთ თუნდაც, — ეუბნებოდა იგი თავის პატარა ლასკაზს, — ნაპოლეონმა საშინელი გულის მოსვლა იცოდა; მეც ასევე ვიცოდი, მეტადრე ახალგაზრდობაში... ერთხელ, მაგალითად, თეატრის კაფეში კოსტეკალდს შეველაპარაკე, დავახალე მუშტი იმისა და ჩემს ფინჯანს და სულ ნამსხვრევებად ვაქციე ორივე...

— ბონაპარტი ლეობენში!..! — მორიდებულად შენიშნა პასკალონმა.

მაგრამ, თუ კარგად ჩავუფიქრებდით, რა უფრო ამსგავსებდა იმპერატორსა და ტარტარენს, ეს წარმოსახვის ნიჭი იყო, სამხრეთული წარმოსახვის ნიჭი. ნაპოლეონს წარმოსახვის ბუმბერაზული, ზღვარგადასული ნიჭი ჰქონდა. ამას მოწმობს ეგვიპტეში მისი გა-

1 იფულისხმება საზავო მოლაპარაკება, რომელიც ნაპოლეონმა, მაშინ ჯერ კიდევ გენერალმა ბონაპარტმა, გამარჯვებით დამთავრებული იტალიური ლაშქრობის შემდეგ აწარმოა ავსტრიელებთან ლეობენში (შტირია).

ლაშქრება, აქლემით უდაბნოს გავლა, — აი, კიდევ ერთი განსაცვიფრებელი მსგავსება: აქლემი! — გალაშქრება რუსეთზე, ოცნება ინდოეთის დაპყრობისა.

და ტარტარენის მთელი ცხოვრებაც — განა არ არის საარაკო ოცნება! ლომები, ნიპილისტები, იუნგფრაუ, მართვა კუნძულისა, საფრანგეთიდან ხუთი ათასი მილის მოშორებით! რაღა თქმა უნდა, ზოგიერთ რამეში ის უპირატესობას არ ართმევდა ნაოლეონს, მაგრამ, სამაგიეროდ, ამას სისხლი არ დაუღვრია, სისხლის ღვარები არ დაუღვნია და შიშისზარში არ უმყოფებია მთელი ქვეყანა, როგორც იმეც...

ამასობაში კუნძული სულ შორსა რჩებოდა, უჩინარდებოდა, ხოლო სააბორდაჟო ბადეზე დაყრდნობილი ტარტარენი კვლავ როხროხობდა ქანდარისათვის — მეზღვაურებისათვის, გემბანზე დაცვნილ ქვანახშირის ხაკას რომ გვიდნენ, და აგრეთვე ვახტის ოფიცრებისათვის, რომლებიც უფრო ახლოს მოსულიყვნენ, უკეთ მოვისმინოთო.

ბოლოს ტარტარენმა ყველას შეაწყინა თავი. პასკალონმა ნება სთხოვა, ხომალდის ცხვირზე წასულიყო ტარასკონელებთან, რომელთა რამდენიმე დამკმუნვარებული ჯგუფი შორიდან მოჩანდა, წვიმაში როგორ სველდებოდნენ. პასკალონი ამბობდა, მივდივარ, გავიგო, რასა ლაპარაკობენ გუბერნატორზე ტარასკონელებიო, უფრო კი იმის მონატრული იყო, ორიოდ გამამხნევებელი და მანუგეშებელი სიტყვა წაეჩურჩულებინა კლორინდასათვის.

ერთი საათის შემდეგ რომ დაბრუნდა, ტარტარენი პატარა სალონში დაუხვდა, — დივანზე ნებივრად მოკალათებულის, ფლანელის პერანგის ამხანაგის ამარა და თავსახვევწაკრული, სწორედ ისე, როგორც ტარასკონში იცოდა ხოლმე ბაღით დამშვენებულ თავის პატარა სახლში, ჩიბუხსა სწევდა და ჩინებული შერი-გობლერი ედგა წინ.

უტყბეს გუნებაზე მყოფმა მასწავლებელმა იკითხა:

— რაო, რა თქვა ჩემზე კეთილმა ხალხმა?

პასკალონმა ვერ დაფარა, რომ ყველანი „ძლიერ გაბოროტებულები“ ეჩვენენ.

საქონელივით შერეკეს ქვედა გემბანზე, აშიმშილებენ, უხე-

შად ეპყრობიან, ისინიც თავიანთ უბედურებაში გუბერნატორს ადნაშაულებენო.

ტარტარენმა მხრები აიჩეჩა. კარგად იცნობდა თავის ხალხს, დამერწმუნეთ! პირველი მზიანი დილა ყველაფერს ამოაშრობდა.

— გულღვარძლიანი ხალხი ნამდვილად არ არის, — მიუგო პასკალონმა, — მაგრამ გაიძვერა კოსტეკალდი აზავთებთ.

— კოსტეკალდი? რანაირად?.. კოსტეკალდი რა შუაშია?

ამ ავბედითი სახელის გაგონებაზე ტარტარენი შეშფოთდა.

მაშინ პასკალონმა აუხსნა, რომ „ტომაპავკი“ ზღვაში შეხვდა მათს მოქიშპეს, რომელიც თავის ნავში შიმშილითა და წყურვილით კვდებოდა, შეიფარა იგი, და მერე კოსტეკალდმა გამცემლურად აცნობა ინგლისელებს, — თქვენს ტერიტორიაზე პროვანსელებმა კოლონია დააარსესო, — და წამოიყვანა ხომალდი პორტ-ტარასკონის რეიდთან.

გუბერნატორს თვალებიდან ნაპერწკლები წამოსცივდა.

— აჰ, არამზადა? აჰ, ეგ ავაზაკი!

მარტო მაშინ დამშვიდდა, როცა პასკალონმა მოუთხრო იმ საშინელი გასაჭირის ამბავი, ყოფილ თანამდებობის პირსა და მის თანამზრახველებს რომ გადახდათ.

ტრიუფენიუსი დაიხრჩო!.. სამი კიდევ სხვა მოლაშქრე ნაპირზე ჩასულიყო წყლისათვის, და კაციჰამიებს კი ჩავარდნოდან ხელში. ბარბანი შიმშილისაგან მკვდარი ენახათ პირდაპირ ნავში!.. რიუჟიმაბო კი ზვიგენმა შექამაო.

— როგორ არა, ზვიგენმა!.. პირდაპირა თქვით, იმ ყაჩაღმა კოსტეკალდმა-თქო!

— მაგრამ ყველაზე გასაკვირველი ის არის, ბატონო გუ... გუბერნატორო, რომ კოსტეკალდი ირწმუნება, გაშლილ ზღვაში, ქარიშხლიან დღეს, როცა ელავდა ცა, ვნახეო, აბა, — გამოიცანით, ვინ?

— რა ჯანდაბა უნდა გამოვიცნო?

— ტარასკი... დიდიდედა — ტარასკი!

— მიქარვაა!..

თუმიცა, ვინ იცის?.. „ტუტუ-პანპანი“ შეიძლება კიდევ დაიღუპა, ან არადა, იქნებ, გრიგალმა მოგლიჯა ტარასკი გემბანიდან...

ამ დროს სტიჟარდმა გუბერნატორს მენიუ მოართვა. რამდენიმე

წუთის შემდეგ ტარტარენი და მისი მდივანი მშვენიერ სუფრას უსხდნენ, შამპანურით დამშვენებულს. საუკეთესო ორაგული, მოვარდისფრო როსტბივი, საოცნებოდ შემწვარი, და ჩაიზაღ — უგემრიელესი პუდინგი მოუტანეს სუფრაზე. ტარტარენს პუდინგი ისე ძალიან მოეწონა, რომ კარგა ბლომად გააგზავნინა მამა ბატალიესა და ბრანკებალმისათვის. პასკალონმა კი ცოტაოდენი ორაგული გადაინახა და წასაღებად გაამზადა, განა საჭიროა დავასახელოთ ვისთვის? საბრალო!

მგზავრობის მეორე დღეს, როდესაც კუნძული თვალს მიეფარა, კარგი დარიც დადგა.

ყოველ დილით, საუზმის შემდეგ ტარტარენი ადიოდა გემბანზე იქ მუდამ ერთსა და იმავე ადგილზე იკალათებდა და პასკალონს ესაუბრებოდა.

ასევე ნაპოლეონსაც, „ნორტუმბერლენდზე“¹ ყოფნის დროს, თავისი საყვარელი ადგილი ჰქონდა. ერთი ზარბაზანი აეჩემებინა, მუდამ იმას მიეყრდნობოდა ხოლმე, და ამიტომაც მას იმპერატორის ზარბაზანს ეძახდნენ.

ნეტა თუ ფიქრობდა ამაზე დიდი ტარასკონელი? ეს თანადამთხვევა შემთხვევითი იყო თუ არა? იქნება მართლაც განზრახ აკეთებდა, მაგრამ ამან სრულიადაც არ უნდა დაამციროს ტარტარენი ჩვენს თვალში. განა ნაპოლეონი, ინგლისელებს რომ ჩაჰბარდა, არა ფიქრობდა თემისტოკლეზე², და ხომ არც დაუმალავს? „მე ვით თემისტოკლე...“ და, ვინ იცის, რასა ფიქრობდა თვით თემისტოკლე, სპარსელთა კერას რომ მიუჯდა?.. კაცობრიობა ისეთი ხანიერია, ქვეყანა ისე დახატრული, ისე თელილი!.. მუდამ ვიდაციის ნავალი გზით მიდინარ...

თუმცაღა, ცხოვრების ცალკეული ვითარებანი, რომელთაც ტარტარენი უამბობდა ხოლმე თავის პატარა ლას-კაზს, სულ არა ჰგავ-

¹ „ნორტუმბერლენდი“ — ინგლისელთა ფრეგატი, რომლითაც ნაპოლეონი მიიყვანეს წმ. ელენეს კუნძულზე.

² თემისტოკლე (525 — 461 ძ. წ.) — ათენის პოლიტიკური ხელმძღვანელი; დაამარცხა სპარსელები. კონსერვატიულ პარტიასთან უთანხმოების გამო განიდევნა ათენიდან 472 წელს და დასახლდა თავის ყოფილ მტრებთან — სპარსელებთან. ნაპოლეონი „ბელეროფონტის“ გემბანზე რომ ავიდა, თქვა: „მე ვით თემისტოკლე მიუვუჯდები ბრიტანელი ხალხის კერას“.

და ნაპოლეონის ცხოვრებას და მარტო მისთვის, საკუთრივ ტარტარენ ტარასკონელისათვის, იყო დამახასიათებელი.

ეს იყო მისი ბავშვობა, ქალაქის სასიერო წრეზე გატარებული, ჯერ სულ ყმაწვილის ადრეული ფათერაკები, კლუბიდან რომ ბრუნდებოდა ხოლმე ღამით; პატარაობიდანვე თურმე გული სულ იარაღზე მიუწევდა, იტაცებდა ნადირობა დიდრონ მხეცებზე; მუდამ კი ეს ლათინური საღი გონება თან ახლდა მაინც ყველაზე თავზეხელაღებულ გიჟმაჟობაში და შინაგანი ხმა ეუბნებოდა: „შინ ადრე დაბრუნდი, არ გაცივდე!..“

მეხსიერების შორეულ კუნძულში ჩარჩენილი აგრეთვე გარის ხიდზე გასიერება, როდესაც ერთმა ბებერზე ბებერმა ბოშა ქალმა დაჰხედა ხელისგულზე და უთხრა: „ოდესმე, შენ ხელმწიფე იქნებიო“. წარმოგიდგენიათ, რამდენი იცინა ყველამ ამ წინასწარმეტყველებზე! და აკი ასრულდაო ხომ!

აქ დიდმა ადამიანმა სიტყვა შეწყვიტა:

— ცოტა არ იყოს, არეულ-დარეულად გეუბნებით ამ ამბებს, როცა მაგონდება, ისე, მაგრამ მემორიალისათვის, ვფიქრობ, ეს ყველაფერი გამოგადგებათ...

— რაღა თქმა უნდა, — მიუგო პასკალონმა, რომელიც სასოებით იბეჭდავდა გულში თავისი გმირის ყოველ სიტყვას.

ტარტარენს ირგვლივ ექვსიოდე ახალგაზრდა გარდემარინიც შემოსხდომოდა და მის ნაამბობს პირდაღებული უგდებდა ყურს.

მაგრამ ყველაზე მეტი გულისყურით კომანდორის მეუღლე უსმენდა, ჯერ სულ ნორჩი, მიბნედილ-მინაზებელი კრეოლი ქალი. რომელიც იქვე მახლობლად გაწოლილიყო მოთენთილივით ბამბუკის შეზლონგზე, მაგნოლის საამო მკრთალი ფერი ჰქონდა სახისა და დიდრონი შავი თვალები, წყნარი, ფიქრიანი... მწყურვალვით დასწაფებოდა იგი ტარტარენის მოყოლილ ამბებს.

დიდ სიამაყესა გრძნობდა გულში პასკალონი, თავის მასწავლებელს ასეთის მგზნებარე გატაცებით რომ უსმენდა ყველა, ძალიან უნდოდა, უფრო სახელოვან ეყო იგი და აამბობინებდა ლომებზე ნადირობის, იუნგფრაუზე ასელისა და პამპერიგუსტის დაცვის ამბებს. ჩვენი გმირიც, მისთვის ჩვეულის გულუბრყვილობით თანხმდებოდა ასეთ უწყინარ წაქეზებაზე, გულსა შლიდა, წიგნივით აფურცვლინებდა თავს, სურათებიანი წიგნივით, რომელიც მეტყველი ტარას-

კონული მიმიკითა და „ბათქაბუთქებით“ სავეს მისი სამონადირო თავგადასავლით იყო ილუსტრირებული.

კრეოლი ქალი შეცივებულივით იშმუშნებოდა თავის შეზღონგზე, ყოველ წამოძახილზე შეკრთებოდა ხოლმე, და აღელვებულს სულ ოდნავ შეუბირისფერდებოდა ნაზი პირისახე.

როდესაც კომანდორი, მისი ქმარი, ავი კვერნის დრუნჩივით სახე რომ ჰქონდა და გუდსონ ლოუს¹ რომ ჰგავდა, მოვიდოდა მის წასაყვანად, ქალი ემუდარებოდა: „... არა, არა... ცოტა ხანს კიდევო...“ და თვალს გააპარებდა ტარასკონელისაკენ. ტარასკონელსაც შეუმჩნეველი არ დარჩენია ბანოვანი და განგებ მისთვის ხმას აუწყევდა ხოლმე, მიმოხრასა და კილოსაც რალაც უფრო კეთილშობილურ ელფერს მიანიჭებდა.

ზოგჯერ, ასეთი საუბრის შემდეგ კაიუტაში რომ დაბრუნდებოდა, პასკალონს შეეკითხებოდა ხოლმე როგორღაც დაუდევრად:

— რა გითხრათ კომანდორის მეუღლემ? ვგონებ, ჩემზე გელაპარაკებოდათ? ჰა?

— მართალია, მასწავლებლო. ის ქალი ამბობს, რომ ბევრი გაუგონია თქვენზე.

— ეგ მე არ მაკვირვებს.— შენიშნა ერთხელ უბრალოდ ტარტარენმა, — ძალიან პოპულარული ვარ ინგლისში².

აი კიდევ საერთო რამ ნაპოლეონთან.

ერთ დილას გემბანზე აღრიანად ავიდა ტარტარენი და მეტად გაიკვირვა, როცა იქ ჩვეულებისამებრ კრეოლი ქალი არ დახვდა. ალბათ, ცუდმა ამინდმა, სიგრილემ და იმან, რომ შხეფები აღწევენ ოკანჩხეს, ხელი შეუშალეს და ვერ გამოვიდა კაიუტიდანო, გაიფიქრა ჩვენმა გმირმა, სუსტი ჯანისაა და მასზე ყველაფერი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენსო...

გეგონებოდათ, თითქოს გემბანიცა და მთელი ეკიპაჟიც ზღვიდან წამოსულმა მღელვარებამ აიტანაო.

¹ ლოუს გუდსონი (1769—1844) — ინგლისელი გენერალი, წმ. ელენეს კუნძულის გუბერნატორი, როდესაც ნაპოლეონი იქ ტყვედ იპოვნებოდა.

² ავტორი ამას ტარტარენს უსაფუძვლოდ როლი ათქმევინებს. მისი თავგადასავლის პირველი ორი წიგნი რამდენჯერმე გამოიცა ინგლისში. შემდგომ „პორტ-ტარასკონიც“ ინგლისურად ფრანგულ გამოცემასთან ერთდროულად გამოვიდა. იგი დოდეს მეგობარმა, ანგლო-ამერიკელმა მწერალმა ჰენრი ჯეიმსმა თარგმნა.

ვეშაპი დაენახათ თურმე; ამ ადგილებში ეს იშვიათად მომხდარა. ამოსასხურებლები არ უჩანდა ამ ზღვის ცხოველს და წყლის შადრევნებს არა სტყორცნიდა მალა, ამიტომ მეზღვაურებმა ის დედლად შეიცნეს, სხვებმა კიდეც განსაკუთრებული ჯიშის ვეშაპად მიიჩნიეს, ერთნიცა და მეორენიც თავისას გაიძახოდნენ და საბოლოოდ მაინც ვერ გაიგეს, რომელი იყო.

ვეშაპი ხომალდის სავალ გზას მიჰყვებოდა, იქაურობას ანა სცილდებოდა, ამიტომ ერთი გარდემარინი მივიდა ხომალდის უფროსთან და სთხოვა: ნება მომეცით, ვეშაპი დავიჭიროო. უფროსმა, ავი ძალღვივით აღრენილმა კაცმა, უარი უთხრა: სამაგისო დრო სადა გვაქვსო. ნება დართო მხოლოდ მისთვის რამდენჯერმე თოფი ესროლათ.

ვეშაპი ორას ორმოცდაათსა და სამასიოდე მეტრზე იყო ხომალდიდან, ხან გამოჩნდებოდა, ხანაც გაქრებოდა, აღქაფებული და გამძლავრებული ზღვის მოძრაობას აყოლილი, რაც მიზანში მოხვედრებას აძნელებდა.

გასროლა გასროლას მოჰყვა, ამ გასროლათა შედეგს ვანტებში მყოფი მარსის მეზღვაურები იტყობინებოდნენ, ვეშაპს სულაც არაფერი დაშავებია. კვლავაც განაგრძობდა ყანყალსა და კუნტრუშს წყლის ზედაპირზე. ყველა მას უყურებდა, თვით ტარასკონელებიც კი, რომლებიც ხომალდის ცხვირზე ბაბანებდნენ, გალუმპულები, რადგან გაცოფებული ზღვის უხეფები მათ იქ უფრო ხვდებოდათ, ვიდრე კიჩოზე მდგომ ჯენტლმენებს.

ტარტარენი ახალგაზრდა ოფიცრებში გარეულიყო, სიჩუბინეში რომ სცილდნენ თავს, და ყოველ გასროლას შეფასებას აძლევდა.

— გადააცდინეთ!.. ახლოს მოგივიდათ!..

— ხომ არ ესროდით, მა...სწავლე...ბელო!.. — დაიკიკინა პასკალონმა.

მაშინვე ერთი გარდემარინი ახალგაზრდულის სიმკვირცხლით მიუბრუნდა ტარტარენს:

— ინებეთ, ბატონო გუბერნატორო!

თავისი კარაბინი შესთავაზა. უნდა გენახათ, რა ამბით გამოართვა იარაღი ტარტარენს, მაშინვე წონა გაუსინჯა ხელში, მხართან მიიტანა. პასკალონი კი, თან ამაყი, თანაც დამორცხვებული ეკითხებოდა:

— რამდენს ითვლით ხოლმე, ვეშაპს რომ ესვრით?

— ამ ნადირისათვის ხშირად არ მისროლია, — უპასუხა გმირმა, — მაგრამ ასე მგონია, ათამდე შეიძლება დაითვალო.

დაუმიზნა, ათი დაითვალა, ისროლა და კარაბინი დაუბრუნა ოფიცერს.

— მგონი, მოხვდა! — თქვა გარდემარინმა.

— ვაშაა!.. — შეჰყვირეს მეზღვაურებმა.

— ასეც ვიცოდი! — წარმოთქვა თავმდაბლად ტარტარენმა.

მაგრამ ამ დროს ისეთი გამწარებელი ღმუილი გაისმა, ისეთი საშინელი ჯგლეთა და აურზაური ატყდა, რომ თვით უფროსი მოიქრა, იფიქრა, მეკობრეთა ხროვა თუ დავესხაო თავს. ხომალდის ცხვირზე მყოფი ტარასკონელები მოუსვენრობდნენ, ხტოდნენ, ხელებს უქნევდნენ და ყველანი ერთად ბლაოდნენ ამ გააფთრებულ ქარის ზმუილსა და ტალღების გურგურში.

— ტარასკი!.. ტარასკს ესროლა!... დიდიდედას...

— წავიდნენ ერთი! მაგას რას ამბობენ, ნეტა? — წაილაპარაკა ტარტარენმა და ფერი წაუვიდა.

ახლა უკვე ათი მეტრის მანძილზე ხომალდიდან ტარასკს ტარასკონისას, უჯმაჯურ კერპს, ამოეშვირა აქოჩრილ მწვანე ტალღებზე ქერცილიანი და საზარელი თავი ქიმერისა, რომელსაც სინგურით შეღებილი ბოროტად მცინარი ბაგეები ჰქონდა და დასისხლიანებულნი თვალეები.

მაგარი ხისაგან გაკეთებული, მკვიდრად ნაგები ეს კერპი, ტალღების მგზავრი გამხდარიყო იმ დღიდან, რაც, — როგორც ეს მერე გაიგეს, — გრიგალმა მოჰგლიჯა იგი გემბანს ხომალდისას, სადაც სკრაპუშინა იყო კაპიტნად. თავიანთ ნებაზე დააქანებდნენ ტარასკს მდინარებანი ტალღათა, გალიბულიყო, წყალმცენარეებითა და ნიჟარებით დაფარულიყო, მაგრამ დაღუპვით არ დაღუპულა, უსაზარლეს ტაიფუნებს დააღწია თავი, უვნებელმა, უზიანომ, და პირველი, ერთადერთი ჭრილობა ტარტარენ ტარასკონელმა მიაყენა.

ა მ ა ნ ! ი მ ა ს !

შუბლზე საბრალო დიდიდედას სულ ახალი ჭრილობა აჩნდა.

ერთმა ინგლისელმა ოფიცერმა შესძახა:

— შეხეთ ერთი, ლეიტენანტო შიპ, რა სასაცილო ცხოველია!

— ტარასკი გახლავთ, ყმაწვილო კაცო, — წარმოთქვა ზემიუ-

ზად ტარტარენმა, — ჩვენი მშობელთა მშობელი, სათაყვანებელი დიდიდედა ყოველი კეთილი ტარასკონელისა.

ოფიცერმა გაიოცა, და განა არ ჰქონდა გასაოცებელი, როცა გაიგო, რომ ეს ურჩხული დიდიდედა ყოფილა შავტუხა და უღვაშე-ბიანი უცნაური პატარა ხალხისა, ველურ კუნძულზე რომ ნახეს, ოკეანეში, ხუთი ათასი მილის დაშორებით სამშობლოდან, და თან რომ წამოიყვანეს.

ტარტარენმა კრძალვით მოიხადა ქუდი, ტარასკზე როცა დაძრა სიტყვა, მაგრამ „დიდიდედა“ შორს იყო უკვე, წარტაცებული მდინარეებით წყნარი ოკეანისა, სადაც ჯერ კიდევ დიდხანს უნდა ებორიალა ვით ჩაუძირავ ნამუსრევს, და მოგზაურების ნაამბობში ზოგჯერ უზარმაზარ რვაფეხად, ზოგჯერაც ზღვის გველად მონათლულს, — ხან იქ, ხან აქ ნახულად რომ ასახელებდნენ, — შიშისზარი დაეცა ვეშაპების მჭერელთა ეკიპაჟებისათვის.

ვიდრე ტარასკი არ მიიმალა, ჩვენი გმირი უჩუმრად აყოლებდა თვალს. ხოლო როცა პატარა შავ წერტილადლა გამოჩნდა თეთრად აქოჩრილი ზვირთების დასალიერზე, მაშინ კი წაილულლულა ჩაყრუებული ხმით:

— პასკალონ, მითქვამს მე თქვენთვის, ეს თოფის გასროლა უბედურებას მომიტანს.

და იმ დღით სულ დაჯავრიანებული იყო, სინდისის ქენჭითა და ზენაარი შიშით შეპყრობილი.

II

სადილი კომანდორთან. ტარტარენი შარანდოლას პას წაიხვევებს. რომორ განსაზღვრა ლეიტენანტმა შიშამ ტარასკონელის ტიპი. გიბრალტარის პირისპირ. ტარასკის შურის-გება

ერთი კვირაა უკვე ხომალდით მგზავრობდნენ და ინდოეთის სურნელოვან ნაპირებს უახლოვდებოდნენ ტარასკონელები; ისევ ისეთი რძისფერი ცა დასცქეროდათ, ისევ ისე წყნარად ლიეღივებდა ზღვა, როგორც მაშინ, პორტ-ტარასკონს რომ მიდიოდნენ. ცხელი და ჩახჩახა ნაშუადღევი იყო; ტარტარენი პერანგის ამარა ისვენებდა თავის კაიუტაში. დიდ თავზე, როგორც მუდამ სჩვეოდა,

წინწყვლებიანი თავსახვევი წაეკრა, რომლის გრძელი ბოლოებიც მცოხნავი პირუტყვის მშვიდი ყურებივით ჰქონდა აშვერილი.

კაიუტაში უეცრად პასკალონი შემოვარდა.

— პა!.. რა არის?.. რა მოხდა? — მიახალა უცებ დიდმა ადამიანმა და მაშინვე თავსახვევი მოიძრო; არ უყვარდა, ასე სჩვენებოდა ვისმე.

— მგონი, გაიმარჯვეთ! — წარმოთქვა თვალდაპყეტილმა პასკალონმა, სულს რომ ძლივს ითქვამდა და ენასაც ჩვეულებრივზე მეტად უკიდებდა.

— ვიზე?.. ტარასკზე?.. დასწყევლის ეშმაკი! ეგ მეც ძალიან კარგად ვიცი!

— არა, — მიუგო ნიაზე უფრო ჩუმი ხმით პასკალონმა, — კომანდორის მეუღლეზე.

— ვაი, ვაი!.. საბრალო!.. კიდევ ერთი!.. მაგრამ ეგ რამ გაფიქრებინათ?

პასკალონმა პასუხის ნაცვლად დაბეჭდილი ბარათი გაუწოდა: ლორდი კომანდორი უილიამ პლანტაგენეტი და ლედი უილიამ პლანტაგენეტი სადილად სთხოვდნენ ამ საღამოს მის აღმატებულება გუბერნატორ ტარტარენსა და ბ. პასკალონს, კანცელარიის გამგებელს.

— ო, ქალებო! ქალებო!.. — შესძახა ტარტარენმა, რაკი ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ეს სადილად მიპატიჟება კომანდორის მეუღლის სურვილი იყო; ქმარს ასეთი რამ აზრად არ მოუვიდოდა, პატივის კაცი ის არა ჩანდა.

— დავთანხმდე უნდა, ვითომ?.. მერე სამხედრო ტყვე რომ ვარ...

პასკალონმა, თავისი საყვარელი ავტორების კარგა მცოდნემ, მოაგონა, რომ „ნორტუმბერლენდზე“ ნაპოლეონი აღმირალთან სადილობდა ხოლმე.

— მაშ, მეც წავალ, — მიუგო სასწრაფოდ გუბერნატორმა.

— მაგრამ ღვინოს მოიტანდნენ თუ არა, — დასძინა პასკალონმა, — იმპერატორი მანდილოსნებთან ერთად გაეცლებოდა იქაურობას.

— ეგ კიდევ უკეთესი, უფროც მაგულიანებს წავიდე. უპასუხით მესამე პირში, რომ ჩვენ მივიღეთ მოპატიჟება.

— ფრაკით წამოვიდე, არა, მასწავლებლო?

— რალა თქმა უნდა.

პასკალონმა ინდომა პირველი კლასის წარჩინებულის მოსახამიე მოეცვა, მაგრამ მასწავლებელმა არ მოუწონა ეს აზრი, — თვითონაც ორდენის ლენტის გაკეთებას არ აპირებდა.

— გუბერნატორს კი არა პატიყებენ. არამედ ტარტარენს, — უთხრა მან თავის მდივანს, — პატარა განსხვავებაა.

არ უყურებთ, რა საკვირველი კაცია, როგორ ყველაფერი გაეგება!

სადილი, მართლაც რომ, სამეფო იყო. სუფრა დიდ სასადილო დარბაზში გაეშალათ, მთლად რომ ბზინავდა, ნეკერჩხლისა და ტუიის ავეჯით მდიდრულად იყო მორთული; ტიხრები და იატაკი ისეთი დახვეწილი, ისე ოსტატურად ნახელავი მშვენიერი ინგლისური პანელისა ჰქონდა, რომ მისი თამასები სათამაშო თამასებსა ჰგავდნენ, შიგ ჩაკეთებულებს.

ტარტარენი საპატიო ადგილას იჯდა, ლედი უილიამ პლანტაგენეტის მარჯვნივ. მოპატიყებული სხვა აღარავინ იყო, მარტოდენ ლეიტენანტი შიპი და ხომალდის ექიმი; ორივეს ესმოდა ფრანგული. ყოველ სტუმარს სკამს უკან გაჭგიმული მსახური ედგა, ნაშურის ლივრით მოსილი. ნამდვილად უნახავს გაგზდიდათ პლანტაგენეტების ღერბით შემკული ღვინის ჭურჭლეული, ნაჭედი ვერცხლისა, და სუფრის შუაგულში დადგმული დიდმშვენიერი ლარნაკი, რალაც იშვიათი ორქიდებით დამშვენებული.

პასკალონს ამ ფუფუნებამ დაეთრები მთლად დაუბნია და ენაც უფრო ებოდა, მეტადრე იმიტომ კიდევ, რომ სწორედ მაშინ, როდესაც ვინმე გამოელაპარაკებოდა ხოლმე, პირი მუდამ გამოტენილი ჰქონდა. აღტაცებული იყო პასკალონი ტარტარენის ქცევით, იმით, თუ რა დინჯად და თავისუფლად ეჭირა თავი კომანდოროთან შედარებით, კატა-ვეფხვსავით გადმოყრილი ლაშები რომ ჰქონდა და სისხლის ძარღვებით დასერილი მწვანე თვალები, ალბინოსის თეთრ წამწამებქვეშ მოშირალი. მაგრამ ტარტარენს, ონავარი მხეცების ნაცად ამლაგმავს, სიცილადაც არა ჰყოფნიდა კატა-ვეფხვები, და ისე საამოდ, ისეთის გატაცებით ეარშიყებოდა ლედი პლანტაგენეტს, თითქოს კომანდორი აქ კი არა, ცხრა მთას იქით ყოფილიყოს მილედისაგან. ქალი თავის მხრივ სიმპათიას არა ფარავდა გმირისადმი და ნაზი თვალებით, რალაც უჩვეულო თვალებით უყურებდა.

„უბედურები! საცაა, ქმარი დაინახავს ყველაფერს“. — სულ ამას ამბობდა გულში პასკალონი.

მაგრამ არა, ქმარი არაფერსა ხედავდა, — ისიც თითქოს განსაკუთრებული სიამოვნებით უგდებდა ყურს დიდი ტარასკონელის მონაყოლ ამბებს.

ლედი უილიამის თხოვნით ტარტარენი მოჰყვა ისტორიას ტარასკონისას, წმიდა მართასა და მისი ცისფერი ბაფთისას. ილაპარაკა თავის ხალხზე, ტარასკონელებად წოდებულ ტომზე, მის ზნეჩვეულებებზე, ადგილიდან მის აყრა-გადასახლებაზე. მერე დაუხატა თავისი მმართველობის წესი, გეგმები, რეფორმები, ახალი კოდექსი, რომელსაც ის ამზადებდა. ამ კოდექსზე, სხვათა შორის, პირველად ლაპარაკობდა, პასკალონისთვისაც კი მანამდე არა უთქვამს რა; მაგრამ ვინ უწყის, რა ღვივის ტვინის დიდ კოლოფში ხალხთა წინამძღოლებისა.

ღრმა აზრებს გამოთქვამდა ტარტარენი, მოღბნით იყო, იმღერა რამდენიმე თავიანთებური სიმღერა, გამორჩევით კი თქვა სიმღერა ჟან ტარასკონელზე, იმაზე, მეკობრეებმა რომ შეიპყრეს და მერე სულთნის ქალი შეიყვარა.

ლედი უილიამისაკენ დახრილიყო ჩვენი გმირი და მთრთოლავი, თანაც მწველი „დაბალის ხმით“ უღიღინებდა:

ამბობენ, იყო მთაქარსარდალი, სახელოვანი, თავდადაფნული,
ხელმწიფის ქალმა, ლამაზმა, ნაზმა,
შეიყვარა და გაუხსნა გული...

მიზნედილ კრეოლ ქალს, მუდამ ასე ფერმკრთალს, სახე მთლად გაუჟარდისფრდა.

სიმღერა რომ გაათავა ტარტარენმა, ლედიმ იკითხა, რა ცეკვა არის ეს ფარანდოლა, ასე ბევრს რომ ლაპარაკობენ ტარასკონელებით.

— აჰ, ღმერთო ჩემო, სულ უბრალო რამ არის, ახლავე გაჩვენებთ... — შეჰყვირა კეთილმა ტარტარენმა.

რაკი დიდება არავისთვის უნდოდა გაეზიარებინა, თავის მდივნს უთხრა:

— იჯექით თქვენ, პასკალონ.

მერე წამოდგა, წაიცეკვა პა, — ფარანდოლას ჰანგის რიტმს

ააყოლა: „რა-პა-ტა-პლან, პა-ტა-ტინ, პა-ტა-ტან...“ საუბედუროდ, ხომალდი შეინჯღრა უცებ, — ტარტარენი წაიქცა, მაგრამ მაშინვე წამოვარდა ზეზე, კვლავაც ხალისიანი, და თვითონვე პირველმა დასცინა თავს, ეს რა მარცხი მომივიდაო.

ინგლისისათვის ჩვეული cant¹-ისა და თავდაპირის მიუხედავად, სუფრაზე ყველამ გადაიხარხარა, გუბერნატორი მეტად მომხიბლავი ეჩვენებოდათ.

ამასობაში ღვინოებიც მოიტანეს. ლედი უილიამმა მიატოვა მაშინვე სუფრა. ტარტარენმა მოისროლა ხელშესახოცი და ისიც მოსცილდა იქაურობას, გამოუთხოვებლად, ბოდიშის მოუხდელად, ისე როგორც ამას ნაპოლეონისეული ლეგენდა ითხოვდა.

ინგლისელებმა ვერა გაიგეს რა და გაშტერებულებმა ჩუმად რაღაც გადაულაპარაკეს ერთიმეორეს.

— მისი აღმატებულება თავის დღეში ღვინოს არა სვამს, — თქვა პასკალონმა; თავი მოვალედ სცნო, აეხსნა, რატომ მოიქცა ასე მასწავლებელი და ახლა თვითონ ელაპარაკა იმის მაგივრად.

პასკალონიც მეტად საამოდ ატარასკონულებდა, უარს ეუბნებოდა ინგლისელებს კლარეტზე², მაგრამ კი ართობდა, აფხიზლებდა მათ მხიარული სიტყვა-პასუხითა და ფიცხელი ყესტიკულაციით.

როცა ყველა წამოდგა სუფრიდან, პასკალონმა, რომელსაც ეჭვი არ ეპარებოდა, ტარტარენი ლედი პლანტაგენეტს შეუერთდა გემბანზეო, შესთავაზა, არცთუ უეშმაკოდ, ჰადრაკის დიდ მოყვარულ კომანდორს, ერთი ხელი წავითამაშოთ მე და თქვენო.

ორი დანარჩენი მოპატიყებულებიც იქვე მახლობლად საუბრობდა და თამბაქოს ეწეოდა. ლეიტენანტმა შიპმა ექიმს ყურში, ეტყობოდა, ძალიან სასაცილო რამ უჩურობოდა, რადგან ექიმმა ბევრი იცინა, ხოლო კომანდორმა თავი ასწია და იკითხა:

— რა იყო; რა გითხრათ შიპმა?

ლეიტენანტმა გაიმეორა ნათქვამი; კიდევ უფრო მეტად იცინა სამივემ. პასკალონმა კი სულ ვერ გაიგო, რაზე იციროდნენ.

მალლა კი ამ დროს, ოდეს მინელებული სიო სურნელებას მოჰფენდა ირგვლივ, ჩამავალი მზე თვალისმომკრელად ეღვარებდა ზღვაში და ხომალდის გემბანს დასთამაშებდა, — თითქოს ყოველ

¹ გაჯიმულობა.

² ასე ეძახიან ინგლისელები ბორდოს ღვინოს.

გემსართავზე წითელ მოცხარსა ჰკიდებსო, — ტარტარენი, ლედი ულიამისის სავარძელზე დაყრდნობილი, უყვებოდა ლედის პრინცესა ლიკირიკისა და თავისი სიყვარულის ამბავს და იმას, თუ რა მტანჯველი იყო მათი განშორება. იცოდა ტარტარენმა, ქალებს უყვართ ნუგეშის ცემა და დაწყულულებული გულის დარდების გადმოშლა საუყუეთესო ხერხია ბანოვანებთან გამარჯვების მოსაპოვებლად.

ო, სცენა გამოთხოვებისა პატარასი და ტარტარენისა! სულ ყურში ჩურჩულით უამბობდა ამას ლედის ტარტარენი, იღუმალებით მოსილი დაისის ბინდში! ვისაც ეს არ მოუსმენია, იმას თავის ღღეშიც არა მოუსმენია რა.

დადასტურებით ვერ ვიტყვით, რომ ტარტარენის ნაამბობი სინამდვილის სრული ანარეკლი ყოფილიყოს, რომ ეს სცენა ჩვენს გმირს ცოტათი არ გადაესხვაფერებინოს, არ შეეფერადებინოს; ყოველ შემთხვევაში, ისე იყო ყველაფერი ნათქვამი, როგორც მას გულში ეწადა: გზნებითა და ტრფობით აღსავსე საბრალო პრინცესა ლიკირიკი ებრძვის თავის თავს, — ვერც მშობელი მამა დაუთმია, ვერც საყვარელი მეუღლე, — ბოლოს გმირს ჩააგლებს პატარა ხელეებს, ჩაებლაუჭება და გამწარებული შესთხოვს: „წამიყვანე! თან წამიყვანე!“

გმირი კი, გულდაჩქლეითილი, ხელსა ჰკრავს, მკერდიდან იცილებს: „არა, ჩემო პატარა, ასეა საჭირო. დარჩი მოხუც მამასთან, შენს მეტი იმას არაფინა ჰყავს...“

ამას რომ უამბობდა ტარტარენი ლედის, ნამდვილ ცრემლს აფრქვევდა და ასე ეჩვენებოდა, რომ კრეოლ ქალსაც ენამებოდა მისკენ მიპყრობილი თვალები. მზე კი ნელ-ნელა ჩასვენებულიყო ზღვაში და ცის დასავალი იისფერ ბინდში ინთქმებოდა.

უეტრად მათ რაღაც ჩრდილები მოუახლოვდათ და კომანდორის გამყინავმა ხმამ ერთბაშად ეშხი დაარღვია:

— გვიან არის, ჰაერი მეტად გრილია თქვენთვის, ძვირფასო, აქ ყოფნა აღარ იქნება.

ქალი წამოდგა, დახარა ოდნავ თავი:

— ღამე მშვიდობისა, ბატონო ტარტარენ!

მთლად შეუტოკა ტარასკონელს გული იმ სინაზემ, ქალმა ამ სიტყვებში რომ ჩააქსოვა.

მერე ერთხანს კიდევ იარა გემბანზე, და ყურში სულ ერთ-
თავად ესმოდა: „ღამე მშვიდობისა, ბატონო ტარტარენი!“ მაგრამ კო-
მანდოროს მართალი იყო, სწრაფად ცივდებოდა საღამოს ჰაერი და
ტარტარენმაც გადაწყვიტა დასაძინებლად წასულიყო.

პატარა სალონს რომ ჩაუარა, ოდნავ გამოღებულ კარში პასკა-
ლონი დაინახა; მაგიდას უჯდა, ცალ ხელზე დაეყრდნო თავი და
მეორეთი გაფაციცებით ფურცლავდა ლექსიკონს.

— რას აკეთებ აქ, ჩემო ბაბო?

ერთგულმა მდივანმა უამბო, როგორ არ მოეწონათ ინგლისე-
ლებს, ასე ერთბაშად რომ წავიდა ტარტარენი, რა ჩურჩული შექ-
ნეს მერე მაგიდასთან აღშფოთებულმა ვაჟბატონებმა, და, უმთავ-
რესად კი, შიპის საიდუმლო ნათქვამი უხსენა, კომანდორომა რომ
გაამეორებინა ლეიტენანტს და რამაც ბევრი, აცინა ყველა.

— თუმც არა უშავს რა, კარგად შესმის ინგლისური, მაგრამ
მანც ვერ გავიგე აზრი და მხოლოდ სიტყვები დავიხსომე. ახლა
მინდა როგორმე დავადგინო მთელი ფრაზის მნიშვნელობა.

სანამ პასკალონი თავის სათქმელს დაათავებდა, ტარტარენი
ამასობაში უკვე დაწვა, კარგა მოხერხებულად გაიქიმა ლოგინში,
თავზე ყელსახვევი შემოიკრა და დიდი ჭიქით ფორთოხლის წყალი
მიიდგა; როცა ჩიბუხიც გააბოლა, ყოველ საღამოს რომ ეწეოდა
ხოლმე ძილის წინ, თავის მდივანს ჰკითხა:

— მოუხერხეთ რამე თქვენს თარგმანს?

— დიახ, ძვირფასო მასწავლებელო, აი ეს ფრაზა: „მოკლედ
რომ ვთქვათ, ტარტარენი იგივე ფრანგია, ოღონდ როგორღაც
უფრო გადიდებული, თითქოსდა მოსარკულ სფეროში დანახული“.

— და თქვენ ამბობთ, ძალიან ბევრი იცინეს ამაზეო?

— ყველამ: ლეიტენანტმა, ექიმმა, თვითონ კომანდორომაც; გა-
უთავებლად იცინოდნენ.

ტარტარენმა მხრები აიჩეჩა და სახეზე სიბრაღული გამოხატა:

— როგორცა ჩანს, ამ ინგლისელებს ხშირად არ ეძლევათ სი-
ცილის საბაბი, რაკი ასეთი სისულელე ართობთ. აბა, ღამე მშვი-
დობისა, ჩემო ბაბო, წადი, დაიძინე!

და მალე ორივენი სიზმარეთში გადასახლდნენ: ერთი ხედავდა
კლორინდას, ხოლო მეორე — კომანდოროს მეუღლეს, რადგან ლი-
კირიკი უკვე კარგა შორს იყო.

ღღეები ღღეებს მისდევდნენ. კვირეიად იკონებოდნენ, მგზავ-
რობა კვლავ გრძელდებოდა. ანლა ეს იყო უკვე რაღაც მშვეი-
ეოი, მომნიბლავი მოგზაურობა, რომლის მთელს მანძილზე ტარ-
ტარენი, ვისაც ასე უყვარდა ადამიანებში სიმპათიისა და აღტაცე-
ბის გამოწვევა, სულ ამ სიმპათიასა და აღტაცებას გრძნობდა თავის
ირგვლივ, სხვადასხვა სახით გამოხატულს.

აი, ვის შეეძლო ეთქვა ვიქტორ ჟაკმონივით¹, თავის ერთ-ერთ
წერილში რომ წერდა: „რა უცნაურად დამიტრიალდა ბედი ინგ-
ლისელებთან! ამ ადამიანებს, ასე ვნებათუქონელნი რომ ჩანან და
ერთმანეთისადმი ასე გულცივნი რომ არიან, ჩემი ძალდაუტანებე-
ლი მოქცევა მოალობს ხოლმე მაშინვე. ალერსიანები ხდებიან
მათდა უნებურად, თანაც პირველად თავიანთ ცხოვრებაში. მე კე-
თილ ხალხად ვაქცევ იმათ. ყოველ ინგლისელს, ვისთანაც კი ოცდა-
ოთხ საათს დავყოფ ხოლმე, ფრანგად გარდავქმნი“.

„ტომაპავკზე“ ყველანი — მეზღვაურები თუ ოფიცრები, ხო-
მალდის ცხვირსა თუ კიჩოზე — ყველანი ერთნაირად ეთაყვანებოდ-
ნენ ტარტარენს. აღარავინ ლაპარაკობდა, ის სამხედრო ტყვეა და
ინგლისის სასამართლოს უნდა გადაეცესო; განთავისუფლებას უპი-
რებდნენ, გიბრალტარში მივიდოდნენ თუ არა.

კუშტი კომანდორი კი აღტაცებულ იყო, პასკალონივით ძლიერი
პარტნიორი რომ იწოვა და საათობით აკავებდა საღამობობით საქად-
რაკო დაფასთან. ეს გარემოება სასოწარკვეთილებაში ადებდა
კლორინდას ბედკრულ მოტრფიალეს. რადგან ხელს უშლიდა საბ-
რალოს წასულიყო ხომალდის ცხვირზე და წაეღო სატრფოსათვის
პირის ჩასაგემრიელებელი რამ, თავისი სადილიდან გადანახული. ბე-
ჩავეი ტარასკონელები ხომ კვლავაც განავრძობენ ემიგრანტ-კა-
ტორღელების გასაცოდავებულ ცხოვრებას. და რა დარდი ეშლე-
ბოდა გულში ტარტარენს, რა სინდისის ქენჯნა შეიპყრობდა ხოლმე,
რადესაც ის ოკაჩხეზე ბრტყელ-ბრტყელად მოლაპარაკე, ანდა შხის
ჩასკლის სევდიან ჟამს ლედი უილიამთან მოარშიყე, ჩაიხედავდა
ანაზღად ქვემოთ და დაინახავდა პირუტყვივით შექუჩულ თავის
თანამემამულეებს, რომლებსაც გუშაგი ეყენათ. ტარტარენის დახან-
ვაზე ეს ადამიანები ზარდაცემულივით იბრუნებდნენ ხოლმე პირს,
მეტადრე იმ დღის აქეთ, რაც მან ტარასკს ესროლა.

¹ ცნობილი ფრანგი მოგზაური (ავტორის შენიშვნა)

ვერ ეპატიებინათ მისთვის ეს დანაშაული, და თვითონ ტარტარენიც ვერ ივიწყებდა ამ თოფის გასროლას, უბედურებას რომ უქადდა.

განვლეს მალაკის სრუტე, მეწამული ზღვა, გარს შემოუხვიეს სიცილიას; უახლოვდებოდნენ გიბრალტარს.

ერთ დილას მიწა გამოჩნდა. ტარტარენი პასკალონითურთ შეუდგა ბარგის შეკვრას ერთ-ერთი მსახურის დახმარებით, რომ უეცრად მათ ყველამ რყევა იგრძნეს, როგორც ჩვეულებრივად ხომალდის გაჩერების დროს იცის ხოლმე. „ტომპაპაკი“ დგებოდა უმალ ნიჩბების შლაპუნი მოისმა; ეს შლაპუნი თანდათან უფრო ახლოვდებოდა.

— გახედეთ ერთი, პასკალონ, — უთხრა ტარტარენმა, — იქნებ ლოცმანია...

ნავი საცაა მართლაც უნდა მოსდგომოდა ხომალდს, მაგრამ იქ ლოცმანი არ ჩანდა. ფრანგული ალაში ფრიალებდა ნავზე, შიგ ფრანგი მეზღვაურები ისხდნენ და ორიც — შავად მოსილი, მალაქუდიანი კაცი. ტარტარენს გული შეუტოკდა.

— ო! ფრანგული ალაში!.. შემახედეთ, ჩემო ბაღლო!

მაშინვე ილუმინატორისკენ გაქანდა, მაგრამ ამ დროს კარი გაიღო, კაიუტაში ჰარბად შემოიჭრა სინათლე, და სამოქალაქო ტანსაცმელში გამორწყობილმა ორმა პოლიციის მოხელემ, რომლებსაც მეტად ურიგოდ და უხეშად ეჭირათ თავი, წარმოადგინა მანდატები, დაპატიმრების ბრძანება, სხვა რაღაც-რაღაცეები, და ტორი დაადო ბედკრულ „არსებულ წესს“ თავისი მდივნიანად.

გუბერნატორმა უკან დაიხია, მთლად გაფითრდა და ღირსებით წარმოთქვა:

— გთხოვთ ფრთხილად გაისარჯოთ. — მე ტარტარენ ტარასკონელი გახლავართ!

— სწორედ თქვენ დაგეძებთ!

და ორივეს ხელი სტაცეს, მაგრამ მიზეზი არ აუხსნეს, უპასუხოდ დატოვეს მათი მრავალრიცხოვანი შეკითხვა, არ უთხრეს, რასა სდებდნენ ბრალად, რატომ იჭერდნენ და სად მიჰყავდათ. თქვენ მარტო ის სირცხვილი თქვით, ბორკილგაყრილნი რომ ჩაატარეს, — რადგან მათ მართლაც ხელხუნდი გაუკეთეს, — მეზღვაურებისა და

გარდემარინების წინ, სიცილსა და ყიყინაში თავიანთი თანამემამულეებისა, რომლებიც ხომალდის ფერღზე გადმოკიდებულნი ტაშს უკრავდნენ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ყვიროდნენ: „ეგრე უნდათ!.. მოუხდებათ!.. მოუხდებათო!..“, სანამ დატყვევებულები ჩაჰყავდათ და ნავეში სხამდნენ.

ამ დროს ტარტარენს ერჩივნა, ზღვაში ჩანთქმულიყო.

რანაირი ამბავია! იყო ნაპოლეონისა და თემისტოკლეს დარი სამხედრო ტყვე და მოექცე ჩვეულებრივი თაღლითის მდგომარეობაში!

ნამდვილად არა სცდებოდა ტარტარენი, ტარასკი ჯაერს იყრიდა, შურს იძიებდა სასტიკად.

III

გამრძელება ასაკონის მემორიალისა

მკათათვის 5. ტარასკონის ციხე რონაზე. ეს-ეს არის დავბრუნდი დაკითხვიდან. გავიგე ბოლოს რას გვდებდნენ ბრალად გუბერნატორსა და მე, ასე მოულოდნელად რატომ შეგვიპყრეს „ტომაჰავაზე“, თანაც სწორედ მაშინ, როს ვენტარებდით, ცას ვეწეოდით ბედნიერებით. ჩვენ დაგვიჭირეს, როგორც ორი ლანგუსტი ანკარა წყლის ფსკერზე, ხელზუნდი გაგვიკეთეს, ფრანგულ ხომალდზე გადაგვსხეს, მარსელს მიგვგვარეს, იქიდან კი ტარასკონს გაგვამგზავრეს და ქალაქის ციხის საკანში ჩაგვამწყვდიეს ცალ-ცალკე.

ბრალად წამოგვიყენეს თაღლითობა, წინდაუხედაობით მომხდარი მკვლელობა და ემიგრაციის კანონის დარღვევა. აბა, როგორ არ უნდა დამერღვია ეგ დაწყვეტილი კანონი, თუკი გავონებთაც კი არ გამიგონია მისი არსებობის ამბავი.

ორი დღე ციხეში გვამყოფეს, მასთან სასტიკად აკრძალული გვქონდა ვისმესთან დალაპარაკება, — ყველაზე უფრო საშინელი ხომ ეს არის ტარასკონელისათვის, — მერე წაგვიყვანეს სასამართლოში ბნ-ბონარკთან.

ამ სასამართლოს მოხელემ თავისი კარიერა ათიოდე წლის წინათ დაიწყო ტარასკონში, შესანიშნავად მიცნობდა. ასჯერ მიანც მო-

სულა აფთიაქში, სადაც მალამოს ვუმზადებდი ქრონიკული ეგზე-
მისას, ლოყაზე რომ აქვს.

მაინც კი მკითხა გვარი, სახელი, წლოვანება, პროფესია, თითქოს
პირველად მხედავდა. მათქმევინა ყველაფერი, რაც რამ პორტ-ტა-
რასკონის საქმეზე ვიცოდი. ორი საათი ვილაპარაკე შეუსვენებლივ.
მისი მდივანი ვერ ასწრებდა ჩემი ნათქვამის ჩაწერას, ენად ისე
გავიკირიფე. მერე კი — არც ავი მითხრა, არც კარგი: „ბრალდებულო,
შეგიძლიათ მიბრძანდეთო“.

სასამართლოს კორიდორში გუბერნატორს შევეყარე; იმ დღი-
დან, რაც ციხეში ჩავსხეს, აღარ მინახავს. ძალიან შეცვლილი მეჩ-
ვენა. ხელი მომიჭირა, რომ ჩამიარა, და თავისებურად ჩამიხმატ-
კბილა:

— ყოჩაღად იყავი, ჩემო ბაღლო! სიმართლე ზეთივით არის,
მაინც ზემოთ წამოვა.

მეტი ველარაფერი მითხრა, — პოლიციელები არ ანებებდნენ,
უხეშად ხელსა ჰკრავდნენ.

პოლიციელებს მიჰყავთ იგი!.. ტარტარენს ბორკილი ადევს, —
და ეს ხდება ტარასკონში! მერე კიდევ ეს რისხვა, ეს სიძულვილი
მთელი ხალხისა!

ყურში ახლაც მიდგას ბრბოს გააფთრებული ყვირილი, მისი
მხურვალე ქშენა, რასაც მაშინ ვგრძნობდი, სატუსალოს ეტლის სხვა-
დასხვა განყოფილებაში გამომწყვდეულნი უკან რომ წამოგვიყვანეს
საპატიმროში.

მე ვერაფერს ვხედავდი, მაგრამ ხალხის საშინელი ბუბუნი მეს-
მოდა. ეტლი ბაზრის მოედანზე გაჩერდა; მე ეს იმ სუნით გამოვი-
ცან, სინათლის წვრილ ოქროსფერ ზოლებთან ერთად ეტლის ჭუქ-
რუტანებში რომ იპარებოდა. თვით ქალაქის სუნთქვად იჭრებო-
და — ეს სუნეი პამიდვრისა, ბადრიჯნისა, კავალონის ნესვისა, წითე-
ლი წიწაკისა და მსხვილი, ტკბილი ხახვისა. ისე დიდი ხანია არ მი-
გემია ასეთი მშვენიერი რამეები, რომ მათმა სურნელმა ჭამის სა-
ღერდელი ამიშალა.

ხალხი იმდენი მოგროვილიყო, რომ ჩვენი ეტლი წინ ვეღარ იძ-
როდა. ტარასკონი კვლავ სავსეა ხალხით, — ასე იფიქრებთ, ტარას-
კონელთაგანი თავის დღეში არავინ დამხრჩვალა და არც კაციკამი-
ებს შეუჭამიათ ან მოუკლავთ ვინმე. მიწისმზომელი კამბალალეტის

ხმაც კი მომესმა თითქოს! მომეჩვენა, უთუოდ, რადგან ბეზიუქემ თვითონ აღიარა, რომ ჩვენი მარად სახსოვარი კამბალალეტის ხორცი ჭამა. ექსკურბანიესის ხმა კი რომ გავიგონე, დანამდვილებით ვიცი. ეს ხმა,—სხვისაში რომ არ შეეშლება კაცს,—ყველას ღრიალსა ფარავდა:

— წყალში, წყალში გადაუძახეთ!.. რონაში!.. რონაში!.. ვიხმო უროთ! წყალში გადაუშვით ტარტარენი!

ტარტარენი — წყალში!.. ისტორიის ეს როგორი გაკვეთილია! რა სევდიანი გვერდია „მემორიალისა!“

დამავიწყდა მეტქვა, რომ მოსამართლე ბონარიკმა დამიბრუნა „ტომაპავკაზე“ ჩამორთმეული დღიური. საინტერესო სჩვენებია თურმე. მირჩია განმეგრძო წერა; შიგადაშიგ ჩართულ ტარასკონულ გამოთქმებზე კი, წითურ ქილვაშებში ჩალიმილებით მითხრა:

— ჩვენ გვქონდა უკვე „მემორიალი“, ახლა გვექნება „სამხრეთიალი“.

თავი ისე ვაჩვენე, ვითომ-გამეცინა ამ სიტყვათა თამაშზე.

5-დან 15 მკათათვემდე. ტარასკონის ქალაქის ციხე მოთავსებულია ისტორიულ ციხე-დარბაზში, რომლის ოთხსავე მხარეს კოშკია აღმართული. ეს ხელმწიფე რენეს ძველებური ციხე-დარბაზია; იგი მდინარე რონის ნაპირასა დგას და შორიდანვე მოჩანს.

ბედი არა გვწყალობს ისტორიულ ციხე-დარბაზებში. ჯერ ისევ შვეიცარიაში, სადაც ნიპილისტებად მიგვიჩნიეს და ჩვენი სახელოვანი ტარტარენი კიდევ ჩვენს მეთაურად ჩათვალეს, ბონივარის დილეგში ჩავგხსეს, შილონის ციხე-დარბაზში.

თუმცა აქაურობა. ისე ძალიან ჩაუამებული არ არის, როგორც იქ იყო; სინათლე ბევრია, რონიდან სუფთა ჰაერი მოდის, არ წვიმს, როგორც შვეიცარიასა და პორტ-ტარასკონში წვიმდა.

ჩემი საკანი მეტად ვიწროა: ოთხ მობათქაშებულ კედელს შორის რკინის საწოლი, მაგიდა და სკამი ეტევა. მზის სხივი გისოსიანი ფანჯარიდან შემოდის; ფანჯარა პირდაპირ რონას გადაჰყურებს.

დიდი რევოლუციის დროს აქედან ყრიდნენ წყალში იაკობინელებს, თან ცნობილ სიმღერას აგუგუნებდნენ ხოლმე:

სურვილითა თუ ძალითა,
კოშკთაგან ტარასკონისა...

რაკი ხალხური სიმღერების რეპერტუარი დიდად არ იცვლება ხოლმე, ჩვენც ამ ავბედითს კუბლეტს გვიმღერიან. არ ვიცი, სად მოათავსეს ჩემი საბრალო გუბერნატორი, მაგრამ ალბათ იმასაც ესმის ყვირილი, სადამოობით რომ ამოდის რონის ნაპირებიდან, და არ შეიძლება ამან ნაღვლიანი ფიქრები არ აუშალოს.

ნეტავი ერთად მაინც ჩავესხით საკანში!.. თუმცა, გულწრფელად რომ ვთქვა, რაც აქ ჩამოველ, ცოტათი შვება ვიგრძენი, რომ მარტო ვარ, და სული მოვიტყვი.

დიდ ადამიანთან სიახლოვე ძლიერ დამქანცველია ბოლოს და ბოლოს! ის მუდამ თავის თავზე გელაპარაკება და სულ უგულისყუროდ ეკიდება იმას, რაც შენ გაინტერესებს. „ტომაჰავკაზე“ ერთი წუთითაც არ ვეკუთვნოდი ხოლმე საკუთარ თავს, წამიც კი არ შემეძლო კლორინდასთან დამეყო. რამდენჯერ მითქვამს ჩემთვის: „ის აქ არის-მეთქი!“ მაგრამ გაპარვას მასთან ვერ ვახერხებდი. სადილის შემდეგ კომანდორთან ჭადრაკის თამაში მელოდა, მთელი დანარჩენი დღე კი ტარტარენთან უნდა ვყოფილიყავი, — მეტადრე მას აქეთ აღარ მიცილებდა სულ ცოტა ხნითაც კი, რაც გავუმხილე, „მემორიალს“ ვწერ-მეთქი. „ჩაწერეთ ეს!..“ არ დაგავიწყდეთ ამის მოხსენება...“ და მოჰყვებოდა მარტო თავის ამბებს კი არა, ხშირად თავის მშობლების ამბებსაც, არცთუ დიდად საინტერესოს.

წარმოიდგინეთ ერთი, როგორ გაუძლო ამ საქმეს ლას-კაზმა რამდენიმე წელიწადი! იმპერატორი დილის ექვს საათზე აღვიძებდა, წაიყვანდა თან ხან ფეხით, ხან ცხენით, ხანაც ეტლით, და გზაზევე დაუწყებდა: „ხომ გახსოვთ, რაზედ გავჩერდით, ლას-კაზ? მაშ გავაგრძობთ... როდესაც მე ხელი მოვაწერე კამპიო-ფორმიოს საზავო ხელშეკრულებას...“ საბრალოს თავისი გაჭირვება ადგას: ავადმყოფი ბავშვი, ცოლი, რომელიც საფრანგეთში დატოვა, მაგრამ რა ესაქმება ამასთან იმპერატორს? ოღონდ კი ყველაფერი მოუთხროს, თავისი აუხსნას, განუმარტოს ევროპას, მთელს მსოფლიოს, მომავალ თაობებს, — და ასე ყოველდღე, ყოველ საღამო, წლობით! ასე რომ, წმიდა ელენეს ნამღვილი წამებულები ნაპოლეონი კი არა, ლას-კაზი იყო!

ახლა მე ეს წამება თავიდან ამცილდა. ღმერთია მოწამე, სულაც არა ვცდილვარ ამას, მაგრამ ჩვენ ერთმანეთს დაგვაშორეს და ახ-

ლა მაქვს თავისუფალი დრო ვიფიქრო ჩემს თავზე, ჩემს უბედო ბედზე, ჩემს უსაყვარლეს კლორინდაზე.

დამნაშავედ მთვლის თუ არა კლორინდა? თვითონ კი არა, მაგრამ აი მისი ოჯახი, ყველა ესპანეტი დ'ესკიუდელ დე ლამბესკი?.. მათს წრეში ტიტულის უქონელი კაცი მუდამ დამნაშავეა. ყოველ შემთხვევაში, მე აღარაფერი შემრჩენია წარსული წარჩინებისა, კლორინდას თავის დღეში არ გამომაყოლებენ.

აღბათ ბეზიუკესთან მომიხდება დაბრუნება, მის აფთიაქში მცირე მოედანზე, და კვლავ წამლის შუშებთან მიჯდომა. ესეც დიდება!

მკათავის 17. ერთი რამ მაწუხებს ძალიან, არავინ მნახულობს ციხეში. ეტუობა, ჩემზე ისევე ბრაზობენ, როგორც ჩემს მასწავლებელზე.

საკანში მარტოდმარტო გამომწყვდეული, მხოლოდ იმით ვირობ თავს, რომ მაგიდაზე ავძვრები ხოლმე და გისოსიან ფანჯარაში ვიყურები; ფანჯრიდან ჩემს თვალწინ მშვენიერი ხედი იშლება.

მზედაფრქვეული რონა პატარა კუნძულებს შუა მიგორავს; ამ კუნძულების მკრთალ-მწვანე მცენარეულობას ქარი დალალს უწეწავს. ნამგალა ჩიტებს შავად გადაუწინწყლავთ მთელი ზეცა, მათი ჭყვივილი, ჭყვივილს ადევნებულო, ხან ფანჯარასთან ჩამომიქროლებს, ხანაც სიმაღლიდან ჩამოიქრება, დაბლა კი გრძელი ხიდი ქანაობს, ისეთი წვრილი და ისეთი მსუბუქი, რომ სულ ელი: საცაა, ქარი ქუდივით მოიტაცებსო.

მდინარის ნაპირებზე ძველი ციხე-დარბაზების ნანგრევებია: ბოკერის ციხე-დარბაზისა, რომლის ფერხთითაც ქალაქს მოუკალათია, აგრეთვე კურტეზონისა, ვაკეირასი. ამ ციხე-დარბაზების ოდესღაც სქელ, ახლა კი ჩამონგრეულ კედლებს იქით ეწყობოდა „სამიჯნურო ასპარეზობანი“, სადაც პრინცესები და დედოფლები სიყვარულით აჯილდოებდნენ იმდროინდელ მგოსნებს — ტრუვერებს, რომელნიც მათ უმღეროდნენ, როგორც ახლა პასკალონი უმღერს კლორინდას. მაგრამ, ვაი, რა დიდი ცვლილება მოხდა იმ შორეული დროის აქეთ! დიდებული სრა-სასახლეებიდან შამბით დაფარული ხნარცვებიდა დარჩა, ხოლო მგოსნები, თუმც კი აღიდებენ წარჩინებულ მანდილოსნებსა და ქალიშვილებს, მაგრამ ქალიშვილები მათ მასხარად იგდებდნენ.

ნაკლებ სევდიანად გამოიყურება ბოკერის არხი, სადაც მჭიდრო რიგებად იძვრიან მწვანედ თუ ყვითლად შეღებილი გემები, სანაპიროზე კი წითელ ლაქებად მოჩანს მუნღირები მოსეირნე ოფიცრებისა, რომლებსაც მე ჩემი მალლად გაკრილი ფანჯრიდან კარგად ვხედავ.

ბოკერელებს, ალბათ გულს უხარებს ტარასკონელების მარცხი, ჩვენი სახელოვანი ადამიანის დაცემა, რადგან ტარტარენის დიდება მუდამ ჩრდილავდა ჩვენი ყოყლოჩინა მეზობლების დიდებას.

მახსოვს: ჩემს ბავშვობაში ბოკერელებს თავი მოჰქონდათ თავიანთი ბაზრით. ხალხი იქ ყოველის მხრიდან მიედინებოდა, — ოღონდ ტარასკონიდან კი არა. უბურჯებო ხიდი მეტად სახიფათოდ ეჩვენებოდათ! უამრავი ხალხი — სულ ცოტა, ხუთი ათასი კაცი — იყრიდა ბაზრის მოედანზე თავს!.. თუმცაღა კი წლიდან წლამდე ეს რიცხვი კლებულობდა. ბოკერის ბაზარი დღესაც არსებობს, მაგრამ იქ აღარავინ დადის.

ბოკერში ყველგან წარწერებია გაკრული: „ქირავდება... ქირავდება...“ თუ შემთხვევით იქ მოგზაური ან სავაჭრო სახლის წარმომადგენელი მოხვდება, მცხოვრებნი სიხარულით ეგებებიან, ერთმანეთს არ აცლიან მის მიპატიებებს, მუნიციპალური საბჭო მუსიკით ხვდება. ბოკერმა დაკარგა თავისი ძველი დიდება, ხოლო ტარასკონი სახელოვანი გახდა... მერე ვისი წყალობით მოხდა ეს? მხოლოდ და მხოლოდ ტარტარენისა!

ამ ფიქრებში ვიყავ გართული, მაგიდაზე რომ ვიდექი და ფანჯარაში ვიყურებოდი. მზე ჩავიდა, ბინდი ჩამოწვა და ერთბაშად რონის ნაპირზე, ბოკერის ციხე-დარბაზის კოშკზე ცეცხლი აბრიალდა.

დიდხანს გავცქეროდი ღამის მღუმარებაში, რასაც ხანდახან თუ შეათრთოლებდა არწივთა ფრთების ჩუმი ფრაშფრაში, რა წითლად ირეკლებოდა ეს ცეცხლი რონაში, და რაღაც საიდუმლოების მომცველად მეჩვენებოდა მე. ნეტავ, ნიშანი, რამ ხომ არ არის-მეთქი?

ეგებ დიდი ტარტარენის რომელიმე თაყვანისმცემელს უნდა ის ციხიდან გააპაროს?.. არა, ძალიან უცნაურად ენთო ეს ალი ნახევრად ჩამოქექული კოშკის თავზე სწორედ ტარტარენის დილეგის პირდაპირ!

მკათათვის 8. დღეს დაკითხვიდან რომ ვებრუნდებოდი და საპატიმროს ეტლმა წმიდა მართას ეკლესიასთან ჩამომატარა, მარჯიზა დეზ ესპაზეტის ხმა მომესმა. მარჯიზა თავისებურად, მბრძანებლურად, ტარასკონული კილოთი იძახდა: „კლორეინდა!.. კლორეინდა!“ და ნაზი, ანგელოზური ხმა, ჩემი უსათუთესი სატრფოს ხმა, უპასუხებდა: „ახლავე, დედა!“

ალბათ ეკლესიაში მიდიოდა კლორინდა, რომ ჩემთვის ელოცა, საქმე კეთილად დამბოლოებოდა.

ციხეში ძალზე აღელვებული დავბრუნდი, ლექსიც კი დავწერე პროვანსულ ენაზე, ეს შეხვედრა ჩემთვის ბედნიერების მომასწავებელია-მეთქი.

სადამოს იმავ საათზე ბოკერის კოშკზე კვლავ ალი აბრიალდა. ბნელში ისე ანათებდა, როგორც კოცონი წმინდა იოანეს დღესასწაულის ღამეს. ეჭვი არ არის, რაღაც ნიშანი იყო!

ტარტარენს, რომელსაც ორიოდ სიტყვის თქმა მოეუხებრხე სასამართლოს კორიდორში, ჩემსავით დაენახა თავისი დილეგის გოსოსში ეს ცეცხლის ალი და, როცა მე ვუთხარი ჩემი ნაფიქრალი, ეგებ მეგობრებს უნდათ-მეთქი გაგაპარონ, როგორც ნაპოლეონი წმიდა ელენეს კუნძულიდან, ამ დამთხვევამ გააშტერა.

— მაშ ეგრე! ნაპოლეონი წმიდა ელენეს კუნძულიდან... შეეცადნენ გაეპარებინათ?

მაგრამ ცოტათი დაფიქრდა ტარტარენი და განაცხადა, რომ ამაზე არასდროს დათანხმდებოდა.

— რაღა თქმა უნდა, სამასი ფუტის სიმაღლე თოკის კიბე, ღამით ზღვიდან მონაბერი ქარი რომ აქანავებს, სრულებით არ მაშინებს. ეგ არ იფიქროთ, ჩემო ბალო!.. მე სხვა რამ მადარდებს: არ ეგონოთ, მართლმსაჯულებას გაექცაო. იცოდეთ, ტარტარენ ტარასკონელი არასდროს გაიპარება!

აჰ, ნეტავი კი ეს სიტყვები გაეგონა ყველა იმას, ვინც, — ტარტარენის დანახვაზე — გაიძახის: „რონაში! რონაში გადაუძახეთო!..“ ცილსაც რომ სწამებენ თაღლითობაში! იგი გარეწარ ჰერკოვ დე მონსის თანამზრახველად მიაჩნიათ! რა ბრძანებაა!.. სად გაგონილა!..

უნდა დავძინოთ, რომ ტარტარენი აღარ ესარჩლება ახლა ჰერკოვს; გაიგო უკვე ამ საძაგელი ბელგიელის ნამდვილი ფასი ამაში ყველანი დარწმუნდებიან მისი ბრწყინვალე დაცვის დროს, — ტარ-

ტარენი ხომ თვითონ იცავს თავს სასამართლოს წინაშე. მე კი, ენა რომ მებმის, საჯაროდ გამოსვლა არ შემიძლია; ციცირონ ბრანკე-ბალში დამიცავს. მან სახელი გაითქვა ლოგიკის იმ დაუთრგუნველი ძალით, რაიცა მუდამ ახლავს მის სადამცველო სიტყვებს.

მკათათვის 20, საღამო. რა გულისგადამღევად მტანჯვე-ლია ეს დაკითხვის საათები! საძნელო ჩემთვის თავის დაცვა სულ არ არის, მაგრამ ვშიშობ, თავის დაცვის დროს რითიმე არ დავემძიმო საქმე მასწავლებელს. ის ხომ ისე წინდაუხედავად მო-იქცა, ისე განუსჯელად მიენდო ჰერცოგ დე მონსს! ახლა კიდევ ბო-ნარიკის ქრონიკული ეგზემის გადამკიდდე, არასდროს არ იცი კაცმა, უნდა გეშინოდეს თუ იმედი გქონდეს. ეგზემა ჩვენს გამომძიებელს დავთრებს ურევს; „გაუჩნდება“ — აფთარია, „გაუქრება“ — კაი კაცია.

აი ვის არის, რომ „გაუჩნდა“ და არც არასოდეს გაუქრება, — ეს საცოდავი ბეზიუჟკაა. შორეული ზღვის გაღმა რომ იყო, დასვი-რინგებას კარგად ეგუებოდა, მაგრამ აქ, ტარასკონული ცის ქვეშ, შეეზიზღა თავი, გარეთ არ გამოდის, ყველას ემალება; თავის ლაბო-რატორიაში ღრმად შეყუყული ზის და ერთმანეთში ურევს, აზავებს ბალახებს, აკეთებს ნაყენებს. მომსვლელებთან მხოლოდ ხავერდის ნიღბით გადის, როგორც კომიკური ოპერის შეთქმული.

შემჩნეული მაქვს, რა ძალიან ეშინიათ მამაკაცებს ფიზიკური ტვივილებისა, ყოველგვარი სირსვილისა, ლაქებისა, ეგზემებისა, — თითქმის ქალებზე მეტადაც კი. ამიტომაც ბრაზობს ალბათ ბეზი-უჟე ტარტარენზე: თავისი ტანჯვის მიზეზად ის მიაჩნია.

მკათათვის 24. გუშინ ისევ ბონარიკთან გამომძიახეს, — ვფიქრობ, უკანასკნელად. ბონარიკმა მიჩვენა ბოთლი, რონელ მე-თევზეს რომ ერთ-ერთ კუნძულზე ეპოვა, და წამაიკითხა წერილი, რომელიც ბოთლიდან ამოეღოთ.

„ტარასკონი. ქალაქის ციხე. ტარტარენს. მხნედ იყავი! შენი მე-გობარი ფხიზლობს ხიდს გაღმა. საჭირო დრო როცა დადგება, გაიგ-ლის ხიდს და მოვა.“

ჰერცოგ დე მონსის ერთ-ერთი მსხვერპლი“.

გამომძიებელი შეშეკითხა, ხელწერა ხომ არ გეცნობათო? არა-მეთქი, ვუპასუხე, მაგრამ, რაკი მუდამ სიმართლე უნდა ილაპარაკო, დავსძინე, ვილაცამ ერთხელ სცადა-მეთქი ასეთი მიწერ-მოწერის

გაბმა ტარტარენთან. ტარასკონიდან ჩვენი გაძვავრების წინ მას ასეთივე ბოთლი გადასცეს, წერილჩატანებული, მაგრამ არავითარი ყურადღება არ მიუქცევია, იფიქრა, — ვილაცამ იხუმრაო.

გამომძიებელმა მიიხრა: „კარგიო“ და მერე, როგორც ყოველთვის, დაატანა: „შეგიძლიათ მიბრძანდეთო!“

მკათათვის 26. წინასწარი გამოძიება დამთავრდა. გამოცხადებულია, საქმე უახლოეს დროში იქნება მოსმენილიო. მთელი ქალაქი ბობოქრობს. საჯარო სასამართლო განხილვა ალბათ მარიამობისთვის პირველს დაიწყება. მანამდე ვეღარ დავიძინებ. რა ხანია, ისედაც ძილი არა მაქვს ამ ღუმელივით გავარვარებულ ვიწრო სოროში. იძულებული ვარ, ფანჯარა ღია ვიქონიო, და თავს ვეღარ ვაღწევ ხოლმე კოლოებს, კუთხეებში კი ვირთაგვები დაფხაქუნობენ.

ამ ბოლო დღეებში რამდენჯერმე შევხვდი ციცერონ ბრანკებალმს. ის დიდი სიმწრით ლაპარაკობს ტარტარენზე; ვგრძნობ, ნაწყენია იმაზე, თავისი. საქმის დაცვა მე რად არ დამავალაო. ბედშავი ტარტარენი! ყველანი გადაუდგენ!

სასამართლოს მთელი შემადგენლობა, როგორცა ჩანს, განახლებულია. ბრანკებალმმა მიიხრა მოსამართლეთა გვარები: სასამართლოს თავმჯდომარე — მულარი; სასამართლოს წევრები — ბეკმანი და რობერ დიუ ნორი. ნაცნობობა აქ ვერ გაჭრის. მიიხრეს, არც ერთი მათგანი აქაური არ არისო. ეს ხომ გვარებზედაც ეტყობათ.

არ ვიცი, რა მიზეზით, მაგრამ საბრალდებულო აქტიდან ამოღებულია ორი მთავარი პუნქტი: წინდაუხედაობით მომხდარი მკვლელობა და ემიგრაციის კანონის დარღვევა. სასამართლოში გამოცხადება ევალებათ: ტარტარენ ტარასკონელს, ჰერცოგ დე მონსს — უცებ არ მოვიდეს! — და პასკალ ტესტანიერს, პასკალონად წოდებულს.

მკათათვის 30. ღამე მღელვარებასა და შფოთში გავატარე. ხეალ სასამართლოა. გვიან ავდექი. შევძელი მხოლოდ დამეფხაქნა კედელზე ტარასკონული სიტყვის მასალა, არაერთხელ გაგონილი ბრავიდასაგან, ვინც რომ ყველა ასეთი თქმა უკლებლივ იცოდა:

ლოგინს იწვე. არ გეძინოს,
ელოდე, და სულ ამოად,
გიყვარდეს, არ გიპასუხოს, —
საფლავს ჩახვალ შენ უღაოდ.

სასამართლოს პროცესი საზრანბათის სამხრეთ მხარეში. პრეზიდენტის საწინააღმდეგო ჩვენებანი. ტარტარენი ფიქსურებს ღმერთისა და ხალხის წინაშე. ტარტარენი სი-ტყვის მკარგველები. რიუჟიმაგო ზვიგენმა შვაკა. მოულოდნელი მოწვევა

არა, ეშმაკსაც წაუღია მათი თავი, აქაურები არ იყვნენ მოსამარ-თლენი საწყალი ტარტარენისა! ამაში რომ დარწმუნებულიყავით, საეპარისი იყო შეგეხედათ მათთვის მცხუნვარე მარიამობისთვის ნაშუადღევს ხალხით გაქედნილ დარბაზში, სადაც ტარტარენის საქმე ირჩეოდა.

უნდა მოგახსენოთ, რომ მარიამობისთვის ტარტარენში აუტანლად ცხელი თვეა. ცხელა, როგორც ალყირში, და ზომებსაც ისეთს იღებენ ამ პაპანაქების წინააღმდეგ, როგორსაც აფრიკის ქალაქებში. შუადღემდე უკვე ქუჩები ცარიელდება, ყაზარმებიდან გასვლა აკრძალულია, ყოველ დუქანს საჩიხი ფარავს. მაგრამ ტარტარენის პროცესის გამო დაირღვა ყველა ეს ადგილობრივი წეს-ჩვეულება, და ამიტომ ძნელი არ არის წარმოიდგინოთ, რა გრადუსს მიაღწია ტემპერატურამ ხალხით გაქედნილ დარბაზში, რომლის სიღრმეშიც ტრიბუნები სავსე იყო ქალებით, კაბებზე რომ ფურჩალი ჰქონდათ შემოვლებული და თავზე ფრთიანი ქუდეები ეხურათ.

სასამართლოს კოშკზე საათმა ორი დარეკა. ფართოდ გაღებულ მაღალ ფანჯრებში, გრძელი ყვითელი ფარდები რომ ჩამოეშვათ ზედ, შემოდინდა მოლივლივე სინათლე, ყურთასმენის წამლები ჰრიჭინი ჰრიჭინობელებისა, რომლებიც მიმალულიყვნენ ქალაქის სასაირონო წრის კუნელის ბუჩქებსა და კადრებში, — ამ დიდრონ, თეთრფოთლებიან, ფოთოლმტვირიან ხეებში, — გუგუნი, გარეთ დარჩენილი ხალხისა და ყვირილი წყლის დამტარებლებისა, როგორც არენაზეა ხოლმე ხართა ბრძოლის წინ: „ვის უნდა წყალი? ცივი წყალი!..“

მარტო ტარტარენელს თუ შეეძლო გაეძლო ამ სიცხისათვის, დარბაზში რომ იყო. ისეთი ბული იდგა, თვით სიკვდილმისჯილსაც კი ჩაეძინებოდა აქ — განაჩენის კითხვის დროს. მოსამართლეებს ზომ მთლად სული ეხუთებოდათ; ისინი არ იყვნენ ჩვეულები ამ ხორშაკიან სამხრეთს: არც სასამართლოს თავმჯდომარე მულარი, ლიონის მკვიდრი — ასე ვთქვათ, საფრანგეთის „შვეიცარიელი“ — მკაცრი სახის კაცი, რომელსაც გრძელი, კალარა თავი ჰქონდა, ფილოსოფოსის

იერი და მნახველს დაამწუხრებდა მარტოოდენ თავისი შესახედობით, არც მულარის ორი მსაჯული — ლილიდან ჩამოსული ბეკანნი და რობერ დიუ ნორი, კიდევ უფრო ჩრდილო მხრიდან გამოგზავრებული.

სხდომა დაიწყო თუ არა, ამ ბატონებმა, უცებ თითქოს გამოთაყვანდნენო, თვალი მიაშტერეს ყვითელ ფარდებზე გამოხატულ სინათლის კვადრატებს, ხოლო მოწმეთა გაუთავებელი გამოკითხვის დროს, — ამ მოწმეების რიცხვი კი, ბრალდების მხრივ, სულ ცოტა, ორას ორმოცდაათი მაინც იყო, — გემრიელად ჩაიძინეს კიდევ.

ეძინათ პოლიციელებსაც. ესენიც არ იყვნენ სამხრეთელები, და გულქვა უფროსებმა მათ ნება როდი დართეს, მოეხსნათ თავიანთი მძიმე საჭურველი.

ამ პირობებში, რა თქმა უნდა, ძნელი იყო პირუთენელი სამართლის ქმნა. საბედნიეროდ, მოსამართლეებმა საქმე ადრევე შეისწავლეს, თორემ თვლემის დროს, საეჭვო იყო მათს გონებაში მიეღწია სხვა რამეს, გარდა კრიჭინობლების კრიჭინისა და ბუზების ბუზილისა, ადამიანთა ხმების გუგუნში რომ ირეოდა.

მოწმეთა უსასრულო გამოფენის შემდეგ პროკურორის ამხანაგი ბოშპარ დიუ მაზე შეუდგა საბრალდებო ოქმის კითხვას.

აი, ეს კი ნამდვილი სამხრეთელი იყო! დაბალ-დაბალი, ბანჯკვლიანი, გაჩეჩილი, ღიპიანი; წვერი ისე ეხვეოდა, როგორც შავი ბურბუშელა; თვალები ჰქონდა დასისხლიანებული, გადმოკარკლული, თითქოს ვიღაცამ ყელში წაუჭირაო, კანი — აბურცებულ-აჭარხლებული; მის ფოლადის ხმას ყურებში ზუზუნი გაჰქონდა. ახლა რა მიმიკა, სხეულის რა მოძრაობა!.. მშვენება და სიამაყე იყო ტარასკონის პროკურატურისა. რამდენიმე ლიეს სიშორიდან მოდიოდნენ, მოეუსმინოთო. მაგრამ ამჯერად მის სიტყვას სიტხარეს ანიჭებდა ნათესაობა ბოშპართან, რომელიც პორტ-ტარასკონის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი იყო.

ჯერ არასდროს ყოფილა ბრალდებელი ასე გაცხარებული, ასე აღვზნებული, ასე უსამართლო, ასე მიკერძოებული; ტარასკონში ხომ ყველაფერი ამაფორიაქებელი, ახმაურებული უყვართ!

მოსამართლე ძირს ურყევდა, შარავანდელს აცლიდა ბედშავ ტარტარენს, ორ პოლიციელს შუა რომ იჭდა. პირზე დუემომდგარი,

ულვაშებპარეზილი ორატორი ჩვარში კრავდა მის სახელოვან წარსულს!


პასკალონი მთლად დაიბნა და სირცხვილით ხელები სახეზე აიფარა. ტარტარენი კი, პირიქით, სრულიად მშვიდად ისმენდა, თავი ამყარდა აეწია და პირდაპირ იყურებოდა; გრძნობდა, რომ მისი წირვა გამოსული იყო, მზე ჩასვენებული; იცოდა სახელოვნებას, როგორც მიზიდულობას, თავისი ბუნებრივი კანონები რომ ჰქონდა, და მზად იყო დამორჩილებოდა ყველა ამ კანონს უკლებლივ. ამასობაში კი ბომპარ დიუ მაზე სულ უფრო ლაფში სვრიდა ტარტარენს, წარმოადგენდა მას ჩვეულებრივ თაღლითად, მოჩვენებით დიდებას რომ ბოროტად იყენებს, რომ ტრაბახობს — ლომები დაეხოცეო, ნამდვილად კი, ალბათ, არც მოუკლავს, მწვერვალები დავიპყარიო — სინამდვილეში ალბათ, არც დაუპყრია; წარმოადგენდა მას მოკავშირედ ვიღაც ავანტიურისტ, არამზადა ჰერცოგ დე მონსისა, სასამართლომ რომ ვერა და ვერ იპოვა! ამტკიცებდა, ტარტარენი ჰერცოგ დე მონსზე უარესიაო, — ის თავის თანამემამულეთა ექსპლოატაციას მაინც არ ეწეოდაო, ტარტარენი საქმეს იკეთებდა ტარასკონელების ხარჯზეო, გალიტა, გაქურჩნა, გაალატაკა ისინი, ღვთის ანაბრობაზედ დააგდო, იქამდეც კი მიიყვანა, რომ ბედშავნი ნაგავში დაეძებდნენ პურის ნახორხლებსო.

— თუმცადა, ბატონო მოსამართლენო, რას უნდა მოველოდეთ აღამიანისაგან, რომელმაც ტარასკს ესროლა, ჩვენს დიდიდედას.

სიტყვის ამ დასკვნითმა ნაწილმა ტრიბუნაზე პატრიოტული ქვეთინი გამოიწვია, ქუჩიდან მას ბანს აძლევდა ხალხის ღრიალი, რადგან პროკურორის ამხანაგის ხმამ კარებსა და ფანჯრებში გაატანა, გარეთ გაიჭრა და ბრბოს ყურთასმენამდე მიადწია. ბრალმდებელი თვითონვე გულის სიღრმემდე ააღელვა საკუთარმა ხმამ, ის ისე გულამოსკვნით და ხმამაღლა აქვითინდა, მოსამართლეებს ერთბაშად ძილი დაუფრთხათ, — მოეჩვენათ, თითქოს საშინელი თავსხმა საცაა დაახეთქებდა სასამართლოს შენობის საწვიმარ მილებს და ღარებსო.

ბომპარ დიუ მაზე ზედიზედ ხუთ საათს ლაპარაკობდა.

კვლავაც სულისშემზუთავად ცხელოდა, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა დიუ მაზემ სიტყვა დაამთავრა, რონიდან მონაბერმა გრილმა ქარმა ფანჯრებზე ჩამოკიდებული ყვითელი ფარდები შეარხია. სასა-



მართლოს თავმჯდომარე მულარს ძილი აღარ შეუბრუნებია; ისე ძალიან ანცვიფრებდა ამ ახლად ჩამოსულ კაცს ტარასკონელების გაზვიადებისა და შემთხვევლობის სიყვარული, რომ ეს განცვიფრება მის ფხიზლობას დიდად უწყობდა ხელს.

ტარტარენმა პირველმა მისცა მაგალითი ამ მიამიტი და მომხიბლავი ტყუილისა, რომელიც, ასე ვთქვათ, ნამდვილი სურნელია იქაურობისა.

ერთი რაღაც წუთი იყო ტარტარენის დაკითხვის დროს, — საჭიროდ ვცნობთ, ეს დაკითხვა მხოლოდ შემოკლებულად გადმოვცეთ, — როცა ჩვენი გმირი უცებ წამოდგა, ხელი მალა ასწია და წარმოთქვა:

— ღვთისა და ხალხის წინაშე ვფიცულობ, ეგ წერილი მე არ დამიწერია.

ლაპარაკი ეხებოდა წერილს, ტარტარენმა მარსელიდან რომ გაუგზავნა პასკალონს, „პორტ-ტარასკონის გაზეთის“ რედაქტორს. ამ წერილში ის აქეზებდა, ცეცხლს უკიდებდა რედაქტორს, რაც შეიძლება მეტი შეთხზე და უფრო ზღაპრულად დახატე კუნძულიო.

არა და არა! ბრალდებულს ეგ არ დაუწერია, ახლოსაც არ იკარებს ამას, საჯაროდ უარს აცხადებს.

— შეიძლება, მაგის დამწერი ჰერცოგი ღე მონსია, რომელიც არ გამოცხადდა სასამართლოში...

რა ზიზლით გამოცრის კბილებში ამ სიტყვებს: „არ გამოცხადდა სასამართლოში!..“

ლაპარაკში თავმჯდომარე ჩაერია:

— აჩვენეთ წერილი ბრალდებულს.

ტარტარენმა აიღო წერილი, დახედა და სულ არხეინად წარმოთქვა:

— დიახ, მართალია, ხელი ჩემია. წერილი ჩემი დაწერილია, სულ გადამავიწყდა...

ამ სიტყვებზე ვეფხვებიც კი ატირდებოდნენ!

ცოტა ხნის შემდეგ ასეთივე რამ პასკალონმა გაიმეორა. ამბავი ეხებოდა იმავე „გაზეთში“ მოთავსებულ წერილს, შესახებ იმისა, თუ როგორ მიიღეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, ხელმწიფე ნეგონკომ და კუნძულის პირველმა მოსახლეებმა პორტ-ტარასკონის

ქალაქის რატუშაში „ფარანდოლასი“ და „ლუციფერის“ მკვურები; ქალაქის რატუშა მეტად დაწვრილებით იყო აწერილი.

ამ წერილის ყოველი სიტყვის წაკითხვა გიჟურ, თავშეუყავებელ სიცილს იწვევდა, რასაც დროდადრო აღმფოთებული ყვირილი შეწყვეტდა ხოლმე. პასკალონი კი თვითონ, ბრალდებულის სკამზე მჯდომი, არ ისვენებდა, ცხარობდა, რაც კი შეეძლო უარობდა: ეგ ჩემი არ არისო, თავის დღეში ხელს არ მოვაწერდი მაგნაირ გაუგონარ რამეებსო.

თვალშიმ შესჩარეს დაბეჭდილი წერილი, რომელსაც მისი ხელმოწერა ახლდა და მისივე მითითებით შესრულებული სურათებით იყო ილუსტრირებული; დამატებით კიდევ წერილის შავი მიაწოდეს, ტრინკლავის სტამბაში რომ ეპოვათ.

— გასაშტერებელია! — თქვა თვალეზღაპეტილმა პასკალონმა: — მე ეგ თავში სულ გამიქარდა!

ტარტარენი გამოესარჩლა თავის მდივანს:

— საქმე ის არის, ბატონო თავმჯდომარე, რაკი ბრმად გვჯეროდა ყველა მონაჭორი ჰერცოგ დე მონსისა, რომელიც არ გამოცხადდა...

— აბა, ახლა ყველამ ხელი ჰერცოგ დე მონსზე შეიხოცეთ, გიპოვიათ გამოსავალი, — სიტყვა გააწყვეტინა გააფთრებულმა პროკურორის ამხანაგმა.

— მე ვაძლევდი მაგ უბედურ ბალს იდეას, — განაკობდა ტარტარენი, — იდეას წერილისას და ვეუბნებოდი: „ქარგეთ-მეთქი მაგ ქარგაზე“, და ისიცა ქარგავდა.

— დიახ, ეგ მართალია, მე მხოლოდ ვქარგავდი... — ჩუმად წაილულულულა პასკალონმა.

აჰ, ეს მქარგავები! სასამართლოს თავმჯდომარე მულარმა გაიგო უკვე: რასაც ნიშნავდა ეს, — ამ მოწმეთა დაკითხვიდან გაიგო, რომელთაგან ყველანი ტარასკონელები იყვნენ, ყველანი შემთხვევლები და დღეს იმას უარყოფდნენ, რასაც გუშინ ამტკიცებდნენ.

— მაგრამ თქვენ ხომ თვითონ თქვით გამობრძებაზე!

— მე, მე ვთქვი ეგ?.. რას ამბობთ!.. მაგაზე სიტყვაც არ დამიძრავს.

— თქვენ ხომ ხელი მოაწერეთ.

— მოვაწერე?.. თავის დღეში...

— აგერ, ეს თქვენი ხელმოწერილია...

— დალახვროს ეშმაკმა!.. მართლაც ასეა!.. უნდა მოგახსენოთ, ბატონო სასამართლოს თავმჯდომარე, ჩემს გაცემას საზღვარი არა აქვს.

ასე ემართებოდა ყველას — არავის ახსოვდა თავისი უწინდელი ნათქვამი. მოსამართლეებს საშინლად აბნევდათ, საგონებელში აგდებდათ ტარასკონელთა ერთიმეორის საპირისპირო და თითქოსდა არაკეთილსინდისიერი ჩვენებანი. მზის ქვეყნის შვილთა მგზნებარე ფანტაზია და ლტოლვა, მუდამ რალაც შეეთხზათ, ცივ ჩრდილოელთათვის უცნობი ხილი გახლდათ.

ყველას მაინც კოსტეკალმა აჯობა — ისეთი გასაშტერებელი რამეები ილაპარაკა: კუნძულიდან გამომაძვეეს, გამომძალველმა და მტარვალმა ტარტარენმა მაიძულა ცოლ-შვილი მიმეტოვებინათ. უნდა გაგეგონათ, როგორა ჰყვებოდა კანჯოში მომხდარ დრამას: უბედური ამხანაგები ერთიმეორის მიყოლებით საზარელი სიკვდილით მიკვდებოდნენო. რიუჟიმაბოს გაგრილება მოუნდა და გადაწყვიტა, — იქვე, ნავის ახლოს ვიბანავებო. უეცრად ზვიგენმა წარიტაცა და შუაზე გახლიჩაო.

— ო, ეს ღიმილი ჩემი მეგობრისა! ახლაცა ვხედავ, ხელებს რომ მიწვდიდა, გავცურე, ვუშველო-მეთქი, მაგრამ უცებ სახე დაეღმიჭა და უკვალოდ გაქრა... მხოლოდღა სისხლიანი წრე თანდათან ფართოდებოდა წყალზე.

დაკრუნჩხული ხელით კოსტეკალდი თავის წინ დიდ წრეს ხაზავს და თვალთაგან მუხუდოს სიმსხო ცრემლებს აფრქვევს.

რიუჟიმაბოს გვარის გაგონებაზე, ახლახან გამოფხიზლებული ბეკმანი და რობერ დიუ ნორი თავმჯდომარისაკენ დაინხარნენ, კოსტეკალდის ნაამბობზე ავარდნილი ქვითინის დროს მოსამართლეთა სამი მაღალი, შავი ქუდი ხან ერთ, ხან მეორე მხარეს იხრებოდა ხოლმე.

ბოლოს სასამართლოს თავმჯდომარე მიულარმა მოწმეს მიმართა:

— თქვენ ამბობდით, რიუჟიმაბო ჩემ თვალწინ ზვიგენმა შექამაო, მაგრამ სასამართლოზე, ამ წუთს, ბრალდების მოწმედ — ამ დილით ტარასკონს. ჩამოსული რიუჟიმაბო ახსენეს. ის ხომ არ არის სწორედ, თქვენთან რომ იყო კანჯოში?..

— რა თქმა უნდა... — წამოიძახა სასოფლო-სამეურნეო ნაწილის მეუფეროსის ყოფილმა მოადგილემ.

— როგორ? რიუჟიმაბო აქ არის? — წარმოთქვა კოსტეკალდმა და ოდნავაც არ შემკრთალა. — მე არ მინახავს, ეს ჩემთვის სულ ახალი ამბავია.

ამ დროს ერთ-ერთმა შავქუდოსანმა სიტყვა შეუბრუნა:

— მაშ, ის არ შეუქამიათ, როგორც თქვენ ახლა ამბობდით?

— ეტყობა, ტრიუფენიუსში შემეშალა...

— დაიკარგეთ ერთი, მეც აგერ არა ვარ! არავის შევუქამი-ვარ!.. — წამოიყვირა უკმაყოფილოდ ტრიუფენიუსმა.

კოსტეკალდს ბრაზი ერეოდა:

— ეგ ახლ ერთია, ვინ იყო! კარგად ვიცი, ზვიგენმა ვილაც შე-ქამა, წრე დავინახე.

კოსტეკალდმა, ვითომც აქ არაფერიაო, ჩვენების მიცემა გა-ნაგრძო.

სანამ სასამართლოს თავმჯდომარე მოწმეს დაითხოვდა, დაეკი-თხა — თქვენი ვარაუდით სულ რამდენი მსხვერპლი იქნებოდაო. მოწმემ უპასუხა:

— სულ ნაკლები ო რ მ ც ათასი (იქ ასე გამოთქვამენ ორმოცს).

აღწერის მიხედვით კუნძულზე ოთხას კაცზე მეტი არ ყოფილა, ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, როგორ შეცბუნდნენ სასამართლოს თავმჯდომარე მიულარი და მოსამართლენი. ამ საცოდავეებს სახეზე ოფლი ღვარად ჩამოსდიოდათ — ასეთი აბლაუბდა ჩვენებები მათ თა-ვიანთ სიცოცხლეში არა სმენოდათ. მოწმენი კი ისევ გაშმაგებით უარყოფდნენ წათქვამს, ადგილზე ვერა ჩერდებოდნენ, პირში სწვდე-ბოდნენ ერთიმეორეს, პასუხსა სთხოვდნენ და პასუხთან ერთად ლა-მის ერთმანეთისათვის ენებიც ამოეგლიჯათ. ახლა ყოველივე ამას რა კბილების ღრჭენით სჩადიოდნენ, რა დემონურ ხარხარს აყოლებ-დნენ! ამ ფანტასტიკურ, ტრაგიკულ პროცესზე ლაპარაკობდნენ მხო-ლოდ შეკმულ, დამხრჩვალ, მოხარშულ, შემწვარ, შეხრაკულ ტარას-კონელებზე, რომლებიც მერხზე ერთად ისხდნენ — საღსალამათნი, ხელუხლებელნი, ერთი კბილიც რომ არ დაჰკლებოდათ, ნაკაწრიც რომ არ აჩნდათ სხეულზე.

ორი-სამი მოწმე ჯერ კიდევ არ გამოცხადებულა; მათ წუთი წუთზე მოელოდნენ. რაკი ისინი აქ მყოფ მოწმეთა ყაიდისანი იყვნენ, სასამართლოს გამომძიებელმა ბონარიკმა, ვინც კარგად იცოდა თავის თანამოქალაქეთა ზნე-ჩვევები, დაითანხმა სასამართლოს თავმჯდო-მარე, არ შეხებოდა წინდაუხედაობით ჩაღენილ მკვლელობას.

ამასობაში მოწმენი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ხმაურობდნენ და სულ უფრო სასაცილო ჩვენებებს იძლეოდნენ.

დარბაზშიც ხალხი მხურვალე მონაწილეობას იღებდა; ზოგს სტვენით იკლებდა, ზოგს ტაშით აჯილდოებდა, ურცხვი, ურიდი ხარხარით უპასუხებდა თავმჯდომარეს, წამდაუწუმ რომ იმუქრებოდა, დარბაზიდან გაეყრითო, თუმცა ასეთი ღრიანცელითა და არეულ-დარეულობით გაოგნებული არავის აგდებდა გარეთ, — მაგიდაზე იდაყვ-დაყრდნობილი ხელს სულ თავზე იტაცებდა, ლამის არის რომ უნდა გასკდომოდა.

როცა დარბაზი ცოტათი მიწყნარდა, რობერ დიუ ნორი, მალალი, ხმელ-ხმელი მოხუცი — გრძელი, ჭადარა, ფუმფულა ქილვაშები რომ ამშვენებდა, ტუჩები დამკინავად რომ მოეკუმა და ქუდი ყურზე ჩამოსცოცებოდა — სეარძლის ზურგს მიეყრდნო და წარმოთქვა:

— მოკლედ, მამ, მხოლოდ ტარასკი არ დაბრუნებულა.

— მერე ჩემი ბიძა?

— მერე ბომპარი? — გამოეხმაურა მთელი დარბაზი.

— მე ჩემს მოვალეობად ვრაცხ, შეგნიშნო სასამართლოს, — გამყივანი ხმით განაგრძობდა პროკურორის ამხანაგი, — ბიძაჩემი ერთი პირველი მსხვერპლთაგანია. მომერიდა და არ ვილაპარაკე მასზე. ასეა თუ ისე, მაინც ცხადია — ის არ დაბრუნებულა და არც არასოდეს დაბრუნდება...

— ბოდიში, ბატონო პროკურორის ამხანაგო, — სიტყვა ჩამბართვა სასამართლოს თავმჯდომარემ, — ეს-ეს არის გამომიგზავნა ბართი ვინმე ბატონმა ბომპარმა და მთხოვს, მოვუსმინო. თქვენი ბიძა ხომ არ არის?

დიახ, ეს ბიძამისი, ბომპარი (გონზავი) გახლდათ.

ტარასკონელთათვის ასეთი ნაცნობი სახელის ხსენებაზე საშინელი ხმაური შეიქნა. ხალხი, მოწმენი, ბრალდებულები — ყველანი წამოდგნენ, მერხებზე აძვრნენ. მოუთმენლობითა და ცნობისმოყვარეობით სულწასულები იხრებოდნენ, კისერს იგრძელებდნენ, ცდილობდნენ შეეხედათ, ყვიროდნენ. რაკი ასე მღელვარებდა ყველა, სასამართლოს თავმჯდომარე მიულარმა რამდენიმე წუთის შესვენება გამოაცხადა. ამ შესვენების დროს დარბაზიდან თავრეტდასხმული და სიცხით გულშეწუხებული თორმეტიოდე პოლიციელი ხელით გამოიტანეს.

ბრძანება ხილი¹ გადაიარა. ამგავი ხუთ წითელგვედლასმული წარიღისა. ბრძანაი მრფველ უხმოვს მთელს ტარასონს, მაგრამ არავინ ეხმაურება; „წაგვიკითხეთ, გოლუს და გოლუს, წარიღი, ეშმაქსა წაუღიხართ!“ მატყუარები ჩრდილოეთისა და მატყუარები სამხრეთისა

- ის არის, გონზაგია!.. შეხე! შეხე!
- როგორ დასრულებულა!
- რა ფერმკრთალია!
- მთლად თურქს დამსგავსებია.

ისე დიდი ხანია არ ენახათ ჩვენს ტარასკონელებს კეთილი ბომპარი, რომ ძლივსდა სცნობდნენ. ადრე ძალზე გამხდარი, თავი უღვაშებიანი პალიკარის¹ თავს რომ უგავდა და თვალები — ფეთიანი თხის თვალებს, ახლა სიგანეში წასულიყო, „გათქვირებულიყო“, როგორც ტარასკონში იტყვიან, მაგრამ უღვაშები კვლავაც გრძელი ჰქონდა და ისევე ისე გიჟური თვალები უხსნდა გასიებულ, გაფიქვიანებულ სახეზე.

ბომპარი აქეთ-იქით არ იყურებოდა და სასამართლოს ბოქაულს მიჰყევებოდა გისოსისაკენ.

შ ე კ ი თ ხ ვ ა :

— თქვენ გონზაგ ბომპარი ხართ, არა?

— სიმართლე გითხრათ, ბატონო თავმჯდომარევე, უკვე ეჭვი მეპარება მაგაში, როცა ვხედავ, — პათეტიკურად გაშლის ხელებს და მიუბრუნდება ბრალდებულებს, — როცა ვხედავ ამ დამამკირებელ სკამზე შეულახავ დიდებას, როცა მესმის, როგორ თავსაფს ასხამენ ამ ზღუდის იქით პატიოსნებისა და განუხაზღვრელი წესიერების განსახიერებას.

— გმადლობთ, გონზაგ! — მღელვარებისაგან ჩაყრუებული ხმით წამოიძახა ტარტარენმა.

ტარასკონელი მედგრად იტანდა ყოველგვარ დამცივებას, მაგრამ ძველი მეგობრის ასეთმა თანაგრძნობამ გული დაუჩქლითა და თვა-

¹ პალიკარი — ვაჟაკი, დევმირი (ბერძენი) — ასე უწოდებდნენ ბერძენული სახალხო რაზმების მებრძოლებს, რომლებიც თავისი საშობლო თავიანთი უღვაშებისათვის იბრძოდნენ თურქეთის წინააღმდეგ XVII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში.

ლებში ცრემლი მორია, როგორც ბავშვს, რომელიც შეიბრალებს. ბომპარი კი ამ დროს თავის სიტყვას აგრძელებდა:

— მისმინე, სახელოვანო ჩემო თანამოქალაქე! დიდხანს არ მოგინდება ამ საძაველ სკამზე ჯდომა, მე მოვიტანე დამამტკიცებელი საბუთი... საბუთი...

ბომპარმა ჯიბეში ხელი მოიფათურა და იქიდან ამოიღო მარსელური ჩიბუხი, დანა, ძველი ტალ-კვესი, თოკის გორგალი, მეტრა, ბარომეტრი, კოლოფი ჰომეოპათიური წამლებისა და ყველა ეს სასამართლოს მდივნის მაგიდაზე დაალაგა.

— გამიგონეთ, მოწმე ბომპარ, როდის მორჩებით მაგ ამბავს? — მოუთმენლად შენიშნა სასამართლოს თავმჯდომარემ.

ახლა პროკურორის ამხანაგი ბომპარ დიუ მაზე მიუბრუნდა:

— მართალს გეუბნებიან, დააჩქარეთ, ბიძაჩემო!

ბიძა მისკენ შემოტრიალდა:

— დამაცა მე შენ! გაგისწორდები კიდევ იმისათვის, რაც ჩემს ბედკრულ მეგობარზე გახედე და თქვი. იმასაც მოესწრები, მემკვიდრეობას რომ ჩამოგართმევ, შე ავაზაკო!

ძმისშვილმა ეს მუქარა აინუნშიაც არ ჩააგდო. ბიძამ კი ისევ დაიწყო ჯიბეების ჩხრეკა და იქიდან უცნაურ საგანთა მთელი კოლექციის ამოლაგება, ბოლოს მაინც იპოვა, რასაც ეძებდა: დიდი კონვერტი, რომელსაც ხუთი წითელი ბეჭედი ჰქონდა დასმული.

— აი, ბატონო თავმჯდომარე, ეს საბუთი მოწმობს, რომ ჰერცოგი დე მონსი უკანასკნელი ყალთაბანდია და არამზადა...

სადაც არის წამოვიდოდა მაგარ-მაგარი სიტყვები, მაგრამ თავმჯდომარემ შეაწყვეტინა:

— კარგი, მომეცით აქ ეგ საბუთი.

გახსნა საიდუმლო წერილი, წაიკითხა და გადასცა თავის ორ თანამსაჯულს; ამათ კი ჩარგეს შიგ ცხვირი და ყურადღებით დაიწყეს კითხვა, თუმც არ ამქლავნებდნენ, რა შთაბეჭდილებას ახდენდა მათზე წაკითხული. ჰუმმარიტად რომ ჩრდილოელი მოსამართლენი იყვნენ — გულჩაყეტილნი, გულჩათხრობილნი!

მაინც რა იყო, ნეტავ, ამ წყეულ წერილში? ასეთი ვინმეებისაგან განა ხეირიანად რასმე გაიგებ?

ღარბაზში მსხდომნი წამოიწვედნენ ხოლმე სკამებზე, წაიხრებოდ-

ნენ, თვალებს ხელით მოიჩრდილებდნენ, ცდილობდნენ შორიდან დაენახათ ყველაფერი. მთელს დარბაზს დაუარა კითხვამ:

— რა არის, რა უნდა იყოს მაინც ასეთი, დასწყევლის ღმერთი!

რაკი ყოველივე, რაც სამაჯავროს სხდომაზე ხდებოდა, დარბაზის ღია კარ-ფანჯრებში მაშინვე გარეთ გააღწევდა ხოლმე, ამიტომ ქალაქის სასიერნო წრიდან დიდი ხმაური, ბუბუნი მოისმოდა, თითქმის ქარმა დაუბერა ზღვას და ზღვამაც ფრთონვა, დელვა დაიწყო.

ახლა პოლიციელებსაც აღარ ეძინათ, ქერზე ხროვად მიმხდარმა ბუზებმაც გამოიღვიძეს. ჭარბაზში, სადამოს სივრცელესთან ერთად, ტარასკონელთათვის ასე საშიში ორპირი ქარი იჭრებოდა და, ვინც უფრო ახლოს იჯდა ფანჯრებთან, ხმამალა მოითხოვდა მათ დახუროვას, „თორემ სასიკვდილოდ გავცივდებით“.

სასამართლოს თავმჯდომარემ შეასევერ შესქეივლა:

— ჩუმაღ, თორემ დარბაზს დაგატოვებინებთ!

დაკითხვა გაგრძელდა:

შ ე კ ი თ ხ ვ ა: მოწმე ბომპარ, როდის და როგორ ჩავივარდათ ხელში ეს წერილი?

პ ა ს უ ხ ი: მარსელიდან, „ფარანდოლას“ გამგზავრების წინ ჰერცოგმა, ეგრეთ წოდებულმა ჰერცოგმა დე მონსმა, პორტ-ტარასკონის გუბერნატორის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დანიშნა და ხელში ჩამჩარა ეს ხუთ წითელბეჭედანსული პაკეტი, თუმცა კი ფული შიგ არა ყოფილა. ასე მითხრა, პაკეტში ჩემი უკანასკნელი განკარგულებათაო, და მთხოვა, არ გამეხსნა, ვიდრე საადმიორალოს ერთ-ერთ კუნძულს არ მივალწევდით, ეს კი აღარ ვიცი, განედისა და გრძედის რომელ გრადუსზე მიმითითებდა. თუმცა კი კონვერტზე ეს აღნიშნულია, შეგიძლიათ ნახოთ...

შ ე კ ი თ ხ ვ ა: დიახ, დიახ, ვხედავ... მაშ, რა მოხდა მერე?

პ ა ს უ ხ ი: მერე, ბატონო სასამართლოს თავმჯდომარევე, მე, როგორც მოგახსენეთ, მოულოდნელად, გადამდები, კ ა ნ გ რ ო ნ ო ზ უ ლ ი და სხვა რალაც სენი შემეყარა; სიკვდილის პირს მისული გადმომხვეს შატო დ'იფში¹. ხმელეთზე ტკივილისაგან ვიკრუნჩხებოდი, — წერილი ასე ჩამჩრა ჯიბეში. სატივარმა ტეინი გამომაცალა

¹ შ ა ტ ო დ' ი ფ ი — მარსელის ნავსადგურის შესავალთან მდებარე კუნძული.

და, როდესაც რწმუნებულებას ბეზიუკეს გადავცემდი, წერილის მიცემა გადავიწყვიტე.

შეკითხვა: სავალლო გულმავიწყობაა... მერე?

პასუხი: მერე, ბატონო სასამართლოს თავმჯდომარე, ცოტათი მოვმჯობინდი, უკვე აღგომა და ჩაცმა შემეძლო, მაგრამ მთლიანად ფეხზე ვერ დავდები, — უნდა გენახათ, რასა ვგავდი!.. — და აი, ერთადელ, ჩავეყვი ჯიბეში ხელი, ვხედავ, წერილია — წითელბეჭედდასმული...

სასამართლოს თავმჯდომარე (მკაცრად): მოწმე ბომპარ, სიმართლესთან უფრო ახლოს ხომ არ იქნებოდა, გეთქვათ, რომ წერილი, რომელიც თქვენ უნდა გაგეხსნათ საფრანგეთიდან ოთხი ათასი მილის დაშორებით, რაკი სული გესწრაფოდათ, მალე წაგეკითხათ, მაშინვე, მარსელის პორტში გახსენით. ხოლო მისი შინაარსი რომ გაიგეთ, გადაწყვიტეთ თავიდან აგეცილებინათ თქვენზე დაკისრებული უდიდესი მოვალეობა?

— ბატონო სასამართლოს თავმჯდომარე, თქვენ ვერ იცნობთ ბომპარს! მოწმედ ვუხმობ აქ დამსწრე მთელ ტარასკონს.

სამარისებური სიჩუმე ჩამოეარდა ამ წმინდა ორატორული ხერხის პასუხად. ბომპარი, რომელიც თავისმა თანამოქალაქეებმა „ცრუპენტელად“ მონათლეს, თუმცაღა თვითონაც არ იყვნენ სიმართლის დიდი მოყვარულნი, ისე ძალიან გათავხედდა, რომ მოწმედ უხმობდა ამ ხალხს, თითქოს არასოდეს უცრუვნია; მაგრამ ტარასკონი ამ მოწოდებას არ გამოეხმაურა. ბომპარი მაინც არ დაბნეულა:

— ხედავთ, ბატონო მოსამართლენო, — განაცხადა მან, — დუმილი თანხმობის ნიშანია...

და კვლავ თავის ამბავი განაგრძო:

— მაშ ასე, როცა მე ვიპოვე წერილი, რამდენიმე კვირის გამგზავრებული ბეზიუკე უკვე შორს იყო, წერილის გადაცემა აღარა ხერხდებოდა. მაშინ გადავწყვიტე წამეკითხა, გამეგო, შიგ რა ეწერა, — და წარმოგიდგენიათ, რა საშინელი დღე დამადგა...

უფრო საშინელ დღეში კი ახლა დამსწრე ხალხი გახლდათ, რადგან ჯერაც არავენ იცოდა შინაარსი სასამართლოს მაგიდაზე დაგდებული წერილისა, რაზედაც ამდენს ლაპარაკობდნენ.

ყველანი კისერს იგრძელებდნენ, მაგრამ შორიდან ვერაფერსა

ხედავდნენ, გარდა მომნუსხველი, წითელბეჭედდასმული კონვერტისა ასე ეჩვენებოდათ, ეს კონვერტი თანდათან იზრდება და რაღაც უზარმაზარი ხდებაო.

ბომპარი განაგრძობდა:

— ნება მომეცით შეგეკითხოთ, რა უნდა მეღონა, ეს საშინელება რომ გავიგე? ცურვით დავწეოდი „ფარანდოლას“? ეგ კიდეც ვიფიქრე, მაგრამ შემეშინდა, ძალ-ღონემ არ მიღალატოს-მეთქი. შემეშალა ხელი, რომ „ტუტე-პანპანი“ არ წასულიყო და ჰეჩვენებინა ჩემი თანამემამულეებისათვის ეს საზიზღარი კონვერტი, შემენელებინა საერთო აღტაცება, ცივი წყალი გადამესხა მათთვის? მე ხომ ქვებით ჩამქოლავდნენ. ერთი სიტყვით, მე, გესმით თუ არა, შემეშინდა... ტარასკონში გამოჩენას ველარა ვბედავდი — საქციელი წამიხდა, არ ვიცოდი, იქ რა უნდა მეთქვა. მაშინ გადავწყვიტე დავმალულიყავი მოპირდაპირე მხარეს, ბოკერში, საიდანაც ყველაფრის დანახვა შემეძლო ისე, რომ ვერავინ დამინახავდა. იქ შეთავსებით ორი თანამდებობა მეჭირა: ბაზრის დარაჯისა და ციხე-დარბაზის ზედამხედველისა. ხომ გესმით, თავისუფალი დრო ბევრი მქონდა. ავდიოდი ხოლმე ძველ კოშკზე და კარგი ღურბინდით ვათვლიერებდი რონის გაღმა ნაპირიდან, როგორ ფუსფუსებდნენ ჩემი საცოდავი თანამოქალაქენი გამგზავრების წინ. ვწუხდი, დარდით თავს ვიკლავდი... ხელებს ვიწვდიდი იმათკენ, შორიდან ვუყვიროდი, თითქოს იმათ შეეძლოთ გაეგონათ ჩემი ყვირილი: „შეჩერდით!.. არ წახვიდეთ-მეთქი!“ შევეცადე კიდეც გამეფრთხილებინა ბოთლის საშუალებით... უთხარიო, ტარტარენ, უთხარიო ამ ვაჟბატონებს, რომ მე ვცდილობდი გამეფრთხილებინეთ.

— ვადასტურებ, — წარმოთქვა თავის სამარცხვინო სკამზე მჯდომმა ტარტარენმა.

— აჰ, ბატონო სასამართლოს თავმჯდომარეგ, რას გავუძელი, როცა „ტუტე-პანპანი“ ვუყურებდი, ქიმერულ მხარეში რომ მიემგზავრებოდა!.. მაგრამ გული უფრო მომიკვდა, როდესაც ჩემი თანამოქალაქენი დაბრუნდნენ და გავიგე, რომ გაღმა ნაპირზე იტანჯება ბორკილგაყრილი, თივაზე დაგდებული, ვით გროვად დაყრილი ცირცელი, ჩემი სახელოვანი თანამემამულე ტარტარენი. მიძიმე იყო იმის შეგნება. რომ ის, ცილდაწამებული, გამოემწყვდიათ ამ კოშკში!

რა თქმა უნდა, თქვენ შეგიძლიათ მომიგოთ, უფრო ადრე უნდა

წარმოგედგინათ მისი უდანაშაულობის საბუთებიო, მაგრამ როცა უკვე დაადგები ცუდ გზას და შიგ ჩაეფლობი, ეშმაკმა ნუ იცის, რა ძნელია კარგ გზაზე გადმოსვლა. პირველად რომ გაეჩუმდი, მერე და მერე სულ უფრო გამიჭირდა ლაპარაკის დაწყება. ამას გარდა, მეშინოდა ხილზე გავლისა, ამ საშინელ ხილზე.

და მაინც გადავიარე ეს ეშმაკის ხილი, გადავიარე ამ დილით, საშინელ ქარბუქში. იძულებული ვიყავი ნახევარი გზა ფორთხვით მევლო, როგორც მონბლანზე ასვლის დროს. გახსოვთ, ტარტარენ?

— როგორ არ მახსოვს! — უპასუხა ნალვლიანად ტარტარენმა, თავისი სახელოვანი წარსული რომ გაახსენდა.

— როგორ ქანობდა ეს ხილი! განა ცოტა გმირობა დამჭირდა, რომ მასზე გამევლო!.. მაგრამ მე არ მიყვარს ტრაბახი. ერთი სიტყვით, ახლა აქ ვარ, და ამჭერად მოგიტანეთ დამამტკიცებელი საბუთი, უტყუარი საბუთი.

— თქვენ ფიქრობთ უტყუარია? — შენიშნა მულარმა ჩვეული სიმშვიდით, — მერე რა არის თავმდეები იმისა, რომ ეს უცნაური წერილი, ჯიბეში რომ ჩაგრჩენიათ, ნამდვილად ჰერცოგ დე მონსის დაწერილია, ანდა, ეგრეთ წოდებული ჰერცოგ დე მონსისა. ვეპვობ, ტარასკონელებს რამე დაეჭვებოდეთ. შვიდი საათია სულ ტყუილები მესმის.

ამ სიტყვებზე დარბაზში და ტრიბუნებზე ისეთი ბურღლუნი გაიშმა, გარეული მხეცების გალიებში რომ იცის; ამ ბურღლუნმა ქალაქის სასიერნო წრემდე მიაღწია.

გულნატყენი ტარასკონი აღშფოთებას გამოთქვამდა. გონზავ ბომპარი კი აუწერელი ღიმილით იღიმებოდა მხოლოდ:

— რაც უმეხნება მე, ბატონო სასამართლოს თავმჯდომარევე, ვერ ვიტყვი, რომ ლაპარაკში ზოგჯერ რაიმეს შეთხზვა-წამატება არ მიყვარდეს, რომ ჩემი დანიშვნა შეიძლებოდეს ბიურო Veritas-ის დირექტორად, — ასე შორს არ გავიწევ. მაგრამ თქვენ ამას შეხედეთ, — ტარტარენზე მიუთითა, — ამაზე მართალი კაცი მთელს ტარასკონში არ მოიპოვება.

ტარტარენმა მაშინვე იცნო ბატონ დე მონსის ხელი და ხელისმოწერა, სამწუხაროდ, მისთვის ასე ნაცნობი; მერე ასევე ფეხზე მდგო-

მარე მიუბრუნდა სასამართლოს, ხელში გააფთრებით შეარხია ხუთ წითელბეჭედდასმული საშინელი საიდუმლოება და წარმოთქვა:

— ახლა, როცა ეს ცინიკური, მოჩმახული ბარათი ჩემს ხელთაა, გაფიცებთ, ბატონო სასამართლოს თავმჯდომარეე, აღიაროთ, რომ მატყუარები მართო სამხრეთელნი არ არიან. თქვენ კი ცრუპენტლებს ჩვენ, ტარასკონელებს, გვეძახით! ჩვენ მხოლოდ წარმოსახვის დიდი უნარით ვართ დაჯილდოებულნი. ჩვენ ვართ ენადაუოკებლები, სიტყვის მქარგველები, ბარაქიანი იმპროვიზატორები, ჩვენი მიწის წვენითა და მზის სინათლით გაბრუებულები, და თვითონვე გავებმებით ხოლმე ჩვენი იგავმიუწვდომელი, მაგრამ უვნებელი მონაგონების მახეში.

სულ არ ვგავართ თქვენს ჩრდილოელ მატყუარებს, გზნებადამქრალებს, ნაბიჯმოზომილებს, მუდამ რაღაც მდაბალი მიზანი და ბოროტი ზრახვა რომ ამოქმედებთ, მსგავსად ამ ბარათის დამწერისა. დიახ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ტყუილში სამხრეთი ჩრდილოეთს ვერ გაეჯიბრება!..

სხვა დროს ტარტარენს ამ საგანზე წარმოთქმული სიტყვით შეეძლო გაეოცებინა მთელი დარბაზის ხალხი. მაგრამ საბრალო დიდ ადამიანს და მის პოპულარობას აღსასრული დასდგომოდა. არავინ უსმენდა. ყველას ყურადღება იმ საიდუმლო წერილმა დაიპყრო, ჰაერში რომ იქნევდა ტარტარენი.

ბედშავს კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვინ დააცალა! ყოველი მხრიდან გაიძახოდნენ:

— წერილი!.. წერილი!..

— გამოართვით რაღა, ეგ წერილი!

— წაიკითხოს წერილი!

სასამართლოს თავმჯდომარე მულარი დაჰყვა ბრბოს ნებას და წარმოთქვა:

— მდივანო, საჯაროდ წაიკითხეთ საბუთი!

ხალხმა შევებით ამოისუნთქა, მერე ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ მხოლოდ მარიამობისთვის ბუზების ბზუილი და კრიჭინობელათა კრიჭინილა ისმოდა, ხალხის აჩქარებულ გულისცემასთან შეწყობილი.

მდივანმა დუღღუნა ხმით დაიწყო:

„ბატონ გონზაგ ბომპარს, პორტ-ტარასკონის გუბერნატორის მოვალეობის დროებითს შემსრულებელს.

გაიხსნას საადმირალოს კუნძულების ტრავერსზე, 144° 30' აღმოსავლეთის გრძედზე.

ძვირფასო ბ-ნო ბომპარ!

ყოველ მოხდენილ ხუმრობას თავისი ბოლო აქვს.

დაუყოვნებლივ შემოტრიალდით თექვსმეტ რუმბზე და წყნარად შინ დაბრუნდით თქვენს ტარასკონელებთან ერთად.

არც კუნძული, არც ხელშეკრულება, არც პორტ-ტარასკონი, არც არები, არც ჰექტარები, არც არყის სახდელი, არც შაქრის ქარხნები — არაფერი არსებობს. არის მხოლოდ ბრწყინვალე ფინანსური ოპერაცია, რამდენიმე მილიონი რომ მომცა, და ეს მილიონები, ისევე როგორც ჩემი პატიოსანი გვამი, ახლა სანდო ადგილას იმყოფება.

ნამდვილი რომ ვთქვათ, ეს იყო მომხიბლავი ტარასკონადა. რასაც თქვენი თანამემამულენი და მათი სახელოვანი წინამძღოლი ტარტარენი, უთუოდ, მაპატიებენ, რადგან მან გაართო, გაახალისა ისინი და კვლავ შეაყვარა თავიანთი მშვენიერი ქალაქი, რომელიც ისე აღარ უყვარდათ.

ჰერცოგი დე მონსი.

არც არაფერი ჰერცოგი ვარ და არც მონსელი ვარ. მონსის მიდამოებიდან თუ გახლავართ მხოლოდ“.

ტყუილად იმუქრებოდა. ამჯერად სახამართლოს თავმჯდომარე, ყველას გარეთ გაგყრითო, არაფერი ჰკრიდა. დარბაზში ყვიროდნენ, ღრიალებდნენ; და ეს ღრიალი ქუჩაში გადიოდა, ქალაქის სასიერნო წრესა და ესპლანადას ედებოდა, მთელ ქალაქს ავსებდა. აჰ, ბელგიელი, წუბაკი ბელგიელი, ჩავარდნოდით ერთი ხელში, შავ დღეს დააყენებდნენ, ფანჯრიდან ყირამალა გადაუძახებდნენ რონაში!

მაპაკაეები, ქალები, ბავშვები ერთმანეთს არ აცლიდნენ, ყაყუნებდნენ, და ამ საშინელ გნაისში სასამართლოს თავმჯდომარე მულარმა ტარტარენსა და პასკალონს გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა. ამ ამბავმა სასტიკად დააძმარა ციცირონ ბრანკებალში, —

გამოსვლა ჩაუშალა და ყველა მისი verum enim vero, „ვინაიდან და რადგან“, მთელი რომაული ცემენტი მისი მონუმენტური დასაცავი სიტყვისა წყალში გადასაყრელი გაუხადა.

სასამართლოს დარბაზი დაცარიელდა, ხალხი მოედო ქუჩებს, ქალაქის სასეირნო წრეს, დიდსა და მცირე მოედნებს და ისევ ანთხევდა ბოლმას, გააფთრებული გაპყვიროდა:

— ბელგიელო!.. წუპაკო ბელგიელო!.. ჩრდილოელო მატყუარავ! ჩრდილოელო მატყუარავ!

VI

გაბრძნობა და დასასრული კასკადონის მემორიალისა

დ ვ ი ნ ო ბ ი ს თ ვ ი ს 8. ბეზიუეესთან აფთიაქში სამსახურა რომ განვახსნე, ჩემს თანამოქალაქეთა პატივისცემა დავიბრუნე და ძველებურად, წყნარად დავიწყე ცხოვრება მცირე მოედანზე, ვიტრინის ყვითელი და წითელი სფეროების იქით. განსხვავება ისაა მხოლოდ, რომ ახლა ბეზიუეე იმალება სამუშაო ოთახში. თითქოს მოწაფე თვითონ იყოს, და გაშმაგებით ნაყავს თავის წამლებს ფილთაქვით მარმარილოს სანაყში. დროდადრო ჯიბიდან სარკეს ამოიღებს ხოლმე, დასვირინებულ სახეს ითვალისწინებს. ბედშავი ფერდინანდი! არც მალამოები შეეღის, არც კომპრესები, თვით „ნივრიანი სუპიცი“ კი არა, ექიმმა ტურნატურამა რომ ურჩია. ქაჯური ნაღობნი სამუდამოდ შერჩა.

მე კი წამლებს ვახვევ, ზედ იარლიყებს ვაკრავ, ვყიდი ალოესა და „იპეკოს“, ვცხდობ მომსვლელლებთან და მთელი ქალაქის ჭორებს ვიგებ, ვერთობი. ბაზრობის დღეს ჩვენთან ბევრი ხალხი მოდის: სამშაბათობითა და პარასკევობით აფთიაქი ერთთავად სავსეა. ყურინის კრეფა კარგად მიდის, და გლენებმა კვლავ დაიწყეს წამლებით ამოყორვა-გაპყვივა. მაზლობელი სოფლის მცხოვრებთ ეს გაგიჟებით უყვართ; სასაქმებლის მიღება მათთვის დღესასწაულია.

სხვა დღეებში ჩვენთან ძვირად თუ აწკრილდება ზანზალაკი. თავისუფალ დროს ვათვალისწინებ წარწერებს შუშისა და ფაიფურის დიდ ქილებზე, თაროებზე რომ გამწკრივებულან: sirupus gummi-ს,

assa foetida ¹-ს და ბერძნულ Farmakopeia ²-ს, ორ გველშუა რომაა წაწერილი მაღალი საწერი მაგიდის ზემოთ.

ამდენი შფოთისა და თავგადასავლის შემდეგ ასეთ სიწყნარესა და სიმშვიდეში ცხოვრება საამო მეჩვენება, დასაბეჭდად ვამზადებ ლექსების ტომეულს პროვანსულ ენაზე. კრებულს ერქმევა „უნაბი“. ჩრდილოეთში უნაბი ცნობილია, როგორც სააფთიაქო საქონელი — კენკრა. ჩვენში კი ეს პატარა წითელი ზეთისხილია, ღია ფერის ფოთლიან ხეზე იზრდება და გემრიელად ღრატუნობს კბილებში! ამ ტომეულში შევიტან ლექსებს ბუნებასა და სიყვარულზე.

ეჰ! ჩემს კლორინდას მხოლოდ მაშინ თუ ვხედავ, როცა მაღალ-მაღალი და ტანწერწეტი მცირე მოედნის წვეტიან პატარა ქვებზე ხტუნვა-ხტუნვით აფთიაქის წინ ჩაივლის ხოლმე. კუნძულზე ამ სიარულს ის „კენგურუს სიარულს“ ეძახდა. ლოცვანით ხელში კლორინდა მოგვიანო წირვაზე აღრიკთან ერთად მიდის, სწორედ იმასთან, აჩხორვა რომ იცოდა სახურავზე და ტარასკონში დაბრუნების შემდეგ მადემუაზელ ტურნატუარიდან ქალბატონ დეზ ესპაზეტებთან გადავიდა. კლორინდა არცერთხელ არ გამოიხედავს ხოლმე აფთიაქისაკენ. რაც ბეზიუკესთან დავბრუნდი, მისთვის აღარ ვარსებობ.

ცხოვრება ქალაქში თავისი ჩვეულებრივი, მშვიდი მდინარებით წავიდა. ტარასკონელები დადიან ქალაქის სასეირნო წრეზე ესპლანდაზე; საღამოობით კიდევ—კლუბში ან თეატრში. უკვე დაბრუნდა ყველა, გარდა მამა ბატალიესი, — იგი ფილიპინების კუნძულზე დარჩა: აქ უნდა „თეთრი მამების“ ახალი თემი დავაარსოთ. პამპერი-გუსტის სავანე თანდათან გამოცოცხლდა. იქ დაბრუნდნენ წმიდა მამა ვეზოლი („მადლობა შენდა; უფალო!“) და ზოგი კიდევ სხვა წმიდა მამა. ზარებმა ნელ-ნელ დაიწყეს რეკვა, ჯერ ერთმა, მერე მეორემ. ზარების გუგუნამდე ჯერ საქმე არ მისულა, მაგრამ გუმანითა ვგრძნობ, მალე იმასაც გავიგონებთ.

ვის შეეძლო წარმოედგინა, თუ ამდენი რამ მოხდებოდა ამ ხანში! რა შორსაა უკვე ყველაფერი და რა მალე იგიწყებს ყოველივეს ტარასკონელთა მორღმა! ნახოთ უნდა ერთი ჩვენი მონადირეები, მარ-

¹ გუმფისის სიროფი, ასაფეტოდა (ლ ა თ.).

² ფ ა რ მ ა კ ო პ ე ა . (ბ ე რ ძ ნ.).

კიზ დეზ ესპანეტის მეთაურობით, ახალშემოსილები ყოველ კვირა დილით როგორის თავგამოდებით მიდიან და კვლავაც „იმედიახალ“ ნადირობენ არარსებულ ნადირზე.

მე კი ყოველ კვირა დღეს, ნასაუზმევს, მივდივარ ტარტარენთან. რომ მოვიკითხო და ვცე პატივი. აი, პატარა, მწვანედარაბებიანი სახლი, სასეირნო წრის ზემოთ, ფეხსაცმლის მწმენდავი ბიჭუნების ყუთები, რიკულის წინ; მაგრამ ყველაფერი ჩაკეტილია, ირგვლივ სიჩუმეა. მე ვაღებ კიშკარს... ჩვენს გმირს ბაღში ვნახულობ ხოლმე, ზურგზე ხელები დაუწყვია და სეირნობს წითელთევზებიანი აუზის გარშემო, ანდა ზის თავის კაბინეტში, კრისებითა და მოწამლული ისრებით გარშემორტყმული. მაგრამ ის სულაც აღარ უყურებს საყვარელ კოლექციას. მდგომარეობა უცვლელია, ოღონდ როგორ გამოცვლილა კაცი! თუმც გამართლეს, მაგრამ დიდი ადამიანი თვითონ გრძნობს, რომ დამდაბლდა, სახელი შეეღაზა, კვარცხლბეკიდან ჩამოგდებულია, და ეს ამკმუნვარებს.

ჩვენ ვსაუბრობთ. ზოგჯერ ექიმი ტურნატუარიც შემოვიღის ხოლმე. ამ სევდიან საცხოვრებელში რაღაც სიცოცხლე შემოაქვს და პურგონისებური¹ მისი ოხუნჯობა გვართობს. ბრანქებალმსაც ნახავთ აქ კვირაობით. თავისი დაცვა ტარტარენმა მას დაავალა. ერთი სადავო საქმე ტარტარენს ტულონში აქვს კაპიტან სკრაპუშინასთან. რომელიც მოითხოვს კოლონისტების სამშობლოში დაბრუნების გასამრჯელოს, მეორე კი — ბრავიდას ქვრივთან: სამოქალაქო სარჩელი წაუყენა თავისი უწლოვანი შვილების სასარგებლოდ. თუ ჩემი საწყალი კეთილი მასწავლებელი ორივე პროცესს წააგებს. რა უნდა ქნას, ნეტა? უკვე ამდენი დაუჯდა ეს სავალალო პორტ-ტარასკონის ავანტიურა!

რად არ ვარ მდიდარი! ვაი, რომ ბეზიუკესთან ნაშოვნი გროშება არას მიზამს, რომ ტარტარენის დახმარება შევქალო.

ლ ვ ი ნ ო ბ ი ს თ ვ ი ს 10. „უნაბი“ გამოვა ავინიონში წიგნის გამომცემელ-გამყიდველ რუმანილთან, — ძალზე ბედნიერი ვარ! კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი: ამა თვის 19-ს, წმიდა მართას დღის აღსანიშნავად და აგრეთვე ტარასკონელთა საფრანგეთში დაბრუნების საპატივცემოდ მოეწყობა გრანდიოზული კავალადა. ფე-

¹ პურგონი — ექიმი მოლიერის კომედიისა — „ძალით ავადმყოფი“.

ლიბრიელებმა¹, დურლადურმა და მე, ალეგორიულ ეტლზე პროვანსული პოეზია უნდა წარმოვადგინოთ.

ღვინობისთვის 20. გუშინ, კვირა დღეს, მოეწყო კავალკაჟა. მთელი ნაკადი მოდიოდა ეტლებისა. ისტორიულ კოსტიუმებში გამოწყობილ მხედრებს გრძელ ლატანებზე ყულაბები დაემაგრებინათ და შეწირულებებს აგროვებდნენ. ზღვა ხალხი ირეოდა: ყველა ფანჯრიდან ადამიანის სახეები გამოკრთოდა. მაგრამ ეს მაინც არ ჰგავდა სადღესასწაულო გამოცოცხლებას, საზეიმო მხიარულებას. მომწყობთა გამომგონებლობის მთელს ნიჟსა და უნარს არ შეეძლო დიდიდღდას დაკარგვა რითიმე აენაზღაურებინა, იგრძნობოდა ხარვეზი, სიცარიელე: ძალიან აკლდა ეტლი, სადაც ტარასკი უნდა ყოფილიყო. დანავსული გასროლის მოგონებაზე, გასროლისა, რომელმაც ამ სალოცავს წყნარ ოკეანეში ბოლო მოუღო, ბოღმა აწვებოდა გულზე ყველას. კორტეჟმა ტარტარენის სახლს რომ ჩაუარა, ღრტივინა გაისმა. კოსტეკალდის ხროვა ყვირილით, შეძახილებით აქეზებდა ბრბოს. ტამპლიერის კოსტიუმში გამოწყობილი მარკიზ დეზ ესპაზეტი შემობრუნდა ცხენზე და ერთი მაგრად შეუძახა:

— აბა, ჩუმად, ბატონებო!

მარკიზს არ აკლდა რიხი და წესრიგიც მსწრაფლ დამყარდა.

ჩრდილოეთის ცივი, გამყინავი ქარი უბერავდა. მე და დურლადური, გამოწყობილნი კარლოს VI-ის ეპოქის ტანსაცმელში, ტარასკონს გავლით მყოფმა საოპერო დასმა რომ გვათხოვა, საშინლად ვითოშებოდით. ჩვენ კოშკზე ვისხედით, — ეტლი, რომელშიაც ექვსი თეთრი ხარი შეებათ, განასახიერებდა ხელმწიფე რენეს ციხე-დარბაზს, ხითა და შეღებილი მუყაოთი გაკეთებულს, — წყეული ქარი ძვალ-რბილში გვატანდა, და ის ლექსები, რომლებსაც ვკითხულობდით, ჩვენსავით ცაბცახებდნენ სიცივისაგან.

— აჰ, ერთი შაგათ!.. რა სუსხია! — გაიძახოდა დურლადური.

ჩამოსვლა კი არ შეიძლებოდა — კიბეები, რითაც აქ ამოვძვერით, აედოთ. ქალაქის სასიერნო წრესთან ეს წამება სრულიად აუტანელი ვახდა. ჩვენდა სავალალოდ, აზრად მომივიდა, — ხომ გაავიგიათ შეეკარებულის თავმომწონეობის ამბავი! — გვერდზე გამეხვია და მარკიზ დეზ ესპაზეტის სახლის წინ გამევილო.

¹ ფ ე ლ ბ რ ი ე ი — პროვანსში დაარსებული ლიტერატურული სკოლა, რომელიც მიზნად ისახავდა პროვანსული ენისა და ლიტერატურის აღორძინებას.

ისეთი ვიწრო ქუჩებით გავემართეთ, სადაც მხოლოდ ერთი ჩვენ-
ნი ეტლი გაეტეოდა. დაღვრემილი და ჩუმი ცალკე სახლი მარკიზი-
სა, მუქი ქვის კედლებიანი, დაკეტილი იყო, და ფანჯრების ყველა
დარაბა ჩარახული ჰქონდა, ნიშნად იმისა, რომ მაღალ წრესა არად
მიაჩნდა წვრილფეხობის გართობანი. ათრთოლებულის ხმით, შეწი-
რულებისათვის ყულაბაგაწვდილმა წავიკითხე ლექსები „უნაბი-
დან“, მაგრამ სახლში ჩამიჩუმიც არ იყო, არავინ გამოსულა. მაშინ
მეეტლეს ვუბრძანე, წასულიყო. მაგრამ, ვაი ჩემი ბრალი, ეტლი ად-
გილიდან არ დაიძრა, გაიხირა. ამოდ ვცდილობდით, ან წინ წაგვე-
ყვანა, ან უკან, — ორ მაღალ კედელ შუა გაიჭედა. დახურული და-
რახების იქით, სულ ახლოს ჩვენს თავს ზემოთ, ვიღაცის შეკავებუ-
ლი სიცილი ისმის, ჩვენ კი ავყუნტულვართ საფრთხობელებივით
მუყაოს კოშკებზე და სიცივისაგან ვბაბანებთ.

ხელმწიფე რენეს ციხე-დარბაზმა ნამდვილად არ მომიტანა ბედ-
ნიერება! ხარების გამოშვება დასჭირდათ, როდის-როდის კიბე მოათ-
რიეს, რომ ჩამოსვლა შეგვძლებოდა, — და ამასობაში ძალიან დიდი
დრო გავიდა!..

დ ვ ი ნ ო ბ ი ს თ ვ ი ს 23. რა არის ეს სახელის მოხვევის წყურ-
ვილი? ვინაც ერთხელ გაუგო დიდებას გემო, აღარ შეუძლია უიმი-
სოდ ცხოვრება.

კვირას ტარტარენთან ვიყავი. ვსაუბრობდით ბაღში, ვსეირნობ-
დით ქვიშა მოყრილ ბილიკებზე, ქალაქის სასეირნო წრის ღობიდან
გამხმარი ფოთლების მთელი ხროვა გვეყრებოდა. ტარტარენს სევდა
რომ შევამჩნიე თვალეში, დიდების დღეები გავუხსენე. მაგრამ ვე-
ლარაფერს შეეძლო მისი დანუგეშება, თვით ნაპოლეონისა და მისი
ცხოვრების მსგავსებასაც კი.

— ეჰ, რის ნაპოლეონი!.. სისულელეა!.. ეს ტროპიკების მზემ
გამიხურა თავი. მეცით პატივი, არასოდეს დამელაპარაკოთ მაგაზე,
ძალიან გთხოვთ!

გაოცებული შევცქეროდი.

— მერედა, კომანდორის მეუღლე...

— აჰ, დამანებეთ თავი! კომანდორის მეუღლე სულ დამ-
ცინოდა!

რამდენიმე ნაბიჯი მდუმარედ გავიარეთ.

ქარი უბერავდა, ჰაერში ფოთლებს ატრიალებდა და თან ჩვენამ-

დე მოჰქონდა ყვირილი ფეხსაცმლის მწმეხდავი პატარა ბიჭებისა, ჰიშქართან „კორპობიას“ რომ თამაშობდნენ.

ცოტა შეყოვნებით ტარტარენმა დასძინა:

— ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია. ტარასკონელებმა თვალი ამიხილეს, თითქოს ლიბრი მომაცილეს.

ასეთი არასოდეს მინახავს ტარტარენი.

ჰიშქართან რომ მივედით, უცებ მაგრა მომიჭირა ხელი:

— შენ ხომ იცი, ჩემო ბიჭუნავ, ეს ყველაფერი საჩაროდ გაიყიდე, სკარაპუშინამ საქმე მომიგო, ბრავიდას ჯვრივმაც, ბრაკებალმის საბუთების მიუხედავად... მეტად მაგრად აშენებს ეგ აღამიანი: მისი რომელი აკვედუქი დაინგრა და ორივენი ქვეშ მოგვიყოლია.

მორიდებულად შევთავაზე ჩემი მცირე დანაზოგი. სულითა და გულით მივეცემდი, მაგრამ ტარტარენმა უარი განაცხადა:

— გმადლობ, ჩემო ბალო! მე ვფიქრობ, რომ იარალში, სხვადასხვა ღირსშესანიშნაობასა და იშვიათ მცენარეებში საკმაო თანხას ავიღებ. თუ არ მეყოფა, სახლს გავყიდი. ერთი სიტყვით, ბოლო გამოაჩენს. მშვიდობით, ჩემო ბიჭუნავ... უბრალო რამ არის ეს ყველაფერი.

როგორი ფილოსოფიური შეხედულებაა ცხოვრებაზე!..

დ ვ ი ნ ო ბ ი ს თ ვ ი ს 31. მძიმე რამ გადამხდა დღევანდელ დღეს. წამლებს ვაძლევდი ტრიუფენიუსის მეუღლეს შვილისათვის, რომელსაც თავის ტყვილი აწუხებს, და ამ დროს უცებ მცირე მოედანზე თვლების კრიკინი გაისმა. ზემოთ ავიხედე. ხმაზე მაშინვე ვიცანი დიდი რესორიანი ეტლი დევებულიდის ქვრივისა. ეტლში მოხუცებული ქალი დაბრძანებულიყო, თუთიყუშის ფიტულით გვერდლამშვენებული. მოხუცის პირდაპირ ჩემი კლორინდა იჯდა და ერთიც ვიღაც, — ვერ კი დავინახე ვინ, რადგან სინათლე პირდაპირ მცემდა; ცისფერი მუნღირი და მოქარგული კეპი მომხვდა მხოლოდ თვალში.

— ის ვინ არის მანდილოსნებთან?

— შვილიშვილია ქვრივისა, ვიკონტ შარლექსის დევებულიდი, ეგერების პოლკის ოფიცერი. არ იცით განა, რომ ისა და მადემუაზელ კლორინდა იმ თვეს ჯვარს იწერენ?

ეს ამბავი მეხივით დამეცა თავს. ალბათ, სიკვდილის ფერი დამედო.

მე ხომ ჯერ კიდევ არ დამეკარგა იმედი!

— ო, ეს ნამდვილი სიყვარულით შეუღლებია! — განაგრძობდა უწყალო ქ-ნი ტრიუფენიუსი. — მაგრამ არ გაეგონიათ, ჩვენში როგორ ამბობენ: „სიყვარულით შეუღლებას თან სდევს ღამე მოსახენი და დღეები მოსაწყენიო?“

მე ასეთი შეუღლების საწინააღმდეგო არაფერი მექნებოდა, ვაგლახს!

გიორგობისთვის 5. გუშინ ტარტარენთან საჭაროდ გაიყიდა ქონება. იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ სადამოს აფთიაქში ბრანკებალმა შემოიარა და ყველაფერი დაწვრილებით მიამბო.

გულის მომწყვლელი სანახაობა ყოფილა თურმე, გაყიდვა-გამოყიდვამ არაფერი მისცა ტარტარენს. გაყიდვა იქვე შესასვლელთან ხდებოდა, როგორც ჩვენშია შემოღებული. ფული სულ მცირედიც არ შემოსულა, თუმცა ძალიან ბევრ ხალხს კი მოეყარა იქ თავი. იარაღი სხვადასხვა ქვეყნისა, მოწამლული-ისრები, ხელშუბები, ხანჯლები, რევოლვერები, ოცდათორმეტმუხტიანი ვინჩესტერი — ყველაფერი ოხრად წავიდა. გროშის ფასად გაიყიდა შესანიშნავი ტყავები ატლასური ლომებისა, ალპენშტოკი, მისი სახელოვანი კვერთხი, იუხგფრაუს სამახსოვრო. მთელი ეს განძი, ყველა ეს საკვირველება, ეს მუზეუმი ჩვენი ქალაქისა მუქთადაა წასული... რას ნიშნავს, როცა რწმენა დაკარგულია!

პაწია ქოთანში ჩასმული ბაობაბი, ოცდაათი წელი თვალს რომ უხარებდა მთელს იქაურს მხარეს, მაგიდაზე დადგეს, და შემფასებელმა გამოაცხადა: „Arbos gigantea, მთელ სოფლებს შეუძლიათ მის ჩრდილქვეშ დაეტიონო“. პასუხად გიჟური სიცილი გაისმა თურმე. ტარტარენს, ამ დროს ორ მეგობართან ერთად ბაღში რომ სეირნობდა, სიცილი გაეგონა და ეთქვა, თუმცა ნაღველი არ ემჩნეოდა ხმაშიო:

— ჩემს კეთილ ტარასკონელებსაც მოაცილეს ლიბრი. ახლა თვალი აეხილათ, მაგრამ უგულონი არიან.

ყველაზე სავალალო ის იყო, რომ საჭარო ვაჭრობამ ძალიან ცოტა მისცა ტარტარენს; იძულებული გახდა, სახლი დეზ ესპანეტებისათვის მიეყიდა, რომლებმაც ის ახალდაქორწინებულთათვის შეიძინეს.

მერედა, სად წავა თვითონ ბედშავი დიდი ადამიანი? გადაივლის, ნეტა ხიდს, როგორც ეს ბუნდოვნად ჰქონდა ნათქვამი? შეაფარებს თუ არა თავს ბოკერში ძველ მეგობარ ბომპარს?

ბრანკებალში რომ შუა აფთიაქში იდგა და ამ ავბედითს ამბავს მიხატავდა, მეორე ოთახიდან ღია კარებში შემოიქყიტა ბეზიუკემ, თავისი წარუხოცველი მოხატულობით დამშვენებულმა; ხარხარებდა, როგორც პაპუასების დემონი, თანაც ყვიროდა:

— მოუხდება!.. მოუხდება!

ვითომდა ის თვითონ ტარტარენს დაესვირინებინოს.

გიორგობისთვის 7. ხვალ, კვირა დღეს, ჩემმა ძვირფასმა მასწავლებელმა უნდა დატოვოს ქალაქი და ხიდი გადაიაროს... ნუ-თუ ეს შესაძლებელია? ტარტარენ ტარასკონელი გადაიქცეს ტარტარენ ბოკერელად! დაუკვირდით ერთი, ყურშიაც კი როგორ ისმის... სულ სხვაგვარად ჟღერს!.. და მერე კიდევ ეს ხიდი, ეს საშინელი ხილია გადასავლელი! მე კარგად ვიცი, ტარტარენს ამაზე ნაკლები დაბრკოლება არ გადაულახავს!.. მაგრამ ასეთ რამეს მაინც გაჯავრებულ გულზე გადაწყვეტენ ხოლმე და მერე საქმით აღარ ადასტურებენ განზრახულს. არა, მე ჯერ კიდევ მეეპყვება.

ქრისტეშობისთვის 10. კვირა დღე. საღამოს შვიდი საათი. შინ გულმოკლული დავბრუნდი. ძლივსღა შემწვევს ძალა, დღიურში რამდენიმე სიტყვა ჩაეწერო.

ყველაფერი გათავდა, ის წავიდა; ხიდი გადაიარა.

ჩვენ დავთქვით და ნაშუადღევს შევიკრიბენით მის გასაცილებლად: ტურნატუარი, ბრანკებალში, ბომევილი და მე, გზაზე კიდევ ლაშქრის მხედარი მალბოსი წამოგვეწია.

გული მეკუმშებოდა, გაუბედურებულ, ტიტველ კედლებსა და ფოთოლგანძარცულ ბაღს რომ ვხედავდი. ტარტარენი აქეთ-იქით არც კი იყურებოდა.

ჩვენ, ტარასკონელებს, ჩვენი დაუდგრომლობა გეშველის. იმის წყალობით იმდენს არა ვნადვლობთ ხოლმე, როგორც სხვა ხალხები. სახლის გასაღებები ტარტარენმა ბრანკებალს ჩააბარა.

— გადაეცით ეს მარკიზ დეზ ესპაზეტს, — უთხრა მან. — არ ვემდური, გამოსამშვიდობებლად რომ არ მოვიდა, — ბუნებრივია. როგორც ამბობდა ბრავიდა:

დიდებულის სიყვარულმა,
ბოთლის მეგობრობამ, —
წაიღეს თავისი,
და აღარ ვუნდივართ.

მერე მე მომიბრუნდა და დაატანა:

— ეს შენთვის ცოტაოდენად ნაცნობი უნდა იყოს, ჩემო ბიჭუნავ!

ამაღლელებელი იყო ეს მოიარებით ნათქვამი სიტყვა კლორინდაზე. ასეთ დროს მაინც გაიფიქრა ჩემზე!

ქალაქის სასეირნო წრეზე რომ გავედით, საშინელი ქარი ამოვარდა. ყველამ გულში გავიფიქრეთ: „არ გინდა ახლა ხილზე გახვიდეთ?“

ის კი, ეტყობოდა, ამით სრულებითაც არ შეწუხებულა. ქროდა ბორიო ქარი. ქალაქის ქუჩებში ადამიანის ქაჭანება არ იყო. გზად მხოლოდ მუსიკოსები შემოგვხვდნენ სამხედრო ორკესტრისა, ესპლანდაზე რომ უკრავდა ხოლმე, — თავიანთი საკრავები უიმისოდაც უძნელებდნენ მოძრაობას, ახლა კიდევ ქარისაგან აფრიალებული ფარაჯის კალთებისათვის ხელიც უნდა შეეშველებინათ.

ტარტარენი დინჯად, აუჩქარებლად ლაპარაკობდა და ისე მოდიოდა ჩვენთან ერთად, თითქოს მოსეირნობსო. ჩვეულებისამებრ, თავის თავზე და მხოლოდ თავის თავზე გვესაუბრებოდა:

— იცით რა, მე ჩვენი მხრის ხალხის ავადმყოფობა მჭირს. დიდად მასულდგმულებდა თვალსასეირო.

„თვალსასეიროს“ ჩვენში, ტარასკონში, ეძახიან ყოველივე იმას, რაც თვალსა გეტაცებს, რისკენაც მივილტვით და რაც ადვილად არ გვივარდება ხელში. ეს შეჩოცნებეთა საზრდოა, საზრდოა ადამიანთა, რომელნიც წარმოსახვის ნიჭით არიან დაჯილდოებულნი. ტარტარენი მართალს ამბობდა! არავინ გადაჰგებია ისე „თვალსასეიროს“, როგორც იგი.

მე მივათრევდი ჩემოდანს, ქუდის ყუთსა და პალტოს ჩემი გმირისას, ამიტომ ცოტა უკანა ვრჩებოდი და ზოგი რამ არ მესმოდა. სიტყვები თითქოს მიჰქონდა ქარს, რომელიც, რაც უფრო ვუახლოვდებოდიტ რონას, უფრო მძაფრდებოდა და მძაფრდებოდა. შევნიშნე მხოლოდ, რომ ტარტარენი არავის უწყრებოდა და ცხოვრებას თავისას უყურებდა, როგორც აუღელვებელი ფილოსოფოსი.

— ...უსაქმურმა დოდემ დაწერა ჩემზე, თითქოს მე დონ კიხოტი ვარ, სანჩოს ქურქში გამოხვეული. არ შემცდარა. დონ კიხოტის ეს ტიპი, გათქვირებული, გასათუთებული, ლოხი, მუდამ უღირსი თა-

ვისი ოცნებისა, საკმაოდ ხშირად შეგხვდებათ ტარასკონსა და მის მიდამოებში.

ოტა გზა რომ გავიარეთ, ერთ მოსახვევთან ზურგი დავინახეთ ექსკურბანიეისისა, რომელიც გარბოდა. კოსტეკალდის იარაღის მალაზიას რომ მიუახლოვდა, მალაზიას, რომლის პატრონი კოსტეკალდი ამ დილით მუნიციპალურ მრჩევლად დანიშნეს, ექსკურბანიეისმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიყვირა:

— ჰო, ჰო!.. ვ ი ხ მ ო უ რ ო თ!.. გაუმარჯოს კოსტეკალდს!

— მე არც იმას რასმე ვსაყვედურობ, — თქვა ტარტარენმა. — თუმცა უნდა შევნიშნო, რომ ექსკურბანიეისი განსახიერებია ყველაფერი ცუდისა, რაც კი ტარასკონულ სამხრეთში მოიპოვება! მხედველობაში მაქვს მისი ყვირილი კი არა, — თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, უზომოდ ბევრსა ღრიალებს, — გადაჭარბებული სურვილი გული მოუგოს, აამოს ყველას, რასაც ყოველგვარ სიმდაბლემდე მიჰყავს. კოსტეკალდთან ის გაჰკივის: ტარტარენს რონაში გადავუძახოთო! და რომ მომეფარისევლოს, ჩემთან იმასვე დაიძახებს კოსტეკალდზე. თუ არ ეს, ჩემო ბალებო, ტარასკონელთა მოდგმა მშვენიერია, უიმისოდ დიდი ხანია საფრანგეთი სულს გახუტეებდა პედანტიზმისა და მოწყენილობისაგან.

რონას მიუახლოვდით. ჩვენ თვალწინ სევდიანად ეშვებოდა მზე, მალა თითო-ორლა ღრუბელი მიცურავდა. ქარი თითქოს ჩადგა, ხიდი კი მაინც საიმედო არ იყო. ხიდის თავთან შეეჩერდით, — ტარტარენს ამას იქით გაცილება აღარ უთხოვია.

— მაშ, მშვიდობით, ჩემო ბავშვებო...

ყველანი გადაგვკონა, — ბომველით დაიწყო, როგორც ყველაზე უფროსით, და ჩემით გაათავა. ვტიროდი, ცრემლებად ვიღვრებოდი და მათი მოწმენდაც კი არ შემეძლო, რადგან ხელში კვლავ ჩემოდანი და პალტო მეჭირა. ჩემი ცრემლები, შემეძლია ვთქვა, რომ დიდმა ადამიანმა დალია.

თვითონაც აღელვებულმა ტარტარენმა გამომართვა თავისი ბარგი. პალტო მკლავზე გადაიკიდა, მუყაოს ყუთი ერთ ხელში დაიჭირა, ჩემოდანი კი მეორეში.

— აბა, ტარტარენ, თავს კარგა მოუფრთხილდით! — უთხრა

ტურნატურაში. — ჰავა ბოკერში ჯანსაღი არ არის... ნიკრიანი სუპი მიირთვით... იცოდეთ, არ დაივიწყოთ!

ტარტარენმა თვალი ჩაუკრა და უპასუხა:

— ნუ წუხდებით... არ იცით, დედაბერზე როგორ უთქვამთ? დედაბერი რაც უფრო ბერდებოდა, ქკუა ემატებოდა—და სასიკვდილოდ თავი არ ემეტებოდაო. ჩემი საქმეც ეგრეა.

ჩვენ მას დიდხანს გავუყურებდით ხილის თაღებქვეშ მიმავალს. ის მიდიოდა ოდნავ მძიმე, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით. ხიდი საშინლად ქანაობდა. ტარტარენი რამდენჯერმე გაჩერდა კიდეც და ხელით დაიჭირა ქუდი, საცაა ქარს რომ უნდა გაეტაცა.

ჩვენ ერთ ადგილზე ვიდექით და შორიდან ვუყვიროდით:

— მშვიდობით, ტარტარენ!

ის კი ისეთი ადელეგებული იყო, უკან არც კი იხედებოდა და სიტყვას არა ძრავდა: მუყაოს ყუთს იქნევდა მხოლოდ, თითქოს ამბობსო:

— მშვიდობით!.. მშვიდობით!..

სამი თვის შემდეგ კვირა საღამო. მე კვლავ ვშლი ჩემს „მემორიალს“, დიდი ხნის შეწყვეტილს, ამ ძველ მწვანე კუთხეებშემოცვეთილ დაეთარს, რომელიც საფრანგეთიდან ხუთი ათასი მილის დაშორებით დავიწყე, სულ თანა მქონდა — ზღვაზეც, საპყრობილეშიც, ყოველგან, და რომელსაც მე დავუტოვე ჩემს შვილებს, თუ ისინი მეყოლებოდა. აქ ცოტაოდენი ადგილი კიდეც დარჩა, ვისარგებლებ ამით და ჩავწერ, რომ ამ დილით ქალაქში ხმა დაირხა: ტარტარენი გარდაიცვალაო.

სამი თვეა მისი არაფერი ისმოდა. ვიცოდი, ბომპართან ცხოვრობდა ბოკერში, ეხმარებოდა საბაზრო მინდვრის ყარაულობაში და იცავდა ციხე-დარბაზს. ნამდვილად ასეთი რამეც „თვალსასიერო“ საქმეა. ძალიან მენატრებოდა ზოლმე ჩემი საყვარელი მასწავლებელი და სულ მის ნახვას ვაპირებდი, მაგრამ ეს წყველი ხიდი მაბრკოლებდა მუდამ.

როგორღაც ერთხელ შორიდან გავცქეროდი ბოკერის ციხე-დარბაზს და მომეჩვენა, რომ სულ ზემოთ, სულ მაღლა, ვიღაც დურბინდით ათვალთვლებდა ტარასკონს. ბომპარი უნდა ყოფილიყო. მერე კოშკში შევიდა, მაგრამ მაშინვე დაბრუნდა ვიღაც ძალიან მსუქან კაცთან ერთად, ტარტარენს რომ ჰგავდა. ამ მსუქანმა კაცმაც დურ-

ბინდით გაიხედა, მერე მას თავი ანება, რომ ხელებით ენიშნებინა, ვილაც ვიცანიო. მაგრამ ეს ყველაფერი ჩემგან ძალიან შორს იყო, ძალიან პატარად მოჩანდა, ძლივს ვარჩევდი, და მე ის მღელვარება არ მიგრძნია, რაც უნდა განმეცადა.

დღეს დილიდანვე, არ ვიცი რატომ, გული მიშფოთავდა, და როცა ქალაქში წვერის გასაპარსად წავედი — როგორც ჩვეულებრივ ყოველ კვირა დღეს დავდივარ, — გამოოცა ცამ: დაბინდული იყო, უღალი, ცრიატი. ასეთი ცისქვეშ განსაკუთრებით გამოინაკვთებიან ხოლმე ხეები, მერხები, ტროტუარები, სახლები. შევედი თუ არა დალაქთან — მარჯ ავრელიუსთან, მაშინვე ეს ვუთხარი:

— რა უცნაურია დღეს მზე! არც ანათებს და არც აბობნებს... მზის დაბნელება ხომ არ არის?

— როგორ, ბატონო პასკალონ, განა არ იცით?.. მზის დაბნელებას გაზეთები ჭერ კიდევ ამ თვის დამდეგს იუწყებოდნენ.

მარჯ ავრელიუსმა ცხვირზე ხელი მომიჭირა, სამართებელი სულ ახლოს მომიტანა და მკითხა:

— გაიგეთ ახალი ამბავი?.. ვგონებ, ჩვენი დიდი ადამიანი საიქიოს გამგზავრებულა.

— რომელი დიდი ადამიანი?

ტარტარენი რომ დამისახელა, კინაღამ მის სამართებელზე გავიჭერი სახე.

— აი, რას ნიშნავს სამშობლოს დატოვება!.. მას უტარასკონოდ სიცოცხლე არ შეეძლო...

დალაქი მარჯ ავრელიუსი ნამდვილს ამბობდა.

სიცოცხლე უტარასკონოდ, სიცოცხლე დიდების გარეშე, — რა თქმა უნდა, ტარტარენს არ შეეძლო.

ბეჩავი ძვირფასი მასწავლებელი! საბრალო დიდი ტარტარენი!.. მაგრამ რა საოცარი დამთხვევაა!.. მზის დაბნელება მისი გარდაცვალების დღეს!

რა უცნაურია მინც ჩვენი ხალხი! სანაძლეოსა ვდებ, რომ მთელი ქალაქი დაამწუხრა მისმა აღსასრულმა, მაგრამ ტარასკონელებს ისე უჭირავთ თავი, ვითომც აქ არაფერიაო.

ყველაფერი კი იმიტომ ხდება, რომ პორტ-ტარასკონის ამბის შემდეგ, სადაც ასე მკვეთრად გამოისახა მათი უცნაური გატაცებებისა და ყველაფრის გაზვიადების ტრფიალი, ახლა ისინი ცდილობენ

თავი ისახელონ როგორც კეთილგონიერმა და უადრესად დინჯმა ადამიანებმა, უნდათ უჩვენონ ყველას, რომ გამოსწორდნენ.

მაგრამ, ნამდვილად რომ ვთქვათ, ჩვენ ოდნავაც არ გამოვსწორებულვართ; თუ ტყუილში აღარა ვმარჯვობთ, სიმართლეს ვუკვეცავთ ფრთებს.

როდი ვიძახით: „გუშინ ცირკში ორმოცდაათი ათას კაცზე მეტი იყო“. ვამბობთ პირიქით: „გუშინ ცირკში ბევრი-ბევრი ექვსი-ოდე კაცი იქნებოდაო“.

მაინც ხომ გაზვიადებაა.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ტარტარენ ტარასკონელის უჩუულო თავგადასავალი

ეპიზოდური პირველი

ტ ა რ ა ს კ ო ნ შ ი

I. ბაობაბის ბალი	5
II. ქალაქი ტარასკონი და ქუდზე მონადირენი	7
III. ქალაქი ტარასკონი (გაგრძელება)	10
IV. მოდით რალა, მოდით!	13
V. ტარტარენის კლუბში წასვლა	15
VI. ორი ტარტარენი	18
VII. ევროპელები შანსაიში. სოვდაგრობა. თათრები. ნუთუ ტარტარენ ტარასკონელი ფლიდი იყო? მოჩვენება	20
VIII. მიტენის სამხეცე. ატლასელი ლომი ტარასკონში. სა- შინელ მოქიშპეთა შეხვედრა	22
IX. საკვირველი შედეგი მოჩვენებისა	26
X. წასვლის წინ	29
XI. ხმლით მობრძანდით, ბატონებო, ლექსით რა საკად- რისია	31
XII. რა თქვენს ბაობაბის პატარა სახლში	33
XIII. წასვლა	35
XIV. მარსელის ნავსადგური	38

ეპიზოდური მეორე

თ ა თ რ ე ბ შ ი

I. ზღვაში. ფოჩის თავგადასავალი. საღამო მესამე დღისა	40
II. არიქა, მეკობრენი	43

III. სერუანტესისადმი. დაბიხაყება. სად არიან თათრები? ვაი შენ, ჩემო თავო!	45
IV. ლომის სუნის მომდის!	48
V. ჩასაფრება	51
VI. ძუ ლომის მოსვლა. საშინელი ბრძოლა. ძმაბიჭების სამოთხე	54
VII. ამბავი ერთი დილიყნისა, შავრი ქალისა და უასმინის კრიალოსნისა	57
VIII. დაიძინეთ, ატლასელო ლომებო!	60
IX. თავადი გრიგოლ ჩერნოგორიელი	62
X. მითხარ, მამაშენს რა ჰქვია და ამ ყუაველის სახელს გეტყვი	66
XI. სიდი ტარტ'რი ბენ ტარტ'რი	70
XII. ტარასკონიდან იწერებიან	74

ეპიგრაფი მესამე

ლომთა ქლეტა

I. ძველი დილიყანსი	77
II. კაცუნასთან საუბარი	82
III. ლომების მონასტერი	85
IV. ქარაუანი	88
V. შიში	93
VI. ძლივს!	98
VII. „სევდა სევდაზე დამერთო!“	103
VIII. ტარასკონის ტარასკონი	107

ტარტარენი ალკებში

I. ვინმე უცნობის გამოცხადება „რიგი-კულმში“. ვინ არის იგი? რაზე იყო ლაპარაკი ექვსასი კაცისთვის გაშლილ სუფრაზე. ბრინჯი და შავქლიავი. სახელდა- სელოდ მოწყობილი საცეკვაო საღამო. უცნობი ხელს აწერს ოტელში ჩამომხდართა დავთარში. პ. ა. კ.	115
II. ტარასკონი, გაჩერება ხუთი წუთი. ალპინელთა კლუბი. რას ნიშნავენ პ. ა. კ. წინაური კურდღელი პალაურისა და წინაური კურდღელი კომბოსტოსი. „ასეთია ჩემი ანდერძი“. მკედრის სიროფი. პირველი ასვლა. ტარტარ- ენი ამოიღებს სათვალეს.	129
III. აურზაური რიგიზე. ნუ შფოთავთ! იყავით მშვიდად!	

	აღბურ ბუჯზე დამკვრელი. რა ნახა თავის სარკვევ ტარ- ტარენმა, როცა გამოიღვიძა. საგონებელში ჩავარდნა. მეგზურს იძახებენ ტელეფონით	146
IV.	გემზე. წვიმს. ტარასკონელი გმირი ესალმება კერპად დასახულ გმირთა ლანდებს. სიმართლე ვილქელმ ტელზე. გულის გატეხა. ტარტარენ ტარასკონელი არასდროს არსებულა. „ვე, ბომპარი!“	156
V.	საიდუმლოთა განდობა გვირაბში	172
VI.	ბრიუნის უღელტეხილი. ტარტარენი ხელში ჩაუვარ- დება ნიპილისტებს. იტალიელი ტენორისა და ავინი- ონის თოკის გაქრობა. ქუდზე მონადირის ახალი საგ- მითი საქმენი. ბაპი ბუპი	178
VII.	ტარასკონის ღამეები. სად არის იგი? წუხილი. ჭრი- ვინობელები ქალაქის სასეირნო წრისა უკან უხმობენ ტარტარენს. წამებანი ტარასკონელი დიდი მოწამისა. ალბინელების კლუბი. რა მოხდა აფთიაქში მცირე მო- ედანზე. მიშველეთ, ბეზიუკე!	194
VIII.	ღირსსახსოვარი გაბაასება იუნგფრაუსა და ტარტარენს შორის. ნიპილისტების სასტუმრო ოთახში. დუელი სა- მონადირო დანებით. საშინელი მაჯლაჯუნა. „ოქვენ ჩემთანა ხართ, ბატონებო?“ ოტელის პატრონი მეიერი ურვეულოდ უხვდება ტარასკონელთა დეპუტაციას	205
IX.	„მომინაურებულ ქურციკში“	218
X.	იუნგფრაუზე ასვლა. „ვე, სარები!“ კენედის წრიაპები უვარგისია. არც სანთურა ვარცა. მთამსვლელთა კლუ- ბის პატარა სახლში შენიღბული კაცები მოდიან. პრე- ზიდენტი ნაპრალში ვარდება. იქ სათვალესა კარგავს. მწვერვალზე ტარტარენი ღმერთად იქცევა	228
XI.	კვლავ ტარასკონისაკენი ყენევის ტბა. ტარტარენი სთა- ვაზობს მეგობრებს ინასულონ ბონივარის დილეგი. მოკლე საუბარი ვარდებს შორის. მთელი კრებული გამომწვეველია საპყრობილში. შავსიანი ბონივარი. სად იპოვეს ავინიონის თოკი	243
XII.	ბალტეს ოტელი შამონიში. ნივრის სუნი მოდის! საჭი- როა თუ არა თოკი აღმებზე ასვლისას. Shake hands! შოკანაპურის მოწაფე. შესვენება გრან-მიულში. „ტარტარენ, უნდა მოგელაპარაკოთ...“	258
XIII.	კატასტროფა	274
XIV.	ბოლოთქმა	285

პორტ-ტარასკონი

უკანასკნელი თავგადასავალი სახელოვანი ტარტარენისა
 ჟიბნი პირველი

- I. ტარასკონი უჩივის არსებულ წესს. ხარები. „თეთრი მამები“. ტარასკონელი სამოთხეში. პამპერგუსტის სააბატოს ალყა და კაპიტულაცია 301
- II. აფთიაქი მცირე მოედანზე. ჩრდილოელი კაცის გამოცხადება. „ნება ღვთისაა, ბატონო ჰერცოგო!“ სამოთხე ზღვათა გადაღმა 308
- III. „პორტ-ტარასკონის გაზეთი“. კეთილი ამბები კოლონიიდან. პოლიგამიაში. ტარასკონი ღუზის ასაშვებად ემზადება. „ნუ წამოხვალთ, ღვთის გულისათვის, ნუ წამოხვალთ!“ 317
- IV. ტარასკის დაბარგება. აბა, ხომალდი წინი ფუტკრები ტოვებენ სკას. სუნი ინდოეთისა და სუნი ტარასკონისა. ტარტარენი სწავლობს პაპუასურს. შექცევა გზაში 327
- V. ანტიქრისტეს ნამდვილი ლეგენდა; წმინდა მამა ბატალიეს ნაამბობი „ტუტუ-პანპანის“ გემბანზე 334
- VI. პორტ-ტარასკონს მისვლა. ძეხორციელი არა ჩანს. ლაშქარს გადმოსხამენ. ბუზიუ... აფთია... ბრავიდა კავშირს ამყარებს. საზარელი კატასტროფა. დასერიჩნებული მეფუთიაქე 344
- VII. განაგრძეთ, ბუზიუკე... მატყუარაა თუ არა ჰერცოგი დემონსი? ადუოკატი ბრანკებალმი. Verum enim vero, „ჟინაიდგან და რადგან“. პლემისციტი. „ტუტუ-პანპანი“ ცის დასავალზე ქრება 353

ჟიბნი მეორე

- I. პორტ-ტარასკონის მემორატი. მდივან პასკალონის დლიური, სადაც მოხსენებულია ყველაფერი, რაც ითქმობდა და კეთდებოდა თავისუფალ კოლონიაში ტარტარენის მმართველობის ყამს 361
- II. ხართა ბრძოლა პორტ-ტარასკონში. თავგადასავალი და შეტაკება. ჩამოსვლა ხელმწიფე ნეგონკოსი და მისი ქალიშვილი ლიკირიკისა. ტარტარენი ცხვირს ცხვირზე წაუხახუნებს ხელმწიფეს. დიდი დიპლომატი 373
- III. კვლავ წვიმს. წყალმანკი. ნივრბიანი სუპი. გუბერნატორის ბრძანება. ნიორი არ გვეყოფა! ნიორი გვეყოფა. ლიკირიკის ნათლობა 381

- IV. გაგრძელება პასკალონის მემორიალისა 388
- V. პერცოგ დე მონსის გამოჩენა. კუნძულს ყუმბარას უშე-
ნენ. ეს პერცოგ დე მონსი არ იყო. ჩამოუშვით ალაში,
დასწყევლის ეშმაკი თორმეტი საათი ეძლევათ ტარას-
კონელებს კუნძულის საეკაუაციოდ, თუმცა ხომალდი
არა აქვთ, ტარტარენთან სუფრაზე მსხდომნი ფიცსა დე-
ბენ, გასდიონ ტყვეობაში თავიანთ გუბერნატორს. . . 395

წიგნი მესამე

- I. ინგლისელთაგან ტარტარენის მიღება „ტომპაჰეკზე“. უკანასკნელი გამოშვებობება პორტ-ტარასკონთან. გუბერნატორი ესაუბრება თავის პატარა ლასკაზს. კოსტეკალდი მოინახა. მეუღლე კაპიტან-კომანდორისა. ტარტარენი პირველად ესერის ვეშაპს 405
- II. სადილი კომანდორთან. ტარტარენი ფარანდოლას პას წაიცეკვებს. როგორ განსაზღვრა ლეიტენანტმა შიპმა ტარასკონელის ტიპი. გიბრალტარის პირისპირ. ტარას-კის შურისგება 414
- III. გაგრძელება პასკალონის მემორიალისა 423
- IV. სასამართლოს პროცესი საფრანგეთის სამხრეთ მხარეში. ერთიმეორის საწინააღმდეგო ჩვენებანი. ტარტარენი ფიცულობს ღმერთისა და ხალხის წინაშე. ტარასკონელი სიტყვის მქარგველები. რიუჟიმაბო ზვიგენმა შეჭამა. მოულოდნელი მოწმე 432
- V. ბომპარმა ხიდი გადაიარა. ამბავი ხუთ წითელბეჭედ-დასმული წერილისა. ბომპარი მოწმედ უხმობს მთელს ტარასკონს, მაგრამ არაეინ ეხმაურება. „წავეციოთხეთ, ბოლოს და ბოლოს; წერილი, ეშმაკსაც წაუღიხართ!“ მატყუარები ჩრდილოეთისა და მატყუარები სამხრეთისა 441
- VI. გაგრძელება და დასასრული პასკალონის მემორიალისა 449

რედაქტორი შ. ვადაკორია
გამომცემლობის რედაქტორი ე. ჩხაიძე
მხატვარი დ. სახუტაშვილი
მხატვრული რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნიკური რედაქტორები ვ. პირველი და ნ. შვილიძე
კონტროლიორ-კორექტორი დ. კალანდარიშვილი
კორექტორი თ. ენდელაძე
გამომშვიები ვ. ვახტანგაძე

გადაეცა ასაწყობად 22/V-73 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/IV-74 წ.
ანაწყობის ზომა $6 \times 8^{3/4}$
ქაღალდის ზომა $60 \times 84^{1/16}$
ნაბეჭდი თაბახი 27,20
საარტიკულ-საგამომცემლო თაბახი 23,34
ტირაჟი 20.000 შ.ი.ე. № 9.

ფასი 1 მან. 37 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Издательство «Накадули», Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეველების ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, კამოს ქ. № 18.

Комбинат печати Главополиграфпрома Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательства, полиграфии и книжной торговли. Тбилиси, ул. Камо № 18.